ბოსტან ლიუბი

ოთხი. ქალი და მღვდელი

გამომცემლობა „ნეკერი“

2005

Georges Duby
Le Chevalier, la Femme et le Prêtre

მთარგმნელი:
მანანა ჯავახიშვილი

რედაქტორი:
ლია კაჭარავა

დიზაინი და დაკაბადონება:
გიორგი ბაგრატიონი

წიგნი გამოცემულია „ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის მთარმგნელობითი პროექტის" (CEU Translation Project) მხარდაჭერით, ფონდის — OSI-Zug, ბუდაპეშტის ღია საზოგადოების ინსტიტუტის გამომცემლობის განვითარების ცენტრისა (CPD) და ფონდის „ღია საზოგადოება — საქართველო" (OSGF) საგამომცემლო მთარგმნელობითი პროგრამის (TP) ფინანსური ხელშეწყობით.

The edition was published with the support of the "Central European University Translation Project", sponsored by the OSI-Zug Foundation and with the contribution of the Center for Publishing Development of the Open Society Institute-Budapest and Publishing-translation Program of the Open Society – Georgia Foundation.

საგამომცემლო ჯგუფი:
ნ. კალანდაძე
ი. მარგველაშვილი
ნ. ქვაჩახია
ნ. ჩავლეშვილი
ნ. ჩიტაია

© თარგმანი მანანა ჯავახიშვილი, 2005

© გამომცემლობა „ნეკერი", 2005

ISBN 99940-850-3-4

შინაარსი

I. მეფე ფილიპის ქორწინებები 4
II. მღვდელთა და მეომართა მორალი 20

XI საუკუნე

III. ქორწინება ბურშარის მიხედვით 46
IV. რობერტ ღვთისმოსავი 62
V. უფლისწულები და რაინდები 71
VI. ერეტიკოსები 86

1100 წელი

VII. წმინდანთა ცხოვრებანი 98
VIII. გიბერ ნოჟანელი 110
IX. ივ შარტრელი 127

XII საუკუნე

X. სამეფო სასახლეში 146
XI. ლიტერატურა 163
XII. ამბუაზის სენიორები 177
XIII. გინის გრაფები 198

შენიშვნები 227

თავი I

მეფე ფილიპის ქორწინებები

1095 წლის შემოდგომაზე პაპი ურბან II ოვერნში, ქალაქ კლერმონში, კაპეტინგების გავლენის არეალში არსებული ტერიტორიის სამხრეთ საზღვრებზე იმყოფება. თვეების მანძილზე, რომიდან დევნილი, იგი გალიის სამხრეთით, კარდინალთა ესკორტით, დიდი პომპეზურობით მოგზაურობს. აქ ის თავს დაცულად გრძნობს. პაპი კლუნის წინამძღვარი ყოფილა. ამ კონგრეგაციის მონასტრები გალიის სამხრეთში მდებარეობს. სწორედ აქ ვითარდება მთელი სისრულით დიდი წამოწყება, ეკლესიის რეფორმა ანუ მთელი საზოგადოების სულიერი განწმენდა, რომლის განხორციელებას პაპობა ოც წელზე მეტი ხნის წინ შეუდგა. საეკლესიო რეფორმას ადამიანები მოსალოდნელი განსაცდელის წინააღმდეგ საბრძოლველად, სამყაროს დასასრულისათვის უნდა მოემზადებინა; ნებსით თუ უნებლიეთ სიკეთის აღიარებამდე მიეყვანა, ნაკლოვანებათა გამოსწორებასა და თითოეულს საკუთარ ვალდებულებათა დაზუსტებაში უნდა დახმარებოდა. რეფორმის გამტარებლებს ზედმინევნით უნდა განესაზღვრათ, თუ რისი გაკეთება ეკრძალებოდა ყოველ ქრისტიანს. ეს დიადი განახლება ეკლესიის განწმენდით დაიწყო, რადგან სწორედ ღვთის მსახურნი არიან მაგალითის მომცემნი. სასულიერო პირები ორმაგი ცოდვისაგან უნდა გამოეხსნათ, სიმონიისგან (იმ პერიოდის მეცნიერები ასე უწოდებდნენ უგვანო ძალაუფლების დამკვიდრებას ეკლესიის მმართველთა არჩევაში, კერძოდ კი, ძალაუფლებისა, რომელიც ფულით მოიპოვება) და ნიკოლაიზმისაგან (იგულისხმება მავნე ჩვევები, ლტოლვა ამქვეყნიურ სიამოვნებათა მიმართ და რაც მთავარია, ქალით ტკბობა). საერო ხელისუფალთა შეზღუდვის დრო დადგა და მათთვის, როგორც მღვდლები იტყოდნენ, ისეთი ცხოვრების წესი უნდა ეკარნახათ, უფალს რომ მოეწონებოდა. ამოცანა კიდევ უფრო რთულდებოდა. ყოველი მხრიდან ხალხის პროტესტი ისმოდა და მინისმფლობელი დიდებულებიც მხარს უჭერდნენ ამ წინააღმდეგობას. პირველ რიგში იმპერატორები გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას, სხვა მეფეებიც, თითოეული საკუთარ მამულში, რომელიც ზეცამ უწყალობა (როგორც კარლოს დიდს, რომლის მემკვი-

დრეებად ისინი საკუთარ თავს თვლიდნენ) სოციალური წესრიგის შესანარჩუნებლად. ამიტომ ისინი ძნელად ითვალისწინებდნენ სხვათა მითითებებს (რომლებიც ამ ჩარევით მიღებულ წესებს არღვევდნენ), მეომართათვის მოქცევის წესების კარნახს.

კლერმონში არც ერთი მეფე არ ჩამოვიდა. სამაგიეროდ მეზობელი მხარეებიდან მრავლად იყვნენ ეპისკოპოსები, აბატები, მაღალი არისტოკრატიის წარმომადგენლები. იმდენად ბევრი ხალხი მოგროვდა, პაპმა ჩათვალა, რომ იგი ერთად შეკრებილ სრულიად საქრისტიანოს შუაგულში მეფობდა და როგორც უმაღლეს მინიერ ხელისუფალს, უზენაეს მმართველს, იმპერატორის ადგილი ეკავა. ასეთ ვითარებაში მოხვედრილი ურბან II მთელს მსოფლიოს მიმართავს. იგი აკანონებს, განიკითხავს, განსჯის. იმ გადაწყვეტილებებიდან, რომელებსაც პაპი იღებს, ყველაზე უფრო პოპულარული ჯვაროსნული ლაშქრობისთვის მონოდებაა. ყველა მორწმუნე, სრულიად დასავლელი რაინდობა მოწოდებულია იერუსალიმისკენ დიდი მსვლელობისათვის, რათა უფლის წმინდა საფლავთან უკანასკნელ სამსჯავროს შეეგებონ. ეს მონოდება რეფორმის ერთ-ერთი ეტაპია, რათა ადამის მოდგმის ნათელში აღდგომა განხორციელდეს. ეს გრანდიოზული მობილიზაცია პაპის მიერ მიღებულ მეორე განაჩენს გვავინყებს. მან ეკლესიიდან განკვეთა ფილიპი, საფრანგეთის მეფე, კაპეტინგების გვარიდან პირველი. დასავლელი ფრანკების პირველი სუვერენი საკმაოდ ღირსებაშელახული იყო საეკლესიო ხელისუფალთა თვალში და ამ საშინელ სასჯელს იმსახურებდა. ეს სასჯელი მას მორწმუნეთა ძმობიდან დევნიდა, არადა მისი მონოდება ამ ძმობის მართვა იყო. მეფეზე ღვთიური წყევლა ვრცელდებოდა. გამოუსწორებლობის შემთხვევაში კი აღნიშნული სასჯელი მის მარადიულ კრულვას მოასნავებდა.

ეკლესიიდან განკვეთილი ფილიპი ამგვარ ვითარებაში ერთი ნელი იყო. 1094 წლის 15 ოქტომბერს ოტენში ოცდათორმეტი ეპისკოპოსი შეიკრიბა პაპის ლეგატის, ლიონის არქიეპისკოპოსის, ჰუგო დე დის გარშემო, რათა ფილიპი დაედანაშაულებინათ. იმავდროულად სასულიეროებმა გააუქმეს იმ კრების გადაწყვეტილებები, რომლის თავჯდომარეც რეიმსში თავად მეფე იყო. კონფლიქტი ნარმოიშვა. საფრანგეთის სამეფოს ორ ნანილს, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის დაპირისპირება გამოიკვეთა: ჩრდილოეთს, რომელიც მეფეს უპყრია ხელთ და სამხრეთს, რომელიც მას ხელიდან უსხლტება. განსაკუთრებით მზარდი წინააღმდეგობაა ეკლესიის ორ მსოფლმხედველობას შორის. პირველი, ტრადიციული, კაროლინგური იყო, რომელიც ყველა ეროვნების სასულიერო პირს ღვთითკურთხეული მეფის, მათივე თანამოძმისა და მცველის გარშემო აერთიანებდა. მეორე - სიმშვიდის დამრღვევი, რეფორმატორთა მსოფლმხედველობა გახლდათ პაპ ურბან II-ის კონცეფცია, რომელიც ამქვეყნიურ წარმავალობაზე სულიერების უზენაესობას აცხადებდა და აქედან გამომდინარე, მონარქებს ეპისკოპოსებს

უქვემდებარებდა, ხოლო ამ უკანასკნელებს კი - რომის ეპისკოპოსის ავტორიტეტს. ამ ახალი სტრუქტურების მისაღებად საჭირო იყო მეფეთა დამორჩილება და იმისათვის, რომ საფრანგეთის მეფე დაემორჩილებინათ, რეფორმატორებმა იგი ეკლესიიდან განკვეთით პიროვნულად შეურაცხყვეს ჯერ ოტენში, შემდეგ კი კლერმონში.

კლერმონის საეკლესიო კრების აქტები დაიკარგა. ჩვენ მათზე ცნობები იმ ეპოქის ისტორიკოსთაგან, იმ ადამიანთაგან შემოგვრჩა, რომელნიც მონასტერში მყოფნი წლიდან წლამდე აღნერდნენ იმ მოვლენებს, რომლებიც მათ მნიშვნელოვნად მიაჩნდათ. თითქმის ყველამ გვიამბო ამ საზეიმო კრებაზე. მაგრამ თითქმის ყველა, თავის მხრივ, მხოლოდ წმინდა მიწისათვის ლაშქრობაზე მოგვითხრობს. სწორედ ეს იყო მათთვის მომხიბვლელი. გარდა ამისა, ზოგიერთმა მათგანმა მაინც გვიამბო, რომ საფრანგეთის მეფე დაისაჯა და თუ რატომ დაისაჯა იგი. მათ მიაჩნიათ, რომ ფილიპი I არ დასჯილა, როგორც ანრი IV, რომელიც ასევე ეკლესიიდან იყო განკვეთილი, წმინდა საყდრის წინააღმდეგ მთელი ძალებით ბრძოლის გამო. პაპმა მეფის დადანაშაულება მისი ზნეობის გამო გადანყვიტა. უფრო ზუსტად კი, ქორწინების გამო. სიუებერ დე უამბლუს ცნობით, მეფე დაწყევლეს, რადგან მან, როცა „მისი ცოლი ცოცხალი იყო, სხვისი ცოლი შეირთო, რომლის ქმარი ასევე ცოცხალი გახლდათ". ბერნოლ დე სენ-ბლაზიანი აზუსტებს: „ეყრება რა საკუთარ ცოლს, იგი ცოლად ირთავს თავისი ვასალის მეუღლეს", და ამგვარად, სასჯელის საბაბი „ცოლქმრული ღალტია". სენ-ობენ დ'ანჟერის ანალები ამ დანაშაულს ინცესტსაც უმატებს.[1]

ეს ინფორმაცია საკმაოდ მწირია. საბედნიეროდ, მოგვიანებით, თხუთმეტიოდე წლის შემდეგ, მას ჩრდილო საფრანგეთის ეპისკოპოსი ივ შარტრელი ავსებს. საფრანგეთის მეფის ბიძაშვილებს შორის ქორწინებისთვის ხელის შასაშლელად მან სანსის არქიეპისკოპოსს გენეალოგია გადასცა, რომელიც დაქორწინებულთა ნათესაობას ამტკიცებდა.[2] ამ გენეალოგიას კარგად ვიცნობო, ამბობდა იგი. ეს ორჯერ ზედიზედ ჩემი ყურით მოვისმინე 1095 წელს პაპი ურბანის კარზეო; პირველად ოვერნელი ბერისაგან, მეორედ ანჟუს გრაფის წარგზავნილებისგანო. საუბარი მეფე ფილიპზე იყო. მას ბრალდებოდა „ანჟუს გრაფის ცოლის მოტაცება, რომელიც მისივე ბიძაშვილი იყო, და მასთან ქორწინების გარეშე ცხოვრობდა... მეფე კლერმონის საეკლესიო კრებამ ეკლესიიდან განკვეთილად გამოაცხადა სწორედ ამ ბრალდებით და ინცესტის მტკიცებულებითაც." აი, ჭკვიანი კაცის მოგონება, უტყუარი მოგონება, კაცისა, რომელსაც ამ ისტორიასთან ჰქონდა კავშირი, რომელიც მან თხუთმეტი წლის შემდეგ შემოგვინახა. უსიამოვნება კანონიერი მეუღლის სიცოცხლეში ახალი ცოლის მოყვანის გამო არ მომხდარა. ეს ბიგამია არ ყოფილა. სკანდალური ფაქტი არ იყო სხვისი კანონიერი ცოლის მითვისება. ეს არ იყო ცოლქმრული ღალატი. ეს

უბრალოდ საკუთარ ნათესავთან კავშირი გახლდათ. მაგრამ არა სისხლითნათესავ ბიძაშვილთან. იგი იყო ბიძაშვილის ცოლი, სხვათაშორის ძალიან შორეული ბიძაშვილისა: ანჟუს გრაფის პაპის მამა მეფის პაპის პაპა გახლდათ. ამ ამბის გამო კაპეტინგი ეკლესიიდან განკვეთეს, ანათემას გადასცეს. და რადგანაც მეფე არ დანებდა, „და იგი ხსენებულ ქალს დაუბრუნდა, 1099 წელს პუატიეს საეკლესიო კრებაზე კარდინალებმა იოანემ და ბენედიქტემ ის ეკლესიიდან ხელმეორედ განკვეთეს." ფილიპი I საკუთარი სულის ხსნზე დარდობდა. მას ისევე ეშინოდა ცოდვის, როგორც ყველას ამ ქვეყანაზე. იგი გაჯიუტდა. უბრალოდ მისი მორალი განსხვავდებოდა ეკლესიის რეფორმატორ კლერიკალთა იმ მორალისაგან, რომლის გავრცელებასაც ისინი დაჟინებით ცდილობდნენ. მეფე სხვაგვარად ფიქრობდა ქორწინებაზე. იგი დარწმუნებული იყო, რომ არ ცდებოდა.

ოცი წლის ფილიპი ბერტა დე ფრიზზე დაქორწინდა, მისი გერმანელი ბიძაშვილის, ფლანდრიის გრაფის გარიგებით. ბერტა იყო გრაფის ცოლის ქალიშვილი პირველი ქორწინებიდან. ამ ქორწინებით მეფე და მისი ვასალი საბოლოოდ შერიგდნენ. ცხრა წელი ბერტა უშვილო იყო. იგი გამუდმებით ლოცულობდა, რათა შვილი მისცემოდა. ბოლოს და ბოლოს გაჩნდა ვაჟი, ლუი, მომავალი ლუი VI. განდეგილ არნუს (ბერი, რომელზეც ამბობდნენ, რომ წმინდანი იყო და რომ მასთან რჩევისათვის ყოველი მხრიდან, სენ-მედარიდან სუასონამდე ოჯახური პრობლემების გადასაჭრელად ხალხი მოდიოდა) ვედრებანი უფალმა შეისმინა. არნუ ფლამანდრიელი გახლდათ და ეშინოდა, რომ მეფის ცოლი ბერნი არ ყოფილიყო, მემკვიდრე რომ ვერ გაეჩინა და ბერტა დედოფლობას არ გამოთხოვებოდა. განდეგილი მის ბედნიერებას უფალს ევედრებოდა. თუმცა მოგვიანებით, 1092 წელს, ქორწინებიდან ოცი წლის შემდეგ ბერტას მეფე მაინც გაეყარა. ქმარმა იგი მონტრეი-სურ-მერ-ის ციხესიმაგრეში მოათავსა, უფრო სწორედ, ჩაკეტა. ეს ციხესიმაგრე ბერტას მზითვი იყო, როგორც ამბობდნენ - ვნახოთ, რა მისცა ქმარმა ცოლს საქორწილო შეთანხმებით, მან ცოლს გაყრის შემდეგ კი შეპირებული ქონება დაუტოვა, მაგრამ, ამავე დროს, ოთხ კედელში გამოკეტაო. მალე მეფე, მონფორის დიდებულთა საგვარეულოს წესით, ბერტრადას დაუკავშირდა. ის, თავის მხრივ, ანჟუს გრაფზე იყო დაქორწინებული.

ნუთუ ფილიპმა ეს ქალი შეაცდინა? თუ, პირიქით, ქალმა შეაცდინა მეფე? ძალით ხომ არ შეირთო ქალი? მიიღო კი მან ქალი? იქნებ მეფეს და ქალის ქმარს, რაც უფრო სავარაუდოა, ერთმანეთის კარგად ესმოდათ? რა იყო ისეთი მეფის ქცევაში, რასაც ჩვენ სიყვარულს ვუწოდებთ? ახლავე უნდა ითქვას, და თან ხმამაღლა, რომ ჩვენ ამაზე არაფერი ვიცით და რომ არავის არასოდეს არაფერი ამაზე არ ეცოდინება. რადგანაც იმ ხალხზე, რომელიც ამ ქვეყანაში თითქმის ათასი წლის წინ ცხოვრობდა, ჩვენ თითქმის არაფერი ვიცით. რა შეხედულებები ჰქონდათ, როგორ

საუბრობდნენ, რა ტანსაცმელს ატარებდნენ; რა გრძნობები აწუხებდათ? ჩვენ მათი სახეებიც კი არ ვიცით. როგორ მიიპყრო ბერტრადამ ფილიპის ყურადღება? როგორი იყო ფილიპის ვნებები? შედარებით უფრო ადვილია ამოიცნო, რა სურვილები აწუხებდა XIV საუკუნის დასასრულს შარლ VI-ს ან მის ბიძას, ბერის ჰერცოგს. მაგრამ სამასი წლით ადრე, რა პერიოდსაც მე ვეხები, არც მხატვრობამ, არც ქანდაკებამ (რამაც კი ჩვენამდე მოაღწია), არც ერთი ქალური სილუეტი არ შემოგვინახა. მხოლოდ ღვთისმშობლის სახე - წმინდა, როგორც თეოლოგიური მტკიცება და ნიშანი. ნუთუ ეს ფეხნაღრძობი, შეფერადებული და გაჩეჩილი ჯამბაზები გვეუბნებიან რამეს, მღვდლებად რომ მსახურობდნენ, ავხორცობის სხვადასხვა გამოვლინებით, მათი სწავლების საილუსტრაციოდ რომ გამოდგებოდნენ. სამწუხაროდ, ქორწინებაზე საუბრისას იძულებული ვარ მხოლოდ ზედაპირულად შევეხო მის სოციალურ, ინსტიტუციურ მხარეს, მოვლენებსა და ჟესტებს. სულისა და სისხლის მოძრაობებზე მე მეტს ვერაფერს ვიტყვი.

ფილიპის გადაწყვეტილება სენსაციური გახლდათ. ამას მისი ხელახალი ქორწინების იმ ცნობებში ვაწყდებით, რომელიც მცირე ჩანაწერების სახით არის მოღწეული. ამას ადასტურებენ ჩრდილო საფრანგეთის საუკეთესო ქრონიკების ავტორები - კლარიუს დე სანსი, ჰუგო დე ფლავინი, სიუიბერტი. ფილიპის ქორწილი ნამდვილ, საზეიმო, აღიარებულ ქორწინებად მოიხსენიება. ბოჟანსის გამგებელი, რომელიც ამ დროს ქარტიას გასცემდა, გადაწყვეტს მის დათარიღებას არა დოკუმენტის შედგენის თარიღით, ჩვეულებისამებრ, სუვერენის მეფობით, არამედ სწორედ ამ მოვლენით: „იმ წელს, როცა ფილიპმა ცოლად ბერტრადა მოიყვანა, ფუკის, ანჟუს გრაფის ცოლი."[1] ეს მოულოდნელი ფაქტი გახლდათ. მაგრამ საყვედურის არანაირი ნიშანწყალი არ ჩანდა. ყველაფერს კარგად უნდა ჩაევლო, რომ არა რეფორმის დაჟინებული გამტარებლები. კერძოდ, შარტრის ეპისკოპოსი ივი რომ არა.

ივი ორმოცდაათი წლის ასაკში ხდება ეპისკოპოსი. საკმაო წინააღმდეგობების შემდეგ. მან იმ ერთ-ერთი სასულიერო პირის ადგილი დაიკავა, რომელიც პაპმა სამღვდელოების წმენდის დროს გადააყენა. რომის კურიის ჩარევა ადგილობრივ საქმეებში თვაზარდამცემი იყო, განსაკუთრებით სანსის არქიეპისკოპოსისათვის, რომელიც ახალი ეპისკოპოსის კურთხევას ეწინააღმდეგებოდა. ივი კაპუში ურბან II-მ აკურთხა. საუბარი იყო სამეფო უდიდებულესობის შეურაცხყოფაზე, რის შედეგადაც 1091 წელს სინოდმა თვითმარქვია გადააყენა. ივი ლეგატებზე, უწმინდეს მამაზე (პაპზე) დაყრდნობით პაპის გადაწყვეტილებათა უზენაესობას ქადაგებდა. მკაცრი შეხედულებების გამო იგი უკვე რეფორმატორთა მხარეს იხრებოდა. უსიამოვნებებმა ივი მათ მხარეს გადაიყვანა. იგი რეფორმატორებთან ერთად ძველი ყაიდის სასულიერო პირებს, მათ თანამოძმეებს დაუპირისპირდა, რომელთაც ნიკოლაიტებისა და სიმონიაკების რეპუტაცია ჰქონდათ

და თავად მეფესაც, რომელიც მათი თანამზრახველი იყო. შარტრის საეპისკოპოსო ბრძოლის ავანპოსტს წარმოადგენდა, როგორც სამეფო ეკლესიის ტრადიციული სტრუქტურების ერთი-ერთი მხარე.

ფილიპის მეორე ქორწილი ივისათვის შესანიშნავი საბაბი იყო შეტევაზე გადასასვლელად. მეფეს ამ ცერემონიალის საზეიმოდ ჩატარება სურდა. მან ყველა ეპისკოპოსი მიიწვია. შარტრის ეპისკოპოსმა კი უარყო მონვეევა და შეეცადა სხვებიც აეყოლიებინა. თავისი მტრის სანსის არქიეპისკოპოსის მოსაზრების საწინააღმდეგოდ, რომელიც თვლიდა, რომ რეიმსის არქიეპისკოპოსს ევალებოდა არა მარტო მეფედკურთხევა, არამედ მეფეთა ქორწინების დალოცვაც. ამის შესახებ ივი არქიეპისკოპოსს სწერს[4]: „მე ამ ქორწილზე არ ნავალ, წავიდოდი შენ და შენი ლოცვა-კურთხევა იქ რომ არ იყოს მოქმედი ძალა, და ასევე შენი ამომრჩევლები, მხარდამჭერები და თანამოაზრეები რომ არა." მაგრამ ყურადღებით იყავით: „საქმე იმდენად სარისკოა, რომ მას შეუძლია შენი რეპუტაცია საგრძნობლად დასცეს და სამეფო პატივს ჩრდილი მიაყენოს." ასევე „სხვა საიდუმლო მიზეზების გამოც, რომლებზედაც ამ წუთას დუმილი მმართებს, არ შემიძლია, რომ ამ ქორწინებას დავეთანხმო." არსებობს მეორე წერილიც, გაცილებით პირდაპირი, რომელიც ივმა თავად ფილიპს მისწერა[5]. „შენ მე პარიზში ვერ მნახავ შენს მეუღლესთან ერთად, რომელიც, არ ვიცი, შეძლებს კი შენი მეუღლე გახდეს?" მაგრამ ყურადღება მივაქციოთ სიტყვებს. ეს ადამიანები, შესანიშნავი ორატორები, ვირტუალურად მანევრირებდნენ სიტყვებით. ხმარობდა რა ტერმინ ცოლს ივი აღიარებდა, რომ ფილიპი და ბერტრადა უკვე ცოლ-ქმარია. მისთვის საქორწილო ცერემონია მხოლოდ და მხოლოდ დამატებითი ზეიმია. „მე არ ნამოვალ, განაგრძობს-იგი, მანამ არ მეცოდინება, რომ საერთო კრებამ შენ და შენს მეუღლეს შორის კანონიერი განქორწინება გადაწყვიტა და შესაძლებელი გახადა კანონიერი ქორწინება შენ და იმ ქალს შორის, რომლის შერთვაც გსურს." აქ ივს მიაჩნია, რომ მხოლოდ ეკლესიის მესვეურნი არიან ამ საქმეში კომპეტენტურნი, და რომ ეპისკოპოსთა ძალაუფლება საეკლესიო კრებას ექვემდებარება. გამოძიება კი ორ სხვადასხვა საკითხს შეეხება: ჰქონდა თუ არა ფილიპს პირველი ცოლთან გაყრის უფლება? ბიგამიის წინაპირობა. და მეორე, აქვს კი მას უფლება მეორე ცოლი შეირთოს? ინცესტის წინაპირობა. „კანონიერ ქორწინებას" კი არაკანონიერი თანაცხოვრება უსწრებდა წინ. განა კორექტული იყო მეფის მხრიდან უკანონო თანაცხოვრება? სწორედ ამის გამო ივი მოითხოვს უდანაშაულობის დამტკიცებას. უარყოფს რა ქორწინებაზე დასწრებას, იგი უარს არ ამბობს საკუთარ მოვალეობებზე. პირიქით, ამ ეტაპზე იგი ერთგული მრჩეველია, როცა ამ ქორწინებას სამეფო გვირგვინისათვის მავნებელ აქციად მიიჩნევს. ზნეობრივი მოვალეობების გამო პატიოსნების სადარაჯოზე მდგომმა ივმა ეს ქორწინება მონარქის სულის გადარჩენი-

სათვის დამღუპველად უნდა გამოაცხადოს. წერილი გარყვნილებაზე პატარა ქადაგებით მთავრდება, რომელიც ადამის, სამსონის და სოლომონის მაგალითებითაა გამყარებული. სამივე ქალებმა დაღუპეს.

ფილიპი უფრო შორს წავიდა. მისი ქორწინება აღინიშნა, იგი სენლის ეპისკოპოსმა აკურთხა სამეფო დომენის ყველა ეპისკოპოსის თანდასწრებით. რეიმსის არქიეპისკოპოსი თანახმა იყო ისევე, როგორც კარდინალი როუერი, პაპის ლეგატი ჩრდილოეთ საფრანგეთში. მაგრამ ივი გაჯიუტდა. იგი დოსიეს ამზადებდა „ფილიპისა და მისი ახალი მეუღლის განქორწინების თაობაზე". ეს საქმე მან პაპს გაუგზავნა (პაპისგან წერილებიც მიიღო საპასუხოდ), სამეფოს სასულიერო პირებს კი - ცირკულარი, რომელიც მათ ბერტრადას დედოფლად აღიარებას უკრძალავდა, ასევე საყვედური შეუთვალა რეიმსის არქიეპისკოპოსს, ხოლო მეფეს - გაფრთხილება. იმ შემთხვევაში, თუ იგი კავშირს არ გაწყვეტს ქალთან, როგორც მეუღლესთან, იგი ეკლესიიდან განკვეთილი იქნება. შარტრის ეპისკოპოსმა ომი არჩია. მან უარი თქვა ვასალურ მსახურებაზე, არ მობრძანდა, წესისამებრ, მხედრობის თანხლებით დიდი შეკრებაზე, რომელზეც საფრანგეთის მეფე გიომ დამპყრობლის ვაჟებს შორის ატეხილ დავას განიხილავდა. ღალატში ბრალდებული ივი გაიქცა. იგი შემდგომ მხოლოდ 1093 წლის ბოლოს პაპის ამალაში ნახეს. ამ დროისათვის სიტუაცია უკვე შეიცვალა: ბერტა კვდებოდა. ეს ბიგამია აღარ იყო. ფილიპიც, ნუ დავივიწყებთ, რომ საკუთარი სულის ხსნის ბედით იყო დაინტერესებული. მეფე მშვიდად ვეღარ ცხოვრობდა, რამდენადაც მას ცოდვის ჩადენას აბრალებდნენ. მეფემ რეიმსში დიდძალი სასულიერო პირები, ორი არქიეპისკოპოსი და რვა ეპისკოპოსი შეკრიბა. სამეფო ქორწინება ყველამ აღიარა. მეტიც, ისინი უფრო შორსაც წავიდნენ. მათ ივ შარტრელის გასამართლებაზეც კი ისაუბრეს. ოტენის საეკლესიო კრება მეფის მხრიდან ივის ერთგვარი მოგერიება იყო.

ძალიან მნიშვნელოვანია საფრანგეთის მეფის ეკლესიიდან განკვეთა. ეს მოვლენა გენერალური გეგმის ნაწილია, რომლითაც რომის კურიას რეფორმის დასაგვირგვინებლად მიაქვს იერიში. სამხრეთ გალიაში პაპის მოგზაურობა მზადდება. ჩრდილო გალიის ნაწილის დასაპყრობად კაპეტინგების მიმხრობაა საჭირო. კარგად ინფორმირებული ივ შარტრელი ამ ფაქტს ადასტურებს: რეფორმატორებს ორმაგი მხარდაჭერის იმედი უნდა ჰქონოდათ. პირველ რიგში, შესაძლოა, უფლისწულ ლუის მხრიდან, პირადად მეფის სახლიდან. 13 წლის ლუი უკვე სრულწლოვანი ხდება. მეორედ ქორწინებისას ფილიპმა თავის ვაჟს კუთვნილი ქონება გადასცა. როგორც დიდგაროვანთა ყველა მემკვიდრე, ლუიც სულსწრაფია, ერთი სული აქვს მემკვიდრეობას დაეპატრონოს. მის უკან კი არიან სუგერიუსი, მისივე ასაკის, და სენ-დენის რეფორმატორი ბერები. რეფორმატორთა მეორე დასაყრდენი უფრო მყარია, ეს არის ანჟუ. ანჟუ დიდი კოზირია მათ ხელში.

აქამდე საუბარი არ ყოფილა ბერტრადას ქმარზე, გრაფ ფუკ რე-შენზე. სხვათაშორის, არც ბერტრადაზე. ძირითადი განხილვის საგანი, განსაკითხი და განსასჯელი მხოლოდ ერთი კაცის, ფილიპის საქციე-ლია. არც ბერტრადაა ნაკლებ მოღალატე, მაგრამ მისი შემთხვევა სახ-ალხო სამართალს არ მიეკუთვნება. სნორედ მისმა ყოფილმა ქმარმა, თუ მას ეს სურს, უნდა იძიოს შური. ფუკს არაფერი გაუკეთებია, არც სხვა ქალები უძებნია. თუმცა იგი პაპის ხელში იყო. 30 წლის წინ პაპის ერთმა ლეგატმა მას „წმინდა პეტრეს სახელით" - სამფლობელო გადას-ცა და ამით მემკვიდრეობა ჩამოართვა გრაფის უფროს ძმას, რომელ-საც წმინდა ეკლესიაზე თავდასხმაში ედებოდა ბრალი. საკვირველია, რომის ეკლესიის ეს საქველმოქმედო ჟესტი ერთი ფრანგული საგრაფოს მიმართ. საოცარია, მაგრამ ამის ახსნა შეიძლება. 1067 წელს მეფე ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდაა. ეს არის კაპეტინგების უკიდურესი სისუს-ტის ეპოქა. ფუკმა ფილიპის დუმილი გატინეს გადაცემით შეისყდა. ამ-იერიდან ანჟუში ერთგვარი სამოციქულო ძალაუფლება ვრცელდება. გრაფიც ამ საქმის მოკავშირე იყო. ეს მჭიდრო კავშირი იმით აიხსნება, რომ ფუკიც ეკლესიიდან განკვეთილია და არა უმიზეზოდ. მან საკუ-თარი ძმა დაატყვევა და მის გათავისუფლებაზე უარი თქვა, ვიწრო საპყ-რობილეში იმდენი ხნით დაამწყვდია, რომ ეს უკანასკნელი შეიშალა. 1094 წლის ივნისში, ოტენის საეკლესიო კრებამდე რამდენიმე თვით ადრე,მაშინ, როცა რეიმსში საეკლესიო კრება მიმდინარეობდა, პაპის ლეგატი ჰუგო დე დი თავად მიდის სომურში გრაფის ეკლესიიდან განკვე-თის გასაუქმებლად. დარწმუნდება რა, რომ მისი ძმა ნამდვილად გიჟია, პაპის ლეგატი ფუკს შემოირიგებს, გრაფს მისი საგრაფოს ხელშეუხე-ბლობაში დაარწმუნებს, მაგრამ ამავდროულად მისგან მოითხოვს, რომ „პაპის ლეგატების კრების გარეშე ხელახლა არ დაქორწინდეს[7]." იგი, რა თქმა უნდა, დაშვებული პოლიგამიის საზღვრებს გასცდა. ხელახალი ქორწინების აკრძალვით, გრაფის კანონიერი მეუღლის, ბერტრადას დაბრუნების შანსს იტოვებდნენ.

ჰუგო დე დისთვის შესაძლებელი გახდა საქმის განახლება, რასაც ბერტას სიკვდილი ხელს უწყობდა. მორჩილი ფუკიც იმას აკეთებდა, რასაც მისგან მოელოდნენ - იგი დუმდა. 1095 წლის 2 ივნისს სენ-სერუ დ'ანჟერისთვის წყალობის გაცემის ამსხველ ქარტიას ფუკი ათარიღე-ბინებს იმ „დროით, როდესაც საფრანგეთი უღირსი მეფე ფილიპი გარყვ-ნილებამ მოიცვა[8]." ნოემბერში ინცესტის ბრალდების დასამტკიცებლად იგი კლერმონში მისი საფრანგეთის მეფესთან ნათესაობის დამამტკი-ცებელ საბუთს აგზავნის. ზამთარში ურბან II, თავისი მოგზაურობის დროს, კაპეტინგის გავლენის ქვეშ მოქცეულ მიწებს აღრიცხავს და ბოლოს ანჟუში ჩადის. ანჟერში ის ხელმძღვანელობს სენ-ნიკოლას ეკ-ლესიის კურთხევას, სადაც გრაფის მამაა განსვენებული. 23 მარტს იგი თავს აკურთხებინებს ტურში და პროცესიის დროს სენ-მარტენში,

რომელსაც თავად უძღვება, ოქროს ვარდს გადასცემს ფუკს. ეს ჟესტი ფუკუსთვის ინვესტიტურის მინიჭების ნიშანი უნდა ყოფილიყო. ამგვარად, ანჟუს გრაფი მაშინ, როდესაც ჯვაროსანთა რაზმები ჩამოყალიბებას იწყებს, წიგნიერი ლათინურით საინტერესო ტექსტს კარნახობს, რათა თავისი მემკვიდრეობითი უფლებები დაამტკიცოს[9]. აქ იგი საზოგადოებას ახსენებს, რომ მისმა წინაპარმა საგრაფო საფრანგეთის მეფისგან მიიღო, მაგრამ კაროლინგი მეფისაგან, „რომელიც არ იყო ფილიპი უღმერთოს გვარისა." ფილიპის უღმერთოება, მეფის უზნეობა, რომელიც მთელს სამეფოზე ვრცელდებოდა და ქვეყნის სხეულზე ჭრილობებს ამრავლებდა, ფუკს ვასალური კავშირების გაეწყვიტისა და ანჟუს რომის ეკლესიის მფარველობაში გადაცემის საბაბს აძლევდა. პაპის კურიის ტაქტიკა ნათელია: ბერტრადას პირველ ქმარს ეკლესიიდან განკვეთის სასჯელი უნდა მოხსნას, რათა იგივე სასჯელი მის მეორე მეუღლეზე გაავრცელოს. ტურიდან რეიმსის და სანსის არქიეპისკოპოსებთან პაპის წერილები გაიგზავნა, სადაც იგი სასულიერო პირებს ადანაშაულებდა, რომ მათ მეფესთან ურთიერთობა შეინარჩუნეს და გაბედეს გამოეხსნათ ფილიპი ანათემიდან ისე, რომ მას კავშირი არ გაუწყვიტავს „იმ ქალთან, ვისთვისაც იგი ეკლესიიდან განვკვეთეთ[10]." ყველა შენიშვნა, აღშფოთება, თავშეუკავებელი ლანძღვა მთელი თავისი სისრულით საგულისხმოა მაშინ, როცა სნორი მისამართით არის მიმართული ეპოქის მთავარი პოლიტიკური მოვლენების კონტექსტში. ეს ხელჩართული ბრძოლაა, რომელსაც სასულიერო ხელისუფლება საეროზე გასაბატონებლად აწარმოებს.

ფილიპი ბერდებოდა. ასეთი ცხოვრება უჭირდა. 1096 წელს მან უკვე დათმობაზე წასელა, „გარყვნილებაზე უარის თქმა" გადაწყვიტა. ურბან II-მ მეფეს მალე ბოდიშიც მოუხადა. მაგრამ, როგორც გაირკვა, ბერტრადა სამეფო საძინებლიდან არ გამოსულა. მონდომებულმა კარდინალებმა 1099 წელს პუატიეში ეპისკოპოსები ააბუნტეს. ისინი ანათემას აახლებდნენ. ამიტომ პუატიეს გრაფი, აკვიტანიის ჰერცოგი - გიომი (სასიყვარულო სიმღერების ცნობილი გიომი), ანჟუელების მტერი და მეფის ვასალი, სასწრაფოდ დაითხოვს იმ კრებას, რომელიც მისი სენიორის ღირსებას შელახვას დაემუქრა. სხვა საბუთის მიხედვით კი, უმრავლესობისათვის ფილიპი ასეთი დამნაშავე არ ჩანდა. წლების შემდეგაც ეს საკითხი დღის წესრიგში იდგა. თუმცა კაპეტინგი აღარ იყო ისეთი ძლიერი მონინააღმდეგე, რომელიც უცილობლად უნდა დაესუსტებინათ. სამეფოში ინვესტიტურისათვის ბრძოლა სუსტდებოდა. ივ შარტრელი მშვიდობის აღდგენაზე მუშაობდა. 1105 წელს სანსის და ტურის არქიეპისკოპოსები, შარტრის, ორლეანის, პარიზის, ნუაიონის, სანლისის ეპისკოპოსები პარიზში სწორედ იქ შეიკრიბნენ, სადაც ის ავადსახსენებელი ქორწილი აღინიშნა. პაპის წერილები წაიკითხეს (აქ უნდა ვაღიაროთ პაპობის უზენაესი ხელისუფლება). პარიზის და ორ-

ლეანის ეპისკოპოსებმა ფილიპს ჰკითხეს, იყო თუ არა იგი მზად „უარი ეთქვა ხორციელ ცოდვაზე." სენ-დენის, სენ-ჟერმენ-დე-პრეს, სენ-მაგლუარის და ეტამპის აბატების წინაშე მეფე, მონანიეს სამოსში გამოწყობილი, ფეხშიშველი, ფიცს დებდა: „მე ამ ქალთან აღარ მექნება ურთიერთობა, არც საუბარი, გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევისა, როდესაც ამგვარ შეხვედრას დაუინტერესებელი პირები დაესწრებიან," ბერტრადაც იგივე ვალდებულებებს იღებს. ანათემა თავისთავად მოიხსნა. ვინ შეიძლება მოტყუებულიყო? მეუღლეები განაგრძობდნენ ერთად ცხოვრებას. ისინი ანჟერში ნახეს 1106 წელს. გრაფ ფუკს გულთბილად მიუღია ცოლ-ქმარი.

ეს მოვლენა მოგონებად დარჩა. ნახევარი საუკუნის შემდეგ, 1138 და 1144 წლებს შორის, სუგერიუსი ლუი VI-ის ბიოგრაფიას წერდა. ეს იყო აპოლოგია, რომელიც ჯეროვნად უნდა აღბეჭდილიყო ფრანგების კოლექტიურ მეხსიერებაში. მოგონებებში ლუი VI-ს „უბრალო ხალხის მამად", კეთილ მეფედ მიიჩნევენ, რომელიც ორი უღიმღამო მეფის, მის ვაჟ - ლუი VII-სა და მამამის - ფილიპი I-ს შორის მეფობდა, ორივენი ცოდვილები იყვნენ ქალების გამო. სუგერიუსმა თავისი ძველი მეგობრის პრესტიჟის აღდგენისათვის, მისი მამის, ფილიპის ფრთხილი დისკრედიტაცია მოახდინა - რომელსაც სენ-დენიზე ძლიერი გავლენა არ ჰქონია და ამიტომაც სენ-ბენუა-სურ-ლუარაზე დაკრძალვა არჩია. ამ მოვლენას აბატი შემდეგნაირად ხსნის. ფილიპი ამ პატივს თავისი სამარცხვინო საქციელის, ეპიტემიის გამო იყო მოკლებული[11]. მეფის მეორედ ქორწინებაზე იგი თითქმის არაფერს ამბობს. მაგრამ სუგერიუსი აშკარად გამოარჩევს ლუის მისი ორი ძმისაგან, როგორც „დიდგვაროვანი მეუღლისაგან" შობილს. ამ ორ ძმას იგი არ მიიჩნევს ნამდვილ მემკვიდრეებად, სულაც არ აძლევს დედოფლის ტიტულს მათ დედას, „ანჟუს გრაფის მეუღლეს, გარემოებათა გამო ცოლის პარალელურად შერთულს".

ამ დროს დიდ ისტორიას ანგლო-ნორმანები ქმნიან. მაშასადამე, ანტიკაპეტინგები. გიომ დე მალმესბური ფილიპი I-ს სურვილების, საკუთარი თავის სიამოვნებაზე აყოლილ პიროვნებად გვიჩვენებს. მეფემ, ამბობს-იგი, პირველი მეუღლე გააგდო, რადგანაც ეს უკანასკნელი „ძალიან გასუქდა". ბერტრადამ, გარყვნილმა, მოღალატე მეუღლემ, ამბიციურმა პიროვნებამ მეფე შეაცდინა. მეფეც მას ვნებით მიენდო, „ცეცხლით" და ცნობილი გამოთქმა დაივიწყა: „სიყვარული და სამეფო დიდებულება ვერ თანაცხოვრობს, ერთად ვერ თავსდება[12]." მამაკაცურ ვნებას აყოლილმა საფრანგეთის მეფემ სურვილი ვერ მოთოკა და ამგვარ ქცევას განაგრძობდა. ორდერიკო ვიტალი კი უფრო მკაცრია ბერტრადას მიმართ, როცა მას გარყვნილ და არასაიმედო ძალად წარმოსახავს. მან საკუთარ ანკესზე წამოაგო საფრანგეთის მეფე: „ამგვარად ყოჩაღმა საყვარელმა მიატოვა მოღალატე გრაფი და დაუკავშირდა გარყვნილ მეფეს, ამ უკანასკნელის გარდაცვალებამდე." ფილიპი არ

ყოფილა ახალი დავითი, მაცდუნებელი, როგორც ეს მეფეებს შეეძლოთ ყოფილიყვნენ. იგი ახალი ადამი იყო, ახალი სამსონი, ახალი სოლომონი: „შეცდენილი", როგორებიც შეიძლება იყვნენ ქალები, მაგრამ არა მამაკაცები, მეფე გარყვნილებაში ჩაეფლო. ყრუ ეპისკოპოსთა შეგონებათა მიმართ, „საკუთარ დანაშაულში ჩაფლული", „მყარი თავის უსაქციელობაში", „იგი ოჯახურმა ღალატმა იმსხვერპლა": მეფე კბილების ტკივილით გამწარებული გარდაიცვალა[13]. ქრონიკების ტურინელი ავტორები, რომლებიც ფრანკულ ტრადიციებზე იყვნენ აღზრდილნი, მეფეს უბრალოდ უხერხემლოდ მიიჩნევდნენ. ამბუაზის სენიორთა ქრონიკა ფილიპს აქტიურ მამაკაცად გვიხასიათებს. რა თქმა უნდა, „გარყვნილს", „ავხორცს", მაგრამ მაცდურს, იგი თავბრუს ახვევს ბერტრადას, რომელიც ბოლოს ღამით მოიტაცა. იგი გამტაცებელია[14]. ყველა ისტორიკოსი მეფე ფილიპს ასე წარმოგვიდგენს: მოწიფული მამაკაცი, ავხორცი, ვნებებს აყოლილი.

ჩვენ ხომ მხოლოდ გამოძახილი გვესმის. ყველა ბრალდება, რომელთა ექოც ჩვენამდე ჩანანერების სახით აღწევს, მღვდლებისა და ბერებისაგან მოდის. ამ დროისთვის ეკლესია უზარმაზარი მონოპოლისტი იყო. მხოლოდ მას შეეძლო მაღალი კულტურის ნიმუშების შექმნა, რომელიც დროის გამოცდას გაუძლებდა. მე დავამატებდი, რომ ეს მღვდლები, ბერები, არა მარტო უბრალოდ ინფორმაციის მიმწოდებლები იყვნენ, არამედ სამეცნიერო, სასწავლო, საეკლესიო კრიტერიუმით, განათლებულნი განათლებულთა შორის, მოკლედ, საუკეთესონი. გარდა ამისა, მათ მიერ შემონახული (ასეე გადაწერილი) დოკუმენტები კეთილ ზრახვებს ემსახურებოდა. სწორედ ეკლესიის მსახურთა მიერ სათუთად შენახული საბუთებიდან ვიცით, თუ რას ფიქრობდა შარტრის ეპისკოპოსი. მაგრამ ჩვენ არ ვიცით, თუ რას ფიქრობდა მისი თანამოძმე სანლისიდან, რომელმაც მეფის მეორე ქორწინება დალოცა. მხოლოდ ის ვიცი, რომ ვარასოდეს ვნახავ იმას, რაც მაინტერესებს. მხოლოდ მღვდლების თვალით დანახულ მეომართა აზროვნებისა და ცხოვრების სტილზე მიმიწვდება ხელი; მღვდლების, ყველაზე დიდი კონფორმისტი ადამიანების, რომლებიც ეკლესიამ წმინდანებად აქცია. მაგალითად, წმინდა ივ შარტრელი. იყვნენ კი ისინი იმდენად მრავალრიცხოვანნი, რომ ასეთ ხალხს, საერთო პრინციპებიდან გამომდინარე, მეფის შეუფერებელი, ცოდვილი საქციელი განესაჯათ და იგი მისი სულისათვის, მისი სხეულისათვის, მთელი სამეფოსათვის დამღუპველად მიეჩნიათ? არ უნდა დავივიწყოთ, რომ რიგორისტთა ბრალდებები არ შეეხებოდა იმ უსირცხვილობას, რომელიც ზოგადად კაცსა და ქალს შორის არსებობდა - არამედ უფრო მეტად მეფის სექსუალურ შეცოდებებს, რადგანაც საქმე ფილიპს შეეხებოდა. საქმე ის იყო, რომ ჩამოყალიბდა წყვილი, რომლებიც თავს მეუღლეებს უწოდებდნენ. ეს ფაქტი, რომელიც ზოგიერთმა მიიღო და ზოგიერთმა - არა, ყველასგან ქორ-

წინებად აღიქმებოდა. ბრალდება ისეთი მძიმეც არ იქნებოდა, რომ საზეიმო, ოფიციალურ კავშირად არ გამოეცხადებინათ, რომელიც მიღებული წესების დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, სახალხოდ უნდა აღკვეთილიყო. აქედან გამომდინარე, ეს წყაროები, საკმაოდ ცალმხრივია: იგი მხოლოდ რიგორისტული ეკლესიის „კანონიერი ქორწინების" ძალიან ზუსტს მოთხოვნებს აგვიწერს.

ამავე დროს იმ პერიოდსა და იმ რეგიონში ამგვარი მოთხოვნები სასულიერო პირთა უმეტესობას არ ჰქონია. პარიზში მეფის ხელმეორედ დაქორწინების კურთხევის შეკრებაზე თავი მოიყარეს ეპისკოპოსებმა, ყველა ეპისკოპოსმა გარდა ერთისა, და ძნელია დაიჯერო, რომ ისინი მხოლოდ ავანტურისტები, მლიქვნელები თუ გამყიდველები იყვნენ, რომლებიც რიტუალებს უერთდებოდნენ და ძალიან კმაყოფილნი გახლდნენ მათთან ზიარებით. ის მცირერიცხოვანი შემთხვევებიც გავითვალისწინოთ, როდესაც ისინი, პაპის მუქარისა და საყვედურის მიუხედავად, მაინც აუქმებდნენ ეკლესიიდან განკვეთის განაჩენს. სასულიეროთა მორალი მსგავსი სულაც არ ყოფილა. ფილიპისა და ბერტრადას ნებისმიერ შემთხვევაში გაყრას ყველა როდი მოითხოვდა. ჩვენ თითქმის არაფერი ვიცით, თუ რას ფიქრობდნენ ამ საკითხზე დიდებულები. შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ მათი ინტერესები უშუალოდ არ იყო ჩართული ამ რთულ საქმეში? ეს რომ ასე არ იყო, რეფორმატორი კარდინალებისადმი გიომ აკვიტანელის დამოკიდებულებიდანაც ჩანს, რომელმაც ისინი თავისი ქალაქიდან განდევნა; ამის დასტურია ფუკ ანჟუელიც, რომელიც უკვე დიდი ხანია აღარ იყო პაპის ინტრიგების ბრმა იარაღი. რაც შეეხება თავად დაინტერესებულ პირს, ფილიპ I-ს, რომელსაც სამღვდელოება „უღმერთოდ" ან უბრალოდ სამღვდელოების მიმართ უყურადღებო პიროვნებად მიიჩნევდა, მას ერთი ნაბიჯითაც არ ტოვებდა, ისე ასამართლებდა, რომ ანგარიშს არ უწევდა ფილიპის სამეფო „დიდებულებას" იმ ომში, რომელსაც იგი ურჩი ფეოდალების, მისი კონკურენტების წინააღმდეგ ყოველდღიურად ეწეოდა? ამრიგად, მეფე თორმეტი წელი უწევდა წინააღმდეგობას კლერიკალებს. გარეგნული იერსახის შესანარჩუნებლად, მას არასოდეს მიუტოვებია თავისი ცოლი - მისი მეუღლე და არა მისი საყვარელი. განა ეს იმას არ ნიშნავს, რომ თავად მეფე სხვაგვარ პრინციპებს სცემდა პატივს, ივ შარტრელის პრინციპებისაგან განსხვავებულს, რომლის სიმკაცრეც არაფრით ნაკლები არ ყოფილა?

მე არ ვამბობ, რომ სიყვარულს ანგარიში არ უნდა გაუწიო. მე ვთვლი, რომ ფილიპი მოხუცებულობის ვნებას არ აჰყვა მაშინ, როდესაც პირველ ცოლს გაეყარა, სხვა შეირთო და შეინარჩუნა - ამით ზნეობრივი საქციელი ჩაიდინა. ეს იყო არისტოკრატული მორალი. იგი თავს ვალდებულად გრძნობდა თავისი მამულის წინაშე, ასევე „დომენის", სენიორთა და მათ წინაპრთა წინაშე, აგრეთვე „გვირგვინის" წინაშე, რომელიც

ამ მემკვიდრეობის ნაწილი იყო, მაგრამ უპირველეს ყოვლისა საკუთარი გვარის სადიდებლად. ის კაპიტალი, რომელიც მან მამამისისგან მიიღო, ფილიპს თავისი კანონიერი ვაჟისთვის უნდა გადაეცა. 1092 წელს მეფის ვაჟი მხოლოდ თორმეტი წლის იყო, მაგრამ უფლისწულს ძალიან სუსტი ჯანმრთელობა ჰქონდა. ეს უკანასკნელი ძალიან ნაზი იყო. ეს ჩვენ სუგერიუსისგან ვიცით. ლუი VI-ის ბიოგრაფიაში იგი მოგვითხრობს, რომ გიომ წითური, ინგლისის მეფე, „საფრანგეთის სამეფო ტახტს მიესწრაფოდა, იმ შემთხვევაში, ტახტის ერთადერთი მემკვიდრე რომ გარდაცვლილიყო[15].“ ფილიპი ბერტასგან შვილებს ვეღარ დაელოდებოდა. მასთან გაყრისთვის ხელსაყრელი დრო დადგა. ოცი წლის წინ ბერტა მას ფლანდრიის გრაფმა რობერ დე ფრიზონმა გაურიგა. გრაფი სენ-ბერტენის მონასტერში უკვე სიკვდილს ელოდა. „სიძულვილი[16]“, რომელიც გაყრასთან დაკავშირებით რობერ დე ფრიზონისგან იყო მოსალოდნელი, ამ დროისათვის ნაკლებად საშიში გახლდათ. მართლაც, ასე არ გაგრძელებულა. ფილიპმა ბერტრადა შეირთო. ეს შესანიშნავი არჩევანი იყო. კაპეტინგების მონარქიის უკიდურესი დასუსტების პერიოდში სასწრაფო ამოცანა სამეფოს კონსოლიდაცია გახლდათ. მეფე პარიზიდან და ორლეანიდან ასე თუ ისე მართავდა ქვეყანას. მნიშვნელოვანი აღარ იყო მეფის მხრიდან ბრნყინვალე კავშირების დამყარება სამეფო წარმოშობის ოჯახებთან. ილ-დე-ფრანსის ციხესიმაგრის გარშემო გამაგრებულ ამაოხრებელ თავდამსხმელთა პოლიტიკური ფორმირებები საგრძნობლად შემცირდა. ყველაზე დიდი მუქარა ნორმანდიიდან მოდიოდა, რომლის მთავარი ციხესიმაგრის - მონფორტის მფლობელი ამორი, ბერტრადის ძმა იყო. ეს ქალი კი თავად დედის მხრიდან ნორმნდიის პრინცების, რიჩარდ I-ის, „მეკობრეთა გრაფის“ შთამომავალი გახლდათ. ბერტრადა ბერნი არ იყო, ამას ისიც ადასტურებდა, რომ მას ვაჟები ჰყავდა ანჟუს გრაფისაგან. ფილიპს მან სამი შვილი გაუჩინა, აქედან ორი ვაჟი. ასევე აუცილებელი იყო, რომ ეს ორი ვაჟი კანონიერი ყოფილიყო. საგვარეულოს ბედი მეფის თანამეცხედრის სტატუსზე გახლდათ დამოკიდებული. თუ ეს უბრალო საყვარლობა იყო, მაშინ ეს ბიჭები უკანონოდშობილნი იყვნენ და მთელი იმედები ახლა კაპეტინგების მოწინააღმდეგეების ხელში, გიომ წითურზე გადადიოდა, რომელიც, სუგერიუსის მიხედვით, „არაფრად აგდებდა ბერტრადას ვაჟების კანონიერ მემკვიდრეობას.“ მაგარამ თუ მეორე ქორწინება კანონიერად ჩაითვლებოდა, უპატრონო ქონების დაკრგვის საფრთხე აღარ იქნებოდა. გასაგებია, რომ ფილიპს შეეძლო ბერტრადასთან თავისი სურვილის მარტივად დაკმაყოფილება, მაგრამ მან ბრნყინვალე, საზეიმო ქორწილი გადაიხადა. მეფემ უარყო, თუნდაც გარეგნულად გადაემალა თავისი უმცროსი შვილების დედა მანამ, სანამ მისი უფროსი ვაჟი არ დაამტკიცებდა, რომ ჯერ იგი კიდევ ფიზიკურად ძლიერი იყო. შეიძლება ვნებამაც შეანარჩუნებინა ეს ქალი. აშკარაა, რომ მისი მოვალეობა, მისი დიდე-

ბულება, ყველაფრის მიუხედავად, ავალებდა, დაეცვა ბერტრადა. როგორ წარმოვიდგინოთ, რომ ეს ორმოცდაათიოდე წლის მამაკაცი, სასიკვდილო ასაკისა, იმ პერიოდში, რომელზეც მე ვსაუბრობ, როგორც საფრანგეთის ყველა მეფე გამონაკლისის გარეშე, ჯოჯოხეთს არ უშინდებოდა? იგი ხომ ხორციელ ნეტარებას სიამოვნებით მიენდო და ესლა უნდოდა, რომ სასულიერო პირებს ოფიციალურად შეენდოთ მისთვის. იგი საკუთარ თავს არ განიკითხავდა, არც ხალხს მიაჩნდა მეფე დამნაშავედ.

მოვლენა, რომელიც ძველ ისტორიკოსთა მანერით ახლახანს გიამბეთ, თავისთავად არ მაინტერესებს. მე მას იმისათვის ვიყენებ, რასაც ის წარმოაჩენს - ამბის გამოსაკვლევად. ამ ხმაურმა ბნელიდან გამოიყვანა ის, რაც მანამდე დაფარული იყო. ეს მოვლენა სიღრმეებს შეეხო. ამ თემაზე საუბრისას უჩვეულოც ბევრი შეგვხვდა. ყოველივე ეს ჩვეულებრივი ცხოვრებისეული მოვლენების გვერდის ავლით ავღწერეთ, მემატიანემაც ვერ შეძლო ამაზე საუბარი. ჩემი ნაამბობი - ეს კრიტიკული თხრობა - საშუალებას მაძლევს ჩემთვის მნიშვნელოვანი კითხვა დავსვა: როგორ ქორწინდებოდნენ რვა თუ ცხრა საუკუნის წინათ ქრისტიანულ ევროპაში?

მე ვიკვლევ სხვადასხვა რაკურსით. როგორ ფუნქციონირებდა საზოგადოება, რომელსაც ფეოდალურს უწოდებდნენ.?ამას კი ბუნებრივად ქორწინების ინსტიტუტამდე მივყავარ, რამდენადაც მას გადამწყვეტი როლი ენიჭება საზოგადოების სოციალურ ფორმირებაში, განსაკუთრებით კი იმ ეპოქაში, რომელსაც მე ვიკვლევ. ქორწინების ინსტიტუტით, ალიანსის ნესებით და იმ თვისებებით, რომელიც მათ მოაქვთ, ადამიანთა საზოგადოებებია დაღდასმული, მათ შორის ისეთებიც, რომლებსაც სურთ, ყველაზე უფრო თავისუფალნი იყვნენ ან ამ თავისუფლების ილუზია გააჩნიათ. ქორწინების რიტუალი ქალებს მამაკაცებისგან გამოარჩევდა, ხოლო მათ მოსაპოვებლად მასკულინური შეჯიბრი იმართებოდა, რათა ოფიციალური სახე მიეცა, სოცილური გაეხადა გამრავლება, შობა. ქორწინება მშობლებს აკავშირებს, ერთ ნათესაობას (მამის ხაზით) მეორე ნათესაურ კავშირს (დედის ხაზით) უმატებს. იგი კანონიერ კავშირებს გამოარჩევს და ამგვარი კავშირებისგან შობილ ბავშვებს მემკვიდრეების სტატუსს ანუ წინაპრის სახელს, უფლებებს ანიჭებს. ქორწინება ნათესაურ კავშირებს ამკვიდრებს, იგი მთელს საზოგადოებას აფუძნებს. ის სოცილაური შენობის თაღის გასაღებს ქმნის. მაშ, როგორ უნდა გავერკვე ფეოდალურ სისტემაში, თუ ნათლად არ მესმის ის ნორმები, რომელთა მიხედვითაც, რაინდი ცოლს ირთავდა?

ნათელი, ღია, სახალხო, ცერემონიალური, ჟესტებითა და გამონათქვამებით სავსე ქორწინება ღირებულებათა სისტემაში მატერიალურისა და სულიერის შემაერთებლად გვევლინება. ქონების თაობიდან თაობა-

ზე გადაცემა სწორედ მისი შემწეობით რეგულირდება. აქედან გამომდინარე, ქორწინება მხარს უჭერს „ინფრასტრუქტურების" განვითარებას. იგი კრავს საზოგადოებას და ასევე განსხვავებულია საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ ფენაში. მდაბიონი, რომელთაც საკუთარი მამული არ გააჩნიათ, ბუნებრივია, წყვილდებიან, მაგრამ არ ქორწინდებიან. რამდენადაც ქორწინება სექსუალურ აქტივობას მოითხოვს (უფრო სწორედ სექსუალურობის განვითარებას), მას მისტიურ, ბნელი სასიცოცხლო ძალების, ვნებათა ანუ საკრალურ სამყაროში გადავყავართ. კანონთა სისტემა, რომელიც ამ ვნებებს მართავს ორი სხვადასხვა კანონიდან მომდინარეობს, საერო და, ასე ვთქვათ, რელიგიური. რეგულირების ეს ორი სისტემაა, ერთი მეორეს აზუსტებს, და ერთი მეორეს ეყრდნობა. მაგრამ არის მომენტები, როდესაც ისინი ვერ თანხმდებიან. ეს დროებითი შეუთანხმებლობა ქორწინებას განვითარების ბიძგს აძლევს, ახალი წონასწორობის აღდგენისათვის ავითარებს.

ფილიპი I-ის ისტორია გვასწავლის, რომ 1110 წლისათვის ქორწინების ორი კონცეფცია ლათინურ საქრისტიანოში მკვეთრად დაუპირისპირდა ერთმანეთს. ამ დროს მთელი სიმძაფრით ჩნდება კონფლიქტი, რომლის მიზანი გარკვეული ჩვევების ჩამოყალიბებაა, რომელიც დღემდე არსებობს, თუმცა გარკვეულ ცვლილებებს განიცდის. მეფე ფილიპის დროს ქორწინების სტრუქტურა გაჭირვებით ყალიბდებოდა. მე ვცდილობ გავერკვე, როგორ, რატომ ხდებოდა ასე. ეს კრიზისი სოციალურ ურთიერთობებს ცვლიდა როგორც რეალობაში, ასევე წარმოსახვაში. ჩემი კვლევა იმ მოვლენებს შეეხება, რასაც მე სამი „წოდების" ირგვლივ ვამუშავებდი, საზოგადოების სამ მოქმედ კატეგორიაზე საუბრისას, ამიტომ ამ თემას მე იმავე კონტექსტში, XI—XII საუკუნეების ჩრდილოეთ საფრანგეთის მაგალითზე განვიხილავ. ამჯერად მე შევზღუდე ჩემი კვლევის არეალი „მაღალი" საზოგადოების, მეფეთა, უფლისწულთა, რაინდთა სამყაროთი. სავარაუდოა, რომ სოფლისა და ქალაქის მკვიდრთა ქცევები და რიტუალები ერთმანეთს არ ჰგავს. მაგრამ ისტორიული შრომის პირობები მაიძულებს შევზღუდო მოქმედების არეალი.

ჩემი შესწავლის ობიექტი - ქორწინების პრაქტიკა - სამი ძირითადი მიზეზის გამო, ძალიან ძნელად ჩამოსაყალიბებელია. ჯერ ერთი იმიტომ, რომ წერის დახვეწილი მანერა ანგარიშს უწევდა დროის მოთხოვნებს, რომელიც თავისებური იყო. იგი ძირითადად რიტუალებს, ნესებს აფიქსირებდა, მორალურ პრინციპებს გამოხატავდა. მე წილად მხვდა მხოლოდ ზედაპირი, იდეოლოგიური ჯავშანის ყველაზე ძლიერი ნანილი, რომელიც ამართლებს იმ მოქმედებებს, რომლის მიღმაც დამალული ქმედებები მოჩანს. მეორე წინააღმდეგობა - თანამედროვეთა მოგონებანი, რომელსაც მე ვეყრდნობი, როგორც ვთქვი, ეკლესიის მესვეურებს ეკუთვნის. ესენი არიან ადამიანები, მამაკაცები, დაუქორ-

წინებლები, რომლებიც საკუთარი მდგომარეობის გამო, ზიზღს გამოხატავენ სექსუალობის და განსაკუთრებით ქალის მიმართ. მათ არა აქვთ ქორწინების არავითარი გამოცდილება. ისინი ისეთ თეორიას გვთავაზობენ, რომელიც მათთვის სასურველ ძალაუფლებას აძლიერებს. მათ მიერ შექმნილი ისტორიები ზუსტად არ გადმოგვცემს სიყვარულს, ცოლქმრობის პრაქტიკას, და არც იმ სხვაგვარ მორალს, რომელსაც საერო პირები მისდევდნენ. უფრო სწორედ, სასულიერო პირები მას თავისებურად წარმოგვიდგენენ. საუბრობენ რა ამორალობაზე, ამით მის არსებობას უარყოფენ. უნდა ვაღიარო: მატრიმონიალური ჩვევები საზოგადოებიდან იღებს სათავეს, უფრო ხშირად ბრძოლით, ბრალდებებისა და ნოტაციების საშუალებით ცვლის ჩვეულს. საბედნიეროდ X-XIII საუკუნეების ტექსტები, რომლებიც მე ინფორმაციას მანვდის, ნელ-ნელა მრავლდება და ბევრად მეტყველი ხდება. კულტურა უფრო საერო ხდება, ყოველთვის უფრო მეტს ფილტრავს ნაფიქრიდან, იმისაგანაც, რაც რაინდობის ისტორიას შეეხება. ჩემს კვლევაში მე ქრონოლოგიურ ძაფს გავყვები, რაც დააზუსტებს, შეაფერადებს სურათს. იმედი არ მაქვს, რომ მშრალი ფაქტების მიღმა გასართობ, ანეკდოტური ისტორიებზე მეტ რამეს გამოვაველენ. მესამე, უკანასკნელი წინააღმდეგობა ანაქრონიზმის საფრთხეა. ამ არაზუსტი ფაქტების ინტერპრეტირებისას ფრთხილად უნდა ვიყო, რომ წარსულის სიცარიელე (აწმყოდან გამომდინარე) საკუთარი ფანტაზიებით არ შევავსო. ის ხალხი, რომელთა ჩვეულებებსაც მე ვიკვლევ ჩემი წინაპრები არიან და ქცევის ის მოდელები, რომელსაც მე თვალს ვადევნებ, ჩემამდე ბევრად ადრე გამოიყენებოდა. ქორწინების თემა ჩემთვის ძალზე ახლობელია და ამდენად, სულაც არ ვარ დარწმუნებული, რომ შევძლებ თანამედროვე იდეოლოგიურ სისტემას მოვწყდე. უნდა მოვინდომო. ნუთუ ამ საკითხით გატაცებული არ ვარ? თავს ძალა უნდა დავატანო, რათა ეპოქებს შორის არსებული განსხვავებები გამოვაველინო, არაფერი არ ავრიო ჩემსა და ჩემი შესწავლის ობიექტს შორის. ათასნლეული მაშორებს იმ ეპოქას, ეს დიდი დროა, რომელიც ბურუსში ახვევს თითქმის ყველაფერს, რისი დანახვაც მსურს.

თავი II

მღვდლთა და მეუმაართა მორალი

ვინაიდან ყველაფერს მღვდლების თვალით ვუყურებ, სასურველია, ეკრანზე ქორწინების ინსტიტუტის საეკლესიო კონცეფციის სურათი გვეჩვენებინა. ერთი შეხედვით ეს სურათი კომპლექსურია. მთელს ეკლესიას ამ საკითხისადმი ერთგვაროვანი დამოკიდებულება არ ჰქონდა. სასულიერო პირთა კრებებზე, ფილიპი I-ის დროს, საპირისპირო მოსაზრებები გაჩნდა. მართლაც, თეორია მეტ-ნაკლები წარმატებით ვითარდებოდა. დროის განმავლობაში, საუკუნეების მანძილზე, ურთიერთგამომრიცხავი ტექსტები ერთმანეთის მიყოლებით თანმიმდევრულ პლასტებად განთავსდა. ამ თეორიას მაინც ერთი ფუნდამენტი აქვს: წერილი, უფლის სიტყვა, სიტყვათა სულ მცირე რაოდენობა. XI საუკუნის ყველა ეპისკოპოსი ამ სიტყვებით ხელმძღვანელობდა.

ზოგიერთი ფრაზა ძველი აღთქმიდანაა, დაბადების წიგნიდან, რასაც „შესაქმის" მეორე თავში ვკითხულობთ. ეს აზრი ოთხი მთავარი წინადადებით გამოიხატება:

1. "არ ვარგა ადამის მარტოდ ყოფნა." ღმერთმა გამოყო ადამის მოდგმაში ორი სქესი და მათი კავშირი.

2. მაგრამ უფალმა ორი არათანასწორუფლებიანი სქესი შექმნა: „გავუჩენ შემწეს, მის შესაფერს." თავდაპირველად იყო მამაკაცი. იგი პირველობას ინარჩუნებს. უფლის ხატად არის შექმნილი. ქალი კი მხოლოდ მისი ხატის ანარეკლია, მეორადია. „ხორცი ადამის ხორცთაგანი", ევას სხეული მისი ნეკნიდან შეიქმნა, რაც ქალს მამაკაცზე დაბალ საფეხურზე აყენებს.

3. ეს ორი სხეული უნდა შეერთდეს: „ამიტომაც მიატოვებს კაცი დედ-მამას და მიეწებება თავის დედაკაცს, რათა ერთხორცად იქცნენ": ქორწინება მათ აკავშირებს.

4. მიუხედავად ამისა, ქორწინება კაცსა და ქალს შორის უთანასწორობას არ სპობს: უკანა პლანზე მყოფი, ქალი სუსტია. მამაკაცი ქალის ცდუნებით ცოდვითდაეცა, სამოთხიდან განიდევნა. ამ-

იერიდან წყვილი განწირულია არასრულყოფილი შეერთებით, სიყვარულით, რომელსაც უსირცხვილოდ ვერ ახორციელებენ, ქალი კი დამატებით სასჯელს იმსახურებს, მამაკაცი ქალზე ბატონობს და ეს უკანასკნელი სამშობიარო ტკივილებით იტანჯება.

იესოს სწავლება ამ ტექსტს ეყრდნობა. რამდენიმე ფრაზა, სინოპტიკური სახარებებიდან მომდინარე, ქორწინების პრაქტიკის ორ ზუსტ შეკითხვას უპასუხებს. ტრადიცია უფლებას აძლევს ქმარს ცოლი გაუშვას, ამან აღაშფოთა მაცხოვრის მონაფეები: ეყრდნობა რა დაბადების წიგნს, იესო ურღვევ ქორწინებას აცხადებს: „ვინც ღმერთმა შეაუღლა, დაე, ნუ განაშორებს კაცი.“ (მათე, XIX, 6); ამგვარად, გაყრა, ფორმალურად აკრძალულია, გარდა ერთი შემთხვევისა: „მე არ ვსაუბრობ, ამბობს იესო, სიძვაზე (ქალისა).“ რამდენადაც ეს სიტყვები მათეს სახარებიდანაა. ეს გვაფიქრებინებს, რომ იესო, როგორც მისი დროის ყველა მამაკაცი, ყველაზე მკაცრად ცოლის ღალატს კიცხავდა. მიუხედავად ამისა, თუ მარკოზის (X, 12) სახარებას დავესესხებით, ორ მეუღლეს შორის პასუხისმგებლობა თანაბრადაა განაწილებული. მალევე გამოითქვა ცოლქმრული ურთიერთობის ურღვევობის პრინციპი, მონაფეები ხელახლა კითხულობდნენ: „თუ კაცს ამდენი რამ მართებს ცოლის მიმართ, უმჯობესია სულაც არ შეირთოს?“ (მათე, XIX, 10). როგორც ჩანს, კითხვა დროულია, მაგრამ მისი არეალი შეიძლება განუსაზღვრელად გაფართოვდეს. რამდენადაც ცათა სასუფეველი ხელახლა მოპოვებულ სამოთხეს უთანაბრდება, ეს უკანასკნელი ცდილობს მინაზე დაფუძნდეს, დათრგუნოს სხეულის მოთხოვნილებები, სექსუალური აქტივობა შეამციროს, უარი თქვას ქორწინებაზე. მოძღვრის პასუხი ამ საკითხზე ორაზროვანი იყო: „არიან საჭურისნი, რომელთაც თავად დაისაჭურისეს თავი ცათა სასუფევლის გულისათვის. ვისაც წვდომის თავი აქვს, ჩასწვდეს.”

პირველ ქრისტიანთა მმართველებმა ეს სიტყვები დაიმახსოვრეს. იესოს ქადაგებით, მათ ისე მიიღეს ეს ქვეყანა, როგორიც ის არის, მიაგებს რა კეისარს კეისრისას. „არამედ ყველა მოიქცეს ისე, როგორც განუნესა ღმერთმა“; „ცოლიანი ხარ? ნუ ეძებ ცოლთან გაყრას; ცოლგანაშვები ხარ? ნუ ეძებ ცოლს.“ (I კორინთელთა მიმართ, VII, 17 და 27). პავლე მაინც ამატებს: „მხოლოდ ღმერთის მცნებათა დაცვაა ყველაფერი“ (Iკორ., VII, 19). ამ მცნებათა საფუძველზე, პირველი ეკლესიის წიაღში გარკვეული წესი ჩამოყალიბდა, რომელიც თავდაპირველი, აუცილებელი ქალური სუბორდინაციის ფაქტს ეყრდნობოდა, მაგრამ აშკარად შესაქმის ისტორიას ეფუძნებოდა. პეტრე და პავლე ერთმანეთს ეთანხმებიან და ქალებს უმეორებენ: „იყავით მორჩილნი“ (პეტრე I, III, 1; ეფესელთა, V, 21; კოლოსელთა, III, 18). ქორწინების ერთ-ერთი ფუნქცია სწორედ ამ არათანასწორუფლებიანობის დაკანონებაა. ქმარ-

მა ერთი საფეხურით ქვემოთ მდგომი ცოლი უნდა მართოს, როგორც უზენაესი აკეთებს უმდაბლესზე მინიერი და ზეციერი იერარქიის სხვადასხვა საფეხურზე ისე, როგორც ეს ხდება უფალსა და ადამს შორის. კაცი ქალზე ბატონობს, მას იგი უნდა „უყვარდეს, ხოლო ქალი მამაკაცს პატივს უნდა სცემდეს. მაგრამ გაგებით მოეკიდეთ ამ „ნაზ" არსებას" (პეტრე I); ისევე გიყვარდეთ თქვენი ცოლები, „როგორც საკუთარი სხეული"; „ცოლის მოყვარეს თავისი თავი უყვარს" (ეფეს.,V). აუცილებელია, რომ მეუღლეებმა სრულყონ სიყვარული, სიყვარული იბადება, ვითარდება და კვლავ უბრუნდება თავის სათავეს, რასაც სამყაროს მარადიულ არსებობას უნოდებენ. ამდენად, ქორწინება გაჩნდა, როგორც ხელახალი დაყოფა, რომელიც აერთებს შემოქმედს და მის ქმნილებას, უფალს და მის ეკლესიას. ამას წმ. პავლეც ამტკიცებს: ქალები „უნდა ემორჩილებოდნენ თავიანთ ქმრებს, ისევე როგორც უფალს; მართლაც, ქმარია თავისი ცოლის უფროსი, როგორც ქრისტე ეკლესიის თავი. ქმრებო, გიყვარდეთ თქვენი ცოლები, როგორც ქრისტეს უყვარდა ეკლესია." ეს ფრაზა მეტაფორაზე მეტია, საუბარია სუბლიმაციაზე. იგი განუყრელობის აღთქმას უფრო მეტ სიმკაცრეს ანიჭებს. საუბრობს რა უფლის სახელით, პავლე ბრძანებს: „ცოლი ნუ გაეყრება ქმარს, მაგრამ, თუ გაეყრება, აღარ გათხოვდეს, ანდა შეურიგდეს ქმარს; და ნურც ქმარი მიატოვებს ცოლს." (I კორ., VII, 10, 11).

მიუხედავად ამისა, „დრო ხანმოკლეა". კაცობრიობა ქრისტეს მეორედ მოსელისთვის უნდა მოემზადოს. აქედან გამომდინარე, „კარგი იქნება, რომ კაცი არ გაეკაროს ქალს" (Iკორ., VII, I). „უჯობთ, თუ ისე იქნებიან, როგორც მე ვარ", ეუბნება პავლე დაუქორწინებლებს (VII, 8); ქვრივი ქალი „უფრო ბედნიერი იქნება, თუკი ისე დარჩება, როგორც მე ვურჩევ" (40); „ვინც არ ათხოვებს თავის ქალწულს, კიდევ უფრო უკეთ იქცევა." (38) „ანინდელი გაჭირვების გამო, კაცისთვის უმჯობესია, თუ იქნება ასე" (26). არ დადგება დრო „დაუბრკოლებლად ემსახურებოდეთ უფალს"? ან „დაქორწინებული კი ქვეყნისას ზრუნავს, თუ როგორ აამოს ცოლს" (35, 33). რა თქმა უნდა, ქორწინება აკრძალული არ არის. მაგრამ იგი აღიქმება, როგორც ერთი მცირედი ბოროტებათაგანი. ეს არის „ნებართვა" (6) „სიძვის თავიდან ასაცილებლად"(2) მიღებულია იმათთვის, ვინც „თავს ვერ შეიკავებენ." „დე, იქორწინონ, ვინაიდან ქორწინება სჯობს გახელებას" (8), რომ სატანამ „არ გაცდუნოთ თქვენი თავშეუკავებლობის გამო" (5). კაცს უფლება აქვს ცოლი მოიყვანოს, რათა მეტი აღარ შესცოდოს: ეს მას აიძულებს ქორწინებას ფრთხილად მოეპყროს. „მათ ვისაც ცოლები ჰყავთ, ისე იცხოვრონ, თითქოს არ ჰყოლოდეთ" (2). უმჯობესია თავი შეიკავონ „დროებით, რათა ლოცვისთვის მოიცალონ" (5). ამგვარია საღმრთო წერილის სწავლება.

პირველ ეკლესიაში, რომელიც სათავეს ელინისტური კულტურის წიაღში იღებდა, ასკეტური ტენდენცია იყო აქცენტირებული, და თავდა-

პირველად სხვა სექტებში მოქმედი საკრალური რიტუალების გავლენას განიცდიდა. მას მერე, რაც ევქარისტიის აღნიშვნა მსხვერპლშეწირვად იქნა მოაზრებული, მონაწილეთა წინასწარი განწმენდა გახდა საჭირო, ხოლო მომსახურეთათვის კეთილგონიერება, თუ ქალწულება არა. ის, რაც რჩევა იყო კორინთელთა მიმართ პირველ ეპისტოლეში, მოთხოვნად იქცევა. მას ფილოსოფოსთა მორალიც ემატება: ეს მორალი ქალებთან შემთხვევით კავშირებს არ კრძალავდა. მაგრამ მათ ქორწინებაზე უარს ათქმევინებდა, რადგანაც ქორწინება ჩაღრმავებას უშლის ხელს, სულს აშფოთებს: კურტიზანი ქალი სჯობს მეუღლეს. და ბოლოს, ქრისტიანული აზრი ძლიერმა დინებამ გაიტაცა, რომელიც ინტელექტუალებმა აღმოსავლეთის ქალაქებში გაავრცელეს, რათა სამყარო სულსა და მატერიას შორის კონფლიქტის ველად წარმოედგინათ და ყველანაირი ხორციელი ლტოლვა ბოროტების საუფლოში მოეთავსებინათ. შეერთების, სხეულებრივი ჩვევების, გამრავლების მიმართ ზიზღი უფრო მძაფრდება, და შესაბამისად, ქორწინების მიმართაც. განა შესაძლებელი იყო ხორციელისგან გაუთავისუფლებლად ნათლისაკენ მიპყრობა? ბერთა პატარა ჯგუფები, სრულყოფილი განდეგილები უდაბნოში ცხოვრობდნენ, განმარტოებულნი, სადაც ქალისადმი სიძულვილით იყვენენ აღვსილნი. ნაწერები, რომლებიც მოციქულ ანდრიას, ტიტუსს, პავლეს მოწაფეს, მიეკუთვნება, ამ განდეგილურ მორალს ავრცელებდა. წმინდა თეკლას სინწმინდის აღნიშვნის ცერემონიალზე განდეგილები არახორციელ კავშირებზე, ანგელოზებრივ სულიერ შერნყმაზე ოცნებობდნენ.

ამგვარი დამოკიდებულების მემკვიდრენი იყვნენ ლათინური ეკლესიის მამები. წმ. იერონიმეს ამაში ეჭვი არ ეპარება: ადამი და ევა სამოთხეში უმნიკვლონი იყვნენ. მათი დაწყევლილი სხეულები მხოლოდ ცოდვით დაცემის შემდეგ შეერთდნენ. ამგვარად, ნებისმიერი ქორწინება დაწყევლილია. მას არაფერი არ ამართლებს, ქალწულების გამრავლებით იგი მხოლოდ ცათა სასუფევლის ხელახალ მოპოვებას ემსახურება. „ქორწინება რომ არ ყოფილიყო, აღარც უმნიკვლობა იქნებოდა". მაგარამ, თავის მხრივ, ქორწინება ბოროტებაა, ძლიერი ცდუნებაა. გარდა ამისა, ქმარი მოღალატედ იქცევა, თუ საკუთარი ცოლი შეუყვარდება. თხზულებაში „ფოვნელთა საპირისპიროდ" იერონიმემ ქალის და ქორწინების წინააღმდეგ გაცხარებული ბრძოლის ყველა იარაღს მოუყარა თავი. გრიგოლ დიდი იერონიმეს მოსაზრებასთან ძალიან ახლოსაა და მისი გავლენაც შეუდარებლად ძლიერია. მონასტრებსა და ეპისკოპოსთა ნრეში გრიგოლის შრომებს დაუსრულებლად კითხულობდნენ. გრიგოლისათვის საზოგადოება „სასულიერო პირების" მეთაურობით, რომლებიც მას მიუძღვებიან, ორ ნაწილად იყოფა: ელიტა, „კეთილგონიერთა" ჯგუფი, რომელიც ხორცის ცდუნებას ეწინააღმდეგება; და უვარგისნი, „შეუღლებულები", კაცები და ქალები, რომლებიც დაქორწინდნენ (ხეიბარნი, მოძულებულნი, რადგან ქორწინება სამუდმოდ გას-

ვრილია სიამოვნებით). ადამის შეცოდების შემდეგ, რადგანაც კაცი ცოდვით დაეცა, მისმა გონებამ დაკარგა საკუთარი სხეულზე ბატონობის უნარი. ამიერიდან ქორწინების თავდაპირველი კანონი „დარღვეულია'". დაქორწინება შეცდომაა. საზღვარი კეთილსა და ბოროტს შორის „მეუღლეებსა" და „კეთილგონიერებს" შორის გადის.

ამ თვალსაზრისით ნეტარი ავგუსტინე ნაკლებად მკაცრია. უეჭველია, იგი თვლის, რომ ადამიანის ბუნებაში მუდმივი ბრძოლა მიმდინარეობს გონებით მართულ სურვილსა და ლიბიდოიალურ ლტოლვას შორის. და როდესაც იგი დაბადების ტექსტს უღრმავდება, ადამში (წმ. ამბროსის დარად) სულიერებას ხედავს, ევაში კი - გრძნობას. ეშმაკმა იზეიმა, როდესაც ხორცს სულის დასუსტების ნება მისცა. ეს ავგუსტინესეული ფიქრები დუალიზმით გამოირჩეოდა: ბოროტება დაცემული და ხორციელი ენებებით სავსე ქალის სხეულიდან მოდის. როგორც იერონიმე და გრიგოლი, ავგუსტინეც „მეუღლეებს" კეთილგონიერთა დაბლა, ღირებულებათა იერარქიის ყველაზე დაბალ საფეხურზე აყენებს. მიუხედავად ამისა, იგი თვლის, რომ მამკაცი სიძვის (გამოუსწორებლი ბოროტების) ცოდვისაგან თავისუფალია და ეწინააღმდეგება ამ დამღუპველ თავდასხმას. მამაკაცი ამას ქორწინებით აღწევს, შეერთების შედარებით სრულყოფილი ფორმით. სქესობრივი აქტის ეს ცოდვა, რომელიც მომაკვდინებელია სიძვაში, ქორწინებაში საპატიოა. ამგვარად, ავგუსტინე ცვლის ბოროტსა და კეთილს შორის ზღვარს. იგი აღარ აშორებს „მეუღლეებს" „კეთილგონიერებისაგან", სამაგიეროდ „მეუღლეებს" მაცდუნებელთ უპირისპირებს. ქორწინებაში სიკეთეც არის. ქორწინება კარგია, რადგან იგი ადამიანებს ამრავლებს და ამგვარად სამოთხის ხელახლა მოპოვების საშუალებას იძლევა, დაცემულ ანგელოზებს რჩეულებით ცვლის. ქორწინება განსაკუთრებით კარგია, რადგან გრძნობის ანუ ქალის შეზღუდვის საშუალებაა. სამოთხეში, წერს ნეტარი ავგუსტინე, ბოროტება დაუძლეველი სურვილიდან მოდის, „სულის იმ ნაწილიდან, რომელიც გონებას უნდა დაექვემდებაროს, როგორც ქალი - თავის მეუღლეს." ქორწინებით თავდაპირველი იერარქია უნდა აღდგეს, სულის ბატონობა სხეულზე. რა თქმა უნდა, იმ პირობით, რომ მეუღლეს ადამის სისუსტე აღარ ექნება და რომ იგი თავად იბატონებს ცოლზე.

ჯიუტად გამყარდა აზრი, რომ ბოროტება სექსუალურობიდან მოდის. იგი განმარტავს იმ უამრავ აკრძალვას, რომელიც ლათინურმა ეკლესიამ სწრაფად გაავრცელა. რა იყო მონანიება, თუ არა სექსუალური სიამოვნების უარყოფის პრინციპული გადაწყვეტილება? მონანიეს მდგომარეობა განსაკუთრებული „წესი" იყო, რომლის დაცვითაც ფილიპი I-მა და ბერტრადამ 1105 წელს პარიზში შეაღწიეს, სადაც ისინი ფეხშიშველნი გამოცხადდნენ სასულიერო პირების წინაშე. პირველ რიგში ეს მდგომარეობა მათ თავის შეკავებას კარნახობდა. მეუღლეებს მუდმივად მოუხმობდნენ თავის მოზღუდვისაკენ და აფრთხილებდნენ,

რომ ურჩხულების, სუსტი ბავშვების გამრავლებისთვის ხელი არ უნდა შეეწყოთ. მეუღლეები ერთმანეთისგან უნდა განეშირებინათ (ცხადია, დღისით და ღამითაც) დღესასწაულების წინ (ზეიმის მიზეზით), ოთხშაბათობით და პარასკევობით (მონანიების მიზეზით), და შემდეგ სამი, 40 დღიანი მარხვის მანძილზე - აღდგომამდე, ჯვართამაღლებამდე (სექტემბერში) და შობამდე. ქმარი არ უნდა მიახლოვებოდა ცოლს მენსტრუაციის დროს, მშობიარობამდე სამი თვით ადრე და არც მშობიარობიდან ოთხი დღის შემდეგ. კონტროლისათვის ისინი მოუწოდებდნენ ახლადდაქორწინებულებს ქორწინების შემდეგ სამი დღე უმნიკვლონი დარჩენილიყვნენ. და ბოლოს, იდეალური წყვილი ის იქნებოდა თუ, ერთობლივი გადაწყვეტილებით, აიძულებდა საკუთარ თავს სრული ზნეობის დაცვას. პირველ საუკუნეებში ლათინური ეკლესიის მეთაურებმა ქორწინებას ზურგი აქციეს, როგორც ამაზრზენ მოვლენას. ისინი მას უარყოფდნენ და ამით სინმინდეს ინარჩუნებენ.

კაროლინგთა ეპოქის ის რეგიონი, რომელიც მე ავირჩიე შესასწავლად, კულტურული ზეობის ხანაშია. პატრისტიკულ ტექსტებზე მუშაობამ ახალი გაქანება პოვა. 1000 წლისათვის ეკლესიის მძლავრი მესვეურები ჰყავდა. კაროლინგთა ხანაში შეიქმნა ის წიგნები, რომლითაც ივ შარტრელი და მისი თანამოძმენი სარგებლობდნენ. ამ პერიოდში ისე, როგორც არასოდეს ჩვენი კულტურის ისტორიაში, სულიერ და მინიერ ხელისუფალთა მჭიდრო შეკავშირება მოხდა. მას მერე, რაც ფრანკთა მეფე ნმინდანი გახდა (ამიტომაც ჩართეს ეპიოსკოპოსთა კოლეგიაში), თავს უფლებას აძლევდა იმ პრინციპების განხორციელება ებრძანებინა, რომელთაც სასულიერონი ქადაგებდნენ. მაგრამ ცოტა შეცვლილი სახით. მეფე თავის თანამოძმეებს - სასულიერო პირებს აიძულებდა, უფრო მინიერნი ყოფილიყვნენ. ორი ძალაუფლების გაერთიანებამ ასკეტიზმის ტალღა შეამცირა და ის ზიზღიც, რომელსაც ქორწინების ინსტიტუტი ნარმოშობდა. სწავლულები იერონიმესა და გრიგოლის გადაწერასა და კითხვას განაგრძობდნენ. მაგრამ, ჩანს, მათ მიატოვეს თხზულება „ფოვნელთა საპირისპიროდ", და უფრო მეტ ყურადღებას ავგუსტინეს ტექსტებს აქცევდნენ, ქორწინების დადებით მხარეებზე ფიქრობდნენ. ეპისკოპოსები ზრუნავდნენ საერო ნოდების გაკეთილშობილებისთვის, სულაც არ ცდილობდნენ ცოლქმრობის მიმართ ანტიპათიის ჩანერგვას, პირიქით, ამას საზეიმოდ აღნიშნავდნენ, როგორც შესაძლებელ კეთილშობილებას. საერო საზოგადოების გაძლიერებისთვის ეპისკოპოსები ქორწინების მორალიზებას ცდილობენ[2].

829 წელს პარიზში ფრანკული ეკლესიის მეთაურები იმპერატორ ლუი ღვთისმოსავის გარშემო შეიკრიბნენ. კარლოს დიდის ვაჟს ცენტრში ქრისტეს ადგილი ეჭირა. ათი წლის წინ მან ეკლესიის რეფორმირება სცადა. ახლა ის ცდილობს საზოგადოების მოწყობის სიღრმისეული საფუძვლები გამოასწოროს. იღებდა რა მოდელად რომს და რამდენადაც კონ-

სტანტინეს დროინდელი რომის გაცოცხლების პრეტენზია არსებობდა, იმპერატორი ბრძენთა აზრს ყურს უგდებდა. მან ეს ნესები „ძლიერებს“ გადასცა, მათ, ვინც მახვილს ფლობს მისი სახელით და ვინც ხალხს წესრიგისკენ მოუნოდებს. ამგვარად, აღდგენილი სოციალური სხეული იმ ფორმას დაუბრუნდება, უფალს რომ სურს. სულიერად ამაღლებული ეპისკოპოსები საუბრობენ. მათი კამათი, საერო პირთათვის გამიზნული, ეტყობა, ქორწინებასაც შეეხება. ჩვენამდე მოაღწია სამახსოვრო ჩანაწერმა, რომელიც რვა შემოთავაზებას შეიცავს. აი ისინიც[3]:

1. "საერო პირებმა უნდა იცოდნენ, რომ ქორწინება უფლის დადგენილია“ (თავდაპირველად, დაბადების წიგნზე დაყრდნობით, ქორწინების ინსტიტუტი სიწმინდედ არის გამოცხადებული).

2. "ქორწინება მემკვიდრეების ყოლის სურვილი უნდა იყოს და არა ავხორცობა“ (აქ წმ. ავგუსტინეს ეყრდნობიან: გამრავლება ამართლებს ქორწინებას).

3. "ქორწილამდე ქალწულობა დაცული უნდა იყოს“.

4. "მათ, ვისაც ცოლი ჰყავთ, საყვარელი აღარ უნდა ჰყავდეთ“ (მაგრამ, ცხადია, რომ მამაკაცებს, რომლებსაც ცოლები არ ჰყავთ, შეუძლიათ ისინი იყოლიონ).

5. "საერო პირებმა უნდა იცოდნენ, რომ ცოლი უნდა უყვარდეთ კეთილგონივრულად და პატივი უნდა სცენ მათ, როგორც სუსტ არსებებს."

6. "სქესობრივი აქტი მეუღლესთან ტკბობის გამო არ უნდა შედგეს, არამედ გამრავლებისათვის, კაცებმა თავი უნდა შეიკავონ ფეხმძიმე ცოლთან."

7. "უფალმა ბრძანა, მხოლოდ სიძვის მიზეზით ცოლი არ უნდა გააგდო, უნდა აიტანო, და ის, ვინც გააგდებს მეუღლეს სიძვისთვის, და სხვას შეირთავს, უფლის სიტყვით, მოღალატეა."

8. "ქრისტიანებმა არ უნდა დაუშვან ინცესტი."

საქორწინო მორალი, რომელსაც მღვდლები საერო პირებს, „დიდებულებს“ ასწავლიან, კაცის მორალია, მამაკაცებისთვის - ერთადერთი პასუხიმგებელთათვის - იქადაგება. ეს მორალი სამ აღთქმას ეყრდნობა: მონოგამიას, ეგზოგამიას და სურვიულის დათრგუნვას. და ბოლოს, ქორწინების ცერემონიალამდე ქალწულად დარჩენის აუცილებლობა, ცოლის სიყვარული, მისი პატივისცემა, გამრავლებაა საჭირო.

ეს ძალიან მარტივი ტექსტი ორლეანის ეპისკოპოსმა იონამ სასწრაფოდ განავითარა ტრაქტატში „საერო პირთა ინსტიტუტი". ეს წიგნი მემუარია, რომელიც უფლისწულთათვის იყო განკუთვნილი, რათა მათ თავიანთი ნაკლი შეეცნოთ, გამოსწორებულიყვნენ და უკეთ აღესრულებინათ საკუთარი მისია, ხალხისათვის მაგალითი მიეცათ. ნაშრომი პედაგოგიურია. მეომრებს, რომელთა ფუნქცია ბრძოლაა, იონა ომს სთავაზობს, ნაკლოვანებებთან ბრძოლას და დასასრულს გამარჯვების სიხარულის შეგრძნებას ჰპირდება. მისთვის ქორწინება ერთ-ერთი იარაღია, რომელიც ამგვარ ბრძოლაში უნდა გამოიყენო. ყველაზე მეტად გამოსადეგი, რადგან იგი ყველზე საშინელი მოწინააღმდეგის, სქესობრივი ლტოლვის წინააღმდეგაა მიმართიული. ქორწინება წამალია ავხორცობის განსაკურნავად. ეფექტური წამალი, თუმცა საშიში, რომელიც ფრთხილად უნდა მოიხმარო. თუ მეომარი მას ბოროტად გამოიყენებს, დასუსტდება. იონა თავშეკავებულად ქადაგებს იმ წოდების მორალს, რომელიც გარკვეული კატეგორიის საზოგადოებაზეა ადაპტირებული. იგი ბერებს, კლერიკალებს თავს არ ახვევს თავშეკავებას, თუმცა ზომიერებისკენ მოუხმობს. არაფერი არ არის აკრძალული: ოღონდ გარკვეული მოდიფიკაციით. საჭიროა სხეულის ჰიგიენა, და შესაბამისად, სულისაც.

იონა ორლეანელი ქორწინების ღირებულებებზე მსჯელობს. წმ. ავგუსტინეს მკითხველი, მაგრამ ამავე დროს ციცერონისა, იგი ამ ღირებულებებში მეგობრობასაც მოაქცევს. მეგობრობა ანუ ერთგულება, კარგ ქვეშევრდომთა ეს ღირსება, სახელმწიფოს ძლიერებას უზრუნველყოფს. იგი მეგობრობიდან ქორწინებზე, სიყვარულზე გადადის, ქორწინებაში უფალსა და შექმნილ სამყაროს შორის მისტიკურ კავშირს აღიარებს. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ის კავშირი პოლიტიკური წესრიგის საყრდენიცაა. იმ პასტორთა რეალიზმმა, რომლებიც უფლისწულებთან შეთანხმებით მუშაობდნენ, მათ საშუალება მისცა ზედმეტი მღელვარება თავიდან აეცილებინათ.

მაშ, ქორწილი კარგია, მაგრამ მეტ-ნაკლებად. იონა სამ დონეს გამოყოფს. ყველაზე დაბალი, თავდაპირველი ლტოლვის მოთოკვით, ქორწინება ცოდვილი ბუნების გამოვლინებაა. ამიტომ მას შეწყნარებით უყურებენ. უფრო მეტიც, მიაჩნიათ, რომ მისი მიზანი გამრავლებაა. იგი ცამდე აყავთ, თუ სექსუალობა განიდევნა, მაშინ „ძმური საზოგადოება" გაჩნდება. ეს სრულყოფილი ფორმა უსაფრთხოა: ამ დაცემულ სამყაროში ტკბობა გამრავლების აქტით მთლიანად არ არის განდევნილი, არც ქორწინებაა „უშეცდომო". შეცოდება გარდაუვალია, რომელზეც გრიგოლ დიდი საუბრობს. ყოველ შემთხვევაში ბოროტება გარკვეული მონანიებით შეიძლება მოვსპოთ. ის ვარჯიშის ძალით შეიძლება შეიზღუდოს. ეპისკოპოსთაგან მიერ დატუქსულმა კარგმა დიდებულმა თავს უნდა აჯობოს, პატიოსან შეერთებას უნდა მიაღწიოს, ამ

სახელმძღვანელოთი იხელმძღვანელოს, ქორწინებაში ღვთიური ნების გათვალისწინებითა და სახალხო წესის დაიცვით იცხოვროს.

ოცდაათი წლის შემდეგ ეს წესი შეირყა. საფრანგეთის ჩრდილოეთში კულტურულმა რენესანსმა აპოგეას მიაღწია, პოლიტიკური შენობა კი ინგრეოდა. ეს რენესანსი და ეს გაყოფა ეკლესიის მესვეურებს ფიქრისთვის უხმობდა. განსჯა კი ძირითადად საფრთხის გაზრდამ გამოინვია. რეიმსის არქიეპისკოპოსი ჰინკმარი, ეხება რა ქორწინებას, მას, პირველ რიგში, ზღუდედ წარმოადეგს ძალადობის წინააღმდეგ. მე მის ორ ნაშრომს ვასახელებ, ერთს, „გაყრაზე", და მეორეს, „მოტაცების რეპრესია". ეს უკანასკნელი კამათია მშვიდობაზე, რომელსაც ზეციური იერუსალიმი დედამინაზე გადმოაქვს, კამათია მშვიდობაზე, რომლის აღდგენასაც მეფე და ეპისკოპოსები ერთობლივად კისრულობენ. ეს მშვიდობა დარღვეული ჩანს, ნანგრევებად ქცეული სიძუნწის, წაგლეჯვის, მოპოვების მადით. ეს წმინდა მამაკაცური ნაკლია, როგორც სიძლიერეა მამაკაცური სიქველე, რომელმაც ფორმა იცვალა. მამაკაცი, ბუნებრივია, მიმტაცებელია ქონების და ქალისაც. წესრიგისკენ მობრუნება მოითხოვს ან „საქორწინო შეთანხმების" განმტკიცებას, რომლითაც მშვიდობიანად ხდება ცოლის მოყვანა, ან სამოქალაქო, საერო რიტუალების გამართვას. საქმე საქორწილო ფორმალობით სრულდება, ამას ლათინები ნიშნობას უწოდებენ. ეს არის საქორწინო ცერემონიის პირველი მოქმედება, თანხმობა მამაკაცსა და ქალს შორის, უფრო სწორედ მომავალ ორმხრივ ნათესაობას შორის. ჰინკმარი სწორედ ამას ამტკიცებს, სახელდობრ, მეორე ტრაქტატში, „გაყრაზე"[4]: კავშირი „სამყაროს კანონების", „ადამიანური წესების" მიხედვით მყარდება. არქიეპისკოპოსი ქორწინებაში ხედავს იმას, რაც ეფექტურია: სოციალურ ინსტიტუტს, რომელიც ბუნებრივი კანონიდან მომდინარეობს და „ასოციაციას", რომლის მონაწილენიც უთანასწორონი არიან. „ქმარსა და ცოლს შორის ყალიბდება არჩვეულებრივად მგრძნობიარე, მნიშვნელოვანი ურთიერთობა, მხოლოდ ამ ერთობაში მართვის უპირატესობა მამაკაცს აქვს, ხოლო მორჩილება - ქალს." მამაკაცი არის „პრელატი": იგი მბრძანებლობს. თუმცა ამ იერარქიაში ურთიერთშევსებაც ხდება. მართლაც, როგორც მთვარე და მზე, როგორც წყალი და ცეცხლი, ქალური და მამაკაცური სანყისი მათივე ორმხრივი კავშირით უმჯობესდება, მათივე ნაკლოვანებებით სწორდება. ქორწინებაში, ქალის ეშმაკობა ისევე მცირდება, როგორც მამაკაცის - უხეშობა. ამგვარად, შეიძლება გაჩნდეს ჰარმონია. მისი ნაყოფი მემკვიდრეობაა, სიხარულის წყარო და წყვილის უკვდავება. აქ ისევ ჩნდება ბერული, ავგუსტინესეული მორალი, რომელიც საერო წრეში აღნევს.

ეს კონცეფცია, მეტად „აღორძინებული", რომაული მოგონებებით გაჯერებული, ქორწინებას სამოქალაქო იურისდიქციაში ათავსებს. ჰინკმარი იხსენებს[5] ერთ საქმეს, რომლის მოწმეც თავად ყოფილა ატინის

სასახლეში ლუი ღვთისმოსავის დროს. დიდ შეკრებაზე ერთი ქალი მოსულა საკუთარი თავის დასადანაშაულებლად; იგი ცოდვას ინანიებდა, მაგრამ რაც შეეხებოდა „უპატიოსნო საკითხებს", სიმართლეს, კერძოდ, იმას, რაც მასსა და მის ქმარს შორის მოხდა, მან მხოლოდ იმპერატორს გაანდო - ჰინკმარი ამაზე არაფერს ამბობს. ლუის საქმე უნდა გადაეცა ეპისკოპოსებისათვის, რომლებიც კრებაზე შეიკრიბნენ. მათ თავი აარიდეს, საქმე „საერო პირებს და დაქორწინებულებს გადასცეს... უფრო დიდგვაროვნებს, ამატებს ჰინკმარი, რადგანაც საეროთათვის მეუღლეების გასამართლების სიამოვნება არ წაერთმიათ." IX საუკუნეში ჩრდილოეთ საფრანგეთში ქორწინება საეროთა საქმე იყო და მღვდლები იშვიათად თუ ერეოდნენ. წყაროებში არაფერია ნათქვამი საქორწილო კურთხევაზე, მხოლოდ დედოფლების შესახებაა საუბარი და ამ შემთხვევაშიც ქორწინება საკრალური რიტუალის, კურთხევის ელემენტს არ შეიცავს. მაგალითად, ივდითის ქორწილი, შარლ მელოტის ქალიშვილის, რომელიც 856 წელს დაქორწინდა საქსონელ მეფეზე (ჰინკმარი ამ ლიტურგიკის განმკარგულებელი ყოფილა) და ასევე ერმანტრუდას ქორწილი, რომელიც თავად შარლ მელოტს გაჰყვა ცოლად 866 წელს. ბურჟის ეპისკოპოსი გასცდა რა თავის იურისდიქციას, ქორწილში სასულიერო პირთა მონაწილეობა აკრძალა. საზეიმო დღესასწაული სხეულთა კავშირია, რომელიც ქორწილს მოსდევს და მხიარულებითა და ქეიფით აღინიშნება. მაგრამ, რაც შეეხება ნიშნობას, შეთანხმების თანახმად, იგი ბევრად უკეთესი ცერემონიალია. გარდა ორლეანის და ბალის დიოცეზებისა, არსად არ ჩანს, რომ ქორწილზე მღვდლების ყოფნა აუცილებელი იყო. ნესები, რომლებიც ცოლქმრობას აფუძნებდა „ხალხური ჩვეულება", ან უფრო სწორად, კულტურაში საერო ყოფის გამოვლინება იყო: კაროლინგური ქრონიკები საუფლისწულო ქორწინებებზე მხოლოდ გართობებსა და იმ ამალაზე მოგვითხრობს, რომელსაც საცოლე საწოლამდე მიჰყავდა. ჰინკმარი, სამართლის საუკეთესო მცოდნე, ქორწინებას თავისი სამოქალაქო ფორმებით განსაზღვრავს, რომელიც კლასიკურ რომაულ ტრადიციას ეყრდნობა. კანონიერი ქორწინება, ამბობს-იგი, „თავისუფალ პიროვნებებსა და თანასწორ სოციალურ ფენას შორის ყალიბდება... თავისუფალ ქალს მამაკაცი მამის გადაწყვეტილებით ირთავს, კანონით მიღებულს და სახალხო ქორწილით პატივდებულს." სქესების შეერთება ამ საქორწილო რიტუალს ასრულებს[6]. არაფერია ნათქვამი ლოცვებსა თუ სხვა სახის საეკლესიო ჩარევაზე.

ამრიგად, ქრისტიანობის ისტორიის ამ პერიოდში თეოლოგიური განსჯა უშუალოდ ლიტურგიკიდან მოდიოდა. ამიტომაც თეოლოგიური წიაღსვლა სიუხვით აღინიშნებოდა ნათლობის, ევქარისტიის, მონანიების მიმართ. რაც შეეხება ქორწინებას, რადგან საქორწილო ლიტურგიკა არ არსებობდა, ეს საკითხი უმნიშვნელო იყო ეკლესიისთვის. არც

ჰინკმარი, არც მისი თანამედროვენი არ მსჯელობდნენ, ვერ თანხმდებოდნენ ამ საკითხებზე. მათ არ ჰქონდათ იმის უფლება, რომ სხეულთა კავშირის სასარგებლოდ რწმენისთვის ეღალატათ. მაგრამ ისინი მაინც მიისწრაფიან ამ სიცარიელის შესავსებად. მეცნიერებს, რომლებიც „ცრუ დეკრეტალიებს" იგონებდნენ, მიჩნდათ, რომ მათში საქორწილო კურთხევის შემცველი ტექსტები უნდა ჩაერთოთ, რომელიც პაპებს კალიქსტსა და ევარისტს მიეწერებოდათ. ჰინკმარი ცდილობდა სხეულთა შემაერთებელი „კანონიერი ქორწინების" მიღმა, როგორც იგი ამბობს, „ბუნებრივი" საზოგადოება დაემკვიდრებინა, ამ „საიდუმლოში" წინსვლა დაენახა. „საიდუმლოში", რომელიც „მისტიკურ" ქორწინებით, „ნიშნებით" ხორციელდებოდა, რომელიც ქრისტესა და ეკლესიას შორის სულიერ კავშირში გამოიხატებოდა. ჰინკმარი ეძებს, ის უკმაყოფილოა. მაგრამ ლექსიკონი, მენტალური აღჭურვილობა, რომელსაც იგი ფლობს, მას უფრო შორს წასვლის უფლებას არ აძლევს.

მართლაც, კაროლინგთა ეპოქის საფრანგეთში ქორწინების ინსტიტუტი, საკრალურისგან შორს იყო. იგი სახალხო მშვიდობის ძირითადი საყრდენი გახლდათ. სახელმწიფოს სტრუქტურები ეპისკოპოსებს მჭიდროდ უკავშირდებოდა მშვიდობის შენარჩუნებაში, ეკლესიის მმართველები უფრო მეტად ზრუნავდნენ ქორწინებაზე, ვიდრე მათი წინა თაობა, რომელიც უკეთ იყო განწყობილი და ნაკლები ზიზღი ჰქონდა ამ საქმისადმი. ქორწინების პროგრესული საკრალიზაცია ნელი ტემპით იწყებს მოქმედებას. რიტუალის გარეგანი იერსახე საერო რჩება, მაგრამ მასში საეკლესიო მორალმა დაიწყო შეღწევა. სასულიერო პირები ხელს უწყობდნენ ქორწინების ღირებულებათა განდიდებას, მომენტს ეძებდნენ, რომ ყურადღება გაემახვილებინათ ორ მოთხოვნაზე. ერთის მხრივ, „ერთი ცოლის ყოლის ევანგელისტური კანონი[7]", როგორც რემი დ'ოქსერი ამბობს, დიდებულთა გასაგონად გამოცხადდა, მაგალითად, მეფე ლოტერ II-თვის ან გრაფი ეტიენისთვის, რომლებმაც ცოლები გამოიცვალეს. მეორეს მხრივ, უფრო მკაცრად აიკრძალა ბიძაშვილზე ქორწინება ნათესაობის მეშვიდე მუხლამდე - ეს მუხლი გერმანულად იქნა დათვლილი, უბრალოდ, ჩვეულებრივად მუხლობრივად, რომელიც ნათესაური შტოდან გამოდიოდა და ნათესაობის ხაზს აგრძელებდა.

შვიდ თაობაზე გავრცელებული სისხლითნათესაობის არეალი ინცესტის ზღვარგადასული კონცეფციით იფარება, ამ ტერმინის სრული მნიშვნელობით - შვიდი მუხლის გათვალისწინებით სანათესაოდან მრავალი ადამიანი ქორწინების მიღმა რჩებოდა და თითქმის შეუძლებელი იყო აკრძალვის დაცვა. ეს წესი გვაოცებს. ჩანს, მან იმ დროის მეცნიერებიც გააკვირვა. ისინი ამაოდ ცდილობდნენ იმის მოძებნას, რასაც ეს წესი ემყარებოდა. წმინდა წერილში მას არაფერი არ ამართლებს. ლევიანთა მე-8 და მე-20 თავები ასჯერ უფრო ნაკლებად იძულებითია. რომაულ სამართალში მრავალი მინიშნება იყო მეექვსე და

მეშვიდე მუხლზე, რაც შეეხება მემკვიდრეობას, მუხლების დათვლის რომაული წესი მეოცე მუხლით ზღუდავდა იმ ბიძაშვილთა რაოდენობას, რომლებზეც დაქორწინება აკრძალული იყო. 829 წელს პარიზის საეკლესიო კრებაზე ასეთი ქორწინების აკრძალვა ახსნა-განმარტების გარეშე გამოცხადდა. არავინ, თვით ისიდორე სევილიელიც კი, არ ჩანდა კმაყოფილი. ასევე აღსანიშნავია, რომ მეორე მოთხოვნა რადიკალურად ეწინააღმდეგებოდა პირველს. მხოლოდ ინცესტის, მხოლოდ სიძვის ვარაუდი არ იძლეოდა განქორწინების უფლებას.

ეპისკოპოსები იძულებულნი იყვნენ განუწყვეტლივ ექადაგათ, რომ ცოლის გაშვება არ შეიძლებოდა, ასევე არ შეიძლებოდა ნათესავის შერთვა. ეს კი გვიჩვენებს ამ ორ საკითხზე სასულიეროთა მოსაზრებების სხვადასხვაგვარობას. ისინი ერთმანეთს ცოლ-ქმრობაზე ეკამათებოდნენ. ეს წინააღმდეგობა, როგორც ეს მღვდლებს სურდათ დაეჯერებინათ, ბოროტი უთანხმოებით, უწესრიგობით არ იყო განპირობებული. იგი სხვა ბრძანებიდან მოდიოდა, სულ სხვა წესების კრებულიდან, სხვა პრინციპებიდან, უღირსი, სრულიად უმნიშვნელო ნყაროდან. ეს წინააღმდეგობა ქრისტიანობას დაუპირისპირდა, მაგრამ ამაზე ნერილობითი დოკუმენტები არა გვაქვს, თუმცა მეხსიერებამ იგი შეინარჩუნა და გამოავლინა ცერემონიალის მოწყობაში, სიტყვებში, მეყსეულ ჟესტებში. ისტორიკოსი, რომელიც ბნელს მიარღვევს, ხელის ფათურით სინჯავს წინააღმდეგობას, ცდილობს ვარაუდით წარმოადგინოს მოხაზულობა, ამოიცნოს რა იყო მეომართა მორალი.

ეს მორალი არ უპირისპირდებოდა რადიკალურად განსხვავებულს, როგორც ველურობა - ცივილიზაციას და როგორც, მატერია - სულს. სიმბოლური სისტემა, რასაც საერო მორალი და ქორწინების პრაქტიკა ეყრდნობოდა, მხოლოდ მატერიალური ღირებულებები არ გახლდათ; პროდუქტი, ფული, ბაზარი ამის ახსნას არ წარმოადგენდა, როგორც ამას ჩვენს კულტურაში განიხილავენ. ის ადამიანები, რომელთა ქორწინებას ვიკვლევ, თავდაპირველად მას ეკონომიკური ინტერესებით არ მოიაზრებდნენ. რაინდების ცნობიერებაში ამ სახის პრობლემა ჯერ კიდევ მარგინალური იყო იმ პერიოდის ბოლოსათვის (XIII საუკუნის დასაწყისი), რომელსაც მე ვიკვლევ. მაშინ, როცა არისტოკრატული საზოგადოების ქვედა ფენაში მენტალური დამოკიდებულებები ჩამოყალიბდა, კერძოდ, მათ მოსამსახურეთა შორის, რომელიც დიდებულებს ხალხთა მასებიდან მოყავდათ და რომლებიც მაღლა მიინევდნენ, სამინისტროებსა და სასახლის კარის მომმარაგებლებად. მათი სიხარბე, ვნება, ნაგლეჯვის სურვილი, ძალაუფლების ყველა მპყრობელს შორის გაზიარებული, სიძუნწეში, ფულის მოპოვების სურვილში ვლინდებოდა. არისტოკრატიული ღირებულებები, რასაც XII საუკუნეში ლათინურად შედგენილი ტექსტები პატიოსნებას უწოდებს, რაინდთა სიქველეს, სხეულის გულადობას და ერთდროულად სულის სიძლიერესა და დიდ-

სულოვნებას გამოხატავდა. მთელი სამყარო თვლიდა, რომ ამ მთავარ თვისებას სისხლი გადასცემდა. გადაცემა - ეს არის სწორედ ქორწინების ფუნქცია: წესიერად, „პატიოსნად", პატივისცემით, უზრუნველყოს აღნიშვნა თაობიდან თაობაზე, სიმამაცე, ვაჟკაცური ღირებულება. გააკრცელო სისხლი ისე, რომ როგორც ამბობდნენ, მისი ხარისხი არ შეიბღალოს, არ გადაგვარდეს და არ დაკარგოს თავისი გენეტიკური თვისებები. ქორწინების ფუნქციაა მამაკაცს, სიცოცხლის მიმცემს შერთოს ცოლი ისე, რომ მისმა კანონიერმა ვაჟმა, რომელიც მისი ღირსეული წინაპრების სახელსა და სისხლს ატარებს, თავის თავში გააცოცხლოს ეს უკანასკნელი. ყველაფერი ცოლზე იყო დამოკიდებული. იგი მხოლოდ უბრალო დამაკავშირებელი არ ყოფილა, როგორც დღეს გვხვდება სამხრეთ აფრიკის ზოგიერთ კულტურაში. კაროლინგურ და პოსტკაროლინგურ ევროპაში ქალური სპერმის არსებობის სჯეროდათ, ყოველ შემთხვევაში ქალის და მამაკაცის თანაბარი შეჯიბრისა ჩასახვაში, და ასევე სჯეროდათ, რომ სექსუალური კავშირების შედეგად ორი სისხლი ერთმანეთს უკავშირდებოდა. ეს იყო, როგორც ჩანს, მთავარი საყრდენი, რასაც ეფუძნებოდა ქორწინების მორალი მეომრებში. იმ ხალხში, რომელთა ნააზრევმაც ჩვენამდე უშუალოდ ვერ მოაღწია.

ყოველ შემთხვევაში ვიცით კი ჩვენ რას ფიქრობდნენ მეფეები, რომლებიც ნახევრად მაინც მეომრები იყვნენ? მათმა ბრძანებებმა ჩვენამდე ჩანაწერების სახით მოაღწია, სადაც სამოქალაქო ძალაუფლება იყო საკრალიზებული, რამაც თავისთავად განსაზღვრა რენესანსი. ეს სუვერენები, სულიერი და მინიერი ძალაუფლების შუამავლები, ჩვეულებრივ ეპისკოპოსთა დაკანონებულ წესებს მისდევდნენ, მხოლოდ ისეთ წესებს, რომლებიც მკაცრად არ ეწინააღმდეგებოდა საერო მორალს. ამას ჩვენ დოკუმენტთა კრებულებში დაფიქსირებული მეფეთა გადაწყვეტილებებით გამოვარჩევთ, ამ მორალის ზოგიერთ შტრიხს, რაც იმას ეთანხმებოდა, რასაც ეკლესიის მესვეურები მოითხოვდნენ. ანუ თითქმის ყველაფერს. ამას განსაკუთრებით კარგად ვხედავთ ისეთი მოვლენის რეპრესირებაში, რასაც ქალის მოტაცებას ეძახდნენ.

მეფე ისევე უნდა დადევნებოდა ქალის მომტაცებლებს, როგორც იგი ხანძრის გამჩენებს, მკვლელებსა და ქურდებს, დამნაშავეებს დასდევდა. მოტაცება, ფეოდალურ ხანაში, ოთხი სისხლის სამართლის საქმიდან ერთ-ერთია და კაროლინგური სამეფო სამართლის პირდაპირი მემკვიდრეა. სუვერენს, ეპისკოპოსთა მხარდაჭერით, ის წყვილები უნდა განეშორებინა, რომლებმაც მოცემული წესების მიხედვით მშვიდობიანად ვერ შეძლეს შეუღლება. ამგვარი კავშირები ქორწინება არ იყო. საჭირო იყო მათი დაშორება, მოტაცებული ქალის უკან დაბრუნება, იმისთვის გადაცემა, რომელსაც ძალით გამოგლიჯეს, რათა სოციალური ქსოვილი არ დარღვეულიყო ოჯახური შურისგების ჯაჭვით, რათა განგაშს მაღალ საზოგადოებაში არ შეეღწია. ეს ჩანაფიქრი აშკარაა IX

საუკუნის დასაწყისის დოკუმენტების კრებულებში. ისინი მომტაცებლის და მის მიერ გატაცებული ქალის აკრძალულ დაწყვილებას აცხადებენ. ქალიშვილი უკვე სხვაზე იყო დანიშნული, ამ უკანასკნელს შეეძლო მისი მოყვანა, კანონიერ ცოლად ქცევა. თუ საქმრო გადაიფიქრებდა გოგონას ნათესაობა უფლებას ინარჩუნებდა ეს ქალიშვილი ცოლად გადაეცა იმისათვის, ვინც მოსნონდა, გარდა იმ მამაკაცისა, ვინც მოიტაცა. მთავარი ის იყო, რომ დანიშნული კაცის სანათესაოს, დაზარალებულს, არ შეეტია მომტაცებლის კლანისთვის. მართლაც, თუ ქალიშვილი ჯერ კიდევ თავისუფალი იყო, არ იყო დანიშნული, მამის თანხმობა და ზერელე მონანიება საკმარისი იყო, რომ არაკანონიერად ჩამოყალიბებული წყვილი კანონიერ წყვილად ქცეულიყო. ფაქტი ნათელია, ქორწინება თავისუფალი გადაწყვეტილებაა - არა მეუღლეების, არამედ ქალის მშობლების თავისუფალი გადაწყვეტილება.

IX საუკუნის მცირერიცხოვან ტექსტებში მოტაცების ფაქტებს ხშირად ვხვდებით. ქვრივი ქალები, მონაზვნები, ქალიშვილები, დანიშნული ქალიშვილები თუ დაუნიშნავები, ცოლები ახალგაზრდა მამაკაცთა ხროვის მიერ მონადირებულ ნადავლად აღიქმებიან. უნდა წარმოვიდგინოთ ეს ყალბი ნადავლი. თუმცა ქალები ეშმაკურად თავს აღწევდნენ იმას, რასაც მათ სამართალი თუ მიღებული წესი ავალებდა. მოტაცება ქმრებისავის საშუალება იყო გათავისუფლებულიყვნენ თავიანთი ცოლებისგან, საქმეს იმით აგვარებდნენ, რომ მათ ცოლები მოსტაცეს, ასევე ძმებს საშუალება ეძლეოდათ დებისთვის მემკვიდრეობა წაერთმიათ, მამებს - ქორწილის მძიმე ხარჯები თავიდან აეცილებინათ. ამ საოცარი ძალადობის მიზეზებს შორისაა, აგრეთვე, დაპყრობის სიამოვნება, ეს ველური სიხარბე გულს უკლავდა ჰინკმარს. ჩანს, სოცილაური წესები საბოლოოდ დამკვიდრებულა. მოტაცება თამაში ხომ არ გახლდათ, ახალგაზრდების თამაში, როგორც კოლექტიური გაუპატიურება - ფრანგულ ქალაქებში პრერენესანსულ ხანაში, რომელსაც ჟაკ როსიო შეისნავლის? ინდოევროპულ კულტურულ სისტემაში ეხება რა ქორწინებას[8], ჟორჟ დიუმეზილი მის ოთხ სახეს გამოყოფს, რაც ორ კონტრასტულ ფორმამდე დადის. ერთში, ქალიშვილი ლეგალიზებული გაცვლის ობიექტია. მას მამამისი გასცემს, ან ქმარი ყიდულობს. სრულიად საჯაროდ, შესაბამისი ცერემონიის დაცვით (ზეიმის დროს სახალხო მშვიდობას განადიდებენ) მეორეში, ეს მშვიდობა უარყოფილია, იგი თავისუფალი, უკონტროლო ინდივიდუალური ქმედებით არის დარღვეული. თავად ქალიშვილი მიყვება ან მოყვანილია ეპოპეის გმირის მიერ. ამ ორი ტიპის ქორწინებას შორის არსებული განსხვავება, ჩემი აზრით, იმ ეპოქაშიც იყო, რომელსაც მე შევისწავლი და განსაკუთრებით XII საუკუნეში, როდესაც საერო კულტურა ჩრდილიდან გამოდის, აშკარაა ქცევის ორ მოდელს შორის არსებული განსხვავება, რომელიც არისტოკრატ მამაკაცებს შესთავაზეს, იმისდა მიხედვით, „მოხუცები“ იყვნენ ისინი

თუ „ყმანვილები.“ იმის გათვალისწინებთ, რომ მაშინდელი საზოგადოებაში მიღებული იყო ხანდაზმულთა და ახალგაზრდების არა ასაკობრივი ჯგუფების პრინციპით დაყოფა, არამედ რეფრაქცია ორგვარ ღირებულებათა სისტემის სოციალურ პრაქტიკაზე დაყრდნობით, წესრიგზე, სიბრძნის ღირებულებაზე, ერთის მხრივ და მეორეს მხრივ, დაუოკებელი ლტოლვის, ცოცხალი ძალის ღირებულებებზე. როდესაც გიომ დე მალმესბური საყვედურობს ფილიპი I-ს, რომ მან დაივიწყა, რომ „სამეფო დიდებულება“ და „სიყვარული“ ერთად ვერ თანხმდება, იგი იხსენიებს ქალთან თავის დაჭერის ორგვარ წესს. ერთი ეხება სოლიდურ, დინჯ ხალხს, ხოლო მეორე ახალგაზრდებს. ავტორი ინტრიგის შუაგულში ათავსებს ამ უჩვეულო, უწესო ქმედებას: ქალის მოტაცება ღამით ხდება, რომელიც ორმოცი წლის მეფემ ჩაიდინა. XI საუკუნის ევროპის უმაღლეს საზოგადოებაში მთავარი წინააღმდეგობა განა ის არ იყო, რომ ახალგაზრდა მამაკაცებს უფროსებს უპირისპირებდა? „ყმანვილების“ მოქცევის წესი ამ კონფლიქტური სიტუაციიდან არ მოდიოდა? განა ეს წესი არ გულისხმობდა ქალებზე ძლიერ შეტევას, ქმრების თუ გამრიგებლების თვალწინ? ამ მოტაცებასა და ნადირობას შორის კავშირი აშკარაა, ეს წესი გავრცელებული იყო კეთილშობილი ბიჭების აღზრდისას. ძარცვის ეს რიტუალი, ნელ-ნელა თამაშს დაემსგავსა. იგი XII საუკუნეში ჩანს, გაკონტროლებულ თამაშამდე დაყვანილი: საქმე კურტუაზულ სიყვარულთან გვაქვს. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს წესები სინამდვილეში კაროლინგული არისტორატიის მიერ იყო შექმნილი. მე ვთქვი, რომ XI საუკუნის ბოლოს ეკლესიის მესვეურები კეთილი ქორწინების ერთი და იმავე კონცეფციას არ იზიარებდნენ. არც მეომრები ყოფილან ერთსულოვანნი. სენიორების, ოჯახის უფროსების მხრიდან კაროლინგი მეფეების მიერ ჩადენილ მოტაცებათა საწინააღმდეგოდ გამოქვეყნებული წესები მხოლოდ მათ შორის არსებულ წინააღმდეგობას უპასუხებდა. ეპისკოპოსებთან შეთანხმებით, მეფეები კანონზე საუბრობდნენ, რათა ახალგაზრდების ხმაურს მათ ძალაუფლება არ შეეზღუდა.

თუ გავითვალისწინებთ საეროთა ძალაუფლებას, საზოგადოების სოლიდური ნაწილს, სოციალურად აღიარებულ, სტაბილურ, მშვიდობით, სიბრძნით ჩამოყალიბებულ წყვილებს, ერთ სხვა შტრიხსაც აღმოვაჩენთ. ჩანს ამ დროისთვის არ არსებობდა ცოლქმრული ცხოვრების მხოლოდ ერთგავრი სტილი. ჰინკმარი ერთ-ერთ მათგანზე საუბრობს, რომლის წესებსაც მოკლედ აგვიწერს, იხსენიებს მზითვს, ჟესტებს, რითაც ქალიშვილი მიღებულია; იგი მას თავის სახელს აძლევს, სპეციფიკურს, კერძოდ, „ლეგალური ქორწინებით დაწყვილებას“, რომელიც „კანონს“ შეესაბამება, რომაულ კანონს. ამავე დროს იგი ამ ფორმას სხვა ფორმისაგან განასხვავებს, რომელთა არსებობა მან საიდუმლოდ იცოდა. უკვე 829 წელს რაპორტში, რომელიც ეპისკოპოსებმა ლუი ღვთისმოსავს წარუდგინეს, ეს სხვაობა გათვალისწინებულია. ეს რაპორტი „მეუღლეს“

„საყვარელს“ უპირისპირებს. IX საუკუნის მეცნიერები პრეტენზიას აცხადებდნენ ანტიკური რომის ტრადიციების აღდგენაზე. ძველი იმპერატორების მიერ გამოქვეყნებულ კანონებში, ისინი ქორწინების ასეთ მოდელს ხედავდნენ, კანონიერ ქორწინებას (მკაცრი პირობებით), რომელიც მოითხოვდა, რომ მეუღლეებს ერთნაირი სტატუსი ჰქონოდათ. მაგრამ ამ ტექსტებში მათ აგრეთვე აღმოაჩინეს სხვაგვარი კავშირის კვალი, ასევე ძალიან ოფიციალური, მაგრამ უფრო მარტივი, ბევრად უფრო გავრცელებული - თანაცხოვრება. ადრე ეკლესიას კანონიერად მიჩნდა დანყვილების ეს საჯარო ფორმა და ფორმალურად 398 წელს დააფიქსირა კიდეც ტოლედოს საეკლესიო კრების მე-17 კანონში. 829 წელს ფრანკი ეპისკოპოსები, მონოგამიის მიმართ პრინციპულნი, ამტკიცებენ, რომ ერთ მამაკაცს ერთი პარტნიორი უნდა ჰყოლოდა. მაგრამ ისინი მიმტევებელნი იყვნენ საყვარლებისადმი, სრულყოფილი ქორწინების არარსებობის შემთხვევაში. ესეც უნდა ყოფილიყო. ეპისკოპოსები საზოგადოების გარდაქმნას არ ელოდნენ. ეს გაორება უპირატესობას არ იყო მოკლებული: იგი საშუალებას იძლეოდა მოქნილად მიეღოთ ნესები: შესაძლებელი იყო უარი ეთქვათ მღვდლისათვის ცოლის მოყვანაზე, თუმცა თანამეცხედრის ყოლა დაშვებულად ცხადდებოდა. ასევე მიღებული იყო მეომარისგან საყვარლის გაგდება „კანონიერი ქორწინების“ შემთხვევაში და ეს ბიგამიად არ ითვლებოდა. საკმარისი იქნებოდა პაპი ლეონ I-ის წერილის? სხვა კანონიკური ტექსტის მოყვანა. „კაცი თავისი საყვარლის გაგდების შემდეგ თუ დაქორწინდება, ხელმეორედ დაქორწინების უფლებას დაკარგავს: ეს არ იქნება სრულფასოვანი ქორწინება... მამაკაცთან დაკავშირებული ქალი მისი ცოლი არ იქნება.“ მოყვანილი ტექსტი ამ ჩვეულების ურღვევობის გარანტია.

ფრანკული საქორწილო სამართალი ნაკლებად იყო ცნობილი. ყოველ შემთხვევაში, ვიცით, რომ ქვედა ფენებში აღიარებდნენ Muntehe-ს, რომაული „კანონიერი ქორწინების“ ეკვივალენტს, და ზედა ფენებში უბრალო კავშირს, Friedelehe-ს. მეორე რანგის ამ ცოლქმრობას იყენებდნენ ყმანვილთა სექსუალური აქტივობის მოსანესრიგებლად ისე, რომ საბოლოოდ არ გაესვრათ „ღირსება“. ამგვარი ოჯახებიდან, მართლაც, ნაკლებად უზრუნველყოფილი მემკვიდრეები იბადებოდნენ, ვიდრე კანონიერ წყვილთა შვილები. თუ მათ მამას მოუნდებოდა უმაღლესი რანგის ალიანსის გაფორმება, მეორე ქორწინებიდან შობილი შვილები პირველი ქორწინებისაზე წინ იდგნენ. ასეთნაირად ჩამოყალიბებული კავშირი ხშირად დროებითი იყო. თუმცა ოფიციალური, რიტუალური ხასიათი ჰქონდა, არსებობდა Morgengabe, ქალწულობის ფასი, რომელსაც ქორწინების პირველ ღამეს იხდიდნენ. ქალიშვილი უფრო დროებით გადაცემულს ჰგავდა, ვიდრე საბოლოოდ გათხოვებულს. თუმცა ნათესაობამ იგი საზეიმოდ გაათხოვა, კონტრაქტით, თავისუფალი გადანყვეტილებით, მშვიდობიანად.

კარლოს დიდის ქცევის გამო ქალის მოყვანის ორგავრი მანერა გაჩნდა, რომელიც მოგვიანებით დაკანონდა კიდეც. იმპერატორს ორი ქალიშვილი ჰყავდა. მან ისინი არ გაათხოვა, არავის არ მისცა სამეფო მემკვიდრეობის პრეტენდენტთა გამრავლების შიშით. მან ისინი თავის სახლში გამოკეტა, თავის Munt-ში, თავისი ძალაუფლების ქვეშ. კარლოსმა ისინი Friedelehe-ს მიანდო და ამგვარად შვილიშვილები შეეძინა, რომელნიც უუფლებონი იყვნენ კანონიერი ქორწინებიდან შობილი შვილიშვილებისაგან განსხვავებით. თავად კარლოს დიდს რაც შეეხება, ოთხი კანონიერი ქორწინების გარდა (პირველი ცოლი მალევე გაუშვა, დანარჩენები ერთმანეთის მიყოლებით გარდაიცვალნენ), კიდევ სულ მცირე ექვსი კავშირი ჰქონდა, კერძო, არა სახალხო, ქვრივობის პერიოდში გაფორმებული, ასევე ცნობილი იყო მისი ერთი მეგობარი ქალი, ჰიმილტრუდა, რომელიც მან პირველ სრულფასოვან ქორწინებამდე მიიყვანა. პაპმა ეგნატე II-მ ეს ქორწინება კანონიერად მიიჩნია. ვაჟი, რომელიც ამ ქორწინებიდან დაიბადა, სამეფო სახელს იღებს, პიპინს, რათა მოსალოდნელი მემკვიდრე გახდეს. ყოველ შემთხვევაში 806 წელს კარლოს დიდი შეუდგა საკუთარი ქონების გაყოფას, მემკვიდრე ვაჟები არც კი უგულისხმია, მათ მან სამეფო არ უანდერძა. პიპინი აღშფოთდა. მისი ამბოხის შემდეგ, იგი მონასტერში გამოკეტეს, როგორც უკანონო შვილი, რომელიც მოხუცებულობის, დროებითი გართობის, ნაყოფი იყო. პიპინის საუბედუროდ, მომდევნო Muntehen შვილები უფრო ნარმატებულნი იყვნენ.

საქორწილო კავშირის მოქნილი ჩვეულება საკამოდ მყარი გახლდათ. წერილობითი წყაროები მას X-XI საუკუნეების ჩრდილო-დასავლეთ საფრანგეთის არისტოკრატიაში მიღებულად წარმოგვიდგენს. სკანდინავიურმა მიგრაციებმა შესაძლოა ეს ჩვეულება აქ გამოაცოცხლა. ყოველ შემთხვევაში მასზე საუბრობენ, როგორც „დანიური წესით" ქორწინებაზე. აი რას ამბობს მასზე უფრო მოგვიანებით, 1040-1048 წლისათვის, რაულ გლაბერი, თავისი „ისტორიების" IV წიგნში: „გალიაში შემოსვლიდან ნორმანდიელებს თითქმის მუდამ არაკანონიერი ქორწინებით შობილი უფლისნულები ჰყავდათ (აქ იგულისხმება გიომ დამპყრობლის შემთხვევა, რომლის დედა დაქორწინდა სულელ დანიელ რობერზე, ნორმანდიელთა გრაფზე; ამიტომაც გიომი უკანონოდშობილის სახელს ატარებდა; ეს ქალი შემდგომ ნამდვილად ვიკომტის კანონიერ მეუღლედ იქცა). მაგრამ გასაკიცხს ვერაფერს ნახავდნენ ამ ჩვეულებაში, თუ გაიხსენებდნენ იაკობის საყვარლების ვაჟებს (რაულ გლაბერი ბერია, მისი მორალი კი - მკაცრი. თუმცა იგი სულაც არ კიცხავს, არადა მან უნდა გაკიცხოს ამგვარი კავშირი, არც უნდობლად არ უყურებს ასეთი კავშირის შედეგად შობილ ბავშვებს; იგი ძველ აღთქმას ეყრდნობა; იქ კი ნამდვილად აღმოაჩენთ ისეთ ცოლქმრულ პრაქტიკას, რომელიც ნაკლებად ემთხვევა იმას, რასაც შემდგომ ეპისკოპოსები რეკომენდა-

ციას უწევდნენ; პანეგირისტები ფრთხილად უნდა ყოფილიყვნენ, როდესაც კაროლინგ მეფეს სოლომონს ან დავითს ადარებდნენ, ყველას, ვინც ეკლესიის მოთხოვნებს ეწინააღმდეგებოდა სექსუალურ სფეროში, ბიბლიიდან ურთიერთსაწინააღმდეგო არგუმენტები ამოეღება არ გაუჭირდებოდა)". ვიფიქროთ, ამბობს გლაბერი, იაკობის საყვარლებზე, რომლის ვაჟებმა „მათი წარმოშობის მიუხედავად, მემკვიდრეობით მამის ყველა პატივი მიიღეს (სხვა ძმების დარად), პატრიარქის ტიტულიც კი. არ უნდა დავივიწყოთ, რომ იმპერიის ხანაში, ელენეც, რომის იმპერატორის დედა, საყვარელი გახლდათ. „მაგრამ, როგორც ფრანკთა ეპოქის Friedelfrauen-ის შვილები, სულელი დანიელის მეუღლეთა შვილებიც X და XI საუკუნეებში მეორე რანგის მემკვიდრეებად ითვლებოდნენ. გიომ უკანონოდშობილს შეუპოვრად უნდა ებრძოლა, რათა მამამისის მემკვიდრეობა გაეერთიანებინა და იმავდროულად, ის გვირგვინის მიღების უფლებისთვის იბრძოდა. ამიტომაც, ფილიპ I-მა, როგორც უკვე აღვნიშნე, მისი ქორწილების სრული კანონიერების აღიარება მოითხოვა.

თანაცხოვრების პრაქტიკა კარგი იყო, რადგანაც ოჯახურ ინტერესებს ემსახურებოდა. იგი მემკვიდრეობას ისე იცავდა, რომ ძალიან ღიად არ ზღუდავდა ახალგაზრდობას და არც საერო ღირებულებათა სისტემას აყენებდა დარტყმას. ეს სისტემა გმირულ სიმამაცეს განადიდებდა. იგი თავის მეომრებთან, თავის მონადირეებთან ერთად ოცნებობდა, ახალგაზრდა მამაკაცებს თავგადასავლებისკენ უბიძგებდა. ამით კი მეგობარ ქალებს აშორებდა. ესა თუ ის შემთხვევითი დანყვილებები შეიძლება რეგულარული გამხდარიყო, თუ მათი მამა ან ბიძა შერჩეული ქალიშვილის ნათესაობასთან საერთო ენას გამონახავდა, ბრაზს დაიცხრობდა, Morgengabe-ს გადაიხდიდა. ასე ხდებოდა ხმაურის შეთანხმებით დასრულება. მაგრამ ოჯახის უფროსებს უფლება ჰქონდათ იგი დაერღვიათ, უმაღლესი ხარისხის შეთანხმებით შეეცვალათ. მათ თვალყური უნდა ედევნებინათ, რომ საბოლოოდ, თავიანთი ოჯახის ვაჟების საძინებლებში მანამ არ შეეღწიათ ქალებს, ვიდრე მათი ღირსებები გულდასმით არ იქნებოდა შეფასებული. მხოლოდ ამ უკანასკნელებს ენიჭებოდათ მეუღლეთა წოდება. მათ გამო საყვარლები გაგდებულნი უნდა ყოფილიყვნენ.

თანაცხოვრების თანხმობა რიტუალების გარეშე არ სრულდებოდა. მაგრამ ის, რაც კანონიერ ქორწინებას ამყარებდა, განსხვავებული იყო: ერთის მხრივ, აუცილებელი იყო წინასწარი მოლაპარაკებები, მეორეს მხრივ, ბევრად უფრო დიდი და საჯარო ქორწინება. მომავალი მეუღლე ჯერ საზეიმოდ უნდა გაეთხოვებინათ - ეს იყო ქორწილი - შემდეგ საზეიმოდ მიეყვანათ მეუღლის სარეცელთან - ესეც ქორწილი იყო. საქორწილო სარეცელთან ხმაურიანი, დიდძალი ხალხის მიმზიდველი დღესასწაული გრძელდებოდა, ხორციელი კავშირის დასადასტურებლად, სამხიარულოდ, სიამოვნებების გამოსახატავად, საიდუმლო

საჩუქრების მისაღებად იყო მოხმობილი. საუბარია სისხლსა და ხორცზე. მეომრებისათვის ისევე, როგორც მღვდლებისათვის, ქორწინების ფუნქცია გამრავლება იყო. ქალი სახლში იმისათვის მიჰყავდათ, რომ მემკვიდრეები ეშვა. ამის გამო იყო იგი მიღებული. სწორედ ამ გამრავლებისათვის გახლდათ იგი მიღებული. ეს მანუელ დე დუოდას ნაწერიდან ჩანს. VIII წიგნში, შარლ მელოტის თანამედროვე დიდებული ქალბატონი ასწავლის თავის ვაჟს ლოცვას, ვისთვის უნდა იგალობოს ფსალმუნები. „ილოცე, ეუბნება დედა მას, მამაშენის მშობლებისათვის, რომ მათ თავიანთი ქონება კანონიერ მემკვიდრეს დაუტოვონ“ - აქ ნათლად იკვეთება კავშირი წინაპართა მეხსიერებასა და მამულის გადაცემას შორის: ილოცე მამაშენის მშობლებისათვის, რადგანაც მამაშენმა მათგან მიიღო ის, რამაც შენ უნდა მდიდარი და დიადი გაგხადოს. დუოდა აგრძელებს: „ვინ იყვენენ ისინი, რა ერქვათ, შენ ამას ამ წიგნის ბოლოს დანერილს ნახავ.“ გარდაცვლილები ჩამოთვლილია იგივე თხზულების X წიგნში და ისინი არიან მამის მხრიდან პაპა და ბებია, ასევე ბიძები და დეიდები. სხვა წინაპრები ანუ ქალის წინაპრები არ იხსენიებიან, ქალის სანათესაო ხაზი არ ჩანს, თავისთავად არც ამ ცოლის. ქალი თავის ვაჟს არაფერს ეუბნება საკუთარ წინაპრებზე.

ქალის ინტეგრაცია მამაკაცის ოჯახში (მხოლოს ამ კაცს შეეძლო მისი განაყოფიერება) ხანდახან იქმადეც კი მიდიოდა, რომ მას სახელსაც კი უცვლიდნენ (ამ პერიოდში არ არსებობდა ოჯახის გვარი, თაობიდან თაობაზე ზედნოდება გადადიოდა): ამგვარად, მატილდა გადაიქცა ბლანშად ან როზად. იმისათვის, რომ ამ ქალს თავისი როლი შეესრულებინა ოჯახში, სახლი კანონიერი ბავშვებით აევსო, მისი მუცელი, მისი სისხლი იყო საჭირო. შობადობისას მისი წინაპრების სისხლი სამუდამოდ მისი ქმრის წინაპრების სისხლს უერთდებოდა. ეს იყო შეერთება, ღიად გამოცხადებული არჩევანი, როდესაც ვაჟებსა და გოგონებს სახელებს არქმევდნენ, ორივე შტოს წინაპართა სახელებს ირჩევდნენ. ოჯახს უფლება ეძლეოდა ცოლისათვის სახელი შეეცვალა, მაგრამ ქალი ოჯახში შედიოდა, უცხო ადამიანის სტატუსი ეხსნებოდა, მისი შთამომავლების მსგავსად ამიერიდან ქმრის სანათესაოს ეკუთვნოდა. ოჯახში ამ გარდაუვალ შეჭრას დიდი სიფრთხილე და ხანგრძლივი მოლაპარაკებები უძღოდა წინ, სანამ საქორწილო ცერემონიალი სქესებს არ შეაუღლებდა და ორ სისხლს არ შეაერთებდა. ოჯახის ყოველი წევრი მოლაპარაკებაში უნდა ყოფილიყო ჩართული. ასევე სხვა ცერემონიალიც არსებობდა, სხვა წესებიც. არა ის, რასაც მოგვიანებით ქორწინება ეწოდა, მხიარული ეგზალტაცია და ხმაური, არამედ დინჯი მსჯელობა. რიტუალი გონიერების და ხანგრძლივი სიტყვების, რწმენის და მშვიდობის ატმოსფეროში მიმდინარეობდა. მომავალი საცოლის სახლში მომავალი ქმრის მშობლები მიდიოდნენ. ისინი საუბრობდნენ. ეს საუბრები კაცსა და ქალს ავალდებულებდა, განსაკუთრებით კი მამაკაცს, რამდენადაც

მამაკაცებს უფრო მეტი ძალაუფლება ჰქონდათ (Munt, როგორც ძველ გერმანიაში ამბობდნენ). დამსწრე საზოგადოება, თუმცა ნაკლები ვიდრე ქორწილზე, მაინც ბევრი იყო, რათა საუბარი ყველას მოესმინა. ყველას შეეძლო ენახა ჟესტები, რომელიც მათ თან ახლდათ, ნივთები, რომლებიც ხელიდან ხელში გადადიოდა და მფლობელობის გადაცემას მიანიშნებდა. ეს თანხმობის ცერემონიალი ხანდახან ნინ უსწრებდა ქორწინებას, და ეს უკანასკნელი სარისკოც კი იყო: უეცრად სხვა მამაკაცი შეძლება გამოჩენილიყო და ქალიშვილი გაეტაცა. ეს იყო ნიშნობა. ამ სიტყვამ დღეს თავისი ძალა დაკარგა. ნიშნობა მყარად აკავშირებდა წყვილს. ქალი უკვე გათხოვილი იყო.

ამდენი სიფრთხილის შემდეგ ოჯახში შემოყვანილი ქალი საეჭვოდ, მონინააღმდეგედ ეჩვენებოდათ. მამაკაცები ცოლქმრობაში ისე ცხოვრობედნენ, როგორც მკაცრ, სერიოზული სიფხიზლის მომთხოვნ ბრძოლაში. გამოკვლეულია, რომ მამაკაცური ფსიქოლოგიის სიღრმეში მიყუჩებულია გრძნობა, რომ ქალი (ქალი ღამის, წყლის, მთვარის ასოციაციას ინვევდა, ყველაფრისა რაც ცივი და ლურჯი იყო) უფრო ცეცხლოვანი და შმთანთქავია, ვიდრე მამაკაცი. ქმარს ეშინოდა, რომ მარტო ვერ ჩააქრობდა ამ ვნებას. იონა ორლეანელი ქმრებს ენერგიისგან დაცლას შეახსენებდა, რომელიც მამაკაცს იმ შემთხვევაში ელოდა, თუ თავს არ მოთოკავდა. მაგრამ ქმარმა ასევე იცოდა, რომ მისი პარტნიორი, რომელსაც იგი საქორწინო სარეცელზე უპირისპირდებოდა, პირდაპირ თამაშს არ თამაშობდა, რომ იგი თავს იკატუნებდა. მამაკაცს ღალატის ეშინოდა.

მღვდლებისა და მეომრების, მოხუცებისა და ახალგაზრდების მორალს შორის შეთანხმება არსად ისეთი მჭიდრო არ ყოფილა, როგორც ქალის მიმართ დამოკიდებულებაში, სადაც ერთამნეთს ერწყმის უნდობლობა და ზიზღი, შიში და სიფრთხილე. ეს დამოკიდებულება იმ ეტიმოლოგიითაა გამოხატული, რომლითაც იმ დროის მეცნიერები მანიპულირებდნენ. ლათინური სიტყვა გამოარჩევდა მამრს, vir (მამაკაცი), მათთვის გზავნიდა virtus, ე.ი. ძალას, პირდაპირობას, მაშინ, როცა ქალური mulier (ქალი) ერწყმოდა mollitia-ს (სირბილე, მოქნიოლობა), რომელიც სირბილეზე, მოქნილობაზე, დუმილზე საუბრობს. უნდობლობა და ზიზღი აუცილებელს ხდიდა ქალის მორჩილებას, თოკავდა მას, როგორც მოგვიწოდებს დაბადების წიგნის ფრაზები ანდა ეპისტოლენი, რომელთაც ეკლესიის მესვეურნი იმეორებდნენ. საერო პირები ტაშს უკრავდნენ ყველაფერს, რაც უფალს უფრო მკაცრად წარმოაჩენდა ქალური სიძვის მიმართ და რომლის დასჯასაც იგი მოითხოვდა. ეპისკოპოსები, თუ თავს მოვალედ ჩათვლიდნენ ქვრივ ქალებსა და გაყრილი ცოლებისთვის ემეთვალყურათ (რადგანაც მათი მოვალეობა იყო სუსტების დაცვა, „საწყლების", როგორც ისინი ამბობდნენ), მამაკაცებს ცოლების მოთვინიერების, გამოსწორების შანსს დაუტოვებდნენ, როგორც

წვრთნიან და ასწორებენ ბავშვებს, მონებს და საქონელს. როდესაც ქალმა გაბედა სახალხოდ სასამართლოში ეჩივლა ატინიში თავისი მეუღლისათვის იმის თაობაზე, რაც სახლში და შესაძლოა საწოლში მოხდა, ეს, ვიმეორებ, სკანდალი იყო. თავად აღშფოთებულმა ეპისკოპოსებმა საქმე დაქორწინებულ მამაკაცებს გადასცეს, რომლებმაც ყოველგვარი ეჭვის გარეშე იგი ქმარსა და მის ახლობლებს გადაუგზავნეს.

ამდენად, ოჯახური ღირსება დიდწილად ცოლების ქცევაზე გახლდათ დამოკიდებული. დიდი საშიშროება იყო, რომ ისინი ცოდვას მისცემოდნენ, ხორციელ ცოდვას, რასაც მათი ტემპერამენტი უწყობდა ხელს. საერო პირები სირცხვილის თავიდან ასაცილებლად, ქალური სექსუალობის გაკონტროლების აუცილებლობას ამართლებდნენ. მღვდლების მსგავსად, ისინიც ქორწინებას სიძვის წამლად მიიჩნევდნენ, ქალური სიძვის. მამათა უფლება თავიანთი ქალიშვილების გათხოვება იყო, რათა ღირსების აყრისგან თავი დაეცვათ, რომლის მიზეზიც შეიძლება მისი ქალიშვილები გამხდარიყვნენ. სიკვდილის წინ კარლოს დიდი სახალხოდ გააკრიტიკეს: მან შეცოდა, უარყო რა თავისი ქალიშვილების კანონიერი გათხოვება, მან შვილებს ქალური ერთგულების უფლება წაართვა, პირველი ქალური ცოდვის ამარა დატოვა. არადა იგი მათ საქციელზე იყო პასუხისმგებელი. ზოგიერთი მას კიცხავდა - ამით მეფემ სამეფო სახლის ღირსება გააფერმკთალა. რაც შეეხება ქმრებს, მათი მოვალეობა თავიანთი მეუღლეების ცდუნებებისგან დაცვა იყო: ეს ცდუნება ცოლს ემუქრებოდა; მას ქმრისაგან მოშორებითა ურნდა ეცხოვრა. არისტოკრატიულ სახლებში მასპინძლები ცოლები იყვნენ, ისინი იღებდნენ სტუმრებს. როგორც დედოფალი, რომლის ფუნქციებს კაროლინგურ სასახლეში ჰინკმარი ასე აგვიწერს: დედოფალი თვალს ადევნებდა სასახლის მარაგს, საგანძურს. მასვე ევალებოდა მთელი პროდუქციის, შემონირულობების დაბინავება და გადანაწილების ორგანიზება. დედოფალი მამაკაც მოსამსახურეთა ჯგუფს მართავდა, ამავე დროს მას ყოველდღიური ურთიერთობები ჰქონდა მომსახურთა უფროსთან, სამეფო ხაზინადართან. რა ურთიერთობები შეიძლებოდა ჰქონოდა მას ამ კაცთან იმ საიდუმლო, ბნელ პატარა ოთახში, სადაც სურსათ-სანოვაგეს, სამკაულებს, ძალაუფლების ინსტრუმენტებსა და ატრიბუტებს ინახავდნენ? დიდ ადგილი რჩებოდა ეჭვებისათვის, ჭორებისათვის, რომელმაც მთელი კაროლინგური იმპერია მოიარა იუდიტზე, შარლ მელოტის ცოლზე, და ხაზინადარ ბერნარზე. საშიშროება გაჩნდა. ყველაზე საშინელი ის იყო, რომ ქალი დაორსულდა სხვა მამაკაცისაგან და არა თავისი ქმრისგან, და რომ სხვა სისხლის ბავშვები მამის, პატრონისგან განსხვავებული სისხლისა, ერთ დღეს თავისი დიდებული წინაპრების სახელს და მათ მემკვიდრეობას მიიღებენ. იმას, რასაც მღვდლები ევას დაცემაზე ხშირად იმეორებდნენ, დიდებულები ყურადღებით უგდებდნენ ყურს.

საბოლოო ჯამში ყველაფერი ეს გვაფიქრებინებდა, რომ კაროლინგური ეკლესიის მეთაურებს მაშინ უსმენდნენ, როდესაც ისინი ქორწინებაზე თავიანთ კონცეფციას დიდებულთა სახლების მმართველების წინაშე წარმოთქვამდნენ. გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეკლესიის მესვეურები დანაშაულად მიიჩნევდნენ მამკაცისგან ცოლის ღალატს, ასევე ცოლის გაშვებას, და იმას, რასაც ინცესტს ეძახდნენ. ამ ორ საკითხზე, ორი მორალი ვერ შეთანხმდებოდა. არისტოკრატიის მთავარი საზრუნავი წინაპართა ვაჟკაცობის მამრიდან მამრზე გადაცემა იყო. კაცს ისეთი ცოლი უნდა გაეშვა, რომელიც ვაჟების გაჩენას აგვიანებდა, და სხვა ცოლი მოეყვანა, როცა გაცილებით საპატიო კავშირის დამყარების შანსი გამოჩნდებოდა; თუ ორი სისხლის აღრევა იყო საჭირო, სანათესაოდან გამოსული უნდა აერჩიათ, ოღონდ სისხლითნათესაობის მესამე მუხლის თავის არიდებით.

ქორწინების პრაქტიკის ქრისტიანიზაცია, ჩანს, მარტივად ხორციელდებოდა საზოგადოების დაბალ ფენაში, იმ ადამიანებში, რომლებიც ღარიბები იყვნენ, მათში, ვინც არაფერს ფლობდა, ყველა დაკაბალებულში, რომლებსაც საკუთარ სხეულზეც კი არ ჰქონდათ უფლება. ხალხში, რომელზეც ჩვენ ცოტა რამ ვიცით, ეკლესიის მიხედვით, ქორწინება ადვილად ხორციელდება საერო დაწყვილების ფორმით, თანაცხოვრებით. ის ინვენტარი, რომელიც IX საუკუნით თარიღდება, გლეხობას დიდ დომენში ცოლქმრულ კელიაში წარმოგვიდგენს. აქ საქორწილო კავშირების გაბმა მეპატრონეთა ინტერესებს ემსახურებოდა: ეს კავშირი დამოკიდებულების დასაფიქსირებლად, ლენური მორჩილების დამკვიდრებას ემსახურებოდა; იგი ხელს უწყობდა მათ გამრავლებას, ანუ დომენის კაპიტალის გაზრდას. საზოგადოების ამ დონეზე, ქორწინების ქრისტიანიზაცია ამგვარ კავშირებს ამყარებდა. იგი საზოგადოებას მაშინ აწუხებდა, როდესაც კეთილშობილთა სასახლეების ცხოვრების სტილს უშლიდა ხელს. ამიტომ კონფლიქტი, რომელიც IX საუკუნეში ორ მორალს შორის წარმოიშვა, სოციალური პირამიდის უმაღლეს საფეხურზე განვითარდა, რომელიც სასულიერო პირებს მეფეებსა და დიდებულ სენიორებს უპირისპირებდა.

ლუი ღვთისმოსავის მეფობის დროს (ეს ზედსახელი ყველაფერს ააშკარავებს), მაშინ, როდესაც იმპერიის მსოფლმხედველობისა და წმინდა მეფის უფლებების განსაზღვრა ხდებოდა, კაროლინგური სასახლე ღია იყო საეპისკოპოსო მოწოდებებისათვის. იმპერატორმა მამისის მომხრეები განდევნა და ამით სასახლე განწმინდა, თავისი დები მონასტრებში გამოკეტა და მათივე უსაქციელობა გაასამართლა. როდესაც ეინჰარდი კარლოს დიდის ცხოვრებას წერს, იგი მის ქებას საყვედურსაც ურთავს, კერძოდ, კარლოს დიდის სექსუალური ქცევის მიმართ, რისი მტკიცებაც იმ დროისთვის მისაღები იყო. ვიზიო ვეტინის ტექსტი გვთავაზობს აზრს, რომ დიდმა იმპერატორმა შესცოდა, და რომ იგი

ამჟამად ცოდვათა განწმენდისთვის უნდა მოემზადოს. მისთვის სამოთხის კარი დახურულია, რამდენადაც მას საიდუმლო (უეჭველად სექსუალური ხასიათის) შეცდომა არ გამოუსწორებია. ეს ეჭვიც ცნობილია: კარლოს დიდი საკუთარ დას დაუკავშირდა. სწორედ ამ ინცესტიალური კავშირის შედეგად იშვა როლანდი, მისი დისშვილი, მაგრამ ამავე დროს მისი ვაჟიც.

მალე მორჩილებამ ადგილი დაუმორჩილებლობას დაუთმო და შარლ მელოტის დროს დაპირისპირება გაიზრდა. უმაღლესი წოდების ნარმომადგენელთა წინააღმდეგ, ნაკლებად „ღვთისმოსავების", რომლებიც ცოლების გაშვებისაგან თავს არ იკავებდნენ, ჰინკმარი „გაყრის ტრაქტატს" წერს: „კანონიერად დამყარებული ქორწინება არავითარი მიზეზის გამო არ უნდა დაირღვეს, მხოლოდ თუ მეუღლეთა სულიერ დაშორებაზეა საუბარი (როდესაც ქმარი და ცოლი გადაწყვეტენ მონასტერში ერთად ნასვლას) ან თუ ფიზიკური სიძვა აშკარა აღიარებით ან ღია მტკიცებითაა გამოხატული... ამ შემთხვევების გარდა, მამაკაცმა თავისი მეუღლე უნდა შეინარჩუნოს". მაშინაც კი, როდესაც ქალი ფიცხი, აუტანელი მეგერა, ცუდი ქცევის, გარყვნილი, გაუმაძღარი, ხარბი, ამქვეყნიურ სიამოვნებებზე დახარბებულია. „და თუ ქმარი შორდება მოღალატე ცოლს, მან ცოლი აღარ უნდა მოიყვანოს". ამგვარად, ლოტარინგიის მეფისათვის თავის კანონიერ, ბერნ ცოლთან გაყრა უნდა აეკრძალათ, რათა კანონიერად დაქორწინებულიყო საყვარელზე, რომლისგანაც უკვე შვილები ჰყავდა. პაპი იოანე VIII-ს მოწოდებით, ეკლესიამ თანაცხოვრების შედეგად გაჩენილი ვაჟების უკანონოდ შობილებთან (ნამიერი ურთიერთობის შედეგი) გაიგივება დაიწყო, რათა მათთვის ყველა უფლება ჩამოერთმიათ[10]. ეს სიმკაცრე სიახლეს წარმოადგენდა, რამაც ასკეტური ტენდენციები აამაღლა. ერთი პერიოდი დასრულდა, ეპისკოპოსთა ლამაზი ეპოქა, როდესაც სასულიერო პირთა რეალიზმი, თავშეკავებულობა, მათი მნიშვნელოვნების შეგრძნება, მშვიდობას ამყარებდა ეკლესიის დოქტრინასა და დიდგვაროვანთა ქცევას შორის.

კომპიენის სასახლეში მოხუცებული შარლ მელოტის გვერდით იოანე სკოტ ერიუგენა, ძალიან დიდი მეცნიერი, ბერძნულ ტექსტებს სწავლობდა. მე მგონი მხოლოდ მას შეეძლო მათი წაკითხვა. იგი ქრისტეს მეორედ მოსვლაზე ოცნებობს. თვლის, რომ ნათელთან ზიარებისათვის ხილულ სამყაროს ზურგი უნდა აქციო, სიმძიმისაგან უნდა გათავისუფლდე, ანუ სხეულისაგან. თავის ტრაქტატში „ბუნების დაყოფისათვის", იგი ადამს ედემის ბაღში განიხილავს, კაცს - თავდაპირველ სრულყოფაში, რომლის ცოდვაც მალე გამოვლინდება, რომლის აკვიატებული მოგონება არსებობს, და რომლისკენაც თითოეული მთელი ძალით უნდა მიისწრაფოდეს. იოანე სკოტი არ გამორიცხავს, რომ ადამისა და ევას სხეულებმა სამოთხეში შეერთება შეძლეს, მაგრამ იგი თვლის, რომ ად-

ამმა შეძლო სხეულის სხვა ორგანოების ამოძრავება ტანჯვისა და ცეცხ-ლის გარეშე: „სხეულისა და სულის სიმშვიდეში, ისე, რომ ქალწულობა არ დაერღვია, ქმარმა შესძლო ქალთან ცხოვრება[11]". იოანე სკოტი ამგ-ვარად ნარმოიდგენს ადამიანური მოდგმის გამრავლებას სიამოვნების ცეცხლის გარეშე. აქ იგი ავგუსტინესეულ ხაზს არ შორდება. იგი უფრო შორს მიდის, როდესაც აცხადებს, რომ „აღდგომის დროს სქესი აღარ იარსებებს, ხოლო ბუნება გაერთიანდება[12]. ბუნების ნიაღში მიმდინარე გარდატეხა სქესებს დააშორებს; სამყაროს დასასრული ორსქესიანობას მოსპობს, უფრო ზუსტად ის მოსპობს ქალურობას: ნათლის გადმოდ-ინებისას ბოლო მოეღება არასრულყოფილებას, ამ ქალურ ლაქას შესაქ-მის სიწმინდეზე. იოანე სკოტი ამატებს: „მხოლოდ კაცი იქნება ისეთი, როგორიც ცოდვით დაცემამდე იყო". მისი ფიქრების უკან პირველადი ჰერმაფროდიტის ხატი იკვეთება. ევა ადამის ნეკნია. არსებობდა კი ევა თავად სამოთხეში? მართლა გამოყოფილი იყო იგი ადამის ნეკნიდან? უცოდველი იყო? ეს დაცემა იოანე სკოტისთვის სხვა რამე ხომ არ არის, და არა ნეკნის ამოღება ანუ მოდგმის სექსუალიზაცია? გამრავლება, რომელზეც ის ოცნებობს, სხეულთა შეერთებაზე სიამოვნების გარეშე, სხვა რამეა, ვიდრე საწყისთან დაბრუნება, ხელახლა შერნყმა? აქ, მი-ნაზე ხელახალი შეერთება ვერ მოხერხდება. უნდა დაველოდოთ ხორ-ციელი სამყაროს აღსასრულს. ამისთვის კი უნდა მოვემზადოთ, კერ-ძოდ, თავშეკავებითა და სქესობრივი აქტზე უარის თქმით. სამოთხეში დანყვილება, მამაკაცისა და ქალის ქორწინება სასაცილოდ გამოიყურე-ბა. ასეთი კავშირი კვლავ დანყევლილია.

X საუკუნეში ქორწინების ბრალდება მწვავდება, მაშინ, როცა კაროლინგური წესი დაცემის ხანაშია, მონასტიციზმის ტალღა კი ნელ-ნელა იზრდება ეკლესიის სრულ ჩაძირვამდე. ვინ არიან ბერები, წმინდანები, გინდა „საჭურისები", რომლებზედაც იესო საუბრობს? მათ თავად უარყვეს სექსუალურობა. უდ კლუნიელი, როემლსაც სიბილწე მუდამ თან სდევდა, შეუწყვეტლივ იმეორებს, რომ სექსუალურობის გარეშე ეშმაკისეული ასე ადვილად კაცს ვერ დაიპყრობდა. X საუკუნის ბოლო ხანებში აბონი, სენ-ბენუა-სურ-ლუარის აბატი, სოციალურ იერარქიასა და სულიერი სრულყოფის დონეს ერთმანეთს უთანასნორებს და მის საფეხურებს იგი სექსუალორობის გამორიცხვით აყალიბებს. კარგი ბე-რები მხოლოდ კეთილგონიერნი არ არიან, ისინი ქალწულები, უცოდ-ველები არიან. და რამდენადაც იმ ამალაში, რომელსაც კაცობრიობა სულის ხსნისაკენ მიჰყავს, მათ პირველი ადგილი უჭირავთ, ისინი, ვინც მათ უკან მიყვებიან, მათვე უნდა ბაძავდნენ. რაც შეეხებათ შერისხულ კაცებს, ქალებს, რომლებმაც დაქორწინება გადაწყვიტეს, ისინი ძალიან შორს არიან, პროცესიის ბოლოში, ძლივს აღწევენ თავს წყვდიადს, ისე, რომ ძნელად თუ გამოვარჩევთ, რომელი მათგანია ცოდვილი. ცოლქმ-რული ღალატის არსებობა–არარსებობის მიუხედავად, ქორწინება მაინც

ბორორტების კუთვნილებაა. ხელახლა მოვუსმინოთ წმინდა იერონიმეს სიტყვებს: „ის, ვისაც ძალიან უყვარს თავისი ცოლი, მისივე მოღალატეა." სიკეთის მისაღნევად მეუღლეები ერთმანეთს უნდა დაშორდნენ. ამას ბევრი აკეთებს, სამყაროს აღსასრულს მონანიებით ელოდება.

რეფორმირებული მონასტრების პერიოდიდან, როცა სამყაროსადმი ზიზღს, ხორცის უარყოფას ქადაგებდნენ, სიბილნის მოსპობის სურვილი უეჭველად ასაჩინოებდა, რომ IX საუკუნეში ინცესტის აკრძალვა ხელოვნურად იქნა გამოცხადებული და შემდგომში მრავალჯერ განმეორდა უფრო მაღალ დონეზე, ფრანკულ საეკლესიო კრებებზე. 909 წელს ტროსლის საეკლესიო კრება სისხლითნათესაობითი ქორწინების თავიდან ასაცილებლად საზოგადოებას მოუწოდებს ყურადღებით გამოიკვლიონ - მომავალი მექორწინენი ნათესავები ხომ არ არიან და ამ წინასწარ ძიებას ერთ მღვდელს ავალებს, რომელიც ამისთვის აუცილებლად უნდა დაესწროს ქორწინების ცერემონიალს. 948 წლის ენგელ-ჰეიმის საეკლესიო კრებაზე იგივე წესი მიიღეს: ოჯახებმა უნდა გამოიკვლიონ თავიანთი წინაპრები. ამ წლებში ნელ-ნელა დამკვიდრდა პროცედურა, რომელზეც ივ შარტრელის წერილები გვიამბობს: გენეალოგიური მეხსიერების აღდგენა, ნათესაობის მუხლების დათვლა და მისი ფიცით დადასტურება.

რა ვიცით იმ შიშის შესახებ, რომელსაც ადამიანები ქრისტეს ჯვარცმის 1000 წლის დღესასწაულის მოახლოებისას განიცდიდნენ? ყოველ შემთხვევაში, ვიცით, რომ პენიტენციალური მოძრაობა გამწვავდა. რაულ გლაბერი, შესანიშნავი მემატიანე, როგორც ყველა მისი თანამედროვე, სულიერ ფაქტორებს გადამწყვეტ როლს ანიჭებს, განსაკუთრებით კი ღვთის მშვიდობისთვის ბრძოლის ზომიერ ხასიათს უსვამს ხაზს. წმინდანთა ნაწილების გარშემო შეკრებილთ ძალადობის შეზღუდვა სურდათ, ხორციელი ლტოლვის მოთოკვა. სასულიერო პირები, რომლებიც ხალხს იარაღის დაყრისა და მარხვისკენ მოუწოდებდნენ, სექსულაური ვნებების დაოკებას ქადაგებდნენ. გლაბერისთვის სამყაროს უნესრიგობა აავხორც მღელვარებას ინვევს, რომელიც ერთნაირად აშფოთებთ უმაღლეს კლერიკალებსა და საერო დიდებულებს. ზეციური მრისხანების ასაცილებლად, უფალსა და ადამიანებს შორის კავშირის აღსადგენად, მნიშვნელოვანია სულიერი განწმენდა. ქორწინება გაკონტროლებას მოითხოვს. თანაცხოვრების წამალი - ქორწინება აბონისთვს ყველაზე ელემენტარული ფორმაა, ასკეტიზმის ყველაზე დაბალი საფეხურია. ასევე საჭიროა, რომ ცოლქმრობამ ასკეტიზმის მაგალითით იარსებოს.

ახლოდან რომ უკეთ მივადევნოთ თვალი მორალისა და მისი მატერიალური სტრუქტურების ისტორიასთან კავშირს, XI საუკუნის დასაწყისს ვირჩევ. ეს პერიოდი, ამ სიტყვის ყველაზე ღრმა მნიშვნელობით, კრიტიკულია, ეს არის კრიზისის, ჭეშმარიტი რევოლუციის, ხმაურისა და ორომტრიალის ეპოქა - ფეოდალიზმის ხანა. XI საუკუნის პირველ

მეოთხედში ეს სოციალური მოძრაობა სამშვიდობო შეთანხმებებითა და კოლექტიური თვითგვემით ინიღბებოდა, რასაც კაროლინგური პოლიტიკა და კულტურა ეყრდნობოდა. ნორმანდიელთა თავდასხმებისა და დინასტიათა დაკნინების შემდეგ ერთგვარი კაროლინგური რენესანსი დადგა. მღელვარების ეს ეპოქა მონარქიული მოწყობისკენ მობრუნებას ჰგავდა. ყოველ შემთხვევაში, ასეთ შთაბეჭდილებას გვიტოვებს რაულ გლაბერის ნაწერი. იგი გვიჩვენებს 1000 წლის ქრისტიანობას, რომელსაც საკუთარი სულის ხსნა ორი შეკავშირებული ლიდერის: რობერტის, საფრანგეთის მეფის და გერმანიის მეფის ჰენრიხის საშუალებით განუზრახავს. სხვა სუვერენები მხედველობაში არ მიიღება. ეს ორი მეფე ერთი სისხლისაა, ბიძაშვილები გერმანული შტოდან. ისინი ერთ ასაკში არიან, თვეებშია მხოლოდ განსხვავება. 1000 წელს ისინი 27, 28 წლისანი არიან. ისინი შეთანხმებულად იღწვიან ქრისტიანული საზოგადოების კეთილი მოწყობისათვის. ამ კვლევის დასაწყისში მე ისინი ერთმანეთის მიყოლებით ავირჩიე, ჯერ ჰენრიხი, შემდეგ რობერტი.

XI საუკუნე

III თავი

ქორწინება ბურშარის მიხედვით

ჰენრიხი ქრისტიანი მეუღლის ნამდვილი ნიმუში იყო. ცოლქმრულ ცხოვრებაში გამოვლენილი სამაგალითო ქცევის გამო მას, როგორც წმინდანს, ისე ეთაყვანებოდნენ. მოგვიანებით ცისტერციანელმა პაპმა ევგენი III-მ 1146 წელს ჰენრიხი წმინდანად შერაცხა. ამ მოვლენამ მეფის ბიოგრაფიის შექმნა განაპირობა. შესაბამისად, ამ ტექსტმა შუქი მოჰფინა კონცეფციას, რომელიც XII საუკუნეში ზოგიერთ მწერალს ქორწინებასთან დაკავშირებით ჰქონდა (მსგავსი კონცეფცია X საუკუნეში არ არსებობდა). უფრო ადრეულია ჰენრიხის ცოლის - კუნეგონდას სახე. 1200 წლით თარიღდება თხზულება მისი „ცხოვრების" შესახებ და პაპის ბულა, რომლითაც იგი წმინდანადაა შერაცხული[1]. ამ ნაწარმოებში ოჯახის ზნეობრივი ცხოვრების ქებას ვანყდებით. კუნეგონდამ, წერს ავტორი, „თავისი ქალწულობა ცათა მეუფეს მიუძღვნა და მეუღლის კეთილგონიერი თანხმობით ბოლომდე შეინარჩუნა". ამ ქალწულის ბიოგრაფია ცნობილი გახდა, „ის განეკუთვნება მათ, ვინც თავი მოიზღუდა ცათა სასუფევლისათვის". ასევე ინოკენტი III-ის ბულა მოგვითხრობს, რომ წმინდანად შერაცხვამდე, მოწმენი, „ქალის ავტორიტეტსა და ნანერებზე" დაყრდნობით, ამტკიცებენ, რომ კუნეგონდა „იმპერატორ წმინდა ჰენრიხზე დაქორწინებული იყო, მაგრამ მასთან ხორციელი კავშირი არასოდეს ჰქონია". პაპის ბულა ასევე სიკვდილის სარეცელზე მყოფი ჰენრიხის მისი მეუღლის ნათესავებთან საუბარს გადმოგვცემს: „მე ისეთივეს გიბრუნებთ ქალს, როგორიც ჩამაბარეთ, თქვენ იგი ქალწული მანდეთ, მეც თქვენ უკან ქალწულს გიბრუნებთ"; ამ ბულამ საბოლოოდ სასნაული მოახდინა: ოჯახურ ღალატში ბრალდებული კუნეგონდა, უდანაშაულობის დასამტკიცებლად ღვთის სამართალს დაემორჩილა, იგი ორდალიას დაუქვემდებარეს. მან ცეცხლზე გაიარა შიშველი ფეხებით და ამით საკუთარი უცოდველობა დაამტკიცა.

ამ ფიქტიური ქორწინების ისტორიის პირველი კვალი XI საუკუნის ბოლოზე ადრინდელი არ არის. ლეონ ოსტიელის მიერ მონ-კასენის ბენე-

დიქტიანული მონასტრის ქრონიკაში მოყვანილი ეს ლეგენდა საეკლესიო რეფორმის წამომწყებთა მიერ უნდა ყოფილიყო შექმნილი. ლეგენდა შესანიშნავი დასტურია რიგორისტთა წრეში იდეალური ცოლქმრობის ხატის არსებობისა. მაგრამ არაფერი მსგავსი არ თქმულა თანამედროვეთაგან, რომლებიც ჰენრიხისა და კუნეგონდას სიცოცხლეში ან სიკვდილიდან რამდენიმე ხნის შემდეგ წერდნენ. არც ტიეტმარ დე მერსებურგი, არც არნუ დ'ალბერშტადი ამის შესახებ მინიშნებასაც კი არ აკეთებენ. რაც შეეხება რაულ გლაბერს, იგი შორსაა იმისგან, რომ მეუღლეთა კეთილგონიერება განადიდოს. ავტორი მათ ბერწობას დასტირის. ეს შემთხვევა უბრალოდ მითიური წარმოშობის ისტორია გახლდათ. იმპერატორი ჰენრიხი უშვილოდ გარდაიცვალა და გერმანული სამეფო მოგვიანებით ჰენრიხ IV-ს, შემდეგ ჰენრიხ V-ს, რეფორმატორ პაპთა სასტიკ მონინააღმდეგეებს ერგოთ. სწორედ მათ სანინააღმდეგოდ შეიქმნა მეათე საუკუნის (1000 წლის) იმპერატორის სინმინდის ისტორია.

წყაროები ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ სუვერენს თავისი ბერწი ცოლი არ გაუგდია. საეკლესიო ბრძანებების მიმართ ამგვარი მორჩილება XII საუკუნის შუა წლებში საყოველთაო ხდება. 1000 წელს კი ეს უკიდურესი ღვთისმოსავობის ნიშანი იყო. ეკლესიის მესვეურებმა ჰენრიხი ჰილდესჰეიმის კათედრალში აკურთხეს. იგი დიდი აბატების, ოდილონ კლუნიელის, რიშარ სენ-ვანელის მეგობარი იყო, რომლებიც მონასტრებს უღირსთაგან წმენდდნენ. მამისგან მიღებული ბავიერის ჰერცოგის ტიტული მას დაქორწინებას ავალებდა. ჰენრიხმა 23 წლისამ მიიღო გადანყვეტილება. იგი შეეცადა ინცესტი თავიდან აეშორებინა და ამიტომ დიდგვაროვანთა შედარებით დაბალ ფენას დასჯერდა. 1002 წელს, როდესაც ეპისკოპოსებს ოტონ III-ის მემკვიდრე უნდა აერჩიათ, ის ფაქტი, რომ ჰენრიხს, მის გერმანელ ბიძაშვილს, რვა წლის ქორწინების შემდეგ შვილი არ ჰყავდა და ცოლთან გაყრას არც აპირებდა, შესანიშნავი კანდიდატურის წარმოჩენის საბაბს იძლეოდა. ამომრჩევლებს ახალი ბაიათალმანი ქონების იმედი აცდუნებდათ.

ტახტზე ასულმა ჰენრიხმა თავისი ქცევა სამეფო მოვალეობის მისტიკურ კონცეფციაზე დააფუძნა, რომლის საოცარი შთამბეჭდაობა იმ საკრალური ხელოვნების ნანარმოებებში იჩენს თავს, რომელიც მეფემ შეუკვეთა პერიკორის ხელნაწერებში, ბალის ოქროს საკურთხეველში და იმ არაჩვეულებრივ მოქარგულ მოსასხამში, რომლის ბრწყინვალება მეფის სხეულს ცის კაბადონის თანავარსკვლავედში ახვევდა. ათასწლეულის დინებას აყოლილმა ჰენრიხმა სამყაროს დასასრულის დროის იმპერატორად მიიჩნია თავი, უკანასკნელი სამსჯავროს მოლოდინში სამყაროში წესრიგის აღდგენა, ხალხში მშვიდობის დამკვიდრება გადანყვიტა მათი სულების განსაწმენდად. ამ მისიის შესასრულებლად ის თავად უნდა ყოფილიყო ზედმინევნით წმინდა და სწორედ ამიტომ იგი კუნეგონდას

არ გაეყარა. მეფე ეპიკოპოსებთან შეთანხმებით რეფორმას ატარებდა. მან ეპისკოპოსთა მინიერი ძალაუფლება გაზარდა, მათ სამყოფელში სამეფო პრეროგატივები მიანიჭა. მეფემ თანამოაზრენი თავისი ეკლესიის საუკეთესო მწერალთა შორის (გონიერების მიხედვით) შეარჩია. ჰენრიხმა ყველაზე უნარიანი ადამიანები პასტორალური დავალებების შესასრულებლად შეკრიბა, რომელთაც, თავის მხრივ, საერო პირთა ჯგუფი უნდა შეეკრიბათ მათ ჩვევებზე დასაკვირვებლად და მათი სიკეთისკენ მოსაბრუნებლად. უკანასკნელი სამსჯავროს მოლოდინში პოლიტიკა და ეთიკა ერთმანეთს ერწყმოდა.

ერთ-ერთი ამ ეპისკოპოსთაგან, კერძოდ, ვორმსის ეპისკოპოსი ბურშარი იმავე საკითხითაა დაინტერესებული, რითაც მე. მაღალი წოდების დიდებული წარმომადგენელი, ძალიან კულტურული, ლოტარინგიაში, რომანულ ქვეყნაში, ლობის მონასტერში აღზრდილი - იმ ლათინურით, რომლის ძლიერ კვალს იგი თავისი დაწყებითი განათლებით ტოვებს - ბურშარი ბერი არ იყო, ის გახლდათ მხოლოდ უფლის მსახური მაშინ, როცა ჰენრიხ II-მ აღსაყდრების დროს იგი თავის კათედრალში ნახა. როგორც ყველა კაროლინგი სასულიერო პირი, ბურშარიც მინიერ სამყაროს უპირისპირდებოდა. მაგრამ მისთვის ზურგი არ შეუქცევია. მან მონასტერში მიმავალი რჯულის მეცნიერები შეაჩერა კიდეც. ბურშარი ფიქრობდა, რომ მისი მოვალეობა ქრისტიანული საზოგადოების სიტყვით, ქადაგებით გამოსწორება იყო, პერიოდული გადასამოწმებელი მოგზაურობებითა და საკუთარ დიოცეზში სწავლებით. 1107 და 1112 წლებს შორის ბურშარმა ნორმატიულ ტექსტთა კრებული[2] - „დეკრეტი", პასტორალური იარაღი შექმნა. სწორედ ამიტომ მაინტერესებს ეს რეინელი სასულიერო პირი. მის კათედრალში შექმნილი ნაწარმოები საშუალებას მაძლევს ქორნინების პრაქტიკა უკეთ აღვიქვა.

ბურშარი ამ კომპილაციაზე მარტო არ მუშაობდა. მას დაეხმარა მისი მეზობელი, სპირის ეპისკოპოსი, ასევე მისივე მეგობარი, ლიეჟის ეპისკოპოსი, რომელმაც ერთი ლობელი ბერი გამოუგზავნა დამხმარედ. თუმცა ეს ნაწარმოები პირადული გახლდათ იმ პერიოდში, როცა საეპისკოპოსო სავარძლები ავტონომიური, ხოლო რომის ეპისკოპოსთა უპირატესობა მხოლოდ დოქტრინალური იყო. ეპისკოპოსი ნაშრომს თავისთვის ქმნიდა, თავისი საჭიროებისათვის, თავისი მოღვაწეობისათვის და სულაც არ სურდა ამით მთელი ეკლესიისათვის მისაღები კოდექსი შეექმნა. სასულიერო პირმა სამართალი უნდა მიაგოს, დასაჯოს, მრევლის მონანიებისათვის და ცოდვათა შემცირებისათვის იზრუნოს. თუ იგი კეთილსინდისიერია წინაპრებს იმოწმებს, ავტორიტეტულ ტექსტებს იშველიებს. ამიტომ იგი კრებს მის გარშემო არსებულ წიგნებს. იგი ბარათებს აგროვებს და იმ პრინციპით ახარისხებს, რომელიც უფრო მოსახერხებლად მიაჩნია. ბურშარი ერთგვარ კანონიკურ კოლექციას, „კანონთა" კრებულს ქმნის, ნმინდა წერილიდან

ამოღებულ გამონათქვამებს, ეკლესიის მამათა ნაწარმოებებს, საეკ-ლესიო კრებათა და რომის პაპთა აქტებს აყალიბებს. ამ სახელმძღვ-ანელოთა სტილი მოძველებული იყო, მათი ავტორების გემოვნებასთან მჭიდროდ შეხამებული, თუმცა ისინი სხვებისათვისაც გამოსადეგი უნდა ყოფილიყო[3]. რამდენიმე ათნლეულის მანძილზე, სახელდობრ, იმ პრო-ვინციაში, სადაც ბურშარმა განათლება მიიღო, სახელმძღვანელოები ვითარდებოდა. ჩვეულებისამებრ, ავტორს კანონთა ვრცელი ტექსტე-ბი უნდა დაენანევრებინა, სისტემტიზირებულად გამოეყო თავები, ერთმანეთის შესაბამისად დაელაგებინა, საკითხების მიხედვით, შეზღუდული და დასაშვები განლაგებით, IX-X საუკუნეების უკანასკნე-ლი საეკლესიო კრებების გადაწყვეტილებათა გათვალისწინებით. ბურ-შარ ვორმსელის კოლექცია ასეთნაირად არის წარმოდგენილი: თითოეუ-ლი შემთხვევისათვის, რუბრიკის ქვეშ მოკლედაა ჩამოყალიბებული ამ თუ იმ არჩევანის მიზეზები, პატარა დოსიე ეპისკოპოსთა დასახმარე-ბლად. სხვადასხვა ავტორიტეტების დაპირისპირებით სასულიერო პირებს უკეთ უნდა განესაზღვრათ მოწყალენი ყოფილიყვნენ თუ დაუნ-დობელნი[4]. ისინი შედარებით თავისუფალნი იყვნენ, რადგანაც საერთო კანონმდებლობა ჯერ არ არსებობდა.

ბურშარი სრულიად თავისუფალია. წინარე ნაწერებს იგი თავისე-ბურად განსჯის. უფრო შორს ხომ არ მიდის? ამას მას მარკ ბლოკი საყვე-დურობს: „კანონიკური კრებული, შედგენილი 1008-1012 წლებში წმინ-და ეპისკოპოსის ბურშარ ვორმსელის მიერ, სავსეა მცდარი შეფასებე-ბითა და, შეიძლება ითქვას, ფაქტების თვითნებური გამოყენებით[5]." ბურშარს აქა-იქ - ამოღებული, ზოგან კი ჩამატებული აქვს სიტყვები გარკვეული აზრის გასამყარებლად. განა ეს ცინიზმი არ არის? ის პერი-ოდი წმინდა წერილისადმი უბრალო ბრმა პატივისცემით არ გამოირ-ჩეოდა. იმ დროისთვის ტექსტის არსს ცვლიდნენ ხოლმე. ბურშარიც თავის იარაღს რწმენითა და სიყვარულით სრულყოფდა.

ძალიან მალე „დეკრეტის" ხელნაწერი გადაწერეს. ტექსტის ასლე-ბი, ადგილობრივი პირობების შესაბამისად გადამუშავებული, ეპისკო-პოსთა ბიბლიოთეკებში თითქმის ყველგან გაჩნდა. XII საუკუნის შუა წლებამდე გრატიანის კოლექციის გავრცელებამდე სწორედ „დე-კრეტით" ხელმძღვანელობდნენ. იმპერიაში, გერმანიაში, იტალიაში, ასევე ლოტარინგიაში ტექსტის წარმატება დიდი იყო. მან ჩრდილეთ საფრანგეთიც დაიპყრო. „დეკრეტს" ფართო მოხმარება ჰქონდა: ივ შარ-ტრელმა აქედან ბევრი რამ ამოიღო თავისი რეკომენდაციებისათვის. ამრიგად, ეს ტექსტი შეიცავს ეკლესიის მეთაურთა განსჯასა და მო-ქმედებას იმ რეგიონში, რომელიც მე მაინტერესებს. ამიტომაც განვიხ-ილავ. მით უფრო დიდი ყურადღებით, რადგან ქორწინებას მნიშვნელო-ვან ადგილს უთმობს.

ეს უკანასკნელი პირველივე გვერდებიდან ჩნდება, I წიგნის 94-ე

თავში. ბურშარი დასმენის სისტემას განიხილავს, რომელიც მან თავის დიოცეზში პასტორალური ვიზიტების მოსამზადებლად დაამკვიდრა. თვითოეულ სამრევლოში შვიდი კაცი ირჩეოდა, ფიცით შეკრულნი დაბეზღების საქმეში, რომლებიც ეპისკოპოსს სამართალდარღვევებს მოახსენებდნენ. ნაფიცი მსაჯულების დასახმარებლად გამოძიების ჯეროვნად წაყვანაში, ბურშარი კითხვების სიას ადგენს, რომელიც რჩეულებმა საკუთარ თავს და თავიანთ მეზობლებს უნდა დაუსვან[6]. 88 დარღვევა დახარისხებულია დანაშაულის სიმძიმის დაღმავალი წესით, მომაკვდინებლიდან დაწყებული მცირე დანაშაულამდე, თითქოს ნაკურთხი პური შეგითავაზებიაო. პირველი 14 გასაუბრება მკვლელობას — მთავარ ცოდვას შეეხება, რომელიც შურისგებათა გამო ღრმად არყევდა სოციალური წესრიგს. იქვე, მეორე ჯერზე, 23 შეკითხვა მოდის, მეოთხედი მთელი კითხვებისა, რომელიც ქორწინებას და სიძვას შეეხება. აქვეა ასევე ძალზე სერიოზული, ოჯახური ღალატი (შეკითხვა 15), ამ ეჭვის გამოსავლენად (შეკითხვა 37): ამა თუ იმ მამაკაცმა ხელი ხომ არ შეუწყო თავის სახლში ცოლქმრულ ღალატს ისე, რომ ყურადღება არ მიაქცია მოსამსახურე ან ნათესავ ქალებს (ზერელე უყურადღებობა, მოვალეობის გამო სნრაფად შენდობილი), მამაკაცისთვის ხომ სტუმრების კარგად მიღებაა უმთავრესი. ამგვარად, შედარებით მსუბუქ დანაშაულთან გვაქვს საქმე. ყველაზე მეტად დამნაშავეა დაქორწინებული მამაკაცი, რომელიც სხვის ცოლს შეირთავს. ის კი, ვინც საყვარელს ინახავს ნაკლებად დამნაშავეა. შემდეგ მოდის ის, ვინც ცოლს გაეყრება და მერე ისევ დაქორწინდება, შემდეგ ის, ვინც ცოლს გაუშვებს. შემდეგ ნაკლებად მნიშვნელოვანი, უბრალო გარყვნილება მოდის, რომელშიც ორი კატეგორია გამოიყოფა: ერთი პარტნიორთაგანი დაქორწინებულია და მეორე კატეგორია, როდესაც არც ერთი არ არის დაქორწინებული. ამის შენდობა შეიძლება, რადგან ძალიან ხშირად დიდ სასახლეებში, რომელიც მოსამსახურე ქალებითაა სავსე, თამაშები იმართება, რომელსაც ყმანვილები და გაუთხოვარი ქალები ხარბად ეძლევიან. პირველი მოთხოვნა, როგორც ვხედავთ, არის მონოგამია. ქორწინება მოაზრებულია სექსუალური ლტოლვის წამლად. იგი ბრძანებს, აწესრიგებს, მშვიდობას ამყარებს. მისთვის მამაკაცი და ქალი იმ მდგომარეობას შორდებიან, სადაც თავისუფლად, უწესოდ ნყვილდებიან. შემდეგი კითხვები მოტაცებას შეეხება, ნიშნობის ჩაშლას, ინცესტს - თავდაპირველად სულიერს (ამ იერარქიით, სული ხორცს წინ უსწრებს): დაქორწინებას ნათლიდედაზე ან ნათლულ გოგონაზე. შემდეგ ხორციელი, არაბუნებრივი დანყვილება, და ბოლოს, ყველაზე დაბალ საფეხურზე, პროსტიტუციაა. ამას ემატება კითხვარში მოთავსებული სხვა საკითხები: მეუღლის მოკვლა, ნაადრევი მშობიარობა, შვილის მოკვლა, სხვადასხვა მახინაცია, რითაც ქალებს თავისი ქმრის გულის მოგება სურდათ, ან გამრავლებისათვის ხელის შეშლა (საკითხი, რომელიც

ჩასახვისსაწინააღმდეგო ქმედებას თუ აბორტს შეეხება, მკვლელობად ითვლება და სიის ბოლოს, მონის მოკვლისა და თვითმკვლელობის წინაა მოთავსებული, მაგრამ შემდეგ იერარქია ნათელია, პირველად მამისმკვლელობა იხსენიება, შემდეგ მღვდლის მკვლელობა, საკუთარი შვილის, საკუთარი მეუღლის). ამდენად, 88 -დან 30 კითხვა სექსუალურობას შეეხება. სქესობრივი ურთიერთობები ცოდვის გაგების შუაგულში, დაღვრილი სისხლის შემდეგ „სურპერსტიციამდეა" მოთავსებული, ხოლო ქორწინება - განწმენდის ცნების შუგულში.

ამ კითხვარს მორალური დანიშნულება აქვს. იგი ცნობიერების შეცვლას ემსახურება, ბოროტებას გამოყოფს, რათა ცნობიერებაში ცოდვისაგან მხსნელი გრძნობა გააღვიძოს. კითხვარს, აგრეთვე პოლიციური დანიშნულებაც აქვს: იგი სამართალდამრღვევთა გამოვლენას ემსახურება, რათა შემდეგ ისინი ეპისკოპოსის მიერ დაისაჯონ. ეპისკოპოსი სასჯელს ნორმატიულ ტექსტებზე დაყრდნობით აირჩევს, რომელიც „დეკრეტის" დიდ ნაწილს შეადგენს. ეს ნაწარმოები მონუმენტურია: ერთგვარი კათედრალი, რომლის გეგმა სულის ხსნის იდეას ეყრდნობა. „დეკრეტის" 20 თავი მინიდან ზეციისაკენ გზის გაკაფვას ემსახურება. პირველი ხუთი მამკაცებს ეხება, რომელთაც უნდა წარმართონ საკუთარი ნაბიჯები, ხოლო მათი მოთოკვა, გამოსწორება ეპისკოპოსებს და მათ დამხმარეებს, მღვდლებს და დიაკვნებს ევალებათ. შემდეგ კი განწმენდა მოდის. სამრევლო - ამ მოქმედების იარაღია. სასულიერო წოდება ორ საიდუმლოს ავრცელებს, ნათლობასა და ზიარებას. ტექსტის ერთი ნაწილი - „თავისუფალი ძიება", დიდებული მედიტაციაა სიკვდილსა და იმქვეყნიურობაზე, რომელსაც წინ უსწრებს ყველაზე დიდი თავი, მეცხრამეტე, სათაურით (ხელნაწერების მიხედვით), „პროტექტორი" თუ „მკურნალი". სწორედ აქ არის სხვა სამყაროს გასაღები, წამალი, რომელიც ადამს ნათელ გზას უმზადებს, არა კაცის — ეპისკოპოსის წინაშე, არამედ უფლის წინაშე. განწმენდისა და სულის განკურნების ეს სია (როგორც მრევლის შემთხვევაში) უშუალოდ ცოდვილებისთვისაა გამიზნული. ცოდვილი თავად ვერ განიწმინდება. XIX წიგნი მათთვის, ვინც სხვების გამოსწორებითაა დაკავებული, სასულიერო პირთათვის და მათ დამხმარეთათვის გარკვეულ სანქციათა საშუალება, პენიტანციალური კრებულია.

შესაძლოა, მილენიუმის ორომტრიალში, „დეკრეტის" ეს ნაწილი უფრო გამოსადეგი ჩანდა პირველ რიგში, თავად ავტორისათვის. ბურშარ ვორმსელი თავისი თხზულების პროლოგის წერისას წინა პენიტენციალური კრებულის პროლოგს დაესესხა. ცოდვათა ამგვარი სია თითოეულისათვის მაკომპენსირებელ სასჯელს განსაზღვრავდა, ეს სიები ძალზე ამსუბუქებდა მოძღვართა ამოცანას. იგი მათ საფიქრელს აშორებდა. 813 წელს შალონის საეკლესიო კრებამ „შეცდომებითა და საეჭვო ავტორებით სავსე" ამ პატარა ნიგნაკების მიმართ გარკვეული ზომები მიიღო. თუმცა ეს გარდაუვალი იყო იმ ფორმათა გამო, რომელ-

საც პენიტენციალური კრებული ავლენდა და იმ მოვალეობებით, რომლითაც იგი 1000 წლის საქრისტიანოს ამდიდრებდა[7]. შეცოდების გამოსასნორებლად ცოდვილს განსაზღვრული დროის განმავლობაში, ცხოვრება უნდა შეეცვალა, „მოქცეულიყო", საზოგადოების განსაკუთრებულ ნაწილში უნდა გადასულიყო, ეს კი აშკარა ნიშნებით უნდა გამოეხატა, სხვაგვარად უნდა მოქცეულიყო, სხვაგავრად უნდა ჩაეცვა და ეჭამა. ამ შეზღუდვებით საზოგადოებას აჯანსაღებდნენ, რადგან უზნეო ადამიანებს შეეძლოთ სწრაფად გაევრცელებინათ თავიანთი ცოდვები, ამგვარი პენიტანციალური კრებულები კი სოციალაურ წესრიგს, მშვიდობის შენარჩუნებას უწყობდა ხელს. საზოგადოების რეფორმაზე მომუშავე ბურშარს სურდა კარგი პენიტენციალური კრებული შეედგინა. იგი თავის ნანარმოებს სიახლით ასრულებს.

კანონიკური ტექსტები საეკლესიო საკრალურ პრელუდიასა და ფინალს შორის არის მოთავსებული, რომლებიც კაროლინგური სულის განახლებისათვის საერო პირთა ჩვეულებებს ასახავს, სადაც ეპისკოპოსს, მეფესთან შეთანხმებით, საზოგადოების ცოდვათაგან განწმენდის მისია აკისრია. მეჩვენება, რომ წესი ზოგადიდან კერძოსკენ მიდის. დასანყისისთვის ის შემთხვევებია განხილული, რომელიც ხმაურით, მშვიდობის რღვევით, საზეიმო განწმენდას გარდაუვალს ხდიდა, რომლის ხელმძღვანელიც ეპისკოპოსი იყო. ეს სისხლის სამართალს უკავშირდებოდა: „დეკრეტი" პირველ რიგში მკვლელობასა და ინცესტს შეეხება (VI და VII წიგნები). შემდგომ ეპისკოპოსი, როგორც პროტექტორი, ზოგიერთ მოწყვლად ჯგუფს იხილავს: ჯერ პროფესიონალ მომნანიებლებს, რომელთა „მოქცევაც" საბოლოოა, ბერებს და მონაზვნებს (VIII წიგნი), შემდეგ ქალებს, რომლებიც არ არიან „დალოცვილნი" (IX წიგნი). აქაც ავტორი ქორწინებაზე საუბრობს, ქალურ ქორწინებაზე, სოციალური შენობის სუსტ შრეზე. ქალებს უმალვე ჯადოქრებს, კუდიანებს მიაკუთვნებდნენ. შემდეგ საუბარია მარხვაზე, თავის მოზღუდვაზე, ყველაფერი ეს (X-XIV წიგნები) მეტ-ნაკლებად სახალხო წესრიგს ეხება. XV და XVI წიგნების მიხედვით, ეპისკოპოსი მხოლოდ დამხმარედ მოიაზრება, დიდგვაროვანებს რჩევებს აძლევს. ბოლოს, უფრო პირადი, უფრო ინტიმური ტექსტებია მოთავსებული, რომლებიც გარყვნილებას კიცხავს. აღსანიშნავია, რომ ამგვარი განთავსება ცხადად ასხვავებს ცოლქმრობასა და სექსუალურობას. ჩემი აზრით, ეპისკოპოსი ბურშარი, ჰინკმარისა და სხვა კაროლინგების ტრადიციის მიხედვით, ქორწინებას სოციალურ ინსტიტუციად განიხილავს. სასულიერო პირი მონწეულია სახალხო წესრიგის დამცველად. ქორწინების ინსტიტუტი განხილულია XIX წიგნში, „მკურნალი".

ჯერ ისევ კითხვებზე ვსაუბრობთ. მაგრამ ინკვიზიცია სამრევლო კავშირს აღარ ეხება. იგი სახალხო არ არის, იგი შიდა, პირადია: ეს არის დიალოგი მოძღვარსა და მონანიეს შორის. ძალიან მოკლე, მაგალითად,

„შენ ეს გააკეთე? ამიტომ შენ ამას იმსახურებ“, დროდადრო მოკლე ახსნა-განმარტებით, რაც ჩადენილის სერიოზულობას უჩვენებს. საერთო კითხვარს ემატება ის, რაც ქალებსა და ცოდვებს შეეხება, გამოძიებას ეს საკითხი უნდა შეესწავლა. ბურშარ ვორმსელი ამაში დარწმუნებულია: მამაკაცი და ქალი ორ სხვადასხვა სქესს წარმოადგენენ, ქალური სუსტი და მოქნილია, ამიტომ ისე არ უნდა გასამართლდეს, როგორც კაცი. „დეკრეტი“ ანგარიშს უწევს ქალის სინაზეს: „ქრისტიანული რელიგია ერთნაირად კიცხავს ორივე სქესის მიერ ჩადენილ ცოლქმრულ ღალატს. მაგრამ ცოლები ადვილად არ ადანაშაულებენ თავიანთ ქმრებს ღალატში და არც შურისძიების საშუალება არ გააჩინიათ. თუმცა მამაკაცებს ჩვევად აქვთ მღვდელთან ცოლები ღალატის ბრალდებით[8] წარმოადგინონ“. „დეკრეტი“ მუდმივად იმეორებს, რომ ანგარიში უნდა გაეწიოს ქალურ ღალატს: ბუნებრივია, მოღალატე ცოლი უნდა გადავიდეს ქმრის შეზღუდული მეურვეობის ქვეშ (სასამართლოთი): „ერთი წლის ან ექვსი თვის შემდეგ, ცოლი თუ გეტყვის, რომ შენი აღარ არის, და თუ შენ ამბობ, რომ ეს ქალი შენი ცოლია, შენ უნდა დაგიჯერონ, რადგან შენ ხარ ცოლის უფროსი[9].“ ქალისა და მამაკაცის უფლებები თანაბარი არ არის. ამიტომ „მკურნალი“ უფრო დიდ ყურადღებას იჩენს ქალთა სულების მიმართ. მათი „წამალი“, „კორექტორი“ მამაკაცია. პენიტენციალური წიგნის ეს დამატება გვიჩვენებს, თუ როგორ უყურებდნენ იმ დროს მამაკაცები ქალებს.

მათ თვალში ქალი თავქარიანია, ეკლესიაში მოლაყბეა, რომელსაც ავიწყდება ის ცოდვები, რისთვისაც უნდა ილოცოს. რაც შეეხება შვილის სიკვდილს, მთელ პასუხისმგებლობას ქალი კისრულობს, რადგანაც გამრავლებაზე ზრუნვა მხოლოდ მას აკისრია. ბავშვი კვდება? დედამ გაანდგურა, დაუდევრობით, მტყუანია თუ მართალი. მაგალითისათვის ერთი შეკითხვა: „ბავშვი ადუღებულ წყლიან ქვაბთან ახლოს ხომ არ დაგიტოვებია?“ ადრეული მშობიარობა, რა თქმა უნდა, ქალის ბრალია. ისევე, როგორც პროსტიტუცია. სნორედ ქალები ჩქარობენ გაყიდონ თავისი სხეული, თავიანთი ქალიშვილის სხეული, დისშვილის თუ სხვა ქალის. რადგანაც ისინი ავხორცები, მეძევები არიან. კითხვარში არაფერი არ არის ცოლქმრულ სიამოვნებაზე. კითხვები ასევე იმ სიამოვნებას თრგუნავს, რომელიც მარტო ქალს შეუძლია მიიღოს, ან სხვა ქალებთან ერთად, ან ახალგაზრდა ბავშვებთან. ქალები თავის სამყაროში, გინეკეიში, ძიძათა ოთახში არიან გამოკეტილნი - ამ უცნობ, ამაღელვებელ სამყაროში, რომელშიც მამაკაცები არ არიან, თუმცა ეს ადგილი მათ იზიდავს, მამაკაცთა წარმოდგენით, აქ გარყვნილება სუფევდა, რომლითაც ისინი არ სარგებლობენ. კითხვარის ბოლოს ყველაზე ამოუხსნელ, ბნელ საკითხებს ვაწყდებით. პენიტენციალური წიგნის ტექსტები კანონიკური კოლექციის გეგმის მსგავსადაა აგებული: ზოგადიდან კერძოსკენ მიდის. ორივე სქესისთვის განკუთვნილ კითხვარში

ის შეცოდებები გვხვდება, რომლებიც სოციალური წესრიგს, მკვლელობას, ქურდობას, ღალატს და ინცესტს ეხმიანება, წინ უსწრებს იმ დარღვევებს, რომელსაც ყველაზე ხშირად სახლში ჩადიან - მაგიას, თავშეუკავებლობას, ღვთის წყრომას. სასჯელიც მეტ-ნეკლებად მძიმეა იმისდა მიხედვით, არღვევს თუ არა შეცოდება სახალხო მშვიდობას.

ღირებულებათა სისტემის ბუნდოვანი სურათი, რომელსაც ბურშარი ეყრდნობა - და მორიდებით და წუხილით ადევნებს თვალს, რათა ზოგად მორალთან ახლოს იყოს - ჯარიმის საფასურს აწესებს. სასჯელის იერარქია ცოდვათა იერარქიას შეესაბამება. იმისდა მიხედვით, როგორაა ცოდვილი მიჩნეულია, მეტად თუ ნაკლებად დამნაშავედ, შეზღუდვა, რომელიც მას დაეკისრება მეტ-ნაკლებად მკაცრი, ხოლო განწმენდის პერიოდი მეტ-ნაკლებად გრძელი იქნება. სანქციები, რომლსაც „მკურნალი" შეიცავს გრძელი სიის სახით შეიძლება, ჩემი აზრით, სამ კატეგორიად დაიყოს. პირველი ტიპის სასჯელი პურით და წყლით მარხვაა (რა თქმა უნდა, მთელი სექსუალური აქტივობის შეჩერებით) გარკვეული დღეების მანძილზე. მეორე ტიპის სასჯელი გაცილებით დიდხანს გრძელდება მაგრამ იგი უფრო მსუბუქია, შეზღუდვა მხოლოდ ხორცეულის მიღებას, ჭამას და სასიყვარულო თამაშებს შეეხება. იგი სხვა მხრივ იზღუდება, კონცენტრირდება რა დაკანონებულ დღესასწაულებზე, „ლეგალურ დღეებზე", რომელთა განმავლობაში ეკლესია მობილიზებას მოითხოვს: სამი მარხვა, ყოველი კვირის ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით. და ბოლოს, რაც უფრო მნიშვნელოვანია, მონანიება უფრო ზომიერია. მესამე ტიპი ცოდვილს შვიდი წლის მანძილზე აკისრებს იმას, რასაც ტექსტი, ვულგარული, რომანული ენის ერთ სიტყვას carina-ს უნოდებს: 40 დღე წყლით და პურით მარხვა. ამ სამ დონეზე უნდა მოვიაზროთ დარღვევები საქორწინო და სექსუალურ მორალში.

ამგვარი სურათია იშვიათი გამონაკლისის გარდა. ესენია მცირე დანაშაულობები, კერძო ხასიათისა, რომელიც პირველი კატეგორიის თავშეკავებას გულისხმობს - 10 დღე მშრალ პურზე და წყალზე ყოფნას. ეს სასჯელი მიეკუთვნება მამაკაცურ მასტურბაციას. აღსანიშნავია, რომ სანქცია, რომელიც დაუქორწინებელს სჯის მრუშ, „თავისუფალ ქალთან" ერთად ან საკუთარ მოახლესთან ყოფნის გამო უფრო მძიმე არ არის. თუ ქორწინებასთან არ გვაქვს საქმე, მოწყალება მამაკაცური სექსუალური ცელქობების მიმართ დიდია: მამაკაცისათვის სულერთია მასტურბირებს თუ ახალგაზრდა მსახურ ქალთან იქნება იმ შემთხვევაში თუ არც ერთი (არც ქალი, არც მამაკაცი) დაქორწინებული არ არის. მაგრამ, როდესაც მამაკაცი დაქორწინდება წესიერად უნდა მოიქცეს, ასევე სასჯელია დაწესებული (რომელიც ათ დღიანი მარხვით ისჯება) ცოლქმრული ზნეობის ყოველგვარი გადახრაზე[10]. რაზეა საუბარი? ცოლი მეტისმეტი გახელებით გიყვარდეს? სხვა ადგილას

ტექსტი აზუსტებს: ქმარს ათი დღის სასჯელი უნდა დაეკისროს, ცოლს არ გაეკაროს, როცა მას მენსტრუაცია აქვს, ან ორსულად არის - სასჯელი ორმაგდება თუ ბავშვი უკვე იძრა დედის მუცელში. სასჯელი გაოთხმაგებულია თუ საქმე გვაქვს მძიმე მარხვასთან, თუ მამაკაცი ცოლს აკრძალულ დღეს მიეკარება - კეთილგანწყობილი ეკლესია სანქციას ნახევრამდე შეამცირებს იმ შემთხვევაში, თუ ქმარი მთვრალია. ხორცის გვემა ათიოდე შემთხვევაშია გათვალისწინებული, როდესაც შეცდომა ჩადენილია საძინებელი ოთახისა და ღამის საფარქვეშ. „ქორწინების კანონი" დარღვეულია და მეტისმეტად აქტიური ქმარი ოთხჯერ უფრო დამნაშავე ჩანს, ვიდრე უცოლო, რომელიც აქა-იქ ეძლევა სიამოვნებას. ამ უკანასკნელს მიეტევება, რადაგან სურვილების დასაკმაყოფილებლად იგი კანონიერ ცოლს არ იყენებს. ქორწინება ავხორცობის ნამალია. იგი ცოდვას განაგდებს. მაგრამ ამავე დროს დისციპლინას მოითხოვს. ქმარი, რომელიც არ ცდილობს თავის გაკონტროლებას, გაიცხვას იმსახურებს. აი, ეს სასჯელიც: სხვა კაცისათვის თვალების ამოთხრა, მისთვის ხელის, ენის მოჭრა, ოთხჯერ ათ დღიანი მონანიებით[11]. ასევე ისჯებიან ის ქალები, რომლებიც კანონიერი ცოლისათვის მიტოვებულნი, შურისძიებით აღვსილნი ცდილობენ ჯადოქრობით დააშრონ ქორწინების ღამეს თავიანთი ძველი პარტნიორის მამაკაცობა[12].

ორმოცამდე სანქციაა (შვიდი წლის მანძილზე) დაწესებული, ერთის მხრივ, გატაცებასა და მეორე მხრივ, ცოლქმრული ღალატის გამო. შვიდწლიანი მარხვაა დაწესებული იმ ქმრისთვის, რომელიც თავის ცოლს სხვა მამაკაცებს უთმობს, უფრო მეტად ისჯება ის მამაკაცი, რომელიც სხვის ცოლს დაიპყრობს ან მონაზონს, ქრისტეს ცოლს შეაცდენს (თუ მამაკაცი თავად დაქორწინებულია, სასჯელი ორმაგდება, რადგან საქმე ორმხრივ ცოლქმრულ ღალატთან გავქვს და მამაკაცი გასამართლდება, როგორც ერთადერთი დამნაშავე - მას ხელთ ჰქონდა ის, რითაც შეეძლო „თავისი ლიბიდოს დამშვიდება[13]"; იმავე ლოგიკით ხუთ დღიანი მარხვა ეკისრება დაქორწინებულ კაცს, რომელიც უარს ამბობს ცოლის მოფერებაზე, ორი დღე - უცოლო მამაკაცს). მოტაცებით, ღალატით მამაკაცის სექსუალური აქტივობა სოციალურ წესრიგს საფრთხეს უქმნის. ქალთა მომტაცებლები ცოლქმრულ შეთანხმებას არღვევენ. ისინი სახალხო დამნაშავენი არიან, რაც ოჯახებს შორის სიძულვილს ზრდის, რეპრესიებს ბადებს, თემს შლის, ყოფს. მათგან ჯარიმა უნდა მოითხოვო, რომელიც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მათ ყველასაგან გამოარჩევს. იგივე ეკისრება კაცისმკვლელს: მან მშვიდობა დაარღვია. აშკარაა, რომ საეკლესიო სამართალი სამეფო სამართალს ეთანხმება. ეს ჩანს ყველა იმ ნასესხობებიდან, რომელსაც „დეკრეტი" ამ ცოდვათა შესახებ კაროლინგურ დოკუმენტთა კრებულში იხსენიებს. ქორწინებას, მართლაც, ორი სახე აქვს. ერთის მხრივ სექსუალურ მორალს უმზერს, ხოლო მეორეს მხრივ - სოციალურ მორალს.

მეუღლეთა სექსუალობა ფხიზელი ზედამხედველობის ობიექტია, რადგან მამაკაცები და ქალები თავისი ქორწინებით საზოგადოების მონესრიგებულ სექტორში მკვიდრდებიან.

მეორე კატეგორიის ჯარიმა, შუალედური, ავხორცობას ეხება, რომელიც სახლშია ჩადენილი და უფრო დიდ ბოროტებად აღიქმება. ამგვარად, ძირითადად ქალური ცოდვების გამოსნორებას ემსახურება. ეს არის აღმავალი გრადუირება, ერთეულის ნაწილი, წელინადი, რომელიც მასტურბაციას სჯის - თუ ქალი უფრო მკაცრადაა დასჯილი, ვიდრე მამაკაცი, როცა ქალი მარტო იღებს უნაყოფო სიამოვნებას, განა ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი ამით „დაბადების" ორმაგ წყევლას ემალება, რომელიც მას მამაკაცს უქვემდებარებს და მშობიარობის ტანჯვისთვის იმეტებს? ნაყოფის მოშორება ბავშვის მკვლელობას გულისხმობს (12 წელი). საფეხურ-საფეხურ ნაადრევ მშობიარობამდე მივდივართ, ბავშვის მუცელში ძვრამდე მასზე უარის თქმაზე, პროსტიტუციაზე (6 წელი). ამგვარი სასჯელი მამაკაცებსაც ედებათ, სოდომის ცოდვის მიმდევრებს, მათ, ვინც მრუშობს ნათესავ ქალებთან ოჯახში, მათ, ვინც ქალთა ჯადოქრობის მონანილე ხდება. მამაკაცის მხრიდან ამგვარი საქციელი მის სისუსტედ აღიქმება, მამაკაცობის დაქვეითებად, კეთილგონიერების დაკარგვად, დაკნინებად, ქალის გავლენის ქვეშ მოქცევად. ამგავრ სასჯელებში არაფერია ნათქვამი ქორწინებაზე.

"დეკრეტიდან" მე მორალისა და ჩვეულებების ზოგიერთი შტრიხი ამოვიღე. პირველ რიგში ის, რომ ინცესტი ცალკეა განხილული. მასზე სპეციალურ თავშია საუბარი (მეშვიდე თავში), სადაც თავმოყრილია ფრანკთა საეკლესიო კრებების ყველა კანონი, რომელიც ნათესავებს შორის კავშირს სისხლით ნათესაობის მეშვიდე მუხლამდე კრძალავს. ამგვარი ნათესაობის წყვილი სახალხოდ რომ გამოაშკარავდება, მეუღლეები ეპისკოპოსთან უნდა გამოცხადდნენ და ფიცი უნდა დადონ. აი, ფიცის ფორმულირებაც: „ამ დღიდან მე აღარ ვიქნები ჩემს ნათესავ ქალთან; მე იგი არც ქორწინებით, არც ცდუნებით აღარ მეყოლება; მე მასთან საკვებს არ გავიყოფ, ერთ ჭერქვეშ აღარ ვიქნებით, ეკლესიისა, ან სახალხო ადგილის გარდა მოწმის თანდასწრებით[14]". ეს სიტყვები უნდა წარმოეთქვათ ფილიპი I-სა და ბერტრადას, სანამ მათ ეკლესიისგან განკვეთას მოხსნიდნენ, რომელიც, როგორც აღვნიშნე, ინცესტის ბრალდების გამო დააკისრეს. ქალისა და მამაკაცისათვის ამგვარი გაყრის შესაძლებლობა ეპისკოპოსის ნებართვის გარეშე შეუძლებელი იყო. ასევე არ შეიძლებოდა ხელახლა დაქორწინება. ამრიგად, ინცესტუალურ ქორწინებას მომავალი არ ჰქონდა. ეს ქორწინება არც იყო. ის არ არსებობდა. როგორც მრავალი სხეული ვერ აირევა ერთ სხეულად გადაქცევისათვის, ასევე სისხლითნათესაობა არღვევდა ქორწინების იდეას. ინცესტი მორალის მეორე მხარეზე იყო.

სისხლითნათესავებს შორის სექსუალური ურთიერთობანი ის ბილ-

ნი შემთხვევაა, რომელიც მონანიებით უნდა განწმინდო. სექსუალური ურთიერთობა ნათესავებს შორის, მათი ქორწინება შეუძლებელია. ეს საკითხი XVII წიგნშია დასმული და სიძვას შეეხება. ეს შეგროვილი ტექსტები მომდინარეობს ვერბერის, მეიენსის, ტრიბურის კაროლინგური საეკლესიო კრებებიდან. ისინი უკრძალავენ მამაკაცს იყოს თავის დასთან, ან ცოლის ქალიშვილთან, ძმის ცოლთან, მისი ვაჟის დანიშნულთან ან საცოლესთან. ეს დარღვევები პენიტენციალურ წიგნში მეორე კატეგორიის სასჯელთა სახით ჩნდება. შინა გარყვნილება „მკურნალში"[15] განხილვის საგანია. არისტოკრატული ოჯახის ინტიმური გარემო სექსუალური თამაშებისთვის ნაყოფიერი ადგილია. მეუღლეთა საძინებლის მიღმა, კერძო სივრცე იშლება, ქალებით სავსე, რომლებიც ადვილად შეიძლება მოიპოვო - მოახლეები, ნათესავები, ჯერ კიდევ „თავისუფალი" ქალები, მამაკაცური არშიყობისათვის ფართო ველია გაშლილი. ამ პატარა დაკეტილ სამოთხეში, მამაკაცები, ახალი ადამეები, ახალგაზრდები თუ ნაკლებად ახალგაზრდები არიან. პირველ რიგში, სასახლის უფროსი მუდმივად ცდუნების ქვეშაა. მაგალითად, რძალი მოტყუებით იპარება საწოლში, ან სიდედრი, ან მომავალი რძალი, ქორწილამდე მიღებული, მოუშორებელი. ქალები ავხორცობას იჩენენ და მამაკაცებს რყვნიან. კაცები ქალის ცდუნების ობიექტებად უნდა აღვიქვათ. სასახლეში ქალწულობა სინაზედ ჩანს. მინიმალური ფასით? ეს კითხვა მხოლოდ მამაკაცს დაესმის, რადგან ორ სქესს შორის გართობაზეა საუბარი: „შეაცდინე ქალწული? თუ ეს შენი ცოლი არ არის, რომელიც ქორწილზე დაიპყარი - ერთწლიანი თავშეკავება. თუ შენ მას არ ირთავ, მაშინ - ორ წლიანი." მხოლოდ ეს.

ბურშარმა ისეთი სახელმძღვანელო შეადგინა, რომელიც მხოლოდ ასამართლებს და მორალურ ტრაქტატს სულაც არ წარმოადგენს. იგი საერო პირებს არ მოძღვრავს. მხოლოდ ქმრებისთვის ჯარიმებს ანესებს, რომელბიც ზოგიერთ ფორმალურ აკრძალვას არღვევენ, კალენდრით გათვალისწინებულ აუცილებლობას. ქორნინებაზე საუბრისას ბურშარი სექსუალურ კავშირზე არ საუბრობს. სუსტად მაინც იკვეთება ცოლქმრული ურთიერთობები. ამას მაშინ მიხვდებით, როცა ბურშარი ქალთა ჯადოქრობას, კუდიანობას აღნერს, ჯადოქართა, სუსტ ქალთა ქცევას, რომლებიც ცბიერებას მიმართავდნენ. ამ მახინაციების მიზანი სიყვარულზე ზემოქმედებაა, „სიძულვილი სიყვარულად აქციო ან მამაკაცის გონებაზე იმოქმედო."[16] გონებაზე? ეს მართლაც გონება თუ გრძნობაა? უფრო იმ ლტოლვაზეა საუბარი, აქტის დროს რომ არსებობს. როდესაც მამაკაცი თავისი საყვარელის კანონიერ ქორწილზე გამოჩნდება, მისი საყვარელი ქალი ცდილობს მისი ვნების ჩაქრობას, არასასურველი ორსულობის თავიდან ასაცილებლად. უფრო ხშირად ეს იმ ცოლებს ეხებათ, რომლებიც ქმრების ვნებათა ჩასაქრობად ისეთ კერძებს ან სასმელს ამზადებენ, რომელიც მათი ქმრების ვნებას ჩააქრობს.

ბურშარი გვიჩვენებს ქალებს თაფლიან სხეულში გასვრილთ, ფქვილში გახვეულთ, რომლებიც ნამცხვრებს აცხობენ თავისი მომაბეზრებელი ქმრისთვის[17]. ხშირად ეს პრაქტიკა მამაკაცური ვნების გასაღვივებლადაა გამოყენებული. რადგანაც ქალები, კარგად ცნობილია, რომ დაუოკებელნი არიან. მორალი - ეს არის მორალი, რომელიც კაცებს მუდმივად თან სდევდა, მათ მამაკაცური უძლიერების შიშს უღვივებდა და როგორც ამას პენიტენციალური წიგნი ამტკიცებს, ამიტომაც, თავდაცვის მიზნით, ისინი ხშირად მაგიას მიმართავდნენ.

ნებისმიერ შემთხვევაში ქორწინება ძირითადად სოციალურ ასპექტშია დანახული. ბურშარი სიბილწის მოსპობაზე ზრუნავს, მაგრამ ჯერ ნესრიგისა და მშვიდობის აღდგენაზე ოცნებობს. IX წიგნის დასაწყისში იგი განსაზღვრებებს გვთავაზობს, რომელიც თანაცხოვრებას კანონიერი ქორწინებისგან გამოარჩევს. ბურშარი საქორწინო ნადიმის საჯაროდ ჩატარებას მოითხოვს. პენიტენციალური წიგნი სასჯელს შეიცავს (მსუბუქს, კერძო ხასიათის, მხოლოდ წლის მესამედშია თავშეკავება საჭირო) იმათთვის, ვინც უმზითვო ცოლი შეირთო, ეკლესიაში არ მისულა მასთან ერთად „მღვდლის კურთხევის მისაღებად, როგორც კანონშია დაწერილი[18]." ბურშარს აღიარებული ქორწინება სურს. მაგრამ იგი სწრაფად გადადის კურთხევის ნესზე, როგორც ტექსტის სხვა ნაწილში ახლად დაქორწინებულთა ვალდებულებაზე, ქორწილის შემდეგი სამი დღე თავშეკავება რომ უნდა გამოავლინონ. ეს კი მიზნად ღვთისმოსაობის დახევნას ისახავს. იმ ეპოქაში ეს ყველას არ მოეთხოვებოდა.

ტექსტი ორმხრივ თანხმობაზე მინიშნებას შეიცავს. აქცენტი კეთდება ორივე ნათესაური შტოს თანხმობაზე. „კანონიერი ქორწინება ღვთიური აღთქმით არის ნაბრძანები[19]", თანხმობა საკრალიზებული უნდა იყოს, რაც უფლისგან მოვლენილ მშვიდობაში გამოვლინდება. ყოველგვარი ძალადობა უნდა განიდევნოს, როგორც ეშმაკისეული ქმედება. თუ ქალიშვილი მოშორებულია მისივე ნათესაობის მიერ, ნინასწარი თანხმობის გარეშე, მოტაცებით ან შეცდენით, გატაცებულია, ასეთ შემთხვევაში წყვილი საბოლოოდ უნდა დაშორდეს ერთმანეთს. რაც შეეხება გაყრას, საჯარო, ოფიციალურ გაყრას და ხელახლა დაქორწინებას, ამ საკითხებთან დაკავშირებით, ბურშარი დიდ მოქნილობას ავლენს. მან კარგად იცის, რომ მეტისმეტი სიმკაცრე სოციალურ ურთიერთობებს ეწინააღმდეგება. შეგროვილი ტექსტები სასულიერო პირს უფლებას აძლევს, გარდა ინცესტუალური შემთხვევისა, ბევრი სხვა უგვანო კავშირი გადაჭრას. იგი გადაწყვეტილებას მიიღებს მას შემდეგ, რაც პედანტურად, კეთილგონიერებით ანონ-დაწონის ამ წყვილის მდგომარეობას. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ქალის ქცევას განიხილავს, რომელიც ეშმაკისეულიდან მოდის. ქალები ბუნებით არიან გარყვნილნი და როდესაც მათ სასულიერო პირის წინაშე ცოლქმრულ

ღალატში ადანაშაულებენ, ამ უკანასკნელებს უფლება აქვთ წყვილი დააშორონ. ეს შემთხვევა უფალმა იესომ იწინასწარმეტყველა. ქალები ძირითადად მოღალატენი არიან და ეპისკოპოსიც არ უნდა შეცდეს. ამგვარად, როდესაც ცოლები საჩივრით წარსდგებიან, რომ მათი ქმარი, უეჭველად უკვე ასაკიანი, ვერ ასრულებს ცოლქმრულ ვალდებულებას, თავიდან ეპისკოპოსმა ჯერ ქმარს უნდა მოუსმინოს. ეს უკანასკნელი თუ უარყოფს, ქალს მას არ განაშორებენ. ქმარს უნდა დაუჯეროს. თუმცა, თუ რამდენიმე თვის შემდეგ ქალი საჩივარს განაახლებს, განაცხადებს, რომ სურს დედა იყოს და თუ მისი ქმრის უუნარობა დამტკიცებულია „სამართლიანი განხილვით", ანუ უფლის გადაწყვეტილებით, ეპისკოპოსი იძულებული იქნება ქორწინება გააუქმოს. ეპისკოპოსი ყურადღებით უნდა იყოს, ამ საკითხთან დაკავშირებით ვინმე თანამონანილე საყვარელი ხომ არ არსებობს? თუ ცოლი მოდის, რათა ქმარი ღალატში დაადანაშაულოს, მამაკაცს ისევე უნდა მოექცნენ, როგორც ქალს და გაინყვიტონ ეს ბილწი კავშირი. მაგრამ სად არიან ის ქალები, რომლებიც ეპისკოპოსს სამართალის მიგებას სთხოვენ, ქმრებისგან გათავისუფლებას? ინიციატივა ყოველთვის მამაკაცებისაგან მოდის. ნუთუ მათ ბრმად უნდა დავუჯეროთ, როდესაც ისინი ჩივიან, ბრალს დებენ? სხვა ქალის სურვილის გამო ხომ არა? რამდენი მამაკაცი, ცოლისგან დაღლილი, სხვა მამაკაცების მკლავებში ტოვებს მას? რამდენი, ინცესტის საბაბით თავისი ქორწინების დარღვევის მოსათხოვად, თავის სანოლში იტყუებს რძალს ან გერს? რამდენი მამაკაცი თავს ხელ-ფეხ შეკრულად იკატუნებს თავისი ცოლის წინაშე, თითქოს უძლურია ცოლის შესაცნობად?

თუ ეპისკოპოსი უფლებამოსილია, და ხანდახან მოვალეც, ქორწინება დაარღვიოს, მან ნაკლები უფალება უნდა მისცეს განქორწინებულებს ხელახლა იქორწინონ ცოცხალი მეუღლის სიცოცხლეში. სწორედ აქ არის თავშეკავება აუცილებელი. ეპისკოპოსმა არ უნდა დაივიწყოს, რომ მამაკაცები უფრო მეტად პოლიგამიურნი არიან, მათ აქვთ ძალაუფლება, ფიზიკური ძალა, ფული და შესაძლოა, ნაკლები ეშმაკობაც, თუმცა მათ მეტად ეფექტური საშუალებები აქვთ კანონიერი განქორწინების მოსაპოვებლად და თავისი ლტოლვების დასაკმაყოფილებლად. ეპისკოპოსი ნაკლებ წინააღმდეგობას სახავს ქალთა ხელახალი დაქორწინებისთვის, მას არ ეშინია მათი უმამაკაცებოდ დატოვება, იმ მამაკაცების იმედით, რომლებიც ქალებს თვალყურს ადევნებენ. გათხოვილები ნაკლებად საშიშნი არიან, ვიდრე დაუკმაყოფილებელი ქალები, რომლებიც თავის სახლებში გაუპატიურებას ექვემდებარებიან, ღალატს ეძლევიან და კეთილ ქორწინებებს ანგრევენ. ნუთუ შესაძლებელია ხელსაყრელი ურთიერთობების დამყარების მიზნით, კანონიერად განქორწინებული ქალების ხელახლა გათხოვება? ამ მხრივ მხოლოდ ქვრივი ქალები შეიძლება გამოირიცხონ. შესაძლოა მათ საკუთარი ქმრების სიკვდილში

ურევიათ ხელი. განა ისინი ამ მკვლელობის ჩადენის ეჭვისგან თავისუფალნი არიან? ახალი ქორწინებისთვის ხომ არ ემზადებიან? ამ შემთხვევაში მამაკაცები ამტკიცებენ, რომ ქალები საიდუმლოდ დაუკავშირდნენ იმას, ვისაც მომავალ ქმრად მოიაზრებენ. დაშვებულია ეს ხელახალი ქორწინება? მეოს საეკლესიო კრებაზე ეპისკოპოსებმა თანხმობა განაცხადეს. ხოლო ტრიბურის საეკლესიო კრებაზე - უარი. ამას სასულიერო პირი გადაწყვეტს, ოღონდ თუმცა მამაკაცთა სასარგებლოდ. ცოლისგან გათავისუფლებულმა მამაკაცმა თავი ღირსეულად უნდა წარმოაჩინოს. იგი ცოდვილ ცხოვრებას უნდა განერიდოს. მისი გონიერება მას ახალი კავშირისაგან დაიცავს. და განსაკუთრებით, როდესაც გაყრის მიზეზი ცოლის ღალატია. ეს ბრალდება ისეთი ადვილი გამოსატანია. დიდგვაროვანთა სასახლეებში (პრომისკუიტეტის შემთხვევაში) ჭორები ჩნდება. ეს შურიანი ხალხი მუდამ მზადაა დაემოწმოს იმას, რაც ნახა და გაიგონა. იყო კი ეპისკოპოსი, როგორც მამაკაცი, დარწმუნებული, თუ ჭორებს არ მოუსმენდა, რომ დანაშაული ქალური ვნებიდან მოდიოდა. წმინდა იმპერატორმა ჰენრიხმა წმინდა კუნეგონდა დამნაშავედ მიიჩნია და აიძულა ცეცხლზე გაევლო (ორდალია ჩაეტარებინა). ყოველ შემთხვევაში, ეპისკოპოსი პავლეს სიტყვებს იმოწმებს: ყველაფერი უნდა გაკეთდეს გაყრილი მეუღლეების შესარიგებლად, ერთ დღეს ისინი უნდა შეიყარონ, ბრაზის დაცხრომის შემდეგ. ხელახალი ქორწინება დაუშვებელია გარყვნილი ცოლებისგან განთავისუფლებული ქმრებისათვის, არც იმათთვის, ვისაც თავისი ცოლის გატაცება ან საკუთარი სისუსტე მოყავს მიზეზად. ამით მათ ავხორცობის წამლისგან განთავისუფლება, ვნების ცეცხლით დაწვა ხომ არ სურთ? მხოლოდ მამაკაცს შეუძლია ადვილად მიუბრუნდეს თანაცხოვრებას, ცოლქმრობის გაუფასურების ასეთ ფორმას. აქ იგი სექსუალურ კომფორტს პოვებს. უბრალოდ მას კანონიერი მემკვიდრეები არ ეყოლება. საეპისკოპოსო აღთქმები ნაკლებად ეწინააღმდეგება ტკბობის სურვილს, ვიდრე ოჯახური საქორწინო სტრატეგიები. „დეკრეტში“ დასახელებულია ორი მიზეზი ქმრისათვის, რისთვისაც მას ულირს, არა მარტო კანონის ძალით, არამედ საჭიროებისამებრ გაეყაროს ცოლს. იმ შემთხვევებში, თუ იგი აღიარებს, რომ მისი პირველი ცოლი მის სიცოცხლეს ემუქრებოდა ან თუ დაამტკიცებს, რომ იგი მისი ნათესავია.

ამ ორ შემთხვევაში სისხლის აღრევა ხდება. ბურშარს ახალგაზრდა მამაკაცთა სექსუალური თავისუფლების შეზღუდვა არ აღელვებდა. იგი ასევე ნაკლებად ზრუნავდა თავშეკავებაზე. საქორწილო შეთანხმება მისთვის ოჯახს უკავშირდებოდა და არა ინდივიდს. ბურშარი ანგარიშს ნათესაობას უწევდა - მას ესმოდა იმ მამაკაცის, რომელიც გარყვნილებას ჩადიოდა, რადგან საკუთარ ცოლს ვეღარ იტანდა. მაგრამ ბურშარის მთავარი საზრუნავი მშვიდობის შენარჩუნება იყო. მას ქორწინება სოციალური წესრიგის საფუძვლად მიაჩნდა. „დეკრეტის“ სული კაროლ-

ინგიანულია. ზოგიერთი მეტყვის, რომ - გერმანიკული. თუმცა ლობის მონასტერი, სადაც ბურშარი სწავლობდა და საიდანაც იდეები და რჩევები მოდიოდა, გერმანიაში არ იყო. თუ პასტორალური გარემოებანი და პრობლემები განსხვავებული გახლდათ საფრანგეთის სამეფოს ჩრდილოეთ ნანილში, ნუთუ ამ რეგიონის სასულიერო პირებს კარგად უნდა მიეღოთ კანონიკური კრებული, რომელიც ვორმსის ეპისკოპოსმა შეადგინა?

თავი IV

რობერტ ღვთისმოსავი

საფრანგეთის მეფე რობერტი, თავისი ბიძაშვილის - ანრის მსგავსად, წმინდანად შერაცხული არ ყოფილა. თუმცა ზოგიერთი მისი თანამედროვე გარკვეულწილად ცდილობდა მეფის წმინდანად წარმოჩენას. ამას ის ზედმეტსახელიც ადასტურებს, რომელიც მას შემორჩა: ღვთისმოსავი, რასაც სენ-ბენუა-სურ-ლუარის ბერის - ჰელგოდის ნაშრომი მოწმობს. სუვერენის გარდაცვალების შემდგომ წლებში მან მეფის ბიოგრაფია დაწერა, იმის მსგავსი, რასაც საერთოდ ნეტართა სადიდებლად ქმნიდნენ ხოლმე[1]. ეს „საკითხავი", რომელიც ეკლესიის მესვეურთ მედიტირებისაკენ უბიძგებდა და იმავდროულად მათთვის ქადაგებათა შთაგონების წყარო გახლდათ, სამაგალითო ადამიანის ცხოვრებასა და ღვანლს აღწერს. საუბარია მეფის ღირსებებზე - მის სათნოებაზე, სნეულთა განკურნების უნარზე. რობერტს „წმინდა სიკვდილმა" სასუფევლის კარი გაუხსნა, სადაც ის გამეფდა კიდეც. წმინდა მეფე დავითის შემდეგ მას სათნოებით ვერავინ შეედრებოდა. ნუთუ მორჩილების გამო? სწორედ ეს არის ბენედიქტელთა მთავარი სათნოება. მეფე დავითის მაგალითით? კლოდ კაროზიმ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ პანეგირიკში აღწერილია მეფის „მოქცევა", რამაც რობერტის ცხოვრება შეცვალა და მას სიცოცხლის ბოლომდე მონანიებით ცხოვრება გადააწყვეტინა. ამგვარად, მეფეს თავად დავითის ცოდვის გამოსყიდვა სურდა, რაც ქორწინების მორალის დამახინჯებაში მდგომარეობდა. ეს შეცოდება მორიდებითაა მოხმობილი ნაშრომის შუაგულში და ცენტრალური დისკურსის ნაწილს შეადგენს.

ჰელგოდმა სუვერენის აღმშენებლობითი ქმედებები გაახმაურა და მისი საერო დამსახურებები გააზვიადა. სამეფო მსახურების დროს რობერტს სამართლიანობა, გულუხვობა და სიკეთე გამოუმჟღავნებია. ჰელგოდი აქ თხრობას წყვეტს. ამ ქების საწინააღმდეგოდ, „არაკეთილგანწყობილნიც" გამოჩნდნენ: „არა, ეს კეთილი საქმენი მეფის სულის ხსნას არ მოემსახურება, რადგან მას არ შეშინებია დანაშაულის ჩადენისა. მაგალითად, დაუშვებელი ქორწინებისა, მან ცოლად საკუთარი ნათლიდედა შეირთო, რომელიც მისი სისხლით ნათესავიც იყო." აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბიოგრაფი არ ასახელებს ამ არაკანონიერ საყ-

ვარელს. ავტორი ქორწინებაზე კი არა, უბრალოდ შეერთებაზე საუბრობს. საქმე ინცესტს ეხება. მბრალდებლებს ჰელგოდი უპასუხებს: ვის არ შეუცოდავს? ვის შეუძლია იცრუოს, რომ „სუფთა გული" აქვს? ამის მაგალითია, დავითი - „წმინდა მეფე". იგი პარალელს ავლებს: დავითის „დანაშაული" ქალის მოტაცებასა და ავხორცობაში გამოიხატება. ხოლო რობერტი - „უფლის სამართალს დაუპირისპირდა". დავითმა ორმაგი ცოდვა ჩაიდინა: ცოლქმრული ღალატი და თავისი მონინააღმდეგის მკვლელობა. რობერტმა ცოლად მოიყვანა ქალი, რომელიც ორმაგად მიულებელი იყო მისთვის. პირველ რიგში მასთან სულიერი, ხოლო შემდგომ ხორციელი ნათესაობა აკავშირებდა. მაგრამ დავითი და რობერტიც განიწმინდნენ, შენდობილ იქნენ, დავითი - ნათანის, რობერტი კი - სენ-ბენუა-სურ-ლუარის აბატის მიერ. საფრანგეთის მეფემ აღიარა, რომ მისი „ქორწინება" ამაზრზენი იყო, იგი გამოტყდა საკუთარ დანაშაულში და შემდგომ იმ ქალს გაშორდა, რომელთანაც მას კონტაქტი შეურაცხყოფდა. დავითმა და რობერტმა შესცოდეს, მაგრამ „ღვთის წყალობით მათ მოინანიეს". დავითის მსგავსად, რობერტმაც მოინანია შეცოდება, იმარხულა, ილოცა. სამეფო ტახტის დაუტოვებლად, რომელიც განგებამ უწყალობა, საფრანგეთის მეფემ ასკეტიკით იცხოვრა, ხორცის დათრგუნვით სულის გადარჩენისთვის იზრუნა. საუბარია ბედნიერების მომტან შეცოდებაზე, რომლის გამოსწორებით, იგი ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდებოდა ნეტარებას. ჰელგოდს იქვე ერთი ამბავი მოჰყავს. ერთხელ რობერტის მამა, ჰუგო კაპეტი, სასახლიდან მწუხრის ლოცვაზე დასასწრებად გამოვიდა. ბნელ კუთხეში ერთი წყვილი შენიშნა, რომელიც სიყვარულს მისცემოდა. მეფემ მათ საკუთარი მოსასხამი გადააფარა. ამ პატარა მაგალითის მორალი კი შემდეგია - დიდება იმ ხალხს, რომელიც სხვის ცოდვებს არ ახმაურებს. ეს თავშეკავება გაცხადებულია წმინდა ბენედიქტის წესდების XLIV თავის მეექვსე მუხლში: „მოუარეთ თქვენს და სხვათა იარებს, გახმაურებისა და სახალხოდ გაცხადების გარეშე." ამგვარი თავშეკავების აუცილებლობა ჰელგოდმა, როგორც პატიოსანმა მონმემ, ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად დაგვიტოვა. კიდევ უფრო თავშეკავებული რაულ გლაბერი, ასევე ბენედიქტელი ბერი, არაფერს ამბობს საფრანგეთის მეფის უსიამოვნო ცოლქმრობაზე. რობერტმა აშკარად არა მარტო ინცესტი, არამედ ცოლქმრული ღალატიც ჩაიდინა და ისეთივე დამნაშავე გახლდათ, როგორც მისი შვილიშვილი - ფილიპი I. ამ უკანასკნელს სამი კანონიერი ცოლი ჰყავდა. მაშინ, როდესაც იგი მესამედ დაქორწინდა, პირველი ცოლი ჯერ გარდაცვლილი მგონი არც იყო. მეორე ცოცხალი გახლდათ და საკუთარ მამულში იმყოფებოდა, დროს ელოდა, რომ მეფის სარეცელს დაბრუნებოდა.

988-989 წლებში მამის გამეფების შემდეგ რობერტი, ტახტის მემკვიდრე, თექვსმეტი წლის ასაკში მალევე ირთავს ცოლს. მას როზალა ერქ-

ვა, ახალ ოჯახში კი სუზანას ეძახდნენ. სამი წლის შემდეგ იგი გააძევეს, ქალმა 1003 წლამდე იცოცხლა. 996-997 წლებში რობერტს ცოლად ბერტა მოჰყავს. ეს უკანასკნელი მან 1001-1006 წლებში გაუშვა. შემდეგ მას ცოლად კონსტანცა ჰყავდა, რომელმაც რობერტს ერთი წლის შემდეგ პირველი კანონიერი ვაჟი გაუჩინა. მას კონსტანცას გაგდებაც უნდოდა, მაგრამ ეს უკანასკნელი მამაკაცური, შემტევი ქალი აღმოჩნდა და რობერტმა მისი გაშვება ვეღარ მოახერხა.

თანხმობათა და განხეთქილებათა ეს თანამიმდევრობა გვიჩვენებს, თუ როგორი იყო დიდებულთა ქორწინება საფრანგეთის ჰერცოგთა სასახლეებში, რომლებიც შემდგომ მეფეები ხდებოდნენ. ჯერ ოჯახის უფროსის, მამის ჯერი იყო შვილისათვის საცოლე მოეძებნა. 19 წლის რობერტი აგდებს მეუღლეს, რომელიც ჰუგო კაპეტმა შეურჩია. ამ საქციელით იგი საკუთარ დამოუკიდებლობას უსვამს ხაზს. მოწიფულ ასაკში მას ამხანაგები მამის ავტორიტეტის მძიმე უღლის გადაგდებას ურჩევენ. უფრო მოგვიანებით თავად რობერტი ურჩ შვილებზე წუწუნებს. აბატი გიომ დე ვოლპიანო კი ახსენებს მას, რომ იამვე ასაკში თავადაც ასევე იქცეოდა. ერთი რამ კი ფაქტია — სხვა კანონიერი მეუღლე რომ მოეყვანა და არჩევანი თავად გაეკეთებინა, მამის სიკვდილს უნდა დალოდებოდა. იმ პერიოდში რობერტი ოცდახუთი წლისა იყო.

იყო სხვა ნიუანსიც: რობერტს ცოლად ისეთი ქალის შერთვა სურდა, რომელიც მასზე შედარებით დაბალი სოციალური მდგომარეობით იქნებოდა გამოირჩეული. აი, „მეფეთა მოდგმის" ხვედრიც. მართლაც, 987 წელს ჰუგო კაპეტის მომხრეები სამეფო ტახტის კონკურენტს შემდეგ ბრალდებას უყენებდნენ. შარლ დე ლორენმა „ვასალთა წრიდან ითხოვა ცოლი, რომელიც მისი თანასწორი არ იყო. ნუთუ დიდი ჰერცოგი (ჰუგო) დედოფალად ისეთ ქალს აიტანდა, რომელიც ვასალთა წრიდან იქნებოდა გამოსული?" ეს აუცილებლობა ჰუგოს აიძულებდა სხვაგან, საკმაოდ მოშორებით მოეძებნა ქალი. ჰუგო კაპეტი ბიზანტიისკენ იყურებოდა, იმპერატორის ქალიშვილი სურდა. საამისოდ როზალას კარგი კანდიდატურა არსებობდა. მისი მამა იტალიის მეფე ბერანჟერი, კარლოს დიდის შთამომავალი გახლდათ. ასევე ბერტაც, რომელიც თავად რობერტმა შეარჩია, საუკეთესო ვარიანტი იყო. ქალი კონრად ბურგუნდიელის შვილი და ლუი VI ზღვისგაღმელის - დასავლეთ საფრანგეთის კაროლინგი მეფის, შვილიშვილი გახლდათ. კონსტანცას წარმომავლობა ნაკლებად შთამბეჭდავი იყო. მისი მამა მხოლოდ და მხოლოდ არლის გრაფი - რეალურად კი, ძალიან წარმატებული პიროვნება გახლდათ. სწორედ მან განდევნა პროვანსიდან სარაცინები. მისი დედა კი, ადელაიდა (ან ბლანში), ანჟუს გრაფის და იყო. ნუთუ რობერტი, შარლ დე ლორენის მსგავსად, ვასალებს უყადრებდა თავს? არაფერი ვიცით გიომ არლელის წინაპრების შესახებ. შესაძლოა ისინიც კაროლინგები იყვნენ. კონსტანცას დედა უკანასკნელი კაროლინგი მეფის ლუი V- ის მეუღლე

უნდა ყოფილიყო, ეს უკანასკნელი ნამდვილად არ შეირთავდა ცოლად თავისზე მდაბიოს. კონსტანცას დედას ქმარი მალევე ეყრება და შემდეგ მას არლის გრაფი ირთავს და როგორც ჩანს, ცოლქმრულ ღალატზე არავინ საუბრობს. ქალი ეპისკოპოსებმა დედოფლად აკურთხეს. განა კონსტანცა დედოფლის ქალიშვილი არ იყო? XIII საუკუნეში ჟერვე დე ტილბურის მემუარებში კონსტანცა ლუი V-ის შვილად იხსენიება. ლუი V კონსტანცას მთელს სამეფოსთან ერთად ჰუგო კაპეტის ვაჟს გადასცემს. უეჭველია, რომ თანამედროვე ქრონიკების ავტორები მესამე მეუღლეს (კონსტანცას) კაროლინგურ ან სამეფო წარმოშობას არ მიაწერენ. მაგრამ, ასევე, ისინი როზალაზე, როგორც სამეფო წარმოშობის დადებით კანდიდატზე, სულაც არ საუბობენ. შესაძლოა 1006 წელს იზოგამიის დაცვის სურვილი ნაკლებად მნიშვნელოვანი გახდა.

რობერტი განწირულ იყო ძალიან ახლობელ ნათესავებზე დაქორწინებისათვის. ჰუგო კაპეტი ბასილევსს სირთულეებზე მოახსენებს: „ჩვენ ვერ ეპოულობთ თანასწორ საცოლეს იმ ნათესაობის გამო, რომელიც ჩვენ მეზობელ მეფეებთან გვაკავშირებს“. ამიტომ ანრი I, რობერტის ვაჟი, იძულებულია ცოლის შესართავად კიევში წავიდეს. მეუღლის შერჩევისას მთავარია სამეფო წარმომავლობას გაეწიოს ანგარიში. ალბათ, რობერტი კონსტანცას შორეული ბიძაშვილი გახლდათ. როზალას ნათესავი კი ის ნამდვილად იყო (ნათესაობის მეექვსე მუხლის მიხედვით), ე.ი., ამ შემთხვევაშიც, როგორც ეპისკოპოსები ამტკიცებდნენ, ინცესტი ფიქსირდება. სამი ცოლიდან ყველაზე დიდებული, ბერტაც ასევე ძალიან ახლობელი ნათესავი იყო მისთვის - ბიძაშვილი ნათესაობის მესამე მუხლით. ბერტას ამ ნათესაობის გამო ქორწინების ანულირება სრულიად შესაძლებელი გახლდათ, მაგრამ „უზურპატორ“ ჰუგო კაპეტის ვაჟისთვის შარლ დე ლორენის ძმისწულზე დაქორწინება, აკრძალვის მიუხედავად, მაინც სარფიანი იყო.

ამ ქალიშვილთაგან პირველი ორი თავიდან გრაფებზე იყვნენ დაქორწინებულნი, ეს მიღებული კავშირები იყო. დინასტიური სტრატეგია უფროს ვაჟიშვილს საცოლეს დიდგვაროვანი ოჯახიდან ურჩევდა. ეს ქალიშვილები ქალწულები აღარ იყვნენ. ისინი ქვრივები გახლდნენ, როზალა ფლანდრიის გრაფის არნუს ქვრივი, ხოლო ბერტა - ბლუას გრაფის ედის. მეფის არჩევანი სრულიად გასაგები იყო. ამგვარი ქორწინებით, კაპეტინგი იმედოვნებდა, რომ თუ გვირგვინს არა, საფრანგეთის საჰერცოგოს მაინც შეინარჩუნებდა. მისი საჰერცოგოს ერთი ნაწილი დაკარგული იყო, ნორმანდიელი მთავრების მიერ მიტოვებული, გაჩანაგებული, ნაკლებად გაქრისტიანებული. ცენტრი, ორლეანისა და პარიზის გარშემო კი კვლავაც კაპეტინგს ემორჩილებოდა. სხვათაშორის ფლანდრიის, ბლუას და ანჟუს გრაფები საკუთარი სიძლიერისთვის უფრო ზრუნავდნენ. ამიტომაც საჭირო გახდა ამ მიწების შემომტკიცება. სწორედ ამას უნდა მომსახურებოდა ქორწინება.

ჰუგო კაპეტმა თვალი ფლანდრიას დაადგა. გრაფი არნუს გარდაცვალებისას მისი უფროსი ვაჟი ჯერ კიდევ ბავშვი იყო. 989 წელს გაჩნდა აზრი, ამ ყმანვილისთვის სიმამრად ქვეყნის მემკვიდრე შეერჩიათ. მეურვეობის დამტკიცება გართულდა. ამასობაში კი მონტრეის სასახლის დაკარგვის დიდი რისკი არსებობდა, რომელიც ახალი დაპყრობილი და როზალასთვის ქმრის მიერ დანატოვარი მამული გახლდათ (მოგვიანებით ეს სასახლე პირველი მეუღლეს, ასევე ფლანდრიელ ქალს დაუტოვა ფილიპი I-მა. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ მდიდარ სამფლობელოს ამგვარი დანიშნულება ჰქონდა: მათ იყენებდნენ თაობიდან თაობაში ოჯახის უფროსთან გაყრილი მეუღლის დასაკმაყოფილებლად). როზალა აღარავის სჭირდებოდა. ამიტომ იგი გაუშვეს, რაც ნესების დაცვით ჩატარდა[2]. სამეფო ოჯახმა მონტრეი არ დაკარგა. 996 წელს კაპეტინგებისთვის საჩქარო იყო ტურენის შენარჩუნება, ანჟუსა და ბლუას გრაფების თავდასხმის უკუგდება. ანჟუს გრაფი - დაუმორჩილებელი, ხოლო ბლუას გრაფი კი მეტად ძლიერი და საშიში გახლდათ. ედ ბლუელმა დრეს საგრაფო დათმო, რათა მისი სენიორს 987 წელს სამეფო ტახტი მიეღო. ორლეანელების მხარეს მყოფი ყველა მებრძოლი მათი ვასალი იყო. საბედნიეროდ, ორი საგრაფო ოჯახი ერთმანეთს დაუპირისპირდა. მეფის კარზე მოხუცი მეფე ანჟუელების მხარეს გადაიხარა. მისი ვაჟი, მისი მონინააღმდეგე, კი - ბლუელების. როდესაც 996 წლის თებერვალში ედ ბლუელი გარდაიცვალა, ანჟუს გრაფი ქალაქ ტურს დაესხა. რამდენიმე თვის შემდეგ მამისაგან გათავისუფლებულმა რობერტმა ქვრივ ბერტაზე მიიტანა იერიში. ისტორიკოს რიშერის მიხედვით, თავდაპირველად მეფე ქალის „დამცველი" იყო და სწორედ ამ სახელით აიღო ტური. შემდეგ კი ბერტა იმ იმედით შეირთო ცოლად, რომ ბლუას საგრაფოზე იბატონებდა, როგორც ოდესღაც ფლანდრიაზე ბატონობდა თავისი ვაჟების მეოხებით, რომლებიც ახალი მეუღლისგან ჰყავდა და უკვე სრულწლოვანებიც გამხდარიყვნენ. უფროსი ვაჟი მალევე გარდაიცვალა. მეორე ვაჟი, ედ II ძალიან მალე ინტრიგების წყალობით სამეფო კარზე ქედმაღალ, შემანუხებელ ადამიანად იქცა. იმედგაცრუებული ხელმწიფე კვლავ ანჟუელებთან დამეგობრებას გადაწყვეტს ცოლის გამოცვლის გზით. სწორედ ამიტომ იცვლებოდა ასე ხშირად ოჯახური კავშირები. რობერტი ბერტას დაშორდა და კონსტანცა შეირთო. ეს უკანასკნელი ანჟუს გრაფის ფუკ ნერას გერმანელი ბიძაშვილი გახლდათ. ედს სამეფო კარზე მომხრეები ჰყავდა. ის ცდილობდა რობერტის ახალი ქორწინების ჩაშლას და უნდა გაემარჯვა კიდეც. ამის შესახებ ჩვენ ვიცით ოდერანუს დე სანსის[3] მონათხრობიდან. ამ ქრონიკის ავტორი, ოქრომჭედელი ბერი იყო, ძალიან ამაყობდა თავისი ხელობით, წმინდა სავინიანის საეკლესიო ნივთით, რომელიც ოქროთი და ძვირფასი ქვებით იყო მოოჭვილი (ძვირფასი ქვები მეფე რობერტმა და დედოფალმა კონსტანცამ 1019 წელს მიართვეს ბერს). ამ საჩუქრით, განმარტავს ავტორი, წყვილმა წმინდანს მადლობა

შესწირა მფარველობის გამო. რობერტი რომში გამგზავრებულა. „მას თან ახლდა სისხლით ნათესაობის მიზეზით გაყრილი ბერტა, იმ იმედითა და სამეფო კარის ზოგიერთი წარმომადგენლის მხარდაჭერით, რომ პაპის ბრძანებით სამეფოს უკან დაიბრუნებდა". დაბნეული და შეშინებული კონსტანცა ლოცულობდა. სამი დღის შემდეგ მას მეფის დაბრუნება შეატყობინეს, „ამიერიდან იგი რობერტისთვის უსაყვარლესი მეუღლე გახდება, ხოლო თავად მეფე ძალაუფლების ყველა ატრიბუტს დაიბრუნებს". 1022 წელს ბლუას გრაფი და მისი მეგობრები უკანასკნელ ციხესიმაგრეს კარგავენ. ეს კი ორლეანელი ერეტიკოსების, დედოფლის ერთგული მეგობარი მღვდლების დამსახურება გახლდათ. ისინი კოცონზე დაწვეს. ყველა ეს ინტრიგა იმის ნიშანი იყო, რომ კანონიერი ქორწინება იმ საზოგადოებაში, სადაც თანაცხოვრება ფართოდ დანერგილი იყო, პირველ რიგში პოლიტიკური საკითხი გახლდათ. ჩვენ ვხედავთ ქალს, მეუღლეს პაიკივით გადაადგილებულს შემთხვევიდან შემთხვევაზე. ერთის მხრივ, ფსონი მნიშვნელოვანი იყო. საუბარი ღირსებას, დიდებას და ძალაუფლებას ეხებოდა.

მე არაფერი მითქვამს მთავარ საწუხარზე - კანონიერი ვაჟის გაჩენით გვარის გაგრძელების უზრუნველყოფზე. მხოლოდ ამ დარდს შეეძლო აეხსნა რობერტის ქცევა. როზალა ნაყოფიერი ქალი იყო, თუმცა, როდესაც ახალგაზრდა მეფემ იგი ცოლად მოიყვანა, ქალმა შვილი ვეღარ გააჩინა. „მოხუცი ქალი", რიშერის თქმით, სწორედ ხანდაზმულობის მიზეზით გააგდეს. ბერტა ოცდაათ წელზე ნაკლებისა იყო. მან საკუთარი შვილოსნობა ადრე დაამტკიცა. ამ ქორწინებიდან ხუთი წლის შემდეგ კი კვლავ უშვილი იყო. ეს საკმარისი მიზეზი გახლდათ მისი გაშვებისთვის. კონსტანცას უპიტრატესობა მისი ახალგაზრდობა გახლდათ. მან ორი ვაჟი გააჩინა. რობერტი სრულიად თავისუფლად გრძნობდა თავს, ამიტომ 1008-1010 წლებში იგი კონსტანცას გაეყარა და კვლავ ბერტას დაუბრუნდა. ამის გამო იგი რომში გაემგზავრა. წმ. საინიანი ახალი დედოფლისათვის ლოცულობდა.

საქორწინო კავშირი საფრანგეთის მეფის კარზე ძალზედ ადვილად იშლებოდა. ჩვენ, სხვა ისტორიკოსები, რომლებიც მხოლოდ გარედან ვუყურებთ მოვლენებს, ამ სამ თანმიმდევრულ ქორწინებას სამ სხვადასხვა მიზეზს ვუსადაგებთ. როზალა იმიტომ შეირჩა, რომ მეფის ქალიშვილი იყო, ბერტა მთავარი კოზირი იყო იმ თამაშში, რომელიც ტურნინში მიმდინარეობდა, კონსტანცამ კი ტახტის მემკვიდრე შვა. უფლება არ გავაქვს ასევე არაფერი ვთქვათ ვნებიან სიყვარულზე, სურვილის მოძალებაზე. ყოველ შემთხვევაში ეკლესიის ქადაგებათა მიმართ თავისუფალი დამოკიდებულება შეიმჩნეოდა. როგორი იყო თავად ეკლესიის მესვეურთა აზრი?

წყაროების მიხედვით არ ჩანს, რომ პირველ გაყრასა და ხელახალ ქორწინებას მკაცრი რეაქცია მოჰყოლოდა, არც ცოლქმრულ ღალატს,

რაც დანაშაულად ითვლებოდა ყველა იმ კანონის მიხედვით, რომლებიც ბურშარ ვორმსელმა შეკრიბა. ტექნიკური ტერმინი - გამკიცხავი, შემსნორებელი, რომელიც გვიან ქრონიკებში ფილიპ I-ის მიმართ იხმარებოდა, ამ პერიოდის წყაროებში არსად გვხვდება ამ კონკრეტულ ამბავთან მიმართებაში. თავშეკავების ექო რიშერის დაწერილ „ისტორიაში" გაისმის. ერთი რეიმსელი ბერი, რომელიც ვერ იტანდა კაპეტინგებს, წერდა: „ინტელექტუალთა მხრიდან (იგი გულისხმობს თავის მასწავლებელს, ჟერბერტს) შეიმჩნეოდა ამ გაყრის (როგორც შეცდომის) კრიტიკა", თუმცა თავშეკავებული კრიტიკა და არა „აშკარა დაპირისპირება". ცოტა ქვემოთ ქრონიკის ავტორი იხსენებს, რომ სწორედ ჟერბერტი ცდილობდა ბერტასთვის რობერტზე დაქორწინება გადაეფიქრებინა. სულ ეს იყო, არანაირი მინიშნება ბიგამიაზე არ ყოფილა. ქორწილმა სადღესასწაულო ვითარებაში ჩაიარა, ის სასულიერო პირებით გარშემორტყმულმა ტურის არქიეპისკოპოსმა აკურთხა[4]. ამ ალიანსის მოწინააღმდეგენი მხოლოდ ძალიან ახლო ნათესაობაზე საუბრობდნენ ისევე, როგორც ჰელგოდი. სატირიკულ პოემაში ადალბერონ დე ლაონი ბოროტი ენით დასცინის ნავერის გრაფს, რომელმაც ეს „ინცესტი[5]", გარკვეული ინტრესების გამო, გაამართლა.

მართლაც, ეს ცოლქმრული ღალატი არ იყო, სამაგიეროდ ნათესაური კავშირი გახლდათ, რომელიც განქორწინების მომხრეთა წისქვილზე ასხამდა წყალს. საეკლესიო მორალიც განსაკუთრებულ ყურადღებას ინცესტზე ამახვილებდა. როგორც ეს ბურშარის „დეკრეტში" ჩანს, ინცესტის პრობლემას ეკლესია აშკარად გამოჰყოფდა ქადაგებების დროს. ამგავრად, „ბიძაშვილზე დაქორწინების სამოციქულო აკრძალვისა და ინცესტუალური კავშირის გამო" 997 წლის საეკლესიო კრებაზე საფრანგეთის მეფის ქორწინება შეწყვეტილად გამოცხადდა.[6] ერთი წლის შემდეგ კვლავ შედგა საეკლესიო კრება, რომელსაც იმპერატორი ოტონ III თავმჯდომარეობდა. კრებამ გადაწყვიტა, რომ რობერტი უნდა გაყროდა თავის მეუღლე ბერტას, „რომელიც უკანონოდ შეირთო", და ამდენად კრებამ მას ისევე, როგორც მის საყვარელს, თავს მოახვია შვიდწლიანი ეპიტემია. წინააღმდეგ შემთხვევაში რობერტს ანათემა ემუქრებოდა. ეს პოლიტიკური ზომები იყო. სამოციქულო კარზე სურდათ, რომ საფრანგეთის მეფეს ორ ფრონტზე დაეთმო პოზიციები. რეაბილიტაცია უნდა მოეხდინა რეიმსის არქიეპისკოპოსისათვის (უკანონოდ შობილი კაროლინგისათვის), რომელიც არც ისე დიდი ხნის წინ გადააყენეს ღალატის გამო და ასევე მეფეს შეეწყვიტა ორლეანის ეპისკოპოსის მხარდაჭერა იმ სენბენუა-სურ-ლუარის ბერების წინააღმდეგ, საეპისკოპოსო კონტროლის გაუქმებას რომ მოითხოვდნენ. ანჟუს გრაფი, რომელიც უშუალოდ დაზარალდა სამეფო ქორწინებით, კულისებში განაგრძობდა მოქმედებას. მან დროულად დაიწყო მლოცველობა წმ. პეტრეს საფლავთან. რობერტი აღელდა: მან რეიმსიც დათმო და საეპისკოპოსო კონტროლიც გააუქმა.

პაპის ლეგატი მეფეს „ახალი ქორწინების დამტკიცებას“ შეჰპირდა. ჩრდილო საფრანგეთის ეპისკოპოსებზე კარგად რომ აღენიშნა თავისი უპირატესობა, პაპმა ძალაში დატოვა თავისი განაჩენი, თუმცა მხოლოდ გარკვეული დროით. მეფემ მეუღლე შეინარჩუნა, ხოლო არშამბომ - ტურის არქიეპისკოპოსის ფუნქციები. არ უნდა ვენდოთ ჟან-პოლ ლორანის მიერ შესრულებულ პომპეზურ ნახატს. მხატვარი ლეგენდით იყო შთაგონებული. სინამდვილეში, მეფე რობერტი ეკლესიიდან არასოდეს განუკვეთავთ. იგი ბერტას გაეყარა, მაგრამ ყველაზე ნაკლები ორი წლის, უეჭველია ოთხი თუ ხუთი წლის შემდეგ მაინც, როცა რომის საეკლესიო კრების დეკრეტი მიიღეს. იყო სხვა მიზეზებიც. შეიძლება ჰელგოდი მართალიც იყო. მეფე ბერული ცხოვრების გზას დაადგა. იგი უპირატესად საკუთარ სულზე ზრუნავდა და თავის შეცდომებს ითვალისწინებდა. სწორედ ეს ფაქტები გამორჩა ისტორიკოსს და ჩვენ არავითარი უფლება არ გვაქვს, მივიღოთ ან უარვყოთ ისინი. ყოველ შემთხვევაში ამ ახალი გაყრის დასამტკიცებლად კარგი მიზეზი გამოჩნდა - ბიძაშვილობა. ოდერანუსი ნათლად საუბრობს, რომ ბერტა გაუშვეს „ნათესაობის გამო“. ინცესტუალური კავშირი დასრულდა, თითოეულს ხელახალა დაქორწინების უფლება მიეცა, რაც წმინდა რობერტმა განახორციელა კიდეც. მაგრამ, როდესაც 1008 წელს რომში მას მესამე ქორწინების გაუქმების დასტურის მოპოვება სურდა, ხოლო მეორე ქორწინების ხელახალი დამტკიცება, მეფე მიხვდა, რომ პაპის კურია აღარ გარისკავდა ახალ სკანდალს.

თუ ჰელგოდს დავუჯერებთ, XI ს-ის 30-იან წლებში მხოლოდ ზოგიერთ არაკეთილგანწყობილ პირს შეიძლება ეჭვი შეპარვოდა რობერტის სიწმინდეში. ეტყობა მეფის ორმაგ ინცესტზე არ ჭორაობდნენ. არაფერს ამბობდნენ, აგრეთვე, რობერტის ტრიგამიაზე. რომის დაჟინებული მოთხოვნის შემთხვევაში ამ რეგიონის რომელიმე ეპისკოპოსი გაბედავდა წმინდა მეფის ეკლესიიდან განკვეთას? სიმკაცრე მოგვიანებით გამოვლინდა, საუკუნის შუა წლებში მაშინ, როდესაც სამხრეთიდან მომდინარე რეფორმა ძალას იკრებდა და იმპერატორ ანრი II-ის მაღალზნეობრიობის ამსახველი ლეგენდა იქმნებოდა. კრიტიკა ივ შარტრელისა და პაპ ურბან II-ის მხარდამჭერებმა დაიწყეს. პირველი, ვისი ხმაც გვესმის, იტალიელი ასკეტი პეტრე დამიანეა. მონ-კასენის აბატის, რეფორმატორ დიდიეს 1060-1072 წლებში დაწერილ ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ, რომ რობერტი, იმდროინდელი საფრანგეთის მეფის პაპა, დაისაჯა, რადგანაც საკუთარი ნათესავი შეირთო ცოლად. ბიჭს, რომელიც ამ უკანონო ქორწინებით იშვა, „ბატის კისრი და თავი“ ჰქონია. შემდეგ იგი აგვიწერს იმ სცენას, რომელიც ჟან-პოლ ლორანმა შექმნა: ეპისკოპოსებმა ეკლესიიდან განკვეთეს მეუღლეები, ხალხი დაშინებული იყო, მეფე - ყველასგან მიტოვებული, მხოლოდ ორი პატარა მოახლე ბიჭი ცდილობდა მის გამოკვებას, მაგრამ ისინი იმავდროულად ცეცხლში ყრიდნენ ყველაფერს,

რასაც კი მეფის ხელი შეეხებოდა. პეტრე დამიანე გვარწმუნებს, რომ შეშინებული რობერტი გათავისუფლადა უკანონო ქორწინებისგან, რათა კანონიერი კავშირი დაემყარებინა[7]. ეს ამბავი, რომლის წყარო უცნობია, საფრანგეთის ისტორიიდანაა ამოღებული, რომელიც 1110 წლის შემდეგაა შექმნილი მეფე ლუი VI-ის კარზე. ეს უკანასკნელი ბერტრადა მონფორს მემკვიდრეობას ეცილებოდა, რათა მისი ნახევარძმები დაესუსტებინა. ლუი აშკარად აკრიტიკებდა საკუთარი მამის - ფილიპი I—ის ნაკლოვანებებს, რომელიც ეკლესიიდან სწორედ ინცესტის ბრალდებით იყო განკვეთილი. ლუი არც თავისი დიდ პაპის კრიტიკას აპროტესტებდა. ამ მონათხრობის უკეთ ინფორმირებული ავტორი მხოლოდ სისხლით ნათესაობაზე არ საუბრობს. იგი ადასტურებს ჰელგოდის იმ ისტორიას, რომელის მიხედვითაც, რობერტი ბერტას ვაჟის ნათლია იყო. რომის პაპის ანათემით თავზარდაცემული მეფე საკუთარ ცოდვას ინანიებდა. სიყვარულმა, ამ ხორციელმა, ბილწმა გრძნობამ იგი დაიმორჩილა. „ქალმა მონსტრი შვა. შეშინებული მეფე იძულებული იყო მას გაყროდა. ამისათვის თავად ხელმწიფე და მისი სამეფო შენდობილ იქნენ.[8]" ეს უფლის, ეკლესიის გამარჯვება იყო. იმ პერიოდში, როდესაც ეს ტექსტი საფრანგეთის მეფის ზედამხედველობით იწერებოდა, ხალხი ცათა სასუფევლის რწმენით ცხოვრობდა. XII საუკუნის დასაწყისში საერო პირები ყოვლისშემძლე პაპისა და სასულიერო პირთა მორჩილნი უნდა ყოფილიყვნენ და ამისათვის ეკლესიის მესვეურთ ყველანაირი საშუალებებისთვის უნდა მიემართათ. მათ უნდა განეცხადებინათ, რომ სისხლითნათესაობის შემთხვევაში ანომალიური შედეგები იყო მოსალოდნელი. ამ დასკვნამდე იმისათვის, რომ გამარჯვება ეზეიმათ, ისინი საკმაოდ გვიან მივიდნენ. ეს მხოლოდ წარმოსახვაში, სინამდვილეში კი თავად რობერტი დამარცხებული არ გახლდათ.

თავი V

უფლისწულები და რაინდები

რობერტი მეფე იყო. წმინდა ლიტურგიკის მიხედვით, იგი განსაკუთრებულ კატეგორიას მიეკუთვნებოდა და სამეფო წოდებაში შედიოდა. ამაზე ადალბერონ დე ლაონი მოგვითხრობს. აქ იგულისხმება ერთადერთი სოციალური კატეგორია, რომელიც ცალკე „ფენად" ჩამოყალიბდა. ის უფლის მსახურების წოდებასთან ერთად და ციური გუნდის დარად განსაკუთრებული მორალით გამოირჩეოდა. რობერტი, თუმცა ღვთისმოსავად იყო წოდებული, ინცესტსა და ტრიგამიაში იქნა ეჭვმიტანილი. XI საუკუნის პირველ ნახევარში მრავლად გვხვდებიან ისეთი დიდი პიროვნებები, რომლებიც წმინდანები იყვნენ და იმავდროულად, ხშირ შემთხვევაში, ეკლესიის მითითებებს არ ასრულებდნენ.

მე ორ მაგალითზე შევჩერდები. პირველ რიგში, გალერანზე, მელანის გრაფზე მოგითხრობთ, რომლის საქციელი უდავოდ საკვირველი იყო. მასზე მოგონების პატარა ნაწილი ვულგარულ ენაზე შექმნილ ლიტერატურულ ნაწარმოებებშია შემონახული, რომლებითაც XIII საუკუნის სამეფო კარზე ერთობოდნენ ხოლმე. გრაფზე ძალიან ცოტა რამ შემოგვრჩა, მხოლოდ მისი სახელი. მაგრამ ეს სახელი იმ წინააღმდეგობებს გამოხატავდა, რომელიც ცოლქმრულ ურთიერთობას გარკვეულწილად ახლდა. რაც შეეხება მისი ქცევის მანერას, მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ მან კანონიერი მეუღლე გაუშვა. ამის მიზეზი უცნობია, შესაძლებელია ღალატის ან ნათესაობის გამო, თუმცა გაურკვეველია, რა მოუტანა მას ახალმა ქორწინებამ. მისმა გაყრილმა ცოლმა თავი ერთ ეპისკოპოსს შეაფარა. იმ პერიოდში ქალებს დამცველები ეძებნებოდნენ. იმ დროს ჩრდილო საფრანგეთში „ღატაკებზე", ძველ მეომრებზე, ომში დაზარალებულებზე ბევრი ცდილობდა ღვთიური მშვიდობის გავრცელებას. 1024 წელს ბოვეს ეპისკოპოსმა თავისი დიოცეზის რაინდობას ფიცი დაადებინა, რომ საკუთარ მღელვარებას მოთოკავდა, კერძოდ, კი მეომრებს შემდეგი სიტყვები ათქმევინა: „მე არაფერს დავუშავებ დიდებულ ქალებს, არც იმ მამაკაცებს, რომლებიც ქალებთან (ქმრების გარეშე რომ იყვნენ) ერთად მოგზაურობენ." იგივეს შეჰპირდნენ ქვრივ ქალებსა და მონაზვნებს. ქალწულობის აღთქმა დადებულთა, ქვრივთა მსგავსად, ნაკლებად ღირსეული ქალები, გათხოვილები მამაკაცის არყოფნის შემთხვევა-

ში ეკლესიის მეთვალყურეობის, უშუალოდ უფლის მფარველობის ქვეშ გადადიოდნენ. მით უფრო, თუ ისინი ოჯახიდან გამოგდებული ცოლები იყვნენ. ეპისკოპოსები მათზე ზრუნვის ვალდებულებას იღებდნენ, და როგორც ბურშარ ვორმსელის „დეკრეტში" ვკითხულობთ, ქმრებს მეუღლეთა უკან დაბრუნებისკენ მოუწოდებდნენ. სწორედ ამიტომ ამ საქმეში შარტრის ეპისკოპოსი ფულბერი ერთვება. რუანის არქიეპისკოპოსს[1], რომელმაც ფულბერს გალერანის „უსირცხვილობა" შეატყობინა, შარტრის ეპისკოპოსი უპასუხებს, რომ დიდი ხანია გალერანმა მეც თავი მომაბეზრაო. მე მას ვუმეორებ, რომ ხელახალი ქორწინების უფლება არ აქვს მისი მეუღლის სიცოცხლის პირობებში. ახლა კი მთხოვს გაქცეული მეუღლე დავუბრუნო, მაგრამ თუ ქალი უარზე იქნება, მაშინ ეს უკანასკნელი ეკლესიიდან განკვეთეთო. თუ არა და მას გარყვნილებაში დავდებ ბრალსო. ქალი კი უარზე იყო. იცნობდა რა საკუთარ ქმარს, მონასტერში შესვლა ამჯობინა. ფულბერი ქალს მონაზვნობას არ აძალებდა. მაგრამ არ ურჩევდა ქმართან შერიგებას, რომელსაც ყოფილი ცოლი სძულდა და უდავოდ მისი მოკვლა სურდა. გალერანი ეპისკოპოსს ხელმეორედ ქორწინების ნებართვის მიცემას სთხოვდა, არწმუნებდა, რომ პირველმა თავად მიმატოვაო. ეპისკოპოსი მას ამ უფლებას არ მიანიჭებდა „მანამ, სანამ მისი ცოლი მონაზონი არ გახდებოდა, ან არ მოკვდებოდა." ამ წერილიდან ასევე ჩანს, რომ მელანის გრაფი განქორწინების შემდეგ ხელახალი ქორწინებით იყო დაკავებული და შეგნებულ ბიგამიას ჩადიოდა. მას სურდა, რომ მისი ახალი კავშირი საეპისკოპოსო ხელისუფლების მიერ ყოფილიყო განმტკიცებული (ამ ეპოქის მაღალ საზოგადოებაში, რომელსაც მე შევისწავლი, ეს სურვილი მუდმივად არსებობდა). იგი ცდილობდა სასულიეროთათვის გული მოელბო ძლიერი არგუმენტით. იგი ქალის გარეშე დარჩა და ვნებით შეპყრობილი შესაძლოა ცოდვილი გამხდარიყო. ეს წერილი ასევე გვატყობინებს, რომ კეთილი ეპისკოპოსი, შესანიშნავი იურისტი ფულბერ შარტრელი შემდეგ გადაწყვეტილებას გვთავაზობს: გაყრილი მეუღლე მონაზონი უნდა გახდეს, მკვლელობას ნამდვილად ეს სჯობია. დედათა მონასტერში იგი თავის ფუნქციას შეასრულებს. აქ რთულ ვითარებაში მყოფ მეუღლეებს ათავსებდნენ. ნუთუ არსებობს რაიმე კავშირი XI საუკუნეში ჩრდილო საფრანგეთში დედათა მონასტრების გამრავლებასა და საქორწილო პრაქტიკის განვითარებას შორის?

ჩემი მეორე მაგალითი უფრო ნიშანდობლივია. მე ვსაუბრობ ფუკ ნერას ვაჟზე, ანჟუს გრაფ ჟოფრუა მარტელზე, რომელიც 1060 წელს გარადიცვალა. რონსერეს სააბატოს[2] ერთ-ერთი დოკუმენტთა კრებული ცნობას გვაწვდის ამის შესახებ. ეს ქარტია, ისევე, როგორც იმ დროის მრავალი აქტი, რომლიც საეკლესიო არქივებმა შემოგვინახა, ეკლესიისთვის გადაცემული მინის გამო ატეხილ დავაზე მოგვითხრობს, რისი დათმობაც შემომწირველებს არ სურდათ. მონასტერს პრეტენზია ჰქონ-

და სომურთან ახლოს მდებარე ვენახები შემონირულობის სახით მიეღო. ჟოფრუამ იგი თავად დაიპყრო და გადასცა „თავის ცოლებს, უფრო სწორად, საყვარლებს“ (უკვე ეს სიტყვა სდებს მას ბრალს). იქვე ამ ქალების სახელებიცაა. სიაში არიან „აგნესა, პირველ რიგში, შემდეგ გრესი, შემდეგ ადელი, გრაფ ედის ქალიშვილი, შემდეგ კვლავ გრესი და ბოლოს, ადელაიდა გერმანელი.“ პირველ რიგში...შემდეგ....ამის შემდეგ...და ბოლოს: ეს არაჩვეულებრივი ლექსიკონი ამავე დროს თანამიმდევრული პოლიგამიის უნიკალური ნიმუშია. ეს ინფორმაცია ჩვენ შემთხვევით გავიგეთ, რადგან ეს მიწა ქმარმა საქორწინო საჩუქრად გამოიყენა. ასევე მოიქცა ჰუგო კაპეტი, როდესაც მონტრეის ციხესიმაგრე თავისი ვაჟის მეუღლეს გადასცა. ეს ქონება წინაპრების დანატოვარი არ ყოფილა, იგი იმავე პერიოდში დაიპყრეს, როდესაც ფუკ ნერამ სომურის ციხესიმაგრე დაიკავა, 1026 წელს. ფუკმა ეს ციხე თავის უკანასკნელ კანონიერ მეუღლეს გადასცა. იერუსალიმში წმინდა საფლავთან გარდაცვალებისთვის გამგზავრების წინ ქვრივმა იგი თავის ქალიშვილს - ერმანგარდს დაუტოვა, რომელიც ასევე ქვრივი გახლდათ და რომელმაც, თავის მხრივ, ალბათ, ეს ციხესიმაგრე ბერებს აჩუქა მისი ქმრის სულის საცხონებლად. პირველი ისტორია ინდოევროპულ საზოგადოებაში საერთო საქორწილო პრაქტიკის საბუთია[3]. საქმე ჩვეულებასთან გვაქვს - მიწის გარკვეული (მარგინალური) ნაწილი ცოლებს გადეცემოდათ და შემდეგ დედიდან ქალიშვილზე გადადიოდა, დეიდიდან — ნათესავ გოგონაზე. ერმანგარდი ხელახლა დაქორწინდა რობერტ ღვთისმოსავის ვაჟზე, ბურგუნდიის ჰერცოგ რობერტზე. ერმანგარდის ამ მეორე კავშირს ერთი მკაცრი ბერი - ჟან დე ფეკამპი უკანონოდ მიიჩნევდა. ჰერცოგი „გაეყარა კანონიერ ცოლს, შემდეგ კი უპატიოსნო ვაჭრობაში ჩაება და ასევე ნათესავთან დაამყარა კავშირი.“[4] მართლაც, მისი ახალი ცოლი მისი ნათესავი იყო ნათესაობის მეოთხე მუხლით. ამას მათი ქორწინებისთვის ხელი არ შეუშლია, თუმცა ამით ჟოფრუა მარტელმა ისარგებლა და გარდაცვლილი დედის მიწა უკან დაიბრუნა. შემდეგ ამ ქონებას იგი თავის ცოლებს რიგრიგობით გადასცემდა. მისმა უკანასკნელმა ცოლმა - ადელაიდამ დაქვრივების შემდეგ ორი წელი შეინარჩუნა იგი, სანამ მიწა ანჟუს ახალმა გრაფმა არ დაიპყრო. აქ ერთი ნიუანსი შეინიშნება - დანიშნული ქალის ძალაუფლება სუსტია. ასევე იშვიათია მეუღლისგან მიღებული მზითვის დიდხანს შეინარჩუნება. მით უფრო, თუ იგი ქვრივია და შვილი არ ჰყავს. თუ ცოლი გაყრილია, მისი ძალაუფლება კიდევ უფრო არამყარია. ოჯახის უფროსებს, მამაკაცებს კი შეუძლიათ სხვას გადასცენ ქონება, რომელიც ოდესღაც მათ მამაკაცი წინაპრებისგან დარჩათ.

ამ ტექსტიდან ჩანს, რომ ჟოფრუა მარტელს ოთხი „საყვარელი“ ჰყავდა - როგორც ბერები იტყოდნენ - სინამდვილეში კი ოთხი მეუღლე, უკანასკნელი ცოლად იხსენიება 1060 წლის ქარტიებში, რომელიც საგრაფოს

კანცლერის მიერაა გაცემული. ანჟუს გრაფის პირველი ქორწილი 1032 წლით თარიღდება. ეს გვიანი ქორწინებაა, გრაფი ოცდაექვსი წლისა იყო, მამამისმა სიკვდილამდე რვა წლით ადრე მას გიომ დიდი აკვიტანიელის ქვრივი - აგნესა შეურჩია ცოლად. ქალი მაღალი წარმოშობის, ბურგუნდიის გრაფის ქალიშვილი, იტალიის მეფის შვილიშვილი, კარლოს დიდის შთამომავალი იყო. ამ პერიოდში ანჟუელი უფლისწულებიც ისევე კარგად ქორწინდებოდნენ, როგორც კაპეტინგები, თუ უკეთ არა. ჟოფრუამ ცოლი 1050 წელს გაუშვა. ეს მისთვის ძნელი არ იყო. ყველამ იცოდა, რომ ქალი მისი ნათესავი გახლდათ. ბერი, რომელიც სულთა მოსახსენიებელზე სენ-სერჟის

დრე მეფეები. მათ საკუთარი სამფლობელო უნდა დაეცვათ, რაც ასევე იმპერიული მოვალეობა გახლდათ. ის სითამამე, რომელსაც ისინი ავლენდნენ, ჩემი აზრით, იმ ცვლილებებთან იყო დაკავშირებული, რომელიც იმ დროის არისტოკრატიაში ნათესაურ ურთიერთობებში მეფობდა. კარლ შმიდისა და ჟერდ ტელანბაშის სხვა მონაფეების შემდგომ, მე ბევრი რამ დავნერე ხანგრძლივი შედეგის ფენომენზე - ერთი ოჯახური სტრუქტურიდან მეორეზე გადასვლის შესახებ. IX საუკუნის ბოლოს ნათესაური კავშირები კიდევ ძალაში იყო, თუ შეიძლება ითქვას, ჰორიზონტალურად შეკრებილ დაჯგუფებას წარმოადგენდა, რომელიც მხოლოდ ორ თუ სამ თაობას მოიცავდა, სისხლითნათესავებს და მოკავშირეებს, ქალებსა და მამაკაცებს - ეს ჩანს „დუოდას სახელმძღვანელოში" და ასევე „მოგონებათა წიგნებში", იმ რეგისტრებში, რომელიც სულთა მოსახსენიებელ ლიტურგიკას ემსახურება, სულიერ ძმობას ლოცვის მოვალეობით აკავშირებს და სულის ხსნის იმედით ავსებს. მაგალითად, ოციოდე გარდაცვლილისა და ოცდაათიოდე ცოცხალისათვის. ამას ემატება: ვერტიკალურად მომდინარე ნათესაობა მამის მხრიდან, სადაც ქალთა ადგილი და უფლებები შეზღუდულია, ხოლო მოგონება შორეულ წინაპართან, ოჯახის დამფუძნებელ გმირთანაა დაკავშირებული. დიდი ხნის მანძილზე სწორედ სამეფო ოჯახი იყო ამგვარი ხატება. X საუკუნეში ფეოდალიზაციის პირველ ფაზაში, დიდი სამთავროების უფლისწულები ამ წესებს ეთანხმებოდნენ. ეს ძალით გავრცელებული მიმეტიზმის მოდელი ძალიან სწრაფად ვითარდებოდა დიდი მღელვარების პერიოდში 1000 წლისათვის, როდესაც ექსპლუატაციის ახალი სისტემა — სენიორია ყალიბდებოდა. ამ სისტემის წყალობით არისტოკრატია მკვეთრად გამოეყო ხალხთა მასებს.

არქივებში არსებული პერგამენტების გაშიფრვით კატალონიაში, ანუ საფრანგეთის სამეფოში, ძალიან შორის იმ რეგიონიდან, რომელსაც მე შევისწავლი - პიერ ბონასი[6] 1030-1060 წლებს შორის ცვლილებების ნიშნებს გამოჰყოფს. ბიჭებს, მომლოცველობის საბაბით, ოჯახიდან შორს ძალით აგდებენ. ასევე ჩნდებიან ისინიც, რომლებიც იარაღს ისხამდნენ საკუთარი მამებისა და ბიძების წინააღმდეგ. ძმები, რომლებიც ერთმანეთს ხოცავდნენ. თანამედროვენი წუხდნენ — ეს ახალგაზრდობის გადაგვარებაა, ისინი წინაპრებს პატივს აღარ სცემენო... ბარსელონის ერთ-ერთი გრაფის ოჯახის უბედურებათა მსგავსად, მე აღვწერ ანჟუს გრაფების ამბავს. ფუკ რეშენი თავის უფროს ძმას საგრაფოს ედავებოდა, მოუგო კიდეც, დაატყვევა, მემკვიდრეობა ჩამოართვა და არც გაუთავისუფელებია ვიწრო საპყრობილიდან, რათა თავად აღარ შეწუხებულიყო. ნუთუ ეს მოვლენა სიახალე იყო? ჩვენ ამას უკეთ ვხედავთ, რადგანაც დროთა განმავლობაში დოკუმენტები ცვლელებებს განიცდის. ქარტიები მშრალ ცნობებს გვანვდიან და ყოველდღიურ ცხოვრებაზე არაფერს გვეუბნებიან როგორც ჩრდილო

საფრანგეთში, ასევე კატალონიაში. თუმცა შემოგვრჩა საკამოდ ლიბერალური ნარატიული წყაროები, ვრცელი, პირდაპირი მონათხრობი საარბიტრაჟო კრების წინ გამართულ დებატებზე. ეს პატარა დრამატული ქრონიკები ძალადობის მანიფესტაციას ახდენენ. მრავალი რამ მიუთითებს იმაზე, რომ მსგავსი არეულობები ხშირი იყო. ამ პერიოდში მოვლენები ოჯახებში სერიოზულად იძაბებოდა, რაც, შესაძლოა, იმ ტრადიციული წესების სწრაფი ცვლილების შედეგი იყო, რომელსაც მემკვიდრეობითი განანილება მოჰყვა, ძალაუფლების კონცენტრაცია (როგორც ამას კლუნიური ქარტია გვაუწყებს) საგვარეულოს მეთაურის ხელში, როგორც უფრო მოგვიანებით გალბერტ ბრუგელი წერს - მეთაურის, „სასახლის მეთაურის", რომელიც შემდგომ „გვარად", წარმომავლობად იქცევა. მას შემდეგ, რაც ვაჟები სრულწლოვანნი გახდებიან, შეუტევენ ყველაფერს, რის დაპყრობასაც შეძლებენ ისევე, როგორც მათი დებისა და დეიდების მეუღლეები, რომლებიც მემკვიდრეობის მოლოდინში იყვნენ. იმავე პერიოდში ოჯახის პასუხისმგებელი პირი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად მკაცრ კონტროლს ანესებს მისი ძალაუფლების ქვეშ მყოფი ქალიშვილებისა და ვაჟების ქორწინებაზე, ზოგიერთ გოგონას სიამოვნებით ათხოვებს, მაგრამ მხოლოდ იმის უფლებას იძლევა, რომ კანონიერი ქორწინების შეთანხმება დაიდოს. ამგვარი ხელმოჭერილობა ჯარისკაცთა უმრავლესობაში ცელიბატს ინვევს, რაც, თავის მხრივ, მეომართა მღელვარებას ამძაფრებს. ამგვარი ცვლილებები XI საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება და „ფეოდალური რევოლუციის" მთავარი ასპექტია.

ამ ღრმა ცვლილებებმა რამდენიმე ათეულ წელში მმართველი კლასის სტრუქტურა შეცვალა, რომელიც პატარა დინასტიებისგან შედგებოდა და საკუთარ მამულებში იყო ფესვგადგმული, წინაპრებზე მოგონებებით სულდგმულობდა, სენიორალური ძალაუფლებისთვის იბრძოდა და ამ ბრძოლაში ქორწინებას წამყვანი ადგილი ეკავა. მეფე, დიდებული ფეოდალები ვასალურ კავშირებს ეჭიდებოდნენ, ქალიშვილებს ყველაზე ერთგულ მსახურებს ატანდნენ. ქორწინება ალიანსის იარაღი იყო. იგი უფრო ძალაუფლების განვრცობის იარაღი გახლდათ: ქალის შერთვით (რომელსაც გამოსტაცებდა ან მიიღებდა სენიორისგან) ზოგიერთმა რაინდმა მამის სახლიდან გასვლას მიაღწია, პატრონის სასახლე მიატოვა და საკუთარი დააფუძნა. იმ დროის დოკუმენტები ნაკლებად გვაწვდიან ცნობებს ამ ფენომენის შესახებ. მაგრამ 150 წლის შემდეგ ეს ფაქტი თავს იჩენს მოგონებაში, რომელიც ამ ბედნიერი მეუღლეების შთამომავლებმა შემოინახეს: ისინი ისტორიას მოგვითხრობდნენ, ერთ ახალგაზრდა, მოხეტიალე რაინდზე, რომელიც ლანსელოსა და გოვენის მსგავსად, ბედს დაეძებდა. ბოლოს კი დაქორწინდა და ერთ ადგილას დამკვიდრდდა. შესაძლოა ეს მოგონება დამახინჯებულია, მე მას მოგვიანებით დავუბრუნდები, როცა უფრო

დაწვრილებით განვიხილავ იმ ტექსტებს, რომლებშიც იგი შემორჩენილა[7]. მაგრამ იმ ცვლილებების პერიოდში, რომელზეც მე ვსაუბრობ, ცოლქმრული ურთიერთობები იცვლებოდა. თანამედროვე ტექსტები კარგად ხსნის ამ ტრანსფორმაციას. რამოდენიმე აქტი, რომელიც საარქივო ფონდებში და სიგელთა კრებულებში ინახება, საქორწილო კონტრაქტის ფორმის ცვლილებას გვიჩვენებს.

ქონების შეძენის შემთხვევაში ისე ხდებოდა, რომ ბერი ან რჯულის მეცნიერი, რომელიც საეკლესიო დომენის მართვით იყო დაკავებული, გამყიდველისა თუ შემწირველის მხრიდან ქორწინებისთვის წინასწარ გაცემულ თანხას აფიქსირებდა. უფრო ზუსტად, რიტუალის პირველი ფაზისთვის - ნიშნობისთვის. იმ ქვეყნებში, სადაც იურიდიული მწერლობის ტრადიცია საბოლოოდ დაკარგული არ იყო, სიმბოლურად, ნათესავებისა და მეგობრების თანდასწრებით თანხმობის შემცველი პერგამენტი ხელიდან ხელში გადადიოდა. იმ პროვინციებში, რომელიც მე მაინტერესებს, მსგავსი დოკუმენტები ძალიან იშვიათია. ამიტომაც თემას ცოტა გადავუხვევ. დავუბრუნდები 1000 წლის განსაკუთრებით მდიდარ ინფორმაციის წყაროს - კლუნის საბატოს დოკუმენტთა კრებულს, ასევე მაკონის კათედრალის და სხვა ნაკლებად ცნობილი დანესებულებებისას. შემორჩენილია ნაწყვეტები, რის აღნუსხვასაც ტრადიცია ყველგან მოითხოვდა, პატარა სოფლებშიც, საკუთრების ნებისმიერ დონეზე, გლეხობაშიც კი, მცირე მფლობელებშიც, რათა ქონებაზე წყვილის (დაქორწინების შემდეგ) უფლებები დაფიქსირებულიყო. მე ამ წყაროს ვიყენებ და ვფიქრობ, მსგავსი წესი არ ყოფილა ილ-დე-ფრანსში ან პიკარდიაში და ისიც ვიცი, რომ ამ ტიპის ტექსტებს ვეღარ ვნახავ - ნოტარიუსების ფორმალიზმი ღრმა რეალობას მალავს: არაფერი მიუთითებს იმაზე, თუ როგორი იყო ცოლქმრული ურთიერთობები, გარდა იმ მასალებისა, რომელიც მიწის მფლობელობას შეეხება.

მწირია ცნობები მზითვების შესახებ — მასზე, რასაც მშობლები ქალიშვილს გათხოვებისას აძლევდნენ: „ჩემს ძვირფას სიძეს და მის მეუღლეს (მე პატიოსნად ვთარგმნი ხშირად გაუმართავ ლათინურს), მე და ჩემი ცოლი ვაძლევთ[8]...": პირველად სიძე იხსენიება, პატივისცემის იერარქია შენარჩუნებულია - მამაკაცი ქალის მბრძანებელია. 1000 წლით თარიღდება სხვა კვალი, მე შეგნებულად ვახსენებ კვალს, რადგანაც თავად აქტი დაკარგულია. არსებობს მითითება შემდგომში მომხდარ გარიგებაზე: ამ შემთხვევაში პირველად ცოლი იხსენიება, მაგრამ ქმართან ერთად ("მე და ჩემი სენიორი"). ისინი ერთად წირავენ კლუნის მონასტერს მეურნეობას, რომელიც ქალის დედის ყოფილა და გათხოვებისას ქალს მზითვად მიუღია[9]." აქ მზითვს მხოლოდ დედა იძლევა. აშკარაა, რომ მამა უკვე გარდაცვლილია. აღსანიშნავია, რომ ქონება დედის წინაპრებისგან მოდის - ქველმოქმედი ქალის დეიდამ საკუთარი მინები უკვე შესწირა უფალს და კლუნის ბერებს. და, დედა, ქალიშვილი - აქ ჩანს მათთვის

დატოვებული ქონება, რომელიც მათი ქორწინებისა და დაკრძალვისთვის იყო განკუთვნილი. მესამე და უკანასკნელი მოხსენიება XI საუკუნის II ნახევრით თარიღდება: ერთი რაინდი ძმებთან იყოფს მამის მთელ დანატოვარს, ერთი პატარა ნაწილის გარდა, რომელიც მამამ „თავის დებსა და ქალიშვილებს" მისცა, როდესაც ისინი დააქორწინა[10].

მაგრამ იმის მტკიცება არ შეიძლება, რომ ნიშნობისას აუცილებელი იყო ქალისთვის რაიმეს მიცემა. თუმცა საჭირო იყო, რომ მის ქმარს გარკვეული ქონება გაეღო. მაგალითად, მაკონეში მეუღლე ჩუქების ქარტიას გადასცემს ცოლს. 975-976 წლებში შედგა სამი აქტი კლუნის შემოგარენის სოფლის მღვდლების მიერ[11]: „ჩემს ძვირფას საცოლეს (ტერმინ ცოლს მხოლოდ ქორწილის შემდეგ ხმარობდნენ), მე, დომინიკი, შენი საქმრო, ღვთის ნებითა და ჩვენი მშობლების რჩევით, ცოლად გირთავ, და თუ უფალს სურს, მე შენ კანონიერად, სიყვარულით დაგიკავშირდები, მე შენ გაძლევ (ეს ხალხი პატარა მინებს ფლობდა, დომინიკე თმობს „თავისი საკუთრების ნახევარს", თავისი მეურნეობას, რომელსაც ძმებთან ერთად ფლობს. ამ საჩუქრით მისი ცოლი ჯერ კიდევ გაუნაწილებელი მამულის მფლობელი ხდება)... ამას მე შენ მზითვად გაძლევ." „იმ სიყვარულისა და სურვილისთვის, რომელიც მე შენს მიმართ მაქვს და იმ კეთილი სამსახურისთვის, რაც შენ მე გამინიე და სხვა დანაპირებებისთვისაც, მე შენ გიძღვნი..." „ღვთისა, ჩემი მშობლებისა და მეგობრების სიყვარულისთვის, მე შენზე ვიქორწინე გომბეტის კანონით (აქ საუბარია სამოქალაქო კანონზე, ბურგუნდიელების მიერ ადაპტირებულ ძველ რომაულ კანონზე), ჩემი მხრიდან, ქონების ნახევარს გაძლევ შენ, ჩემს ცოლს გჩუქნი ქორწინების წინ და ამ დღის შემდეგ რაც გინდა, ის უქენი." გლეხთა ამგავრი კონტრაქტების ფორმულირება განსხვავებულია. მაგრამ თითქმის ყველა წყარო ერთსა და იმავეს იმეორებს. განსხვავება იკვეთება „ნიშნობასა" და „ქორწილს" შორის. ქონებრივი შეთანხმება წინ უსწრებს სხეულთა კავშირს. ცოლი ქონების მფლობელი ხდება მხოლოდ ქორწინების პირველი ღამის შემდეგ, მას შემდეგ, რაც ქმარი მას დაეუფლება. ამიერიდან იგი ქონების ნახევრის მფლობელია და ქმრის თანასწორი ხდება. ქალი ოჯახში შედის და უკვე ქონების ნახევრის მეპატრონეა მამულის სხვა თანამფლობელებთან ერთად. „შენ ჩემი ძმობის წევრი ხდები, რომელიც მამისა და დედისგან გამაჩნია, ამბობს ქმარი[12]." აღსანისნავია, რომ ქმარი მარტო მოქმედებს: „მე, ჩემი...", აი, ასე საუბრობს იგი. ასევე აღნიშვნის ღირსია სიყვარულის, „სურვილის" აუცილებელი მოხსენიება. ეს ფორმულირება აშკარას ხდის, რომ ინდივიდუალური გადაწყვეტილება, ერთის მხრივ, ღვთის ნებას ემორჩილება, მეორეს მხრივ კი, „რჩევას" ანუ ორივე მხრის ნათესაობის გადაწყვეტილებას.

დიდებულთა, მდიდართა ქორწინება საზეიმოდ აღინიშნებოდა. ჩვენ ხელთ გვაქვს ურის დაქორწინების ქარტია[13], რომელიც ბრესში მდებარე

ბაეეს ციხესიმაგრის ძალიან გავლენიან მფლობელსა და ბოეეს მფლობელს შორის დაიდო, ორივენი კი მაკონის გრაფის ვასალები იყვნენ. ეს ქარტია 994 წელს მაკონში კათედრალის რჯულის მეცნიერს შეუდგენია სალიტერატურო ლათინური ენით, გრაფისა და გრაფინიას ხელმოწერით. მისი გრძელი და პომპეზური პრეამბულა კეთილი ქორწინების თაობაზე ეკლესიის თეორიას განავრცობს, გვახსენებს „ანტიკურ წესს", „ახალი და ძველი აღთქმების კანონს", „სული წმინდის მიერ დამტკიცებულს, ჩვენთვის მოსეს მიერ მოწოდებულს ქალისა და მამაკაცის ქორწინების შესახებ". დაბადების წიგნის II თავის 24-ე მუხლში ვკითხულობთ: „ამიტომაც მიატოვებს კაცი დედ-მამას და შეერწყმება თავის დედაკაცს, რათა ერთხორცად იქცნენ." მათეს სახარების XIX თავის მე-6 მუხლში კი წერია: „ვინც ღმერთმა შეაუღლა, დაე, ნუ განაშორებს კაცი." აქ აშკარა მითითებაა კანას ქორწილზე: „უფალი ადამიანად გარდაისახა, თავადაც შექმნა ადამიანები, ხოლო შემდეგ ქორწილზე დასწრება მოისურვა, რათა ქორწინების სიწმინდე დაედასტურებინა." აშკარაა, რომ თავად ურიმ ტექსტის ეს ნაწილი წაიკითხა. წმინდა წერილის სიტყვები თავადაც წარმოთქვა, რაც ეკლესიის მესვეურთათვის აქტშიც დაფიქსირდა, რადგან იგი საერო პირთათვის იქადაგებოდა. ქალიშვილი გადაცემული იყო ქმრის საჩუქრის სანაცვლოდ. „ამისათვის მე, ური, პატივს ვცემ ამგავრ ძალაუფლებას, ჩემი მეგობრების რჩევითა და ზეციური წყალობით, ვაღიარებ ქორწინების საერთო წესს: სიყვარულითა და ანტიკური წესით, მე გაძლევ შენ, ჩემს ცოლს, ძვირფასსა და საყვარელს, ამ ნიშნობის ძალით..." აქ საუბარია არა განუყოფელი ქონების გარკვეულ ნაწილზე, არამედ სერიოზულ ქონებაზე, დიდ მემკვიდრეობაზე, დომენზე, ძმების თანხმობით (მშობლები უკვე გარდაცვლილნი იყვნენ) სამუდამო მფლობელობაში გადაცემულზე, „მისი გაყიდვის, გასხვისების უფლებით საკუთარი გადაწყვეტილების შესაბამისად." ამგავრი დეკლარაცია აღარ გვხვდებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც სოფლის მღვდლები გრძელ პერგამენტზე ღარიბების ქორწინებას აფიქსირებდნენ.

ეს ფორმები ნახევარი საუკუნის მანძილზე (საუბარია X საუკუნეზე) იცვლებოდა. ნიშნობის ბოლო აქტები, რომლებიც ამ რეგიონის დოკუმენტთა კრებულებში გადაიწერა, XI საუკუნის 30-იან წლებით თარიღდება[14]. ბევრი დოკუმენტი დაიკარგა, რაც იმის ნიშანია, რომ იურიდიული პროცედურები შეიცვალა და სასამართლოსათვის საბუთების შექმნა საჭირო აღარ იყო. ამიერიდან ზეპირ მონმეობაზე თუ უფლის გადაწყვეტილებზე დამყარებული მტკიცებულებები შეიქმნა. აქედან გამომდინარე, არქივისტები აღარ უფრთხილდებიან ასეთი ტიპის დოკუმენტებს. თუმცა ქმრის მიერ ნიშნობისთვის გარკვეული ქონების გადაცემის ჩვეულება მაინც არსებობდა. მე აღმოვაჩინე 1087 წლით დათარიღებული ერთი დოკუმენტი ბოეეს ღვთისმშობლის ტაძრის არ-

ქივებში: ერთი კაცი იხსენებს, რომ ქალი შეირთო „და გადასცა თავისი მეურნეობის მესამედი"[15]. მეორე მხრივ, ბერებსა და რჯულის მეცნიერებს ამ ტიპის კონტრაქტები რომ არ შეექმნათ, რაც 1030-1040 წლებში ხდებოდა, მამაკაცის ძალაუფლება მთელს ცოლქმრულ ქონებაზე ისე გაძლიერდებოდა, რომ ცოლის უფლებები ამიერიდან მხოლოდ ფიქტიური გახდებოდა.

ეს აშკარად ევოლუციის შედეგი იყო. ცალ-ცალკე არსებული ცოლქმრის კავშირი პატარა მონარქიად გადაიქცა, სადაც ქმარი განუყოფლად ბატონობდა. საოჯახო ურთიერთობები საგვარეულო წესით ვითარდებოდა და მამაკაცის სრულ უპირატესობას გულისხმობდა. ეს ახალი მოძრაობა წინაპართა სამფლობელოს დაყოფისგან იცავდა და ქონებაზე პრეტენზიის მქონეთა რაოდენობის შემცირებაზე ზრუნავდა. მსურველთა რაოდენობის განახევრებისთვის საკამრისი იყო საგვარეულოს ქალების გამორიცხვა. ასე შეიზღუდა ქალთა ძალაუფლება მემკვიდრეობაზე. ეს სწრაფი შემცირება მრავალმხრივ გამოვლინდა.

თავდაპირველად ცოლისათვის გადაცემული ქონების ნაწილის შემცირება ნიშნობის აქტით იჩენს თავს. იგი განახევრდა X საუკუნის ბოლოსთვის. 1008 წლისთვის[16] კვლავ იგივე განმეორდა. 1005-1008 წლების[17] ქარტიებში ქმარი თავისი მიწების მესამედსაც აღარ თმობს. იგი მხოლოდ პატარა საჩუქარს ამატებს, ველის ერთ ზოლს, ვენახის ნაწილს. 1030 წლისთვის ეს დანამატიც ქრება. საბოლოოდ მიღებულ იქნა ისეთი შეთანხმებები, რომლებიც ქალის უფლებებს საკუთარ ქონებაზე საგრძნობლად ზღუდავდა. ეს ჩანს 1004, 1005, 1006 წლებში. ეს დათმობა მხოლოდ სიცოცხლის ბოლომდე არსებობდა. ცოლის გარდაცვალების შემდეგ სამზითვო ქონება ნყვილის მემკვიდრეებს გადაეცემოდა. იგივე ური ბაჟელი, თავისი ძვირფასი თანამეცხედრის სასარგებლოდ, რომელთანაც კვლავაც დიდი სიყვარული აკავშირებდა, მისთვის ათიოდე წლის წინ ნაჩუქარ ქონებას ზრდიდა (ალბათ, მაშინ მისი ძმა უკვე გარდაცვლილი იყო). მან ცოლქმრულ კავშირში თანასწორობის აღდგენა გადაწყვიტა. ურიმ ასევე გაითვალისწინა, „რომ ცოლის გარდაცვალების შემდეგ ქონება იმ ბავშვებს დარჩებოდათ, რომლებიც გაჩნდნენ ან გაჩნდებიან ჩემგან და მისგანო."[18] სოფელში გავრცელებული ფორმულა კიდევ უფრო ლაკონურია: „ჩვენი მემკვიდრეობა, ქალის ქონება ჩვენს შთამომავლებს დარჩებათ. თუ ჩვენ ისინი არ გვყავს, სხვა მემკვიდრეს გავიჩენთ ჩვენსავე სიცოცხლეში (მივუთითოთ ქონება: ცოლს მხოლოდ ისეთი ქონება აქვს, რომელსაც ქმართან ერთად იყოფს). შენი (იგულისხმება ცოლი) გარადცვალების შემთხვევაში ქონება ახლობლებს გადაეცემათ.[19]" ქონების ამგავრი გადანაწილება მყარად დამკვიდრდა, მაგრამ იმავდროულად ნაკლებად მკაცრი წესიც არსებობდა: „ჩემი გარდაცვალების შემდეგ მესამედი ახლობლებს რჩებათ, ხოლო დანარჩენს რაც გინდა, ის უყავი.[20]" ამგვარ აქტებს მღვდლები ადგენდნენ. ისინი თვალყურს ადევნებდნენ

გარდაცვლილის ნაწილის შენარჩუნებას დაკრძალვის ხარჯების დაფარვის მიზნით.

განვითარების ამ საფეხურზე ცოლის უფლებები ჯერ კიდევ ქმედითია. ქმრის გარდაცვალების შემდეგ ქალი კვლავ ფლობს იმ ქონებას, რომელიც ქორწინებისას გადაეცა. 1031-1048 წლებში რაინდი ბერნარი იერუსალიმში გამგზავრების წინ მთელ ქონებას ანიავებს. მას ორი ძმა ჰყავდა, მამის დანატოვარის მესამედი, რომელსაც იგი ძმებთან ერთად ფლობდა, კლუნის მონასტერს გადასცა. ასევე „დედის ქონების მესამედს, მისი სიკვდილის შემდეგ ბერები მიიღებდნენ."[21] ვინმე ბერნარმა 1037 წელს მისი ძმის, ცოლის და მეგობრების თანხმობით, მთელი თავისი ქონება კლუნის მონასტერს დაუტოვა. მონასტერმა მთელი ქონების ნახევარი მიიღო, ხოლო მეორე ნახევარი ძმას დარჩა. რაც შეეხება მეუღლის მზითვებს, ქმარი მას თავისუფლად განაგებს, მონასტერს აძლევს, მაგრამ იმ პირობით, რომ სიკვდილამდე ცოლი იქნებოდა მისი მფლობელი[22]. და ბოლოს, მეფე რობერტის დროს: „ჩემს ძვირფას ვაჟს, მე, დედაშენი, სიყვარულითა და კეთილი ნებით (ეს სიტყვები წარმოითქმებოდა მაშინ, როდესაც ქმარი ამზითვებდა ცოლს), იმას გაძლევ, რაც მზითვად მივიღე ქმრისგან, ჩემი სენიორისგან და ჩემი მამისაგან."[23] აქ ცოლისადმი ნაწყალობებ ქონებაში თავად ქალის საგვარეულოს მხრიდან და ასევე ქმრისგან გაცემული ქონება იგულისხმება. ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში ქალი გასცემს საკუთარ ქონებას, მაგრამ სიცოცხლის ბოლომდე მასზე უფლებებს იტოვებს. როგორც წყაროდან ჩანს, ამ ქალს ქმარი ახალი გარდაცვლილი ჰყავდა. საჭირო იყო ქერივის უფლებების გამყარება, მისი ვაჟის პრეტენზიების საპასუხოდ. კლუნიური არქივებიც გვატყობინებენ, რომ 1080 წლისთვის ერთმა ქალმა თავისი სამი ვაჟის თანხმობით დიდი დომენი გააჩუქა. „ეს ვილა, ამბობს ნოტარიუსი, ქალმა თავისი ქმრისა და ვაჟის დასახმარებლად შეინარჩუნა, რადგან მის ქმარს შვილებს შორის გარკვეული ქონება გაენაწილებინა."[24] ქალი საქორწილო ნაბოძვარის წყალობით საკუთარ ქვრივობას უზრუნველყოფდა. ასევე იგი გაყრის შემთხვევაშიც დაზღვეული იქნებოდა. ჩემს მიერ მოხმობილი აქტის მიხედვით, ბეჟეს ღვთისმშობლის ტაძარი ამ ქალისგან საქორწილო ნაბოძვარს იღებდა, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა, რადგან მისი ქორწინება სისხლითნათესაობის ბრალდებით შეწყდა. ბევრი ვერ იქნებოდა ჟოფრუა მარტელივით გულუხვი, რომელმაც საკუთარი მამულები ცოლს უწყალობა.

ამგვარი ქარტიები იმ შემთხვევაში იქმნებოდა, როდესაც ცოლქმრული კავშირი ირღვეოდა, როდესაც ქალი მარტო რჩებოდა. ადრე კი ქალთა უფლებები მამაკაცთა შემუშავებული კანონებით იზღუდებოდა. ნათესაური კავშირები საგავრეულო სტრუქტურებით იფარგლებოდა, ცნობიერად კი უფრო აშკარად ოჯახი მამაკაცის ხაზით ასოცირდებოდა - 1025 წლის წყალობის აქტი სწორედ ამგვარ სურათს იძლევა:

„დროთა განმავლობაში ჩემი კანონიერი ვაჟები, შობილნი ჩემი კანონიერი ცოლისგან, ერთმანეთის მონაცვლეობით იქნებიან ჩემი მემკვიდრენი თაობათა პირდაპირი ხაზით."[25] მხოლოდ „ვაჟები" არიან ნამდვილი მემკვიდრენი და არა „შვილები". ქალიშვილები, უკანონოდ შობილთა მსგავსად, გამორიცხულნი არიან. მამაკაცთა პრივილეგირებული მდგომარეობა აშკარაა. სწორედ ეს არის კანონიერი ქორწინების მნიშვნელოვანი მხარე. ცოლ-ქმარს შორის ქმარია „მეტრი", „სენიორი" ანუ მამაკაცი ატარებს იმ ეპითეტებს, რომელიც მამაღმერთს მიენერება. ეს კი ქმრის ავტორიტეტის გასაძლიერებლად ხდება. იგი განაგებს წინაპართა მამულს, რომელიც თავის მეუღლეს აძლევს, იგი მართავს ასევე მშობლების ქონებას, მამაკაცი ყველაფერის მფლობელია. რასაკვირველია, იგი ცოლის თანხმობას ელის, მაგრამ მაინც თავად გადაწყვეტს ყველაფერს. 1005 წელს ერთმა რაინდმა „მთელი ქონება, რომელიც მისი ცოლის მამას და თავად მას ეპყრა (ცოლის ნაწილი)",[26] გასცა. XI საუკუნის ბოლოს ერთმა გათხვილმა ქალმა თავისი მზითვი სენ-ვენსან დე მაკონის მონასტერს გადასცა. ჩუქება მისი ქმრის „ხელით" განხორციელდა[27]. ამრიგად, ცოლქმრული საზოგადოების ყველა უფლება მამაკაცის ხელში იყო კონცენტრირებული.

მამაკაცის ეს მზარდი უპურატესობა წყვილის მთელს ქონებაზე ვრცელდებოდა, ქალის კუთვნილი მამულის რაოდენობას ზღუდავდა და სავარაუდო იყო, რომ საბოლოოდ, ეს ქონებაც საგვარეულოს მამაკაცს დაუბრუნდებოდა. მაინც ქალი ქმრის ოჯახში უცხო სისხლისა იყო და სწორედ ამ საშიშროების თავიდან აცილება იყო საჭირო. მაგრამ, ამავე დროს, ქმრის ძალაუფლების გაძლიერებამ სხვა საშიშროებაც მოიტანა. ის, ვინც დას, ქალიშვილს, დისშვილს ათხოვებდა, იმის შიში უნდა ჰქონოდა, რომ უცხო მამაკაცი, რომელიც ამიერიდან ცოლზე იბატონებდა, მათ ქონებასაც საფრთხეს შეუქმნიდა. ის საარქივო მასალა, რომელიც მე შევისწავლე დიდ უფლებებს ანიჭებს სიძეებს. გადავინაცვლოთ XI საუკუნის შუა ნლებში. 1050 ნლისათვის რაინდი, სახელად აშარი თავის სახლში, კლუნის მიდამოებში, სასიკვდილო სარეცელს მიჯაჭვული უკანასკნელ სურვილებს გამოთქვამდა. სულის გადასარჩენად, მინებს უფალს წირავდა. რაინდი ნათესავებს სთხოვდა ამ წყალობის დადასტურებას, ეს მათი პრეროგატივა გახლდათ. პირველები მისი ვაჟები წარსდგნენ, შემდეგ - ბიძაშვილი, შემდეგ - ერთი ახლობელი, და ბოლოს, სიძე და მისი მეუღლე. ამ პროცესიაში სიძე ბოლო იყო, მაგრამ იერარქიის დაცვით, მაინც ცოლზე წინ იდგა[28]. ამავე პერიოდში საშიში ტენდენცია აღინიშნა, გარდაცვლილ ქველმოქმედთა სიძეებისგან ეკლესია-მონასტრებს ძალიან ძვირად ყიდულობდნენ, რამდენადაც ეს უკანასკნელნი უარს ამბობდნენ ამ ღვთიურ წყალობაზე.

მემკვიდრეობაზე გათხოვილ ქალიშვილთა უფლებები იზღუდებოდა. ქალი ფლობდა მხოლოდ იმ ქონებას, რომელიც მის დედას ჰქონდა

მზითვად მიღებული - პატარა ნაკვეთი წინაპართა მიწიდან. თუ ოჯახის პატრონს მხოლოდ ქალიშვილები ჰყავდა, მთელს ქონებას უფროსი ქალიშვილის ქმარი დაეპატრონებოდა. ასეთ შემთხვევაში, ეს უკანასკნელი განდევნიდა ბიძებს, ბიძაშვილებს და სიმამრის ადგილს იკავებდა. XI საუკუნის ბოლოს[29] უფროსი ქალიშვილის ქმარმა ამგვარად მაკონეზის რეგიონში სამი ციხესიმაგრე ჩაიგდო ხელთ. კლუნიური დოკუმენტების კრებულის ერთ-ერთი ჩანაწერი - მოკლე ქრონიკა, გვიჩვენებს, თუ როგორ სურდა ქმარს თავისი მეუღლის ქონების გამოყენება[30]. მაკონის ვიკონტი, იერუსალიმიდან დაბრუნების შემდეგ ლიონში გარდაიცვალა, თავისი საცხოვრებლიდან ორი ფეხის ნაბიჯში. იგი „ყმანვილი", დაუქორწინებელი მამაკაცი იყო და დიდძალი მემკვიდრეობა დარჩა. ხოლო მაკონის გრაფმა „მისი და შეირთო და ვიკონტის ქონებაც მას დარჩა" (სწორედ ამისათვის იქორწინა მან შედარებით დაბლი წარმოშობის ქალზე, ვასალის საგვარეულოდან). თუმცა იგი კლუნის ბერების წინააღმდეგობას ნაანყდა, რადგან გარდაცვლილმა ვიკონტმა მათ თითქმის მთელი ქონება უანდერძა. გრაფი ვერაფერს გახდა. ამიტომ იგი ცოლს გაეყარა, რამდენადაც ამ ქორწინებიდან სარგებელი აღარ ჰქონდა, ხოლო მიზეზად „მყარი არგუმენტები" მოიყვანა, კერძოდ, სისხლითნათესაობა. ტექსტის მიხედვით, ქალი „ვიღაც რაინდს" ჩაუვარდა ხელში, გრაფის პირად ვასალს. ეს საქმე ყოფილმა მეუღლემ თავისი ერთ-ერთი მსახურის ხელით მოაგვარა. ეს საუკეთესო გამოსავალი გახლდათ, ამით გრაფმა თავისი გუნდის ერთი ახალგაზრდა წევრთაგანის მადლიერება დაიმსახურა. ყოფილმა ცოლმა და მისმა ახალმა მეუღლემ ქალის ქონება სააბატოს საკმაოდ ძვირად მიჰყიდეს. ბერები რომ არა ქალი ახალი ოჯახს წინაპართა უხვი დანატოვარით შეავსებდა, რადგან მას ძმა უკვე აღარ ჰყავდა.

ერთი რამ ნათელია, რომ თუ ცოლს ძმა ჰყავდა და თუ წინაპართა ქონებაზე მისი ძმის უფლებები ქალს გათხოვებისას გადაეცემოდა, შესაბამისად, იგი ქმრის ქონებაზე აღმატებული იქნებოდა. ავიღოთ ერთი სიძის, როლანდ ლე ბრესანის მაგალითი. მისი ზედწოდება ავანტიურისტს ნიშნავდა. ბედმა მას გაუღიმა და ცოლად ციხესიმაგრის მეპატრონის, ბერზეს სენიორის ქალიშვილი შეირთო. ქალი ქვრივი იყო. მეორედ გათხოვებამდე მან კლუნიელ ბერებს დიდი ქონება უწყალობა, თუმცა ამ ქონებიდან რენტა სიცოცხლის ბოლომდე დაიტოვა. ეს მამულები მას მამისგან ჰქონდა მიღებული პირველი ქორწინებისას, ქალიშვილები ოჯახებს ცარიელი ხელებით არ ტოვებდნენ ხოლმე. ეს ქალი 1100 წელს გარდაიცვალა. ამ ქონების დასაუფლებლად მონასტერი იძულებული გახდა მუდმივ დავაში ყოფილიყო მიწებისმფლობელებთან, ქალის ქმარსა და ძმასთან. ეს კი იმით დამთავრდა, რომ ამ უკანასკნელებმა უარი თქვეს ქონებაზე[31]. მათ პირობა დადეს, რომ მოგვიანებით ახლდაშობილებსაც, როდესაც ისინი სრულნლოვანები გახდე-

ბოდნენ, ამ ფაქტზე თანხმობას განაცხადებინებდნენ. ამისათვის კი მათ გადაუხადეს. ჰუგო დე ბერზემ, ქალის ძმამ, ორასი სუ და საუკეთესო ცხენი მიიღო. თუმცა ეს მეტისმეტად ბევრი იყო, გამოდის, რომ ძმას დის მზითვად მიღებულ სამფლობელოზე დიდი ძალაუფლება ჰქონდა. ქმარს კი კლუნის მონასტერმა კიდევ უფრო მეტი მისცა, კერძოდ, სამი ათასი სუ. თუ რას იყიდდა ამ თანხით სააბატოს ადმინისტრაცია, ეს უკვე ამ კაცის საქმე აღარ იყო, არამედ მისი შვილების, მისი ცოლის ნაშობი შვილების გადასანყვეტი გახლდათ. ტექსტის მიხედვით, როლანდმა ცოლის ძმას 36 ათასი ვერცხლის ფული მისცა „რათა მას ბავშვების სახელზე მიწები შეესყიდა." ფულმა როლანდის ხელში გაიარა, რადგანაც თანხა მას არ ეკუთვნოდა ისევე, როგორც მისი არ იყო თანხმობა: მისი პირით მისი შვილები საუბრობდნენ. ეს მიწები მისი არასოდეს ყოფილა. ამ მიწებზე მისი ცოლის ძმა, მისი შვილების მკვიდრი ბიძა, საგავრეულოს მეთაური ინარჩუნებდა მეთვალყურეობის უფლებას. ბიძას დისწულების მოვლის მოვალეობაც ეკისრებოდა. ამ პიროვნებას, წინაპართა მამულის მცველს, ფულადი კომპენსაცია უნდა გადაეხადა მიღებული მიწის საფასურად (არასრულწლოვანი ბავშვებისთვის მიღებული თანხით).

მატრიმონიალური სტრატეგია, რომელიც ჯერ კიდევ მოქმედ ტრადიციულ ადათებზე იყო დამყარებული, ძალიან მარტივად დაუბრუნდა თავის ადგილს. ოჯახის უფროსს ხელეწიფებოდა საგავრეულოს ყველა ქალიშვილის დაქორწინება. ასე კრავდა იგი ნათესაურ კავშირებს, ხოლო ბიჭებს მათი დედების ძმებს მიაბარებდა ხოლმე აღსაზრდელად. ამგავრი პოლიტიკა ჰქონდა ერთ წარმატებული სიძის – ჰილდუენ დე რამერუპს, რომელიც საფრანგეთის ჩრდილოეთში ცხოვრობდა. ცოლის მხრიდან მან მიიღო რუსის საგრაფო და მის შესანარჩუნებლად, საკუთარ ძმას თავისი ქვრივი სიდედრი ცოლად მიათხოვა. ასევე რამდენჯერმე დააქორწინა მან თავისი შვიდი ქალიშვილი: სამი თაობის შემდეგ ისტორიკოსს უკვე შეუძლია ამ პიროვნების ას ოცი შთამომავალი გამოარჩიოს[32]. ამის საპირისპიროდ, სიფრთხილე მოითხოვდა, რომ მხოლოდ ერთი ვაჟისთვის მიენიჭებინათ კანონიერი ცოლის მოყვანის უფლება, ყოველ შემთხვევაში, მეორისათვის ისეთი გოგონა უნდა შეერჩიათ, რომელსაც ძმა არ ეყოლებოდა და თავად იქნებოდა მემკვიდრე. ჰილდუენის ვაჟებიდან ორი დაქორწინდა. ერთ-ერთი მათგანი ცოლის ოჯახში დამკვიდრდა. ხოლო მეორეს მამის მემკვიდრეობა ერგო. რაც შეეხება იმ მამაკაცებს, რომლებიც ვერ გახდნენ რელიგიური ორდენების წევრები, წინამძღვარი თუ რჯულის მეცნიერი ბიძის[33] წყალობით, იმედოვნებდნენ (როგორც მაკონის გრაფის ზემოთ აღნიშნული ვასალი), რომ ერთ მშვენიერ დღეს საჩუქრად ცოლს მიიღებდნენ თუ არადა სიმდიდრის მოსაპოვებლად თავად უნდა დადგომოდნენ შორ გზას. მრავალი დოკუმენტური წყარო გვაუწყებს, რომ XI საუკუნის დასაწყისში მა-

კონეში მამაკაცები ბედის საძიებლად მოგზაურობდნენ ან სულის საცხონებლად იერუსალიმში მიემგზავრებოდნენ.

დოკუმენტების საოცარი სიუხვე საშუალებას გვაძლევს XI საუკუნის მანძილზე კლუნის სააბატოს მიდამოებში თვალყური მივადევნოთ რაინდთა ფენის გამრავლებასა და მათი ქორწინების ხასიათს. ათასი წლის შემდეგ ათწლეულების მანძილზე მიმდინარე საგვარეულოთა განშტოებების ზრდამ კაროლინგური ეპოქის უზარმაზარი სამფლობელოების დაანაწევრება გამოინვია. გამრავლდა არისტოკრატული სახლები. 1100 წლისათვის მხოლოდ საფრანგეთში მათ ოცდათოთხმეტს მიაღწიეს, ამ მცირე არეალში თითქმის ამდენივე სამრევლო არსებობდა. ორი თაობით ადრე კი უმცროსი ვაჟის ნაყოფიერი გამრავლების შედეგად მხოლოდ სამი ოჯახი ჩამოყალიბდა. ყველა დანარჩენ საგვარეულოში, შობადობის ზრდის მიუხედავად, მკაცრი დისციპლინა ხელს უშლიდა ისედაც უხვი განშტოებების კიდევ უფრო გამრავლებას. მაგალითად, განვიხილოთ XI საუკუნეში მცხოვრები უქსელის ციხესიმაგრის სენიორი, ბერნარ გროსი. მას ექვსი ვაჟი ჰყავდა. აქედან ორი ბერი გახდა. დანარჩენი სამი რაინდი კი უცოლოდ დაიღუპა. მხოლოდ ერთს შეეძინა კანონიერი ვაჟი, რომელიც 1090 წლისათვის მთელ ციხესიმაგრეს და შესაბამისად, ყველა დანარჩენ უფლებას მოიპოვებს[34].

ამგავრი დანაწევრების ეფექტი კი ის არის, რომ ქალი მამაკაცზე უფრო მჭიდროდ დამოკიდებული ხდება, სამაგიეროდ კი ცოლები ქმრებს იდუმალ შიშს უნერგავდნენ. მამაკაცებს ღალატის ან მოკვლის შიში ღრღნიდათ. იმ პერიოდის ქრონიკების ავტორები მოგვითხრობენ, თუ როგორ ნამლავდნენ უფლისნულებს მათი ცოლები. ისინი მინიშნებებს აკეთებენ „ქალურ ინტრიგებზე", „საბედისნერო ხაფანგებზე", ქალთა გინეკეებში მომწიფებულ მზაკვრობებზე. წარმოვიდგინოთ XI საუკუნის რაინდი - ევას წინაშე მოცახცახე, უნდობელი, რომელიც ყოველ ღამეს საკუთარ სანოლში დაუცხრომელ ვნებას მიეცემა და შესაძლოა, რომ ერთ ღამეს, ძილის დროს მოკლან კიდეც.

თავი VI

ერეტიკოსები

მაოცებს ერთი დამთხვევა: XI საუკუნის 20-იან წლებში, როდესაც რაინდობის საქორწინო პრაქტიკაში გადახრა გამჟღავნდა, ასევე გაჩნდა მოძრაობები, რომელთაც ეკლესიის მმართველნი მწვალებლურს უწოდებდნენ[1]. საუბარია საერთო მღელვარების ორ ურთიერთდაკავშირებულ ასპექტზე, რომლითაც საფრანგეთის სამეფო შეძრნუნებული იყო. უეჭველია, მწვალებლობის განვითარება არ გამიჯვნია „1000 წლის ტერორს" - რელიგიური შფოთვის ძლიერ ტალღას, რომელიც მკვეთრად გაიზარდა იესოს ვნების ათასწლეულის მოახლოებისას. მონანიებისკენ, განწმენდისკენ მონოდება ყველა მხრიდან გაისმოდა. იქმნებოდა განდგომილთა საძმოები. ზოგიერთები საეჭვოც კი ჩანდა. თუმცა ერესი უდავოდ იყო „ფეოდალიზმის" ანუ ძალაუფლების ახალი გამოვლინების წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის ერთ-ერთი ფორმა. ეს მწვალებლური მიმდინარეობები იმათ აერთიანებდა, ვინც თავს დაჩაგრულად გრძნობდა - მდიდარ გლეხებს, რომლებსაც არ მიიჩნევდნენ რაინდებად და სენიორალურ რეპრესიებს უქვემდებარებდნენ, მთვლემარე მდგომარეობიდან გამოიღვიძებულ მოქალქეებს და რა თქმა უნდა, ქალებს, მამაკაცებთან შედარებით უფრო მეტად შევინროებულებს, უფლებრივად შეზღუდულებს. ასოციალური სექტების სიმრავლე რამენაირად ქალთა მდგომარეობის გაუარესებასთან ხომ არ იყო დაკავშირებული?

განდევნილი, საბოლოოდ განადგურებული, იატაკქვეშეთში გადაბარგებული მწვალებლობა, რომელზეც ბევრს კამათობდნენ, მნირი ცნობების სახითაა მოღწეული. ყველა ეს ნაკვალევი სრულიად არაპირდაპირია. კანონიდან გადახრა იმწუთასვე ფიქსირდებოდა და სარკაზმითა და გასამართლებით ჩაიხშობოდა. ერესმა თითქმის ყველგან იფეთქა. ჩვენი ინფორმატორები გვატყობინებენ, რომ საფრანგეთის ჩრდილოეთში სამ ადგილას გამოვლინდა ამგავრი მოძრაობა. შამპანში - ერთი ერესიარქი ვერტუს მიდამოებში ქადაგებდა. ორლეანში - რეპრესიები თავს დაატყდათ ლიტურგიკისა და სულიერების დარგში საუკეთესო გუნდის მეთაურთ ნმინდა ჯვრის კათედრალსა და სამეფო სამლოცველოში შეკრებილთ. არასში - მოთავეები გაიქცნენ, მხოლოდ რამ-

დენიმე „უნიგნური“ ერეტიკოსი დარჩენილა, რომლებიც, საეროთა თქმით, მათხოვრები ნამდვილად არ ყოფილან.

სექტები საკუთარ თავს პატარა, რჩეულთა ჯგუფებად აღიქვამდნენ, რომელთა წევრებიც, ბერთა თუ მომნანიეთა დარად მოიქცნენ, ჩვეულ ცხოვრების სტილს ზურგი აქციეს, „ფუჭი წუთისოფლიდან წმინდა კოლეგიაში გადავიდნენ.“ ყველანი ერთად კი გარყვნილ სამყაროს განუდგნენ, ბოროტებასთან, ხორციელთან დაპირისპირებით სულიერებაზე ზრუნავდნენ. მათი მსჯელობა უფრო სამონასტრო ხასიათსა იყო. ამას კი საეკლესიო გარემო უარყოფითად უყურებდა. იმას, რასაც ერეტიკოსებს ძირითადად საყვედურობდნენ, ნათლად გამოჩნდა სპეციალურ კათხვარში, რომელიც მათ გამოსავლენად შეიქმნა. ერეტიკოსები არ ეთანხმებოდნენ იმ აზრს, რომ მორწმუნეობა ინსტიტუცია იყო, რომ უფალთან დასაკავშირებლად მღვდელთა შუამდგომლობა იყო საჭირო. ისინი უსარგებლო სასულიერო პირებს ამხელდნენ. მათ ეკლესიის დაშლა სურდათ. ეკლესიაც თავს იცავდა, ერეტიკოსებს დევნიდა და წვავდა კიდეც. რაც შეეხება სულის ცხონების მიღწევის, ანგელოზებრივი სიწმინდის მოპოვების გზებს, ერესიარქებისა (ორლეანელი ერესიარქები სასულიერო წოდების „საუკეთესო“ ნარმომადგენლები გახლდნენ) და მართლმადიდებლობის მკაცრი დამცველების შეხედულებებს შორის დიდი განხვავება არ ყოფილა. როგორც ერთათვის, ისე მეორეთათვის სექსუალური კავშირები ბოროტება იყო და როგორც იოანე სკოტ ერიუგენას, მათაც ზიზღს გვრიდა ქორწინება. ერეტიკოსები ქორწინებას მკაცრად კიცხავნენ. ორლეანელი ერეტიკოსები, უან დე რიპოლის მიხედვით, „ქორწინებას ამათრახებდნენ“. სენ-ბენუა-სურ-ლუარის აბატი გოზლენი, რომელიც სიმპათიებს იწვევდა, იფიცებდა, რომ იგი „სულიერ ქორწინებას კი არ კრძალავდა“, არამედ - სხეულთა კავშირს. შამპანელმა ლიოტარმა, „შეშლილმა“ ლიოტარმა, რომლის ფუტკრებისაგან დაკბენილ სხეულსაც რაულ გლაბერი აგვინერს, „მეუღლე გააგდო და ამით სახარებისეული მცნებები დაიცვა“. მართლაც, საუბარია მათეს სახარების XIX თავზე. კითხვაზე: „თუ კაცს ამდენი რამ მართებს ცოლის მიმართ, უმჯობესია სულაც არ შეირთოს“, იესომ საჭურისთა იგავით უპასუხა: „ყველას როდი შეუძლია ამ სიტყვების წვდომა, არამედ იმათ, ვისაც მიეცა“: ეს უკანასკენლნი „რჩეულნი“, „პატარა ჯგუფები“ ხომ არ არიან, რომლებიც ამ ბოროტი სამყაროსგან განდგომილი, დევნილი სექტების წარმომადგენლებად გვევლინებიან? ლუკას სახარების XX თავის 34-35 მუხლებში ვკითხულობთ: „წუთისოფლის შვილები ირთავენ ცოლებს და თხოვდებიან. ხოლო ვინც ღირსნი არიან მოიპოვონ ის საუკუნე და მკვდრეთით აღდგომა, არც ცოლს ირთავენ, არც თხოვდებიან“. ერეტიკოსები საკუთარ თავს არწმუნებდნენ, რომ ქორწინება ხელს უშლიდა სასუფევლის მოპოვებას. უფლის მეორედმოსვლის მოლოდინში მყოფნი, ისინი ყოვლეგვარი სექსუალური კავშირების მო-

სპობაზე ოცნებობდნენ. ეს მამაკაცები თავის გარშემო მყოფ ქალებს ისე ექცეოდნენ, როგორც თანასწორებს, ისეთ თანაცხოვრებაზე ოცნებობდნენ, როგორიც სამოთხეში იყო, ციური არსებანი სრულყოფილ სინმინდეში და-ძმებივით რომ იყვნენ. ამგავრი წინადადებები ხალხს შოკს გვრიდა, საზოგადოების ძირითად პრინციპებს ეწინააღმდეგებოდა. ერესი დამრცხდა, მას თანამედროვენი დაუპირისპირდნენ. ერესის მოწინააღმდეგენი მწვალებლობას ისე წარუდგენდნენ საზოგადოებას, როგორც ქალთა მოძრაობას. შარტრის სენ-პერის მონასტრის ბერი პავლე ორლეანის პროცესს აგვიწერს, სადაც ბრალდებულთა შორის ერთი მონაზონი ქალი იყო. რაულ გლაბერი მიგვანიშნებს, რომ ბოროტი სწავლების „შხამი" ორლეანში სწორედ ამ ქალმა შემოიტანა. ეს სექტების დისკრედიტაციის მშვენიერი საშუალება გახლდათ. განა ცბიერი ქალი იარაღი არ იყო სატანის ხელში?

ერესის მბრალმდებლები თვალთმაქცობად მიიჩნევდნენ ერეტიკოსების მხრიდან სქესობრივი კავშირის უარყოფას. მაშინ როგორ უნდა ეცხოვრათ უცოდველად ქალებთან იმ მამაკაცებს, იმ საერო პირებს, რომლებიც სასულიეროთაგან განსხვავებით, სამღვდელო პატივის სიამოვნებას მოკლებულნი იყვნენ? უბრალოდ ერეტიკოსები ცრუობდნენ. სინამდვილეში კი გარყვნილი ცხოვრების წესი ჰქონდათ. ხალხისგან მოშორებით, ღამით ტყეში ქალებთან ერთად ისინი ინტიმურ სიამოვნებას ეძლეოდნენ. ისინი, ვისაც პრეტენზია ჰქონდათ საეროთათვის ქორწინება აეკრძალათ, იმავდროულად მათ ინცესტსა და გარყვნილებისაკენ უბიძგებდნენ. ყველა ჩვენი მემატიანე ამ საკითხებში ერთსულოვანია. რაულ გლაბერი ამტკიცებს, რომ ორლეანელი ერეტიკოსებისთვის „გარყვნილება ცოდვა არ იყო." პავლე შარტრელი იმას იმეორებს, რასაც მონასტრებში ჭორაობდნენ. ერეტიკოსები შეკრებების შემდეგ იმ ქალებთან ატარებდნენ დროს, რომელიც ხელში მოხვდებოდათ. შეიძლება ეს დედა ან დაც კი ყოფილიყო. შემდგომ ისინი რიტუალურად წვავდნენ ამ ცოდვის შედეგად შობილ ბავშვებს, ხოლო მათ ფერფლს თილისმად ატარებდნენ.

დავუბრუნდეთ რეალობას. წინაპართა ღირსების დაცვის მიზნით, ქორწინების კონტროლი გამკაცრდა. ქორწინების გარშემო დიდი კამათი გაიმართა. მაგრამ ისევე როგორც მწვალებლობაში, აქაც სხვადასხვა დონეს გამოყოფენ, ერთი - უფრო მეცნიერული იყო, ამ ჯგუფს მიაკუთვნებდნენ ორლეანელ მეცნიერებს, რომლებიც ისე მიდიოდნენ კოცონზე, როგორც დღესასწაულზე, ხოლო მეორენი - „უწიგნურნი", საერონი, ბევრად მოკრძალებულნი იყვნენ - არასში საეპისკოპოსო ინკვიზიციის წინაშე შეშინებული, მორჩილი ქალები და მამაკაცები, რომლებიც უარს ამბობდნენ თავიანთ ქმედებებზე. ეს ორი მიმართულება ერთმანეთში არ უნდა ავრიოთ ისევე, როგორც ამას მართლმადიდებლური პროპაგანდა აკეთებდა ქორწინების ინსტიტუტთან დაკავშირე-

ბით თავისი დამოკიდებულების გამოხატვისას. „სრულყოფილთა“ პატარა ჯგუფი ყველასგან თავშეკავებას, ქალწულობას მოითხოვდა, რათა ანგელოზებს დამსაგავსებოდნენ და ცად ამაღელბულიყვნენ. თუმცა მათ არ სურდათ სამყაროსგან განდგომა და მის სიამოვნებებზე უარის თქმა. მათთვის ერეტიკული კამათი ეკლესიისთვის ნინააღმდეგობის შექმნის საშუალება გახლდათ, რომელიც, თავის მხრივ, აქტიურად ერეოდა საქორწინო პროცედურებში. სოციალური მოთხოვნები მმართველ კლასს გამრავლებაზე უფრო ძლიერ კონტროლს ავალებდა, ეკლესიის მესვეურთა მორალი კი უფრო და უფრო შემანუხებელი ხდებოდა. ორლეანის სექტაზე საუბრისას, ანდრე დე ფლერი, ჟან დე რიპოლისგან განსხვავებით, ამ სექტაზე საუბრისას მხოლოდ იმას კი არ აღნიშნავს, რომ იგი „ქორწინებას კიცხავდა“, არამედ, უფრო ზუსტად, აცხადებს, რომ „ქორწინების კურთხევა არ უნდა მოხდეს და ყველამ ის უნდა მიიღოს, რასაც იმსახურებს.“ ამ ფრაზას არაევთარი კავშირი არ აქვს ბერი პავლეს მიერ გავრცელებულ ჭორებთან. ეს ფრაზა ამ ჭორებს ფანტავს. ერეტიკოსები სხეულის, ხორცის საკრალიზაციის ნინააღმდეგ ილაშქრებდნენ. მღვდლებს არაფერი ესაქმებოდათ საქორწილო სარეცელთან. ამიერიდან დისკუსია მთელი სისრულით გაიშალა - დაიწყო სამღვდელოების პრივილეგიების მხილება, რიტუალიზმის კრიტიკა, ხორცის დაგმობა. ქორწინება ხორციელი მოვლენა იყო. ეს ჯადოქრობა გახლდათ, რომელიც საკრალიზაციას მოითხოვს. იგი „ბოროტ საუკუნეს“ ეკუთვნოდა. ქორწინება სრულყოფილი არსებების საქმე არ იყო. ინცესტი და ღალატი რომ გამოვრიცხოთ, ქორწინება მაინც გარყვნილებად ითვლებოდა. ის, ვინც ჯიუტად ეძებს ცოლს, შეუძლია ის აირჩიოს, „ვინც სურს“. თუ იმას ირჩევს, ვინც შეხვდება, მაშინ მამაკაცი სცოდავს. მღვდლების მიერ ნარმოებული გამოძიება ნათესაურ მუხლებსა და ბიგამიაზე უსარგებლოა. ერეტიკოსები სხეულთა კავშირის კურთხევას ცოდვად მიიჩნევდნენ, საქორწილო ლიტურგიკის განვითარებას უპირისპირდებოდნენ. ერეტიკოსები ასევე ისეთ მღვდლებს აკრიტიკებდნენ, რომლებსაც ქალების გარეშე ცხოვრება არ შეეძლოთ და ასევე ყველა იმ დიდებულს, რომელთაც შეეძლოთ თავისუფლად აერჩიათ და მოეპოვებინათ ის ქალი, ვინც მათ უნდოდათ, ხოლო შემდეგ ასევე თავისუფლად გაეშვათ სხვა ქალის მოყვანის სურვილის გამო. ფრანჩესკო კიოვაროს დასმული შეკითხვა ჩემი დასმული მგონია. მწვალებლობა უფრო შხამიანი ხომ არ ყოფილა იმ რეგიონებში, სადაც მღვდლების ჩარევა საქორწილო რიტუალში გაცილებით ფრთხილი გახლდათ? ამ შემთხვევაში ერესი გამაერთიანებელი ბუნებით კი არ გამოირჩევა, არამედ სხვაგვარად აზროვნების, ქადაგების ტალღებად გვევლინება, რომელიც ძალიან სწრაფად მოედო საზოგადოებას. ამგავრი სოციალური მდგომარეობა და სასულიეროთა აგრესია აქეზებდა მღვდლებს თავის სასარგებლოდ გადაეწყვიტათ ქორწინების საქმე. დიდებულებმაც

სწორედ მათ მიანდეს ამ საკითხის კონტროლი, რამდენადაც ამაზე იყო დამოკიდებული მათი არისტოკრატული ძალაუფლების უწყვეტობა.

ერეტიკული გამოწვევა გაძლიერდა. განსაკუთრებით კამბრე-არასის ეპისკოპოსმა, ჟერარმა გაამწვავა სიტუაცია. 1024 წლის პროცესის შემდგომ მისი ბრძანებით პატარა ნიგნაკი შექმნილა, რომელშიც იგი ერეტიკოსთა დასამარცხებლად სახარებით გამყარებულ არგუმენტებს იშველიებდა. ეს წიგნაკი ჩვეულებრივი დოქტრინალურ მოხსენება იყო. აქ გვხვდება მეტად ღირებული მსჯელობა ქორწინებაზე[2], რადგანაც იგი ზოგადად საეპისკოპოსოს დამოკიდებულებას გამოხატავს.

ჟერარი საეკლესიო ინსტიტუტს იცავს, წმინდა საიდუმლოთა ღირებულებებს ამყარებს, იმ პრივილეგიებს ეთანხმება, რასაც მღვდლები მორწმუნე ხალხის უფალთან დაკავშირების გამო ფლობენ. ავტორი ამტკიცებს, რომ „წოდებები, ფენები“ ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ და რომ ღვთიური ნება ადამიანებს კონკრეტულ სოციალურ იერარქიულ საფეხურზე აყენებს. ის ადამიანები, რომლებიც მიწაზე უფალს ემსახურებიან, ყველაზე მაღალ საფეხურზე იმყოფებიან ანგელოზთა გუნდის ქვემოთ. ისინი სიწმინდით ანგელოზებს უნდა გაუთანაბრდნენ. სწორედ ეს უპირატესი მდგომარეობა ეხმარებათ მათ ამის მიღწევაში. კამბრეს ეპისკოპოსის აზრები მისმა კოლეგამ, ლაონ ადალბერონმა აიტაცა პოემაში, რომელიც მეფე რობერტს ეძღვნებოდა და რომელიც 1028-1031 წლებშია[3] შექმნილი. აქ უფრო აშკარად ჩანს აღნიშნული სისტემის შემადგენლობა. „საეკლესიო ფენის“ წევრები „ღვთიურ კანონს“ ემორჩილებიან. ეს „წმინდა კანონი მათ მიწიერი ცოდვებისგან ათავისუფლებდა“, კანონი მათ „სულისა და ხორცის განწმენდას“ უბრძანებდა. უფალი მათ „ადამის მოდგმას უმორჩილებდა“ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ზნესრულნი იქნებოდნენ. ზნესრულთათვის კი ქორწინება აკრძალული იყო (მხოლოდ მათთვის). მაგრამ როგორ უნდა აეკრძალათ ქორწინება ყველასათვის? კარგი იქნებოდა, ადამის მოდგმას განკითხვის დღემდე რომ ეარსება. „დიდებულთა“ და „მსახურთა“ ფუნქცია გამრავლება, ქალთა განაყოფიერება იყო. სარკასტული ადალბერონი იმ კლუნიელებს დასცინოდა, რომლებიც დიდებულებს ასკეტური თვაშეკავებას უქადაგებდნენ. ყოველ შემთხვევაში გამრავლება წესის დაცვით უნდა განხორციელებულიყო. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ თითოეული საკუთარი სოციალური „წრის“ ფარგლებში უნდა დაწყვილებულიყო, იმ ჯგუფის შიგნით, სადაც ისინი უფალმა მოავლინა. უთანასწორო ქორწინება გამორიცხული იყო. და მეორე მხრივ, დაწყვილება კანონიერი ცოლქმრობით უნდა გაფორმებულიყო. ამდენად, საერო პირთათვის ქორწინება აუცილებელი გახლდათ. ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ კარგ ქორწინებას, რომელიც ქრისტიანულ პრინციპებს ითვალისწინებდა და მღვდლების კონტროლს ექვემდებარებოდა.

აი ის, რაც ჟერარ კამბრელმა წარმოთქვა მაშინ, როდესაც ქორწინებ-

ის შესახებ ერეტიკოსთა სწავლება უარყო. ერეტიკოსთათვის „დაქორწინებული ადამიანები ვერასდროს ჩაითვლებოდნენ მორწმუნე ადამიანებად". ის მეუღლეები, რომელბიც არ უარყოფენ ხორციელ შერწყმას, სექტის მიღმა, ბნელ გარე სამყაროში რჩებოდნენ. ქორწინებაში ხსნა არ იყო. რა პასუხი უნდა გაეცეს ამას? ფრთხილად უნდა ვიყო - ამბობს ჟერარი - ამ ორ წინააღმდეგობას შორის ლავირება უნდა მოვახდინო. არ მინდა, რომ მთელ სამყაროს ზურგი ვაქციო და მათ, შორის, ქორწინებასაც. სულაც არ არის საჭირო, რომ ყველას დავუპირისპირდე. „თუმცა საერო და სასულიერო პირებს შორის არა მარტო წოდებრივი უფსკრულია, არამედ ქცევაშიც დიდი განსხვავებაა." იერარქიზირებული, გახლეჩილი საზოგადოების სურათი ერეტიკოსთა თანასწორობის მოთხოვნას ეწინააღმდეგება და მას ქორწინების მხარდაჭერით უპირისპირდება. მორალური კანონი გაორებულია. „სასულიერო პირი, აცხადებს ჟერარი (მამაკაცი: საკითხი მამაკაცებს ეხება და ის განზრახ არ საუბრობს ქალებზე. პირველ რიგში იგი მსჯელობს განსხვავებაზე, იმაზე, რაც ორ სქესს ერთამნეთისგან ასხვევებს. ეს იმდენად აშკარაა, რომ მასზე საუბარიც კი ზედმეტია), ამ ქვეყნის დატოვებამდე და უფალთან შეერთებამდე ვერ შეძლებს სარტყლის გამო (სარტყელი, მათი ხელობის ემბლემა, ქამარი, მაგრამ აქ მინიშნებაა სქესობრივ აქტზე) ცოლქმრული მოვალეობის შესრულებას (ის თავის გამორჩეულ თავისუფლებას დაკარგავს. ამიერიდან „ღვთიური კანონის" მსახური აღარ იქნება, რაც, ადალბერონიც ამას იმეორებს, მას მიწიერი „მსახურებისგან" ათავისუფლებს). რაც შეეხება, „საერო" პირს, „არც სახარება, არც მოციქულთა წერილები არ უკრძალავდნენ მას „კანონიერ ქორწინებას", მხოლოდ ერთი პირობით. „საქორწილო სიამოვნება ყოველთვის მამაკაცის მიერ უნდა იმართებოდეს." სხეულთა შეკავშირებისთვის გარკვეული პერიოდი არსებობს, ხოლო გარკვეულ პერიოდში თავის შეკავებაა უმჯობესი. „მართლაც, ქორწინება უფალს არ მოსწონს, იგი ადამიანებს განცხრომისა და ცხოველური სურვილების დაკმაყოფილებისკენ უბიძგებს. მაგრამ ვინც, უფლის შიშით, უპირატესობას შვილების სიყვარულს ანიჭებს და არა ხორციელ სიამოვნებას, ცოდვილად არ ჩაითვლება და მორწმუნეთა მრევლიდან არ განიკვეთება."

ჟერარი ამატებს: ქორწინება „ხალხური ადათების კანონიდან" იღებს სათავეს. კანონი, ჩვეულება, ეს შესანიშნავი რიტორი კარგად იცნობს ამ ორ ტერმინს შორის არსებულ განსხვავებას, რომელზედაც საუბარია ციცერონის ნაშრომში „აღმოჩენაზე" და აბონ სენ-ბენუა-სურლუარელის საკანონმდებლო ტრაქტატში. იგი ხაზს უსვამს ამ ორ წესს - ღვთიურსა და ადამიანურს შორის განსხვავებას, აკნინებს ამ უკანასკნელს, აიგივებს რა მას უბრალო ჩვეულებასთან. ჟერარი ერეტიკოსებზე საუბრობს და მათ დამარცხებაზე აქვს პრეტენზია. სექტანტი

ინტელექტუალები სიტყვა „კანონს“ ხშირად ხმარობენ, ავტორს არ სურს, რომ ამის გამო მათ დაუპირისპირდეს. ჟერარი ღვთიურ „კანონს“ ეთანხმება, ოღონდ ქორწინების გარეშე. კანონი ქორწინებას იმ მეცნიერებისთვის უარყოფს, რომლებიც „უფლის მსახურნი“ არიან. ქორწინება რეგულაციის სხვა სისტემას მიეკუთვნება, ქვედა საფეხურზე მყოფს, ნაკლებად მყარ ჩვეულებას.

ამგვარი საუბრები პედაგოგიკის ბრწყინვალე ნიმუშია. ამ სიტყვებს დიდი ზემოქმედების ძალა აქვს, ისინი გვაფიქრებინებენ, რომ ქორწინება, რამდენადაც ხორციელია, იმდენად შორსაა საკრალურისგან. შესაბამისად, საეკლესიო საიდუმლოსაც არ წარმოადგენს და საეკლესიო ინსტიტუციაც არ გახლავთ.

ჟერარი და ადალბერონიც სხვადასხვა პატრისტ ავტორიტეტებს - გრიგოლ დიდს, ავგუსტინეს, დიონისეს, სკოტ ერიუგენას ემყარებიან. ამ ავტორთა ნაშრომები ეკლესიებში ინახებოდა და მინიერისადმი სიძულვილს გრძნობას აღვივებდა. ეს ზიზღი იმაზე ნაკლები სულაც არ იყო, რასაც მოწინააღმდეგენი ქადაგებდნენ. ამგვარად, ჟერარსა და ერეტიკოს-მქადაგებლებს (მათი „მეტრები“ იგივე ტექსტებს კითხულობდნენ) შორის სიახლოვე აშკარა იყო. ჟერარისთვის ქორწინება ძირშივე უწმინდურია. იგი „ცოდვილი ქვეყნის“ შვილია. ეს იმ მდაბიო ადამიანების მონაპოვარია, რომლებიც მიწიერი ცხოვრებით ცხოვრობენ, მატერიალური პრობლემებით არიან დაკავებულნი. ქორწინება სრულყოფილი იქნება, თუ ხორციელი სიამოვნება აიკრძალება. თუმცა ამის მიღწევა შეუძლებელია. მაგრამ სიამოვნება შეიძლება „მართო“, მოთოკო. ამდენად, ქორწინება ყოველთვის „ცოდვაა“, და ამიტომაც ყველა საერო პირი, თვით მეფენიც კი, წმინდა ხალხს — მღვდლებს ემორჩილებიან. არ ვიცი როგორ უნდა შევხედოთ ჟერარ კამბრელის ნააზრევს, მაგრამ იგი ასე ნეტარ ავგუსტინესეულ ტრადიციში მსჯელობს. ამ ტრადიციის მიმდევარ ეპისკოპოსთა რიგში იყვნენ ასევე იონა ორლეანელი და ჰინკმარ რეიმსელი. ისინი ნეტარ ავგუსტინეს ეყრდნობოდნენ, როდესაც ამტკიცებდნენ, რომ „ბავშვების სიყვარული“ ქორწინებას ამართლებდა. ისინი ასკვნიდნენ, რომ „ხალხური ადათის კანონი“ ღვთიური „ავტორიტეტით იყო“ გამყარებული. უეჭველია, რომ ეს კანონი უფლის მიერ არ იყო გაცხადებული. მიუხედავად ამისა, მას უფლის ავტორიტეტი აძლიერებდა. ჟერარი ახალი აღთქმის, მათეს სახარების, პეტრესა და პავლეს ეპისტოლეთა ციტირებებს ახდენს. თავდაპირველად საუბარია ცოლის ქმრისადმი სავალდებულო მორჩილებაზე, რათა კარგად გამოჩნდეს სოციალური წესრიგი, ქალის დაკნინებული მდგომარეობა (რაც შემოქმედის ნებაა). და ბოლოს წყვილი განუყოფელია, „მოღალატე ქმარი ერთგული ცოლისგან განიწმინდება.“ (I კორინთელთა, VII). ცოლის მიერ განეული სამსახურის სანაცვლოდ, ქორწინება დადებით იმპულს შეიძენს: ის მადლის გავრცელებას შეუწყობს ხელს.

ერეტიკული სწავლება კი დამღუპველია. „თუ დაქორწინებულნი საფრთხეს უქმნიან ადამიანის მოდგმას, უფალი გახრწნილობის დასათრგუნადაა მოვლენილი, თუმცა იგი არანაირ გაფრთხილებას არ გვაძლევს ამ ცოდვის შესახებ." ქორწინება გარადუვალი შეცდომაა - ჟერარის კონცეფციის მიხედვით, იგი მანიქეველობის ნანილია. მაგრამ ამ ცოდვის „გამოსწორება" შესაძლებელია, მისგან გათავისუფლება შეიძლება, როგორც ეს იესომ შეძლო და ბოროტებისგან გათავისუფლდა. იონა ორლეანელის გავლენით, ჟერარი საქორწილო კავშირს საპატიებელ ცოდვათა რიგს მიაკუთვნებს, რომელთა გამოსყიდვა შესაძლებელია.

კამბრეს ეპისკოპოსი, ლაონის ეპისკოპოსთან პარალელურად, გასაოცარი „კორექტულობით" უპირისპირებს კაროლინგურ წესებს იმ ძვრებს, რომელმაც იმ პერიოდში გალიის ჩრდილოეთი მოიცვა. ახალ აღთქმის განმარტებისას, იგი საქორწილო მორალს ქადაგებს, რომელიც, თავის მხრივ, აქცენტს (ეპოქის ცვლილებებია მას მოითხოვს) სრულყოფის აუცილებლობაზე სვამს: „თავშეკავება გვმართებს, მხოლოდ სიამოვნებას არ უნდა მივეცეთ". თუმცა ჟერარი თავს იცავს ასკეტიზმის ექსტრავაგანტური გამოვლინებებისგან, რადგანაც უფალი ადამიანს ანგელოზობას არ სთხოვს. ჰინკმარის მიბაძვით ჟერარი არ განიხილავს „საეროთა" ცოლქმრობას.

სრული სიმართლეა ის, რომ, საეროთა ქორწინება ნაკლებად იტაცებდა ჟერარს, ვიდრე კლერიკალთა ცელიბატი. ლათინურ დისკურსში შექმნილი „წიგნაკი" არასელი უნიგნურებისთვის იყო გამიზნული. ჟერარი ამჯერად სასულიეროებს მიმართავდა. XI საუკუნის დასაწყისში სასულიეროთა მთავარი ამოცანა უფლის მსახურთა პრივილეგიების, მათი მონოპოლიისა და იმუნიტეტის დაცვა გახლდათ. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ადამიანებს, რომლებიც საკრალურით, მედიატორობით იყვნენ დაკავებულნი (უხილავი შემოქმედის წინაშე), ქალებისგან თავი შორს უნდა დაეჭირათ. აუცილებელი იყო სულიერი ღირებულებების მატერიალურზე მაღლა დაყენება, სუბორდინაციის დაცვა საეროებსა და კლერიკალებს შორის, ხოლო მამაკაცებში სექსუალური თავშეკავების ქადაგება, ზოგიერთ მათგანისთვის კი - მუდმივი თავშეკავებისკენ მოწოდება. ამდენად, ჟერარ კამბრელის განაცხადი - ისევე, როგორც ბურშარ ვორმსელის წამოწყება (როგორც იმპერატორ ანრი II-ისა და საფრანგეთის მეფის კამათი რომის პაპთან დედამიწაზე წესრიგის დამყარების შესახებ) წინ უსწრებდა საეკლესიო რეფორმას, ნიკოლაიზმსსა და სასულიეროთა ქორწინების წინააღმდეგ ბრძოლას. ათასწლეულის იდეოლოგია და მონანიებისათვის მზადება სამონასტრო დაჯგუფებებსა და რჯულის მეცნიერებს შორის ჩაისახა, რასაც შემდეგ მათი ეპისკოპოსები საეროთა დისციპლინის გასამყარებელად იყენებდნენ. არისტოკრატული საგავრეულოების მეთაურებიც სასულიეროთა ცელიბატს უჭერდნენ მხარს. მათ სურდათ სასულიეროთა დინასტიების მო-

სპობა, რადგანაც მათი კონკურენციის ეშინოდათ. პირველ რიგში დიდებულებს სურდათ, რომ იმ ვაჟებს, რომლებიც ეკლესიებში მიაბარეს (ოჯახის გამრავლების ხელის შეშლის მიზნით), კანონიერი შვილების ყოლა აღარ შეძლებოდათ.

ბრძოლა დაუნდობელი იყო. 1031 წელს ის საფრანგეთის ჩრდილოეთში იჩენს თავს. ბურგის საეკლესიო კრება მღვდლების ვაჟებს უკანონოდ აცხადებს, კრძალავს ქალიშვილთა მღვდელზე, დიაკვანზე დაქორწინებას. მღვდლისა თუ დიაკვნის ვაჟს ისეთი ქალის შერთვას უკრძალავს, რომელიც ასევე მღვდლის ან დიაკვნის „ცოლისგან" იშვა[4]. 30 წლის შემდეგ ეპისკოპოსები ლიზიეში შეიკრიბნენ, რათა კვლავ შეეხსენებინათ რჯულის მეცნიერებისთვის, რომ მათ თავიანთი მეგობარი ქალები გაეძევებინათ. თუმცა ისინი სოფლის კლერიკალებს უფლებას აძლევდნენ ქალები ჰყოლოდათ. აუცილებელი იყო ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, წინააღმდეგობების დაძლევა. ძალიან ცოტანიღა დარჩნენ ეკლესიიდან განკვეთილი პიროვნებები, ვისზედაც წერდნენ, ვისაც იხსენიებდნენ, რადგან ეკლესიის მონინააღმდეგენი ძირითადად დამარცხებულნი აღმოჩნდნენ. ეს მარგინალები მონინააღმდეგეთა არგუმენტებს იშველიებდნენ, ამბობდნენ, რომ თავშეკავება წყალობა იყო. სულაც არ არის საჭირო ხალხს თავს მოვახვიოთ, დავაძალოთ წმინდანობაო. ისინი სხვა ტიპის განსხვავებებზე საუბრობდნენ, ნაკლებად ინსტიტუციონალურზე, უფრო ინდივიდუალური ხასიათის. ეკლესიის ოპონენტები ზნეობრიობისკენ მოუწოდებდნენ ხალხს. წმ. პავლეს ციტირებით, ერეტიკოსები ქორწინებაზე, როგორც ავხორცობის წამალზე, ისე საუბრობდნენ. მაშ, რატომ უნდა აიკრძალოს ქორწინება მღვდლებისთვის? ერეტიკოსები ასევე ლოტის და მისი ქალიშვილების ისტორიას ახსენებდნენ ხალხს და ამ მაგალითით უჩვენებდნენ, რომ ქედმაღალი მამაკაცი, რომელიც ქორწინების გვერდის ავლას ფიქრობს, ცდება. საუკეთესო გამოსავალი გონივრული თავშეკავებაა. ქორწინებას დადებითი მხარეც აქვს. მწვალებლები კაროლინგურ ტრადიციას ეყრდნობოდნენ და აცხადებდნენ, რომ ბოროტებასა და სიკეთეს შორის ბარიერი ყველასთვის ერთნაირად ქორწინებასა და გარყვნილებას შორის იყო მოთავსებული, მხოლოდ უფლის მსახურთათვის იგი თავშეკავებასა და ქორწინებას შორის იყო გადატანილი. თუმცა ერეტიკოსები მოითხოვდნენ, რომ ყველას, სასულიერო და საერო პირებს, ერთნაირად მოქცეოდნენ, ამით ისინი ღვთიური და ადამიანური კანონის სოციალურ გაყოფას ეწინააღმდეგებოდნენ (სწორედ ამას დაეყრდნო რეფორსტმისტული მოძრაობა). ამითისინი ერესის დასადანაშაულებლად საბაბს იძლეოდნენ. წინააღმდეგობა დაიძაბა - ხალხი ხშირად იცავდა კლერიკალებს, რომელთაც მათი კონფორტის დაცვა ევალებოდათ. ჩანს, რომ XI საუკუნის ბოლო ათწლეულში წინააღმდეგობა ნელნელა ჩაცხრა. გამარჯვება „გრეგორიანელ" რეფორმატორებს დარჩათ.

ამ ხანგრძლივი ომის დროს, თანაცხოვრება ნაწილობრივ დაზარალდა. ბრძოლის სიმწვავე, ჟერარ კამბრელის აზრით, ძალიან მარტივ დაყოფას მოითხოვდა: სასულიეროთათვის ქალი საჭირო არ იყო, არც კანონიერი და არც უკანონო; საეროთათვის კი ქალი აუცილებელი იყო, მაგრამ იგი კანონიერი უნდა ყოფილიყო. სხეულთა კავშირი თანაცხოვრებიდან საზეიმოდ შეერთებულ სამოქალაქო და რელიგიური რიტუალებით უნდა დაგვირგვინებულიყო. 1069 წელს რომის საეკლესიო კრებაზე ტოლედოს საეკლესიო კრების კანონი განიხილეს, რომელიც მონოგამიის დაცვას მოითხოვდა, თუმცა ქორწინებასა და თანაცხოვრებას შორის არჩევანის გაკეთების უფლებას ტოვებდა. შემდგომ მართლმადიდებლობის ოფიციალური დოკუმენტები ამაზე აღარ მსჯელობენ. ეკლესიის მეთურები უარყოფდნენ საეკლესიო წოდების ქორწინებას, ასევე ოცნებობენ საერო პირთა შეზღუდვაზე, მათ საკუთარ ბადეში მოქცევაზე, რომლის მარყუჟიც კურთხეული ქორწინება იყო. არც ერთი მარგინალი, არც ერთი თავისუფალი კავშირი. დაუქორწინებლები ისეთ „სახლში" უნდა შესულიყვნენ, რომლის უფროსი კანონიერად იქნებოდა დაქორწინებული[5]. ქორწინების კლერიკალური და არისტოკრატიული მოდელები ერთმანეთს უთანხმდებოდა. XI საუკუნეში პრივილეგირებულ წოდებაში წინსვლა შეიმჩნევა - საკუთარ მამულებში გაძლიერება, საგვარეულო სტრუქტურის განმტკიცება, ქმრისა და მამის ძალაუფლების გამყარება გარკვეულწილად დაკავშირებული იყო ერეტიკულ ამბოხთან, მწვალებელთა მიერ შემოთავაზებულ ცვლილებებთან. მაგრამ ეს ევოლუცია აშკარად ეთანხმებოდა ეკლესიის რეფორმატორთა მიზნებს. იგი აუცილებლად მიიჩნევდა უხუცესთა მიერ ახალგაზრდა მამაკაცების კონტროლს. ასევე იმასაც, რომ ქალები ქალწულებრივი მდგომარეობიდან პირდაპირ კანონიერი დედები გამხდარიყვნენ; ოჯახში კი მამის, მომავალი შვილების მამის, ერთპიროვნული ბატონობა უნდა დამყარებულიყო. ქორწინების ღირებულება არისტოკრატულ ეთიკასა და სასულიეროთა ქადაგებებში იზრდებოდა.

ამ ორ მორალს შორის შეუთანხმებლობა სხვა მხრივ მაინც არსებობდა. რეფორმის გამტარებლები, პირველ რიგში, ქორწინების უნაყოფობაზე მსჯელობდნენ. ერეტიკული ქადაგებისთვის ბოლოს მოსაღებად ეპისკოპოსებს ერთ-ერთი ამ თემათაგანი უნდა განეხილათ. ბრძოლის სათავეში მინიერი სამყაროს გამკიცხველი ბერები მოექცნენ. ისინი დაუსრულებლად იმეორებდნენ, რომ ქორწინება ზნეობრივი უნდა ყოფილიყო და დაქორწინებულებს საქორწილო სარეცელზე თავშეკავებისკენ მოუწოდებდნენ. სიმბოლურ დონეზე იბრძოდნენ საქორწილო ნადიმის შეზღუდვისთვის. დაქორწინებულთა სულიერ კავშირს კი ხოტბას ასხამდნენ, ყურადღებას ამახვილებდნენ სურვილების თანხვედრასა და ორმხრივ კმაყოფილებაზე, „ზნეობრიობაზე", რომელიც დაქორწინებულებს აკავშირებდა. ამიტომ იყო, რომ ბავშვის ჩასახვის შემდეგ

ცოლ-ქმარი, ერეტიკოსების მსგავსად, სულიერი მეგობრობით უნდა დაკმაყოფილებულიყო. ზნეობის დაცვის ამ მოთხოვნებს საქორწილო შეთანხმების კონტროლი ემატებოდა. ქორწინება უფრო მორალური ხებოდა, სულიერისკენ იხრებოდა და შესაბამისად, კლერიკალთა კონტროლის ქვეშ ექცეოდა. მას შემდეგ, რაც სასულიეროებმა ყოველგვარი დაფარული კავშირები აკრძალეს, მათ ალიანსი შეკრეს საგავრეულოთა მეთაურებთან. თუმცა ეს უკანასკნელნი კლერიკალებს მაშინ უმხედრდებოდნენ, როდესაც საკითხი მათ მომავალს ეხებოდა: სენიორმა თავისი საყვარელი, პირველი ცოლი ხომ არ გაუშვა? მისთვის განკუთვნილი გოგონა მისივე ბიძაშვილი ხომ არ იყო? არისტოკრატიას ამგავრი გამოძიება აღიზიანებდა. რეფორმის წინსვლა საეკლესიო ძალაუფლებას უფრო შემტევს ხდიდა. ამჯერად კლერიკალები კავშირს წყვეტენ კაროლინგურ ტრადიციასთან და ქორწინების საკითხებზე კომპეტენტენციის პრეტენზიას აცხადებენ[6]. 1080 წლისთვის საფრანგეთის ჩრდილოეთში ამგავრი მოთხოვნების პირველი კვალი შეინიშნება.

"ფეოდალიზაციის" პროცესმა ეკლესიის მეთაურები ნელ-ნელა იურიდიული ძალაუფლებისთვის შეამზადა. XI საუკუნეში აბატები და ეპისკოპოსები სენიორალურ ძალაუფლებას ფლობდნენ. ისინი საეროთა, ადვოკატთა, გრაფების, ციხესიმაგრეთა მფლობელი სენიორების უფლებებს ზღუდავდნენ, თავად ასამართლებდნენ თავიანთ ქვეშევრდომებს, სახალხო დანშაულში - მოტაცებასა და ცოლქმრულ ღალატში - ამხელდნენ. კლერიკალებს საქორწილო სამრთალში დარღვევები უნდა შეეზღუდათ და, ჟერარ კამბრელის სიტყვებით, უფლის სახელით ემოქმედათ. უბრალო იურიდიული პრაქტიკის მიხედვით, „უფლის კანონი" „ხალხურ ადათს" დაესხა თავს. რთული იყო დაქორწინებული მღვდლების წინააღმდეგ ბრძოლა, რომლებიც ეპისკოპოსებს ამ საკითხში კომპეტენციის შეზღუდვისკენ მოუწოდებდნენ. საჭირო გახდა ოპოზიციონერთა საზოგადოებიდან გაძევება, მათი არალეგალურ ელემენტებად გამოცხადება და შემდგომ მათი გასამართლება. პირველი ბრალდებულნი, რომლებიც დაქორწინებულობის გამო, საეკლესიო ტრიბუნალის წინაშე უნდა წარსმდგარიყვნენ, დაუმორჩილებელი რჯულის მეცნიერები იყვნენ, რომლებიც ცოლებთან გაყრას არ რქარობდნენ.

მე ვისაუბრე ნიკოლაიზმის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის სიმწვავეზე. ამ ბრძოლის მიზანი იყო რიგების შემჭიდროება პაპის ავტორიტეტის ქვეშ. ძალაუფლების ეს აუცილებელი კონცენტრაცია პასტორალური დაყოფის საფრთხეს ზღუდავდა, იმ ძალაუფლებას ამცირებდა, რომელიც ნებისმიერ სასულიერო პირს საკუთარ დიოცეზში გააჩნდა. პენიტენციალური კრებულები ტრადიციებს ეყრდნობოდა. ექსპერტები ბიბლიოთეკებში კანონების გაერთმნიშვნელოვნებისთვის, საერთო წესის ჩამოყალიბებისთვის მუშაობდნენ. „ადათის" მსგვასად „კანონი" ლოიალური კი არა, ისეთივე მკაცრი უნდა ყოფილიყო, როგორც

„უფლის კანონი“. ამ კანონს ქორწინება უკიდურეს ლეგიტიმაციამდე, უმაღლეს სიკეთემდე მიჰყავდა, ადამიანს ბოროტებისკენ არ უბიძგებდა, როგორც ამას ერეტიკოსები და XI საუკუნის 20-იან წლებში ზოგიერთი სექტები აკეთებდნენ. თუმცა მუდმივად არსებობდა ქორწინების საკრალიზაციის სურვილი, რათა ქორწინების პრაქტიკაზე ეკლესიის კონტროლი გამყარებულიყო, ხოლო საეკლესიო სამართლი სპეციალისტებისთვის მიენდოთ.

ამ რეგიონში XI საუკუნის ბოლო ათწლეულში იურისტების დროს მოვიდა. პაპი ურბან II და მისი ერთგული აგენტი - ივ შარტრელი საფრანგეთის მეფეს ისევე სდებენ ბრალს, როგორც ჯიუტ ნიკოლაისტებს მათი მრევლიდან განკვეთის მიზნით (მიზეზი კი მათი ქორწინების კანონთან შეუთანხმებლობა იყო). საოჯახო სტრუქტურებისა და საეკლესიო დოქტრინის პარალელური ევოლუცია გვიჩვენებს, თუ რატომ მოექცნენ ამ სუვერენს უფრო მკაცრად, ვიდრე მის პაპას, რობერტს. ერთის მხრივ, რატომ განკვეთეს ეკლესიიდან ფილიპი I, და მეორეს მხრივ, რატომ გაჯიუტდა იგი.

1100 წელი

თავი VII

წმინდანთა ცხოვრებანი

დავუბრუნდეთ იმ ეპოქას, საიდანაც დავიწყე. როდესაც დიდგვაროვანთა საგვარეულოების მეთაურებსა და რეფორმატორ სასულიერო პირებს შორის დაპირისპირება გაიზარდა, ურთიერთობა დამძიმდა. ამ მწვავე ვითარებაში საფრანგეთის მეფის მიმართ გახმაურებული ბრალდება ამის ყველაზე თვალსაჩინო, მაგრამ არა ერთადერთი ნიმუში იყო. მე მხოლოდ ერთ მაგალითზე შევჩერდები, პუატიეს გრაფის გიომ IX აკვიტანიელის, მომღერალი უფლისწულის ამბავზე. მან თავისი სინიორის მხარე დაიჭირა, რომელმაც საკუთარი სამფლობელოდან იმ ეპისკოპოსების განდევნა ბრძანა, სუვერენის წინააღმდეგ ანათემის მუქარით რომ გამოდიოდნენ. გიომი მსგავს მდგომარეობაში იყო, ორჯერ გაეყარა პირველ მეუღლეს, რათა სხვა ცოლი შეერთო. პირველს ნათესაობის მიზეზით კანონიერად გაშორდა, მალევე შეირთო მეორე ქალი, რომელიც, თავის მხრივ, დაქორწინებული აღმოჩნდა. სასულიერო პირებმა ინცესტის ბრალდებით გიომი ეკლესიიდან განკვეთეს, როგორც ფილიპი I. დაძაბულობის ეს პერიოდი უფრო დაწვრილებით უნდა იქნეს განხილული. უკლებლივ ყველა საეკლესიო მწერალი ერთსა და იმავე შეხედულებას იზიარებდა. ეს საუკუნე საეკლესიო მწერლობას ანიჭებდა უპირატესობას. მიუხედავად იმისა, რომ სასულიერო მწერლები ვერ იტანდნენ თანამედროვე პერიოდს, ზურგს აქცევდნენ მას ან აქტიურად მოღვაწეობდნენ, რათა იგი უკეთესობისაკენ შემოეტრიალებინათ, მაინც სულ უფრო მეტად ინყებდნენ საუბარს ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

ის სასულიერო პირები, რომლებიც რეფორმას ახორციელებდნენ, ყველაზე დიდებულ ფეოდალებს უტევდნენ, მათ წინააღმდეგ გახმაურებულ პროცესებს მართავდნენ. ამ დიდებულებს სატანის თანამზრახველებს უწოდებდნენ, რადგან ისინი ხალხისთვის მისაბაძნი არ გამხდარიყვნენ. მეორე მხრივ, სასულიერონი სხვა გმირებს აიდეალებდნენ, რომლებიც კეთილ საქმეებს ჩადიოდნენ. კლერიკალები სამაგალითოდ

აქებდნენ მათ ზნეობას და ხალხს მათ საქციელს ხშირად ახსენებდნენ. ისინი საზოგადოებას მოუწოდებდნენ ზნესრული ადამიანებისათვის მიებაძათ. მათ კლერიკალები წმინდანებად მოიხსენიებდნენ. ეს გმირები, მათი მონათხრობის მიხედვით, უკვე ცათა სასუფეველში დამკვიდრებულ რჩეულთა შორის იყვნენ, რათა ყველა ცოდვილს ყოვლისშემძლე უფლის ნინაშე ხსნის იმედი გასჩენოდა. მლოცველებს ამ კეთილისმყოფელების საფლავებთან მათ ისტორიებს უყვებოდნენ. ჩვენი ისტორიის პირველი ვერსია წმინდანად შერაცხვის დასაკანონებლად იყო შექმნილი, რათა დიოცეზის ეპისკოპოსი და პროვინციის არქიეპისკოპოსი წმინდა ნაწილების საზეიმო ამაღლების ცერემონიალში ჩაებათ. ერთ მონასტერში ლათინურად დაწერილ ამ ისტორიას ისევე, როგორც მეფე რობერტის ცხოვრებას, მორწმუნეთა შორის ხშირად კითხულობდნენ, იმავდროულად იგი თავშესაქცევ ამბად იქცა წერაკითხვის უცოდინარი მრევლისთვის. ეს ისტორია შუქს ჰფენს სამღვდლოთა წამოწყებას, სახელდობრ, ზოგიერთი ასპექტის განვითარებას საეროთა უკეთ დაქორწინებისათვის. ამ ნაშრომში ხშირად მეორდება ერთი და იგივე ამბავი და ასევე ხშირია უზუსტობები, რაც ტრადიციისამებრ საკამოდ მშრალადაა გადმოცემული და ამდენად, ერთი შეხედვით, ნაწარმოები მხატვრულად ნაკლებად მიმზიდველია. ავიღოთ წმინდანთა ცხოვრებანი, იდეოლოგიური ბრძოლის საუკეთესო იარაღი, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორაა ცოცხალი რეალობა პროპაგანდისათვის გამოყენებული. მე გამოცემულ ტექსტებიდან ოთხი შევარჩიე. ისინი იმ რეგიონს შეეხება, რომელსაც შევისწავლი და რომელიც 1084-1138 წლების კრიზისის დროს შეიქმნა.

ერთი ტექსტი სრულიად გამორჩეულია. იგი შორეულ, ჟურაში მდებარე სენ-კლოდის სააბატოდან მოდის. ამ ტექსტში სამონასტრო საუბარი მკაცრი ასკეტური ფორმით არის გადმოცემული. ტექსტი სამყაროს სიძულვილს ქადაგებს, ხოლო ქორწინებას კანონიდან გადახრად მიიჩნევს. ეს ნაწარმოები წმინდა სიმონის ბიოგრაფიაა[1]. მისმა მამამ, რაულმა, რომელიც კარლოს დიდის შთამომავალი იყო, თავისი საგრაფოები გაამრავლა: ვექსენისა და კრეპის გრაფმა ასევე ბარ-სურ-ობის საგრაფო ჩაიგდო ხელში მისი მემკვიდრის, ბარ-სურ-ობის გრაფის ქვრივის ცოლად მოყვანის გზით. ქალთან ხელშეკრულება დადო და ქვრივი მისი საცოლე გახდა. ქორწილამდე ჟუანის ციხესიმაგრის რაინდებმა ქალი სხვა ფეოდალს წაართვეს. რაული მთელი ძალით ეკვეთა ჟუანის ციხეს, ქალი ხელში ჩაიგდო და ლა ფერტე-სურ-ობში გამოკეტა, რადგან დარწმუნებულიყო, რომ იგი ფელმძიმედ არ იყო. მისი იქ არყოფნის დროს იმ ქვეყნის ერთი მცირე ფეოდალი რაულის ტერიტორიას დაეპატრონა. საჭირო გახდა მამულის უკან დაბრუნება. საბოლოოდ ქალი კრეპის გრაფს დაუკავშირდა, რომელსაც ორი ქალიშვილი და ორი ვაჟი გაუჩინა. 1060 წელს რაული ცოლს გაშორდა (ან ზემოთაღნიშნულს ან

სხვას, რომელიც, შესაძლოა, შუალედში შეირთო). მეფე ანრი I ახალი გარდაცვლილი იყო. რაულმა ცოლად მეფის ქვრივი, ანა კიეველი შეირთო და ამგავრად სამეფო ტახტს მიუახლოვდა. ეს კი საშიში გახლდათ: ფილიპი I ჯერ ბავშვი იყო. რაულის გაყრილი მეუღლე პაპთან მივიდა საჩივლელად: „ქმარმა ის გამოიყენა, ხოლო შემდეგ იგი ცოდვის ჩადენის ცრუ ბრალდებით გააგდო". ამჯერად რაული ეკლესიიდან არა ცოლქმრული ღალატის, არამედ ინცესტის ბრალდებით განკვეთეს, „იგი კანონის დარღვევით დაუკავშირდა გარდაცვლილი მეფის (საკუთარი ბიძაშვილის) ცოლს." კლარიუს დე სანსისთვის ცნობილი ეს პერიპეტიები შიფლესა და მაბიონის ტექსტებშიც არის გამოყენებული და ნათლად უჩვენებს ქორწინების წესების თავისებურებებს ამ სოციალურ წრეში გრეგორიანული წინააღმდეგობის დასაწყის ეტაპზე.

რაული კვდებოდა, მისი უფროსი ვაჟი ომში დაიღუპა, მისი ქალიშვილები კი გათხოვდნენ. მთელი „პატივი" (მემკვიდრეობა) მის შვილს - სიმონს ერგო, რომელსაც იგი მამაცურად იცავდა მოწინააღმდეგეთაგან, განსაკუთრებით, ფილიპი I-გან. სიმონი მამის ცოდვით იტანჯებოდა. იგი გროგოლ VII-ის, კლუნის აბატის, ჰუგო დე დის ლეგატის მიერ გაკიცხული იყო. სიმონი მალულად მიეცა სამონასტრო პრაქტიკას. საბოლოოდ იგი სენ-კლოდის განდეგილებს შეუერთდა და 1080-1082 წლებში რომში გარდაიცვალა. საერო მხიარულება მას ავადმყოფურ ზიზღს გვრიდა და საგავრეულოს მეთაურის ვალდებულებებს (რომელიც მისი ძმის მოულოდნელმა სიკვდილმა დააკისრა) უარყოფდა. მას არ სურდა შვილების ყოლა. სიმონს დაქორწინება ჯიუტად არ უნდოდა. კაპეტინგთან ზავის დადების შემდეგ მას ცოლი შეურჩიეს, დიდებული და ლამაზი ქალი, მარშის გრაფის ქალიშვილი. სიმონმა თავი მოიკატუნა, თითქოს თანახმა იყო. იგი ოვერნში გაემგზავრა. შემდგომ ნიშნობის რიტუალის ჩატარებას დათანხმდა და დიდი პომპეზურობით საქორწილო ნადიმზე ჩავიდა. პატარძალმა საქმრო გულში ჩაიხუტა. მამაკაცმაც ნება მისცა, თუმცა მისი მხრიდან ცეცხლოვანი ლტოლვა არ ყოფილა. საძინებელში, რომლის წარმოდგენაც ყველას სიამოვნებას გვრიდა, ქმარმა მეუღლის დამოძღვრა დაიწყო და მთელი ღამე ასე გაატარა. როგორც ბიოგრაფი ამბობს, შესანიშნავი სწორედ ის იყო, რომ სიმონზე წმ. ალექსიმ იმოქმედა, რომელიც ცოლის სულის ხსნით იყო დაკავებული. სიმონმა მართლაც „მოაქცია" და დაარწმუნა ცოლი უარი „ეთქვა ფუფუნებაზე, ზნეობრივად ეცხოვრა და ქალწულობის აღთქმა დაედო". გათენებამდე ქმარმა მეუღლე შეზ-დიეს მონასტერამდე გააცილა და თავადაც სწრაფად გაშორდა იმ ადგილს სიმამრის დამსახურებული რისხვის თავიდან ასაცილებლად. დაბრუნდა რა ილ-დე-ფრანსში, სიმონი გიომ დამპყრობელმა ნორმანდიაში მიიწვია. „ცნობილია, შენი ხანგრძლივი ერთგულება და სიყვარული. მსურს, თქვა ჰერცოგმა, ჩემს მიერ შენთვის გაცემულ საკვებთან ერთად სხვა რამეც მოგიძღვნა („საკვებში" შემდეგი იგულისხმება: სიმონის მამამ ვაჟი გი-

ომს მიაბარა აღსაზრდელად), მე უარი ვთქვი ჩემი ქალიშვილი სახელგანთქმული მთხოვნელებისათვის მიმეცა, შენ კი ცოლად გაძლევ, შენ აგირჩიე, მე შენ შვილად გიღებ ჩემს მამულში." ეს ახალგაზრდა კაცი მხოლოდ 25 წლისა იყო, დიდი ძალაუფლების მქონე. სიმონს სხვა დიდებულებიც ეცილებოდნენ და მის სიძეობაზე ოცნებობდნენ. სიმონი „ეშმაკისეულად მიიჩნევდა ასეთ პატივს", თუმცა უმორჩილეს მადლობას იხდიდა.' იგი გიომ დამპყრობელს მიმართავს: „დიდებულები ჩემს მიმართ კეთილგანწყობილნი არიან, შენც ჩემი ბავშობა გაალამაზე... მაგრამ ჩვენ სერიოზულ წინააღმდეგობას ვანყდებით. დედოფალი, შენი მეუღლე, ჩემი სისხლით ნათესავია." ეს მართალი იყო - ძალიან შორეული, მეექვსე მუხლის ნათესაობით. გიომმა ქვეყნის უხუცესებს, ეპისკოპოსებს და აბატებს ამ საკითხის გამოძიება სთხოვა. წინააღმდეგობის მოხსნა შესაძლებელი იყო. გრიგორიანელთა მიერ დამოძღვრილი კრეპის გრაფი უპასუხებს, რომ ამ შემთხვევაში გამონაკლისის დაშვება მხოლოდ პაპს შეეძლო. სიმონი პაპთან ამ შეღავათის მოსაპოვებლად გაემართა, მაგრამ რომის გზაზე ბერად შედგა. ეს გმირული ზნეობრის და დაფარული სინმინდის აპოლოგია იყო. სიმონი ცრუობდა, ყველანი - მარშის გრაფი და მისი ქალიშვილი, არისტოკრატული არმიის უშიშარი მებრძოლები, ნორმანდიის ჰერცოგი გაცურებულნი აღმოჩნდნენ. ეს კი რეფორმის ასკეტური ექსტრავაგანტურობის გამოვლინება გახლდათ, რაც ძალზე შორს იდგა ზომიერი მღვდლობისგან, რომელიც არსებულ სოციალურ რეალობას ანგარიშს უწევდა. დანარჩენი ტექსტები - სამი „ცხოვრება" ფლამანდრიის დასავლეთ საზღვრებთან შეიქმნა, ბულონსა და ბრუგეს შორის. ამ თხზულებებში განათლებული სასულიერო პირები საერო პირთათვის ცოლქმრული ურთიერთობების ჩამომყალიბების ჯანსაღ და ზნეობრივ მხარეებს ასახავდნენ.

ამ თხზულებათაგან ერთ-ერთის გმირი „დიდებული", პამელ-ოდენარდის ფლამანდრიული სახლის შთამომავალი არნუ იყო. დედამისს ფეხმძიმობის დროს ანგელოზი გამოეცხადა და შვილისთვის კრისტოფის დარქმევა სთხოვა. ანგელოზს ქრისტეს გამოსახულება ეჭირა, ბავშვი სასულიერო პირი უნდა გამხდარიყო. მაგრამ მათი საგავრეულოს მეთაურმა ბავშვი თავისი სახელით მონათლა და „დიდებული რაინდების წესების" დაცვით, საზეიმოდ გადანყვიტა მისი არმიაში გამწესება. იგი ოჯახის სანაქებო შვილი უნდა ყოფილიყო, მტრები უნდა დაემარცხებინა, დიდება და სახელი მოეპოვებინა. მას „დიდებული ქორწინება ელოდა". თავად კი უარზე იყო. საბოლოოდ არნუ გაიქცა. იარაღით აღჭურვილმა, დედა მოატყუა, თითქოს საფრანგეთის მეფის კარზე მიდიოდა, არადა სუასონში სენ-მედარის მონასტერში შევიდა, საომარი აღჭურვილობა მოიხსნა და ღვთის სამსახურში ჩადგა.

სიმონის მსგავსად არნუ ქორწინებას უარყოფდა. მაგრამ სხვებს იგივეს არ ურჩევდა, პირიქით, თავისი ქადაგებებით საზოგადოებას სრულყ-

ოფილი ცხოვრებისკენ მოუწოდებდა. არნუს ისტორია საეკლესიო მორალს ნარმოაჩენდა. ქორწინება სახიფათო იყო. რჩეულნი მას გაურბოდნენ: ეს ასკეტიზმისთვის მებრძოლთა, ასევე ერეტიკოსთა ეთიკა იყო. მაგრამ ქორწინება მამაკაცთა უმეტესობისთვის მისაღები გახლდათ. უფალმა ქორწინება დალოცა, რადგანაც ის საზოგადოების გამრავლებას უზრუნველყოფდა და მასში არსებულ იერარქიას იცავდა. სწორედ ეს იყო კაროლინგური ეთიკა. არნუ ბერად შედგა, საომარი ტანსაცმელი შეინახა და კელიაში ჩაიკეტა. გამოკეტილი ბერი 42 თვე დუმილის აღთქმას ინარჩუნებდა, ხოლო შემდგომ დაუსრულებელი საუბარი დაინყო[2]. იგი ქადაგებდა, რჩევებს იძლეოდა, განსაკუთრებით ფლამანდრიელებისა და ბრაბანსონებისთვის. არნუს სახელი და დიდება იზრდებოდა. საგავრეულოს ღირსებისა და ოჯახური კეთილშობილების დამცველი, იგი არისტოკრატიას სირთულეების დროს მოძღვრად ევლინებოდა და ნათესაური საკითხების გადაჭრისას დიდ როლს ასრულებდა. არნუ დიდებულებს დახმარებას უწევდა, რომ ქორწინება კარგი ანუ ნაყოფიერი ყოფილიყო. მისი უშუალო შუამდგომლობით, დედოფალ ბერტას განგებამ ვაჟი აჩუქა. ახალშობილს სამეფო სახელი თავად არნუმ შეურჩია - ლუი. მის ავტორიტეტს სხვა ქალიც მიენდო[3]. ქალის მეუღლე, წმინდანის ძველი კომპანიონი, ამით გაღი ზიანდა. ზეცამ იგი დასაჯა. მათი შვილები ერთი მეორის მიყოლებით იხოცებოდნენ, მძიმედ დაავადებული ქმარი გარდაცვალების პირას იყო მისული. მისი ძმინულები სწორედ ამას ელოდნენ, რათა მემკვიდრეობის ხელში ჩაგდების მიზნით, მისი ქვრივი სასახლიდან გაეგდოთ. ქალს შვილი აღარ ჰყავდა და ამით დიდი საფრთხე დაემუქრა. უფალმა ქალი დაიცვა. მას ფანჯარაში სნეული რაინდი გამოეცხადა, რომელმაც ქალს კეთილი საქმის კენ მოუწოდა და ურჩია შემოსავლის მეათედი ეპისკოპოსისთვის გადაეცა. ქვრივს წმინდანი დიდ სიხარულს დაჰპირდა „რადგანაც ავადმყოფ ქმარს მან კარგად მოუარა": კეთილი ქორწინების მორალი იმ ქალებს აჯილდოებს, რომლებიც გულდასმით უვლიან საკუთარ ქმრებს. მართლაც, ქმარი მალე გამოჯანმრთელდა და სამი თვის შემდეგ ქალი დაფეღმძიმდა. გაჩნდა ვაჟი - მემკვიდრე. დედამ კი „დიდხანს იცოცხლა, რათა თავისი ვაჟის კანონიერ ქორწინებას და მის შვილებს მოსწრებოდა".

ამ ღირსებათა გამო არნუ დიდგაეროვანთა საგვარეულოების იმედად იქცა. აქ ორი მორალი ერთმანეთს შეუერთდა. ნაყოფიერება, გამრავლება ყველასათვის მისაღები იყო. მაგრამ აქ საუბარია შეთანხმების სხვა დონეზეც, როცა საქორწინო კავშირი ნათესაური სიბრძნით კონტროლდებოდა, უთანასწორო კავშირების თავიდან აცილებზე ზრუნავდა. გი დე შატიონ-სურ-მარნმა თავისი ქალიშვილი ერთ რაინდზე დანიშნა[4]. იგი მისი თანასწორი იყო როგორც ქონებრივად, ასევე ნარმოშობითაც. სამწუხაროდ, ქალიშვილს სხვა მოსწონდა, რომელიც მდაბიო იყო. ქალი თვითმკვლელობით იმუქრებოდა, თუ არ გააყოლებდნენ მას, ვინც თავად სურდა. მშობლები განდეგილს დაეკითხნენ რჩე-

ვას. არნუმ რომელიც საეპისკოპოსო სიტყვის ერთგული იყო, ორმხრივი თანხმობის მოთხოვნაზე დაიწყო საუბარი. ივ შარტრელის მიხედვით, იგი ამ პრინციპზე საუბარს მაშინ შეუდგა, როდესაც უდენბურგის აბატს წმინდა არნუს ცხოვრების წერა დაუწყია. „კანონიერი ხელისუფლება კრძალავს ქალის იმ ადამიანზე გათხოვებას, რომელიც მას არ სურს. გირჩევთ ქალწული იმას მიათხოვოთ, ვინც თავად უყვარს, რათა შემდეგ უნესობისკენ არ ვუბიძგოთ მას". მაგრამ ნახავთ, რომ „თქვენი ქალიშვილი აშკარად მოისურვებს იმას, ვინც დღეს არ უნდაო". იყოს ისე, როგორც მას სურს. ამით თქვენი ღირსება არ შეილახებაო. მშობლებმა რჩევას ყური უგდეს და ბედნიერებიც იყვნენ. არ წარმოიდგინოთ, რომ არნუ, როგორც ამას ტექსტი გვეუბნება, „გოგონათა ქარაფშუტობას" ეთანხმებოდა. მართლაც, ქალი შეყვარებულს ცოლად გააყოლეს. შემდეგ ახალგაზრდა მეუღლემ ქმარს პირველ თაყვანისმცემელთან უღალატა. მან დაარღვია ეს ქორწინება, რათა კვლავ გათხოვილიყო. არნუმ სასწაული ინინასნარმეტყველა. ეს ახალგაზრდა შეყვარებული ერთ-ერთი იმ თაყვანისმცემელთაგანი იყო, რომლიც მშობლებს შენიშნული ჰყავდათ თავიანთი დიდებული ქალიშვილების სიახლოვეს. ეს ცნობილი რაინდი საკუთარი დიდების გასაძლიერებლად იბრძოდა. თუმცა მალევე დაკარგა ეს ძლიერება. ხელახლა გათხოვილი, დაუმორჩილებელი ქალიშვილი მოულოდნელად დაქვრივდა. ზეცამ იგი დასაჯა, რადგან „ქალი მიბრუნებოდა იმ საქმროს, რომელიც ოჯახმა შეურჩია და რომელთან ქორწინებითაც იგი ყოფილი ქმრის დატირებასაც შეძლებდა." ამრიგად, სიყვარული კარგ ქორწინებას ეფუძნება. უფალი მისი კეთილი მსახურის ლოცვებითა და მშობლების კეთილშობილებით მომხედავი საგავრეულო სტრატეგიასა და ეპისკოპოსთა წესებს ერთმანეთს უთანხმებს.

უფრო მნიშვნელოვანი ცნობები ბოლო ორ ნაწარმოებშია შემონახული. მოთხრობილია ორი ქალის ისტორია, პირველი ცუდად იყო გათხოვილი, ხოლო მეორე - მეტისმეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა. ავტორები მოგვითხრობენ, თუ როგორ წარმოუდგენიათ ამ ქალებს ქორწინება. მაგრამ იმავდროულად ისინი აგვიწერენ დიდებულთა სახლებში არსებულ ვითარებას: თუ რაზე საუბრობენ, რაზე დუმან, როგორ წარმოადგენენ რეალურ ფაქტებს, ალამაზებენ თუ ამუქებენ, ცდილობენ გაიგონ ეკლესიის მესვეურთა აზრები, რომლებიც უჩუმრად, ხმაურის გარეშე ცდილობენ საქორწილო პრაქტიკის გაუმჯობესებას.

პირველი ამ ამბავთაგანი - ყოველ შემთხვევაში მისი პრიმიტიული ვერსია - შექმნილია 1084 წელს, როდესაც ნუაიონ-ტურნაის ეპისკოპოსი ფლანდრიის გრაფთან ერთად, ჩრდილოეთის ზღვის ჭაობიანი ნაპირების გამაგრებით იყო დაკავებული[5]. პრელატმა უდანბურგთან ახლოს არნუს ბენედიქტიანელთა ძმობის ჩამოეყალიბება დაავალა. აქვე, გისტელის სამრევლოში, ერთ საფლავთან თაყვანისცემის ობიექტი სპონტანურად განვითარდა. სნეულები გაჯანსაღების იმედით გუბის წყლის დასალე-

ვად მოდიოდნენ. საფლავის გარშემო ტალახი თეთრ ქვებად გარდაისახებოდა ხოლმე, რომლებიც მლოცველებს თან იმ იმედით მიჰქონდათ, რომ ოდესღაც ძვირფას ქვებად გადაიქცეოდნენ. ასევე აქ ერთ დამარხულ ქალს ეთაყვანებოდნენ. საუბარია მარტვილ ქალზე. ამბობდნენ, რომ მისი ქმრის ახლობლებმა იგი მოკლეს. ეს ხალხური რელიგიური ფანატიზმი ეკლესიის მხრიდან გაკონტროლებული უნდა ყოფილიყო. ამიტომ გადაწყდა საფლავიდან ქალის წმინდა ნანილების საზეიმო ამაღლება და მისი წმინდანად შერაცხვა. ამ ცერემონიალების მოსამზადებლად გამოყვეს ერთი ბერი მეზობელი საანბატოდან, სახელად დროგონი, ჰაგიოგრაფი, რომელსაც მომავალ წმინდანზე ლეგენდების შეკრება დაეკალა, რასაც შემდგომში ამ ამბისგან სამაგალითო ისტორიის შესაქმნელად გამოიყენებდნენ. რამდენიმე წლის შემდეგ ეს ტექსტი ბევრად დახვეწილი რომ ყოფილიყო, იგი სხვა ბერს შეასწორებინეს[4].

ამ ქალს, რომლის გარშემოც მოწყალე ხელისუფლება გისტელში შემოიკრიბა, გოდლივი ერქვა. ეს გერმანული სახელია. მეორე ბიოგრაფი საჭიროდ მიიჩნევს ამ სახელის თარგმნას - სწორედ აქედან იწყება მისი გაღმერთება რომანულენოვან ქვეყანაში: „უფალის რჩეული" - წმინდანს ეს სახელი უხდება. თუმცა პერსონაჟი მითიური არ გახლავთ. იმ პერიოდის ქრონიკები ცნობებს ინახავენ მისი მამის, ერთი რაინდის, უსტაშ დე ბულონის გრაფის ვასალის შესახებ. ამდენად, გოდლივი „ცნობილი მშობლების" შვილია, მაგრამ არისტოკრატიის შედარებით დაბალი ფენიდან. ისევე, როგორც მისი ქმარი - ბერტოლფი, „ძლიერი", „გამორჩეული გარეგნობის გვარიდან".. იგი ბრუგეს გრაფის მსახური გახლდათ. ცოლ-ქმარი ერთი სოციალური წრის წარმომადგენლები იყვნენ. მაგრამ მაინც ეს უბედური ქორწინება იყო. „ცხოვრება" მოგვითხრობს ამ ქორწინების ნაკლზე, რადგან უფრო კარგად დაგვანახოს სიკეთის ფასი. კარგი ქორწინება, პირველ რიგში, ორივე მხარის ნათესაობის სურვილი უნდა იყოს და ასევე აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული მეუღლეთა მორალური თვისებები. სასიძო გოდლივის მამამ და დედამ აირჩიეს იმ მრავალ შეყვარებულ თაყვანისმცემელს შორის, რომლებიც მათ ქალიშვილს თავს დასტრიალებდა. საქმრო მორიდებული და ლამაზი, შავგვრამანი ახალგაზრდა იყო. დროგონი იქვე აზუსტებს, რომ ის ზედმეტად ფერმკრთალი გახლდათ (რაც „ასეთი მიმზიდველი იყო ქალებში"), თუმცა „ბერტოლფი აირჩიეს წარმომავლობის გამოც": ქალიშვილის თაყვანისმცემელთა შორის იგი ყველაზე მდიდარი იყო. ქორწინება ფულის გამო ცუდი ქორწინებაა. სხვა ნაკლოვანებაც არსებობდა. ბერტოლფი შემცდენელს არ ჰგავდა. იგი ქორწინებაზე ქალიშვილს კი არა, მის მშობლებს ესაუბრებოდა. მას მხოლოდ „საკუთარი სურვილი" ამოძრავებდა - როგორც ოჯახის ნაბოლარას სხვა ოჯახში დამკვიდრების სურვილი. თუმცა დედ-მამა მასაც ჰყავდა, მათი თანხმობაც საჭირო იყო. მოგვიანებით მან მშობლების

საყვედურიც იწვნია. საგავრეულოს ნესების პირველი მცნების მიხედვით, კარგი ქორწინება ინდივიდის კი არა, მთელი ოჯახის საქმეა.

მეორე მცნება: ცოლი ქმრის გვერდზე უნდა იყოს, მას ქმარმა ყურადღება უნდა მიაქციოს. საქმე ისაა, რომ ბერტოლფმა ცოლი ბოლმით შეპყრობილმა მოიყვანა - მალევე მეუღლე თავისი მშობლების სახლში გაუშვა, ბულონეში, საზღვაო ფლანდრიაში, გისტელში, სადაც თავად დედასთან ერთად ცხოვრობდა. დედამისიც ქმართან გაყრილი იყო. ამ პატარა „სახლში" ცოლქმრული სარეცელი თავისუფალი იყო. მგზავრობამ დიდხანს გასტანა. გზაში ძილის დროც მოვიდა - მაგრამ ეშმაკმა ბერტოლდს ტვინი გადაუბრუნა. დედასთან მისვლისას ანტიპათია სიმპათიით შეეცვალა, ქმარი მოიხიბლა მეუღლის გარეგნობით, მისი შავი თმით. ქმრის ნათესაობა ცუდად შეხვდა რძალს. დროგონის თქმით, „ყველა დედამთილს სძულს თავისი რძალი. ისინი ვერ იტანენ, როდესაც მათი ვაჟები ქორწინდებიან და მაშინვე ეჭვიანობენ მასზე და მის მეუღლეზე" (ამიტომაც დამაინტერესა ამ ბიოგრაფიამ, რომელშიც კონკრეტული ურთიერთობებია, ყოველდღიური ცხოვრებაა ასახული: ეს ბიოგრაფია უფრო მეტ ცნობებს გვანვდის, ვიდრე ქრონიკა). ბერტოლფი ცოლს გაშორდა. მალე მან უარი განაცხადა საქორწილო ცერემონიალში მონაწილეობაზე, ჩვეულების მიხედვით, მისიეე სახლში რომ უნდა გამართულიყო. ქორწილში სამი დღის განმავლობაში მას დედამისი ცვლიდა. ეს სკანდალი იყო. მორალური და სექსუალური კანონი დაირღვა. შემდეგ გოდლივი მარტო დარჩა მეუღლის სახლში. მიტოვებული ქალი მთელი დღეები ხელსაქმით, ხოლო ღამე - ლოცვით იყო დაკავებული. „შრომისა და ლოცვის დახმარებით იგი ოცნებების შემოტევას გაურბოდა, რომლითაც მისი ახალგაზრდობა ასე გამოირჩეოდა". გოდლივის მეორე ბიოგრაფის საზრუნავი იყო, რომ მისი წინამორბედი ავტორის შესაბამისად დაეწყო თავისი ვერსია და ეს ქალი, რომელიც მისი პატრონისგან იყო მიტოვებული, ამის გამო უსირცხვილოდ და მოღალატედ არ დაესახა. რადგანაც იმ დროს საზოგადოება მიიჩნევდა, რომ მას მერე რაც ქმარი ცოლს ყურადღებას მოაკლებდა - ქალი, და მით უფრო ახალგაზრდა ქალი, ცოდვას მიეცემოდა ხოლმე. ცოლის მეთვალყურეობა ქმრებს ევალებოდათ. ქმარი ცოლის გვერდით უნდა ყოფილიყო როგორც ბედნიერების, ასევე უბედურების დროსაც, „კანონით" მის გვერდით უნდა მდგარიყო, „მოთმინებით" უნდა ეცხოვრა ცოლთან სიკვდილამდე, ისინი ერთხორცნი იყვნენ, „ცოლქმრული შეერთებით ერთხორცნი ხდებოდნენ." გოდლივის წმინდანად შერაცხვის მომხრეები, ჩემი აზრით, არ ფიქრობდნენ ამ მარტვილისთვის ქალწულობის დაბრალებას (ამიტომაც მოგვიანებით მაშინ, როდესაც ბოლანდისტებმა მეორე „ცხოვრება" გამოსცეს, გოდლივი თაყვანისცემის ობიექტი ძირითადად გისტელში იყო). XI საუკუნეში მას მეუღლედ, სრულფასოვან ქალად აღიქვამდნენ, და ორივე ტექსტში, რომელსაც მე განვიხილავ, იგი ცოლქმრული სათნოების მაგალითია.

აი, მესამე მცნებაც - სრულქმნილი, ცოლქმრული შეერთებით დასრულებული ქორწინება ურყევია. ბერტოლფმა გოდლივი მიატოვა, ცოლისგან გათავისუფლება სურდა. ცოლთან გაყრის ძალიან მარტივი იდეა, ბიოგრაფების მიხედვით, არც მას და არც მამამისს თავში არ მოსვლიათ. უბრალოდ ოჯახში შეთქმულება მოაწყვეს რძლის წინააღმდეგ, მას ცუდად ექცეოდნენ, პურზე და წყალზე დასვეს. ამგვარი „შეურაცხყოფებით" გატანჯული ქალი გაიქცა. ეს შეცდომა იყო. სწორედ ქალის ამ არსანორ ნაბიჯს ელოდნენ. დროგონი ამას ვერც ხვდებოდა. უდანბურგის ბერი, ასნორებდა რა პირველ ბიოგრაფს, აღიარებდა, რომ ამით გოდლივმა „სახარებისეული კანონი" დაარღვია, დაარღვია ის, რაც უფალმა გააერთიანა. ცოლმა ქმრის ოჯახი არ უნდა მიატოვოს. ქალი გაიქცა, ფეხშიშველი, მშიერი, ერთი მოახლის თანხლებით: მხოლოდ აღვირახსნილი ქალები მიდიოდნენ გზებზე ამალის გარეშე. ქალი მამამისისგან მისი უფლებების დაცვას მოითხოვდა - პასუხისგებას თავისი უმოქმედო ქმრის მხრიდან. ამ უკანასკნელმა, ენთუზიაზმის გარეშე, საჩივრით ფლანდრიის გრაფს მიმართა, ულირსი ქმრის სენიორს. ორივე „ცხოვრება" ამაზე საუბრობს - და ეს ჩანაწერები, ჩემი აზრით, ყველაზე ძველია, რომელიც ამ რეგიონში შექმნილა. ქორწინების დარგში ეკლესია განსაკუთრებული კომპეტენციით სარგებლობს. დროგონი მარჯვედ ალაპარაკებს სენიორს, რომელსაც ამგვარი საქმეების განხილვა არ ხელენიფებოდა: ეს საქმეები „ქრისტიანული იყო". ეპისკოპოსის საქმე იყო სნორ გზაზე დაეყენებინა „ის, ვისაც წმინდანობა სურდა". „მე მხოლოდ დამხმარე ვარ - ამბობდა სენიორი", საერო ფრთის წარმომადგენელი. თუ საჭირო იქნება, ეპისკოპოსმა გრაფი უნდა დატუქსოს, შეაჩეროს. ეს ამ უკანასკნელის მხრიდან, ერთის მხრივ, რჩევა, ხოლო მეორეს მხრივ, ძალის გამოვლენა იქნებოდა. ძალაუფლების ამგვარი დიფერენციაცია გრიგორიანულია, იგი უპირატესობას სასულიეროებს ანიჭებს. ნუაიონ-ტურნაის ეპისკოპოსმა მეუღლეების შერიგებაზე იზრუნა. ცოლქმრული ღალატის არავითარი ვარაუდი, ქმრის უძლურების არავითარი საბაბი, ქორწინების ამონურვის არავითარი ეჭვი არ ყოფილა. გოდლივს ნაკლები შანსი ჰქონდა, ვიდრე მელანის გრაფის ცოლს: საკანონმდებლო სამართალი დათქმულ დროში გოდლივის ბერტოლფის სახლში დაბრუნებას მოითხოვდა.

ბერტოლფმა კი ფიცი დადო, რომ ქალს ცუდად აღარ მოექცეოდა. მაგრამ ქმარმა იგი მარტო დატოვა. ეს კი შოკის მომგვრელი იყო. გოდლივს „ხორციელ ლტოლვაზე" უარი უნდა ეთქვა და მანაც შეიძულა ეს სიამოვნება. თხრობის ეს ნაწილი საქორწინო ლიტურგიკის გამოძახილი იყო, მოძულებული სამყაროს იდეოლოგია. წმინდანი მოწამის გზას დაადგა. ბერტოლფმა მისი გაქრობა, ღამით მოკვლა გადაწყვიტა. ერთ საღამოს იგი ცოლს ღიმილიანი მოევლინა, სარეცელზე ჩამოუჯდა, თითქოს შეყვარებული იყო, რითაც მეუღლე გააკვირვა. ქმარი ცოლს

მოეხვია, ეამბორა. ქმრის მკლავებში მოქცეულმა მორჩილმა ქალმა ნება დართო მეუღლეს ცოლქმრული მოვალეობა შეესრულებინა, რამდენადაც ქმრის მოთხოვნის შემთხვევაში, მას უარის თქმის უფლება არ ჰქონდა. ქმარმა მას უთხრა: „შენ მიჩვეული არ ხარ არც ჩემთან ყოფნას, არც ნაზი შეთავაზებების გაზიარებას, არც ხორციელი სიამოვნების მიღებას (არადა კარგი ქორწინება ამას მოითხოვს)... მე წერტილს ვუსვამ ჩვენს გაყრას, სიძულვილს განვაგდებ და ამიერიდან კეთილად მოგეპყრობი, ჩვენი სულები და სხეულები შეერთდება... მე ვიპოვე ქალი, რომელთანაც ძლიერი სიყვარულით შეეერთდები, ჩვენ უნდა ერთმანეთი უსასრულოდ გვიყვარდეს და მთელს დედამიწაზე ამ მხრივ სამაგალითონი ვიყოთ." სულიერი და ასევე ხორციელი სიყვარულის ხოტბის შესხმა აუცილებელია, როგორც სასიყვარულო სასმელის ბოლომდე შესმა. დიდება, აგრეთვე, ქალურ მორჩილებას! გოდლივი მერყეობდა, თუმცა შემდეგ დათანხმდა: „მე უფლის მსახური ვარ. მე მას ვენდობი. თუ ამის გაკეთება დანაშაულის ჩადენის გარეშე შეიძლება", და ქალი გაყვა მსახურებს, რომლებსაც იგი ჯადოქართან, რეალურად კი სასიკეთილოდ მიჰყავდათ. გზაში გოდლივი დაახრჩვეს. ამ ადგილას ჰაგიოგრაფი სათნოებაზე მოგვითხრობს. მაგიით შეშინებულმა ქალმა უფალს მიმართა. თუმცა ქალი მზად იყო ჯადოქრობისთვის, მან გადაწყვეტილება - ამბობს ჰაგიოგრაფი - ქორწინების სასარგებლოდ მიიღო, „რათა არ დაშორებოდა უფალს, რომელმაც წყვილები შეაუღლა." აი დიდი, სასწაულებრივი გაკვეთილი ამ ღვთაებრივი თხზულებისა. ცოლქმრული კავშირი თავად უფალმა დაარღვია. ისტორიის საქმეა როგორც ხორციელის, ასევე სულიერის საკრალიზაცია. სიყვარული, რომელიც სულაც არ არღვევს აუცილებელ იერარქიას, მორჩილ ცოლს მეუღლეს უქვემდებარებს. 1084 წელს ნუაონის ეპისკოპოსი, ძალზე მამაცი, გამჭრიახი, რომელიც კარგად ერკვეოდა საგანთა არსში, თვლიდა, რომ აუცილებელი იყო ამ სწავლების ხალხამდე მიტანა. ის ისურვებდა, რომ უიღბლო ქორწინების ეს ისტორია მაგალითად აეღო, რათა ქორწინებაში სრულყოფილების, სხეულისა და სულის, სასიყვარულო ცოლქმრობის გარდა კიდევ სხვა რამეც ეგულისხმათ.

ცოლქმრული სათნოების მეორე გმირი სრულიად განსხვავებულია. ეს არის ბულონის გრაფინია, დიდებული იდა. საეკლესიო ხელისუფლება მის წმინდანად შერაცხვას ლამობდა, ამჯერად არა ღვთისმოსავი ხალხის მოთხოვნით, არამედ მისი მემკვიდრის, შვილიშვილი გოგონას, ეტიენ დე ბლუას საცოლის სურვილით. როდესაც ეტიენ დე ბლუამ დაინახა, რომ მისი შანსები ინგლისის მეფის ტახტის მოსაპოვებლად გაიზარდა, მისმა ცოლმა 1130 წელს მისი მეორე ბებიის წმინდანად შერაცხვის კამპანია წამოიწყო. ერთ-ერთი ბებია მარგარიტა შოტლანდიელი უკვე წმინდანად იყო შერაცხული. ვასკონვილიეს ბერები, რომლებიც იდას საფლავს უვლიდნენ, გადაწყვეტენ მისი ცხოვრების აღწერას[7]. იდას

ცხოვრებაში განსაკუთრებული არაფერი იყო, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ გრაფინია გოდფრუა დე ბუიონის დედა იყო. ჰაგიოგრაფს მისი დედობა პანეგერიკის შუაგულში გამოაქვს. ავტორის უხერხულობა პროლოგშივე იჩენს თავს, იგი ჯიუტად ცდილობს საკუთარი ხაზის გატარებას. მისი თქმით, წმინდანები დემონური აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში გვეხმარებიან, რომლებიც განგებამ სოცილაური იერარქიის ყველა დონეზე მოათავსა. ქვედა, ქალის დონეზეც კი. წმინდანთა შორის ქალებიც გვხდება, გათხოვილი ქალებიც. ასევე დედა-ქალებიც. ჩვენ მათ მოხსენიებულებს ვხედებით „ცხოვრებებში" მათი და მათი შვილების დამსახურებების გამო." კარგი ქორწინება ქებას იმსახურებს. იგი გარყვნილების წამალია. „კანონის მიხედვით", ნაყოფიერებას, ქორწინებას ღმერთი ლოცავს. ცხოვრება ზნეობის დაცვითაა საჭირო. „რა თქმა უნდა, ქალწულობა კარგია, მაგრამ დამტკიცებულია, რომ ბავშვის შობის შემდეგ სულიერება კიდევ უფრო იზრდება." საკუთარი პრინციპების წარმოდგენის დროს ერთი ბენედიქტელი ბერი ერთ-ერთი გათხოვილი ქალის სიწმინდის ჩვენებას შეეცადა. ეს მან მორიდებით, კლუნიურად გააკეთა, სოციალური დაპირისპირების კუთხით, როგორც ნუაიონის ეპისკოპოსმა, ოღონდ ცოტა განსხვავებულად, სახარებისა და ნეტარი ავგუსტინეს სწავლებების საერო ღირსებების წარმოჩენით, რაც იმ პერიოდის არისტოკრატიულ წრეებში დიდად ფასობდა.

წარმოშობა, დაბადება, წარმომავლობა, ეს სიტყვები სამაგალითო ცოლქმრულ ცხოვრებას აგვინერს. განვიხილოთ მათი ხორციელი არსი. აქ საუბარია სისხლზე, კეთილშობილ სისხლზე. იდა „უფლის წყალობით" დიდგვაროვანი წარმომავლობისა იყო. 1057 წელს 16 თუ 17 წლის იდა - მამამისის ლოტიეს უძლიერესი ჰერცოგის მიერ - ოფიციალურად დაინიშნა. მამამისმა რჩევა მიიღო და ღირსეული ადამიანების ავტორიტეტს ენდო. მან თანხმობა მისცა გრაფ უსტაშ II ბულონიელს, „გმირს", „დიდებულს", „კარლოს დიდის გავრიდან". ისინი „კათოლიკური ეკლესიის წესების დაცვით" დაქორწინდნენ, იდა ბედნიერი იყო ცოლქმრული ცხოვრებით, როგორც ყველა კეთილი ქრისტიანი. უპირველეს ყოვლისა მორჩილებით, იდას ღვთისმოსაობა „ქმართან შეთანხმებითა და მისი სურვილით" ვითარდებოდა: ცოლი ქმრის საზიანოდ ხომ არ იქნებოდა ღვთისმოშიში? იდა მორჩილი, ოჯახის მართვაში ზომიერი და კეთილშობილი გახლდათ. „სამოციქულო მცნების მიხედვით", „ისე უნდა მოეპყრო კაცს, თითქოს არც გყოლია", იმ სიამოვნებაზე უნდა თქვა უარი, რომელსაც გამრავლება მოჰყვება. მათ სამი ვაჟი ჰყავდათ, თუმცა არაფერია ნათქვამი ქალიშვილების შესახებ. მათ მეორე ვაჟი იყო გოდფრუა დე ბუიონი, ნაბოლარა კი - ბოდუენი, იერუსალიმის მეფე. ის დიდება, რაც იდასგან განივრცო, მისთვის მოულოდნელი არ ყოფილა. სიყმაწვილეში მან სიზმარი ნახა: მზე ციდან ჩამოვიდა და ერთი წუთით მის მკერდზე შეჩერდა. ბიოგრაფი მოგვითხრობს ამ სიზმრის ეროტიკულ ნიშნებზე. იდას

ეძინა, წერს იგი, მაგრამ მისი გონება „ზეციური საგნებისაკენ მიილტვოდა“. მაგრამ ეს სიზმარი ავხორცობისკენ მოწოდებას არ ჰგავდა. პირიქით, სიზმარმა მას წმინდა დედობა აუწყა. შვილები იდამ საკუთარი მკერდით გამოკვება. თხზულება გვაფიქრებინებს, რომ არისტოკრატული ჩვევები განსხვავებული იყო: იდას ეშინოდა, რომ სხვისი რძით გაზრდილი შვილები „ცუდ ქცევებს“ შეითვისებდნენ. ამ კეთილშობილი სხეულიდან, რომელიც კანონიერი ქორწინებით იყო გამყარებული, ამ აღმზრდელობითი ტექსტის მიხედვით, სიკეთე მომდინარეობდა.

იდას ქმარი 1070 წლისთვის გარდაიცვალა, იდა დაქვრივდა, ის „საკუთარი შვილების დიდებით ტკბებოდა“, „ღვთის სიყვარულით მდიდარი“ „თავის უკვდავ მეუღლეს ზნეობრივი ცხოვრებით უკავშირდებოდა“. ოდესღაც იგი მამის ხელიდან ქმრის ხელში გადავიდა. ამიერიდან იდა (ქალები მეთაურის გარეშე არ უნდა ყოფილიყვნენ) უსტაშ III-ის, მამის მემკვიდრის, მისი უფროსი ვაჟის მორჩილი გახდა. ქალი ფულის, ქონების დარიგებით იყო დაკავებული. მან ფულზე გაუცვალა თავისი წილი ქონება ნათესავებს. ამ ფულის წყარო მისი ნარმოშობა, მამამისის მემკვიდრეობა იყო. გრაფ უსტაშის რჩევით, იდას ეს ქონება სულიერი შვილების გამრავლებას ემსახურებოდა. იდამ ააყვავა ბულონის რეგიონი, გადააკეთა, განაახლა, სამი მონასტერი დაუფუძნა. იდა სხვა ოჯახშიც შევიდა. კლუნის აბატმა იგი „ქალიშვილად“ მიიღო. იდამ შვილის სახლი დატოვა, თუმცა მონაზონი არ გამხდარა. იგი კვლავ მამაკაცის, ამჯერად კაპელ-სენტ-მარის აბატის მეთვალყურეობის ქვეშ თანამოაზრეებით გარშემორტყმული ცხოვრობდა. იდა ფსალმუნებდა, თუმცა „ზომიერად“. იგი ეხმარებოდა და კვებავდა ბერებსა და ღატაკებს. მამაკაცებს „ემსახურებოდა“ და რა კარგია, როდესაც ქალი ამას არ შენყვეტს. იგი სასნაულმოქმედი გახდა. ერთ მშვენიერ დილას პატარა მუნჯი გოგონა მისი მოსასხამის ქვეშ შემძვრალიყო. ეს ახალი ფეღმძიმობის მსგავსი რამ იყო. უეცრად ბავშვმა საუბარი დაიწყო: პირველი სიტყვა, რაც მან წარმოთქვა, დედა იყო. როცა ეს გოგონა გაიზარდა მან ორჯერ შესცოდა, ბავშვი გააჩინა ქორწინების გარეშე და შემდგომ დასნეულდა. წმინდა იდამ იგი ორჯერ განკურნა, დედობრივი სიყვარულით განწმინდა. ეს შეკვეთილი პანეგირიკი იმ მამაკაცთა გასაგონად იყო შექმნილი, რომლებიც არისტოკრატიულ სახლებს განაგებდნენ. მათ ზნეობაზე, „კათოლიკური ეკლესიის ტრადიციებზე“ მოუთხრობდნენ. ძირითადად ეს თხზულება მეუღლეთა აუცილებელ მორჩილებასა და ქალური სხეულის გენეტიკურ ფუნქციაზე საუბრობს. ავტორი სიყვარულზე ყურადღებას არ ამახვილებს. მშობიარობის საზეიმო აღნიშვნით ნაწარმოები დედურ სინმინდეს განადიდებს. კლუნიელმა ბერებმა მშვენივრად იცოდნენ ის მთავარი ღირებულებები, რომლებიც ქალებს დიდებულთა სასახლეებში მოეთხოვებოდათ და რის შეხსენებასაც საგავრეულოს მესვეურები მათგან ელოდნენ.

თავი VIII

გიბერ ნოჟანელი

ამჟამად წმინდანების ცხოვრებათა ამსახველ, მათივე თანამედროვე, ორ ტექსტზე შევჩერდები, რომლებიც განსაკუთრებით საინტერესოა. ისინი შეეხება ერთი და იმავე რეგიონიდან - ბოვეზიდან გამოსულ ორ მამაკაცს. ერთი ტექსტი უფრო ვიწრო ხასიათის, სამონასტროა და იგი ლაონის მიდამოებში არსებულ ერთ პატარა სააბატოში შეიქმნა. მისი ავტორი, გიბერი, ბენედიქტელი ბერი, ამქვეყნიურ ცხოვრებას განუდგა, ხოლო ქორწინებას ფანტასტიკური სახე მისცა, რომელიც მას მშფოთვარე განდეგილობის ჟამს თან სდევდა. მეორე ტექსტი, პირიქით, ძალიან ღიაა როგორც ქალაქისთვის (სოციალურია), ასევე სკოლისთვის (ინტელექტუალური სამყაროსთვის). ის მაგონებს შარტრის არქიეპისკოპოსის, ივის თხზულებას, რომელიც მთლიანად კონკრეტულ პრობლემებს ეხება, მღვდლობას, კარგი ქორწინების თეორიას, მეცნიერული და მკაცრი ეკლესიის თავლთახედვას.

1115 წელს ფილიპი I-ის შემორიგებიდან 11 წლის შემდეგ გიბერი, ნოჟან-სუ-კუსის აბატი, სამოცი წლის ასაკში „მემუარების"[1] წერას იწყებს. ეს არაჩვეულებრივი ნაწარმოებია. იგი ნეტარი ავგუსტინეს სტილში დაწერილი ავტობიოგრაფია და იმავდროულად ქრონიკაა. ისტორიული მოვლენებიდან გამოყოფილია 1112 წლის სკანდალური სახალხო ბრძოლა ლაონში. ალბათ, ამ დაძაბულმა მდგომარეობამ შთააგონა ბერს თხზულების შექმნა. მშოფთვარე ქალაქმა, ფულის გადამცვლელებმა, ყაჩაღმა რაინდებმა, გარყვნილმა ხალხმა გამოაფხიზლა და იმავდროულად მათგან თავის მორიდება გადაანყვეტინა. გიბერი მთელ ამ უზნეობას წარმოაჩენს. რა არის მისი მიზანი? მკითხველს სურვილი გაუჩინოს, რომ ბოროტებით აღსავსე დედამიწას განერიდოს და შეპირებული სამოთხე მოიპოვოს, რომელიც ორი სიმბოლური პროტოტიპით - მონასტრებითა და წმინდა მინით, არის წარმოჩენილი. შვიდი წლით ადრე გიბერმა სხვა წიგნიც დაწერა - „უფლის ქმედებაზე ფრანკთა საშუალებით", რომელიც აღმოსავლეთისაკენ მიმავალ დიდ მიგრაციას ასახავდა, რამაც საომარი ქმედებანი მოთოკა და ჯარისკაცები ცოდვებისგან დაიცვა. რაინდები იერუსალიმის გზას დაადგნენ და ამით უზნეობას განუდგნენ, როგორც ამას მონასტერში გამოკეტილი ბერები ახერხებდ-

ნენ ხოლმე. როდესაც გიბერმა წერა დაიწყო, მან სხვადასხვა ისტორიები, „მაგალითები“ მოისმინა, რომლებიც ბერებს ისეთ სრულქმნილ პიროვნებებად წარმოგვიდგენდნენ, რომლებიც საკუთარი თავის უარყოფით იმედოვნებდნენ, რომ მათი სწავლება საბატოს კედლებს გადალახავდა. ავტორის დიდაქტიკა ერთ პოსტულატს ეფუძნება: ამქვეყნიური ცხოვრება სიბილწეა. აქვე უნდა აღინიშნოს ავტორის პესიმისტური განწყობა, ფაქტია, რომ იგი მოვლენებს თავისებურად აღიქვამს[2].

ამგვარი ნაკლის მიუხედავად, ნაწარმოები XI საუკუნის მეორე ნახევარში რაინდობის მატრიმონიალური ქცევების საუკეთესო სურათს გვიხატავს. მართლაც, გიბერი ბევრს საუბრობს თავისი ბავშვობის, მშობლების შესახებ[3]. გოდლივის მამის მსგავსად, მისი მამაც მეორე რანგის არისტოკრატიას მიეკუთვნებოდა. იგი გახლდათ კლერმონ-ანბოვეზის ციხესიმაგრის ერთ-ერთი მეომარი. გიბერის მამა 1040 წელს დაქორწინდა მაშინ, როდესაც რეფორმისტული მოძრაობა იწყებოდა. მისი ცოლი ძალიან გავლენიანი პიროვნების შვილი გახლდათ. ეს უკანასკნელი სენ-ჟერმენ-დე-ფლის მონასტრის მფარველი (სნორედ ამ მონასტრის წინამძღვარი იყო ერთ პერიოდში ანსელმ კენტერბერიელი), ძლიერი პიროვნება იყო: სოციალურ იერარქიაში იგი თავის სიძეზე ერთი საფეხურით მაღლა იდგა. ეს საკმაოდ გავრცელებული შემთხვევა იყო. ევსტათი ბოლონელმაც უკეთესი წარმოშობის ქალი შეირთო, ასევე ბერტოლფმაც. თუმცა ქალიშვილი თავისი სახლის მემკვიდე არ ყოფილა და ისიც ქმართან გადავიდა საცხოვრებლად. გიბერი მშობლების საქორწინო ნადიმზე მოგვითხრობს, მამას „ყმაწვილად“ იხსენიებს, თუმცა კონკრეტულ ასაკს არ ასახელებს. გათხოვებისას დედამისი კი ზუსტად თორმეტი წლისა ყოფილა. ეს სასაზღვრო ასაკი გახლდათ, ამაზე მცირეწლოვნის გათხოვება საერო ტრადიციითა და საეკლესიო სამართლით აკრძალული იყო. ის, რომ დაქორწინებულები თავდაპირველად ერთად არ ცხოვრობდნენ, გასაგებია. მალე საუბარი ჯვადოქრულ ხიბლზე წამოიწყეს, რომლის ერთ-ერთ გამოვლინებაზე ბურშარ ვორმსელი „მკურნალში“ მოგვითხრობს. მომაჯადოებელი ხიბლი მიტოვებული საყვარლისგან კი არ მოდიოდა, არამედ „პატარა მოხუცებულისგან“, ბიჭის დედინაცვლისაგან, რომელიც ქორწინების წინააღმდეგი იყო, ეს მის გეგმებს ეწინააღმდეგებოდა: მას სურდა, რომ გერს ცოლად მისი ნათესავი გოგონა შეერთო. გიბერს ამაში ეჭვი არ ეპარებოდა. იგი ამბობდა, რომ „უწიგნურებში“ (საეროებში) ამგვარი მაგიური პრაქტიკა ხშირი იყო. ფაქტია, რომ მცირეწლოვანი გოგონების გათხოვებას არასასიამოვნო შედეგები მოჰყვებოდა ხოლმე.

არასრულყოფილი ქორწინება კი გამოუსადეგარი გახლდათ საგვარეულოსთვის, რადგან მას მემკვიდრეობის გამრავლება არ შეეძლო. უეჭველია, რომ ასევე ფიქრობდნენ ეკლესიის მესვეურებიც. თუ ქორწინება ვერ მოსპობდა ავხორცობას, ნუთუ შესაძლებელი იყო მისი ნამდ-

ვილ ქორწინებად მიჩნევა? ასეთი ქორწინება დალოცვილი ვერ იქნებოდა. თუ განქორწინება ურთიერთწყენის გარეშე გამორიცხული იყო? ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ მწვავე განხეთქილებებს ერიდებოდნენ, ამისათვის გარკვეული ფორმები არსებობდა. მაგალითად, ქმარის ცოლთან ერთად მონასტერში შესვლას ურჩევდნენ. განა უძლურის ადგილი მონასტერში არ იყო? ეკლესიაში მიაჩნდათ, რომ ორმხრივი თანხმობის შემთხვევაში მეუღლეები ერთმანეთს ამ ფორმით უნდა დაშორებოდნენ. თუმცა ქმარი გაჯიუტდა. სამი წლის შემდეგ მან სხვა კანონიერ საშუალებას მიმართა: ბურშარ ვორმსელის მიერ შეგროვებული კანონიკური ტექსტები უძლურ მამაკაცს გაყრის უფლებას აძლევდა. მაგრამ მისი უძლურება დამტკიცებული უნდა ყოფილიყო. „ბოროტი მრჩეველები“ ბიჭებს ურჩევდნენ ძალების სხვა პარტნიორთან გამოცდას, „ყმანვილურად“, ვნებით, გონების დაკარგვით. გიბერის მომავალი მამა ამ რჩევას მიჰყვა. მან საყვარელი გაიჩინა და ბიგამიის ცოდვაც დაიდო. მაგრამ ნუთუ ის ნამდვილად ცოლიანი იყო? გამოცდილების მისაღებად შერჩეული საყვარელი მისი ცოლი არ გამხდარა. ეს თანაცხოვრება ქორწინების პარალელურად არსებობდა. შედეგმაც არ დააყოვნა. ბავშვი გაჩნდა, მაგრამ მალევე გარდაიცვალა. ახალშობილების სიკვდილიანობა განსაკუთრებით უკანონოდშობილთა შორის იყო გავრცელებული. კანონიერი ქორწინების ნგრევის მიზეზიც აღარ არსებობდა.

საგავრეულო ახალგაზრდა ქალზე ზემოქმედებას ახდენდა. ცუდი მოპყრობის შემთხვევაში მას ოჯახიდან გაქცევას ურჩევდნენ ანუ ოჯახის დანგრევას. თუმცა ამ შემთხვევაში, წმინდა გოდლივისგან განსხვავებით, ქალი ოჯახის რჩევას დაჰყვა. ამ ორი ქალის ისტორიათა შორის პარალელების გავლება გასაოცარია. გიბერს სურდა, რომ დედამისი ყველას წმინდანად, ღამაზ და ძლიერ პიროვნებად წარმოედგინა. ქალი ყველაფრის ამტანი იყო. გაყრის მხოლოდ ერთი მიზეზი არსებობდა: ცოლის ავხორცობა. ზოგიერთმა კიდეც მოინდომა ქალისთვის მოღალატეობა დაეწამა; ამავე დროს მის მშობლებს შთააგონებდნენ, რომ უკეთესი სიძის პოვნის იმედით ქალი ქმრისთვის გაეშორებინათ. „ერთი ძალიან მდიდარი კაციც“ გამოჩნდა. მაგრამ ქალი წინააღმდეგი იყო. მისი შვილის სიტყვებით, უფალმა დედამისი უფრო დიდი შეწყალების გრძნობით აღავსო, ვიდრე მისი „ბუნება“ და „სიყმანვილე“ ამას მოითხოვდა. უფალმა იგი ვნებისგან დაიცვა. მისი გულიც უფალს დამორჩილდა. გიბერი დედამისში ანტიევას ხედავს, წმინდა ნიგნის ძლიერ ქალს, ბრძენ ქალწულს, რომელიც თავის ვნებას თრგუნავს. ქორწინებიდან შვიდი წლის შემდეგ (აქ რიცხვი შვიდი სიმბოლურ დატვირთვას ატარებს, ქალი ამ დროისათვის 20 წლისა უნდა ყოფილიყო) ქმარმა ცოლის დეფლორაცია მოახდინა. კვანძის გახსნა ჯადოქრობასთან იყო დაკავშირებული (რის გამოყენებასაც თითქოს გოდლივის ქმარიც შეეცადა). ნოუანელი ბერიც არ კიცხავს ამგავრ შეცოდებას. უფალს ჯადოქრობა ხიბლავს, როდესაც თეთრ

მაგიასთან გვაქვს საქმე და როცა იგი კანონიერ დაწყვილებას უწყობს ხელს. ყოველ შემთხვევაში, საქმის მოგვარების შემდეგ მორჩილი ცოლი (გოდლივზე მეტად მორჩილიც კი), „ცოლქმრულ მოვალეობებს“ ასრულებს. ქალი პასიურია. სწორედ ასეთი უნდა იყო კარგი ცოლი, იგი ქმარს უნდა ეხმარებოდეს ზედმეტი ენერგიის დახარჯვაში.

ნაყოფიერი ქორწინება დალოცვილია. ამ შემთხვევაშიც ქორწინება ნაყოფიერი აღმოჩნდა. გოგონები არც კი ითვლებოდნენ, მათ ოთხი ვაჟი გაუჩნდათ (ერთ-ერთი ბერი გახდა ნოჟანში თავის ძმასთან ერთად). გიბერი ნაბოლარა გახლდათ. დედამისი გიბერზე მშობიარობის დროს ძალიან ცუდად იყო. ამის სხვა საბუთიც გაგვაჩნია, მშობიარობამ თითქმის მთელი დღე გასტანა[5]. დედას ტკივილები ვნების პარასკევს დაეწყო, ქრისტეს ვნების დღეს. მშობიარე კვდებოდა, ამის გამო მეორე დღისთვის წირვა შეუკვეთეს, თუმცა აღდგომის წინა ლიტურგიკა ამის უფლებას არ იძლეოდა. ღვთისმშობლის საკურთხevლის წინ ბავშვი უფალს შესწირეს, თუ ბიჭი გაჩნდებოდა ეკლესიის სამსახურში უნდა ჩამდგარიყო და თუ გოგონა (გიბერის სიტყვებით, „დაბალი“ სქესი), - მას ქალწულობა უნდა შეენარჩუნებინა. ახალშობილი ბიჭი აღმოჩნდა და დედაც სიცოცხლეს დაუბრუნდა.

მამა რომ გარდაეცვალა, გიბერი რვა თვისა იყო. მამამისი ცოცხალი რომ დარჩენილიყო, ღვთისთვის მიცემულ აღთქმას დაარღვევდა და გიბერისგან რაინდს გაზრდიდა. ქმრის ნათესაობას ქვრივი ქალის თავიდან მოშორება სურდა[6]. ქალი აღარაფრის მაქნისი აღარ იყო, მან უკვე საკმარისად ბევრი ვაჟი გააჩინა. თუმცა დედამ შეინარჩუნა თავისი მამული (ქვრივის კუთვნილი) და ასევე გავლენა საკუთარ ვაჟებზე. მან საერთო ენა გამონახა საკუთარ ნათესაობასთან. ნუთუ ისინი უკან არ დაიბრუნებდნენ ჯერ კიდევ ახალგაზრდა, სხვა ქორწინებისათვის გამოსადეგ ქალს? მისი გაგდების მსურველთა საწინააღმდეგოდ, ქვრივი ქრისტეს მიენდო. იგი უფლის ჯვარცმასთან გაერთხა და ამდენად, მისი გაგდებაც ძნელი აღმოჩნდა. ქალი დარჩა, მაგრამ ქმრის ნათესავების ზეწოლის ქვეშ აღმოჩნდა. მისი მაზლის ვაჟი საგვარეულოს უფროსი გახდა. ის თვლიდა, რომ ქვრივს ისევე უნდა მოქცეოდა, როგორც საკუთარ დებს, ქალიშვილებსა და ძმისწულებს ანუ მისთვის ახალი ქმარი უნდა მოეძებნა. ამგავრ გადაწყვეტილებას წინ არაფერი დაუდგებოდა. ქალი საუკეთესო წარმოშობისა გახლდათ და ეს მის წისქვილზე ასხამდა წყალს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, არისტოკრატიულ წყვილებში ქმრის ჰიპერგამიურობა კანონი იყო. წოდებრივი განსხვავება მამაკაცში ქალისადმი შიშს ბადებდა. მარი დუგლასის მიხედვით[7], ქალი უზნეოდ ითვლებოდა და ამიტომაც მისგან თავის დაცვა გახლდათ საჭირო. მოცემულ შემთხვევაში ხელახალი დაქორწინებისთვის შექმნილი წინააღმდეგობა გადაულახავი ჩანდა. როგორ უნდა დაეძლიათ უთანასწორობა და შესაფერისი პარტია მოეძებნათ? გიბერის დედა

ჯიუტად ამტკიცებდა, რომ „მისი და მისი მეუღლის კავშირი სხვაზე არ გაიცვლებოდა." ოფიციალური ეკლესია მეორედ ქორწინებას არ კიცხავდა. მაგრამ რიგორისტები, მაგალითად, გიბერი ქვირვობას დიდ პატივს სცემდა, რომელიც რა თქმა უნდა, ქალწულობაზე დაბალი სიქველე იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, წმინდა იერონიმეს თანახმად, ქორწინებას მაინც სჯობდა. ეს ქალიც, წმინდა იდას მსგავსად, საკუთარ თავზე იღებს იმ განსაკუთრებულ ვალდებულებებს, რომელსაც ამ „ფენის" ნევრობა მას ავალებდა.

პირველ რიგში ადამიანის სული გარდაცვლილზე დარდისგან უნდა გათავისუფლებულიყო იმ ღვთისმოსავი პრაქტიკით, რომელსაც გიბერი ეფექტურად მიიჩნევდა. დედამისს თავისი მეუღლე, მკვდრეთით აღმდგარი ქრისტეს მსგავსად, ხორცშესხმული წარმოუდგა და მის სხეულზე ხელის დაკარება აუკრძალა. იგი ფერდში იყო დაჭრილი, ხოლო იქვე პატარა ბავშვი ოხრავდა. ფერდის (ადამის ფერდის) ჭრილობა სიმბოლურად იმას ნიშნავდა, რომ მამაკაცმა საქორწინო შეთანხმება გაწყვიტა. მთხრობელი თვლის, რომ მამამისმა შესცოდა, როდესაც ქორწინების შემდგომ საყვარელი გაიჩინა. ამ შემთხვევაში გიბერი იზიარებს ივ შარტრელის აზრს, რომელიც თვლიდა, რომ მიუხედავად იმისა, იყო თუ არა საქორწინო ნადიმი შემდგარი და იყვნენ თუ არა ნყვილები შეკავშირებულნი, მეუღლეები მაინც ურღვევი კავშირით იყვნენ შეერთებულნი ორმხრივი თანხმობისა და კეთილი ნების საფუძველზე. თანაცხოვრება სიძვისაგან განსხვავებული არ უნდა ყოფილიყო, გიბერს მამამისი ავხორცად და ბიგამიის ჩამდენად ნარმოუდგენია. რაც შეეხება მამამისის შვილს, უკანონოდშობილს, ბუნებრივია, იგი მოუნათლავად გარდაიცვალა და შესაბამისად, მისმა სულმაც ვერ მოისვენა. რა უნდა ექნა ქვრივ ქალს? გარდაცვლილი ქმარი უპასუხებს: ამ საქმისთვის შესაწირი უნდა გაცემულიყო, ასევე მან თავისი უკანონო ცოლის სახელიც მოიხსენია, რომელიც ცოცხალი გახლდათ და იმავე სახლში ცხოვრობდა. ეს კი მოჭარბებული სექსუალობის გამოვლინება იყო. პატარა გარდაცვლილის ცოდვის გამოსასყიდად, დედამ სხვა ახალშობილი იშვილა. მან ამგავრად დაიტვირთა თავი წარსული ცოდვის გამო და ბავშვის ტირილს მორჩილად ისმენდა. ეს კი იმას ამტკიცებს, რომ არისტოკრატი ქალები ჩვილებს თავად არ ზრდიდნენ.

ქვრივობა ქალისგან მარხვას, ღვთისმსახურებაზე დასწრებას და შემოწირულობების გაცემას მოითხოვდა. ქალი უხვად გასცემდა ღარიბთათვის თავის მამულის შემოსავალს და ამით ზარალს აყენებდა მისი მეუღლის ნათესაობას. თორმეტი ნლის შემდეგ ქალი მათ მაინც მოშორდა[8]. წარმოვიდგინოთ ეს ოცდაათი ნლის მორიდებული ქალი, რომელიც მამაკაცებით იყო გარშემორტყმული. იგი ნელ-ნელა მღვდლების ძალაუფლებას დაექვემდებარა, კერძოდ, კი იმ კლერიკალის, რომლიც მის სახლში ცხოვრობდა ბავშვების აღზრდის მიზნით. ეს

პიროვნება მის ცნობიერებას მართავდა და ქალს სიზმრებს უხსნიდა. ერთ დილას დედამ შვილების, მეგობრების, ნათესავების გასაოცრად, გამოაცხადა, რომ ხელახლა დაქორწინება სურდა. მისი საქმრო ამჯერად ქრისტე გახლდათ და ქალიც მასთან შეერთებაზე ოცნებობდა. ამგვარად მოტყუებული ქალები საეკლესიო პირებით იყვნენ გარშემორტყმულნი, რომლებიც მათ დათრგუნვაზე ოცნებობდნენ. მაგრამ ვინ გაბედავდა შენინააღმდეგებას? გიბერი გიჟად და დემონის ტყვედ ნათლავს იმ პიროვნებას, რომელიც მთელ სახლში ხმამაღლა გაჰკიოდა: „მღვდლებმა ეს ქალი თავის ჭკუაზე გადაიყვანესო." მოკლედ, ქალი სულიერი მამის თანხლებით სახლიდან გაემგზავრა და სენ-ჟერმეს მონასტრთან გაჩერდა. მან თმები შეიჭრა, თავი დაიბერა და მონაზონივით გამოეწყო. ქალმა გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგა და მისი ნაბოლარა ვაჟიც მას შეუერთდა, რომელიც სამონასტრო ძმობის წევრი გახდა.

გიბერი განსაკუთრებული გონიერებითა და მგრძნობელობით გამოირჩეოდა. ეს თვისებები ამ ტიპის ნყვილების ნაბოლარა ბიჭებს ახასიათებდათ ხოლმე. მამის გარდაცვალების შემდეგ პატარა ბავშვის აყვანა მამის ცოდვების გამოსასყიდად, მისთვის მიუღებელი გახლდათ. გიბერი ეკლესიისთვის იყო განკუთვნილი. სამხედრო ნრეებში მთელი ყურადღება მისი უფროსი რაინდი ძმის, მისი ბიძაშვილის (რომელიც საგვარეულოს უფროსიც იყო) მიმართ იყო მიპყრობილი. მათ გიბერი ვერ იტანდა[9]. დაბოლმილი და ხელმოცარული გიბერი დედის კალთას ამოეფარა და შესაბამისად, ავადმყოფურად აღმერთებდა მას[10]. დედამისი ლამაზი, მორიდებული, კეთილშობილი ქალი გახლდათ, ხორციელი ენებები არ აღელვებდა და უცენზურო ისტორიების მოსმენასაც ერიდებოდა, უხეში ჯარისკაცების საქციელი არ მოსწონდა. გიბერი დედაზე ზედმეტად იყო დამოკიდებული. იგი დედას პირველად 1104 ნელს დაშორდა, როდესაც ნოჟანის აბატი გახდა, მაშინ იგი 50 ნელზე მეტისა გახლდათ. ანალოგიური კავშირი მან ამიერიდან ღვთისმშობელთან დაამყარა. გიბერი ხომ დაბადებამდე იყო მისთვის შეპირებული. ღვთისმშობელი ბერისთვის შეუბღალავი ქალბატონი გახლდათ. გიბერმა 20 ნლის ასაკში სენ-ჟერმეს მონასტერში ქალნულობაზე ტრაქტატიც კი დაწერა, რომელშიც იოსებ კესარიელისგან განსხვავებით, ამტკიცებდა, რომ ნმინდა პავლე არასდროს ყოფილა დაქორწინებული. გიბერი მოტყუებული და განბილებული უმცროსი ვაჟის ტიპური ნარმომადგენელია. ზოგიერთმა მისმა მსგავსმა ნაბოლარამ იარაღი აისხა და თავგადასავლების ძიებას, გატაცებებსა და კურტუაზულ სიყვარულს მიეცა. სხვები, მეცნიერები თუ ბერები, იმ პირებს დაუპირისპირდნენ, რომლებიც ქორწინებაში სიხარულს პოულობდნენ. „ყმაწვილებს" საგვარეულო დისციპლინა ცელიბატისკენ მოუწოდებდა, მაგრამ გიბერი იგივეს იმ სენიორებსაც სთხოვდა, რომელთაც ცოლის მოყვანა შეეძლოთ. იგი მათ ადანაშაულებდა (ისევე, როგორც მამამისს). კატალონელი ბიჭების ამ-

ბავი პიერ ბონასიმ XI საუკუნის ქარტიებში აღმოაჩინა. მათში მოთხრობილია, რომ აღნიშნული ბიჭების მამები მათი შვილების ერესში, ლოთობაში, ავხორცობაში მხილების გამო მოსამართლეებთან დაიბარეს. ამგვარ ბოღმას ორი მიზეზი ჰქონდა: სისხლისა და ძალადობის შიში ანუ მამაკაცური ძლიერების შიში, რომელსაც გიბერი თავის „წმინდა ნაწილების ტრაქტატშიც" გამოხატავს. იგი ზიზღით აღწერს წმინდა ნაწილების, სხეულის ბინძური ნარჩენების თაყვანისცემას. ეს კი სასქესო ორგანოს მიმართ შიშის გამოვლენაა, რაც კარგად ჩანს „მემუარებშიც", სადაც ლაონეს სენიორებზე გავრცელებული ჭორებია მოყვანილი კასტრაციის აღნერისას, რომლებმაც ბრძოლის საღამოს ტყვეებს სასქესო ორგანოები დააჭრეს და შემდგომ ხეებზე ჩამოკიდეს. გიბერმა ასევე შემოგვინახა ერთი ისტორია, რომელიც მას კლუნის აბატის ძმისწულმა მოუთხრო. ეს ისტორია გიბერს მოენონა და თხრობაში ჩართო. ეს არის ახალგაზრდა დამნაშავე ქმრის ამბავი. მას ძალიან ჰყვარებია თავისი ცოლი[11] ("ისე არა როგორც ჩვეულებრივ ქმრებს, არამედ როგორც მევახშეს, რაც არანორმალურია" - აქ ფულის მოპოვების ჟინსა და სექსუალურ დაუოკებელ ნყურვილებს შორის შედარების საკითხი დგას). ქმარი კომპოსტელაში მოსალოცად გაემგზავრა და თან ცოლის ერთგულების ქამარი წაიღო. მას წმინდა იაკობი - სინამდვილეში კი ეშმაკი - მოევლინა და უბრძანა თვითკასტრაციის ჩატარება. კაცი დამორჩილდა, ხოლო შემდეგ თავი მოიკლა. აქ საქმე გვაქვს კასტრაციასთან ანუ ქალების სიძულვილთან. სააბატოებში, ზოგადად, მოხუცებულობის ასაკში შედიოდნენ და გიბერივით ქალწულები აღარ იყვნენ. მაგალითად, ბოვეზის მოხუცებული არისტოკრატი სენ-ჟერმეს მონასტერში ცოცხალმკვდარი შევიდა იმ მიზეზით, რომ: „მისმა ცოლმა ცოლქმრულ სარეცელზე უფრო მეტი ენერგია გამოავლინა, ვიდრე ქმარმა.[12]" აშკარაა ქვრივ მამაკაცთა წუხილი, როდესაც ისინი მეორედ ქორწინდებიან ახალგაზრდა გოგონებზე და ასევე ახალგაზრდა ყმაწვილთა შიშიც, როდესაც ისინი პირველად ქორწინდებიან ქალიშვილებზე - ქალი მათ აშინებთ. ნუთუ ქალი ადრეც მოჩვენებით უკარება იყო, კითხულობს გიბერი[13]. როგორია ქალი დღეს? თავისუფლად ჩაცმული, ცუდი მაგალითით გზას აცდენილნი, რომელსაც თაყვანისმცემლები დასდევენ? ამგვარი კითხვები გიბერის ბავშვური გამოცდილებიდან მოდიოდა, ფაქტია, რომ ქორწინებას მის წრეში (იმ პერიოდში, ზოგადად) ამგვარად ხედავდნენ.

ის, რაც 1112 წელს ქალაქ ლაონში მოხდა, სამყაროს უზნეობის გამოავლინება გახლდათ. იმ ბზარს, რომელიც ქალაქის კომუნის ნიაღში ნარმოიშვა, გიბერი ხანგრძლივი კონფლიქტის ფონზე აგვინერს[14]. ამ ამბის პროტაგონისტები იყვნენ თომა დე მარლი, ავხორცი, სექსუალური გადახრების მქონე სენიორი და მამამისის, კუნსის სენიორის ახლადშერთული ცოლი - სიბილა, რომელიც ასევე უზნეო და გარყვნილი ქალი გახლდათ. ეს იყო ბრძოლა მარსსა და ვენერას შორის, სისხლსა და სექსუალო-

ბას შორის. ყველაფრის თავი და თავი ხორციელი შეცოდება გახლდათ. სიბილა მესალინა იყო. მის მოსაყვანად მომავალმა ქმარმა თომას დედა, ანუ თავისი პირველი ცოლი გაუშვა. ეს უკანასკნელიც ავხორცი გახლდათ და უეჭველია, რომ თომა უკანონოდ შობილი უნდა ყოფილიყო. ამას კი შედეგად დიდი მღელვარება მოჰყვა, სოციალური ომი, ხალხის ამბოხი სენიორების წინააღმდეგ, რომლებიც დამლუპველ კავშირებს ამყარებდნენ და უზნეობას ჩადიოდნენ. გიბერი ამაში დარწმუნებული იყო, იგი აგვინერს ამ ამბავს და შიგადაშიგ ქორწინების საკითხებსაც ეხება.

თხზულების კითხვისას აშკარაა, რომ თავდაპირველად მენტალური დამოკიდებულებები ძალზე ნელა იცვლებოდა. ეს კი შესანიშნავი გაკვეთილია იმ ისტორიკოსებისთვის, რომლებიც მუდამ მზად არიან ინოვაციის პირველივე გამოვლინება აღნიშნონ. ამ ტექსტში აღწერილი ქცევები დიდად არ განსხვავდება 1000 წლის ტექსტებისაგან. აქაც ერესზეა საუბარი, რომელსაც მკვიდრად გაუდგამს ფესვები და გლეხივით გაჯიუტებულა. სწორედ ამაზე საუბრობს 80 წლით ადრე ჟერარ კამბრელი, როდესაც ქორწინებას კიცხავს. ქორწინების აღსანერად[15] გიბერი ადემარ შაბანელის, პოლ დე სენ-პერ დე შარტრის ბერის სიტყვებს დაესესხება: ქორწინების უარყოფა ავხორცობის გამრავლებამდე მიგვიყვანს. ეს თანასწორთა ასოციაციაა, კომუნაა, ქალაქის კომუნასავით საძულველი, მაგრამ არა მუნიციპალური, არამედ სექსუალური. მაგალითად მას მსგავსი ისტორია მოჰყავს: ღამით, საიდუმლოდ, ქალი და მამაკაცი სიყვარულს მისცემია, სინათლეები ჩამქრალია, ნამდვილი ორგიაა გამართული. ეს ერეტიკული ევქარისტიაა. ხილის ნაყოფი ინვის, მისი ფერფლი კი პურს უერთდება. აქვე ახალი შტრიხი იკვეთება. მორწმენებითი თავშეკავების უკან ჰომოსექსუალობა იმალება: „მამაკაცები - მამაკაცებთან, ხოლო ქალები ქალებთან ერთობიან, რადგან ისინი მიიჩნევენ, რომ ქალისა და მამაკაცის ურთიერთობა ღვთის კანონს ეწინააღმდეგება". სხვაგვარად როგორ უნდა ყოფილიყო? ცდუნებას მხოლოდ ერთი წყვილი გადაურჩა, სიმონ კრეპელი და მისი მეუღლე, რომლებიც ცალ-ცალკე გამოიკეტნენ კელიებში.

ეს მწვალებლობის, ნიკოლაიზმის გადმონაშთია. გიბერის მშობლებს მისი სენ-ჟერმეს მონასტერში გამოკეტვა სურდათ, რათა საეკლესიო კარიერა გაეკეთებინა. ეს იყო 1075 ნელი, როდესაც, „მემუარების" მიხედვით, ჩრდილოეთ საფრანგეთში, ალპების ჩრდილოეთით კლერიკალების ქორწინების წინააღმდეგ მძლავრი მოძრაობა დაიწყო. ზოგიერთი არისტოკრატული ოჯახი მხარს უჭერდა ამ წამოწყებას, რადგანაც იმედოვნებდა, რომ ამგავრი წმენდა გაუადვილებდათ ერთ-ერთი ვაჟის სასულიერო წოდებაში შეყვანას. მაგალითად, გიბერის საგვარეულოს მეთაურმა თანამდებობიდან გადააყენებინა ერთი დაქორწინებული რჯულის მეცნიერი. მას სურდა გათავისუფლებულ ადგილას თავის ახალგაზრდა ბიძაშვილი დაესვა. ხოლო სხვა პრეტენდენტმა, რამდენა-

დაც გავლენიანი იყო, შეძლო მონინააღმდეგის მთელი ოჯახის ეკლესიიდან განკვეთა სიმონიისა და ეკლესიის ქონების გაფლანგვის ბრალდებით. საგავრეულოს მეთაურმა მხოლოდ თანამდებობა და ცოლი შეინარჩუნა. ამდენად, გრიგორიანული რეფორმისადმი წინააღმდეგობა ძლიერი და ეფექტური გახლდათ. ეს წინააღმდეგობა ჯერ კიდევ არ იყო დაძლეული, როდესაც გიბერმა თავისი თხზულება დაასრულა. 1121 წელს სუასონში მონვეული საეკლესიო კრება სასულიეროთა ცელიბატისთვის იბრძოდა, მაგრამ დიდ წინააღმდეგობას წაანყდა. ამის დასტურია წმინდა ნორბერის ცხოვრება, ნოჟანთან ახლოს პრემონტრელთა ორდენის დამფუძნებლისა, რომელიც საოცარ ფაქტს მოგვითხრობს. 1125 წელს ხუთი წლის ბიჭმა სასულიეროთათვის ცოლების წართმევას ისე დაუჭირა მხარი, არც იცოდა რას აკეთებდა, შემდეგ კი მას ხილვა ჰქონდა - ყრმა იესოს ხელში დაქორწინებულ მღვდელს ეკავა[16].

მატრიმონიალური პრაქტიკის ყოველდღიური რუტინა ნაკლებად მძიმე არ გახლავთ XII საუკუნის დასაწყისში. არისტოკრატთა შორის მაინც შენარჩუნდა თანაცხოვრების, საყვარლობის ინსტიტუტი. მე უკვე აღვნიშნე, რომ გიბერს არ უყვარდა თავისი საგვარეულოს მეთაური: „იგი უარყოფდა, წერს გიბერი, საეროთა კანონის მორჩილებას.“ როგორც ჩანს, მას არ სურდა, გრეგორიანული წესის მიხედვით, კანონიერი ქორწინების გამყარება. სნორედ აქედან მოდის მისი „ამბოხი“. ქალაქ ლაონის მოსამართლის (რომელიც მეფის უფლებებს იცავდა) საყვარელს, მისი შვილების დედას, გიბერი „საყვარელს“ უწოდებს[17]. ეს სიტყვა ეკლესიის მესვეურთაგან წარმოთქმული, ბიგამიისა თუ ინცესტის გამო არაკანონიერ ცოლს აღნიშნავდა. ასევე მოიხსენიება სიბილა დე კუსი[18]. ეს ასევე უნდა გამოხატავდეს გიბერისა და ეკლესიის სხვა წარმომადგენლების საყვედურს იმ მეუღლეთა მიმართ, რომელთა ქორწინება წინასწარგანსაზღვრული წესებით არ იყო დალოცვილი. ის, რასაც „მეამბოხე“ ბიძაშვილი უარყოფდა, მხოლოდ მღვდლების დაწესებული ცერემონიალი ხომ არ იყო? ცნობილია, რომ იმ პერიოდში, 1116 წელს ლოზანელი ბერი ანრი, რომელიც ტულუზაში ერესში იყო დადაბნაშაულებული 1119 წელს, მანში ქადაგებდა არა უშუალოდ ქორწინების წინააღმდეგ, არამედ (1022 წელს ორლეანელი სპირიტუალების მსგავსად), მისი საკრალიზაციის წინააღმდეგ. „ერთადერთი თანხმობა ქორწინებას მოაქვს, აცხადებდა იგი (ამ საკითხში სრულად ეთანხმება მართლამდიდებლობას), შესაძლებელია, რომ პიროვნებას (აქ იგი გულისხმობს, რომ ნათესაური კავშირები მღვდლების საქმე არ იყო) არ სურდეს სახალხოდ მისი აღნიშვნა და მასში ეკლესიის მონაწილეობა.“ რიგორისტებს საბაბი მიეცათ ამგვარ ხედვაში თავისუფალი კავშირების ხელშეწყობა, ავხორცობა დაენახათ. რეფორმატორებს ხორციელისადმი ზიზღი ამოძრავებდათ. მათთვის მიუღებელი იყო საკრალურის არევა გამრავლების რიტუალთან, სქესთა კავშირთან, რომელსაც ცოდვილი ბუნება

ჰქონდა. თავისუფალი ცოლქმრობის დაშვება ოჯახურ მაქინაციებს უშლიდა ხელს და შოკს გვრიდა საგავრეულოთა მეთაურებს. ბერი ანრი იძულებული გახდა გაქცეულიყო. მისი ქადაგებები ეწინააღმდეგებოდა მღვდლების საქორწინო ცერემონიალში ჩარევას. XI საუკუნის დასაწყისში ისინი ცდილობდნენ ამის გაკეთებას ამ რეგიონში, რასაც 1022 წელს ორლეანელი რჯულის მეცნიერების რეაქცია მოწმობს. ნუთუ ასი წლის შემდეგ მათ მიზანს მიაღწიეს?

სამეფო სასახლისა და რამდენიმე საუფლისწულო ოჯახის გარდა, ჩანს, რომ საქორწინო რიტუალი ძალიან დიდხანს საერო ხასიათს ატარებდა. ეს აშკარაა საქორწინო დღესასწაულის, ბანკეტის, საძინებლისკენ მიმავალი წყვილის კორტეჟის შემყურე. რა იყო ეს ნიშნობა, ეს ტრადიცია, ნათესაობის მეთაურთა მიერ ქალიშვილის საჯაროდ გადაცემა? 1000 წლიდან კლუნიური ქარტიები ნიშნობაზე ბევრს საუბრობენ, ასევე ღმერთსა და სიყვარულზე და განსაკუთრებით კი, მზითვზე. სივოს ეკლესიის ერთერთი ნავი, რომელიც შეიძლება XI საუკუნის ბოლო პერიოდით დათარიღდეს[19], საერო პირებს უხმო საყვედურს სთავაზობს - მასზე გამოსახულია სირენები, რომლებიც ნავში მჯდომ მამაკაცებს უხმობენ. მართლაც, მამაკაცები ცოდვის სახიფათო ზღვაში დაცურავდნენ, ხოლო საშიშროება ქალებისგან მოდიოდა. თავდაცვის მიზნით საეროები უნდა დაქორწინებულიყვნენ. ამის საპირისპიროდ, იგივე სკულპტურა ქორწინებას წარმოგვიდგენს. აქ ჩვენ ვხედავთ ხელჩაკიდებულ მეუღლეებს. ისინი ერთმანეთს არ უყურებენ, რაც იმის ნიშანია, რომ გამრავლების ამ აქტით ზნესრული მეუღლეები ზურგს აქცევენ უწმინდურებას. ყოველ შემთხვევაში აქ ორი პერსონაჟია გამოსახული და არა სამი. მამა არ ჩანს. ეს მათი თავისუფალი ნებაა. მაგრამ არც მღვდელი არ არის გამოსახული, მოგვიანებით ქრისტიანული იკონოგრაფია უხვია სასულიეროთა გამოსახულებებით. კიდევ ერთი ტაძრის ნავი, რომელიც ვეზელეში 1100 წელსაა შექმნილი, წმინდა ბენედიქტის ცდუნებებს გამოსახავს. ერთ მამაკაცს ქალი სხვა მამაკაცთან მიჰყავს. სიტყვა ეშმაკი ორჯერაა ამოკვეთილი, ერთი ქალის თანმხლები მამაკაცის თავზე, ხოლო მეორე - თავად ქალის. ავხორცობა ეშმაკის ნაშიერია. მაჭანკალი ამ შემთხვევაში მამაა და არა მღვდელი.

ამ პერიოდში ვიზუალური გამოსახულება ფართოდ გავრცელებული იდეის გამომხატველი იყო. რიტუალთა ევოლუციის კვლევისას ირკვევა (თუმცა ასეთი რამ იშვიათი იყო ქორწინების შემთხვევაში), რომ იმ დროის მთელი ხელოვნება საკრალიზებულია, ეს იშვიათობა კი იმის ნიშანია, რომ ქორწინება საკრალიზებული სულაც არ ყოფილა და მისი ინტერპრეტაციაც ნაკლებად ხდებოდა. უფრო მეტს გვეუბნება ტექსტები, ლიტურგიკული წიგნები. თუმცა ისინიც საეჭვოა, რადგანაც ეს წიგნები ცუდადაა დათარიღებული და კარგად არც არის ცნობილი, თუ რისთვის იყენებდნენ მათ. ერთი მიმართვის შესავალი საეპისკოპოსო

დოკუმენტშიც მეორდება. სად, როდის, ვის მიმართ იქნა გამოყენებული ეს კონკრეტული მიმართვა? ამგავრი ფაქტების კვალის მიგნება საკმაოდ რთულია[20]. ეკლესიის მესვეურთა ნიშნობისა და ქორწინების საზეიმო ცერემონიალებთან დაკავშირება, ჩანს, რომ ნორმანდიიდან გავრცელდა და კამბრეს, არასსა და ლაონში შეაღწია. XI საუკუნეში ევრეში შექმნილი ერთი სახელმძღვანელო ერთი მღვდლის ლოცვათა ტექსტს შეიცავს. ეს წიგნი ოჯახში გამოიყენებოდა, მას კურთხევისთვისაც იყენებდნენ. მისი საშუალებით ლოცავდნენ ყველაფერს, საჩუქრებს, საქორწილო ბეჭედს, საძინებელ ოთახს, სანამ მასში ახლადდაქორწინებულნი დაიდებდნენ ბინას, საქორწინო სარეცელს. განა ეს საშიშ ვითარებაში, ღამე ცოდვის თავიდან აცილების მიზნით ბოროტი სულების განდევნას არ ჰგავს? ერთი საეპისკოპოსო დოკუმენტი, რომელიც XI საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება და კამბრე-არასის დიოცეზში გამოიყენებოდა, გვიჩვენებს, რომ ცერემონიალის ერთმა ნაწილმა ამიერიდან ეკლესიაში გადაინაცვლა. „მას მერე, რაც ქალი მამაკაცისგან დაინიშნა და კანონიერად გამზითვდა, იგი ქმართან ერთად ეკლესიაში შედის.“ წირვაზე მუხლმოყრილ წყვილს ლოცავენ. ორი საუკუნით ადრე არსებული რიტუალური პრაქტიკა დედოფალთა ქორწინების შემთხვევაში ფართოდ იყო გავრცელებული. საეკლესიო ხელისუფლებამ იმას მიაღწია, რომ სიტყვიერი შეპირების, ნიშნობის პროცესსა და საბოლოოდ, საქორწინო სარეცელთან მისვლას შორის წყვილის საკურთხეველთან მიყვანაც ჩართეს, რათა დაწყვილება დალოცვილი ყოფილიყო. სულ ეს იყო. სუასონის XI საუკუნის ლოცვანში საუბარია წირვამდე საქორწილო ბეჭდის კურთხევაზე, ხოლო წირვის შემდეგ - საძინებელი ოთახის. ამდენად, ძალიან ნელა მკვიდრდება ის, რაც რუანში 1012 წელს საეკლესიო სინოდზე განისაზღვრა - საქორწილო ნადიმამდე „უზმოზზე საცოლე და საქმრო ეკლესიაში უნდა იყოს დალოცვილი მღვდლის მიერ (უზმოზზე მყოფი მღვდის მიერ). ქორწინების საკრალიზაცია ნინასწარი საეკლესიო გამოძიების ჩატარებას მოითხოვს: „მანამ მეუღლეებს ეკლესია დალოცავდეს, მღვდელმა უნდა შეამოწმოს ადგილი ხომ არ აქვს ბიგამიას ან ინცესტს.“ მხოლოდ XII საუკუნეში ჩნდება ლიტურგიკული სისტემა, რომელიც საეკლესიო სახელმძღვანელოებს ებმის და ერთგვარად ცვლის მათ (ძირითადად ნორმანდიულ სახელმძღვანელოებს). ამ მხრივ გამოირჩევა ინგლისში შექმნილი ერთ-ერთი სახელმძღვანელო, რომელიც 11125-1135 წლებში ლაონში გამოიყენებოდა. ნიშნობა ქალიშვილის სახლში აღარ ტარდებოდა. ეკლესიის კარებთან ხდებოდა ბეჭდების კურთხევა, იკითხებოდა ჩუქების აქტი, მღვდლის მიერ ორმხრივი თანხმობა ცხადდებოდა. ამიერიდან სნორედ ეს უკანასკნელი ხდებოდა ქორწინების პრივილეგირებული მოწმე, თუმცა ჯერ კიდევ პასიური, მის ჟესტებს ჯერ დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება. იგი ხელს უშუალოდ არ ადებს წყვილს. „ის, ვინც მოვიდა, რათა თავისი ქალიშ-

ვილი (ამ შემთხვევაში, მთავარი მოქმედი გმირი მაჭანკალია - იგი ან საგავრეულოს მეთაურია, ამ საცოლის მამა, ან ძმა, ან ბიძა), რომელიც მას მარჯვენა ხელით მოჰყავს (ისევე, როგორც ეშმაკს ვეზელეს ეკლესიაზე) და რომელსაც კანონიერ ცოლად აძლევს მამაკაცს. თუ ის ქალიშვილია, მაშინ ხელი შემოსილი უნდა ჰქონდეს, ხოლო თუ ქვრივია - არა." საქმრო ბეჭედს საცოლეს მარჯვენა ხელის სამ თითზე ჩამოაცვამს მამის, ძის და სულიწმინდის სახელით, ხოლო შემდგომ მარცხენა ხელზე გაუკეთებს. ამავე დროს მამაკაცი შემდეგ სიტყვებს წარმოთქვამს: „ამ ბეჭდით მე შენზე ვქორწინდები, ამ ოქროთი პატივს გდებ და ამ მზითვით გწყალობ." ლაონში ქალი თავისი ბატონის ფეხებთან უნდა გართხმულიყო. შემდეგ ყველა ეკლესიაში შედის. წყვილი დალოცვილია, ქალი ფატით არის წარმოდგენილი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პატარძალი ქვრივია. წირვის შემდგომ, ღამე მღვდელი სარეცელს აკურთხებს, ხოლო შემდეგ - თავად წყვილს: „აბრაამის, ისააკის და იაკობის ღმერთო, დალოცე ეს ახალგაზრდები და მათ გულებში მარადიული სიცოცხლის მარცვალი გააღვივე."

ამდენად, საკრალიზაცია ჯერ კიდევ თავშეკავებულად ვლინდება. მღვდელი ჯერ კიდევ არ ცვლის მამას წყვილის ხელების შეერთების გადამწყვეტ მომენტში, საცოლის გადაცემისას. მხოლოდ XIII საუკუნის მეორე ნახევრის რეიმსში ვხვდებით ამ გარდამტეხ მომენტს. მაშინ, როდესაც ნოჟანის აბატი თავის „მემუარებს" წერდა, ბრძოლა ჯერ კიდევ არ იყო მოგებული. მანის ეპისკოპოსი - ჰილდებერტ დე ლავარდენი ამტკიცებდა, რომ კურთხევა „ქორწინებას აკავშირებდა." ამგავრად, იგი ეწინააღმდეგებოდა ბერ ანრის ქადაგებებს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ გიბერი კურთხევას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა და ფიქრობდა, რომ მოწინააღმდეგეებს ამარცხებდა. საეროთათვის ქორწინება ყოველთვის საერო მოვლენა იყო. მათ მოსწონდათ, როდესაც მღვდლები მათ საწოლთან ლოცვებს წარმოთქვამდნენ. ეს მათ წვიმის წამოსვლის თხოვნით ველზე ლოცვას აგონებდათ. მაგრამ მაინც მათ ერჩივნათ, რომ კლერიკალებთან დისტანცია დაეცვათ.

იმ რაინდებისთვის, ვისაც გიბერ ნოჟანელი კიცხავს, ქორწინება სარფიანი გარიგება იყო, თავის დაცვის, ოჯახური ღირსების აღდგენის საშუალება. ამ მიზნის მისაღწევად კი ყველა გზა მისაღები იყო - მოტაცება, გაგდება, ინცესტი. როდესაც ამ ტექსტს ვკითხულობ, მისი ავტორის თვალით ვუყურებ სამეზობლოს „დიდებულებს" - სუასონის გრაფს - ჟანს, კუსის სენიორს - ენგუერანდს, მის ვაჟს - თომას (მარლად ნოდებულს), რომელიც დედის სამფლობელოში დამკვიდრებული მამის სიკვდილს ელოდა. ეს ორი უკანასკნელი აშკარა მტაცებელია, რომელთაც მდიდარი ქალები ჩაუგდიათ ხელთ, „ციხესიმაგრის ქალიშვილები", როგორც დომინიკ ბარტელმი წერს[21]. მათ საკუთარი სამფლობელოები მოწინააღმდეგეებისგან უნდა დაეცვათ. ამიტომ ისინი იძულებულნი

იყვნენ სარფიანად დაქორწინებულიყვნენ. ეს კი ადვილი არ გახლდათ და ხშირად ძალის გამოყენებებასაც მოითხოვდა. ენგუერანდი, გიბერის მიხედვით, ორი გატაცების ავტორი იყო. 1075 წლისთვის მან ქმარს, ბომონის გრაფს ცოლი - ად დე მარლი მოსტაცა. შემდეგ გაეყარა და ნამურის გრაფის ცოლი შეირთო[22]. ნამურის გრაფმა, რომელიც იმპერატორ ანრი IV-ის არმიაში მსახურობდა, ცოლი არდენის ციხესიმაგრეში დატოვა. ენგუერანდმა ქალი შეაცდინა, თანაც ძალიან ადვილად. სიბილაც დათანხმდა. გიბერის აზრით, ქალი ვნებით იყო შეპყრობილი, ხოლო ჟოფრუა ნამურელი, თუმცა იგი ენგუერანდზე ახალგაზრდა იყო, მაგრამ ქალს მაინც ვერ აკმაყოფილებდა. ამ ამბავში აბატი პოლიტიკურ თამაშს ვერ ხედავს, იგი მხოლოდ ლიბიდოზე საუბრობს. ამ შემთხვევაში, გატაცებას, ცოლქმრულ ღალატს ინცესტიც ემატება. ფილიპი I-ის, გიომ აკვიტანელის მსგავსად, ენგუერანდი ქალის ბიძაშვილი არ ყოფილა, მაგრამ, სამაგიეროდ, ქალის პირველი ქმრის ბიძაშვილი იყო. მეფისა და ჰერცოგის მსგავსად, ისიც ეკლესიიდან განკვეთეს. ეპისკოპოსი კი მისი ბიძაშვილი იყო და მანაც ნათესავს ანათემა მოუხსნა. „მემუარები" აღიარებს, რომ თომამ ქონების გამრავლების მიზნით იქორწინა. იგი ქვრივი გახლდათ, ხოლო მისი პირველი ცოლი ენოს გრაფის ქალიშვილი ყოფილა. მან 1107 წელს კი თავისი ერთ-ერთი ბიძაშვილთაგანი მოიტაცა. მაგრამ უშვილობის გამო, ისიც გაუშვა. ცოლან გაყრა ადვილი იყო. ცოლები ან ნათესავები, ან უბრალოდ მოღალატეები იყვნენ. ადა დე მარლი სწორედ ამაში იქნა დადანაშაულებული. ჟან სუასონელმა[23] ცოლისგან გათავისუფლების მიზნით, ერთ-ერთ ახლობელს სთხოვა, სინათლის ჩაქრობის შემდეგ მის ცოლს საწოლში ჩაწოლოდა. მაგრამ ქალმა მოძალადე მსახურების დახმარებით გააგდო. ივ შარტრელის ერთი წერილი ამტკიცებს, რომ ჟანმა სასამართლო გამართა იმის მიმართ, ვინც მოღალატედ მიაჩნდა, ხოლო დანაშაულის შესამოწმებლად ორდალიის გამოყენება შესთავაზა.

შეიძლება, რომ გიბერს პესიმიზმი მივაწეროთ? მეფე ფილიპის საქციელიც დიდად არ განსხვავდებოდა მასზე ქვემოთ მდგომი სენიორებისა და მეზობლების ქცევისაგან. თუმცა პოლიგამიურმა ანჟუს გრაფმა - ფუკ რეშენმა მას გაასწრო. ბიძამისი ჟოფრუა მარტელი 1060 წელს ქვრივს თავისი ერთგული კაცის ქალიშვილზე აქორწინებს. ეს ქალი მალე გარდაიცვალა. ფუკი ბურბონის სენიორის სიძე გახდა. ნათესაობის მიზეზით იგი ცოლს გაშორდა და ორანგარდა შატელაიონი შეირთო. 1081 წელს მას ახალი ცოლი ბეზრდება და ამიტომ ბომონ-სე-ტურის მონასტერში გამოკეტავს. შერიგების მისაღწევად ფუკი გიომ დამპყრობელს მისი ერთ-ერთი ქალიშვილის შერთვას ჰპირდება, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრებს. პაპის ლეგატები მას არ შეეშვნენ. ფუკს ნიშნობა მიღებული წესების თანახმად უნდა გაეუქმებინა. სენ-ობენ დ'ანჟერის საბატონში განიხილეს გენეალოგიური ხე შვიდი თაობის მანძილზე და დაამტკიცეს, რომ სა-

ცოლე ფუკის ნათესავი იყო[24]. ნათესაობის სხვა იმდროინდელი სქემის მიხედვით, ჩანს, რომ ფუკი ბრიენის გრაფის[25] ქალიშვილს გაეყარა, ამჯერად ქორწინების შემდეგ და იგივე მიზეზით. 1090 წლამდე ფუკი რობერ კურტეზს უახლოვდება ბერტრადა დე მონფორის ხელში ჩაგდების მიზნით, ამ უკანასკნელს კი რობერი მიუტოვებია. მემატიანეების ცნობით, ქალი უარზე იყო, რადგან ნინა ცოლების მსგავსად, არ სურდა რომ „მეძავივით გაგდებული“ ყოფილიყო. ფუკმა საზღვარს გადააჭარბა[26]. თუმცა ამგვარი ქმედებები ხშირი იყო. მაგალითად, ინგლისის მეფეს - ანრი I-ს არ სურდა, რომ მის ძმისწულ გიომ კლიტონს ცოლად ანჟუს გრაფის ქალიშვილი შეერთო. პაპმა ნიშნობა ნათესაობის მიზეზით გააუქმა. ანრიმ ამას „ლოცვებით და ასევე უდიდესი რაოდენობის ოქრო-ვერცხლითა და სანელებლებით მიაღწია"[27], ამბობს ორდენიკ ვიტალი. ინცესტის აკრძალვა იმისთვის გამოიყენებოდა, რომ გაყრის აკრძალვა დაედგინათ და არასასურველი კავშირები გაეკიცხათ. ხანდახან ქედმაღალი და ხანდახან კი მორჩილი სასულიერო პირები მაინც თავის ინტერესებს იცავდნენ, აშკარაა, რომ გიბერი არ აზვიადებს.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ავტორი რაღაცებს იგონებს, როდესაც მის გარშემო მყოფი დიდებულების სექსუალობაზე მოგვითხრობს. ენგუერანდ დე კუსი მის თვალში ყოველგავრ ქებას იმსახურებდა. იგი კეთილშობილი, უხვი, ზრდილობიანი, მღვდელთა პატივისმცემელი პიროვნება გახლდათ. თუმცა, საუბედუროდ, ენგუერანდს ქალები უყვარდა. მისი ვაჟი თომა მამასთან ოცდახუთიოდე „მეძავს“ ნახულობდა ხოლმე. იგივე გატაცება ჰქონდა გიომ დე მალმესბერის, რომელმაც ნიორში სააბატო საყვარლებისთვის დააარსა. ასეთივე გარყვნილი ცხოვრებით ცხოვრობდა ჟან სუასონელი[28]. იგი ერეტიკოსებით, ებრაელებით და ბუნებრივია, ქალებით იყო გარშემორტყმული. მას მონაზონი ქალებზე ძალადობა ხიბლავდა. ჟანმა ლამაზი და ახალგაზრდა ცოლი მიატოვა მოხუცებული ქალისთვის, რომელიც ერთი ებრაელის ოჯახში აღმოაჩინა. თუმცა ჟანი დაისაჯა კიდეც: იგი დაავადდა. მეცნიერმა მისი შარდი შეისწავლა და ზომიერების დაცვა ურჩია, ხოლო ექიმებმა (ეკლესიის წარმომადგენლებმა), რომლებიც თვლიდნენ, რომ ცოდვა და ავხორცობა ადამიანის სხეულს ავნებდა, მას თავშეკავებისკენ მოუწოდეს. გრაფმა რჩევას ყური დაუგდო. მაგრამ აღდგომის ღამეს, ცისკრის ლოცვაზე, როდესაც მისი კაპელანი უფლის აღდგომის საოცრებაზე მსჯელობდა, ჟანი ცინიკურად იმეორებდა - ეს ყველაფერი ზღაპრებიაო. მქდაგებელმა ჰკითხა: „რატომ მოხვედი? - ლამაზი გოგონების გამო, რომლებიც აქ გარს მახვევიან.“ აქ აშკარად ურნმუნოებაზე, ერეტიკული დოქტრინების გავლენაზეა მინიშნება. სასიკვდილო სარეცელზე დიდად ცოდვილი ჟანი მღვდელს მაინც შეეწინააღმდეგა, რომელიც, თავის მხრივ, მოუწოდებდა ყველაზე დიდი ცოდვის, ქალების სიყვარულის მონანიებისაკენ: „შენზე ბრძენი კაცისგან გამი-

გია, რომ ქალები ერთად უნდა შეკრიბო და ასეთი ცოდვა ცუდ შედეგებს არ გამოიღებს." ეს სიტყვები, რომელიც გიბერმა ჟანს მიანერა, ასი წლით ადრე ორლეანელმა ერეტიკოსებმა წარმოთქვეს. გიბერ ნოჟანელი ძალიან მუქ ფერებში გვიხატავს ხორციელ სამყაროს, ხოლო ერესსა და უზნეობას განუყოფლად წარმოგვიდგენს. განა ის ასკეტური სიმკაცრე, რომელსაც ზოგიერთი სრულქმნილი ქადაგებდა, უფლებას არ აძლევდა ხალხს განნმენდილიყო და თავისუფლად ეცხოვრა? მე ვაღიარებ, რომ „მემუარების" ავტორი ძალიანაც არ აჭარბებს, როდესაც ლაონში რაინდებთან სტუმრად მიმავალ სხვათა ცოლებს აღნერს. ავტორი ფანტაზიების ტყვეობაში ხომ არ არის, როდესაც მეომართა ქალებთან მოპყრობის ჩვევაზე მოგვითხრობს? მე უკვე აღვნიშნე, რომ ისტორიკოსი ვერ განსაზღვრავს სურვილის ხარისხს.

რა უნდა ვიფიქროთ ქალურ სურვილზე? სიბილა, კუსის ქალბატონი, ვერასდროს ახერხებდა საკუთარი ვნებების მოთოკვას. სენ-ჟან დე ლაონის სააბატოს მფლობელი სენიორი ტრაბახობდა, რომ ამ ქალთან მისი ქორწინების პირველ ღამემდე გაიყო სარეცელი[29]. ყველგან ამბობდნენ, რომ ნამურის გრაფმა სიბილა ფეღმძიმე შეირთო და ეს საკმაოდ სკანდალური ფაქტი გახლდათ[30]. მალე დაუკმაყოფილებელმა ქალმა მეუღლე მიატოვა[31]. შემდეგ უკვე მოხუცმა სიბილამ თავისი ქალიშვილი ახალგაზრდა მამაკაცს მიათხოვა, რომელიც თვითონ მოსწონდა და სურდა, რომ მის სიახლოვეს ეცხოვრა. სიძე და საყვარელი სიბილამ თავისი მოხუცებული მეუღლის მოკავშირედ აქცია საკუთარი გერის წინააღმდეგ. ეშმაკი და ძლიერი ცოლი, სიბილა ბუნებრივ კანონებს არღვევდა, უნესრიგობას ამკვიდრებდა, უზნეობას, რომელმაც საბოლოოდ ქალაქი ლაონი „დააავადა", ხოლო შემდეგ მთელი ქვეყანა. ასეთ ძლიერებას სიბილა თავის წარმოშობას, სიმდიდრეს უმადლოდა. გიბერის აზრით, ქალს ბევრი სატყუარა ჰქონდა.

ქალები ხშირად თავის ხიბლს იყენებდნენ, რათა ქონების მმართველები გამხდარიყვნენ. თუმცა არც გაგადებული, შეურაცხყოფილი ქალები უნდა დავივინყოთ. ასეთ ქალებს ეპისკოპოსებს ანდობდნენ ხოლმე, შემოირიგებდნენ და ქალებიც შემდგომ კვლავ სილატაკეს უბრუნდებოდნენ. მონასტერი ყველაზე საიმედო თავშესაფარი იყო. ბრეტანის საზღვარზე ქორწინებისგან დაღლილი არისტოკრატი ქალები რობერ არბრისელს შეუერთდნენ. მათი მცირე გუნდი ტყეებში დაეხეტებოდა და ერეტიკოსებისგან ძნელად გასარჩევნი იყვნენ. ქალები მასნავლებელის თანამგზავრ მამაკაცებს თან მიჰყვებოდნენ. ღამე კი მამაკაცები და ქალები ცალ-ცალკე წვებოდნენ, ხოლო მოძღვარი - მათ შორის, რითაც საკუთარ თავს გამოცდას უწყობდა. ამგავრი საქციელი გავრცელებული ყოფილა ბრეტანის კუნძულებზე - ქალებთან ახლოს ძილი საკუთარ სხეულზე გამარჯვების მიზნით. ეს სიგიჟე, სკანდალური მოვლენა იყო. მალე რობერმა უარყო ასეთი სტილი და მონასტერი დაარ-

სა - ფონტევრო, შერეული მონასტერი, სადაც ქალები და მამაკაცები ორ თემად ცხოვრობდნენ და მათ კედელი ჰყოფდათ.

რა პირობებში იყვნენ ქალები? რა ძალაუფლებას ფლობდნენ ისინი? ეს კითხვა უპასუხოდ რჩება. ამ კითხვის დასმა შეუძლებელია სოციალური და სექსუალური ხასიათის მონაცემების არსებობის გარეშე - გასათავლისწინებელია ქალის წარმოშობა, წყვილში ქმრის სექსუალური მოთხოვნილების დონე. სწორედ ამ პერიოდში ხდება აბელარის თავგადასავალიც. დღეისათვის ეჭვის ქვეშ დგას ელოიზასთან მისი მიმონერის ფაქტი. მისი პრეტენზიული წერილები, აშკარად რედაქტირებულია, რომელიც მოქცევის, სწრაფი ამაღლების გზას გვიჩვენებს. ამავდროულად მასში ვლინდება სასულიერო არისტოკრატიის გარკვეული ნანილის დამოკიდებულებებიც. წმინდა იერონიმეს მსგავსად, ეს სნავლულები ქორწინებას უარყოფდნენ, რადგან იგი ხელს უშლიდა ფილოსოფიურ აზროვნებას. თუმცა ქალების მიმართ სურვილი მათ მაინც შეინარჩუნეს. აბელარი ამით იტანჯებოდა, მეძვებს, გაგადებულ, ბურჟუა, შერისხულ, არისტოკრატ ქალებს შორის არჩევანის გაკეთებაში მერყეობდა, მათ ხელში ჩაგდებას დიდი დრო სჭირდებოდა. ამიტომ მან იერიში თავისი მასპინძლის, რჯულის მეცნიერის ნათესავზე მიიტანა, რომელიც ადვილად შეაცდინა, კავშირის ოფიციალური გაფორმება შესთავაზა, თუმცა ეს ალიანსი საიდუმლოდ შეინახა, კურთხევისა და ქორწინების გარეშე. ეს იყო თანაცხოვრება, რომელსაც საბოლოოდ არჩევანი უნდა გაეკეთებინა იატაქვეშეთში ყოფნასა და ხორციელ თუ სულიერ კასტრაციას შორის. საინტერესოა მერამდენე იყო აბელარი იმ მამაკაცებს შორის, რომლებიც საეროებს ურღვევი კავშირების დამყარებას ურჩევდნენ და შურით აღვსილნი იმავდროულად თავშეკავებას უქადაგებდნენ, რადაგანაც მათი მდგომარეობა ამ მხრივ უიმედო იყო?

XI-XII საუკუნეებში საფრანგეთის ჩრდილოეთში ქალთა მონასტრები მრავლდებოდა. ეს თავშესაფრები უფრო და უფრო საჭირო ხდებოდა. საგავრეულოთა მიერ მამაკაცთა ქორწინებაზე მკაცრი კონტროლი, საეკლესიო რეფორმის წინსვლა (რეფორმა მღვდლებისგან საყვარლებთან განშორებას ითხოვდა) დიდი რაოდენობის ქალიშვილთა გამოკეტვას მოითხოვდა. განა ცუდად გათხოვილი ქალებიც, ოჯახის მიტოვების შემდეგ, არ მიისწრაფოდნენ ღვთის ამ თავშესაფარში? სასულიეროები მოსალოდნელ საფრთხეს წინასწარმეტყვებელებდნენ. მე დავუბრუნდები ერმანგარდას, რომელიც მამამისმა - ფუკ რეშენმა გიომ აკვიტანელს გადასცა. ქმრის მიერ გაგდებული ქალი შემდეგ ნანტის გრაფს ჩაუვარდა ხელში. ქალს ქმრის მიტოვება და ფონტევროს მონასტერში ნასვლა, ქორწინების გაუქმება სურდა. ეპისკოპოსები წინააღმდეგნი იყვნენ. რობერ დ'არბრისელი იძულებული გახდა ერმანგარდა ქმრისთვის დაებრუნებინა და თან ქალი დამოძღვრა[31]: იგი მორჩილი უნდა ყოფილიყო, თავის „წრეში" უნდა ეცხოვრა, ქმართან და დედასთან ერთად, მოთმინება გამოევ-

ლინა, დამშვიდებულიყო, ქველმოქმედი გამხდარიყო, მეტისმეტად ბევრი არ ელოცა და ხორციც ზედმეტად არ უნდა დაეთრგუნა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მასაც ისეთივე ბედი ეწეოდა, როგორც, მაგალითად, ფუკ ნერას, მისი პაპის მამის ცოლს, რომელიც მოკლეს, ცოლქმრული ღალატის ბრალდებით კოცონზე დანვეს. მაგრამ დიდებულის ეს ქალიშვილი, რომელიც 1119 წლის რეიმსის საეკლესიო კრებაზე გაკვირვებულმა ეპისკოპოსებმა უკვე ქვრივი იხილეს, კრებაზე თავისი პირველი ქმრის ბიგამიაში ბრალდების საკითხს სვამდა. განა ამ შემთხვევაში ქალმა დაუმორჩილებელი ხასიათი არ გამოავლინა?

ცოლქმრულ საკითხებში საეკლესიო პირთა ჩარევა ქმრების გულისწყრომას იწვევდა. გიომ აკვიტანელი უძველესი აკვიტანური პოემების ავტორად სახელდება. მისგან პირველი კურტუაზული სიყვარულის მომღერალი სურთ ნარმოადგინონ. ჟანროის გამოცემის X სიმღერა დასცინის იმ ქალებს, რომლებიც ბერებსა და მღვდლებს ემორჩილებიან და „რაინდთა სიყვარულს ბოროტად უარყოფენ." ისინი სასიკვდილო ცოდვას ჩადიან, ავხორცი ცოლების მსგავსად კოცონზე უნდა დაინვან. ეს კი ავი ჯადოქრის მეტაფორის გამოძახილია, რომელსაც აშკარად ეროტიკული დატვირთვა აქვს. აქ საქმე მამაკაცთა შორის გაერცელებულ სასაცილო სიმღერებთან გვაქვს. მე ამას იმ კურტუაზული დებატების პრელუდიად არ მივიჩნევ, რაზედაც ასი წლის შემდეგ მეცნიერები და რაინდები დაობდნენ, ეს უფრო პატიოსნების მედროშეთა მიმართ ქმრის მტრული განწყობის ცოცხალი გამოვლინებაა, რომლებიც ქმრების ძალაუფლებას ენინააღმდეგებოდნენ და ამით ქალურ ფრიგიდულობას ავითარებდნენ. ჩვენამდე მხოლოდ ამ ექომ მოაღწია. XII საუკუნის დასწყისში, სადაც მე ამჯერად ვიმყოფები, უფლის მსახურთა ხმა ყველაფერს ფარავს. ჩვენ ბერ გიბერს მოვუსმინეთ, ახლა კი ეპისკოპოს ივის დრო მოვიდა.

თავი IX

ივ შარტრელი

ივ შარტელის ნაწარმოები ნაკლებად გვიტაცებს[1]. იგი ბევრს მოგვითხრობს რაინდურ ქორწინებაზე, რადგან ამ სასულიერო მოღვაწეს ისეთი მოქმედებების შელამაზება სურდა, რასაც იგი დანაშაულებრივად მიიჩნევდა. ივი სწორედ ამაზე მოგვითხრობს. იგი მკაცრად აფასებს სამყაროს, ნოჟანის აბატზე მკაცრად. თუმცა ივი ბერი არ ყოფილა, მაგრამ იგი დიდხანს ცხოვრობდა ბერებს შორის. ჯერ იგი, როგორც წმინდა ანსელმის მონაფე, ბეკის სააბატოში მოღვაწეობდა. შემდეგ კი ბოვეს ეპისკოპოსმა 1078 წელს მას სენ-კანტენის მოდელის მიხედვით მონყობილი მონასტრის ხელმძღვანელობა ანდო, რომელშიც სასულიერო პირები წმინდა ავგუსტინეს საკმაოდ მკაცრი წესდების მიხედვით ცხოვრობდნენ. მაშინ ივი უკვე მოწიფული ასაკის, ოცდათვრამეტი წლისა გახლდათ. სწორედ ამგვარმა გამოცდილებამ აქცია იგი რეფორმის აქტიურ მხარდამჭერად, რაც ივმა ფილიპი I-ის საქმის დროს გამოავლინა კიდეც.

ეს შემთხვევა ივისათვის ხმამაღალი ლაპარაკის, საკუთარი პრინციპების ნათლად წარმოჩენის საბაბი გახდა. მისი აზრით, პირველ რიგში, ეკლესიის ავტორიტეტს საერონი და ძლიერნი ამა ქვეყნისანი უნდა დამორჩილებოდნენ. სწორედ ეკლესიას უნდა გაეკონტროლებინა მათი საქციელი, განსაკუთრებით კი, მათი სექსუალური ცხოვრება, რაც ქორწინების საშუალებით იყო შესაძლებელი. ყველა მატრიმონილაური პრობლემა ეკლესიას უნდა განეხილა და გადაეწყვიტა. ამისთვის კი ერთიანი საკანონმდებლო კრებული უნდა შექმნილიყო. ივ შარტრელი წმინდანად სწორედ ნორმატიულ კანონებზე გულდასმით მუშაობის გამო შერაცხეს. ამ საკითხზე იგი 1093-1096 წლებში მუშაობდა. ეს ის პერიოდია, როდესაც მეფე ფილიპს კონფლიქტი ჰქონდა იმ პირებთან, რომლებსაც მისი ბერტრადასთან განშორება სურდათ. ივ შარტრელის შრომა საბოლოოდ „პანორამიათი" დასრულდა, რომელიც მანამდე არსებულ დოკუმენტთა ორ კოლექციაზე დაყრდნობით შეიქმნა და ამ კოლექციათა მკაცრი, თუმცა ნათელი სინთეზი იყო. ნაშრომი რვა სექციისგან შედგებოდა (ბურშარის „დეკრეტისგან" განსხვავებით, რომელშიც 17 თავი იყო), რომელიც, თავის მხრივ, ქვეთავებად იყოფო-

და თავისივე სათაურებით. ეს მოვლენა XI საუკუნეში რაციონალიზმის განვითარებაზე მეტყველებს. ეკლესიაც სწორედ ამ სრულყოფილ ინსტრუმენტს ელოდა.

ივმა კანონიკური ტექსტები უფრო იურიდიული პრინციპით დაახარისხა. მას არც წინააღმდეგობები დაუმალავს. ივმა ასევე ნაწყვეტები რომაული სამართლიდან მოიყვანა, რომელიც ბოლონიელმა იურისტებმა გამოავლინეს. ავტორმა მოსამართლეებს საშუალება მისცა გარემოებების გათვალისწინებით გაეკეთებინათ ტექსტებს შორის თავისუფალი არჩევანი. „თუ სხვებმა სხვაგვარად განსაზღვრეს, ეუბნება ივი მოს ეპისკოპოსს[2], და შენყალების მიზეზით უკან დაიხიეს ზოგიერთების სისუსტის წინაშე, ამ შემთხვევაში მათ კანონების სიმკაცრე შეარბილეს. ამ ორ ხედვას შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორიც მართლმსაჯულებასა და მოწყალებას შორის. ჩვენ ამას ყოველ ნაბიჯზე ვანყდებით და საბოლოოდ ეს საკითხები რექტორთა (ანუ ეპსიკოპოსთა) განსჯის და გადაწყვეტის საგანია. ეს უკანასკნელნი ითვალისწინებენ რა სულის ხსნის პრობლემას, პიროვნულ ღირსებებს, დროისა და ადგილის ფაქტორებს, ხან კანონებს მთელი სიმკაცრით იყენებენ და ხანაც მოწყალებას ამჟღავნებენ.“ ყოველ შემთხვევაში ბურშარ ვორმსელის დროიდან სასულიეროთათვის ნებადართული „კორექტულობა“ თავის ბუნებას იცვლის. ამიერიდან ეს აღარ იყო დისკრიმინაციისა თუ ინტელექტუალური უპირატესობის გამოვლინება, არამედ ზომიერების, გულის კარნახის მიხედვით მოქცევა. ივ შარტრელის შემდეგი პოსტულტიდან გამოდიოდა, რომ თუ მარტივი დისციპლინის წესებს მოწყალების თვალით განვიხილავთ, არაფერი დაშავდება, რადგანაც კანონი ამ შემთხვევაში მხოლოდ ღვთის ნებას გამოხატავს. როდესაც ივი ქორწინებაზე საუბრობს, ორ ურღვევ სვეტს ეყრდნობა - ცოლქმრული კავშირი ურყევია. მას ძირითადად სულიერი ხასიათი აქვს. სასულიეროებს ორმაგი მოვალეობა ეკისრებოდათ: მეუღლეთა ორმხრივი პასუხისმგებლობის ხაზგასმა და ხორციელის დათრგუნვისკენ მოწოდება, სისხლისნათესაობის, ავხორცობისა და ინცესტის დაგმობა. ივი ისეთ შერჩევას აკეთებს, რომ შემდეგომ ყოველგავრი გაუგებრობა მოიხსნას. შარტრის ეპისკოპოსი, ვორმსის ეპისკოპოსის მსგავსად, პენიტენციალურ კრებულს არ ქმნის. იგი მღვდლებისთვის არ არის განკუთვნილი, არამედ იურისდიქციის განმხორციელებელი ადამიანებისთვის, რომელთაც ეს პატივი ეკლესიამ მიანიჭა. სწორედ ამიტომ ივი თავისი თხზულების შუაგულში (სასულიეროთა და საეროთა შესახებ კანონმდებლობის გვარდის ავლით) ორ მთავარ ნიშანსვეტს ათავსებს, ერთი ეხება „ქორწილის ნადიმს“, ხოლო მეორე - „გაყრას“.

მოსამართლეთა ყურადღება ოთხ საკითხზე შეჩერდა. პირველ რიგში, ფესტებსა და სიტყვებზე, რაზედაც ცოლქმრული კავშირია აგებული. ივი რიტუალის დაცვას მხარს უჭერდა და ამტკიცებდა, რომ ამგვარ

ცერემონიებზე მღვდლების დასწრება აუცილებელი იყო. მან მოაგროვა ყველა ის ტექსტი, რომელიც ქორწილისა და მისი კურთხევის საჯაროობას ასახავდა[3]. ასევე მოითხოვდა, რომ საქორწინო საკითხებზე მოლაპარაკების დაწყებისთანავე დანიშნულთა ორმხრივი თანხმობა ყოფილიყო დაფიქსირებული[4]: მამა ხელს გაუშვებდა ქალიშვილს, ხოლო შემდეგ ვაჟი ხელს მოკიდებდა გოგონას, ანუ არც მამა და არც საქმრო პასიურები არ უნდა ყოფილიყვნენ. ასე თამამად და გაბედულად მოხდებოდა წყვილის შეერთება. აქედან გამომდინარე, ისინი შვიდი წლის მაინც უნდა ყოფილიყვნენ. საქორწინო ნადიმი მეორეხარისხოვანი მოვლენა იყო, რადაგან მეუღლეები მანამდე იყვნენ დაწყვილებულნი, ვიდრე მათი სხეულები შეერთდებოდა. ამდენად, ნიშნობის ხელშეკრულება ურღვევი გახლდათ[5]. მეორე მნიშვნელოვანი საკითხი იყო ქორწინებისთვის ხორციელი მნიშვნელობის შემცირება. საქორწინო დღესასწაულის დროს ზომიერება უნდა დაცულიყო, ზედმეტი მხიარულება და უხამსი ცეკვა მიუღებელი გახლდათ[6]. ერთი ნაწყვეტი წმინდა ავგუსტინეს თხზულებიდან გვახსენებს, რომ სქესთა შეკავშირების ერთადერთი მიზანი გამრავლება იყო[7]. წმინდა იერონიმეც ზნეობისაკენ მოგვიწოდებს: „ქორწინების დროს ზღვარდაუდებელი სიყვარული ღალატის ტოლფასია." რას ნიშნავს აკრძალული თანაცხოვრება? რას ნიშნავს თავი მოაბეზრო ცოლს? ეს გულისხმობს, რომ სხეული გამრავლების მიზნით არ დაასაქმო. აშკარაა, რომ წყვილში ავხორცობა ქალიდან მოდის. ამიტომაც იგი მკაცრად უნდა მოითოკოს. ამბუაზსა და ავგუსტინეს თუ დავესესხებით[8], ქალზე მამაკაცი უნდა ბატონობდეს: „თუ ქმარსა და ცოლს შორის უთანხმოებაა, მამაკაცმა ცოლი უნდა დაიმორჩილოს, ხოლო დამყოლი ცოლი მამაკაცს დაექვემდებაროს. ქმრისადმი მორჩილი ცოლი ოჯახის სიმშვიდის გარანტიაა." და „რადგანაც ადამი ევამ შეაცდინა და არა ადმმა - ევა. სამართლიანობა მოითხოვს, რომ მამაკაცმა მართოს ქალი." „მამაკაცი უნდა მბრძანებლობდეს, ხოლო ქალი უნდა ემორჩილებოდეს." „ბუნებრივია, რომ ქალი მამაკაცს უნდა მოემსახუროს". „ქალი ისევე უნდა ემორჩილებოდეს მამამაკაცს, როგორც ეს უკანასკნელი ქრისტეს." ქალმა თავზე უნდა დაიფაროს, რადგან „იგი უფლის დიდება და ხატი არ არის." ამის საპირისპიროდ, მამაკაცმა თავის ვარცხნილობას დიდი ყურადღება არ უნდა მიაქციოს. ერთ-ერთ ქადაგებაში[9] ივ შარტრელი „უსირცხვილო მოდას" კიცხავს: „ღვთიური ნესით, ქალი მამაკაცზე ბატონობს", შესანიშნავად მოვლილი თმა მამაკაცის თვითუარყოფის ნიშანია. ჩაცმის სტილი, სხეულის მოვლის ჩვევა მამაკაცსა და ქალს შორის სოციალური წესრიგისა და სუბორდინაციის დაცვის მიზნით განსხვავებული უნდა ყოფილიყო.

მესამე საკითხი მონოგამიის კანონს ეხებოდა. აქ თანაცხოვრების საკითხი იდგა. ამ ტიპის კავშირის თავიდან ასაცილებლად, იგი კანონიერ ქორწინებად უნდა ექციათ. თუ მამაკაცი საყვარელს ცოლივით მოექცე-

ვა, წყვილი ურყევი იქნება[10]. დაუშვებელი გახდა საყვარლის გაშვება სხვაზე დაქორწინების მიზნით. ასევე აიკრძალა „დანიური წესით" ქორწინება. სხვათაშორის, შემორჩენილია მრავალი ტექსტი, რომელიც გაყრის შემდეგ ხელახლა ქორწინებას კრძალავს[11]. შეიძლება განქორწინება მოხდეს „ხორციელის მიზეზებით" (ავხორცობა ან ინცესტი). მაგრამ გაყრა მხოლოდ ხორციელი მიზეზებით არ შეიძლება, თუ სულიერი კავშირები არ დარღვეულა. „პანორმიას" VII წიგნში ერთი მნიშვნელოვანი სათაური გვხვდება: „ხორციელი კავშირის რღვევა ხორციელი ავხორცობის გამო." სხეული, ხორცი ზიზღის საგანია, რომელიც უნდა დაითრგუნოს. მხოლოდ ეკლესიას ძალუძს ამ პრობლემის მოგვარება. ეკლესიას უფლება აქვს გაყრა ღალატის მიზეზით განახორციელოს[12], ასევე, უზნეობის მიზეზითაც, როდესაც ერთ-ერთი მეუღლეთაგანი უფალს უღალატებს. მაგალითად, ერეტიკოსი გახდება. მაგრამ მღვდელი ვერ გადაწყვეტს გაყრას მანამ, სანამ ყველაფერს არ გააკეთებს წყვილის კავშირის შესანარჩუნებლად, შესარიგებლად. რაც შეეხება ხორცილი მიზეზებიდან მეორეს ანუ ინცესტს, ასეთ შემთხვევაში გაყრა ნებისმიერ შემთხვევაში უნდა განხრციელდეს. აქ „შერიგება" გამორიცხულია. ვერავინ შეცვლის დამნაშავეს სისხლის გამოცვლით. არსებობს ტექსტი, რომელიც შეიცავს ცნობებს რობერტ ღვთისმოსავისა და ბერტას გაყრის თაობაზე. ტექსტი აშკარად გამოიყენებოდა ფილიპი I-ის ბერტრადასგან განსაშორებლად. ქორწინება თავად ფილიპმა გააუქმა მას შემდეგ, რაც მეუღლეთა სისხლითნათესაობა დამტკიცდა.

ამ წლებში სასულიერონი, რომლებიც ბიგამიას ებრძოდნენ (მაგალითად, საფრანგეთის მეფეს, აკვიტანიის ჰერცოგს), ადრე ინცესტის ბრალდებას აყენებდნენ. როგორ უნდა შეთანხმებულიყო ეს აბსოლუტური აკრძალვა (არც სახარებაში და არც ბიბლიაში არ ჩანს ეს საკითხი) იესოს მიერ გაცხადებულ პრინციპთან - აბსოლუტურ ურღვევობასთან? ივი ამ წინააღმდეგობას აღნიშნავს. მთელი მისი დოქტრინალური მსჯელობა მონოგამიურობის პატივისცემაზეა დამყარებული. იგი კანონიკურ ტექტებს აგროვებს, იმას, რაც ვორმსისი ეპისკოპოსმა შეაგროვა და მისი საშუალებით მანიპულირებს. ივი ბურშარზე მეტად თავისულფალია. მაგალითად, იგი გარკვეულ სიტყვებს დეკრეტიდან იღებს, ეს სიტყვები მას არ ანყობს, რადგანაც გაყრის შემდგომ ხელახლა ქორწინების ნებართვას იძლევა. ბურშარის მიერ მოყვანილი ავტორიტეტი „მამაკაცს ნებას აძლევს", „გააგდოს ცოლი, „რომელიც მას მოკვლას უპირებს" და „სურვილის შემთხვევაში, სხვა ცოლი შეირთოს." ივ შარტრელი ციტატას იმონმებს[13], ოღონდ ამ ფრაზებს გამოტოვებს. იგივეს ვაწყდებით, როდესაც საქმე დიდი ხნით ოჯახიდან მოწყეტილ ლტოლვილებს ეხება, „თუ მამაკაცები თავს ვერ იკავებენ, შეუძლიათ იქორწინონ", ვკითხულობთ ვორმსის ეპისკოპოსის შედგენილ კოლექციაში. ეს გამონათქვამი „პანორმიაში" გამქრალია. ივი მათ იმონმებს ერთ-ერთ თავის წერილში,

მაგრამ შემდგომ აქედანაც შლის. იმ პერიოდში ეს მწვავე პრობლემა გახლდათ. საფრანგეთის ჩრდილოეთში მრავალი რაინდი შორეული თავგადასავლებით იყო გართული. ორდერიკ ვიტალისგან ვიცით, რომ ინგლისის დაპყრობის პერიოდში, მიტოვებული ნორმანდიელი ქალბატონები იმუქრებოდნენ, „ჩვენ სხვა კაცებს მოვნახავთო". მაგრამ რა უნდა ვთქვათ იმ ჯვაროსან რაინდებზე, რომლებიც ლაშქრობიდან დაბრუნებისას აღმოაჩენენ, რომ ცოლებმა უღალატეს? რა უნდა ექნათ ამ შემთხვევაში ეპისკოპოსებს, მეუღლეებთან გაეშორებინათ ისინი? სანსის არქიეპისკოპოსის ამ შეკითხვაზე ივი უპასუხებს[14], რომ რაინდები მზად იყვნენ შერიგებისათვის, ითვალისწინებენ რა „ქალის სინაზეს, სუსტი სქესის მიმართ გულმოწყალებას ავლენდნენ და საკუთარ თავს ეკითხებიოდნენ - ნუთუ თავად არასდროს შეუცოდავთ?" ან მათ რომ ცოლის გარდაცვალებმდე საკუთარი თავისთვის თავშეკავება არ მოეთხოვათ, ისინიც მოღალატეები არ იქნებოდნენ? სნორედ აქ წყდება წმინდა ავგუსტინეს ტექსტის ციტირება.

მე ძალიან მოკლედ ვისაუბრე იმ ნორმატიულ ინსტრუმენტებზე, რომელიც წმინდა კანონისტმა შექმნა. ამ სამეცნიერო ნაშრომისგან საკმაოდ ხელმისაწვდომი დოკუმენტი შეიქმნა. მართლაც, თუ მე ნორმებმა დამაინტერესა, ეს იმიტომ, რომ ისინი იმ ქცევებს ნარმოგვიდგენს, რომლის აღკვეთაც დოკუმენტს სურდა. მე უფრო ივ შარტრელის მიმონერა მაინტერესებს, როგორც ამ კრებულთა დამტება. ეს მიმონერა მომხმარებელს მისი გამოყენების წესს უხსნის, ხოლო ისტორიკოსს უჩვენებს, თუ როგორ ენინააღმდეგება თეორია პრაქტიკას.

წერილთა კრებულების შექმნა სნორედ ამ პერიოდს მიეკუთვნება. ეს იყო კორექტული კრებული, რომლიც კანონებს აზუსტებდა. ზოგიერთი ტექსტი სიამოვნებისთვის იქმნებოდა, უმეტესობა კი - სნავლების, პრაქტიკული გამოყენების მიზეზით. 1114 ნლის შემდეგ ყოველი მხრიდან მის კომპეტენტურობას ეყრდნობოდნენ. მოხუცმა სასულიერო პირმა განავითარა ის, რაც ამ წერილებიდან შემორჩა, ზოგი რამ მოაკლო, ზოგიც დაამატა. მას სურდა პრაქტიკული თხზულება შეექმნა და ნარმატებასაც მიაღნია. ეს წიგნი ფართოდ გამოიყენებოდა. მისი გადაწერა განსაკუთრებით საფრანგეთის აღმოსავლეთში, ასევე ლაონშიც მიმდინარეობდა. ზოგიერთ ხელნაწერში იგი ქორწინების შესახებ შექმნილ თეორიულ ნაწერებთანაა მოთავსებული და ერცლად ეხება საქორწინო საკითხებს.

რამდენიმე ეპისტოლე - ეს არის საეროთა მიმართ გაგზავნილი წერილები - ცოლქმრობის დადებით მხარეებს ასხამს ხოტბას. ერთ-ერთი წერილი მეფე ლუი VI-ს ეძღვნება[15]. მონარქს ფლანდრიის გრაფინიას ნათესავზე ქორწინებას ურჩევდნენ, „ეს იყო სრულნლოვანი ქალიშვილი, კარგად აღზრდილი და კეთილშობილი ნარმოშობის", შესაბამისად, საუკეთესო კანდიდატურა გახლდათ. მეფე მერყეობდა. მას აჩ-

ქარებდნენ. თავის მხრივ ივ შარტრელი მეფეს ამისკენ მოუწოდებდა. საზოგადოება სამი „შემადგენელი ნაწილისგან“ იყო დაკომპლექტებული, „მეუღლეებისგან, თავშეკავებულთაგან, ეკლესიის მესვეურთაგან... ის ადამიანი, რომელიც არც ერთ კატეგორიას არ მიეკუთვნება, უკანასკნელი სამსჯავროს წინაშე დაისჯება.“ მამაკაცი სადმე უნდა დამკვიდრებულიყო, მარგინალობა ამიერიდან მიუღებელი გახდა. ლუი მეფე იყო. იგი უეჭველად უნდა გამრავლებულიყო: „თუ მეფეს მემკვიდრე არ ეყოლებოდა, ქვეყანა დაიშლებოდა.“ ამისათვის მეფეს ცოლი უნდა შეერთო. ბუნებრივია, კანონიერი ცოლი. მისთვის განკუთვნილ ადგილზე დასამკვიდრებლად, მას „ცოლქმრული ცხოვრებით“ უნდა ეცხოვრა. სამი მიზეზის გამო მას უნდა ეჩქარა: გვირგვინის მაძიებლების იმედების გასაცრუებლად, „სხეულის უკანონო მოთხოვნილებების აღკვეთისთვის“ და დამცინავთა დასამშვიდებლად. რაზე დასცინოდნენ მეფეს? უძლურობის თუ ჰომოსექსუალური მოთხოვნილებების გამო? განვიხილოთ იმავე მელნით შესრულებული მეორე წერილი ტრუას გრაფისადმი. ეს უკანასკნელი იერუსალიმში გამგზავრებას, თავისი წოდებისადმი კუთვნილების შეცვლასა და უფლის სამსახურში ჩადგომას გეგმავდა. ის ფრთხილობდა, სატანა ხშირად ანგელოზად გარდაისახებოდა ხოლმე: „იგი ზოგიერთს შთააგონებდა, რომ ცოლის მიმართ თავისი მოვალეობა არ შეესრულებინა. ზნეობის საფარქვეშ სატანა მამაკაცებს - ავხორცობისკენ, ხოლო მათ ცოლებს ღალატისკენ უბიძგებდა.“ თუ შენ გყავს ცოლი, მისი თანხმობის გარეშე არ შეგიძლია მისი მიტოვება. „თუ, ცოლის თანხმობის გარეშე, შენ კეთილ საქმეს აკეთებდი, უფალს ემსახურებოდი და ამავე დროს ცოლქმრულ ვალდებულებებს აღარ ასრულებდი, შენი მსხვერპლშეწირვა ფასს კარგავს.“

შარტრის ეპისკოპოსის მიმოწერა მნიშვნელოვან ინფორმაციას გავწვდის, იგი განიხილავს ყველა იმ რთულ შემთხვევას, რომელთაც ეკლესიის მესვეურები გადაწყვეტდნენ. ეს ანალიზი რჩევებზე პასუხების სახითაა მონოდებული. აქ შეიძლება ეჭვი გაგვიჩნდეს, რომ წიგნის საბოლოო შევსებამდე დიალოგი გარკვეული ნარმოსახვის შედეგია, ხოლო ზოგიერთი შემთხვევითობა განყენებულად არის განხილული. ეჭვს ბადებს ასევე შემდეგი ფაქტი: ნუთუ წერილები რეგიონის არისტოკრატიაში ქორწინების რეალური პრაქტიკის სურათს გვიხატავს? აქ თეორია ახალ რეალიებს ხომ არ გვთავაზობს? ჩვენ არ შეგვიძლია რეალობა ოცნებისგან გავმიჯნოთ. ოცნების უარყოფის გარეშეც შესაძლებელია სინამდვილის ძირითადი მომენტების გარჩევა. ჩემს ხელთ არსებული 30 წერილიდან 11 წერილი ქმრის ქცევას ეხება, ხოლო 20 - მაჭანკლის. პირველ კატეგორიაში ოთხი თანაცხოვრებას ეწევა, ხოლო შვიდი - მოღალატეა. მეორე კატეგორიაში, რვა ნიშნობითაა დაკავებული, ხოლო თორმეტი - ინცესტით. ეს დახარისხება ძალიან მნიშვნელოვან სამ მომენტს ავლენს: საეპისკოპოსო ძალაუფლება წყვილის ჩამოყალ-

იბებაზე უფრო დარდობდა, ვიდრე ცოლქმრულ ცხოვრებაზე. შეთანხმების დადების შემდეგ ნათესაობის გადაწყვეტილება ინდივიდის, უფრო სწორედ ქალიშვილების გადაწყვეტილებას წინ უსწრებდა. და ბოლოს, ინცესტი წინააღმდეგობას ქმნიდა. განვაგრძოთ ტექსტის კითხვა.

ეპისკოპოსები თავისი შარტრელი კოლეგით დაინტერესდნენ[16]. ისინი უზნეობის გაგებაზე მსჯელობდნენ. ვთქვათ, ქალი უკვე საწოლში იყო. ზოგჯერ იგი ორსულადაც გახლდათ. მამაკაცის სურვილის შემთხვევაში, შესაძლებელია რომ ჟესტებითა და სიტყვებით თანაცხოვრება კანონიერ ქორწინებაში გადაიზარდოს? ქალს, წესების მიხედვით დაქორწინებულს, რომელიც სამ თვეში იმშობიარებს, შეცოდების გამო, შეიძლება, ქორწინების პატივი ჩამოერთვას? და საერთოდ, რას ნიშნავს საქორწინო პატივი? ეპისკოპოსები ორ განსხვავებულ კანონიკურ ტექსტს შორის მერყეობდნენ. ივმა მათ რჩევა მისცა. მისი აზრით, ყოველთვის კონკრეტული შემთხვევები, პიროვნებები უნდა იხილებოდეს. მაგალითის მომცემ პიროვნებებს ნაკლები სიმკაცრით უნდა მოპყრობოდნენ. წესის მიხედვით, გაყრა აკრძალული იყო (გარდა იმ შემთხვევებისა, თუ წყვილი ბიძაშვილები ან ღალატში შემჩნეულნი აღმოჩნდნენ) იმ მამაკაცებისა და ქალებისთვის, რომლებიც საკუთარი სურვილით დაქორწინდნენ და „ერთხორცად იქცნენ." „და მით უფრო, თუ ბუნებრივი ნაყოფიც (და არა ცოდვის) არსებობს." წარმოდგენილ სოციალურ რეალობაში წინასაქორწინო ურთიერთობების სიხშირე და მრავალრიცხოვანი წყვილების საეკლესიო რიტუალების გარეშე კავშირი ხშირია, მაგრამ შემდეგ მათ სურვილი უჩნდებათ, რომ მეფეთა და უფლისწულთა მსგავსად, ისინიც კურთხეულნი იყვნენ. ეპისკოპოსები ამგვარ კითხვებს უსვამდნენ საკუთარ თავს, ეს კი იმის ნიშანი ხომ არ არის, რომ საქორწინო კურთხევა ფართოდ ვრცელდებოდა, ხოლო არისტოკრატიაში უბრალო თანაცხოვრება დისკრედიტირებული იყო? - ივ შარტრელი უზნეობაზე ამაღლებისკენ მოუნოდებდა, იმის მიღებისკენ, რომ სქესთა შერწყმა სექსუალური აქტის გარეშე ვერ მიიღწევა, მხოლოდ ამ შემთხვევაში, „ქორწინება სრულყოფილად შესრულდებოდა." ასევე იგი ქადაგებდა, რომ ხორციელი სიამოვნება მხოლოდ ბოროტების გამოვლინება არ იყო. თუმცა ივის პასუხები აქცენტს მონოგამიაზე აკეთებდა. იგი სასულიერო პირებს ურჩევდა, ყურადღების ქვეშ ჰყოლოდათ მეუღლეები, მათი ბიძაშვილები, მათი ძმები, რომელთაც ცოლის გამოცვლა სურდათ, მათთვის საქორწინო შეთანხმების პატივისცემა ჩაენერგათ და იგი სამშვიდობო შეთანხმებაზე, პოლიტიკურ ალიანსზე მაღლა დაეყენებინათ. მხოლოდ ცოლქმრული ღალატი შეიძლებოდა გამხდარიყო კანონიერი განქორწინების მიზეზი.

წერილებში დაუსრულებლად მხოლოდ ქალური ღალატი განიხილება. მამაკაცები დამფრთხალნი ადევნებენ თვალს ქალებს. რაინდი გიომი ცხრა თვის შემდეგ დაბრუნდა ინგლისში ლაშქრობიდან. მისმა ცოლ-

მა დანიშმნულ დროზე შვიდი დღით ადრე მოიმშობიარა. ივ შარტრელის აზრით[17], ასე ზუსტად გამოთვლა საჭირო არ იყო, „ბუნება“ ხან სწრაფი და ხანაც მოდუნებული იყო, წლიდან წლამდე იცვლებოდა მოსავლის მნიფობის პერიოდი. ჟან სუასონელი თავისი ცოლის ღალატის ფაქტს ახმაურებდა. ქალი საყვარელთან ერთად „კერძო აპარტამენტებში მოსაუბრე უნახავთ.“ ამისათვის ივ შარტელის აზრით[18], სამი ნაღდი მონმე იყო საჭირო. და ბოლოს, სახეზეა ქვრივის ხელახალი ქორწინებით დაზარალებული მემკვიდრეები, რომლებიც ქალს ბრალს სდებენ, რომ საყვარელზე იქორწინა. ივ შარტრელი მათ ამშვიდებს[19]: „თუ შიშისა ან მეგობრობის გამო, მათ არ დააბეზღეს ცოდვილი ქალი თავისი პირველი ქმრის სიცოცხლეში“, შესაბამისად, ისინიც ღალატის თანამონანილენი გამოდიოდნენ. ძმის, მამის[20] მიერ დაცული (რომლებიც ღირსებას იცავდნენ „სირცხვილის“ ასაცილებლად) ეჭვმიტანილი ცოლები მზად იყვნენ დაემტკიცებინათ, „რომ ისინი არასდროს ყოფილან ერთხორცნი“ იმ მამაკაცთან, რომლებმაც ისინი მოისურვეს. ქალები დაიფიცებდნენ უფლის სასამართლოზე, ორდალიას დაექვემდებარებოდნენ. ივი, როგორც ყველა მამაკაცი, ფიქრობდა, რომ ბუნებით ქალი ცოდვილი იყო. თუ ზოგადად აკრძალული იყო ორდალიის გამოყენება, ის თვლიდა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც ბრალდება კორექტულად იყო ნაყენებული და მონმეც არ გახლდათ წინააღმდეგი, ორდალიის გამართვა შეიძლებოდა. თუმცა იგი მაინც შერიგების მომხრე იყო. ქორწინება უკანასკნელ მომენტამდე არ უნდა განყვეტილიყო და თვალყური უნდა ედევნებინათ, რომ მეუღლეებს ხელახლა არ ექორწინათ.[21] ნიშნობის რიტუალისას ნარმოთქმულმა სიტყვებმა ხომ მათი სულები სამუდამოდ შეაკავშირა.

ნიშნობისთვის მინიჭებული მნიშვნელობა მასზე თავლყურს, მის მართვას მოითხოვს, რათა მისი ბოროტად გამოყენება არ მოხდეს. ეს მიმოწერა გარკვეულ საკითხებში შეუთანხმებლობას ავლენს, კერძოდ, იმ მოდელსა, რომლის დახვეწაზეც ივ შარტრელის მუშაობდა და მაჭანკლის ინსტიტუტს შორის. ჩვეულების მიხედვით, ძალიან ნაადრევად ხდებოდა ბავშვების დანიშვნა, მათ სრულწლოვანებამდე. ასაკს კი არც საეკლესიო სამართალი და არც ადამიანური კანონი არ ადგენდა, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ შვიდი წლიდან ამ საქმის დაწყება შეიძლებოდა. ამას კეთილი მიზნებით, მშვიდობისთვის, „ქველმოქმედებისთვის“ აკეთებდნენ. რატომ არაფერს არ ამბობდნენ დაინტერესებული პირები იმ ინტერესებზე, რაც ხშირად მამებს დასცდებოდათ ხოლმე[22]? მეორე ცუდი ჩვევა ამ შეთანხმების დარღვევა გახდათ - პირდაპირი შედეგი პირველი ჩვეულებისა. საფრთხეც დიდი იყო, რომ მაჭანკლები აზრს გამოიცვლიდნენ, რომ ქორწინებას დაუშვებლად მიიჩნევდნენ. ამგვარი თავისუფლება ამტკიცებდა, რომ საეროთა ცნობიერებაში ქორწინება სხეულთა კავშირი, სისხლის შერევა და საქორწინო ნადიმი იყო. მაგალითად, ისინი ვერ ხედავდ-

ნენ, რას უნდა შეეშალა ხელი მათი ცოლი ერთ-ერთ დას რომ შეეცვალა, განა მეგობრობა ამით ირღვეოდა? ამას ყველაფერს ინცესტის სუნი არ ასდიოდა? ეს საკითხი მოხსნილი იქნებოდა, თუ შემცვლელი (ანუ ცოლი) სხვა ნათესაობიდან იქნებოდა შერჩეული[23]. ისეთი შემთხვევებიც იყო, რომ ნიშნობა ძალადობით იშლებოდა, მაგალითად, გატაცებით. ივ შარტრელი მხოლოდ ერთ ამბავს მოგვითხრობს.

მამა დადარდიანდა[24], რადგან ქალიშვილი უკვე გალერანისთვის, მეფის რაინდისთვის, იყო შეპირებული. გოგონა კი ტრუას ეპისკოპოსის ძმისწულმა გაიტაცა. არავის უფიქრია ეკლესიის სამართლიანობაში ეჭვი შეეტანა. პარიზის ეპისკოპოსმა კრება მოიწვია. ქალიშვილი დაკითხეს. რატომ გასწია მან წინააღმდეგობა? მე უკვე დანიშნული ვიყავიო, უპასუხა მან, ძალით მომიტაცესო. მე ვტიროდი, უარზე ვიყავი და დედაჩემიც ჩემთან ერთად ტიროდაო. მოძალადეც იყო კრებაზე, ოღონდ დასმულ კითხვებზე პასუხი არ გაუცია. შემდგომ იგი მიიმალა და აღარც უნახავთ. ათმა მონმემ დაადასტურა მსხვერპლზე ძალადობის ფაქტი. მალე გოგონა გაათავისუფლეს, „მე არ ვამბობ რომ ქორწინებისგან, არამედ თანაცხოვებისგან.“ ნუთუ შესაძლებელი იყო თანაცხოვრების ჩაშლა? ჩანს, რომ ივი საკუთარ თავს ეწინააღმდეგება. მისთვის, მოცემულ შემთხვევაში, ხორციელი საკითხი იდგა და არა სურვილი. მხოლოდ ორმხრივი სურვილი ქმნის სხეულთა ურღვევობის საფუძველს. ამ ქალს შეეძლო სხვა მამაკაცთან უცოდველად ცხოვრება. ან მისი საგავრეულოს მამაკაცებს შეეძლოთ გოგონას სხვა გარიგებისათვის გამოყენება. გალერანს სხვა გარიგების გაგონებაც აღარ სურდა. ქალიშვილი აღარ უნდოდა. სხვა მამაკაცი გამოჩნდა, რომელსაც გოგონას შერთვა სურდა, მაგრამ მას ბიგამიის შეეშინდა. ეს ყველაფერი ივმა თავის ეპისკოპოსს (ოქსერის ეპისკოპოსს) მისნერა.

ეპისკოპოსი, რომელიც საქორწინო ხელშეკრულებას განიხილავდა, ამ „საიდუმლოს“, რიტუალის ძირითად ნაწილზე ივს მიმართავდა: იოსები მარიამის ქმარი არ ყოფილა და ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც მაგალითად წმინდა ოჯახი მოჰყავთ[25]. სამაგიეროდ, ის, ვინც თავისი სიტყვებით არ ადასტურებს ამ რიტუალს, დაქორწინებულიც არ არის. ეს იმ გოგონათა შემთხვევებია, როდესაც მათ მაგივრად, მათი მამები დებენ შეთანხმებებს და თვითონვე უარყოფენ მათ[26]. ამ პრინციპებიდან გამომდინარე რეფორმატორები ჩემს მიერ აღნიშნულ ჩვეულებებს ებრძოდნენ. ამით ისინი არისტოკრატული საზოგადოების დამკვიდრებულ წესს უპირსპირდებოდნენ: ოჯახის უფროსის უფლებას ოჯახის ქალების ბედის განგებაზე.

ძალზე ბევრი წერილი მოგვითხრობს ინცესტის შესახებ. ივი ჰილდებერტ დე ლავარდენს თავის დოქტრინის შესახებ მოუთხრობს[27]: „ქორწინება განკუთვნილი იყო (ნელ-ნელა ქორწინების საკრალურობის, საიდუმლოების იდეა ხორცს ისხამს) თავიდანვე ადამიანისთვის და ეს

მისი ბუნებრივი მდგომარეობაა." ქორწინების დაშლა შეუძლებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს „კანონით" ან ეკლესიის მიერ არის გადაწყვეტილი, მხოლოდ ავხორცობის მიზეზით. მოგვიანებით განქორწინების სხვა მიზეზიც გაჩნდა, „ქრისტიანული რელიგიის განვითარებასთან ერთად (ისტორიაში არსად ჩანდა მოსამართლეთა უხერხულობა მონოგამიის მოთხოვნასა და სისხლითანთესაობის აკრძალვას შორის არსებულ წინააღმდეგობების წინაშე)." ეს იმიტომ, რომ „სამოციქულო დოქტრინის მიხედვით, კავშირი პატივცემული და შეუბღალავი უნდა ყოფილიყო." ივი პატიოსნებაზე, უზნეობის გაგებაზე მსჯელობს. მეტს ის არაფერს ამბობს. იგი უძლურია საკითხის უკეთ მოგვარებაში, ნათელი არგუმენტების მოყვანის უნარში ზოგიერთი ავტორიტეტის, მღვდლების ჯიუტი მოთხოვნების წინაშე. ინტელექტუალური იარაღის დახვეწა, ტექსტის დაწერილებითი კლასიფიკაცია, მისი მწვავე კრიტიკა არაფრის მომტანი არ იყო. სენ-ბერტენის ერთმა ბერმა 1164 წელს ფლანდრიის გრაფების გენეალოგია შეადგინა და ბოდოენ VI-ს შესახებ თქვა, რომ იგი ცოლთან (იგი იყო ერთ-ერთი მისი ნათესავის ქვრივი) ერთად ეკლესიიდან იყო განკვეთილი და აშკარად განაცხადა: „ინცესტი ღალატზე უარესია."[28]

თუმცა ინცესტის შემთხვევები გახშირდა. რაინდთა ცნობიერებაში, ნათესაური სისხლის აღრევისადმი ზიზღი ნაკლებად არსებობდა. ინცესტის შემთხვევაში რეფორმატორები დაქორწინებულებს ავადმყოფი შვილების გაჩენის საშიშროებას ახსენებდნენ. მაგალითად, პეტრე დამიანე, „თებეს რომანის" ავტორი, ამ საშიშროებაზე ამახვილებს ყურადღებას, როდესაც 1150 წლისთვის ოიდიპოსის ტრაგიკულ ისტორიაში გადამტერებული ძმები შემოჰყავს[29]. მაგრამ საეროთა მორალის მიხედვით, აკრძალვის არეალი უფრო შეზღუდული ჩანს. ეპისკოპოსები საეროებს მათი ნათესაობის შესასწავლად იბარებდნენ, ნათესაობის მესამე მუხლიდან მეშვიდემდე. უფლისნულები და რაინდები ვერ გებულობდნენ, თუ რისთვის ხდებოდა ეს. ბევრი სასულიერო პირი, რომელიც მართლმადიდებლობის ზღვარზე იმყოფებოდა, იმეორებდა, რომ ნებას არ მისცემდა მღვდლებს თვალი დაეხუჭათ ხორციელ შეცოდებებზე. გენეალოგიური ძიების ნებისმიერ შემთხვევაში შეიძლებოდა ნათესაური კავშირების აღმოჩენა, რაც საუკეთესო საშუალება გახლდათ არასასურველი ქორწინების თავიდან ასაცილებლად.

ინიციატივა საგვარეულოს მეთაურთაგან მოდიოდა, რომელთაც სურდათ როგორც, მაგალითად, მოხუც მეფე ფილიპსა და მის ვაჟს - ლუის[30], რომ ქალიშვილის გაყრა საზეიმოდ ჩატარებულიყო სამეფო კარზე, რასაც სასულიერო პირები (იმისდა მიუხედავად, ეთანხმებოდნენ თუ არა მომხდარს)[31] მოსამართლეები, ასევე „დიდებულნი, რომლებიც იმავე საგვარეულოდან იყვნენ" უნდა დასწრებოდნენ. ისინი სახალხოდ დაითვლიდნენ ნათესაობის მუხლებს და ფიცს დადებდნენ საეკ-

ლესიო სასამართლოს წინაშე.[32] შემდგომ მწერლები აღნუსხავდნენ ამ დეკრლარაციას. ამგავრად ვრცელდებოდა ის პერგამენტები, რომლებშიც დაფიქსირებულია ნათესაობა. ეს დოკუმენტები ხშირი ხმარების საგანი იყო. მე ის დოკუმენტები ვახსენე, რომლებიც გრაფ ფუკ რეშენმა გამოიყენა, რათა საკუთარ ცოლებს გაყროდა. ივ შარტრელს „ხელთ ჰქონდა" მათი გენეალოგიური ხის ამსახველი კოლექცია, „რომელიც ფესვებიდან იწყებოდა და მუხლობრივად მიინევდა მისთვის საინტერესო პირებამდე." ეს დოკუმენტი ბიბლიურ გენეალოგიაზე იყო დაფუძნებული.

ამგავრი პროცედურები წარსულის მეხსიერებას აცოცხლებდა. ეს ცოცხალი მეხსიერება იყო. ეს კარგად იცოდა პაპმა ალექსანდრე II-მ. 1059 წელს აკრძალვის გასამყარებლად, იგი ამტკიცებდა, რომ ნათესავებს შორის ნათესაობის მეშვიდე მუხლდამდე მეგობრობა, ბუნებრივი სიყვარული არსებობდა, მისი ახალი კავშირით განახლება (ნათესაობის შიგნით) მეშვიდე მუხლამდე არ შეიძლებოდა.[33] მაგრამ ზეპირსიტყვიერებიდან წერაზე გადასვლის შემდეგ, მოგონებები უფრო ნათელი და მყარი ხდებოდა. XI საუკუნის ბოლოსთვის ჩატარდა უამრავი პროცესი ინცესტის ბრალდებით. ამან კი ხელი შეუწყო სტრუქტურათა ცვლილებებს, იმ სურათის ჰორიზონტალური მდგომარეობიდან ვერტიკალურზე გადასვლას, რომელიც ამ რეგიონის არისტოკრატულ სახლებს ნათესაობის შიგნით ახასიათებდათ.

ეს გენეალოგიური სურათი ივ შარტრელმა ინგლისის მეფეს წარუდგინა, რათა თავიდან აეცილებინა „სამეფო დიდებულებისთვის ისეთი საქციელის ჩადენა, რომლისთვისაც შემდეგში დაისჯებოდა"[34] ანუ სისხლითნათესაობაზე დამყარებული ქორწინება. ჩანს, რომ ამგვარი კავშირები ხშირი იყო წინა თაობებში და სასულიერონიც ნაკლებად მკაცრნი იყვნენ. მათ მიმართ მხოლოდ ზოგიერთი მათგანი გახდა უფრო მკაცრი, მოგვიანებით, 1075 წლის შემდეგ, მძლავრი რეფორმატორული მოძრაობის გავლენით. დიდებული სენიორები არ უარყოფდნენ ისეთ ქალიშვილთა შერთვას, რომელნიც ინგლისის მეფე ჰენრის კანონიერი ქორწინების გარეშე ჰყავდა. პირიქით, ისინი ამ ქალების გამო ერთმანეთს ეცილებოდნენ.[35] XI საუკუნის ბოლო პერიოდის ნორმანდიაში, რეფორმატორ კლერიკალთა საყვედურების მიუხედავად, მაღალ არისტოკრატიაში არ არსებობდა დუმილის მიზეზი დანიური წესით ქორწინების (მეორე ზონის) და მისი ნაყოფის მიმართ. ამ მდაბიური კავშირის შედეგად შობილი ბავშვები მემკვიდრეობაზე ვეღარ გამოაცხადებდნენ პრეტენზიებს, თუმცა მათშიც მამის სისხლი ჩქეფდა, სამეფო სისხლი კი მათ ქალიშვილებს ფასს ადებდა. ალბათ, ამგვარი დამოკიდებულება მხოლოდ ნორმანდიის მხარეში იყო გავრცელებული. თავად მეფე ლუი VI მზად იყო ცოლად მარკიზ ბონიფაციუსის უკანონოდ შობილი ქალიშვილი შეერთო. შეთანხმებაც დადებული იყო, ივ შარტრელი ცდილობდა მის დარღვევას სამეფო დიდებულების პატივისცემის

გამო.[36] მეფეს უფლება არ ჰქონდა დაემცრო საკუთარი თავი „ღირსებ-ის“ წინააღმდეგ „სამარცხვინო“ ქალიშვილზე, უკანონოდშობილზე დაქორწინებით. საუკუნეების მანძილზე სასულიეროები ქრისტიანუ-ლი საზოგადოების სიკეთის გზაზე დაყენებას ცდილობდნენ და ამ გზა-ზე ისინი არაფერს ერიდებოდნენ. მათ ურყევი კედელი აღმართეს. ქად-აგებათა ძალით, გარკვეული რიტუალების გამორიცხვით, რიგორისტი მღვდლები ნელ-ნელა არღვევდნენ ამ ბარიერს. ისინი იბრძოდნენ თანაცხოვრებისა და უკუნანონოდშობილობის წინააღმდეგ. რაც შეეხ-ება საკუთარ ბიძაშვილზე დაქორწინების პრაქტიკას, ამ ცოდვას ისინი განსაკუთრებულად უპირისპირდებოდნენ. ხშირად ინცესტუალური კავშირი საგავრეულოს სიამაყე ხდებოდა, ინცესტუალური კავშირები მრავლდებოდა და დიდებულთა ოჯახებში ოჯახურ პრომისკუიტეტს ავითარებდა. ბურშარ ვორმსელის „დეკრეტი“ ადასტურებს ოჯახური სექსუალობის მოჭარბებას. ამ თემით ივ შარტრელიც ინტერესდება, რაზეც მისი სამი წერილი მოგვითხრობს.

ერთმა მამაკაცმა თავი დაიდანაშაულა. კანონიერ ქორწინებამდე მას კავშირი თავისი საცოლის დასთან ჰქონდა. რა უნდა ექნა? ექვსი მოსამართლე მზად იყო მისი ფიცი მოესმინა. გაყრილმა ცოლმა თავისი მამული შეინარჩუნა, რომელიც, ივის სიტყვებით, ქალიშვილობის საფა-სური იყო[37].“ ერთმა ცოლმა სარეცელის გაყოფის პრეტენზია წამოაყენა თავისი ქმრის ბიძაშვილთან (ქალი თავად არ საუბრობდა, საკითხი მა-მაკაცმა, ქმრის ბიძაშვილმა წამოაყენა). ამის პასუხი ასეთი იყო: მამაკა-ცის ნაცვლად ფიცი სხვას უნდა დაედო[38], ხოლო ქალს მხოლოდ თავად შეეძლო თავის გამართლება. ერთი მამაკაცი გამოტყდა, რომ დაქორ-წინებამდე, თავისი საცოლის დედასთან ჰქონია კავშირი. ასეთივე შემთხ-ვევა განიხილებოდა პაპი ურბანის წინაშე, რომლემაც გაყრა უარყო. მართალაც, „ცუდად თუ ძალდაობით დაწყებული“ ქორწინების რღვევა საქმის შესწავლის გარეშე ვერ გამოცხადდებოდა. აქ ივი აზუსტებს, რომ „სხეულთა შეკავშირებით მეუღლეები ერთხორცნი ხდებიან.“[39] ფაქტია, ოჯახის გარეთ დიდი სექსუალური თავისუფლება სუფევდა. ის, ვისაც ცოლთან გაყრა სურდა, შეეძლო, რომ ეს სურვილი მღვდლებ-ისთვის განეცხადებინა. მამაკაცი დარწმუნებული იყო, რომ მონმეებ-საც იპოვნიდა, რომლებიც მის ნათქვამს დაადასტურებდნენ, კერძოდ, იმას, რომ სასახლეში ვერ დაინახეს ნათესაური, მეგობრული კავშირე-ბის უზნეო გადახრები.

ეს დოკუმენტი, ბნელს არღვევს და განათლებულ სასულიერო პირებს გვიჩვენებს, რომლებიც თავიანთ სიმკაცრეს არბილებდნენ. ივი განქორწინებას არ თანხმდება. ერთი პარიზელი რჯულის მეცნიერი დაქორწინდა ისე, რომ თავის შემოსავლებზე უარი თქვა (იგი უქონელი გახდა). მისი ცოლთან გაყრა შეუძლებელი იყო, რამდენადაც წყვილს უფალი აკავშირებდა[40]. მაგრამ გარკვეულ პერიოდში ივი მერყეობდა.

მას უყვებოდნენ ისეთ ქმარზე, რომელსაც ცოლი მდაბიოთა წრიდან ჰყავდა. ეს გაყრის კარგი მიზეზი იქნებოდა. „კეთილშობილი“ სისხლი არ უნდა შეერიოს „მდაბიოს“ სისხლს. ქალიშვილის მაჭანკლები მატყუარები აღმოჩნდნენ. ივის შეუვალი გახლდათ[41], იგი ამტკიცებდა, რომ დასაშვები იყო „ქორწინების“ ჩაშლა, სხეულთა გაყრა ისე, რომ „წმინდა საიდუმლო“ არ დარღვეულიყო. მას ეკითხებიან: დასაშვებია, რომ თავისუფალმა მამაკაცმა მისთვის შეუფერებელი ცოლი გაუშვას? ის თავს იცავს[42] და ამბობს, მე ვშლი არა ქორწინებას, არამედ ცოდვილ თანაცხოვრებასო. ივი პაპი ლეონის დეკრეტის ციტირებას ახდენს. იგი ამტკიცებს, რომ ხელშეკრულება, რომელიც კეთილი ქორწინებისთვის იდება, ურღვევია და ჭეშმარიტი რწმენით უნდა დაიდოს. თუ შეცდომა დაშვებულია, მაშინ უფალი კავშირს ვერ შეკრავს, ადამიანები ცუდად ქორწინდებიან, თუმცა მისი გამოსნორების უფლება აქვთ. გამოჩენილი კანონისტი დებატებში ერთვება. თუმცა მისი არგუმენტები სრულყოფილი არ არის. როგორ უნდა დაპირისპირებოდა სოციალურ წყობას, „წოდებათა“ იერარქიას, კლასებს, იმ პრინციპს, რომელიც თავად გამოაცხადა, როდესაც დაქორწინებულ მღვდლებს კიცხავდა და ღვთიურ კანონს ადამიანურ კანონზე მაღლა აყენებდა? ადამიანური კანონი ცოლქმრობას აღიარებს. მხოლოდ ამ „ბუნებრივი“ კანონის მიხედვით, ივი ამას თავად წერს[43], არ არსებობენ არც თავისუფალნი, არც მდაბიონი. საერო საზოგადოების ორ „მდგომარეობას“ შორის აშკარა ბარიერი გაჩნდა. ეს ბარიერი კი თავად უფალმა აღმართა. კეთილი ქორწინების თეორია არ ეწინააღმდეგებოდა სხვა თეორიას, კერძოდ, პროვიდენციალური უთანასწორობის მთავარ თეორიას.

ივი მერყეობდა და ნიადაგს სინჯავდა. მაგრამ ეს მძიმე მდგომარეობა მას ცოლქმრული კავშირის სულიერებაზე ფიქრისკენ უბიძგებდა. ეს მხოლოდ შეერთება არ არის, ქორწინება მსურველთა კავშირია, რომელიც კეთილ რწმენას ემყარება. თუმცა მეუღლეები ხვდებიან, რომ შეცდნენ, რომ ერთის სისხლს შეუძლია მეორის გაუფასურება, რომ ერთი მეორეს ზღუდავს და, რომ ნამდვილი სიყვარული აღარ არსებობს, არამედ - მხოლოდ ზიზღი და ბოღმა. თუ „სასიყვარულო აღთქმა“ პატივცემული არ არის, წყვილი ვეღარ განასახიერებს ქრისტესა და ეკლესიის კავშირს, ის ვეღარ იქნება „წმინდა საიდუმლო“, მისტიკური ნიშანი. კანონის ნაბიჯ-ნაბიჯ დახვენას გარკვეული თეორიის ჩამოყალიბებამდე მივყავართ, რომელიც უშუალოდაა დამოკიდებული ლიტურგიკის სწრაფ განვითარებაზე.

1100 წლისთვის ეკლესიის განწმენდა დაიწყო. ზოგიერთი, ივ შარტრელის მსგავსად, იურიდიული ბერკეტების გაუმჯობესებაზე მუშაობდა, რათა წყვილები, რომლებიც უფლის სახელით შეერთებულნი ან გაყრილნი გახლდნენ, მატრიმონიალური საკითხებით მღვდლების კონტროლს დაქვემდებარებოდნენ, რითაც საერო ხელისუფლებაზე სა-

სულიერო ძალაუფლების პრიმატს დაამყარებდნენ. იგივე სასულიერონი და ასევე საზოგადოების სხვა წევრებიც იდეოლოგიური სისტემის გაძლიერებაზე მუშაობდნენ, რომელიც ამ უპირატესობას დაამტკიცებდა. ეს სისტემა ქორწინების თეოლოგიას ეყრდნობოდა. ლაონის, შარტრის, პარიზის კათედრალებთან მედიტაცია ნელ-ნელა გარდასახვის მისტერიის გარშემო კონცენტრირდებოდა. სასულიერონი ქორწინებაზე გარკვეულ კითხვებს სვამდნენ და საბოლოოდ ორ შეკითხვაზე შეთანხმდნენ, რომელთაც მეტრები ნმინდა წერილის კომენტირებისას სვამდნენ. ეს იყო მარიამ ღვთისმშობლის ქალწულობის, დედობის და ქრისტესა და მისი ეკლესიის ურთიერთობის საკითხი.

ამ ნლებში პირველი საკითხი უფრო მნვავედ იდგა, რადგან დედაღვთისმშობლისადმი სიყვარული იზრდებოდა. გიბერ ნოჟანელის შემთხვევა ერთ ტენდენციას გვიჩვენებს, რომელიც დაკავშირებული იყო მღვდლებზე დაკისრებული სექსუალური შეზღუდვებისთვის ბრძოლასთან, რომელიც ქალწულობას, დედობის ინსტიტუტს არისტოკრატული სტრუქტურების გაძლიერებასთან ერთად განადიდებდა. მარიამი იმ სანიმუშო ქალის განსახიერება იყო, რომელიც ჭერშმარიტი ქორწინებით შეუღლებული ვაჟს შობს ისე, რომ ცოდვას გადაურჩება. იგი სანიმუშო ცოლია. იესოს სნავლებებზე მეტად, მეტრები ზნეობრივი ცოლქმრობის მოდელს ავითარებდნენ, ხალხურ, კანონიკურ თუ აპოკრიფულ მონათხრობებზე დაყრდნობით, რომლებიც უფლის ძის ისტორიას უკავშირდებოდა.

ესქატოლოგიური ვნებების განელება უფრო აქტუალურს ხდიდა მეორე საკითხს. ამ მძიმე ცხოვრებაში (სამყაროს სნრაფი აღსასრულის უკვე აღარ სჯეროდათ) იესო თავის მიმდევრებთან ერთად ცოცხლობდა. როგორი უნდა იყოს ის საზოგადოება, რომელიც მამაღმერთის მარჯვნივ მჯდომსა და დარჩენილ კაცობრიობას შორის იყო წარმოდგენილი და ყოველდღიურად ქრისტეს მოგონებით ცხოვრობდა? უფლისა და ადამიანის უჩინარი კავშირი იმ ურთიერთობების ანალოგიურია, რომელიც ვასალსა და სენიორს შორის არსებობს, და უფრო მეტაფორულია ცოლსა და მის ქმარს შორის, რომელიც ქალზე ბატონობს, ზრდის მას და ამავე დროს, უყვარს იგი.

ამგავრი მსჯელობები ნმინდა საიდუმლოს გაგებას აზუსტებდა. კათედრალებში შეკრებილი მეცნიერნი მწერლებად ყალიბდებოდნენ. ისინი უფლის სიტყვასა და წყალობას ავრცელებდნენ. მათი მეცადინეობით ხელშეუხებელი წყალობა ციდან ეშვებოდა და ხალხში ვრცელდებოდა. მეტრებმა სიტყვა „საიდუმლო" იმ წიგნებში აღმოაჩინეს, რომლებითაც კაროლინგურმა რენესანსმა საეპისკოპოსო ბიბლიოთეკები შეავსო. ნმინდა ავგუსტინე „საქორწინო საიდუმლოზე" საუბრობს და „საიდუმლოს" კეთილი ქორწინების სამ მთავარ ფასეულობათა შორის ათავსებს. „ის, რაც დიდებულია ეკლესიასა და ქრისტეში, წერს იგი,

ყოველ ცოლ-ქმარში ვლიდნება, შესაბამისად, შეერთების საიდუმლო ურღვევია." მართალი რომ ითქვას, მამათა ლათინურში, ადრეული შუა საუკუნეების უცნაურ აზროვნებაში ამ სიტყვის მნიშვნელობა უფრო ბუნდოვანია. ეს ტერმინი პირველ რიგში აღნიშნავდა უბრალოდ ფიცს, უფლის დამოწმებას, წმინდა საგნების - ჯვრის, წმინდა ნაწილების შეხებით. ეს სიტყვა ბუნებრივად იკავებს ადგილს მატრიმონიალური რიტუალების ვერბალურ ველზე. ის დაკავშირებულია უფრო ზოგად გამონათქვამებთან, ფესტებთან, რომელთაც გარკვეული საგნების დასალოცად ხმარობდნენ. საქორწინო ბეჭდის, საქორწინო სარეცელის დალოცვისას სწორედ ამ სიტყვას წარმოთქვამდნენ. „საიდუმლოში" მეცნიერნი ნიშანს, სიმბოლოს ხედავდნენ. XI საუკუნის შუა ნლებში ტურის სკოლის მასწავლებელი - ბერანჟერი ერესის შეფასებისას ამ სიტყვას წმინდა წერილის მიხედვით, შეზღუდული მნიშვნელობით ხმარობს. სამეცნიერო კამათი ინტელექტუალებს შორის სემანტიკურ სფეროში გადაიზარდა. როდესაც ივ შარტრელმა თავისი კანონიკური კრებული შექმნა, „საიდუმლოს" გაგება ჯერ კიდევ ბუნდოვანი იყო, იგი ძალიან მჭიდროდ ხომ არ იყო დაკავშირებული ქორწინებასთან, ვიდრე, მაგალითად, ვასალურ ფიცთან? ქორწინება ხორციელ გრძნობებს აღძრავდა და ამდენად დანაშაული იყო, თუმცა მას ნათლობისა და ევქარისტიის გვერდით სურდა ადგილის დაკავება.

ქორწინებამ ეკლესიის კარებთან გადაინაცვლა. მღვდლის, სიტყვიერი რიტუალების, სულიერ და არა ხორცილ გარემოში საქორწინო ხელშეკრულება იდებოდა და ამით მტკიცდებოდა იურიდიული ნაგებობა. XI საუკუნის ბოლოს იტალიიდან შემოსულმა ტექსტებმა კანონიკური კრებულებში შეაღწიეს. წმინდა ამბუაზის ქადაგებანი ნიშნობას ეხებოდა, ხოლო რომაული სამართალი - თანხმობას. სწორედ მათ ეყრდნობოდა ივ შარტრელი, როდესაც საქორწინო დაპირებას განსაზღვრავდა, „თანხმობის ფიცს", რომელსაც მხოლოდ მაჭანკლები წარმოთქვამდნენ, ქორწინება საბოლოოდ მეუღლეთა, კერძოდ კი, ქალიშვილის მიერ საზეიმოდ წარმოთქმული თანხმობით სრულდებოდა. ლაონის სკოლაში წმინდა წერილის კომენტატორებმა განსაზღვრეს წინასწარ და საბოლოო ვალდებულებას შორის განსხვავება, მომავალ და ახლანდელ შეთანხმებას შორის. იმ პერიოდში ივ შარტრელის ერთმა პრივილეგირებულმა მოსაუბრემ, ჰილდებერტ დე ლავარდენმა გაბედა ქორწინება „საიდუმლოებს" შორის მოეხსენიებინა და საკმაოდ აღმატებით ხარისხშიც: „უფლის სამყოფელში, ამბობდა იგი, სამი საიდუმლო უსწრებს წინ სხვებს ჩამოყალიბების დროით და ყველაზე მნიშვნელოვანია უფლის შვილების ცოდვათა გამოსყიდვის საქმში (აქ სიტყვა ახალ დატვირთვას შეიძენს: საიდუმლო აქ მხოლოდ ნიშანს არ აღნიშნავს, არამედ მოქმედი წყალობის არხს, გზას): ნათლობა, ევქარისტია და ქორწინება. ამ სამიდან კი ქორწინებაა (ყველაზე ძველი) პირველი." ჰილდებერტის

მიხედვით, ქორწინება, ხორციელი ბუნების მიუხედავად, საეკლესიო კანონებსა და სასულიეროთა იურისდიქციას უკავშირდებოდა.

ივ შარტრელის გარდაცვალების შემდეგ ათეული წლების მანძილზე, 1120-1150 წლებში, ამ მხარეში სენ-დენის ეკლესიის რეკონსტრუქციის დროს, როდესაც შარტრის ტიმპანი იქმნებოდა, დოქტრინალური ცვლილებები აღინიშნა. სიტყვა „საიდუმლოს" პირდაპირი მნიშვნელობით ხმარობდნენ, ყურადღებას მისი, როგორც „ნიშნის" გაგებაზე ამახვილებდნენ, ამით მკვლევრები ცოლქმრული კავშირის სიმბოლურ მნიშვნელობას აღრმავებდნენ. ისინი შემდეგი მეტაფორიდან ამოდიოდნენ: ეკლესია ქრისტეს ცოლი იყო. მათ შორის ზნეობრივი კავშირი დამყარდა. საქმარო საცოლეს სინათლისკენ უბიძგებდა. ეს არ იყო სიყვარული, რომელიც ხორციელი ლტოლვიდან მოდიოდა, არამედ ღვთიური სიყვარული, მოწყალე ზრუნვა, რომელიც აუციელბელ ერარქიას, მინიერ კანონებს ემორჩილებოდა, რომელიც მამაკაცურ სანყისს ქალურზე მაღლა აყენებდა. 1124 წლის შემდეგ ჰილდებერტ დე ლავარდენი, შესანიშნავი ორატორი, თუმცა ზედმეტად გართული მერყვი დიალექტიკით, მატრიმონიალურ შეთანხმებაში ორმხრივი ვალდებულების დეფინიციას გვთავაზობს[4]. მათესა და პავლეს მიხედვით, ქმარი და ცოლი სიკვდილამდე ერთად უნდა იყოს. რატომ? რადგანაც არც ქრისტე და არც ეკლესია „არც ერთი არ კვდება." მათ შორის უწყვეტი სიყვარულია. ნარმოუდგენელია ამ „წმინდა და სულიერი" ქორნინების შენყვეტა. ეს კი ხორციელი ქორწინების სტაბილურობის გარანტია. „სწორედ ქორწინების სტაბილურობა არის საიდუმლო, რამდენადაც იგი წმინდა მოვლენის ნიშანია (სიმბოლიკაა)", უჩინარის გამოვლინება ხილულში. თუ ქორწინება არ წყდება, თუ მას შეუძლია სიკვდილამდე შეინარჩუნოს სიყვარული, მაშინ ადამიანური ქორწინება თვადაა საიდუმლო. უფლის მიერ დადგენილი წმინდა ნათლობისა და ევქარისტიის შემდგომაა მისთვის კუთვნილი ადგილი. ჟერარ კამბრელი, ზუსტად საუკუნით ადრე, ერეტიკოსებს უპირისპირდებოდა და მათ უგუნურებად, ღვთის შემრისხველებად მიიჩნევდა.

გადასალახავი იყო სხვა მომენტიც. დავუშვათ, რომ ქორწინება სიწმინდის ნიშანი იყო. ნუთუ იგი „უფლის შვილთა გადარჩენას" უწყობდა ხელს და წყალობას ავრცელებდა? სენ-ვიქტორის მონასტერში, პარიზთან, რჯულის მეცნიერი ჰუგო ამ პრობლემის გადაწყვეტით დაინტერესდება. მის ტრაქტატში „ქრისტიანული რწმენის საიდუმლოებებზე" განხილულია საზოგადოებაზე მეცნიერთა ზემოქმედების ყველა გზა. სათაურიც ნიშანდობლივია. „საიდუმლოებები" უფრო მეტია, ვიდრე „ნიშნები". ჰუგო სენ-ვიქტორელი II წიგნის, მე-11 თავის, მე-2 ნაწილში ქორწინებას წამლად მიიჩნევს, რომელსაც უფლის მსახურნი საეროთა მიმართ მათი გაჯანსაღების მიზნით ხმარობენ. შესაბამისად, ქორწინება „ზნეობის" მატარებელია, გადარჩენის ეფექტი აქვს. მაგრამ თუ დაქორ-

წინდები, ქორწინება სექსუალობისგან უნდა გაათავისუფლო. ჰუგო ასკეტიზმის მომხრეა. იგი ქორწინების გასულიერებას მოითხოვს. იგი მეორე ასკეტ - ივ შარტრელზე მეტად მიიჩნევს ნიშნობის დროს ნარმოთქმული ორმხრივი ვალდებულებების მნიშვნელოვნებას[45]: „როდესაც მამაკაცი აცხადებს: მე შენ გირთავ ცოლად, ხოლო მე შენი ქმარი ვხდები, ხოლო შემდეგ ქალი ნარმოთქვამს იგივეს... ისინი ამას არსებული ტრადიციის შესაბამისად აკეთებენ (თუმცა რიტუალის გარეგნულ მხარეს ნაკლები მნიშვნელობა აქვს) და ისინი ამიერიდან ცოლ-ქმარი ხდებიან." ეს მონმეთა თანდასწრებით ხდება (მნიშვნელოვანის ის, რასაც ისინი აკეთებენ) ან თუ „ცოლ-ქმარი მარტოა და საიდუმლოდ, მონმეთა გარეშე სურთ დაქორწინება (რაც წესით მათ არ უნდა გააკეთონ), ამ შემთხვევაშიც მათი დაქორწინება შეიძლება." აქ დიდი გამბედაობა ვლინდებოდა. ეს გამბედაობა პასუხს აძლევდა ერეტიკოსებს, ჰენრი ლოზანელს, ამავე დროს ინდივიდები თავისუფლდებოდნენ ნათესაობის ჩარევისგან. აქ საუბარი აღარ იყო არც საგავრეულო ინტერესებზე, არც ნინასწარ შეთანხმებებზე, მზითვზე, ფულზე, საქორწინო ბეჭედზე. ამ შემთხვევაში რიტუალებს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ამგვარი ქორწინება სრულიად ასოციალური იყო. იგი კარგავდა თავის ძირეულ ფუნქციას, რაც საზოგადოებაში გასამრავლებელი წყვილის ოფიციალურ დამკვიდრებაში მდგომარეობდა. საზოგადოება თავს იცავდა ტრადიციებისადმი კრიტიკული დამოკიდებულებით. ჰუგო სენ-ვიქტორელი ამბობდა, რომ ეს შესაძლებელი იყო (თუმცა ეს უკანონობა გახლდათ) უფლის წინაშე ქმარი ან ცოლი კურთხევის, მღვდლების კონტროლის გარეშე გამხდარიყავი და რაც მთავარია, ამ შეკითხვის გაერეშე - ხართ თუ არა ნათესავები? ნათესაობის რომელი მუხლით? ამგავრი რამ ეწინააღმდეგებოდა საეკლესიო რიტუალებში მატრიმონიალური შეთანხმების თანმიმდევრული პროცედურების არსებობას. მსხვერპლი უზარმაზარი იყო. მაგრამ ეს აუცილებელი გახლდათ მთავარი მიზნის მისაღწევად: საქორწილო ნადიმი აღარაფრად ითვლებოდა, არც ხორციელი ურთიერთობები, ქორწინებას, ნათლობის მსგავსად, განკურნების ეფექტი ჰქონდა. ჰუგო სენ-ვიქტორელის მსჯელობა რადიკალური სულიერების მოთხოვნით გამოდიოდა.

ფრანჩესკო კიოვაროს ნაშრომები ჰუგოს სხვა თხზულებას, კერძოდ, „მარიამის ქალწულობას" ეხება[46], რომელიც 1140 წლით თარიღდება. ავტორი საიდუმლოზე, მისტერიაზე საუბრობს: როგორ მოხდა, რომ „ჭეშმარიტმა ცოლმა" უფლის დედამ ქალწულობა შეინარჩუნა? აქ ძალზე კონკრეტული, მიწიერი პრობლემა დაისვა: რამდენად შეთანხმებადია ქალწულობასთან ცოლქმრული ვალდებულებისადმი მორჩილება? ქორწინების კანონიერება ორმხრივი თანხმობის შედეგია და იგი კონტრაქტორებს ორმხრივ მოვალეობებს აკისრებს. ჰუგო ჰილდებერტ დე ლავარდენს ეთანხმება და თვლის, რომ მთავარი ორმხრივი კავშირში სიკვდი-

ლამდე ურღვევობაა. თუმცა იგი აღიარებს სხვა საკითხსაც, „მოითხოვო და მიიღო ორმხრივი თანხმობა ხორციელ საკითხზე." ეს ვალდებულება პირველ რიგში სხეულს გულისხმობს, შემდეგ სულიერებას, იგი „ქორწინების თანმხლები და არა მისი შემოქმედია." მას ფუნქციური, მწარმოებლური როლი ეკისრება. თუმცა ჩვენ მხოლოდ ვალდებულება არ გვაკავშირებს. იერარქიის კონცეფცია, რომელიც ხორციელს სულიერს უქვემდებარებს, მთელი „გრიგორიანული" იდეოლოგიის გასაღებია. „ეს ფუნქცია რომ შეწყდეს, არ უნდა ვიფიქროთ, რომ ქორწინების რეალობა და ზნეობრიობა სრულდება, პირიქით, ქორწინება ბევრად უფრო წმინდა და ჭეშმარიტია იმ შემთხვევაში, თუ სიყვარულს ეფუძნება და არა ხორციელ ვნებებსა და სურვილებს." ჰუგო დაბადების წიგნის კომენტირებაზე გადადის: „ადამიანი მიატოვებს მამას და დედას..." ქმარმა ცოლში ის უნდა აღმოაჩინოს, რაც მის გამო მიატოვა. თუმცა მშობლებთან მას სექსუალური კავშირი არ ჰქონდა, მაგრამ „სულიერი მიჯაჭვულობა და ასოციაციური სიყვარული იზიდავდა." ჰუგოს სიტყვებით, „ამგავრად უნდა წარმოდგეს ცოლქმრული საიდუმლო, რაც სულიერებაში მდგომარეობს" - როგორც დედას აკავშირებს სულიერი სიყვარული თავისი შვილის მიმართ. ეს რჯულის მეცნიერი, ბერი გიბერ ნოჟანელის მსგავსად, დედაზეა მიჯაჭვული და შესაბამისად, ღვთისმშობელზე. იგი ამბობს: „მამაკაცი თავის ცოლს შეუერთდება... ეს არის უხილავი საზოგადოების „საიდუმლო" (ნიშანი), რომელიც უფალსა და სულს აკავშირებს." სტროფის ბოლოს შემდეგ განმარტებას ვხვდებით: „ისინი ერთხორცნი გახდებიან", არაფერი შეუშლის ხელს სხეულთა შეკავშირებას. ეს სიტყვები არის „საიდუმლო" (ნიშანი) უხილავი მონაწილეობისა, რომელსაც ადგილი აქვს ქრისტესა და ეკლესიის შორის არსებულ სხეულში (მინიერ სამყაროში). მეორე (მეტაფორის მეორე ელემენტი) დიდია, მაგრამ პირველზე ნაკლებ მნიშვნელოვანი: ისინი ერთ სულად უნდა გარდაისახონ, უფლის ერთიანი სიყვარულით უნდა განიმსჭვალონ. „ხორციელი მომენტი მეორეხარისხოვანი ხდება. ხელშეკრულების გაწყვეტის გარეშეც შესაძლებელია მისი უარყოფა. კარგი იქნებოდა, რომ ქმრებს იოსებისგან აეღოთ მაგალითი. ჰუგო სენ-ვიქტორელი სამყაროს განუდგა. მან საკუთარ თავზე მიიღო ის, რასაც წმინდა სიმონ კრეპელის ცხოვრება ქადაგებდა, ასევე იმპერატორ ანრის ისტორია, რომელიც პაპმა მალევე წმინდანად შერაცხა. საგვარეულოს წესებისადმი გულგრილი, ის საკუთარ ხმას იმ ხალხს უერთებს (ერეტიკოსებსაც კი), რომლებიც ცოლქმრობაში ქალწულობის დაცვას ქადაგებდნენ.

სასულიერონი ყურადღებით ეკიდებიან მამაკაცებში პოზიტიური ქმედებების ჩანერგვას, პირველ რიგში, არისტოკრატულ ოჯახებში, უფრო შორს არ მიდიან. ათი წლის შემდეგ პიერ ლომბარდი პარიზში ქორწინების საიდუმლოს განსაზღვრავს, რომელიც საბოლოოდ მიღებულ იქნა: „საიდუმლო წყალობის მგრძნობიარე და ქმედითი ნიშანია"

(ნიშნის იდეას, რომელსაც ქორწინების ურღვევობის ხაზგასასმელად იყენებდნენ, რეალური სიკეთის იდეა მიემატა), რომელიც იმ განსხვავებიდან მომდინარეობდა, რომელსაც ჰუგო ეყრდნობოდა. მეუღლეებს შორის, ამბობდა იგი[47], ორმაგი კავშირი არსებობს, „სულთა და სხეულთა შეთანხმება". ეკლესია ქრისტეს უკავშირდება, სურვილითა და „ბუნებით": იგი საკუთარ თავზე იღებს ადამიანურ ბუნებასაც. „ცოლი ქმრისთვისაა გადაცემული სულიერად და ხორციელად, ანუ ბუნებრივი სიყვარულითა და შეთანხმებით. შეთანხმება, ნიშნობა ეკლესიისა და ქრისტეს სულიერი კავშირის სიმბოლოა. ხოლო საქორწინო ნადიმი, სქესთა კავშირი - მათი სხეულებრივი კავშირის სიმბოლო." აქედან გამომდინარე, სულიერი ქორწინება ნაკლებად წმინდა არ გახლავთ. ის უკვე „სრულყოფილებაა". შეთანხმების არსებობა, ქმრის პერსონალური ვალდებულება ცოლის მიმართ „საკმარისია ქორწინების გასაფორმებლად." დანარჩენი კი მხოლოდ დამატებაა: მშობლების მონაწილეობა და ასევე მღვდლის კურთხევა. არც ერთი და არც მეორე ვერაფერს ამატებს საიდუმლოს, უბრალოდ უფრო „პატიოსანს" ხდის მას. თუმცა, და ესაა მთავარი, სექსუალობა ადამიანური საზოგადოების წიაღში თავის მნიშვნელობას ინარჩუნებს და ღვთიურისა და ადამიანურის მისტიური კავშირის სხვა ასპექტს ხსნის, „რომელიც სხვადასხვა ნაწილს აერთებს, მთლიანობას ქმნის..." ხორციელი მხარე, საქორწინო ნადიმი გაკიცხულია. პიერ ლომბარდი თავს იკავებდა იმის მტკიცებისგან, რომ ქორწინება წყალობას ავრცელებდა. სიკეთე ნიშნობას თან ახლავს: ქორწინება ბოროტებისგან დაცვის საშუალებაა. ქორწინება არის საიდუმლო, მაგრამ ეს არ არის აუცილებელი საიდუმლო, მაცოცხლებელი წყარო. მას პროფილაქტიკური დანიშნულება აქვს. ეს კი ქორწინებას ავალდებულებს ოფიციალურად ადგილი დაიმკვიდროს შვიდ საეკლესიო საიდუმლოს შორის. თუმცა თან სდევს ზიზღი და უკამყოფილება, რადგან ღამესთან, საქორწინო სარეცელთანაა დაკავშირებული.

შვიდი საიდუმლო იესოს დამკვიდრებული არ იყო, მაგრამ „მის მიერ გამყარებული", ქორწინება ცოდვითდაცემმამდე სამოთხეში არსებობდა. ამ ცოდვის გამო ქორწინება შებღალული აღმოჩნდა და საჭირო გახდა მისი განწმენდა, ამაღლება, რათა ხელმეორედ არ ჩავრდნილიყო იგივე ცოდვაში. ხორციელისა და სულიერის შეკავშირებით ქორწინების საიდუმლოება შვიდიდან ერთ-ერთი იყო, რომელიც გარდასახვის საიდუმლოს განასახიერებდა და ამიტომ შუალედური, საშიში პოზიცია ეჭირა. მნიშვნელოვანია, რომ XII საუკუნის შუა ნლებში ქორწინების საკრალიზაცია მოხდა. ამ პერიოდში ორ მოდელს შორის (საეკლესიო და საერო) არსებული წინააღმდეგობა თავის სიმწვავეს კარგავს.

XII საუკუნე

თავი X

სამეფო სასახლეში

იმისათვის, რომ XII საუკუნის მეორე ნახევარის კონფლიქტს მივადევნოთ თვალი, არისტოკრატიის ყველაზე მაღალ საფეხურზე მდგომი საფრანგეთის მეფის ოჯახი უნდა შევისწავლოთ. აქ უკეთ, ვიდრე სხვაგან, თავს იჩენს სამი მატრიმონიალური მომენტის განვითარება, მღვდელთა და მეომართა მორალს შორის არსებული შეთანხმებანი და უთანხმოებანი.

1152 წელს ლუი VII ცოლს - ელიონორს გაეყარა. ქალი მეფის ოჯახს თავის მემკვიდრეობასთან, აკვიტანიის საჰერცოგოსთან ერთად გაეცალა, რომელიც ამიერიდან მისი ახალი ქმრის - ჰენრი პლანტაგენეტის ხელში გადავიდა. ამ ოჯახური ხასიათის მოვლენის პოლიტიკური შედეგები XIX და XX საუკუნეების ისტორიკოსთა მიერ კარგადაა შესწავლილი. იმ პერიოდში ამ ამბავმა დიდი მღელვარება გამოიწვია. მასზე ბევრს საუბრობდნენ, ასევე ბევრს და დიდხანს წერდნენ ამის თაობაზე. არსებობს ძალიან საინტერესო საბუთების საკმაოდ დიდი რაოდენობა. მათ შორის ერთ-ერთი იმ ვერისას წარმოგვიდგენს, რაც ხელსაყრელი იყო საფრანგეთის მეფის კარისთვის. 1171 წელს, ან ცოტა უფრო ადრე, სენ-ჟერმენ-დე-პრეს ერთი ბერი „დიდებულ მეფეს[1]" ხოტბას ასხამს. ამ პანეგირიკის შექმნის მიზეზი, ალბათ, 1165 წელს ფილიპის, უფლის მიერ ლუისათვის ნაწყალობები ვაჟი-მემკვიდრის, დაბადება გახდა. ავტორის აზრით, ეს იყო გამორჩეული წყალობა, რომელიც ფრანგების სამეფოს დაიცავდა დიდი ხნის განმავლობაში ინგლისელთა ხელში ყოფნისა და სამეფო ტახტის პრეტენდენტთა გაუთავებელი დავისაგან. აშკარაა, რომ ყოვლისშემძლე ღმერთმა საფრანგეთის გადარჩენა არჩია. პირველი ფრაზებიდან ჩანს, რომ პარიზში, სამეფო კარზე დაწერილი ეს ისტორია შოვინისტური ხასიათისაა. ეს კარგად უნდა გვახსოვდეს მაშინ, როდესაც ამ ტექსტის მიხედვით შექმნილი ინტრიგის გარჩევას შევუდგებით.

როდესაც ლუი მამა გახდა, მას უკვე მესამე ცოლი ჰყავდა. პირველ მეუღლეს 1137 წელს გაეყარა. მაშინ მეფე - 16, ხოლო ქალი 13-14 წლისა

იყო. ალიონორს ძმა არ ჰყოლია, ხოლო მამა ახალი გარდაცვლილი ჰყავდა. იგი თავად გახდა თავისი მამულის მემკვიდრე. ამ ქორწინებით ლუიმ აკვიტანიის სასახლე მიიღო. მეუღლის და თავად მეფემ გაათხოვა. ორ საგვარეულოს შორის კავშირის გამყარების მიზნით, მან ცოლის და, ნათესაობის წინააღმდეგობის მიუხედავად, მამამისის გერმანელ ბიძაშვილს, რაულ ვერმანდუას მიათხოვა. ალიენორი ბავშვის გაჩენას აგვიანებდა. 1145 წელს მან პირველი ქალიშვილი გააჩინა, ხოლო მეორე - 1149 წელს. სამეფო წყვილმა წმინდა მინა მოინახულა. ოფიციალური ისტორიკოსი არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ როგორი იყო მეუღლეებისთვის ეს მოგზაურობა.

XV თავში ისტორიკოსი განქორწინების შესახებ მოგვითხრობს. „მეფის ახლობლები და ბიძაშვილები სუვერენთან შეიკრიბნენ და გამოაცხადეს, რომ მეფესა და ალიენორს შორის არსებული ქორწინება სისხლითნათესაობაა, რასაც ისინი ფიციითაც კი დაადასტურებდნენ." მართლაც, მეუღლეები ნათესავები იყვნენ ნათესაობის მეოთხე თუ მეხუთე მუხლით. თითქმის 30 წლის შემდეგ ნათესავებმა მაინც შეძლეს ინცესტის აღმოჩენა. „გაკვირვებული" მეფე დიდხანს ვეღარ აიტანდა ცოდვილ ცხოვრებას. მან ეპისკოპოსებს მიმართა, კერძოდ, პარიზის, რამდენადაც მის სამრევლოში შედიოდა, და სანსის, რომელიც მეტროპოლიის ეპისკოპოსი გახლდათ. 1152 წელს ბოჟანსიში შეიკრიბა ოთხი არქიეპისკოპოსი, რომელთა ძალაუფლებაც ქმრისა და ცოლის სამფლობელოზე ვრცელდებოდა, ასევე მათზე დამოკიდებული ეპისკოპოსები, „დიდებულები და საფრანგეთის სამეფოს ბარონები". ამ შერეულმა კრებულმა ორივე მეუღლის თანდასწრებით სისხლითნათესაობის ფაქტი დაადასტურა. წესისამებრ, განქორწინება „საზეიმო რიტუალით" დასრულდა.

"ისტორია" ალიენორს კვლავ დაქორწინებისათვის მზადმყოფ პიროვნებად წარმოაჩენს. „ძალიან სწრაფად" მან აკვიტანია დაიბრუნა. „უმალვე" იქორწინა ჰენრიზე, ნორმანდიის ჰერცოგზე. თავდაპირველად ალიენორი ბლუას გრაფს დაუსხლტა ხელიდან, შემდგომ კი - ჟოფრუა პლანტაგენეტს, ჰენრის ძმას. მხოლოდ ჰენრიმ მიაღწია შედეგს. კერძოდ, მაისის თვეში ქალი თავისთან შეიტყუა. ივლისში კი ლუი VII-მ, ჟოფრუას დახმარებით, ჰენრის შეუტია: ომმა შემდგომი წლის დადგომამდე გასტანა. რაც შეეხება ლუის, იგი როგორც საგავრეულოს უფროსი, თავისი ორი ქალიშვილის გათხოვებით იყო დაკავებული. პირველი გოგონა, რომელიც 8 წლისა იყო, ტრუას გრაფს მიათხოვა, ხოლო მეორე, რომელიც 3 წლისა იყო - ბლუას გრაფს, რაც ამ უკანასკნელისთვის უბედურების გაქარწყლების ტოლფასი გახლდათ გოგონას დედის, ალიენორის, დაკარგვის გამო.

არავითარი წინააღმდეგობა აღარ არსებობდა. მეფის პირველი ინცესტუალური ქორწინება დასრულდა. სენ-ჟერმენის ბერი მაინც ცდი-

ლობს მეორე ქორწინების გამართლებას ორი მიზეზით. ლუი იმ „ღვთიური კანონით“ ცხოვრობდა, რასაც საერო პირებს ცოლქმრული ურთიერთობა კარნახობდა. მეორე მხრივ, პატივს სცემდა რა საგავრეულოს მორალს, მეფე „იმედოვნებდა მემკვიდრის გაჩენას, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ საფრანგეთის სამეფოს მმართავდა.“ 1154 წელს ესპანეთის „იმპერატორმა“ ლუის თავისი ქალიშვილი მიათხოვა. გაჩნდა ბავშვი. ახლადდაბადებული გოგონა მალევე, 1156 წელს, ინგლისის მეფისა და ალიენორის ვაჟ ჰენრიზე დანიშნეს, რომელიც თავად 1155 წლის მარტში დაიბადა. ისტორიკოსი გვარწმუნებს, რომ ეს ქორწინება ასაკობრივად და ნათესაურად შეუსაბამო იყო იმ კანონიკური აღთქმების მიხედვით, რაც ნათლად ჩანდა „რომაული ეკლესიის მიერ მიღწეული შეთანხმებით“. პაპის ავტორიტეტი კანონის შეცვლის საშუალებას იძლეოდა. მეფის მეორე ქალიშვილი 1160 წელს დაიბადა. იმავე წელს დედოფალი გარდაიცვალა. ძალიან მალე მეფემ ახალი ცოლი შეირთო. ინგლისელი ისტორიკოსის რაულ დე დისეს მიხედვით, 15 დღის შემდეგ. სინამდვილეში მეფემ მხოლოდ ხუთი კვირა მოიცადა. დრო სწრაფად გადიოდა და მასაც ასაკი ემატებოდა. პანეგირიკი ამ სისწრაფეს ამართლებს. მეფე ამას „არქიეპისკოპოსებთან, ეპისკოპოსებთან და სამეფოს სხვა ბარონებთან მოთათბირებით“ გადაწყვეტს. ბატონის ქორწინება მხოლოდ მისი გადასაწყვეტი არ იყო, ეს მთელი სამეფო კარის საქმე გახლდათ. აქ საუბარია უზარმაზარ სასახლეზე, რომელიც ვასალური კავშირებით მთელ ჩრდილო საფრანგეთის ტერიტორიაზე იყო გადაჭიმული. ლუი „საკუთარი სულის გადარჩენაზე“ ზრუნავს, ხელახლა დაქორწინება ურჩევნია უკანონო ვნების ცეცხლით დანვას (თუმცა, საკითხავია, კვლავ თუ შეეძლო ვნების ცეცხლით დამწვარიყო?). მართლაც, კარგი საბაბიც გამოჩნდა: „მას შეეშინდა, რომ საფრანგეთის სამეფო იმ მემკვიდრის მიერ არ ყოფილიყო მართული, რომელიც მისი თესლიდან არ იქნებოდა გამოსული.“ მან მემკვიდრის ყოლის უზრუნველსაყოფად ტიბო ბლუელის ქალიშვილი შეარჩია, რომლის მამა მეფე არ ყოფილა, ქალს ძმები ჰყავდა და არანაირი მემკვიდრეობის მიღების იმედი არ ჰქონდა. მაგრამ ამ ქალში კარლოს დიდის დიდებული სისხლი ჩქეფდა და იმდენად ახალგაზრდა იყო, რომ ნაყოფიერების იმედს იძლეოდა. პრინციპში, ეს უკანასკნელიც მეფესთან ნათესაობით ძალიან ახლოს იყო, ლუი VII-მ ცოლად შეირთო საკუთარი სიძის და. ხუთი წლის შემდეგ ფილიპიც გაჩნდა.

“პაპობის ისტორია[2]“, რომელიც ამ მოვლენის ახლო პერიოდში შეიქმნა, 1160-1161 წლებში, სარწმუნო მოწმის - ჟან დე სალისბერის მეშვეობით განქორწინებას სრულიად სხვაგვარად წარმოგვიდგენს. 1149 წელს ნაწარმოების ავტორი ლუისა და ალიენორს ნახულობს, რომლებიც ჯვაროსნული ლაშქრობიდან მომავალნი რომაულ სოფელს პაპი ევგენი III-ის ამალაში გადაკვეთდნენ. რომის პაპმა „დაანყნარა ის უთანხმოე-

ბა, რასაც ადგილი ჰქონდა მეფესა და დედოფალს შორის ანტიოქიაში. მათი კამათის მოსმენის შემდეგ... მან წყვილს აუკრძალა მათ შორის არსებულ სისხლითნათესაობაზე საუბარი. პაპმა მათი ქორწინება დაადასტურა. მან სიტყვიერად და წერილობითაც ანათემის მუქარით აკრძალა ყური დაეგდოთ იმ პირებისთვის, ვინც გაკიცხავდა მათ ქორწინებას და მათ განქორწინებას მოითხოვდა... ბოლოს, პაპმა წყვილი ერთ სანოლში დაანვინა, რომელიც თავისი ყველაზე ძვირფასი სამკაულებით მორთო." ეს ეპიზოდი ძალზედ საინტერესოა. აქ სცენაზე პაპის პერსონა გამოდის, მონარქის, რომლის გადაწყვეტილება ყველაზე ავტორიტეტული იყო ეკლესიაში. პაპი მოითხოვს წყვილის ქორწინების შენარჩუნებას, რასაც ეგზოგამიაზე მაღლა აყენებს. იგი ინცესტს არ უპირისპირდება და მასზე ლაპარაკს კრძალავს. ამით პაპი იურიდიულ მანქანას აჩერებს: გარკვეული მიზეზების გამო განქორწინება არ მოხდება. პაპი ეთანხმება ამ ქორწინებას, ახალ საქორწინო ნადიმსაც მართავს. პაპი მათი სხეულების შეერთებას უწყობს ხელს, სამეფო წყვილს სარეცელამდე აცილებს, რომელიც საქორწინო რიტუალის ძირითადი საკურთხევლის მსგავსადაა მოკაზმული. ამ რიტუალში პაპს მამის ადგილი უკავია, რომელიც წყვილს დალოცავს და „ზნეობრივი" ცხოვებისკენ მოუწოდებს. მართლაც, ორივე მხრის მიერ გამოთქმული საყვედურების მოსმენის შემდეგ, პაპი თავისი პასტორალური ფუნქციის შესაბამისად იქცევა, იგი მომრიგებლის როლში გამოდის. ეს ეპისკოპოსის მოვალეობაა. მაგრამ რა შემთხვევაში? ცოლქმრული ღალატის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, ამაზე საკანონმდებლო კრებულები მოგვითხრობენ. საეკლესიო სამართალის მიხედვით, ავხორცობა გაყრის მიზეზია. მაგრამ ამ მიზეზით მომხდარი განშორება ხელახალ ქორწინებას გამორიცხავს. ამ პერიოდისთვის ლუის მხოლოდ ერთი ქალიშვილი ჰყავდა, მაგრამ იგი მეფე გახლდათ. საჭირო იყო, რომ სუვერენს ცოლი შეენაჩუნებინა. პარიზული ვერსია შემდეგი იყო: სამეფო ქორწინება მანკიერი მხოლოდ ინცესტის გამო არ იყო. „პაპობის ისტორია" ძვირფას ინფორმაციას გვანვდის. რომი ნებისმიერ სიახლეს კურიის საშუალებით ახმოვანებდა. ყველაფერი ანტიოქიაში დაიწყო. მეფემ და დედოფალმა იქ გარკვეული ხანი დაჰყვეს. საჭირო იყო ჯარის მოწესრიგება. ისინი უფლისწულ რაიმონდის, ალიენორის ბიძის სტუმრები იყვნენ. „უფლისწულის სიახლოვე დედოფლის მიმართ, მათი ხშირი და თითქმის განუწყვეტელი საუბრები, მეფის ეჭვებს აღრმავებდა." საუბრები, სიტყვები - კურტუაზული სიყვარულის პირველი რიტუალური ნაბიჯებია და სხვა სახის საიამოვნებას უმზადებს ნიადაგს.

როდესაც ლუი VII-მ იერუსალიმიდან გამგზავრება გადაწყვიტა, ალიენორმა არ მოინდომა მასთან ერთად წასვლა. როგორ უნდა აიხსნას რაიმონდ ანტიოქიელის დამოკიდებულება? ნუთუ იგი ერთობოდა? იგი ხომ ბიძა იყო. იმაზე ხომ არ ფიქრობდა, რომ თავად ჩაიგდო მდიდარი

მემკვიდრეობის პატრონი დისნული ხელში, შემდეგ კარგად გაეთხოვებინა და ამით თავადაც გამორჩენა ჰქონოდა? მას ესმოდა, რომ ქალს შეეძლო ხელახლა დაქორწინება არა მეფის ღალატის, არამედ მასთან ინცესტუალური კავშირის გამო. სწორედ ანტიოქიაში დაიწყო წყვილის ნათესაურ კავშირზე საუბარი. კაპეტინგურ ისტორიას სურდა, რომ ხალხს ერწმუნა მათი ნათესაობა მეფის ბიძაშვილების მხრიდან, თუმცა ეს ნათესაობა სხვა საგვარეულოდან მოდიოდა. დედოფალმა „დაადასტურა თავისი ნათესაობა, გამოაცხადა, რომ მათი ერთად ყოფნა მომავალში უკანონო იქნებოდა, რადგან მათ შორის ბიძაშვილობა ნათესაობის მეოთხე თუ მეხუთე მუხლით დასტურდებოდა." ალიენორი სიმართლეს ამბობდა, ხოლო ჟან დე სალსბერი კი ამატებდა: „ეს ამბავი უკვე საფრანგეთშიც გახდა ცნობილი, მაშინ, როდესაც სამეფო წყვილს ქვეყანა დატოვებული ჯერ არ ჰქონდა, როდესაც ლაონის ეპისკოპოსი - ბარტელემი ნათესაობის მუხლებს ითვლიდა, მაგრამ სიზუსტის გარანტიას არ იძლეოდა." ამ აღმოჩენამ ლუი VII შეაძრწუნა. შიშმა იგი შეცდომაში შეიყვანა. აბატი სუჟერი ერთ წერილში მეფეს ურჩევდა „ბოლმა" დაბრუნებამდე მოეთოკა[3]. თუმცა „მეფე დედოფალს დაუოკებელი სიყვარულით ეპყრობოდა... მას იგი უყვარდა (ეს იყო არა სულიერი, არამედ მინიერი, ხორციელი სიყვარული, რომელიც ხშორად ცოდვილია) გატაცებით და თითქმის ბავშურად." ჟან დე სალსბერის მიხედვით, მეფის შეცდომა ის იყო, რომ სენიორივით არ იქცეოდა. სწორედ ამას საყვედურობდნენ რეტროსპექტულად მის პაპას - ფილიპს. ცოლ-ქმარს შორის ბოროტება მაშინ შეაღწევს, როდესაც მამაკაცი ვნებას მიენდობა და ცოლის გავლენის ქვეშ მოექცევაო. ლუი ცოლთან გაყრას დათანხმდა, თუმცა რჩევას თავის საგვარეულოს წევრებს დაეკითხა.

აქ, მატრიმონიალური საკითხების გარკვევისას, ნათლად იკვეთება სისხლით ნათესავების (ვასალური კავშირებით) ურთიერთობის სპქციფიკა. XII საუკუნეში ახალგაზრდა ვასალებში ახალი მოდა გაჩნდა, ისინი ცდიდნენ თავიანთი ბატონის ცოლს, ეთამაშებოდნენ, თითქოს მისი სენიორისთვის წართმევა სურდათ. მაგრამ მათ მოვალეობას სენიორის თვალთავლიც წარმოადგნედა, რათა მას ცოლი არ გაეშვა და ისე არ შეერთო სხვა ქალი, რომ „მეგობრებს" არ მოთათბირებოდა. თუ ბატონი სიყვარულისგან ბავშვად გადაიქცეოდა და ვეღარ აკონტროლებდა საგვარეულოს, მაშინ ეს უკანასკნელი იშლებოდა. ალიენორს თავისი მომხრეები ჰყავდა, სხვებს კი აშკარად დასცინოდა, მათ შორის ერთ-ერთ ძალზე ერთგულ ნათესავს. ქალმა ამ უკანასკნელს საჭურისიც კი უნოდა. ეს კაცი ტამპლიერი ბერი იყო. ამ ადამიანმა, კურტუაზული რომანების ეჭვიანი გმირივით, მეფეს შემდეგი რჩევა მისცა: ცოლი სწრფად გაეშვა რადგან „იგი საფრანგეთის სამეფოს მარადიულ სირცხვილს მოსცხებდა; სხვა წარუმატებლობასთან ერთად, მასზე ასევე იტყოდნენ, რომ მეფეს ცოლი მოსტაცეს ან ცოლმა თავად მია-

ტოვაო.“ საფრთხე სირცხვილიდან მოდიოდა - მეფე ლუი „ცოლისგან შერცხვენილი იქნებოდა“ - როგორც რენარ ლე გუპილის მიერ გაკიცხული ისანგრენი. რაც შეეხება, სამუდამო სირცხვილს, აქ უკანონოდ შობილ შთამომავლობაზე ხომ არ არის ლაპარაკი? დადარდიანებული მეუღლეები ერთად გაემგზავრნენ. ნუთუ ევგენი III-მ მათ დარდი შეუმსუბუქა? ეს უკანასკნელი სიყვარულზე კი არა, მონყალებაზე საუბრობდა. მასაც სირცხვილის თავიდან აცილება სურდა და სნორედ ამიტომ ნყვილს კანონიერი მემკვიდრეობის შესაქმნელად სარეცელი მოუმზადა. პაპის აკრძალვის მიუხედავად, ლუი და ალიენორი სამი ნლის შემდგომ ბოჟანსიში ერთმანეთს მაინც გაეყრებიან.

იმ დროის სხვა ქრონიკები ჟან დე სალსბერის[4] თითქმის ყველა ცნობას ადასტურებენ. ლამბერტ დე ვატრელო[5], რომელმაც შეიძლება პირველმა აღნერა მეფის ცოლთან გაშორების ამბავი, ლუის „ბავშურობას“ აბრალებს. გიომ ტირელი[6] განიხილავს რა მესამე ჯვაროსნული ლაშქრობის ნარუმატებლობას, მიზეზად უფლისნულთა ცოდვებს მიიჩნევს. ავხორცობა იყო უმძიმესი შეცოდება, მაგალითად, რაიმონდ ანტიოქიელის მხრიდან, რომელსაც მეფის ცოლის მითვისება სურდა „ძალადობითა და საიდუმლო მანქანებით.“ მას გაუმართლა, ალიენორი „იმ გიჟი ცოლების“ რიცხვს განეკუთვნებოდა, რომლებსაც თამაში უყვარდათ. ქალმა გაუფრთხილებლობით „ქორწინების კანონი მეფური ღირსების საზიანოდ დაარღვია.“ ალიეონორი „ცოლქმრულ სარეცელზე მოღალატედ“ მოგვევლინა. გიომმა კარგად ანონ-დანონა ეს სიტყვები და იგივე მოგვითხრო, რასაც ანტიოქიასა თუ ტირში ფიქრობდნენ. საქმე ძალზედ ბანალურად გამოიყურებოდა, აშკარა იყო ცოლის მხრიდან ღალატი. XII საუკუნის ბოლოს ინგლისელი ისტორიკოსები უფრო მკაცრად განიკითხავენ ამ მოვლენას. ისინი ხან კეთილგანწყობილნი და ხანაც აგრესიულნი იყვნენ ჰენრი II-ის მიმართ, არც ალიენორი დაინდეს. გიომ ნიუბერგი წმინდა მიწაზე დამარცხებას მეფე ლუის ვნებებს აბრალებს[7]. ამ უკანასკნელმა ცუდი მაგალითი მისცა, წმინდა მიწაზე მოსალოცად თავისი ცოლიც რომ თან ნაიყვანა. საჭირო იყო ჯარის უქალოდ, უმწიკვლოდ შენარჩუნება და ჯვაროსნებიც თავშეკავებულნი უნდა ყოფილიყვნენ, რადგან მეომრებს ომი უნდა მოეგოთ. დამარცხების მიზეზი სწორედ დედოფალი, ახალი ევა, მაცდური და ცბიერი ქალი ხდება. ალიენორი გიომისთვის ისევე, როგორც ჟერეე კენტერბერიელისთვის[8], მოღალატე ცოლი გახლდათ. მეფის საქციელით უკმაყოფილო ქალი ნუწუნებდა, რომ ქმრად ბერი ჰყავდა. იგი სხვა „ქორწინებაზე“ ოცნებობდა, რომელიც „მის სურვილებს უფრო მეტად შეესაბამებოდა“. უფრო სწორედ, მის ტემპერამენტს. ალიენორმა განქორწინებას ეშმაკური ფიცით მიაღწია. ჟერარ გალელისთვის[9] იგი მელუზინია, ბოროტი ფერიაა, რომლითაც ინგლისის მეფეთა მოდგმა ლაფში გაისვარა. ამ საქმეში დადებითი როლი ჰენრი პლანტაგენეტს მიეწერება. ლუისგან

განსხვავებით, იგი ბავშვური არ იყო. ეს იყო „ყმანვილი“, ამ სიტყვის კარგი გაგებით, კურტუაზული რომანებისა და თავგადასავლების მოყვარული გმირი. მან ცოლი მოსტაცა საფრანგეთის მეფეს და „რაინდული სიყვარულით“ შური იძია თავისი წინაპრის, ფუკ რეშენის გამო. ამ საქმეში ცოდვილი ალიენორი გამოდის, რომელიც ორმაგად მოღალატეა. რადგანაც ჰენრიხის მამა, „ჟოფრუა პლანტაგენეტი, საფრანგეთის სენეშალობის პერიოდში ალიენორთან ინვა“. მამამ შვილს აუკრძალა ამ ქალისთვის თითის დაკარება ორი მიზეზის გამო: „რადგანაც იგი მისი სენიორის ცოლი გახლდათ. და ადრე კი ქალი მამამისთან იწვა. მეფე ჰენრიმ, მიუხედავად ამისა, გაბედა შეურაცხყოფა მიეყენებინა საფრანგეთის დედოფლისთვის და ცოლქმრული ღალატიც ჩადენილ იქნა.“ ალიენორი „დედოფალივით კი არა, მსუბუქი ყოფაქცევის ქალივით იქცეოდა“: ცისტერციენლი ბერი, ჰელინანდ ფრუამონელი ამ საკითხზე მეტს არაფერს ამბობს.[10]

ამ მაღალ სოციალურ დონეზეა წარმოჩენილი იერარქიზირებული საეკლესიო აპარატის წიაღში არსებული იურიდიული ფორმებისადმი ღრმა პატივისცემა, სადაც ყველაფერი უმტკივნეულოდ მიედინებოდა, ხოლო ივ შარტრელის გარდაცვალებიდან 30 წლის შემდგომ, ნათესაობის გამო ქორწინების აკრძალვა კიდევ უფრო აქტუალური ხდება. საეკლესიო ავტორიტეტები კრძალავდნენ ამგვარ ქორწინებას, მაგრამ გარკვეულ გამონაკლისებს მაინც უშვებდნენ. გიომ ნიუბერგი ამბობდა, რომ ალიენორისა და ჰენრის ქორწინება დაჩქარებულად შედგა. განა საფრანგეთის მეფის თხოვნით არ დაუპირისპირდნენ დასავლეთის პრელატები საკმაოდ აშკარა სისხლითნათესაობას? შესაძლოა, რომ ხშირად ინცესტის ეჭვის შემთხვევაში გარკვეულ გამონაკლისს უშვებდნენ და ეს წყალობა ამა თუ იმ ფორმით ანაზღაურებადი იყო. თუმცა არგუმენტები ხშირად საერო პირთა წისქვილზე ასხამდა წყალს. ერთმანეთის მიყოლებით ალიენორი და ლუი VII ამ გამონაკლისით სარგებლობდნენ. ნუთუ ნამდვილად სჯეროდათ, რომ ეს სირცხვილი იყო? არა მგონია, რომ პაპ ევგენი III-ს ამის სწამდა. იმ ავტორთა ნაწარმოებებში, რომლებიც სამეფო კარის ოჯახიდან იყვნენ, აშკარად იკვეთება სასიყვარული თამაშები, რიტუალური ფიგურები, ის ფორმები, რომელსაც მაღალ საზოგადოებაში ქალების შეცდენისათვის იყენებდნენ. უფრო აშკარაა ის თავისუფალი დამოკიდებულება ქალის მიმართ, რამაც თავი იჩინა უფლისწულთა შემთხვევაში: ალიენორი ანტიოქიაში სრულებიდაც არ იყო დაცული. თუ ისტორიას დავუჯერებთ, ეს უკანასკნელი არც პარიზში ყოფილა მიუღწეველი, თუმცა, შესაძლოა, მისი ურთიერთობა ჟოფრუა პლანტაგენეტთან გამოგონილი იყო. ცოლების მიმართ ამგვარი ეჭვები მუდმივად არსებობდა. მემკვიდრეების გარშემო განვითარებული სტრატეგია ამგავრ ცდუნებებს ამრავლებდა, უფრო ზუსტად, მემკვიდრე ქალების გარშემო, რომელთაც იცოდნენ რა თავი-

სი მდგომარეობის შესახებ, თავად წარმართავდნენ თამაშს. ყოველ შემთხვევაში იმ გარემოში, რომელსაც მე შევისწავლი, ცოლების ღალატი მხოლოდ მათ მეუღლეებს არ აფრთხობდა. ეს კარგად იცოდნენ რაინდებმა და კიდეც სარგებლობდნენ ამით. ეს გაყრის საბაბი ხდებოდა ხოლმე. მამაკაცი უნდა მორიდებოდა ამის გაკეთებას, რამდენადაც ეს სამარცხვინო საქციელი იყო. ყველამ იცის, რომ მეუღლის ავხორცობა შლის, არღვევს წყვილის კავშირს. ეკლესიის მესვეურები მომრიგებლების როლში გამოდიოდნენ და საქორწინო წესებს იცავდნენ. და ბოლოს, ლუი VII-ს ყველა სენიორალურ კარზე დასცინოდნენ, თუმცა ეკლესიის თვალსაზრისით, იგი კარგი მეუღლე გახლდათ, თავის ცოლზე შესაძლოა ზედმეტადაც კი იყო მიჯაჭვული. მეფე უფრო მეტ ყურადღებას საგავრეულოს კანონებს უთმობდა, მან დაივიწყა პაპის აკრძალვა და ქორწინებიდან 15 წლის შემდეგ მას კვლავ ქალიშვილი გაუჩნდა, ამის შემდეგ მეფე ალიენორს გაეყრა. თითქოს ამ ქალმა ვაჟის გაჩენა გადაიფიქრაო, აკვიტანია ხომ მაინც დაკარგული იყო. ეს ქალი უკვე არ გამოდგებოდა საფრანგეთის სამეფო კარისთვის. პირიქით, იგი ზიანის მომტანი იყო. გალიკანი ეპისკოპოსების თანხმობით, საეკლესიო სამართლის პატივისცემით, მეფე ალიენორს გაეყარა.

რაულ ვერმანდუელის გაყრა უფრო რთულად წარიმართა. ეს პროცესი ექვს წელიწადს გაგრძელდა. 1142 წელს რაულმა გადაწყვიტა ალიენორის დაზე დაქორწინება და ამისათვის ცოლს გაეყარა. ეს უკანასკნელი მისი ნათესავი იყო. მისი ძმა, ტურნეს ეპისკოპოსი, ბართელემი, ლაონის ეპისკოპოსი და სანლის ეპისკოპოსი მობრძანდნენ რაულისა და მისი მეუღლის ნათესაობის მუხლის განსასაზღვრად. რაულს თავის ცოლთან ნაკლებ ახლო ნათესაობა აკავშირებდა, ვიდრე ახალ მეუღლესთან. „ფიცის გატეხვის გარშემო ატეხილი ხმაური, ამბობს ჰერმან ტურნელი[11], მთელს რეგიონში გავრცელდა და ხმამ ტიბო შამპანელის წყალობით, სამოციქულო კარამდეც მიაღწია. ის ქალი, რომელიც რაულმა გაუშვა, მისი ახლო ნათესავი ყოფილა და მას აღარ შეეძლო ამ სირცხვილის ატანაო." ტიბო ოჯახის ღირსებას იცავდა, რომში სამართლის მიგება ითხოვა, სადაც ძირითადად საუფლისწულო საქმეებს განიხილავდნენ. პაპმა ეს ჩივილი მიიღო. ამან საქმის მოგვარებას შეუწყო ხელი. ამას შეეძლო ხელი შეეშალა საფრანგეთის მეფის გეგმისთვის, კერძოდ, საეპისკოპოსო არჩევნებზე სხვა საკითხში ნასულიყო დათმობაზე. პაპი ინოკენტი II ცისტერციანელ ბერებს უჭერდა მხარს. წმინდა ბერნარი კი შამპანის გრაფის, მისი მწყალობელის მხარეზე იყო. კლერვოს სააბატოს წერილები ისევე, როგორც ივ შარტრელისა, ამ მოვლენების შესახებ მოგვითხრობენ (საეკლესიო კუთხით).

„ის, რაც ეკლესიამ შეაერთა", წერს ბერნარი პაპს[12]. ბერნარი აშკარად პირველი აფიქსირებს ეკლესიის ამ ძალაუფლებას. 1084 წელს გოდლივის ბიოგრაფისთვის ქორწინების შემოქმედი უფალი იყო,

რომელიც წმინდა წერილზე დაყრდნობით, წყვილს აერთებდა. შემდგომ შეიძლება ითქვას, რომ ამ ფუნქციას მღვდლები ასრულებდნენ. წმინდა ბერნარისთვის მღვდლები მხოლოდ კავშირს კი არ ლოცავდნენ, არამედ რეალურად აკავშირებდნენ კიდეც მეუღლეებს. საეკლესიო იურისდიქციის გავრცელებამ საკვირველი ცვლილება გამოინვია - „ის, რაც ეკლესიამ შეაკავშირა, ნუთუ საძინებელ ოთახში დაიშლებოდა?" შესანიშნავი მწერალი, ბერნარი საძინებელში ორმაგ აზრს დებს. საძინებელი ის ადგილია, სადაც სენიორი სიყვარულს ეძლევა, კერძოდ, საწოლზე. ეს სიტყვაც სხეულს, ხორცს, ცოდვას უკავშირდება. მაგრამ საძინებელი ყველა დიდ სენიორალურ სასახლეში, განსაკუთრებით კი პაპის რეზიდენციაში, პატარა ოთახია, სადაც ფულს ინახავენ. აქაც სულიერება ფულით ირყვნება. ეს ცდუნება იზრდებოდა, ხელს უწყობდა სოციალური ურთიერთობების განვითარებას, კერძოდ, მეუღლეებს უფრო მეტ მოქნილობას ანიჭებდა და ასევე მენტალურ დამოკიდებულებებს ცვლიდა. მაღალი წარმოშობის მამაკაცთა სურვილს - მოიპოვოს ან მიატოვოს ეს თუ ის ქალი, ფულისადმი ინტერესი განსაზღვრავდა, რომელიც დიდების მოპოვების სურვილით იყო შენიღბული. ბერნარი პაპს აფრთხილებდა, რომ რაულის ქორწინების ლეგიტიმაციისთვის გამონაკლისი არ უნდა დაეშვათ.

ამბის გახმაურება აუცილებელი არ იყო. ლანიში, შამპანის გრაფის სამფლობელოში, ძალიან ახლოს კაპეტინგის დომენთან, პაპის ლეგატს საეკლესიო კრება მიჰყავდა. მისი გამოსვლა ძალიან ჰგავდა საუკუნენახევრით ადრე რობერტ ღვთისმოსავის წინააღმდეგ წარმოთქმულ სიტყვას. რაულს პირველი ცოლი უნდა დაებრუნებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ეკლესიიდან განკვეთდნენ. სამი ეპისკოპოსი თანამდებობიდან დაითხოვეს იმის გამო, რომ გაყრას დაუჭირეს მხარი. თავის მხრივ, ლუი VII, მაჭანკალი, გაიკიცხა, მანაც იარაღი აიხსა. დამარცხებული შამპანის გრაფი დანებდა. მაგრამ ბერნარი არ დანებდა, არც ეკლესია, რომელიც ნარმავალ ნუთისოფელს სულიერ ძალაუფლებას უქვემდებარებდა. აბატი პაპს სწერდა, რომ მსხვერპლი ხელიდან არ გაეშვა. იგი ტიბოს სხვა ქორწინებებისთვის აქეზებდა, კერძოდ, მისი უფროსი ვაჟისა ფლანდრიაში და ქალიშვილისა - სუასონის გრაფის ოჯახში. მალე მეფემ გააპროტესტა, მაგრამ მას ურჩიეს, რომ მატრიმონიალური გეგმები მისი მამულის მომავალთან იყო დაკავშირებული, რომელიც შამპანის გრაფს მეფისგან ჰქონდა ნაწყალობები. უთანხმოება სენიორის პრეტენზიებმა გამოინვია. მას სურდა ნათესავებთან შეერთება ვასალური ქორწინების კონტროლისთვის. რა იყო ამის საბაბი? ფეოდი მემკვიდრეობით გადადიოდა. იგი თაობიდან თაობას მამაკაცის ხაზით გადაეცემოდა. თუ მამაკაცები ერთი სისხლისანი იყვნენ, მაშინ ეს გვარი ლენურ დამოკიდებულებას ინარჩუნებდა, რამდენადაც მეგობრობას ეფუძნებოდა. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მემკვიდრე სიძე

იყო, სხვა საგვარეულოს წევრი, შესაძლოა, „მეგობრულად“ აღარ მოქცეულიყო. სენიორი თავის სიტყვას მხოლოდ ქალიშვილების დანიშვნის წინ ამბობდა.

იმ დაძაბულ თამაშში, რომელსაც ლუი VII კლერიკალთა მაქინაციების წინააღმდეგ ანარმოებდა, იგი ურაყოფდა ორივე მხარის თანხმობის (დანიშნულთა) კანონიერებას, რომელსაც შამპანის გრაფმა მიაღნია. ეს თანხმობა მიღწეულ იქნა ფეოდალური ჩვეულების სახელით, თუმცა, კვლავ კამათობდნენ ინცესტზე. ჰერმან ტურნელი სნორედ ამის შესახებ მოგვითხრობს. წმინდა ბერნარმა ქორწინება ნათესაობის მიზეზით აკრძალა[13], რასაც ჰენრი ლოზანელის მსგავსად, კიცხავდა და ხორციელ მოვლენად მიიჩნევდა. იმ პერიოდში, როცა ჰუგო სენ-ვიქტორელი მოღვაწეობდა, ნელ-ნელა სულიერების სახელით, ინცესტის გაგება იმ პრივილეგირებული მდგომარეობიდან განიდევნა, რომელიც მას ივ შარტრელის ეპოქაში ქრისტიანული საზოგადოების რეფორმატორთა შორის ეკავა. იგი მეორე პლანზე გადავიდა, რადგან მჭიდროდ დაუკავშირდა სხეულსა და სისხლს. ხოლო ცოლქმრული კავშირი სულთა კავშირი გახდა. წმინდა ბერნარმა იგი ეკლესიის მიერ დამყარებულ კავშირად შერაცხა. ამჯერად იგი ამბობდა, რომ ეს კავშირი, რამდენადაც ძლიერია, სისხლისმიერია, რღვევას ვერ აიტანსო. „თუ არსებობს სისხლით ნათესობა, წერს იგი (შამპანის, ფლანდრიისა და სუასონის დანიშნულთა შორის), მე ამაზე არაფერი ვიცი, მე არასოდეს დავთანხმებივარ და არც არასოდეს დავეთანხმები უკანონო ქორწინებას. მაგრამ იცოდეთ, რომ თუ ხელს შეუშლით ასეთ ქორწინებებს, თქვენ დაასუსტებთ ეკლესიას და მნიშვნელოვან ძალას გამოაცლით მას.“ არსად სხვაგან არ ჩანს უფრო ღიად ფუნდამენტური კავშირი ქორწინებაში ურღვევი წმინდა საიდუმლოს პრინციპსა და ეკლესიის საჭიროებას შორის, რომელსაც არაფრის დათმობა არ სურდა თავისი ძალაუფლებიდან.

საბოლოოდ ტიბომ უკან დაიხია. მაგრამ რაულმა და საფრანგეთის მეფემ თანხმობას მხოლოდ 1148 წელს მიაღნიეს. ჟან დე სალსბერი, რომელიც ევგენი III-ის გარემოცვაში იყო, „პაპობის ისტორიაში“ მოგვითხრობს, თუ როგორ გაიგო რაულმა, რომ კარდინალთა კოლეგიას უნდა შეთანხმებოდა[14]. სწორედ აქ იღებდნენ გადაწყვეტილებებს. „ფულის შემოტანა, წერს ირონიულად ჟან დე სალსბერი, გამორიცხული არ არისო.“ ყველაფერი საიდუმლოდ მოგვარდა. მხოლოდ საზეიმო რიტუალი ჩატარდა, პაპის კონსისტორიის წინაშე, რომელიც რეიმსში იყო. რაული დანიშნულ დღეს გამოცხადდა. იგი დარწმუნებული იყო საკუთარ სიმართლეში და ფიცი დადო, რომ პაპის ბრძანებას დაემორჩილებოდა. მისი პირველი ცოლიც აქ იყო. ორივე მხრის თანხმობა ნათლად გაცხადდა და ქორწინებასაც საფუძველი ჩაეყარა. ეს განხეთქილება ითხოვდა, რომ ორივე მეუღლე პირისპირ გასაუბრებოდა ერთმანეთს, სხვები კი გარეთ დალოდებოდნენ. პაპი ევგენი მზად იყო დაერღვია ის გადან-

ყვეტილება, რომელიც მისმა წინამორბედებმა განაცხადეს. პაპმა პროცესი გახსნა, მან ჯერ ცოლს მიმართა, ქალის უკან კი მის მხარდასაჭერად მოსული ნათესავები იდგნენ. გაყრილი ცოლების მხარდამჭერი რომის ეპისკოპოსი ქალს კეთილგანწყობას შეჰპირდა: „შენ ჩივი, რომ არ მოგისმინეს, რომ შენზე ძალა იხმარეს, მოწინააღმდეგე მხარემ გული დაგწყვიტა. მე შენ სამართლიან გარემოში შემყავხარ, შენ და შენიანები, თვად გრაფიც. რაზეც გსურთ, იმაზე იმსჯელეთ." მხოლოდ ქალმა დააფიქსირა თავისი პოზიცია, რომ მას არ სურდა ქმართან დაბრუნება, რომლის სულიერებაც ადრე მას ხიბლავდა. ქალმა მადლობა გადაიხადა. მან დიდი სიამოვნებით მოუსმინა მოწინააღმდეგე მხარეს. ამჯერად რაულის მხარდანჭერნი დაწინაურდნენ, „რათა სახარებაზე დაეფიცათ იმ ნათესაობის არსებობა, რომელიც წინა ჯერზე გააყალბეს." მათ სათავეში ბართელემი ლაონელი, წმინდა ადამიანი, წმინდა ნორბერტისა და წმინდა ბერნარის მეგობარი იდგა. პაპმა იგი ფრთხილად შეაჩერა მაშინ, როდესაც მისი ხელი სახარებას შეეხო, თუმცა ფიცი მაინც მიიღეს. მალე გაყრა გამოცხადდა. ქორწინება ინცესტუალური იყო, ის აღარ არსებობდა. მამაკაცსაც და ქალსაც შეეძლოთ ხელახლა დაქორწინება. თუმცა ვერმანდუას გრაფს ყოფილი ცოლისთვის მზითვი უნდა დაებრუნებინა. იქვე გაირკვა, რომ გრაფ ტიბოს კომპენსაცია მიუღია. ამ ცერემონიალის მთელი ხელოვნურობა აშკარად გამოვლინდა. ზოგიერთმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნო, მაგალითად, წმინდა ბერნარმა. იგი გაბრაზდა ტრიუმფატორი გრაფის შემყურე, „რომელიც დიდი ხნის მანძილზე ეკლესიას შეურაცხყოფდა". ბერნარმა ინინასწარმეტყველა, რომ გრაფის „სანოლიდან არაფერი კარგი აღარ გამოვიდოდა." ეს წინასწარმეტყველება, უან დე სალსბერის თუ დავუჯერებთ, ნაწილობრივ ახდა. გრაფს მეორე მეუღლე მალე გარდაეცვალა. მან სამი შვილი დატოვა. ბიჭს კეთრი შეეყარა, რაც ცოდვის ნიშანი იყო. მემკვიდრეობა ორ გოგონას რჩებოდა. ისინი კარგად გათხოვდნენ, ერთი ფლანდრიის გრაფს მისთხოვდა, ხოლო მეორე - ნევრის გრაფს. მაგრამ მათ შვილები არ გაუჩნდათ. უფალმა ცოლქმრული ღალატი ამ მხრივ დასაჯა. რაულმა მესამე ცოლი მოიყვანა და მალე დაავადდა კიდეც. ექიმმა მას სექსუალური ცხოვრება აუკრძალა. იგი ცოლიანი კაცი იყო და ლიბიდოს ტყვეობაში იმყოფებოდა. რაულიც არ დაემორჩილა აკრძალვას და სამი დღის შემდეგ კიდეც გარადიცვალა. ამ ისტორიის მორალი შემდეგია: აქ ორმაგ მორალთან გვაქვს საქმე. აშკარაა, უან დე სალსბერი არ ფიქრობდა იმაზე, რომ ვერმანდუას გრაფის სისხლი ინცესტით იყო შელახული. მესამე თაობამდე თუ მიაღწევდა ეს წყევლა, ვერავინ იფიქრებდა. რაული ძირითადად ორი დანაშაულის გამო დაისაჯა: ავხორცობის, რომლის მოთოკვა ვერ შეძლო (ყოველ შემთხვევაში, ცოლის მართვაც კი ვერ შეძლო) და მეორე ის, რომ მან „ეკლესია შეურაცხყო". აქედან მეორე გაკვეთილი: ცოდვილი, რომელიც მღვდლების სამართალს დაემორჩილე-

ბა, შენდობილია. კეთილი ქრისტიანი მზად უნდა ყოფილიყო ამგავრი თამაშისათვის. ეს ეშმაკური თამაშია და იგი ამძაფრებს იმ „სიხარბეს“, რომელიც საეკლესიო იერარქიის ყველაზე მაღალ საფეხურზე გვხვდება. ევგენი III-მ რეიმსში ქორწინება დაარღვია, ხოლო მომავალ ნელს ტუსკულუმში კი კვლავ განაახლა. პაპი ყოველ ჯერზე ამბობდა, რომ ეს ეკლესიის „სასარგებლოდ“ კეთდებოდა. მთავარი კი ის იყო, რომ ეკლესიის ავტორიტეტი აღიარებული გახლდათ.

XII საუკუნის მეორე ნახევარში ეკლესია კიდევ უფრო გაძლიერდა. პაპებს შორის უკვე მეცნიერებიც გვხვდებიან, მაგალითად, ალექსანდრე III (1159-1180), მანამდე გამოჩენილი იურისტი, მეტრი როლანდი. ფრიდერიხ ულალწვერას მიერ რომიდან განდევნილი, იგი დიდხანს ცხოვრობდა საფრანგეთში, ლუი VII—თან მეგობრობდა. ივ შარტრელის მსგავსად, იგი პასუხებს აძლევდა ეპისკოპოსებს, რომლებიც მას შეკითხვებს უსვამდნენ ქორწინების შესახებ. ამ საკითხებს სწორედ როლანდი წყვეტდა და თავისი წინამორბედებისგან განსხვავებით ბევრად ყურადღებით საუბრობდა მატრიმონიალურ საკითხებზე. იგი შემდეგი პრინციპებით ხელმძღვანელობდა: მთავარი იყო მიცემული სიტყვის ურღვევობა, ეკლესიაში მღვდლის წინაშე მექორწინეთა საზეიმო განწყობა. ასევე, მნიშვნელოვანი იყო ლიბერალობით, მოქნილობით განხორციელებული ძალაუფლება გარემოებათა და ადამიანთა მიმართ. ევგენის პაპობის პერიოდში დაჩქარდა მოძრაობა, რომელიც მიმართულ იყო ეკლესიისა და საგვარეულოთა მეთაურების მიერ ნაქადაგები მორალის შეთანხემბისკენ. ევგენის პაპობის შემდგომ კაპეტინგის ოჯახში უკანასკნელმა კრიზისმა იფეთქა, რომელიც პოლიტიკური მომენტებით იყო განპირობებული.

ახალგაზრდა ფილიპი, ლუი VII-ის ვაჟი, 1180 წლის 28 აპრილს დააქორწინეს. მამამისი უკვე აღარ აქტიურობდა. თავისი უკანასკნელი ქორწინების შემდგომ იგი შამპანელების მხარეს გადავიდა. მოზარდი ფილიპი, ამ ასაკისთვის დამახასიათებლი ბუნებრივი ნინააღმდეგობის გამო კი, ფლანდრიის გრაფის - ბოდუენისკენ. ეს უკანასკნელი კაპეტინგებთან ნათესაურ კავშირში იყო. ფილიპმა იცოდა ის წინასწარმეტყველება, რომელზეც მთელი რეგიონი საუბრობდა. ჰუგო კაპეტის მეშვიდე თაობიდან (მეშვიდე თაობა სწორედ ფილიპის თაობა იყო) საფრანგეთის გვირგვინი კარლოს დიდის მარჯვენა შტოს ხელში გადავიდოდა[15]. ბოდოენს თავად შვილი არ ჰყავდა, მისი ცოლი დაისაჯა მამის, რაულ დე ვერმანდუასადმი დაუმორჩილებლობის გამო. მიუხედავად ამისა, ბოდოენს ცოლი არ გაუშვია. მისი ზიზღი გაყრის მიმართ, რაც საუკუნე-ნახევრით ადრე სხვებს არა მხოლოდ დაშვებულად, არამედ საჭიროდაც კი მიაჩნდათ, დიდებულებზე სასულიეროთა ნაქადაგები მორალის გავლენის ნიშანი გახლდათ. თუმცა ბოდუენს დისწული ჰყავდა, რომელიც ძალიან უყვარდა და შვილივით ექცეოდა და რომლის

მამა, ენოს გრაფი, ასევე კაროლინგების შთამომავალი, კვლავ კარლოს დიდის ლეგენდით იყო მოხიბლული. ელისაბედი ერთი წლით ადრე საზეიმოდ დანიშნეს შამპანის გრაფის ვაჟზე. თუმცა ეს ხელშეკრულება დაირღვა. მაშინ გოგონა მხოლოდ ცხრა წლისა იყო. იგი ფილიპის საცოლე გახდა, რომელიც 15 წლისა იყო. ქორწილი გოგონას სრულწლოვანების შემდგომ უნდა შემდგარიყო. 1184 წელს გადაწყვიტეს, რომ ამის დრო მოვიდა, მაგრამ შუალედში კავშირი დაირღვა. ფილიპი შამპანელი ბიძების (დედის მხრიდან) გავლენის ქვეშ მოექცა, რომლებიც ქორწინების ჩაშლას ცდილობდნენ. ბოლოს სანლისში საეკლესიო კრება შედგა. კრებაზე საუბარი დაიწყო სისხლითნათესაობაზე. ფლანდრიისა და ენოს ქრონიკოსები მოგვითხრობენ, რომ ახალგაზრდა ელისაბედი ქალაქის ქუჩებში დასეირნობდა, ფეხშიშველი, ხოლო უკან კეთროვანები, ავადმყოფები მიჰყვებოდნენ, რომლებიც მასთან ერთად სასახლის ფანჯრების ქვეშ თავიანთ უფლებების დარღვევას აპროტესტებდნენ. ფილიპმა მიიღო თავისი მეუღლე, მაგრამ „მასთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა, ქმრის მოვალეობას არ ასრულებდა." ცოლი კი ძალიან ახალგაზრდა იყო. არადა მან ისიც იცოდა, რამდენი გათხოვილი გოგონა იყო მის ასაკში უკვე დაფეღმძიმებული. 1187 წელს მან ვაჟი, ლუი გააჩინა. მაგრამ ქალი მალე გარდაიცვალა, შესაძლოა იმის გამო, რომ ასე ახალგაზრდამ იმშობიარა. თუმცა თავისი ფუნქცია შეასრულა. ბიძამ და ბიცოლამ იგი კარგად გაამზითვეს. ქვრივი მეფე, თავისი ვაჟის სახელით, ცოლის მდიდარი მემკვიდრეობის მფლობელი გახდა.

მალე ფილიპი ჯვაროსნულ ლაშქრობაში გაემართა. იქიდან ავადმყოფი, შეშფოთებული დაბრუნდა, მაგრამ დაქორწინება კვლავ სურდა, მამამისივით, რომელიც ორჯერ დაქორწინდა და იმავე მიზეზით: მას „ენების ცეცხლი" წვავდა. ამას დინასტიური მოვალეობაც მოითხოვდა. პატარა ლუი სუსტი გახლდათ და მეფე ბევრს ფიქრობდა წინასწარმეტყველების შესახებაც. მისთვის მაღალი წარმოშობის, მეფის ქალიშვილი უნდა შეერთოთ ცოლად. 1193 წლის 14 აგვისტოს ფილიპმა ინგებორდ დანიელი შეირთო. ყველაფერი მზად იყო იმისათვის, რომ ქორწილის მეორე დღეს ქალისთვის თავზე გვირგვინი დაედგათ. დილით მეფემ გამოაცხადა, რომ ახალი ცოლი აღარ სურდა. უეცრად, ქორწინების ღამეს მეფეს (როგორც წმინდა გოდლივის ქმრის შემთხვევაში) სიყვარული სიძულვილით შეეცვალა. ბერი რიგორი გვიხსნის: იგი, როგორც გიბერ ნოჟანელის მამა, დაქორწინებული მამაკაცი „ეშმაკის ცდუნებამ" შეიპყრო. მაგრამ მეფე შვიდი წელიწადი ვერ დაიცდიდა ამ ამბის საბოლოოდ გარკვევამდე. კომპიენში რეიმსის არქიეპისკოპოსის მეთაურობით შეკრებილ ეპისკოპოსთა და ბარონთა ასამბლეის წინაშე 15 მსაჯული წარსდგა, რომელთაგან 12 სამეფო ოჯახიდან იყო, ისინი ნათესაობის მუხლებს ითვლიდნენ და ამტკიცებდნენ, რომ მეუღლეები ნათესაობის მეოთხე მუხლით იყვნენ დაკავშირებულნი. ეს

ყველაზე მარტივი გამოსავალი იყო. მაგრამ ინგებორდის ძმამ, დანიის მეფემ, ტიბო შამპანელის მსგავსად, ასეთი სირცხვილი ვეღარ აიტანა. როგორც ტიბომ, მანაც პაპს მიმართა. არასწორედ გამოითვალეს ნათესაობაო. მან თავად შექმნა ზუსტი გენეალოგია. ცელესტინ III-მ ფილიპი დაიცვა, ეს საკმაოდ ფრთხილი ნაბიჯი გახლდათ. 1196 წლის ივნისში მეფემ სხვა ცოლი შეირთო, აგნესა, მერანის ჰერცოგის ქალიშვილი. ინგებორდი ცოცხალი იყო, შესაბამისად, მეფეს ბიგამიაში ედებოდა ბრალი. ახალმა პაპმა, ინოკენტი III-მ, რომელიც 1198 წელს გახდა პაპი, მეფე, თეოკრატიული პრეტენზიებიდან გამომდინარე, თავისთან დაიბარა და უბრძანა „ცრუ მეუღლის" გაგდება. ამით მეფეს წერტილი უნდა დაესვა არა მარტო ცოლქმრული ღალატისთვის, არამედ ინცესტისთვისაც, რადგან აგნესას და ფილიპ ავგუსტუსის დისნულის ცოლი გახლდათ. პაპის ლეგატმა, პიერ დე კაპუმ მეფე ეკლესიიდან არ განკვეთა, მაგრამ მის სამეფოში ღვთისმსახურების წარმოებაზე აკრძალვა დაანესა. დაინყო გარიგება, რომელმაც 15 წელს გასტანა. იმის მიხედვით, პაპი ძლიერი იყო თუ არა, სიბრაზე ან მონყალება ერთმანეთს ენაცვლობდა. ამავე დროს, ერესის პრობლემა წარმოიშვა, ეს იყო კატართა დიდი ამბოხის ხანა. ასეთ ვითარებაში საკმარისი აღმოჩნდა ფილიპის გარეგნული მორჩილება, მან კარდინალთა განაჩენი მიიღო და სანქციაც მოიხსნა. 1201 წელს სუასონში პროცესი გაიმართა ორი ლეგატის თანდასწრებით, ერთი მეფის ნათესავი იყო, მეორე კი შეურიგებელი, ძველი ბენედიქტელი ბერი. კამათმა იურისტებს შორის ორ კვირას გასტანა. ერთ დღეს კი ფილიპმა უკან დაიხია და ინგებორდი დაიბრუნა. რიგორისთვის ამით „მეფე რომის კლანჭებს დაუძვრა."

ამიერიდან პაპს, როგორც არასდროს, ისე სჭირდებოდა კაპეტინგთა მეგობრობა და მეფის ნარგზავნილებიც პაპის კურიაში მუშაობდნენ. აგვისტოში აგნესა გარდაიცვალა, ინგებორდი კი ცოცხალი, მაგრამ - მიტოვებული და შესაბამისად, დედობაც აღარ ევალებოდა. ფილიპი ბიგამიაში აღარ იყო დადანაშაულებული, მაგრამ ცოდვაში კი გახლდათ ბრალდებული - 1205 წელს „არასელმა ქალიშვილმა" მას უკანონო შვილი გაუჩინა. ნუთუ მეფის სულს საფრთხე ემუქრებოდა? თუმცა მეფე პროტესტს გამოთქვამდა, მას გაცილებით მკაცრად მოექცნენ, ვიდრე ფრიდრიხ ულალწვრას, ჯონ უმინაწყლოს, მამამისს, ლუი VII-ს. ამ უკანასკნელებმა ისე დაანყვეს თავიანთი საქორწინო გეგმები, რომ პაპი კმაყოფილი დარჩენილიყო და მართლაც, პაპი მოლბა. 1201 წლის ნოემბერში მან კანონიერად ცნო აგნესა მერანელისგან შობილი გოგონა და ვაჟი, რათა ხალხისთვის დაემტკიცებინა, რომ სამეფო ტახტის მემკვიდრეობა შემთხვევითი მოვლენა არ გახლდათ. ნუთუ ფილიპი ასეთი დამნაშავე იყო? იგი კომპიენში ჩავიდა. მან ეკლესიის ავტორიტეტი აღიარა. ნაბიჯ-ნაბიჯ კომპრომისი მიღნეულ იქნა. სისხლითნათესაობის საბაბი გამოირიცხა, დასახელდა სხვა მიზეზი: ქორნინება შემდეგარი

არ ყოფილა ანუ წყვილთა კავშირი არ მომხდარა. გაიხსენეს პაპი ალექსანდრე III-ის გადაწყვეტილება, რომელმაც 15 წლის ბიჭს ნება დართო კვლავ დაქორწინებულიყო. ქორწინების პირველ ღამეს მეფემ მასზე 3 წლით უმცროს ცოლს დიდი ტკივილი მიაყენა. წინააღმდეგობა ინგებორგიდან მოდიოდა. მას არ სურდა იმის აღიარება, რომ ქმართან კავშირი არ ჰქონია. კაზუისტები ზღვარს ავლებდნენ „სქესთა კავშირსა" და „ქალის სხეულში სპერმის შეღნევას შორის". ერთი გამოსავალიღა რჩებოდა - დედოფალი მონასტერში უნდა გამოეკეტათ. 1213 წლის აპრილს, პაპის მხარდაჭერით, ფილიპი ინგლისის ასაოხრებლად გაემზადა. მან გამოაცხადა, რომ ცოლი უკან დაიბრუნა. მეფე სადღაც 50 წლისა იქნებოდა. მისი ვაჟ ლუის კი ბიჭი შეეძინა. საქმე ამით დაიხურა.

საქმე პერიოდული გამოცოცხლებით მაინც გრძელდებოდა, რაც სასულიერო ელიტის მსჯელობებით იყო გამოწვეული. წარმოვიდგინოთ, ინტელექტუალური ძალისხმევა, როდესაც რჯულის მეცნიერები ნორმატიულ ტექსტებს შორის არსებული წინააღმდეგობების შემცირებას ცდილობდნენ, სამართლის მიმგებნი თავიანთ ქალაქში კონკრეტული სირთულეების გადაეჭრაზე მუშაობდნენ. საბოლოოდ, პარიზში ბიბლიის კომენტატორები, რომლებიც ამოსავალ ნერტილად ქორწინების მეტაფორას იყენებდნენ, საეკლესიო სხეულსა და ღვთიურ შთაგონებას შორის არსებულ კავშირზე მსჯელობდნენ. ეს მსჯელობები ღვთისმშობლის გვირგვინით შემკობის გამოსახულების შექმნით დასრულდა, რომელიც სანლის ტაძრის ტიმპანზე გამოეკვეთათ მოქანდაკეებს იმ პერიოდში, როდესაც ფილიპმა ინგებორგი გააგდო. ღვთისმშობელი-ეკლესიის მეუღლე-ქრისტეს ერთ სიბრტყეზე გამოხატვა მეუღლეთა თანასწორობის ამსახველი ფაქტი იყო. მაგრამ გვირგვინის დადების ჟესტი უკვე სპობს დედის მიმართ ვაჟის სუბორდინაციას, ავითარებს აზრს, რომ ქმარი ოჯახის უფროსია, ხოლო ქალი - მასზე დაქვემდებარებული. ყოველ შემთხვევაში ამგავრი სიმბოლიკის განვითარებით, ქორწინებას ხოტბა შეესხა. აპოკალიფსის განმარტებებში, გი ლობრიშონი აღნიშნავს, რომ XIII საუკუნის დასაწყისიდან ცოლქმრული კავშირისადმი მეტ უპატივისცემულობას აღარსად ვხვდებით.

მაგრამ პარიზული სკოლების მეტრები, კარგი მქადაგებლების ფორმირებისთვის, „გაკვეთილს", საღვთო სიტყვის კომენტარების კითხვას გარკვეული მორალური დასკვნების გასაკეთებლად იყენებდნენ. ისინი წმინდა ტექსტს ყოველდღიურობას, სოციალურ რეალობას უსადაგებდნენ. დამრიგებლურ ისტორიებს არჩევდნენ. ამგვარ მეცნიერთა შორის ბევრი სამეფო სამლოცველოში მსახურობდა. ბევრი მათგანიც პირდაპირ იყო ჩართული გაყრის საქმეში და უშუალოდ მონაწილეობდა პროცედურაში. მაგალითად, პიერი, პარიზის ღვთისმშობლის ეკლესიის კაპიტულოს მგალობელი[16]. იმ ჩანაწერების მიხედვით, რომელიც მის სნავლებას გადმოგვცემს, ჩანს, რომ იგი მატრიმო-

ნიალური საკითხებით გახლდათ დაკავებული და ჯერ კიდევ სუსტი და ჩამოუყალიბებელი იყო ამ საკითხში: „ქორწინება ეკლესიის მთავარი საიდუმლოა. იგი სწორედ ეკლესიამ დააფუძნა, რადგანაც სამოთხეშია ჩასახული... მიკვირს, რომ იგი ასეხშირად იცვლება, სხვა არც ერთი საიდუმლო არ განიცდის ასეთ დიდ ცვლილებებს.[17]" შეცდომა პაპის უკანონო მოქმედებები იყო. პაპი გახდა სამართლის მიმგები: „მხოლოდ მას აქვს დეკრეტების შესწორების, მისი ახსნის და გაუქმების უფლება." ლიონის არქიეპისკოპოსმა, ჟან ბელესმენმა (1182-1193) რომში გამგზავრებისას ეს პარიზის მეცნიერებს უთხრა კიდეც, რომლებიც საცოდავი ხალხის გონებაზე სასულიერო ტექსტებით მოქმედებდნენ. ამგვარი მაქინაციები სარგებლიანი იყო. საშუალებას იძლეოდა უკეთ მიეყიდათ თავისუფლება, თუნდაც ნათესაობის მესამე მუხლის ბიძაშვილებისთვისაც კი. ერთმა მეტრმა, რობერტ დე კურსონმა მაგალითად ალიენორის შემთხვევა მოიყვანა[18]. ქალმა ინდულგენცია მოიპოვა, რაც მას უფლებას აძლევდა ჯერ ლუი VII-თან დარჩენილიყო, ხოლო შემდეგ ჰენრი პლანტაგენეტს გაყოლოდა. მეტრი საკუთარ თავს ეკითხება: პაპობა, რომელიც ასეთ დარღვევაზე მიდიოდა, ამას ნამდვილად ქრისტიანული საზოგადოების „ხსნისთვის" აკეთებდა? ასეთ დარღვევებს კი ომები მოჰყვა. თუმცა მორალისტებისთვის ამ ცვლილებებზე პასუხიმგებელნი ძირითადად კურიის წევრები იყვნენ, რომაული კურიისა და თითოეულ საეპისკოპოსოსთან არსებული ადგილობრივი კურიების წარმომადგენლები. ისინი ამხელდნენ სამართალდამცველების სიხარბეს და მექრთამეობას, რის გამოც საქმეები პაპის ტრიბუნალიდან უფრო მოწყალე ადგილობრივ იურისდუქციებში განიხილებოდა. პიერ მგალობელი თავის მოგონებას გვთავაზობს. მისი ნათესავები (წყვილი) მასთან საკონსულტაციოდ მივიდნენ. ამ ხალხმა იცოდა, რომ „ნათესაობის მეშვიდე მუხლით" იყო ერთმანეთთან დაკავშირებულნი და ეს ამბავი აწუხებდათ. ქადაგებისა და სასულიერო მორალის სნრაფი განვითარება საერო პირებს დანაშაულის გრძნობას უმძაფრებდა. რა უნდა გაკეთებულიყო მათ დასამშვიდებლად? „რომში წასულიყვნენ, მაგრამ საქმეს არ უნდა შეშვებოდნენ, სანამ გარკვეულ პასუხს, ან დადებითს ან უარყოფითს არ მიიღებდნენ." ეს წყვილი სანსის არქიეპისკოპოსთან გაგზავნეს, რომელმაც, თავის მხრივ, ისინი პარიზის ეპისკოპოსთან მიავლინა. ამ უკანასკნელმა ეს ქორწინება დაადასტურა. ეს ჭკვიანური ნაბიჯი იყო, მაგრამ არ ეთანხმებოდა ივ შარტრელის პრინციპებს. ამასობაში დრო და ფული დაიხარჯა. რობერტ დე კურსონი[19] იმ ადამინებს კიცხავდა „რომლებიც ეკლესიაში ფულს იღებდნენ, რათა განქორწინება გაეფორმებინათ. ისინი მატრიმონიალურ კავშირს შლიდნენ და ამით ბოროტ საქმეს აკეთებდნენ." ამას სკანდალური რეაქცია მოჰყვა, მატრიმონიალური ცერემონიალი კონტრასტულ ვითარებაში, თავაშვებულობასა და სინმინდეს შორის იმართებოდა. ეტიენ ლანგტონმა ინგლისიდან შემ-

დეგი ამბავი ჩამოიტანა[20]: მეფემ, როგორც მისმა წინამორბედმა - ანრი I-მა, მოისურვა „კანონით შეუსაბამო პიროვნებების დაქორწინება". მან პაპს მისწერა, რათა ამ უკანასკნელს გამონაკლისი დაეშვა. ერთმა კარდინალმა ეს წერილები ნახა და წერდა: „მე ვფიქრობდი, რომ მეფე საქმის ყურში იყო." მიზნის მისაღწევად უფრო მოკლე გზაც არსებობდა. შესაბამისად, მეტრს შემდეგი დასკვანა გამოაქვს: „ეკლესია დიდ დათმობებზე მიდის და იმასაც ეთანხმება, რაც დაუშვებელია." მიუღებელი იყო მექრთამეობა, სიყალბე, ცრუ ფიცი, ფულის ჩხრიალი, რომელიც ქორწინების კანონს ხშირად ცვლიდა, რაც ეგზოგამიისა და განუყრელობის მოთხოვნას ეწინააღმდეგებოდა.

პიერ მგალობელმა ერთი რაინდისგან, რომელიც დაქორწინებას აპირებდა, შემდეგი რამ მოისმინა[21]: „მე ეს ქალი მომწონს, რადგანაც მას დიდი მზითვი აქვს. უეჭველია, რომ იგი ჩემი ახლობელია ნათესაობის მესამე მუხლით, რაც არც ისეთი ახლო ნათესაობის მაჩვენებლია, რომ ამის გამო დავშორდე. მაგრამ თუ მე მოვისურვებ და თუ ქალი აღარ მომეწონება, სნორედ ამ ნათესაობის გამო შემიძლია გავეყარო კიდეც." ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ „ეს ჩახლართული სისხლითნათესაური კავშირები და ახლობლობა დაუსრულებელი დარღვევების რიგს ინვევდა." და სამნუხაროდ მეტწილად ღარიბები იჩაგრებოდნენ. ფული ყველას და ყველაფერს რყვნიდა. ლევიანთა წიგნი უნდა გადავიკითხოთ, ერთადერთი წმინდა ტექსტი, რომელიც ამის აკრძალვას აკანონებს. ვისი ან რისი სახელით იყო შესაძლებელი ამის დარღვევა, უფრო მეტის დაშვება, სიყვარულის გამრავლება? სისხლისნათესაობის მეოთხე მუხლისა და ახლობლობის მეორე მუხლის იქით წასვლა აკრძალული იყო. ეს კი ქორწინებების რაოდენობას ამცირებდა. ყველაფერი იქით მიდიოდა, რომ ინცესტის კონცეფციით შეზღუდულიყვნენ და ამით ბარიერი სამი საფეხურით ჩამოწიათ. კარდინალთა, ადვოკატთა, პროფესიონალ მოსამართლეთა საზიანოდ ლატერანის საეკლესიო კრების მამებმა 1215 წელს ეს შემრიგებლური წინადადება მიიღეს.

თავი XI

ლიტერატურა

1150 წლის შემდეგ ის ბურუსი, რომელიც საქორწილო პრაქტიკას ფარავდა, თითქოს გაიფანტა. ნათლად გამოიკვეთა ასეთი სურათი, რომ გადამწყვეტი სიტყვა ყოველთვის ეკლესიის მესვეურთ ეკუთვნოდა. მაგრამ ეს სურათი ხშირად კარგავს თავის გაუმჭირვალობას და უფრო ნათელი ხდება. იმ ტექსტებს შორის, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია, ისეთი თხზულებები მომრავლდა, რომლებიც დიდებულთა საამებლად იყო შექმნილი. მათ ერთდროულად უნდა გაერთოთ, დაემშვიდებინათ და აღეზარდათ კიდეც ისინი. როგორც ჩანს, ასეთი სახის ლიტერატურა ვერ ასახავდა ქცევათა რეალობას, თუმცა ამის სურვილი აშკარად ჰქონდა. ამგავრი ლიტერატურა ღირებულებათა სისტემას აძლიერებდა და კლერიკალური იდეოლოგიით იყო დაღდასმული. ჩვენ არ გვესმის თავად არისტოკრატიის აზრი საკუთარ თავზე, სამაგიეროდ, გვესმის სასულიეროთა მსჯელობა მათზე. ეს ორი ურთიერთდაპირისპირებული ჯგუფი, საეროთა და სასულიეროთა, თითოეული საკუთარ აზრს ავითარებს და მანიც, ლიტერატურული ჟანრების ბუნების მიხედვით, ერთერთი მათგანი დიდ გავლენას ახდენს მეორეზე.

კლერიკალური იდეოლოგიის ძალა ქადაგებებში იჩენს თავს. ჩვენთვის ცნობილია ამ ეპოქის ზოგიერთი ქადაგება. ჟაკ ლე გოფმა სამი გამოუცემელი ქადაგება დამისახელა, რომელიც ჟაკ დე ვიტრიმ ფილიპ ავგუსტუსის მეფობის ბოლო წლებში შექმნა[1]. ისინი ლათინურად იყო დაწერილი და ავტორის მიერ თავისი კოლეგებისთვის ნიმუშად იქნა შეთავაზებული. მქადაგებელები ამ ტექსტებს ვულგარული ენით წერდნენ. ისინი მამაკაცთა და ქალთა წინაშე საუბრობდნენ და მათ ორ განსხვავებულ ჯგუფად წარმოგვიდგენდნენ. მქადაგებლები ძირითადად მამაკაცებს მიმართავდნენ და გარკვეულ საკითხებზე სვამდნენ აქცენტებს. პირველი თემა დაუსრულებლივ მეორდებოდა და ყველა საუბარში იჩენდა ხოლმე თავს: ქალი ბოროტი არსებაა, გველივით ავხორცი, გველთევზაზე რბილი, ზედმეტად ცნობისმოყვარე, თავშეუკავებელი და მომაბეზრებელი. ქმრებს უყვარდათ ასეთი ამბების მოსმენა. ზოგიერთს კი ქალიშვილები ჰყავდა, რომელთაც ისინი გულდასმით ამზადებდებდნენ ცოლქმრული ცხოვრებისთვის და მიუღებელ

თამაშებსა და სასიყვარული სიმღერებს უკრძალავდნენ. ამდენად, გარკვეული შეთანხმება არსებობდა, რომელიც მიღებულ ნორმებს პატივს სცემდა. აკრძალული იყო საიდუმლო ქორწინება, ასევე მღვდელზე დაქორწინება, „მღვდლების ცოლები" ეშმაკის მოციქულები იყვნენ. ქორწინება სამოთხეში ჩამოყალიბდა, ეკლესია კი სამოთხის ხატი იყო. ამიტომაც საჭირო გახლდათ მასთან მიახლება. თუ ვინმეს ჯერ კიდევ არ შეურთავს ცოლი, უნდა იჩქაროს. ამით მამაკაცები თავს დააღნევენ ავხორცობას, ჰომოსექსუალობას. რა თქმა უნდა, ცოლებზე უნდა იბატონონ. ევა ადამის ტერფიდან არ გამოსულა, ამიტომ ქალი ფეხქვეშ არ უნდა გაითელოს. მაგრამ ევა არც ადამის თავიდან არ გაჩენილა, შესაბამისად, ქალი არ უნდა მბრძანებლობდეს. მეუღლეები მხოლოდ ერთ რამეში არიან თანასწორნი, ცოლქმრულ მოვალეობებში. ქმარმა ცოლის მოთხოვნებს უნდა უპასუხოს. ოღონდ ქმარი ცოლს უნდა აკონტროლებდეს. ამ განსაკუთრებული ფენის „ცხოვრების წესი" სწორედ ესაა. ეს დაქორწინებულთა ფენაა. კანონი მრავალ საკითხს აზუსტებს. ამ წესის დაცვა ბევრად რთულია, ვიდრე ეკლესიის სხვა კანონებისა. მართლაც, მეუღლემ უარი უნდა თქვას საკუთარ სურვილებზე აკრძალული დროის განმავლობაში. იგი ზომიერი უნდა იყოს (სექსუალური თავშეუკავებლობა ისჯება) ქმარი ცოლს უნდა დაემორჩილოს, ბუნების კანონებს არ გადაუხვიოს. სექსუალური კავშირების მოთოკვა ცოლქმრული ცხოვრებისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. მაგრამ ამაზე უარესი ცოლქმრული ღალატია. რასაკვირველია, ქალის მხრიდან. აქ მრავალმხრივ ცოდვაზეა საუბარი: როდესაც მიცემული ფიცი დარღვეულია, ხოლო მღვდლის კურთხევა - უგულებელყოფილი, ასეთ დროს ცოლი ქურდს ემსგავსება: „საყვარელს თეთრი პური აქვს, ხოლო ქმარს - ნაცრისფერი." ამას კი მძიმე შედეგები მოჰყვება. დაისმის შეკითხვა: ვინ არის ბავშვის მამა? ხომ არ მოელის მას მემკვიდრეობითი უფლების უკანონოდ ჩამორთმევის საშიშროება? შემდგომ, როდესაც ამ ბიჭს ცოლად მოჰყავს უცხო ქალი, ხომ შეიძლება ის მისი დაც კი აღმოჩნდეს? ქმრების უპირველესი მოვალეობაა ყურადღებით იყვნენ საკუთარი ცოლების მიმართ. მათ ცოლებს არ უნდა მისცენ უფლება ვნებისაღმძვრელად გამოიყურებოდნენ, ამით სხვა მამაკაცების ყურადღებას მიიპყრობენ. ყოველ შემთხვევაში, კაცები ქალებს შეცდომის ჩადენაში ხელს უშლიან. ქადაგება გაცვეთილი ჩანს, თუმცა სწორედ ამ უმწიკვლო მიზნებს ემსახურება.

ინფორმაციის მიწოდების ყველაზე ეფექტური საშუალება მისი სცენაზე წარმოდგენა იყო. ჩემს მიერ განხილული ეპოქის მთავარი სიახლე თეატრალური ხელოვნებით სათქმელის ვულგარულ ენაზე გამოხატვა გახდა. „ადამის თამაში"[2] ცუდად დათარიღებული და ადგილმდებარეობის მიხედვითაც არასწორედ განსაზღვრული ნანარმოებია. შობის ამსახველი ეს პარალიტურგია 1150-1170 წლებს შორის შეიქმნა,

ჰენრი პლანტაგენეტის კარზე არსებულ ყველაზე თვალსაჩინო ლიტერატურულ კერასთან ახლოს. აშკარაა, რომ ტექსტი არისტოკრატიის საყურადღებოდ დაინერა. მან ეკლესიის შიგნით შეაღწია, რასაც ხელნაწერში დაცული თეატრალური რემარკა ადასტურებს. დრამატურგიაც საკმაოდ ნიჭიერი გახლდათ. ნაწარმოების მთავარი თემა პირველდაცემის ცოდვას შეეხება - ანუ ქორწინებას. სამოთხეში, წმინდა საიდუმლოს ჩასახვის ადგილას თამაშმა ოთხი პერსონაჟი მოიცვა: ქმარი - ადამი, ცოლი - ევა, კეთილი ღმერთი და ბოროტი ეშმაკი. ტექსტი გამოსვლის წიგნის ერთგვარი პედაგოგიკური კომენტარია და ვერსიფიკაციის საშუალებით საეროთა გონებაზე მოქმედებს. ასე სურდა ეკლესიას თავისი საქორწილო მორალის გავრცელება.

ეკლესია პირველ ადგილას უფლის სურვილებს და ისეთი ოჯახური კავშირის ფორმას აყენებს, რომელიც აქამდე არსებულ მისთვის ხელისშემშლელ ფაქტორებს უკუაგდებს. მორის აკარის სამართლიანი შენიშვნით, ეს არის ფეოდალური სტრუქტურის სანიმუშო ფორმა. უფლისნულებსა და რაინდებს ადამი უფლის ვასალად წარმოუდგება, რომელიც ღმერთთან კავშირშია, მას ექვემდებარება ომაჟის ჟესტებისა და სენიორალური ფიცის მსგავსად. სენიორი ღალატის შემთხვევაში ვასალს ფეოდალურ სამფლობელოს ჩამოართმევს. მაგრამ იერარქია სამ ნაწილადაა დაყოფილი. ქალი ძალიან დაბალ საფეხურზე იმყოფება, მამაკაცის ვასალია და შესაბამისად - უფლის ვასალის ვასალი. ყოვლისშემძლე კეთილმა ღმერთმა ადამს ევას კეთილგონივრულად მართვა დაავალა, ხოლო ევას - ადამის სამსახური, მისი „დახმარება“ და „შემნეობა“. თავის მხრივ ჯილდოც არ დააყოვნებს: „თუ შენ წესისამებრ ეხმარები ადამს, შენ მასთან ერთად დიდებას დაიმსახურებ.“ ფართოდ გავრცელებული ლექსიკონით საქორწინო კონტრაქტი ძალიან ნააგავს ვასალურ კონტრაქტს. როგორც ეს უკანასკენელი, ისიც ბუნების ორ თანასწორ არსებას აერთიანებს, მაგრამ საჭიროება ძალაუფლების თვალსაზრისით მათ უთანასწორობას მოითხოვს, ერთი მეორეს სამსახურში უნდა ჩადგეს. ცოლქმრულ ურთიერთობაში დაქვემდებარებული, პირველადი ურთიერთობა აისახება, რომელიც შექმნილ სამყაროს შემოქმედს უმორჩილებს. გასაგები ხდება ჩვენი პირველი მშობლების შეცდომაც. ეშმაკმა შეაღწია ამ მოვლენაში, რათა წესი დაერღვია, ქალსა და მამაკაცს შორის ჩამდგარიყო, ღმერთსა და ადამიანს შორის თანასწორობა, პარიტეტი დაერღვია და უწესრიგობა გაემეფებინა. სატანამ ადამს შთააგონა, რომ „უფლის თანასწორი იქნებოდა.“ ამ შესანიშნავი პიესის ავტორი თავისუფლად ეპყრობა ბიბლიურ ტექსტს და წარმოიდგენს, რომ პირველად სწორედ ადამი იქნა შეცდენილი. და თანაც ორჯერ. მაგრამ, გონიერების წყალობით, მას თავი ღირსეულად ეჭირა. ეშმაკმა გადაწყვიტა ქალით ადამის გრძნობებზე იერიში მიეტანა. მისთვის განვდილი ვაშლით ხელში ევა მის გემოზე, სიამოვნებაზე

საუბრობს. ევა ადამიანური ბუნების სუსტ მხარეს გვიჩვენებს, რომელიც ირაციონალური და მგრძნობიარეა. ქალი დანებდა და თუ ადამიც დამარცხდა, დათმო ეს იმიტომ, რომ რაღაც მომენტში, იგი ქალს, როგორც თანასწორს, ისე უყურებდა. „მე შენ დაგიჯერებ, რადგან შენ ჩემი წყვილი ხარ." ესაა ადამის ცოდვა, პრიორიტეტული პოზიციის უარყოფით ის პირველობას კარგავს.

ადამი შემდგომ ბოღმით ივსება. იგი უფალს ემალება: „ბოროტი მეუღლის ბოროტმა რჩევებმა დამღუპა. ქალმა მიღალატა." სამოთხიდან გამოგდებული ადამი მაინც განაგრძობს ევასთან ცხოვრებას. პიესის ვრცელ მონოლოგში, რომლითაც სპექტაკლის ეს ნაწილი სრულდება, მორჩილებისა და სიმდაბლის შესანიშნავი მაგალითია ნაჩვენები, რომელიც მარიამმა, ახალმა ევამ, გამოიჩინა. მარიამი უფალზე, სუვერენზეა დამოკიდებული. სწორედ შემოქმედი განსჯის ქალს და არა მისი მეუღლე, რომელიც თავის სენიორალურ მოვალეობებს ვეღარ ასრულებს. ამიერიდან ქალი ქმართან კავშირს შეწყვეტს და უფალს უკავშირდება. ევა აცნობიერებს საკუთარ დანაშაულს და იანანიებს მას. სნორედ ეს მონანიება ხდება ყველაზე მნიშვნელოვანი მისთვის იმ პერიოდში, როდესაც სამღვდელოება სინანულის საიდუმლოს აყალიბებს, ხალხს მონანიებისკენ, მორჩილებისკენ, იმ წყალობის მიღებისკენ მოუწოდებს, რომელსაც მღვდლები გასცემდნენ. საბოლოოდ ევა იმედის მაგალითს გვიჩვენებს, ერთ დღეს მოვა ის, ვინც საკუთარ თავზე აიღებს ყველას ცოდვას. მთელი ნაწარმოების დედააზრიც ეს არის. ადამი და ევა აქ ისევე ფიგურირებენ, როგორც მოგვიანებით გამოსახავენ ხოლმე მათ კათედრალებზე, წინასწარმეტყველთა წინ, რომლებიც მესიის მოსვლას გვაუწყებენ. ამ შემთხვევაში მორალი და თეოლოგია განუყოფელია.

უნაკლო საზოგადოების იდეოლოგიაში ქორწინება ნამყვან პოზიციაზეა. სამი წოდების თეორიასთან ერთად იგი სოციალური სტრუქტრის თაღს ქმნის. სამყარო იერარქიზირებულია. ფენები ერთმანეთს ექვემდებარებიან, ნებისმიერი მმართველი ელოდება მორჩილ მსახურს, რომელიც, თავის მხრივ, მისგან დახმარებას ელის. ეს აუცილებელი უთანასწორო ურთიერთობა ქორწინების სიმბოლოებშიც აისახება, რაც ძალიან წააგავს ომაჟის სიმბოლიზმს. მაგალითად, ეს შემდეგ მოვლენებში მჟღავნდება: პარიტეტულ ურთიერთობაში სიტყვის ორმხრივი მიცემა, მუხლის მოდრეკა სენიორის წინაშე, ქმრის ჟესტი, როდესაც ის საქორწინო ბეჭედს იკეთებს, სენიორის ჟესტი, როდესაც იგი ინვესტიტურის ჩალას იღებს და მისი მსგავსი მოძრაობა წყალობის გაღების დროს. ეს ორმხრივი რიტუალი უწესრიგობის წინააღმდეგია, საზოგადო მშვიდობის გარანტიაა. ორივე ერთად კი სამოთხეს გვაგონებს, უნაკლო არსებობას, სადაც გონება გრძნობაზე ბატონობს. ეს საწყისი მდგომარეობა მუდმივ შეხსენებას მოითხოვს, რადაგან ცოდვითდაცემის შემდეგ გრძნობას მუდამ გაბატონება სურს. ამბოხი არ სრულდება,

ქალებისა და მსახურების ამბოხი.

"თამაში" მაშინ დაიდგა სცენაზე, როდესაც მორჩილი ხალხის აღქმაში გარკვეული ძვრები შეინიშნებოდა, როდესაც ერესი ყველა მხრიდან მძვინვარებდა. ეშმაკისეული პიესა ქალს მამაკაცის თანასწორ არსებად განიხილავდა. ამ აშკარა საშიშროებას წმინდა ბერნარი დაუპირისპირდა, რაც შემდგომ გიბერ ნოჟანელმა გაახმაურა. თავდაპირველად ორმაგი მონასტრების (მამაკაცთა და ქალთა) კრიტიკა დაიწყეს, სადაც მამაკაცის უპირატესობა საეჭვო გახდა. ასევე გვთავაზობენ სასულიერო ცხოვრების ახალ ფორმებს, კერძოდ, სექტებში გაერთიანებული უქმრო და მსუბუქი ყოფაქცევის ქალები, კეთროვანების მსგავსად, საზოგადოებას განარიდეს. ჩემს თავს ვეკითხები, ქალთა ემანსიპაციის ტენდენციის წინააღმდეგ მიმართული მძლავრი ძალა, ნუთუ ცოტათი მაინც არ იყო პასუხისმგებელი იმ დამოკიდებულების შეცვლაზე, რომლის პირველ ნიშნები XII საუკუნის ბოლო მესამედში არისტოკრატიულ წრეებში შეინიშნებოდა და რომელიც უპირატესობას ცოლიან ვაჟებს ანიჭებდა (გოგონები ქმრის კონტროლის ქვეშ უნდა ჩაეყენებინათ)? კარგი საზოგადოება ამ მამაკაცებს უჭერდა მხარს. საზოგადოებას მოსწონდა ფეოდალურ-სენიორალურ ინსტიტუციასა და ცოლქმრულ ურთიერთობებს შორის კავშირის დანახვა. ამ ორ საფუძველს ეყრდნობოდა ძალაუფლების აშკარა დანაწევრება. ეპისკოპოსი ეტიენ დე ფუჟერი, თავის დიალექტზე, ქალთა საკითხზე ქადაგებს - რა თქმა უნდა, საუბარია კეთილშობილ ქალებზე - რომელთაც მკაცრ გარემოში უნდა ეცხოვრათ. თუ ქალებს თავის ნებაზე მივუშვებთ, გარყვნილება უმალვე თავს იჩენსო. არისტოკრატი ქალები თავიანთ მოსამსახურე მამაკაცებთან ერთობიანო. ანტიფემინისტი, ანტიერეტიკოსი, და უფრო ზოგადად რომ ვთქვათ, ანტითანასწორობის მომხრე მქადაგებელი ამ დისკურსში ანტიკურტუაზულიცაა. თხზულება განსჯის ამქვეყნიურ გართობებს, სადაც მამაკაცი სენიორის ცოლის შეყვარებულის როლს თამაშობს. ეს კი სკანდალური მოვლენა გახლდათ, სენიორის ღალატი. „ადამის თამაში" ეს სიტყვები საზოგადოებას მოუნოდებს შეყვარებულ პოეტებს ზურგი აქციოს.

კლერიკალები საერო იდეოლოგიასთან შეთანხმებაზე, დათმობაზე მიდიან. მაგალითად, ანდრე კაპელანი ახალგაზრდა მეფე ფილიპის კანცელარიაში 1186-1190 წლებში ტრაქტატს ნერს, სახელწოდებით „სიყვარულზე"[3]. სიყვარული - საუბარი სნორედ სიყვარულზე იყო და სულაც არ იგულისხმებოდა პატივისცემა ან საუფლო სიყვარული, რაც კეთილ მეუღლეებს აერთებდა ხოლმე. შესაბამისად ქორწინებაზე კი არ საუბრობენ, არამედ ნაკლებად სასიამოვნო თამაშზე, რომელსაც ეკლესიის სხვა მესვეურები გმობდნენ. წიგნი „სიყვარულზე" იმედგაცრუებით სრულდება: უმჯობესია, რომ სიყვარულზე უარი თქვა. თხზულება ლათინურადაა დაწერილი, სქოლასტიკური სტილით და

აღმზრდელობითი ნაწარმოებია. ის ეძღვნება საერო პირს, რომელიც ჯერ დაქორწინებული არ იყო. ადამიანი ამ თხზულებით კანონის მორჩილებას, „პატიოსნებას", სასიყვარულო ქცევებს სწავლობდა. თუმცა მე არ მჯერა მისი ხელოვნური დასკვნის. ამგვარი აღმზრდელობითი ნიაღსვლა სულიერ ეფექტს იძლევა, ხორციელს უარყოფს. პირველ რიგში, კი ქალს გვავიწყებს. უმართებულო იქნებოდა ამ პარიზულ თხზულებაში არ განგვეხილა ის ირონია, რაც დიალოგებში, კარგ მანერებში, სამეფო კარის სასიყვარულო პრაქტიკის ელეგანტურობაში იჩენს თავს, რაც სამეფო სასახლეში მეტად მოდური გახლდათ და სადაც მკაცრი ტრადიციები ბატონობდა.

ანდრე ამგვარ გართობათა გასამართლებლად მას უბრალო, ხალხურ, უხეშ სიყვარულს უპირისპირებს. იგი ხალხური სიყვარულის კანონებზე საუბრობს, რომელიც შორსაა სოციალური წესრიგის, მორალური კანონების დარღვევისგან. პირიქით, ასეთი სიყვარული ხელს უწყობს მათ განმტკიცებას და საბოლოოდ ქორწინებით არ სრულდება, თუმცა მისი მსგავსია, მაგრამ ამავე დროს მკაცრად განსხვავებული. „სიყვარული ვერ განვითარდება ორ მეუღლეს შორის, რადგან საყვარლები დიდსულოვანნი, უანგარონნი არიან, ხშირად აუცილებლობის გარეშე, თუმცა მოვალეობის დაცვით, ერთმანეთის სურვილებს ემორჩილებიან და ერთამენთს უარს არაფერზე ეუბნებიან." ფრჩხილებში უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი სიყვარული პლატონური არ გახლავთ. თუმცა მისი ლიბერალობა, დიდსულოვნება თამაშის ფონზე ვითარდება, სერიოზული ცხოვრების მიღმა. ეს ნაწარმოები ჩემი შესწავლის საგანს, ქორწინებასაც ეხება. იმავდროულად, მას კურტუაზიული მორალის მიხედვით, ნეგატიურად განიხილავს. ანდრე ცელ-ცალკე წარმოგვიდგენს ქალსა და მამაკაცს[4]. მამაკაცი კეთილშობილია, ქალიც, თუმცა ნაკლებად. სოციალური უპირატესობის გამო, მამაკაცი მასწავლებლის როლში გამოდის. პარტნიორის შეკითხვაზე: არის თუ არა ცოლქმრული სიყვარული კურტუაზულ სიყვარულზე უკეთესი, მამაკაცი უარყოფითად უპასუხებს. მართლაც, თუ სიყვარული, ძლიერი, ხორციელი, ცოცხალი სიყვარული ქორწინებაში გადაიზრდება, სიამოვნების მიღებას შეუწყობს ხელს და შესაბამისად, ცოდვილია. „როდესაც საკრალური შეილახება, სასჯელიც ჩვეულებრივზე უფრო მკაცრია. მაგალითად, გათხოვილი ქალის მიმართ კანონი უფრო მკაცრია, ვიდრე - გაუთხოვარის. ეკლესიის სწავლების მიხედვით, ის მამაკაცი, რომელსაც ზღვარგადასული ვნებით უყვარს საკუთარი ცოლი, ცოლქმრულ ღალატშია დადანაშაულებული." აი, რა სწავლებას ქადაგებდნენ ჯერ წმინდა იერონიმე და შემდგომ პიერ ლომბარდი: „შობადობა ქორწინების შემთხვევაშია ნებადართული, თუმცა ავხორცობა მკაცრად ისჯება."[5] ალენ ლილელი ამატებს: „საკუთარ ცოლზე შეყვარებული მამაკაცი მოღალატეა."[6] ბუნებრივია, რომ ეს გაკვეთილები ღიმილის მომგვრელია. რჩება მყარი მო-

საზრება იმის შესახებ, რომ ქორწინება თამაში არ არის, მხოლოდ ქორწინების გარეთ შეიძლება ითამაშო. ქორწინება კანონია და შესაბამისად, იძულებითაც. ამ კანონის მიღმა, პროსტიტუციის მსგავსი სასიყვარულო თამაშები არსებობს. კურტუაზული სიყვარულისა და პროსტიტუციის დადებითი ფუნქციაა ზედმეტი სითბოს, ვნების შემცირება ოჯახური ურთიერთობაში. აქ აშკარაა, რომ კლერიკალი, კაპელანი საუბრობს. იგი იმედოვნებს, რომ მისი სნავლება დაუქორწინებელ მამაკაცამდე და სენიორების, საგავრეულოთა მეთაურების ყურამდეც მიაღწევს, რათა ცოლ-ქმრობა გარყვნილებად არ იქცეს. მამაკაცი ისევე არ უნდა მოექცეს ცოლს, როგორც საყვარელს. თავისუფლება, სათავგადასავლო ძიებანი მხოლოდ მამაკაცთა პრეროგატივაა. II წიგნის მეექვსე დიალოგი ორ მორალს შორის ფორმალურ ზღვარს ავლებს: მამაკაცურ და ქალურ მორალს შორის[7]. მამაკაცისათვის, ცოლიანი მამაკაცისთვისაც, თავგადასავლების ძიება დაშვებულია, თუ რა თქმა უნდა, იგი ზღვარდაუდებელი არ იქნება, თუ სიამოვნების ძიებაში იგი კეთილშობილ ქორწინებას არ დააზარალებს. „მამაკაცთათვის ასეთი საქციელი ნებადართულია, რადგანაც ეს მათ ჩვევაში აქვთ, ეს მათი სქესის პრივილეგიაა, თუმცა ბუნებისთვის სრულიად მიუღებელი." სამაგიეროდ მამაკაცი ცოლს უბრუნდება, რათა კეთილგონიერი და დაცული იყოს. მიტოვებული ქალები კი საყვარლებს იჩენენ, მიღებულ წესებს არღვევენ და შესაბამისად, პატიოსანი ქალების საზოგადოების წევრებად აღარ ითვლებიან. საინტერესოა სიღრმისეულად რითი განსხვავდება ამ ტრაქტატის ("სიყვარულზე") სნავლება „ადამის თამაშისა" და ეტიენ დე ფუეერის ტრაქტატისგან? აქაც და იქაც მამაკაცი ბატონობს, თამაში მას მიჰყავს. ეს მამაკაცური ეთიკაა, რომელიც პირველად გრძნობას ეფუძნება, კერძოდ, ქალების მამართ შიშს და სურვილს ნივთივით არ მოეპყრას მანდილოსანს.

სინამდვილეში ანდრე კაპელანი უფლისწულისთვის წერდა. იგი თავის ცოდნას განავრცობდა, წერის მანერას ხვეწდა, სიტყვების თამაშით ემსახურებოდა ბატონს მისი კარის გასართობად და დასამოძღვრადაც. XII საუკუნის დასასრულს თავად უფლისწულს რაინდობის მოშინურება, მათზე დაყრდნობა სურდა. მისი სასახლე მხიარული უნდა ყოფილიყო, სხეულის სიხარულს, ხორციელ სიამოვნებას მისცემოდა, თუმცა გონიერებაც არ უნდა დაევიწყებინა. ბატონის სულგრძელობა, მისი ეს აუცილებელი ღირსება, ამგვარი ცხოვრებისადმი მის თანხმობაშიც ვლინდებოდა. მაგრამ ფეოდალური კარი აღმზრდელობითი დაწესებულებაც გახლდათ. იგი თავის პოლიტიკურ ფუნქციას ასრულებდა, ბატონის მეთვალყურეობით საზოგადოებრივ წესრიგს ინარჩუნებდა, თანამეტრაპეზეებს პატიოსნად ცხოვრებას ასნავლიდა და ამით ღირებულებათა სისტემის ფუნდამენტს ამყარებდა. ეს პატარა ჩაკეტილი საზოგადოება მოზარდებისგან შედგებოდა, რომლებიც რაინ-

დობისთვის ემზადებოდნენ. სწავლება, პირველ რიგში, „ყმაწვილთათვის", კურტუაზული კამპანიის ამ მღელვარე ნაწილისთვის იყო განკუთვნილი. ეს ახალგაზრდობა, „ბაკალავრიატი" უფროსებისგან ბრძოლას, ნადირობას სწავლობდა. ფიზიკურ ვარჯიშებს შორის ისინი მონათხრობების, სანიმუშო ისტორიების, სხვათა სურვილებისა და ოცნებების მოსმენით კარგი მოქცევის წესებს სწავლობდნენ, ისეთს, როგორსაც თავად მაღალი საზოგადოება მისდევდა. თუმცა ამ ოცნებებს ორი მხარე ჰქონდა - ირეალურ-წარმოსახვითი და ნამდვილი ისტორიული მეხსიერების.

ეს ნაწარმოებები გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ მამაკაცები ქალებთან მიმართებაში. თამაშის თვალსაზრისით ეს თხზულება წმინდა წყლის გამოგონებაა, რომელიც ქორწინებას პატარა, მხოლოდ ზედაპირულ ადგილს უძღებნის. ეს ადგილი ჟანრების მიხედვით იცვლება. მაგალითად, ეპიკური სიმღერები, რომლებიც საომარ სიმამაცესა და ვასალურ ერთგულებას უმღერს, ქალებს მეორეხარისხოვან როლს ანიჭებს. გმირის ცოლებს მცირე ადგილი ეთმობათ, ინტრიგაში ან დადებით, ან უარყოფით როლს თამაშობენ. ზოგიერთი მათგანი, შესანიშნავი „დამხმარე", გადია, შუამავალი, საყვარელია. სხვები ჯადოქრები, გარყვნილი ქალები იყვნენ, რომლებიც ზიანს აყენებდნენ კეთილ ქორწინებას. თუმცა ყველანი მეყსეულად გადადიოდნენ უკანა პალნზე. მეუღლეებზე უფრო მეტს პატარა სასაცილო ზღაპრებში ყვებოდნენ. რას დასცინოდნენ? მოტყუებულ ქმარს. მაგრამ თუ საკუთარ თავზე ეცინებოდათ, მაშინ ეს სიცილი ცრემლნარევი იყო. თუმცა ამგვარი ზღაპრები და გასართობი ისტორიები იშვიათად ასახავდა მაღალი საზოგადოების მდგომარეობას. ისინი ბურჟუაზიას, მოხელეებს, გლეხებს თუ იგავების პერსონაჟებს შეეხებოდა. ფეოდალის კარი უბრალო ფონი იყო ნაწარმოების გმირთათვის, რომელიც ნებისმიერ თხზულებაში გვხვდებოდა[9]. ასევე ძალიან ცოტანი იყვნენ ისეთი ქმრები, რომლებიც უიღბლობას გაექცნენ. არისტოკრატიული სახლების მეთაურები მზად იყვნენ ცოლების ღალატისთვის. ქალებიც თავისუფლად ხვდებოდნენ თავიანთ საყვარლებს ბაღებსა თუ საკუთარ საძინებლებში. ლირიკულ პოემაში „უცნობი" სენიორი სიამოვნებას რიგრიგობით თორმეტი ქალისგან იღებდა. წინააღმდეგობაც სწორედ აქედან მოდის, მამაკაცმა ზომა არ იცის, დაუოკებელია. ცოლს კი ყველა მხრიდან უთვალთვალებენ, იგი გარშემორტყმულია მეთვალყურეებით - ბედნიერი მეუღლის მოწინააღმდეგეთაგან, იმ ქალებისგან, რომლებიც მისმა ქმარმა უარყო, და თავად ქმრისგანაც, რომელიც ბერდება და თანდათან ეჭვიანი ხდება. ხანდახან ქალს და მის საყვარელს დანაშაულის ადგილზე უეცრად დაესხმებიან თავს. მათ დააკავებენ და ამით მოწმეებსაც ააღელვებენ. „მთელს ქალაქს მათი კივილი მოედება." ასე მოიქცა მეფე მარკი, როდესაც მან იზოლდას ცოდვა აღმოაჩინა. სირცხვილი სახალხო უნდა გახდეს

გაცხადებული, რათა შემდეგ სამართლიანად იქნეს შურისგებული. ქმარს სრული უფლება აქვს სიკვდილით გაუსწორდეს მოღალატეს. ტრისტანი მოითხოვდა ველზე შერკინებას, მარკი მზად იყო ისევე, როგორც, ოდესღაც, ფუკ ნერა - უმალვე დაეწვა კოცონზე ცოლი, მას შემდეგ რაც ცოლის საყვარელს მიაგნებდა. ეს საქმის ბუნებრივი დასასრული იყო. რომანის ავტორები თავის თხზულებებში დიდი სიამოვნებით აღნერენ სწორედ ღალატის ფაქტს. ისინი პროცედურას მეტად რეალისტურად აგვიწერენ, თავდაპირველად იზოლდა ორდალიის ჩატარებას მოითხოვს, მაგრამ ეპისკოპოსები ქალს ამის გაკეთების აუცილებლობისგან ათავისუფლებენ. იზოლდა განსაწმენდელს იფიცებს, ამ შემთხვევაში ძალიან ცალსახაა მისი ეშმაკური სვლა. ამგვარი მტკიცებულებების ინტერესი იმის საბუთი გახლდათ, რომ ქორნინების წესის ამგვარი დარღვევა ვერ აამაღლებდა ეკლესიის ავტორიტეტს. ეს საერო საქმე იყო. ჩემი მხრიდან დავამატებდი, რომ ეს სრულიად შინაური, კერძო ხასიათის ისტორია გახლდათ. საქმეში სახლიკაცები ერევიან, რომლებიც ორდალიის ეფექტს იყენებენ, რათა მოღალატე ცოლისგან თავის გამართლება მოისმინონ, უფლის მოწმეობით - ბიბლიის ან წმინდა ნანილების ხელისშეხებით. ბუნებრივია, მხოლოდ ქმარი არ იღებს გადაწყვეტილებას. მას რჩევას ეკითხებიან. მაგრამ ეს რჩევა არ მიიღება ნათესაობის, ოჯახის გარეშე და ამ საქმეში კლერიკალები არ ერევიან. მე ქმარზე ვსაუბრობ. მისი პირადი ინიციატივა მოვლენების განვითარებას ვერ აჩქარებს და შესაბამისად, რომანის თემასაც არ შეადგენს. ამ შემთხვევაში ანგარიშგასაწევი ღირსების გრძნობაა. ღირსების დაცვა კი მამაკაცის საქმეა. ეს კი ქალთა ქცევაზეა დამოკიდებული. თუმცა ისინი ყოველთვის თავისი სურვილით არ მოქმედებენ. კეთილშობილთა სახლებში ხშირია მათზე ძალადობის შემთხვევები. თუ მართალია, რომ ჟოფრუა პლანტაგენეტმა ალიენორზე ძალა იხმარა, მაშინ მისი სენიორის სრულიად ახალგაზრდა ქალიშვილზეც იგივე არ მოიმოქმედა? მაგრამ ნანარმოებში „სიმღერა მელაზე" დავაკვირდეთ ლიონის, დედოფლის შემთხვევას. მელა მის საწოლში შეიპარა და ქალის სურვილის საწინააღმდეგოდ დაეუფლა დედოფალს. მიუხედავად ამისა, ქალი მაინც დამნაშავედ ჩაითავლა, ძალადობით თუ არა, ყოველ შემთხვევაში, იგი სიამოვნებას ქორწინების გარეშე მიეცა. კმაყოფილი სწორედ მოძალადის მხარე გამოვიდა. საქმე გვაქვს გამანადგურებელი ძალის ბატონობაზე. უდავოა, რომ იმას, რასაც იმ ეპოქის ნანარმოებები „სიყვარულს" უწოდებენ ლათინურად თუ სხვა რომელიმე დიალექტზე, უბრალოდ სურვილი, მამაკაცური ვნება, მისი სექსუალური გმირობაა, თვით კურტუაზულ რომანებშიც ასეა.

სიყვარულის ეს სახეობა გარკვეულ თემას წარმოშობს. მოძალადე თავად ხდება აფეთქების, გარდაუვალი მღელვარების მსხვერპლი. ქალთან ურთიერთობის შედეგად მამაკაცი ყველა საშუალების გამოყ-

ენებით, რასაც მარი ფრანგი „ნამეტს“ ეძახდა, მოგებული გამოდიოდა. ეს სურვილი ერთი მეორის მიყოლებით გარკვეულ ბარიერებს აწყდებოდა. საყვარელს წინაალმდეგობების გადალახვა უწევდა. ამაში დიდი პედაგოგიური მომენტი იყო ჩადებული. ვაუკაცობის მისაღწევად რაინდს ეს გზა „ყმაწვილობის“ პერიოდში უნდა გაეევლო, მით უფრო, თუ იგი თავად ოჯახის უფროსი არ იყო. მისი ენების ობიექტი დაქორწინებული ქალი გახლდათ, მისი სენიორის ცოლი, ხოლო თავად სენიორი რაინდის ბიძა იყო. სიყვარული ამ ოჯახური პრომისკუიტეტის შუაგულში ჩაისახა, რამაც ბურშარ ვორმსელი და ივ შარტრელი დიდად შეაშფოთა. ეს მოვლენა ცოლქმრულ ღალატსა და ინცესტს უნყობდა ხელს. დაუქორწინებელმა გმირმა მამის სახლი მიატოვა. ჩვეულებრივ ახალგაზრდები სხვა სახლებში (ეს კი ხშირად დედის ძმის სახლი იყო) იწყებდნენ შეგირდობას. ამგვარი პრაქტიკა არისტოკრატიული წყვილების უთანასწორობის ტრადიციიდან მომდინარეობდა. ნათესაობა დედის მხრიდან (უფრო მაღალი წარმოშობის) სრულნლოვან რაინდს თავის ნიაღში იღებდა, მეტწილად ბიჭებს, რომლებიც მათი წინაპრების სისხლისანი იყვნენ, თუმცა სხვა ოჯახში დაბადებულნი. არისტოკრატულ ოჯახში ბატონი ნლების მანძილზე ინახავდა თავისი დების ვაჟებს, რომლებიც ღვთის სამსახურისთვის არ იყვნენ განკუთვნილნი. ბატონი მათ ზრდიდა, იარაღით ამარაგებდა და მათი ნამდვილი მამა იყო - კარლოს დიდისა და როლანდის შემთხვეევებში არსებული მითი წარმოაჩენს ამ მამური სიყვარულის უპირატესობას სისხლითნათესაობასთან შედარებით. დისწულები სენიორს შვილებივით ემსახურებოდნენ, მაგრამ დაქორწინება მათაც სურდათ. ყმაწვილთა გულში დედის ადგილი ღვთისმშობელს ეკავა, რადგან მშობლიური სახლიდან ძალიან ადრეულ ასაკში ნამოსვლის გამო, ისინი დედებს დიდი ხნის წინათ დაშორდნენ. ყოველივე ეს რეალური თანაცხოვრების კურტუაზულ ინტრიგებში აისახა. მაგალითად, არსად არ გვხვდება ბიძისა და მისი დისწულის ცოლს შორის ჩასახული სიყვარულის აღნერა, რადგან დაქორწინების შემდეგ დისწული სხვა სახლში გადადიოდა საცხოვრებლად.

სიყვარული მეგობრობის ნანილიცაა, სადაც ნათესაურ გრძნობას, ბუნებრივად თავისი ადგილი ეკუთვნის. მე შენ მიყვარდი, ეუბნება იზოლდა ტრისტანს, რადგან „შენ მისი დისწული იყავი და უფრო მეტი გქონდა მისთვის გაკეთებული, ვიდრე სხვებს.“ ქმრის პატივისცემის გარდა ბიძის ცოლს მისი დისწულიც უნდა ყვარებოდა. ქალის როლი ოჯახში აღმზრდელობით პროცესში მონაწილეობაში გამოიხატებოდა. ქალი თავისი პედაგოგიური ფუნქციით გამოირჩეოდა. ასაკით იგი დისწულზე უფროსი იყო. ცოლს სწორედ ეს აყენებდა „სენიორის“ ადგილას, ამ სიტყვის ეტიმოლოგიური მნიშვნელობით, ხოლო დისწულს - „ვასალის“, პატარა ბიჭის მდგომარეობაში. აქვე შეგვიძლია ავხსნათ ვასალიტეტის ჟესტები, სხეულის მოძრაობანი, რიტუალური გამოთქმები, რაც ად-

ვილად შეერწყა სენიორის კარის სასიყვარულო რიტუალს. სქესთა იერარქია გადმოყირავდა. ევა ადამზე მაღლა აღმოჩნდა, მისი დაცემის პასუხისმგებელიც ევა იყო. ეს რომანი ადამის ცოდვის ისტორიაა. ჩადენილი ცოლქმრული ღალატი მაინც უნაყოფო იყო, უკანონოდშობილთა გამრავლების ძალიან ეშინოდათ. ეს გასართობი თემა სულაც არ იყო.

ამგვარად, ქალი თავს თვითონ ამზადებს, მართავს თავის სურვილებს და თავადვე სთავაზობს საკუთარ თავს მამაკაცს. მაგალითად, პუტიფარის ცოლი ტყუოდა: თითქოს ახალგაზრდა რაინდი მას არ ასვენებს და ძალადობს კიდეც მასზე. თუმცა ახალგაზრდა მამაკაცი ხანდახან წინააღმდეგია. იგი ლოიალურია, არ უნდა თავის სენიორს უღალატოს და ამავე დროს, ორმხრივი სიყვარულის იმედი და ცოლის მოყვანის სურვილიც ამოძრავებს. ამიტომ მას არ სურს ბიძის გაბრაზება და ისიც თავგადასავლების საძიებლად მიემგზავრება.

სათავგადასავლო ამბების აღწერისას რეალური სურათი იხატება. XII საუკუნეში ვაჟების უმეტესობა იძულებული იყო თავისი ბედი თავად მოეპოვებინა. ამისათვის ისინი დაეხეტებოდნენ, ტურნირებში მონაწილეობდნენ, ვაჟკაცობას იჩენდნენ, საკუთარი სიცოცხლის გარისკვით სახელის მოპოვებისა და კონკურენტისთვის საცოლის ნართმევის იმედით. რეალობაში ეს სახიფათო მარშრუტი ორ სამყაროს კვეთდა. ერთი ამ სამყაროს ჰგავდა. ჩვენ ვხვდებით მოხეტიალე რაინდებს, რომლებიც ღამეს წვრილ ფეოდალებთან ათევენ, რომელთა სახლებიც „ქალწულებითაა" სავსე. ეს უკანასკნელნი ძალიან მორჩილნი იყვნენ და განთიადამდე ართობდნენ რაინდებს[10]. თუ გმირს სიყვარულის სურვილი აღეძრებოდა, ეს ძირითადად ქალების დამსახურება იყო. ქალები თავისუფლად ასაქმებდნენ თავიანთ სხეულს.[1]

კეთილშობილი ხალხი ნათესაურ კავშირებს არ უგულებელყოფდა. აროლმა ერთ მშვენიერ დღეს აღმოაჩინა, რომ საკუთარი ბიძაშვილის გვრდზე იწვა, მან უფალს მადლობა შესწირა, რომ მათ შორის არაფერი არ მომხდარა. გაცილებით ცუდად იქცევიან ის გაუთხოვარი გოგონები, რომლებსაც გათხოვება სულაც არ სურთ. ყოველ შემთხვევაში მათ არ ეშინიათ იმ საფრთხის, რაზეც მარია ფრანგი თხზულებაში „მილონი" საუბრობს: როდესაც ახლადდაქორწინებულმა მამაკაცმა ქორწინების ღამეს აღმოაჩინა, რომ მისი ცოლი ქალწული აღარ იყო, მას თავს რისხვა დაატეხა. ნუთუ ეს რომანული გაზვიადებაა? ნუთუ უნდა დავიჯეროთ, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში მამები უფრო დიდი სიმკაცრით ადევნებდნენ თვალყურს თავიანთი ქალიშვილების ქალწულობას?

მაგრამ ხანდახან რაინდთა ხეტიალი, რომელიც უხილავ საზღვრებს

---

[1] აქ ჩვენ მოგვყავს ავტორის მიერ ჩართული ლექსის შინაარსი: „ისინი ეხვეოდნენ და შეიცნობდნენ ერთმანეთს/გოვენმა უმნიკვლობა ხელყო/და ქალმაც ქალწულობა დაკარგა/თუმცა უსიტყვოდ დანებდა მას."[11]

გადაკვეთს, სამყაროს საოცრებებში ეფლობა, სადაც გამჭვირვალე შადრევნებში ყმანვილები მობანავე, შიშველ, ლამაზ და თეთრ ტანკენარ გოგონებს აწყდებიან. ისინი უცნობები, უსახელონი არიან. და სწორედ ამიტომაც - საშიშნი. შესაძლოა ისინი ნათესავები აღმოჩნდნენ - რომანების შემქმნელი კლერიკალები ყველა შემთხვევას განიხილავენ, რათა აუდიტორიას ინცესტის საშიშროება შეახსენონ, ან, მაგალითად, ფერიები. მამაკაცური სურვილი არ უარყოფს ამ უცხო ქალებს და ხშირად მათზე ძალას ხმარობენ. მაგრამ შემდგომ ეს ქალები მოძალადეს უკავშირდებიან, მათდამი გულუხვობას იჩენენ, სიმდიდრესა და ბავშვებს ჩუქნიან. ხშირად ქალები საიდუმლოებით მოცულნი და მიუღწეველნი რჩებიან, მამაკაცის წინააღმდეგ აკრძალვების ზღუდეს აგებენ, რასაც ხანდახან უბედურებაც კი მოჰყვება ხოლმე. ამ ზღაპრულ არსებებს წარმოსახვითი დედის თანაშემწეებს მივაკუთვნებ, ისეთს, როგორიც ღვთისმშობელი იყო გიბერ ნოუანელისთვის. ასეთი ფერიები რაინდებს ამრავლებდნენ, რომლებიც ქონებას მოკლებული, დაბადებიდან ძიძებთან მიტოვებულნი და ობლად გაზრდილები იყვნენ. ისინი თვლიდნენ, რომ ძალადობითა და დაშინებით ჩაიგდებდნენ ხელთ მომხიბლავ, ეშმაკ და ქედმაღალ ქალებს და გამარჯვებულნი თავინთ წიაღს უბრუნდებოდნენ.

ამგვარი ლიტერატურა ისევე, როგორც ანდრე კაპელანის სიყვარულის ხელოვნება, ქორწინებას ეხება. „ყმანვილთა" სულში ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობები მძვინვარებდა. ისინი ქორწინების ინსტიტუტის მოსპობაზე ოცნებობდნენ, რადაგან ეს უკანასკნელი მათთვის მიუწვდომელი იყო, მაგრამ ამავე დროს, მათ ამ გადაულახავი ბარიერის გადალახვა სურდათ. ისინი იმედოვნებდნენ, რომ ყველა წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც დაქორწინედებოდნენ. მათი თავგადასავლების ბოლოს იმედად ქორწინება მოჩანდა, სრულყოფილი ქალი, რომელის გულსაც რაინდი დაიპყრობდა და ორი ლამაზი ვაჟიც ეყოლებოდათ. სწორედ ესაა ქორწინების ფასი, რომანული ინტრიგის სიღრმეში მოთავსებული. „ბოსასხამის ზღაპარი" საოცარ ისტორიას აგვიწერს, კურტუაზულ ამბავს, ცოლის ღალატის ისტორიას. თუმცა ამ ფაქტით ქმარი მოტყუებული მაინც არ არის. მარტოსული მეუღლე იმედით სულდგმულობს, თუმცა მისი ძიების შედეგი გაურკვეველია. მარი ფრანგის მიერ შექმნილ ლირიკული ჟანრის პოემებში იდეალური სიყვარულის დასასრული ქორწინებაა. მარი ფრანგი XII საუკუნის ბოლო მესამედში წერდა. 60-იანი წლების შემდეგ საფრანგეთის ჩრდილოეთის საერო წრეებში, იმ სენიორალურ სასახლეებში, რომლებიც ტონის მიმცემნი იყვნენ, იმ დროის ჩაცმის სტილს, მოდას, საუბრის მანერას განსაზღვრავდნენ, გაჩნდა სასიყვარულო თავგადასავლებსა და ქორწინებებში თუნდაც უმნიშვნელოდ განსხვავებული ფანტაზიების არსებობის სურვილი. კრეტიან დე ტრუა იმ დროის ყველაზე რაფინირებული საზოგადოების

გემოვნებას უპასუხებს. უფრო დაწვრილებით რომ შევისწავლოთ ცოლქმრობისა და სიყვარულის ურთიერთკავშირი იმ ინტრიგების მიხედვით, რომლებიც 1170-1180 წლებს შორის მიმდინარეობდა, აუცილებლად გამოიკვეთება ამგვარი ინტერესების გაძლიერება. „გრაალის ზღაპრის" მიხედვით, „ყმაწვილობა" რაინდული აღზრდის ხანგრძლივ პერიოდს გადიოდა. ლიტერატურაც მათ მყარად უნერგავდა, რომ სიყვარული, სხეულისა და გულის სიყვარული, ქორწინებითა და კანონიერი გამრავლებით სრულდებოდა. საჭირო გახდა ლოიალურობის დაცვა, საკუთარი თავის პატრონობა, მამაკაცური ღირებულებების შენარჩუნება, რის გარანტიასაც, დინასტიის გაგრძელების მიზნით, წყვილის კავშირი იძლეოდა. თხზულების - „სიმღერა ვარდზე" ახალგაზრდა გმირი ბაღში მოხვდება. ყვავილი კი ჯერ მხოლოდ კოკორია, ქალწული და არა ქალი. ყმაწვილიც მის მონყვეტას მხოლოდ კეთილშობილი განზრახვით - მისი ცოლად მოყვანის მიზნით გადაწყვეტს.

XIII საუკუნის ბოლოდან ამ საკითხში საზოგადოება ნაკლებად სწორხაზოვანია. მამაკაცთა დაქორწინების შეზღუდვები აღარ ხორციელდება, ხოლო სიმღერებსა და პოემებში ასახული ოცნება მკვეთრად ასხვავებს ანდრე კაპელანის ეროტიკულ თამაშებსა (რომელიც ქორწინების მიღმა ხდება) და ორმხრივად სასარგებლო შეერთებას, რამაც მეუღლეები საბოლოოდ უნდა დააკავშიროს. მაგრამ სანინაალმდეგო სქესის მიმართ ეს ორი მამაკაცური დამოკიდებულება თანმიმდევრულად აისახება კეთილშობილი მამაკაცის ცხოვრებაში. ქალის მოპოვების პერიოდი მისთვის დასაშვებია. ნადავლის მოპოვების და დევნის პერიოდი, სიყვარულის მიღწევა (ამას ჟორჟ დიუმეზილი მეორად ფუნქციას უწოდებს). მაგრამ დგება მომენტი, როდესაც მამაკაცმა უნდა შენყვიტოს სათავგადასავლო ხეტიალი და ერთ ადგილზე დამკვიდრდეს, დაღვინდეს, დამშვიდდეს და დაბრძენდეს. ასაკის მიხედვით ეს გადასვლებიც რიტუალურად მიმდინარეობს და ამ რიტუალებს შორის ადგილს ქორწინებაც იკავებს. რაც შეეხება რიტუალებს, აქ სხვა შტრიხი იკევთება, საერთო ყველა იმ ნაწარმოებისთვის, რომელთა ფუნქციაც შეფარვით ჭკუის დარიგება იყო: ისინი იმ ფორმით არ ავრცელებდნენ თავიანთ იდეებს, როგორც ამას ეკლესია მოითხოვდა. ამ თხზულებებში მღვდლები თითქმის არ ჩანან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი ავხორცს და გროტესკულ სიტუაციებში იუმორის შემოსატანად გამოჰყავთ. მხოლოდ განდეგილებს და მარგინალებს (ისე, რომ არც იციან მიაკუთვნონ თუ არა ისინი მეცნიერებს) მიაქვთ ქრისტიანული გზავნილები საყვარლებამდე, მეუღლეებამდე. ეს ინდეფერენტულობა იმას არ ამტკიცებს, რომ რეალურად კონფლიქტები ჩაცხრა? საქორწინო კურთხევა ამიერიდან საყოველთაოდ მიღებული ფორმალობა გახდა. ეს ყოველდღიურობა იყო, რაზეც რომანები არაფერს ამბობენ. საქმე ორმხრივ კონფორმიზმთან გვაქვს. ორ მორალს შორის შეჯახება მცირ-

დება. კურტუაზულ ლიტერატურაში, ფილიპ ავგუსტუსის მეფობის ბოლოს, კარგად ჩანს იმ სახის მშვიდობა, სადაც ევროპული ქორწინების ფორმები (დიდი ცვლილებების შემდგომ) საუკუნეების განმავლობაში უფრო და უფრო სტაბილური ხდება.

მაინც რა მნიშვნელობა აქვს ისეთ ლიტერაუტრას, რომელიც რეალობას გვაშორებს? იგი სინამდვილეს ცვლის, თუმცა, საინტერესოა, რამდენად? ეს სხვა ნაწარმოებებიდან ჩანს, რომლებსაც ნამდვილი ისტორიკოსები მოგვითხრობენ. წარმოსახვა აქაც დიდ როლს თამაშობს, მაგრამ რეალობას ბევრად მაინც არ არის მონყვეტილი.

თავი XII

ამგუაზის სენიორები

გინის გრაფის უფროსი ვაჟი მამის სიკვდილს ელოდა. იგი ახალი დაქორწინებული გახლდათ. იმ დროისთვის ის ძალიან ახალგაზრდაც არ ყოფილა, თუმცა მონიფული მამაკაცი იყო. იგი ნადირობდა, მეგობრებთან ერთად რაინდულ ასპარეზობებში იღებდა მონაწილეობას. ხანგრძლივი და ძლიერი ნვიმის დროს, როდესაც არ იცოდა რა ექნა და მთელ თავის ამალასთან ერთად მოწყენილი იყო, დროის მოსაკლავად, მეგობრებს სხვადასხვა ისტორიების მოყოლას სთხოვდა. ერთ-ერთმა მათგანმა კარლოს დიდის თავგადასავლები იცოდა, მეორემ - წმინდა მინაზე მომხდარი ამბები, სენიორის ბიძაშვილმა კი - მათი წინაპრების გმირული ისტორიები. ამ საარაკო ამბებს იგი მეხსიერებაში ინახავდა. სნორედ მას ეკითხებოდნენ ხოლმე გენეალოგიური კავშირების შესახებ ქორწინების საკითხის გადაჭრისას, მაგრამ ჩვეულებრივ, ახალგაზრდა კაცი ამ ისტორიებს ოჯახის გასართობად ყვებოდა ხოლმე. ასევე დიდაქტიკური მიზნებითაც. ისევე როგორც როლანდი, გოდფრუა დე ბუიონი, გოვენი, სხვა წინაპრები სამაგალითო ქცევის ნიმუშებს იძლეოდნენ, მათი გმირული ქმედებები ხიბლავდა შათმომავლობას, რომლიც ხშირად მიდიოდა წინაპართა ადგილების მოსანახულებლად. ჯირითის, საუბრის, ლოცვისა და სიყვარულის დროსაც ისინი წინაპრების მაგალითებს იხსენებდნენ და ამ მამაცი რაინდებივით დიდებისა და სიხარულისთვის იყვნენ მოწოდებულნი. ოჯახური ისტორია სენიორის გარშემო ვითარდება, რათა მისი კეთილშობილება და სიქველე, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა, დავიწყებას არ მისცემოდა.

XII საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც რაინდული კულტურა აღარ იყო მთლიანად ზეპირი და ჟესტების ენაზე მოსაუბრე, წინაპართა მეხსიერება ნაწერს მიენდო, გაჩნდა სიმღერები და ზღაპრები. ამ ჩანაწერების დაფიქსირება ეკლესიაში მომუშავე პირს დაევალა, რომელიც ძირითადად ოჯახის ახლობელი ან ნათესავი გახლდათ, ან ოჯახის მწერალი, რომელიც ლიტურგიკას ასრულებდა, ან ეკლესიის რჯულის მეცნიერი, რომელსაც საფრანგეთის ჩრდილოეთში დიდი გავლენა ჰქონდა ფეოდალის მამულზე. ამ სწავლული ადამიანებისგან ფორმის შერჩევას მოითხოვდნენ, რომ მოგონება ხოტბაშესხმული ყოფილიყო, ხოლო

ნაწარმოები - მონუმენტური. საზეიმო განწყობილების მოთხოვნა იმით იყო განპირობებული, რომ XIII საუკუნის დასაწყისამდე ამ ჟანრის ნაწარმოებები ლათინურად იწერებოდა და დამკრძალავ ცერემონიალების, სამეცნიერო წიგნების ენაზე იყო შექმნილი. ეს ნაშრომები პომპეზური ლათინურით იყო დაწერილი და რიტორიკით მოკაზმული. გადაწერის დროს მოგონება ნაკლებად ბუნდოვანი და შელამაზებას მოკლებული, უფრო გაფართოებული და გაღრმავებული ხდებოდა. მწერალი ეყრდნობოდა გენეალოგიურ სქემას, რომელიც საეკლესიო ტრიბუნალისთვის წარსადგენად იქმნებოდა ხოლმე, როდესაც სისხლითანათესაობის საბაბით, ქორწინების რღვევის საკითხი განიხილებოდა. ამის გამო თხრობა ნათესაობის აღწერით ინყებოდა. თითოეულ თაობაში მთავარი ამოსავალი ნერტილი კანონიური საქორწინო შეთანხმება გახლდათ, x-მა შობა z და y. რედაქტორს პირადი მოგონებები უნდა გადაელახა, რომელიც გაყრის პროცედურას ახსენებდა და, თავის მხრივ, ნანახისთვის დაემატებინა სხვა წიგნებსა და ქარტიებში ამოკითხული ინფორმაცია. იგი ჩემი თხზულების ანალოგიურ ნაშრომს ქმნიდა, ნაშლილი კვალის აღდგენის სურვილით საარქივო მასალას ეყრდნობოდა, მწერალი ცდილობდა თავისი ბიძაშვილებისთვის, ბატონებისთვის ეამებინა, საგავრეულოს წარმოშობის ისტორია გაეშუქებინა, გვარის დამფუძნებელი წინაპრის საოცარი ამბები აღწერა. საკუთარი როლის აღსანიშნავად, ხშირად იგი მოგონებას ცვლიდა და ეს იმდენად უადვილდბეოდა, რამდენადაც თავად მოგონება ბუნდოვანი იყო. შორეული წინაპრებისთვის, რომლებიც უკვე გარდაცვლილნი იყვნენ და მათი სახელები მხოლოდ ეპიტაფიაზე, ან საბუთების კრებულში იყო მოხსენიებული, მას შეეძლო ისეთი საქციელი მიეწერა, რაც მათ სანიმუშოდ აქცევდათ. მათი ფანტასტიკურ პიროვნებებად წარმოსახვას საგვარეულო იდეოლოგია მოითხოვდა. ვინმე ნაკლებად ცნობილი პიროვნების აღწერისას ბატონი ნაშრომის ავტორს სთხოვდა, რომ ამ წინაპარს მისი მამის, პაპის ტონალობით ესაუბრა. შემკვეთებს თავად სურდათ მოხვედრილიყვნენ თხრობაში და ამიტომაც ხშირად მიჭირს გავარჩიო, ვინ იყო დამკვეთი და ვინ - აღწერის ობიექტი. გენეალოგიური ლიტერატურა ზღვა მასალას შეიცავს, რომელიც მე საინტერესო ინფორმაციას მაწვდის. ძირითადად თანამედროვეობაზე და არა წარსულზე. ის აღწერს დიდებული ოჯახების ცნობიერების თავისებურებებს ანუ იმას, რაც იმ დროს ხდებოდა. ეს ძალიან იშვიათი ტექსტებია. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ამ ჟანრის ლიტერატურა ჩრდილო-დასავლეთ საფრანგეთში XII საუკუნის ბოლოს აყვავებას განიცდიდა, მაშინ, როდესაც საერო კულტურა ყვაოდა. ამ წარმატებას მხოლოდ დიდებული უფლისწულები არ უწყობდნენ ხელს. ნაკლებად ძლიერი სენიორებიც ცდილობდნენ მათ მიბაძვას. პოლიტიკური სისტემის გაძლიერება ცალკეული დიდებულების სიძლიერეს უქმნიდა საფრთხეს. ზეწოლის უკუსაგდებად, მათ სურდათ

ხალხისთვის შეეხსენებინათ, რომ მათი გვარი, საკმაოდ ძველი და დიდებული იყო. ამ შემთხვევაში გენეალოგია დამცავი იარაღი იყო. არავინ იცის სად, როდის და ვისთვის, ვინ კითხულობდა ამ ნაწერებს. ზოგიერთი მინიშნება გვეუბნება, რომ ამ ჟანრის ლიტერატურა ქორწინების გამო შეიქმნა. ცოლქმრული ურთიერთობების დამყარებისას საჭირო იყო საოჯახო დიდების აღმწერი მოგონებების შექმნა, რათა ახალ სენიორს და მის შთამომავლობას თავისი წარსული ისტორია ცოდნოდა. აშკარაა, რომ ასეთ თხზულებებს შიდა, კერძო დანიშნულება ჰქონდა და სწორედ ამიტომ უმრავლესობა დაიკარგა. ზოგიერთი შემთხვევით გადარჩა, რადგან საგვარეულოს შთამომავლობამ, მეცენატური მიზნით, ხელნაწერები ორასი თუ სამასი წლის შემდეგ, XIV, XV საუკუნეებში გადააწერინა. იმ პერიოდში, როდესაც დიდებულთა ოჯახებში ბიბლიოთეკების შექმნა დაიწყო.

ყველაზე ძველი თხზულება 1155 წლით თარიღდება, იგი ტურენიდან, რიტორიკის ქვეყნიდან მოდის. ეს შესანიშნავი ტექსტი ამბუაზის სენიორებს განადიდებს[1]. პანეგირიკი - შესაძლოა ამის გამოც გადარჩა - სხვა პიროვნებებსაც აღწერს: ავტორი, ამბუაზის ეკლესიის რჯულის მეცნიერი, მხოლოდ ამ გმირების შთამომავლებისათვის არ შრომობდა. იგი ასევე სხვა საგვარეულოს მეთაურს, ჰენრი პლანტაგენეტს, ანჟუს გრაფს, შემდგომ ინგლისის მეფეს, ეძღვნება. ამ პროზაულ ნაწარმოებს თავისებური შეფერილობა აქვს. ეს ჩივილია, ნუწუნია. უბედურება ოჯახის ნგრევიდან მოდის. ოჯახის მეთაური, ანჟუს გრაფების ერთგული ვასალი, სენიორებს ომში ემსახურებოდა. ამ ომს საფრანგეთის მეფე, რომელსაც ბლუას გრაფი ეხმარებოდა, ალიენორის ახალი ქმრის წინააღმდეგ ანარმოებდა. ანჟუს გრაფების ვასალი ტყვედ ჩავარდა და ტყვეობაშივე გარდაიცვალა. მისი ვაჟები მაშინ პატარები იყვნენ. მათი ციხესიმაგრეები კი დაიპყრეს. ამ გაჭირვების ჟამს მამულის სენიორი ჯარში გაინვიეს. ნანარმოები დარდის შესამსუბუქებლადაა დაწერილი. მისი პირველადი დანიშნულება დამრცხებულის შთამომავლობის აღზრდა კი არ გახლავთ, არამედ ბატონის, როგორც უკანასკნელი იმედის, კეთილგანწყობის მოპოვება.

დიპლომატი მწერალი ამ მიზნით ციცერონის ხშირ ციტირებას ახდენს და გვერდიდან გვერდამდე ვასალურ მეგობრობას ხოტბას ასხამს. თავდაპირველად ავტორი ამბუაზს აგვიწერს, მის სიძველეებს: ეს ფეოდალური მამულია, ხანგრძლივი მეგობრობის აკვანი. მნიშვნელოვან ქონებაზე შეთანხმება თაობებს ორმხრივ ვალდებულებებს აკისრებდა, როგორც ვასალთა, ასევე სენიორთა მხრიდან. თხზულებაში ორი საგავრეულოს ისტორია პარალელურადაა ნარმოჩენილი იერარქიის პატივისცემის დაცვით. თუმცა ანჟუს გრაფთა გმირობების უპირატესობა ენიჭებოდათ. აქ მათი სამხედრო სიმამაცეა შექებული. ვაჟკაცური სიძლიერე კი შთამომავლობას გაჭირვების შემთხვევაში საბუთად უნდა

გამოეყენებინა. პირველი ისტორიის მთავარი გმირები, შესაბამისად, მამაკაცები იყვნენ. არაფერია ნათქვამი მათ ქალიშვილებზე და თითქმის არაფერი - მათ ცოლებზე. მათ შორის ყველა გმირია, გარდა ერთისა - ფუკ რეშენის. იგი ამბუაზის საგვარეულოს დაუძინებელი მტერი ყოფილა. ამიტომ იგი გაკრიტიკებულია. თუმცა ახალგაზრდობაში ფუკი იმედის მომცემი ყოფილა. მოხუცებულობის ჟამს კი ქალების სურვილმა გადაუარა, ინერტული, ემპათიური გახადა. იმ დროის დოკუმენტებში ხშირად საყვედურობდნენ ხოლმე უძლურებას იმ მოხუცებულებს, რომლებიც სიკვდილს აგვიანებდნენ. ფუკს ძალიან შეუყვარდა ბერტრადა, ამბიციური მეძავი, რომელიც მეფე ფილიპმა საბოლოოდ გააგდო. ეს ტექსტი გატაცებასა და ავხორცობაში ბრალს სდებს კაპეტინგს, რასაც დღესაც იზიარებს ისტორიკოსთა ნაწილი. გრაფების გმირობის აღწერის შემდეგ მათი ვასალების ისტორიებია მოთხრობილი. ამ უკანასკნელთა საგვარეულო მსგავს სტრუქტურას წარმოადგენს. ის დაარსებულია X საუკუნის ბოლოს და მათ მამაკაცებს განსხვავებული ღირსებები ახასიათებთ. ისინი ნაკლებად ფიცხნი, ძალიან ფრთხილები, კარგი მრჩევლები და კანონმორჩილნი გახლდნენ. გვარის უკანასკნელი წარმომადგენელი სულპის II საკუთარი გაუმაძღრობის და სიძუნწის მსხვერპლი შეიქნა. ამისთვის იგი მკაცრად დაისაჯა. მას ქალები ძალიანაც არ ჰყვარებია, მაგრამ ერთხელ მან დაივიწყა მოვალეობები, რასაც მას ომაჟი ავალებდა. ამბუაზის სენიორთა ღირსება კი ვასალური ფიცის ერთგულება იყო. ამგავრი მეგობრობა მათ უფლებას აძლევდა უბედურების ჟამს სენიორის დახმარებისა და რჩევის იმედი ჰქონოდათ.

ეს მეგობრობა ომაჟიდან იღებდა სათავეს და როგორც სახელი მიგვანიშნებს[2], მამაკაცთა შემაკავშირებელი იყო. ეს მასკულინური ღირსება იყო, სცენაზე მეომრები იდგნენ. ამბუაზის სენიორთა გმირობას მისი 70 წარმომადგენელი ასახავდა. თუმცა აქედან 25 ქალი იხსენიებოდა. ზოგიერთი მათგანი მხოლოდ უბრალო ფიგურა არ იყო, ისინი მეუღლეებს წარმოადგენდნენ. ეს ტექსტი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, რამდენადაც ქალებს პირველ პლანზე წარმოაჩენს, რომლებიც ფაბულას არ ქმნიან, მაგრამ ავსებენ მას და მამაკაცების პორტრეტების შექმნაში მონაწილეობენ. მამაკაცების ხატება კი, ბუნებრივია, იდეალურია. ნაწარმოები პანეგირიკია. წინაპრები, ქალბატონები, ის ქალიშვილები, რომლებიც ოჯახის უფროსის სარეცელთან მიჰყავდათ, არასდროს ყოფილან მოღალატენი და ოჯახიდან გაგდებულნი. ისინი ქმრებს ოჯახის ღირსების ამაღლებაში ეხმარებოდნენ. უკლებლივ ყველა ქალი, გარდა უკანასკნელისა, აგნესისა, უბედური სენიორის მეუღლისა[2]. იგი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და საგვარეულოს იმედის, ახალგაზრდა ვაუების

---

[2] სიტყვა ომაჟი მომდინარეობს ფრანგული სიტყვიდან "homme", რაც მამაკაცს ნიშნავს

დედა გახლდათ. მაგრამ იგი უკვე ქვრივი იყო. შესაძლოა მან სასახლე დატოვა, მაგრამ უდავოდ ვიღაც ცდილობდა მისი მამულიდან გაგდებას. ქალი მაღალი წარმოშობისა იყო, დონზი-სენ-ენიანის გვარიდან, რომელიც სამეფო ოჯახს განეკუთვნებოდა. მაგრამ შეიძლება სწორედ ეს ფაქტები მის სანინააღმდეგოდ მუშაობდა. 1155 წელს კაპეტინგი და მისი მეგობრები ანჟუს გრაფისა და მისი ვასალების საშინელ მოწინააღმდეგეებად იქცნენ. ბრძოლის დროს მისი ქმარი ტყვედ ჩავარდა. „დიდი ფიქრისა... და სხვათა რჩევის მიღების გარეშე", აგნესმა უკან გააბრუნა ორასი ტყვე, რომლებიც ამბუაზის ციხესიმაგრის ხალხმა დაატყვევა და სავარაუდოდ მათი სენიორზე გაცვლა ჩაიფიქრა. ქალმა თავისი როლი ცუდად შეასრულა. რამდენადაც იგი დედა იყო, მას შეეძლო დასუსტებული ბატონის შეცვლა და სენიორიის ხელში ჩაგდება მანამ, სანამ საგვარეულო ვინმე მამაც მამაკაცს არ მოავლენდა, რომელიც ქალს ამ ტვირთისგან გაათავისუფლებდა. ალბათ, სურდათ, რომ აგნესი იმ გმირი ქალებივით მოქცეულიყო, რომლებიც ქრონიკებში ღირსეულად წარმოჩინდებოდნენ ალყაში მყოფი ციხესიმაგრეების გალავანზე, შეძახილებით მეომართა გულებს რომ ამხნევებენენ.

აგნესის სისუსტე ხაზს უსვამდა მისი დედამთილის - ელისაბედ დე ჟალინის ღირსებას, რომელიც ახალი გარდაცვლილი იყო და გრაფ ფუკ რეშენის ქალიშვილი გახლდათ, შესაბამისად, მეფე ჰენრი პლანტაგენეტის დიდი დეიდა. იგი „იღბლიანი" იყო, დიდებული წარმოშობის, მამისგან მიღებული ქონების, ქმრისა და შვილების ღირსებათა გამო. ამ ქალს მამაკაცების წყალობით სცემდნენ პატივს, მამაკაცი-მამის, რომელმაც გააჩინა, მამაკაცი-ქმრის, რომელმაც შეირთო და მამაკაცი-შვილების, რომლებიც თავად შობა. ამ ღირსებათა გამო იგი აქტიური უნდა ყოფილიყო და იმგვარი „მამაკაცური სიძლიერით" გამორჩეული, ტექსტის მიხედვით, რომელიც ქალური სისუსტისგან დაცლილი იყო. ქალიც მამაკაცივით იქცეოდა. ახალგათხოვილი დედის სამფლობელოში გამგზავრებულა - აშკარად, ქმრის თანხმობით - მაგრამ მაინც მარტო. მისთვის ქონების ჩამორთმევა სურდათ, მაგრამ ქალმა იგი დაიცვა, შვილებისთვის ინახავდა. შემდეგ მან ბიბლიური ქალის მსგავსად „ვაჟკაცურად" აიტანა ყველა ცხოვრებისეული უბედურება. ქმრის გარდაცვალების შემდეგ ქალი კიდევ უფრო ძლიერი გახდა. მისმა უფროსმა ვაჟმა, სულპის II-მ სენიორიის მეთაურობა ჩაიბარა, რომელსაც ძალიან სუსტი ქალი ჰყავდა ცოლად. ვაჟს დედის ქონების მმართვის პრეტენზია გაუჩნდა. დედამ გააპროტესტა და საფეოდალოს სენიორს სამართლის მიგება მოსთხოვა. ანჟუს გრაფი კეთილი უფლისწული და ქვრივთა დამცველი გახლდათ. იგი იარაღით ხელში დაუპირისპირდა ამბუაზის სენიორს და დედის უფლებათა პატივისცემისკენ მოუწოდა. საკუთარ თავში დარწმუნებული ელისაბედი ბურბონეში გაემგზავრა თავისი მესამე ვაჟის იქ დასამკვიდრებლად, რომელიც მის პირად მფლობელობაში იყო, ხოლო

შემდეგ ამბუაზში დაბრუნდა და უკანასკნელი დღეები სენ-თომას მონასტერთან გაატარა, როგორც ღვთისმოსავმა ქვრივმა. უფროსი ვაჟი კი ქედმაღლობისათვის გაკიცხა. მოხუცებულობის მიუხედავად, ქალი „ენერგიით აღსავსე" იყო და კარგ მრჩევლად იქცა, გარდაცვლილი მეუღლის ნაცვლად, სენიორივით ბრძენი გახლდათ, შვილს ასე მიმართავდა: „რატომ ჩაები ამ ომში ჩემს დაუკითხავად, ჩემზე უკეთეს რჩევას ვერ-ავინ მოგცემდა."[1] სიკვდილის წინ მას კიდევ შეძლო თავისი შვილიშვილებიდან უფროსისთვის ეხელმძღვანელა, რომლიც ობოლი და უქონებო, უმწეო დედის პატრონი იყო. ბებიამ შვილიშვილს ჟალინის სამფლობელო გადასცა, რომელიც ვაკანტური იყო მისი ბოლო გარდაცვლილი ვაჟის შემდეგ. ქალი მარტო აღმოჩნდა განიავებული ოჯახური ქონების წინაშე, თუმცა უბედურებისგან გამობრძმედილი. საკუთარი სიმამამცის წყალობით, ელისაბედი სანიმუშო პორტრეტების გალერეაში გამონაკლისის სახით შევიდა. იგი დედობრივი ტრაგედიისა და ქმრის გარდაცვალების მომსწრე, მამაკაცთა თანასწორია. ეს გმირი ქალი იმ იშვიათ ქალთა კატეგორიას მიეკუთვნება, რომელთაც იმ დროის მამაკაცები პატივს სცემდნენ, მას შემდეგ, რაც ისინი ქალობის პერიოდს დაასრულებდნენ, მათი თანასწორნიც კი ხდებოდნენ.

ცოლის ღირსებები სხვა პორტრეტშიც იჩენს თავს, სამოცდაათი წლით ადრე გარდაცვლილი წინაპრის - დენიზის სახეში. იგი პონტლევოის მონასტერში განისვენებს, ყოველწლიურად კი მისი გარდაცვალების დღეს მის სახელზე ლიტურგიკა სრულდება. რვა ლათინური სიტყვა საკმარისია მისი ღირსებების გამოსახატავად. ეს ის თვისებებია, რომლებსაც მამაკაცები საუკეთესო ქალურ თვისებებად მიიჩენვდნენ: ღვთისმოსავი ქალიშვილი, მორჩილი ცოლი, რბილი ქალბატონი, კარგი დედა. ქალიშვილი, მეუღლე, ქალბატონი და დედა - დენიზი მთელი ცხოვრების მანძილზე მამაკაცს, მამას, მეუღლეს, ვაჟებს, მაზლსაც კი, რომელიც იმ სასახლეს მართავდა, სადაც ქალი ცხოვრობდა, მორჩილებდა. გათხოვებამდე დენიზი მორწმუნე ქალიშვილი ყოფილა, იგი დათანხმდა მისთვის შერჩეული მამაკაცის ცოლობას. მისი ბედიც ეს იყო. როგორც ყველა მეუღლე, ისიც მორჩილი და მშვიდი გახლდათ. გათხოვების შემდეგ დიდძალ ქონებას დაეპატრონა, მისი ქმარიც მასთან გადავიდა საცხოვრებალდ. თუმცა ქორწინებამ იგი მაინც ქმრის ბატონობის ქვეშ მოაქცია. სწორედ მისი მეუღლე იჯდა შომონის ციხესიმაგრეში დენიზის წინაპრების კუთვნილ სავარძელში. დენიზს კი მის გვერდით ეკავა ადგილი, მოსამართლის ტახტის გვერდით ფეხზე იდგა, როგორც ღვთისმშობელი - მსაჯული ქრისტეს გვერდით. მას „სიმშვიდე" და გულმონყალება შეჰქონდა სენიორის გადაწყვეტილებებში. ქალი თანაშემნე იყო, თუმცა მებატონის ყველა უფლება მას ჰქონდა. ნუთუ დედობამ იგი ავტორიტეტული გახადა? სულაც არა. დედა „გამოსადეგი" უნდა ყოფილიყო. ვისთვის? სხვა მამაკაცისთვის, ვაჟებისთვის, რომლებიც გააჩინა.

ამგვარი იყო ქალის როლი იმ დიდ აღლუმზე, რომლის სცენაზე წარმოჩენაც რაინდულ, მასკულინურ საზოგადოებას უყვარდა. ქალი ძვირფასი საგანი იყო, რომელიც საბოლოოდ იმას დარჩებოდა, ვინც მეტს გადაიხდიდა. ამდენად დაქვრივებული დენიზი ჯერ კიდეე ძალიან ახალგაზრდა, მცირენლოვანი შვილების დედა იყო. მისი წრის მამაკაცები მზად იყვნენ ეს ნადავლი ხელში ჩაეგდოთ, მასზე დაქორწინებულიყვნენ. გარდაცვლილი ქმრის ნათესაობა ჩაბღაუჭებული იყო ამ ძვირფას ქონებას. დენიზი ქალიშვილებთან ერთად გამომწყვდეული გახლდათ ციხესიმაგრეში, რომელსაც ორმაგი კოშკი იცავდა. ციხესიმაგრის მცველს ნაბრძანები ჰქონდა ამ განძის თვალის ჩინივით დაცვა. რისთვის უნდა ეთვალთვალათ? პიროვნებისთვის? თუ მუცლის, საშოს, იმ საიდუმო ორგანოსათვის, საიდანაც მომავალი მეომრები, მემკვიდრეები უნდა გამოსულიყვნენ? სწორედ ამიტომ ქალის ნამდვილი ტახტი ის სარეცელია, რომელზეც იგი მშობიარობს. ერთ ღამეს ამბუაზის სენიორის ხალხმა ქვის კოშკზე იერიში მიიტანა. მათ მარნიდან პირველ სართულზე შეაღწიეს, ჭერი გახვრიტეს და დარბაზში შევიდნენ. აქ კი მათ მცველი რაინდის მეუღლე აღმოაჩინეს, თავად მცველი მოკლეს, სენიორის დროშა ციხესიმაგრის წვერზე დაამაგრეს, ახლაგაზრდა დედა კი მოიტაცეს თავისივე საწოლით, მინაზე ფეხი არ დაადგმევინეს და წმინდა ნივთივით მიიტანეს იმ სასახლემდე, სადაც მის ქმარს ეძინა[4]. ეს იყო მოსამშობიარებელი, შობის საწოლი, რომელიც მოქანდაკეებმა (ამ ტექსტის შექმნამდე ცოტათი ადრე) შარტრის სამეფო პორტალის ერთ-ერთ ტიმპანზე შექმნეს ღვთისმშობლის ქანდაკების ქვემოთ. რამდენადაც ქალი შობს, იგი ღირებული საგანია, მე ამას ვიმეორებ. იგი გაცვლის ობიექტია. ქალი თამაშის მონაწილეა, მაგრამ მოთამაშენი მამაკაცები არიან.

მოთამაშენი ორ ჯგუფად იყოფიან. ერთნი პაიკს კლავენ, ხოლო მეორენი - თმობენ. მეორე ჯგუფში მრავალი მონაწილეა. იმ დაძაბულ შეჯიბრში, რომელიც XII საუკუნის შუა ხანებში ქალების მოსაპოვებლად მიმდინარეობს, ქალების გამცემებს, ციხესიმაგრეში საქმის გამჩარხველებს შორის ქალიშვილის ნათესავები ჩანან, რომლებიც, ერთის მხრივ, სენიორის და მეორე მხრივ, ვასალის მომხრეებად გამოდიან. ამბუაზის სენიორთა ისტორია ომაუის შედეგად ჩამოყალიბებულ პიროვნულ კავშირებს, საგულდაგულოდ შერჩეულ ნათესაობას ეხებოდა, რომელიც ხშირად სისხლიაღრევით მთავრდებოდა. ეს ისტორია ფეოდალიზაციის წინსვლის ერთ-ერთ შედეგს წარმოაჩენს. არისტოკრატთა ქონების დიდი ნაწილი ამიერიდან ლენური დამოკიდებულების მეურნეობაა. საქორწინო ალიანსები ერთი სახლიდან მეორეში ავრცელებდნენ თავიანთ უფლებებს, საბოლოოდ კი ყველაფერი ვასალური ვალდებულებების ქსელში იყრიდა თავს. ყოველივე წინასწარი მოლაპარაკების დროს აღინიშნებოდა, სენიორი ფეოდს გასცემდა, ხოლო ვასალი უშუალოდ იყო დამოკიდებული ქალის მზითვზე, მის მამულზე და ახლადშობილ ვაჟზე, რომელიც

მათი ან მათი შვილების სენიორი გახდებოდა. ერთის მხრივ, სახელგანთქმული მფლობელი და მეორეს მხრივ, ფეოდიდან შეგროვილი ვასალური გადასახადი მიმხიბლავი გახლდათ მომავალი ქმრისთვის. რაინდი ომაჟსა და სამსახურს იღებდა, რომელიც თავის მხრივ, სხვებს იგივე წყალობას მიაგებდა. ამგვარად ფეოდალური სტრატეგია რთულდებოდა იმ უსასრული გარიგებების გამო, რომლის ობიექტებიც ქალები იყვნენ. აი, რა გამოვლინდა ამ თამაშში.

ამბუაზის ოჯახის ისტორიაში ქალები მრავლად მონაწილეობდნენ, რაც გასაკვირი არ იყო. ორი მიზეზის გამო წინაპარ-ქალთა მოგონება ცოცხლად შენარჩუნდა. მძიმე მომენტებში მათ მიერ რეგიონის მთავარ გავლენიან პირებთან კავშირები იბმებოდა. ციხესიმაგრეები, მიწები, ძალაუფლება, აბსოლუტურად ყველაფერი, რაც კი საგავრეულოს ღირსებებს წარმოადგენდა, ქორწინების შედეგად, სწორედ ქალების მიერ იყო მოტანილი. საუკუნე-ნახევარში ხუთი თაობის მანძილზე ხუთმა თანმიმდევრულმა ქორწინებამ დიდძალი სენიორალური ქონება შექმნა, რომლითაც ამბუაზის სენიორი ტურენის გავლენიან ფეოდალად იქცა. პირველად გვარის დამაარსებელი წინაპარი დაფუძნდა ამ რეგიონში. მისმა ერთ-ერთმა შვილმა, ნაბოლარამ, ლიზუამ მეორე ქორწინების წყალობით ამბუაზის ერთ-ერთ ციხესიმაგრეში, ქვისგან ნაგებ კოშკში დაიდო ბინა. მისმა უფროსმა ვაჟმა სულპისმა დენიზზე იქორწინა და შომონის ციხესიმაგრეც დაისაკუთრა. ჰუგოს, თავის ვაჟს ელისაბედმა მდიდარი ქონება გადასცა, კერძოდ, ამბუაზის დარჩენილი ტერიტორია (რომელიც მის ძმას ეკუთვნოდა) და დედისგან მიღებული ბურბონული მემკვიდრეობა, ჟალინი, რომელიც ამ საგვარეულოს მამაკაცებმა ვერ ჩაიგდეს. აქაშკარად იკვეთება ვასალური მეგობრობის როლი. 1155 წელს ამბუაზის საგვარეულოში იხსენებდნენ, რომ წინაპრები, ერთმანეთის მიყოლებით შესანიშნავ ცოლებს ირთავდნენ. ეს ქალები ერთგვარ ჯილდოს წარმოადგენდნენ მათი სიმამაცისა და ერთგულებისათვის. სენიორია ფართოვდებოდა და გავლენიანი ხდებოდა. ყოველ ჯერზე სენიორი მაღალი წარმოშობის მამაკაცს ირჩევდა და თავს ახვევდა თავის სურვილს, მისი ქალიშვილის შერთვას სთხოვდა. ამ შემთხვევაში იგი წყვეტდა ყველაფერს, თავად ირჩევდა საქმროს და მაჭანკალს ამ არჩევანის განხორციელებას ავალებდა.

ეპოსი ბევრს არ გვეუბნება ამგავრი შეთანხმებებიდან ყველაზე ძველზე, დიდი ცვლილებების თანადროულ ეპოქაში არსებულ ხელშეკრულებებზე, რომელზეც მე ვსაუბრობ. X საუკუნეში, ათნლეულების მანძილზე მაღალ არისტოკრატიაში ნათესაური ურთიერთობები ნელნელა საგვარეულო ურთიერთობების (ლინიაჟური ურთიერთობების) ფორმებს იღებდა. შესაძლოა რეალური სურათი ოჯახურ მეხსიერებაში წაიშალა კიდეც. ფაქტია, რომ 150 წლის შემდეგ ქორწინება მთავარ პირობად იქცა სენიორალური დინასტიების ჩამოყალიბებაში. საგავრეულოს

ერთ-ერთი წინაპარი ჰუგო I ჰუგო კაპეტის „ერთგული“ გახლდათ, ასევე მისი ნათლულიც - იგი კაპეტინგის გვარისა იყო - და სახელიც, რომელიც მან თავის ვაჟს მისცა, ამტკიცებს, რომ იგი წარმოშობით ორლეანელი, კაპეტინგების ქვეყნიდან იყო[6]. „მან ერთი გრაფი მანსოელებს მისცა“, კერძოდ, ჰუგო კაპეტმა მას ცოლად ლავარდენის სენიორის ქალიშვილი შერთო. საგრაფო მოკრძალებული ყოფილა. ჰუგო I-ის ვაჟი, ლიზუა, მამის მსგვასად, თავგადასავლების საძიებლად გაემართა და ანჟუს გრაფს, ფოკ ნერას დაუახლოვდა. ეს უკანასკნელი, თუ გენეალოგიურ მოგონებას დავუჯერებთ, ცდილობდა ამ ერთგული ადამიანისთვის მეგობრობის საფასურის გადახდას მისი ჟოფრუა მარტელთან დაკავშირების გზით (თავის მომავალ მემკვიდრესთან). ლიზუამ იერიში მიიტანა ამბუაზის კოშკზე, რათა მის მფლობელს ნათესავი გოგონა ჩაეგდო ხელში. 1030 წელს ლიზუამ ქალი კოშკთან ერთად დაიპყრო. ჟოფრუა მარტელისგან დამარცხებული და დატყვევებული, შომონის სენიორი იძულებული გახდა თავისი ნათესავი გოგონა ლიზუას უფროსი ვაჟისთვის გადაეცა და კარგადაც გაემზითვებინა. ასევე მან ფუკ რეშენს თავისი ქალიშვილი - ელისაბედი მიათხოვა. ამით მან საკუთარი ვაჟი ხელიდან გამოგლიჯა იმ ადამიანს, რომელიც მის წინააღმდეგ ომს აწარმოებდა. ეს უკანასკნელი კი მოკავშირეებს ეძებდა. მან თავისი ნახევარდა ჰუგო II—ს მიათხოვა, რათა მასთან მეგობრობა გაემყარებინა. ოთხი ცოლიდან სამი ნამდვილად ომის ნადავლი იყო, რომლებიც გამარჯვებულმა თავის სამხედრო მეგობრებს გაუყო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქალების გამზითვების გამო ლიზუა და შემდეგ სულპისი იძულებულნი შეიქნენ საკუთარი ცოლების სასახლეებში გადასულიყვნენ, გაჭირვებით მოინადირეს მტურლად განწყობილი ნათესაობის გული და შესაბამისად, საბოლოო განსასვენებელი უცხო გვარის საძვალეში ნახეს. ეპოსის ავტორი მალავს, რომ ამ ძალიან ძველ ქორწინებებში ადგილი ჰქონდა გატაცებას. პირიქით, იგი ქებით იხსენიებს თავის კეთილ სენიორს, რომელმაც თავისი გოგონები იმ ახალგაზრდებს მიათხოვა, რომლებიც მას ერთგულად ემსახურებოდნენ.

ასეთი ისტორიები უმცროს ვაჟებს აგულიანებდა, რომლებიც სენიორალურ კარზე ბატონის სიმპათიის მოპოვებას ცდილობდნენ. ამ უკანასკნელს კი XII საუკუნის მეორე ნახევარში რაინდული იდეოლოგიის წიაღში მყარი პოზიცია ეკავა. ეს მოვლენა თავს იჩენს ერთ-ერთ ამბავში, რომელიც რაინდული ეპოსის თავდაპირველ ტექსტს მოგვიანებით მიამატეს. ისტორია მოგვითხრობს (ჩანს, რომ იგი გამოგონილი ამბავია და არ ემთხვევა ქარტიებში გაბნეულ ფაქტებს), თუ როგორ დაარსდა შატო-რენოს სასახლე[6]. 1044 წელს გრაფი ჟოფრუა მარტელი ტურენში იბრძოდა. დამარცხებული მონინააღმდეგეები მან საკუთარი ერთგული მსახურებით შეცვალა ისევე, როგორც შომონში. მას „თავისთან“, თავის ამალაში, გვიყვება ლეგენდა, „ორი კეთილშობილი

ყმაწვილი ჰყავდა, ერთს ერქვა რენო, მამამისის სახელი, მეორეს კი - ჟოფრუა თავად გრაფის სახელი, რაგდანაც მისი ნათლული იყო." ანჟუს გრაფმა პირველი რაინდი შეაიარაღა (ყველა შესაძლო კავშირი გამოიყენა, ნათლობისა და რაინდად კურთხევის შედეგად ჩამოყალიბებული) და მამამისთან გაგზავნა (აქ აშკარად ჩანს საუფლისწულო სასახლის ერთ-ერთი ფუნქცია: სწორედ აქ იღებდნენ ახალგაზრდა მეომრები სამხედრო ხელოვნების გაკვეთილებს და მის სიმბოლურ ატრიბუტებს. ამ სასახლეში თავს აფარებდნენ ის ვაჟები, რომელთაც ქონება არ გააჩნდათ. ასეთ კარზე ერთგული ხალხი იზრდებოდა, ნახევრად შვილური მორჩილებით, ასევე მათ მიმართ ნახევრად მამობრივი კეთილგანწყობა მჟღავნდებოდა ბატონის მხრიდან; ასეთ ურთიერთობებს ეყრდნობოდა ფეოდალური სისტემა). ეს ვაჟი, რამდენადაც უფროსი გახლდათ, საცხოვრებლით უზრუნველყოფილი იყო. მან მალევე მიიღო მამის მამკვიდრეობა. ეს უკანასკნელი იერუსალიმში გაემგზავრა, რათა ადგილი შვილისთვის დაეთმო. უფროსს ძმას უმცროსი ძმა აუმხედრდა, მანაც მოინდომა რაინდად კურთხევა და მინის მიღება. ზუსტად ამ პერიოდში ჟოფრუა მარტელს ერთგული კაცი სჭირდებოდა, რომელიც ახალი ციხესიმაგრის აგებას შეძლებდა ცოტა ხნის წინათ მის მიერ დაპყრობილ ქვეყანაში. „ყმაწვილი" შეიარაღებული, აღჭურვილი იყო და გრაფმა „ცოლად თავისი ცოლის ნათესავი გოგონა მიათხოვა (მას ისეთი გოგონა უნდა შეერთო, რომელიც მისი წრისა არ იქნებოდა, რამდენადაც საკუთარი მამაულიდან ვერაფერს მოითხოვდა) კეთილშობილი დალამაზი." ახლადდაქორწინებულმა ციხესიმაგრე ააგო და გამრავლებასაც შეუდგა, მალე ბიჭიც გაუჩნდა. ციხესიმაგრის მშენებლობის დასრულება ვაჟის დაბადებას დაემთხვა და ორივეს რენო ეწოდა. ეს კარგი მაგალითია ქორწინებას, ერთგულ სამსახურს, დინასტიურ პრობლემებსა და ძლიერ სასახლეს შორის მჭიდრო კავშირისა, რომელშიც მთელი საგავრეულო იყო ჩაბმული.

აშკარაა, რომ მოგონება და წარმოსახვა ერთმანეთშია არეული. ამბუაზის სენიორთა ისტორია ძირითადად მოგვითხრობს, თუ როგორ ოცნებობდნენ რაინდები, საცხოვრებლის არქონის გამო, ფეოდალური წესებით უცოლოდ დარჩენისთვის განწირულნი ცოლის მოყვანაზე (მეფე ლუი VII-ის ეპოქაში). ასეთ მოგონებაზე უარის თქმა შეუძლებელია, ასევე არ შეიძლება იმ შორეული წინაპრის დავიწყება, რომელსაც რაინდები ბედნიერი თავგადასავლების მაძიებლად იხსენებდნენ. საბოლოოდ იგი ცოლით დაჯილდოვდა, რომელიც ომის სარდალმა ერთგული სამსახურის გამო გადასცა. ლამბერტ დე ვატერლო, რჯულის მეცნიერი, „კამბრეს ანალების" ავტორი, იმავე პერიოდში საკუთარ გენეალოგიას ადგენს. მისი საგვარეულოს დამაარსებელი, რომლის გვარსაც თვითონ ატარებს, მისი დიდი პაპის ძმა გახლდათ და მასზე ასი წლით ადრე ცხოვრობდა. კამბრეს ეპისკოპოსის ვასალი, როგორც ჩანს, თავის-

მა სენიორმა საცხოვრებლით და ცოლით უზრუნველყო. როგორიც არ უნდა ყოფილიყო სინამდვილე ფეოდალიზმის ადრეულ საფეხურზე, უფრო მნიშვნელოვანი შემდეგი რეალობა გახლდათ: XII საუკუნის შუა ხანებში რაინდობა დიდებული ნარმოშობის ნინაპრებს, გამარჯვებულ გმირს განადიდებს, რომელიც ძალაუფლებას თავის მსახურებს დიდსულოვნად უნანილებს.

მე ვიპოვე ამ ოცნების ერთი ძალიან ლამაზი ილუსტრაცია პატარა თხზულებაში[7], რომელიც ბერმა ჟან დე მარმუტიემ შექმნა, რათა გაერთო და დაემოძღვრა ჰენრი პლანტაგენეტი. ეს ტექსტი დიდი გენეალოგიური ტექსტის (არა ამბუაზის სენიორთა, არამედ ანჟუს გრაფების გენეალოგიას ეხება) ნანილია, რომელიც 1170 წლისათვის შეიქმნა. ეს არის ნიმუში, რომელიც საგვარეულოს მეთურს ასნავლის, თუ რისი გაკეთება შეიძლება და რისი არა ნინაპართა ნესების მიხედვით, რომლებიც იმდენად შორეული ნინაპრები არიან, რომ მათი არსებობა მხოლოდ საარქივო დოკუმენტებით დასტურდება. ძლიერი ანჟუს საგავრეულო ბევრად ძველი იყო ამბუაზების საგვარეულოზე. ანჟეჟერი X საუკუნის დასაწყისში ცხოვრობდა. იგი შორეულ წარსულშია დავინყებული და მთხრობელსაც შეუძლია მისგან მოჩვენება წარმოგვიდგინოს, მიანეროს მას გარკვეული ქცევები და საუბრები. ჟანმა გადანყვიტა თავისი პედაგოგიური თეატრის „ყმანვილურად“ შემოსვა, მხიარული რაინდებით, რომლებიც ბედის ძიებაში იყვნენ. იგი ერთი მარტივი ფრაზიდან გამოდიოდა. მინიატურით შემკული ხელნაწერი გვიხსნის იმ კავშირებს, რომლითაც ანჟუს გრაფი გატინეს დაუკავშირდა. ეს კი ამ უკანასკნელის ვაჟკაცურმა საქციელმა განაპირობა, მან თავისი თანამემამულე ქალი შეირთო, „იგი ძალიან დაუახლოვდა ამ ქალის ნათესაობას და შემდეგ თითქმის მთელ არისტოკრატიას.“ მნერლის ფანტაზიით ქალის ეს პერსონაჟი მამაკაცისთვის ერთგვარი ტრამპლინი იყო. თუმცა ავტორი ბერია და იგი სიყვარულზე კი არა, ქორწინებაზე საუბრობს. თავიდან სამი პერსონაჟი ჩნდება: საფრანგეთის მეფე, რომელსაც ჟანი ლუის არქმევს, მისი ვასალი - გატინეს გრაფი, რომელიც გარდაცვალების შემდეგ ერთადერთ ქალიშვილს დატოვებს, მეფის მსახური, კამერგერი, მამაცი და ლამაზი ახალგაზრდა. ამ უკანასკნელს მეფე გატინეს მემკვიდრით აჯილდოვებს. 1170 წელს ფეოდალური სამართალი სენიორს გარდაცვლილი ვასალების ობლების გათხოვების უფლებას აძლევს. ჰენრი პლანტაგენეტს უყვარდა, როდესაც მას ამას ახსენებდნენ. წინააღმდეგობაც აქედან მოდიოდა, არა ნათესაობის, არამედ ქალიშვილის მხრიდან. კამერგერს გრაფისთვის ომაჟის ფიცი ჰქონდა მიცემული. „ნესი არ არის, აპროტესტებდა ქალიშვილი, და სამართლიანიც არ არის ჩემს ვასალს, რომ თავს მახვევსო.“ გარდა ამისა, საჭირო იყო ქალის თანხმობა. ჟან დე მარმუტიეს აუდიტორიისთვის ეს აუცილებელი პირობა გახლდათ. დედოფლის მიერ მკაცრად დასჯილი, ქალების საძინებელში გამომნ-

ყვდეული (ეს იყო დახურული სივრცე, დაშინების საიდუმლო ადგილი) ქალიშვილი დანებდა. მეფეს მაინც უნდა მოესმინა „რჩევა", მეგობართა თანხმობა, ანუ გატინეს საგრაფოს ვასალების მხრიდან. ისინი თანახმანი იყვნენ. მხოლოდ საქორწინო ცერემონიალის ჩატრება იყო საჭირო. უნდა აღვნიშნოთ, რომ ტექსტში მაშინ, როდესაც ეს ისტორია შეიქმნა, საზეიმო ცერემონია ორი კი არ, სამი ნანილისგან შედგებოდა: „კურთხევა" „ჩუქების დამტკიცებას" ანუ მეუღლეთა მიერ წარმოთქმული დაპირებებისა და „საქორწინო ნადიმის" აღნიშვნას" და პატარძლის ახალ სახლამდე მიყვანას შორის ჩართეს. მწერალი სასულიერო პირი იყო. მაგრამ მან თხზულება იმ დროის კურტუაზულ სენიორებს მიუძღვნა, რომლებიც ეთანხმებოდნენ სხვადსხვა რიტუალებში მღვდლის ჩარევას. ეკლესია ყველგან საკუთარ კვალს ტოვებდა.

ამ დალოცვილი კავშირით კამერგერი, ძველი ვასალობის მიუხედავად, ხელში იგდებს ქალს და სენიორიას მართავს. თუმცა ათი წლის განმავლობაში მან ვერ მოახერხა ცოლის დაფეღმძიმება. იგი დაავადმყოფდა და ერთ დილით გარდაცვლილი იპოვეს საკუთარ საწოლში. მაშინვე ატყდა აურზაური და ყველაფერი მის ცოლს დაბრალდა, ქალმა მოკლაო. მაშინ სად იყო საყვარელი? ბრალდება გარდაცვლილის ნათესაობას უნდა წარედგინა, პირველ რიგში, ოჯახში მეორე პირს, სენეშალს. მან გამოხატა თავისი საყვედური. ხალხის მღელვარება გასაკვირი არ იყო. ისინი იმავე დროს შევიდნენ შენობაში, როდესაც აწ გარდაცვლილი მეუღლე. სახლი კი ქალბატონს ეკუთვნოდა. ქვრივი მალე გათხოვდებოდა და ახალ ბატონს მოიყვანდა, რომელიც ძველ პერსონალს გააგდებდა. საჭირო იყო ქალისთვის ამ ზიანის მიყენებაში ხელი შეეშალათ და მისთვის ხელმეორედ გათხოვება აეკრძალათ. ნუთუ ამისთვის საკმარისი იყო მისი ღალატში ეჭვმიტანა? უფრო მეტი დამაჯერებლობისთვის საჭირო იყო ცოლქრული ღალატისთვის „უეცარი გარდაცვალების" ბრალდება მიემატებინათ, რასაც კერძო პირები, შინაურები და სახალხო სასამართლო დაადასტურებდა. ამ საკარაუდო დანაშაულმა მეფის კარს შეკრების საშუალება მისცა. ასამბლეაზე ბრალდებულმა ისურვა ფიცით დაედასტურებინა უდანაშაულობა. უფლის სამსჯავროს მიმართ ამ მონოდების შემდეგ მდგომარეობას მხოლოდ ღალატის ბრალდება თუ შეცვლიდა. ამას სიკვდილიც ემატებოდა. იურიდიული კამათისთვის დასაბუთებას ითხოვდნენ. მბრალდებელი მზად იყო. მას ფიზიკური ძალის წყალობით კარგად იცნობდნენ, ამიტომაც ვინ დაუპირისპირდებოდა? ქვრივმა დასახმარებლად თავის ნათესავ მამაკაცებს მოუხმო. მბრალდებელი ისეთი ძლიერი იყო, რომ ყველას შეეშინდა. ქალი მიტოვებული, „ქვრივი", ნათესაობისგან უარყოფილი აღმოჩნდა და მტკიცებულებაც მოიძებნა: ქალი დამნაშავედ ცნეს. უეცრად გამოჩნდა ანუეერი, 16 წლის, რომელიც ჯარში მსახურობდა. იგი ქალის გვარისა არ ყოფილა, თუმცა მისი ნათლული იყო. მათ სულირი ნათესაობა აკავშირებ-

დათ, რომელიც ხორციელზე მტკიცე იყო. ახალგაზრდა მამაკაცი გრაფის სასახლეში ცხოვრობდა, დღე და ღამე მას ემსახურებოდა და იცოდა, რომ ეს უკანასკენლი ავად იყო. გარდაცვლილის სიკვდილიც ბუნებრივი იყო, ამაში დარწმუნებული ანჟეჟერი იბრძოდა და გაიმარჯვა კიდეც. დავითმა გოლიათი დაამარცხა. ქალი აშკარად უდანაშაულო გახლდათ. მან გადაწყვიტა მონასტერში ნასულიყო. მაშინ რა ბედი ენეოდა მემკვიდრეობას? ვის დარჩებოდა ფეოდი? იმ ბიძაშვილებს, რომლებმაც ქალის დაცვა ვერ გაბედეს? თუ ახალგაზრდა გმირს, „რომელიც ქალის სულიერი და არა ხორციელი ნათესავი იყო"? მეფემ მშიშარა ნათესავების მემკვიდრეობის გარეშე დატოვება გადაწყვიტა. მეფემ საკუთარ კარზე ანჟეჟერი „დედოფლის შვილად" გამოაცხადა. უფლისწულის ამ მარტივ გადაწყვეტილებას - ალბათ, ჰენრი პლანტაგენეტს ეს წინადადება მოეწონებოდა - „ჩვეულის" შეცვლა შეეძლო. უფლისწული ამ შემთხვევაში უფლის ნებას განახორციელებდა, აყენებდა რა სულიერ ღირებულებებს ხორციელზე მაღლა. ანჟეჟერი ახლაგაზრდა, უცოლო მამაკაცი გახლდათ. მას ფეოდი ფიზიკური ძალით კი არ დაუპყრია, არამედ თავისი მამაცი გულის წყალობით ერგო. ანჟუს საგვარეულოს დამფუძნებელი ნინაპარი, ახალგაზრდა ასაკის მიუხედავად, ერთ-ერთ სამეფო ფუნქციას კისრულობს. იგი ქვრივების უფლებათა დამცველია. ეს საქციელი სამეფო კარის ახალგაზრდებისთვის მაგალითი იყო. სენიორისთვის კი - ახლაგაზრდული ნოსტალგიის მომგვრელი გახლდათ.

უცნობი მთხრობელი, რომელმაც ორმაგი გენეალოგიის პირველი ვერსია შეადგინა და რომელსაც მე განვიხილავ, არ გვეუბნება, თუ როგორ მოიყვანა ცოლი ბოროტმა სენიორმა - სულპის II-მ, რომელიც ესესაა მიიცვალა. ამ ფეოდების სენიორთა - ანჟუსა და ბლუას გრაფებს - შორის ლავირებით სულპისი ბლუას გრაფის ხელშენყობით დაქორწინდა კიდეც. 1170 ნელს, როდესაც ჟან დე მარმუტიე თავის ნაშრომს წერდა, ძალადობების რიცხვის შემცირებამ უფლისწულებს ხელი შეუშალა, წინაპართა მსგავსად, იარაღით ხელში დაეპყროთ ქალები, რომლებსაც შემდეგ საკუთარ ვასალებს შესთავაზებდნენ. ის, რაც ანჟეჟერმა მიიღო, ძალით დაპყრობილი არ იყო. მეფე, ამ თხზულების მიხედვით, რომელიც იდეალურ ქმედებებს ასახავს, გოგონას ბედს მართავს, თუმცა მასზე ძალას არ ხმარობს, მხოლოდ სენიორალურ ძალაუფლებას იყენებს. XII საუკუნის ბოლოს, როდესაც დიდი თუ პატარა საფეოდალოთა მეპატრონეები საკუთარი ოჯახის რესურსებს ამონურავდნენ, დააბინავებდნენ რა ქალიშვილებს, ნათესავ გოგონებს, უკანონნოდშობილებს, მათ ისღა დარჩენოდათ, რომ ობოლთა და ქვრივთა დაცვის საბაბით, ომაჟის იერარქიული წესით მინიჭებული მამური უფლებით, გარდაცვლილი ვასალების ქალიშვილების ბედი ემართათ. ქალიშვილის ნათესაობა ამგვარ შემოტევას ენინააღმდეგებოდა. დაწვრილებითი გამოძიების შექმნის შემდეგ გამოიკვეთა, რომ კანონი იმ პერიოდში

ნორმანდიის ჰერცოგს თავისი ვასალის ქალიშვილის „მიცემის“ უფლებას ანიჭებდა იმ შემთხვევაში, თუ ქალიშვილები მემკვიდრეობის მფლობელნი იყვნენ. მაგრამ მათი გათხოვება რჩევისა და „მეგობრების“, საგავრეულოს მამაკაცების თანხმობის გარეშე აკრძალული იყო[8]. ეს იყო ძალაუფლების საკითხი, ფულისა და ვაჭრობის საგანი. „გალიისა და ინგლისის პროვინციებში“, აღნიშნავს რობერტ დე კურსონი[9], კონკრეტული ტერიტორიას, ობლების სამფლობელოებს უფლისწული განაგებდა. „ის ათხოვებდა ახალგაზრდა გოგონებს და ქვრივებს ნაკლებად კეთილშობილ დიდგვაროვნებზე გარკვეული ფინანსური ინტერესით და ამგვარად ყიდდა ახალგაზრდა ქალების დიდსულოვნებას.“

ნუთუ ანჟუს გრაფების ვასალები, ამბუაზის გრაფები თავის ნებაზე ათხოვებდნენ თავიანთ ქალიშვილებს? ისინი მათ აქორწინებდნენ და როგორც ჩანს, მათი სურვილის შესაბამისადაც. თუმცა მათი ცოლები ნაკლებად ნაყოფიერნი იყვნენ და ქალიშვილებიც ბევრი არ ჰყოლიათ. ლიზუას ცოლისგან ხუთი შვილი ეყოლა, აქედან სამი ქალიშვილი სიყრმეში გარდაეცვალა. სულპის I- ს სამი შვილი ჰყავდა, აქედან ორი ქალიშვილი. ჰუგო II-ს ოთხი შვილი ჰყავდა, აქედან ერთი ქალიშვილი. სულ ექვსი ქალიშვილი გამოდის. სენიორები მათ ვასალებზე არ ათხოვებდნენ, არამედ თანასწორებზე, მოწინააღმდეგეებზე, მეზობელი ციხესიმაგრეების მფლობელებზე, პოტენციურ მტრებზე, რათა მათი მხარდაჭერა მოეპოვებინათ და აგრესია ჩაეხშოთ. ეკლესიის მორალისტები ეგზოგამიის აუცილებლობის დასადასტურებლად, ამტკიცებდნენ, რომ ქორწინება „გულმოწყალეობას“, სიყვარულს ამკვიდრებდა. ქალების ნათესავები პირველ რიგში, მშვიდობის დამყარებაზე ოცნებობდნენ. აღწევდნენ კი ამას? უკეთესობა თუ შეიმჩნეოდა? ეს ტექსტი ისეთ ფაქტს ამჟღავნებს, რაც სხვაგან არსად არ გვხვდება. ოჯახის მეთაური ქალიშვილების გათხოვებით სარგებელს ნახულობს. სულპის I-მა სიძეების სახით ძლიერი სენიორიები დაინათესავა. ერთ-ერთს როშკორბონის ციხესიმაგრე ეპყრა. იგი ძალიან ერთგული მეგობარი იყო. ავადმყოფი სულპისი სნორედ მასთან გადადის სიკვდილის წინ. ეს მჭიდრო კავშირი 1155 წლამდე გასტანს - მესამე თაობაშიც ბიძაშვილებიც კი მხარში ედგნენ ერთმანეთს, რჩევებით ეხმარებოდნენ და ბრძოლებშიც ერთმანეთის დასახმარებლად მიდიოდნენ. მაგრამ სულპისსა და მისი ორი სხვა დის ქმრებს შორის, ლა მოტ-ფუკუას და მონტრიშარის სენიორებს შორის სიძულვილი დამკვიდრდდა, რომელიც შემდგომში კიდევ უფრო გამწვავდა. სიძეები დაქორწინებისას ცოლების ქონების გამოყენებას ფიქრობდნენ. ამიტომ ცოლის ძმაში ისინი მეგობარს კი არა, მათი მიზნის ხელისშემშლელს ხედავდნენ. ისინი ეძებდნენ სხვადასხვა გზებს და არ ერიდებოდნენ არანაირ საშუალებას, ყველაზე უარესასაც კი, მის დასამარცხებლად. შემთხვევით ერთ ბრძოლაში მათ სულპისი ხელში ჩაიგდეს. ერთ-ერთმა სიძემ - ფუკუ-

ამ იგი სასკიტად მოკლა: დაატყვევა და შემდეგ თავი მოკვეთა. ქრონიკის ავტორი მოგვითხრობს, რომ გარკვეული გარემოებების გამო, ამბუაზის სენიორი გაფრთხილებული არ ყოფილა. მისი მომხრეებისგან შემდგარმა ბანდამ, მის დაუკითხავად, დანაშაული ჩაიდინა. მასაც იგივე უბედურება ელოდა. გათხოვილი და საშიში გახდა. ნუთუ სისხლითნათესაობას სიყვარული მოჰქონდა? ნუთუ სენიორი დიშვილების იმედზე უნდა ყოფილიყო?

მეორე თაობაში სისხლი აირია, ქორწინებამაც ნაყოფი გამოიღო. დისშვილები ბიძის (დედის ძმის) სახლში იზრდებოდნენ და ამ სახლის სიყვარულს სწავლობდნენ. იმ პირობით, რომ და, ბიჭების დედა, მშობიარობის შემდეგ დიდხანს იცოცხლებდა, რომ მისი ადრე დაქვრივებული სიძე აღარ დაქორწინდებოდა, ხოლო მისი ცოლი, დედინაცვალი კი უმემკვიდრეოდ არ დატოვებდა პირველი ქორწინებიდან მოყოლილ ვაჟებს. თუმცა არაქათგაცლილი ქალები მალე კვდებოდნენ. ჰუგო II-ის ისტორიის ნამდვილი გმირი, საგვარეულო ღირსებებით შემკული, ორ მოვალეობას შორის არჩევანის გაკეთების წინაშე იდგა - მას თვალყური უნდა ედევნებინა გარდაცვლილი დის ვაჟებისთვის და ებრძოლა მათი ინტერესების დასაცავად - „ეშინოდა, რომ მეორე ცოლის შვილები დისწულებს მიწებს წაართმევდნენ." თუმცა ჰუგო დის ქმარს პატივს სცემდა, „დიდხანს იყო გაჩუმებული, არშამბოს წინაალმდეგ ომის წარმოებაზე უარი თქვა, რამდენადაც ეს უკანასკნელი მისი სიძე იყო." 1155 წელს იგივე პრობლემა წარმოიშვა. სულპის II-ის დამ სიკვდილის წინ ორი ახლადშობილი ბიჭი დატოვა, რომლებიც დედოფლის ციხესიმაგრეში გაჩნდნენ. სინამდვილეში, ამ შემთხვევაში რისკი ნაკლები იყო. მათი დედა, დენიზი - ისევე იყო სასარგებლო, როგორც მისი წინაპარი, მისი სეხნია-წმინდანი, „ისეთი ლამაზი და კეთილშობილი, რომ ქვრივს, ჯერ კიდევ ახალგაზრდას სხვა ქალი აღარ მოუნდა." აი, რას ელოდნენ ქალიშვილებისგან, როდესაც ისინი სხვა ოჯახებში შეჰყავდათ. მათ ჯანმრთელი შვილები უნდა გაეჩინათ, დიდხანს ეცოცხლათ, ძლიერნი ყოფილიყვნენ და საკუთარ ტყვეობაში ჰყოლადათ ქმრები.

რა მოხდებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც ამგვარი ქორწინებების ნაყოფი ქალიშვილი იქნებოდა, როდესაც ობოლი ნათესავი გოგონა იყო მემკვიდრე? ფუკუას, სულპის I-ის სიძეს, რომელსაც თავი მოკვეთეს, მხოლოდ ერთი ქალიშვილი - კორბა დარჩა, რომელსაც მძიმე ისტორია გადახდა თავს. პაპისგან გოგონას ამბუაზის სამი ციხესიმაგრიდან ერთი გააჩნდა. ციხესიმაგრე დანგრეული იყო, რეკონსტრუქციას საჭიროებდა. გოგონა უახლოესი ნათესავი მამაკაცის პატრონობის ქვეშ გადავიდა - ეს კი დედამისის ძმა, სულპისი გახლდათ. ბიძას არ სურდა გოგონას გათხოვება. ანჟუს გრაფი, ფუკ რეშენიც ამას ელოდა. მისი ამბუაზელი ვასალები სიამყეს შეეპყრო. ფუკი კი მათ დაუპირისპირდა. ლა მოტ-ფუკუა მისი ერთ-ერთი ფეოდი გახლდათ. XI საუკუნის ბოლოს სერნიო-

რალური უფლებები ნათესაურზე მაღლა არ მდგარა. სულპის I-ის გაუჩინარება და ჰუგო II—ის დამცრობა გრაფის პოზიციებს ამყარებდა. მან ვაჭრობით მოიპოვა სულპისის ძმის თანხმობა, რომელიც სავარაუდოდ, ოჯახის მომავალი უფროსი უნდა გამხდარიყო. კორბა ერთ რაინდს გადაეცა, რომელიც ფუკის ახლობელი იყო და მისთვის ამბუაზის მესამე ციხესიმაგრეს ინახავდა. ეს იყო კლერმონის საეკლესიო კრების პერიოდი. ჯვაროსნული ლაშქრობების მონოდება უკვე ნაქადაგები იყო. კორბას ქმარი და მისი ბიძაშვილი - ახალგაზრდა ჰუგი ერთად გაემგზავრნენ ლაშქრობაში. ქმარი ნიკეას ალყის დროს გარდაიცვალა. „მაშინ ფუკ რეშენმა ქვრივი კორბა ასაკოვან კაცს, აშარ დე სენტს მიათხოვა, რომელიც გრაფის ციხესიმაგრის მცველი გახდა."[10] ამისათვის ამ კაცმა გარკვეული საფასური გაიღო. რა თქმა უნდა, ეს უანგაროდ არ მომხდარა. აშარმა ფული გადაიხადა, ტექსტი აზუსტებს — ძალიან ბევრი. გამყიდველი გრაფი იყო, რომელსაც არ მიაჩნდა საჭიროდ ნათესაობასთან მოთათბირება, კორბა მისი ვასალის ცოლი გახლდათ და მისი მოვალეობაც ქალისთვის თავლყურის დევნა იყო. მისი წრის მამაკაცებს სათქმელი არაფერი არ დარჩათ. სხვათაშორის ამბუაზის სენიორთა ერთადერთი მემკვიდრე თავგადასავლების ძიებით იყო გართული. ნუთუ ის დაბრუნდებოდა? ჰუგი დაბრუნდა, ავადმყოფი, მაგრამ ცოცხალი. „შეშინებულმა აშარმა კორბა ტურში წაიყვანა, თავისი ძმის სახლში, სენ-მარტენის მონასტრის იკონომოსთან." სასულიერო პირის სახლი საიმედო თავშესაფარი იყო. მაგრამ ღვთისმსახურებისთვის ქალს იგი უნდა დაეტოვებინა ხოლმე. საბედნიეროდ ეკლესია შორს არ იყო და შენობის ნავის ქვეშ ქალები და მამაკაცები ერთად იყრიდნენ თავს. გზაზე ქალი დაცვით მოდიოდა. სალოცავი ადგილი საიდუმლო საუბრებისთვის ნაყოფიერი აღმოჩნდა. სნორედ აქ ახალგაზრდა ქალი „ამბუაზის ერთ მსახურს" გაესაუბრა. „ქალმა მას უთხრა, თუ როგორ შეიძლებოდა მისი ხელში ჩაგდება. ერთ სადღესასწაულო დღეს, როდესაც ქალი ცისკრის ლოცვაზე იყო, ოჟერი, ამბუაზის მსახური ეკლესიაში შევიდა. მეგობრები კი კარებთან დატოვა. მან კორბა გამოიყვანა, ცხენზე შესვა და გაიტაცა. ქალი მჭედლის სახლში დამალეს, რომელიც შომონის სასახლეს ეკუთვნოდა და სადაც თავად ოჟერი ცხოვრობდა. ქალის ერთმა ბიძაშვილმა გაიგო ეს ამბავი, რაინდებთან ერთად მოვიდა კორბას წასაყვანად და ქალი შომონში მიიყვანა. მისი ქმარი ცოლის დაკარგვის გამო დარდისგან დაავადმყოფდა და მალე გარდაიცვალა." საგავრეულომ გაიმარჯვა. კორბა მალევე გაათხოვეს ერთ მეგობარზე. 1101 წელს ეს უკანასკნელი გაემგზავრა ნმინდა მინაზე გიომ აკვიტანელის, ტრუბადურის, კომპანიაში. ეს უფლისწული ასე შორს ცოლის გარეშე არსად არ მგზავრობდა. ამით მან ცუდი მაგალითი უჩვენა. ქმარმა კორბაც გაიყოლა. მაგრამ ღმერთმა დასაჯა უსაქციელო ჯვაროსნები, რომელთაც ცოლების გარეშე გაძლება არ შეეძლოთ. ისინი დამრცხდნენ მცირე აზია-

ში, ეს კატასტროფა იყო. ჰერცოგ გიომის ცუდი რეპუტაციის მიზეზი ხუთი ათასი ტყვის ყოლა გამხდარა, ასე ამბობს ისტორიული წყარო. კორბა „სხვა ფრანკ ქალებთან ერთად თურქებმა გაიტაცეს." მისი მშობლები ტურენში თავს იმით იწყნარებდენ, რომ კორბას შვილი არ ჰყავდა. სწორედ ეს იყო მთავარი: მემკვიდრეობის დაკარგვის საშიშროება აღარ არსებობდა, არც ახალი, ცუდად შერჩეული ქმარის მიერ ამბუაზის ციხესიმაგრის ხელში ჩაგდების საფრთხე. ამ ისტორიამ უჩვენა, რომ ის, ვინც ქალიშვილს გაათხოვებდა, შეეძლო იმედი ჰქონოდა, რომ ქალის საშუალებით მისი ქმრის ქონებას დაეპატრონებოდა. ეს ოცნება იყო. მისი რეალობად ქცევისთვის, საჭირო გახლდათ ბედნიერი შემთხვევითობა და სიფრთხილე.

სამ თაობაში ექვსი ბიჭი იყო, უფრო მეტი, ვიდრე გოგონები. ისინი ამბუაზის სასახლეში იზრდებოდნენ. მაგრამ დიდი ხნით არა. თუმცა ეს საკმარისი იყო საგვარეულოს დაქსაქსვისა და მამულის დანანევრებისთვის. საფრთხე თავიდან აცილებულ იქნა. გენეალოგიური ხე შეუბღალავი დარჩა, გვერდითი შტოებისგან დაცლილი. კანონიერი ვაჟებიდან არც ერთი არ ჩადგა ეკლესიის სამსახურში, არ გამხდარა არც ბერი და არც რჯულის მეცნიერი. მაგრამ დინასტიის ნარმოშობიდან, ყოველ თაობაში მხოლოდ უფროსი ვაჟები ქორწინდებოდნენ.

ლიზუა ძალიან მოხუცი გარდაიცვალა. ტექსტის მიხედვით, ოჯახის ახალგაზრდა ბიჭების გასაგონად, ლიზუა სიყმანვილეში კეთილგონიერი ყოფილა. მას ორი ვაჟი ჰყავდა და ქონება მათ გაუყო. თუმცა თანაბრად არა, მეორემ გვერდითი და ნაკლებად მყარი ქონება მიიღო. მამამისს მისთვის საცოლე არ უძებნია. ის უცოლო იყო. ტექსტის მიხედვით, უმცროსი ძმა მორჩილი და მეგობრული იყო. თავისი ძმის - სულპისის მსგავსად, ისიც კეთილშობილი გახლდათ, თუმცა ცდუნება დიდი ჰქონდა. ჰუგო II, ჯერ კიდევ ბავშვი მძევალი იყო ანჟუს გრაფის კარზე. როდესაც სულპისი ავად გახდა, მან შომონის სასახლის დიდ დარბაზში ვასალებს მოუხმო და დააფიცა, რომ მის შვილს პატივსა და მინებს შეუნარჩუნებდნენ. საფრთხე ბიძისგან მოდიოდა, რომელიც ამბიციური ჩანდა. მას უნდა სპეციალურად დაეფიცა, რომ „ის არ დაამცრობდა ბიჭის ღირსებას, მინას არ ნააართმევდა და არ ანყენინებდა." მას ფიცი არ დაურღვევია და კარგი მეურვეობა გასნია. მან ყველა გააოცა. როდესაც იგი დაკრძალეს თავისი ძმის გვერდით, ისე, რომ კანონიერი მემკვიდრე არ ჰყოლია, ჰუგო II-მ აღნიშნა ბიძის გასაოცარი ერთგულებით გაერთიანებული ტერიტორია - პაპამისის მინები და დედამისის უზარმაზარი ქონება. ჰუგო ერთადერთი ვაჟი იყო, მაგრამ თავად სამი ბიჭი ჰყავდა. 1128 წელს იგი ანჟუს გრაფს იერუსალიმში გაჰყვა. ის სამოციოდე წლისა იყო. მას უფლის აღდგომის ნახვა სურდა იოსაფატის ველზე. ამ მოგზაურობაში წასვლამდე მან მამამისივით ქონება დაანანილა. საგრაფო ჟოფრუა პლანტაგენეტმა ჩაიგდო ხელთ. ჰუგმა თავისი უფროსი

ვაჟი - სულპის II მას ჩააბარა. ამ უკანასკენლს „მან მისცა მთელი თავისი სამფლობელო და ვასალები აიძულა მის ერთგულებაზე დაეფიცათ." ჩატარდა ახალი საზეიმო ცერემონია, ამჯერად მონტრიშარის ციხესიმაგრეში. ჰუგმა შვილი დამოძღვრა. ვასალებმაც დაიფიცეს. საფრთხე არსაიდან ჩანდა, მაგრამ ამჯერად მოტყუებული ძმები გამოჩნდნენ. ამბუაზის სენიორმა უფროსობის უფლება გაიხსენა, ეს ცოტა ადრე მოხდა. მეორე ძმამ, ჰუგომ (საგვარეულოში რიგით მესამე ჰუგომ) თავისი ნაწილი მოითხოვა. იგი ჟოფრუა პლანტაგენეტის კარზე ცხოვრობდა. ამ უკანასკნელმა იგი შეიარაღებულ რაინდად აქცია. ჰუგო თავის უფლებებს იცავდა, როგორც მალე დედამისის - ელისაბედის დასაცავად გაილაშქრა, რომელიც სულპისისთვის თავის კუთვნილ მამულს ითხოვდა: ფეოდის მფლობელი სენიორის ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ საშიშიც კი ხდებოდა, რამდენადაც დაყოფას იწვევდა. ჰუგო III-მ ასევე ამბუაზის ციხესიმაგრის რაინდების ერთი ნაწილის მხარდაჭერა მიიღო, შესაძლოა თავისი ბავშვობის მეგობრების, ადამიანების, რომელთაც ალბათ გამარჯვების შემთხვევაში, დაჯილდოევების იმედი ჰქონდათ. აქ ჩანს ორმხრივი ჩარევა, სენიორთა და ვასალთა მხრიდან. ფეოდალური შეთანხმებით გარკვეული მეგობრული კავშირი იქმნებოდა, რომელიც სისხლითნათესაობით იყო დაღდასმული და საგავრეულო პოლიტიკას ართულებდა. ჰუგო II კეთილი იყო, მან ნაბოლარა ვაჟს ქონება გადასცა, რომელსაც თავისი მეუღლის, ჟალინის სახელით მართავდა. ბიჭი გაჯიუტდა და უარზე იყო. ბურბონეზის მიწები ნაბოლარა ვაჟისთვის უსარგებლო იყო. რაც შეეხება მეორე ვაჟს, მას დაევალა წმინდა მიწზე გამგზავრება, რათა საგვარეულოს ცოდვები გამოესყიდა. როდესაც იგი დაბრუნდა, მას მემკვიდრეობის მფლობელი საცოლე შეურჩიეს. ქალი საფრანგეთის მეფემ მოუპოვა, რადგანაც ამასობაში ვაჟი მეფის მეგობარი გახდა, ბუნებრივია, რადგანაც მამამისი მისი მოწინააღმდეგე გახლდათ. „ამ ქალთან ერთად" მას ტურენში გადაეცა სამფლობელო. ამგვარად იგი დაბინავდა და დაქორწინდა კაპეტინგის წყალობით, როგორც საუკუნე-ნახევრით ადრე, მისი შორეულ ნინაპარი, მისი სეხნია და ასევე ნაბოლარა ვაჟი. ჰუგო II-ის სამივე ვაჟი ასევე შექმნის ოჯახებს. მამის სამფლობელო საკმარისი არ აღმოჩნდა. დედის მიერ მოტანილი მზითვი უმცროს ვაჟს დარჩა. მაგრამ მხოლოდ უფროს ვაჟს ჰყავდა მემკვიდრეები. შემთხვევით მოხდა ისე, რომ მისი ძმები მემკვიდრეების გარეშე დაიღუპნენ, ისინი მოკლეს.

სულპის II მალე დაკავდა უფროსი ვაჟის დაქორწინებით. ამ შემთხვევაში იგი თავისი სენიორებისგან, გრაფებისგან დამოუკიდებლად მოქმედებდა. იგი ჩქარობდა, ამ ქორწინებით სურდა მეზობლად მდებარე ციხესიმაგრე - შატო-რენოს ხელში ჩაგდება, რომელიც ცოტა ხნის წინ ერთადერთ მემკვიდრე გოგონას გადაეცა. იგი საქმროს მსგავსად ახალგაზრდა იყო. თუმცა გოგონას გათხოვება არც ნათესაობას და არც

მამის სენიორს არ სურდა. ამბუაზის სენიორმა ქალი ციხესიმაგრის რაინდებისგან მიიღო, რომლებიც ამ შემთხვევაში გარდაცვლილი მამის როლს თამაშობდნენ. ამგვარი ჩანაცვლების ახსანა შესაძლებელია. რაინდთა გარნიზონი უფროსთან რთული კავშირებით იყო დაკავშირებული. ვასალური და ასევე ნათესაური კავშირებით. შატო-რენოში ვასალებმა შეარჩიეს ადამიანი, რომელიც მოგვიანებით ცოლს ბრძოლაში ჩააბამდა. სხვა წყაროებში ქალს უკმაყოფილოს ვხედავთ, რომელიც ახალ ქმარს უარყოფს: შომონის რაინდებმა დენიზის სიძე გააგდეს, მისივე ნათესავის მეურვე. ლა ეს რაინდებმა მოკლეს სიძე და მისი ძმა, რომელთაც თავი მოაბეზრეს ქედმაღლობით. ამდენად, ნიშნობის შეთანხმება, რომელიც სულპის II-მ დადო, სისხლისნათესაობის გამო დაირღვა. ნათესაობის ხარისხის დასათვლელად ერთგული ბიძაშვილი, როშ-კორბონის სენიორი ჩამოვიდა. სინამდვილეში ამ ქორწინებას ბლუას გრაფმა, ფეოდის სენირომა შეუშლა ხელი. საქმეში საეპისკოპოსო სამართალი ჩართო. სულპის II იძულებული გახდა ქალიშვილი დაებრუნებინა. დაზღვეული რომ ყოფილიყო, მან გოგონა თავისთან გამოკეტა.

ჟან დე მარმუტიემ ანჟუს გრაფების გენეალოგია ამბუაზის სენიორთა გენეალოგიისგან გამოჰყო. მან იგი გადააკეთა. 1180 წლისთვის ჟანმა წიგნი დანერა საგვარეულოს უკანასკნელი გარდაცვლილი ნარმომადგენლის სადიდებლად, ეს არის „ნორმანდიის ჰერცოგის, ჟოფრუასა და ანჟუს გრაფის - ისტორია“.[11] წიგნი ეძღვნება მანსის ეპისკოპოსს. ჰერცოგი დაკრძალულ იქნა კათედრალში, მომინანქრებული ფირფიტის ქვეშ, რომელიც დღემდეა შემონახული. ეპისკოპოსი უვლიდა მის საფლავს, რომელიც თავადვე მორთო. იგი ასევე ხელმძღვანელობდა მის მოსახსენებელ ლიტურგიებს. მას, აგრეთვე, ახსოვდა ჰერცოგის გარდაცვალება. წესის მიხედვით, წმინდანებისა და დიდებული უფლისწულების საფლავებთან მათი გმირობების აღსანიშნავად სხვადასხვა რიტუალი უნდა გამართულიყო. ჟოფრუას თავისი განსასვენებელი რუანში არ შეურჩევია, მისი სახლი აქ არ მდებარეობდა, თუმცა მისი ცოლის სასახლე აქ იყო. მას შეეძლო ანჟერი აერჩია. მაგრამ ჟოფრუამ მანსი არჩია, რადგანაც სნორედ აქ ჩაიარა მისმა სიყმაწვილის წლებმა. 1128 წელს მისი დაქორწინების შემდეგ, იგი მანსში დამკვიდრდა დედის სახლში, ელოდებოდა, თუ როდის დაცლიდა მამამისი ანჟუს სასახლეს. სნორედ ამ ქორწინების შესახებ მოგვითხრობს ჟან დე მარმუტიე თავის თხზულების დასაწყისში. აი, როგორ ყვება ავტორი ამ ამბავს.

ევსტატე ბულონელის მსგავსად, ჟოფრუა თავის ავტორიტეტს ცოლს უნდა უმადლოდეს. ჰენრი I-ს, ნორმანდიის ჰერცოგს და ინგლისის მეფეს, ერთადერთი ვაჟი გემზე დაეღუპა და მემკვიდრედ მატილდაღა დარჩა. მატილდას იმპერატორი მეუღლე გარდაეცვალა და ქალი თავისუფალი იყო. ჰენრიმ დაიწყო სიძის ძიება. იგი საშუალებას ეძებდა მენის საგრაფოზე ძალაუფლების განსამტკიცებლად. მან გაიგო, რომ იყო ერთი

კარგი წარმოშობის მამაკაცი, მამაცი მეომარი, რომელიც „გადაგვარებული“ სულაც არ იყო. მან ეს მამაკაცი აირჩია. მოლაპარაკება გმირის მამასთან შედგა. სიტყვა მიცემული იყო - „მომავლის სიტყვა“. საქმე შესაბამის ცერემონიალებამდე მივიდა. ჟოფრუა რაინდი არ ყოფილა. ჯერ ამის ასაკში არ იყო. მაგრამ იგი წესიერი ყმაწვილი გახლდათ, შეეძლო ოჯახის გაძღოლა. მას ხელში უნდა აეღო ხმალი, სამართლიანობის ხმალი, რომელიც შემდეგ ჟოფრუამ უკვდავყო კიდეც საკუთარ საფლავზე გამოსახვით. ჰენრიმ მომვალი სიძე რაინდად აკურთხებინა. ამგავრი რამ სულიერი მამაობის გამოვლინება იყო, თუმცა ფართოდ გავრცელებუული საერო პრაქტიკაში. რუანში რაინდად კურთხევის გადატანა ნიშნობის ნინ გადაწყდა, წმინდა სამების დღეს. ჩვეულებრივ რაინდად კურთხევა გაზაფხულის ამ დღეს ხდებოდა: ახლადგამომცხვარ რაინდებზე სულიწმინდის წყალობა გადმოდიოდა. ახალგაზრდა მამაკაცი ესკორტის თანხლებით გამოჩნდა, მეგობრებთან ერთად, რომლებიც ასევე საომარი ღირსების მიღების მოლოდინში იყვნენ. რაინდთა ჯუფუგი სიმამრის სახლში შეიყვანეს. ეს უკანასკნელი მათ დარბაზში ელოდებოდა. იგი წამოდგა და იმ მამაკაცისკენ გაემართა, რომელიც თავისი შვილიშვილების მომვალ მამად აირჩია, ხელი მოხვია, რამდენჯერმე აკოცა, მერე გვერდზე მოისვა, იმავე სკამზე - ისევე, როგორც გოდლივი და მისი ქმარი, ქალი და მისი საყვარელი, ღვთისმშობელი და მისი ვაჟი, რომელიც დედას გვირგვინს ადგამს. ამ ჟესტებში მე ომაჟის ანალოგიას ვხედავ, რაც თანასწორობისადმი მორჩილებას, შვილობის რიტუალს გამოხატავს. „ისტორიის“ მიხედვით, ჟოფრუა „შვილივით“ მიიღეს ცოლის ოჯახში. იგი ამ სახლში შევიდა, თუმცა მასში მისი სიმამრი ბატრონობდა, რომელიც სიძეზე დიდ გავლენას ახდენდა, სამაგიეროდ, შემდეგ ეს უკანასკნელი მის ადგილს დაიკავებდა. ამას მოჰყვა დიალოგი, საუბარი[3] მოხუცებულსა და ახალგაზრდას შორის. ახალგაზრდა მშვენივრად პასუხობდა უფროსის შეკითხვებს, უჩვენებდა, რომ ახალგაზრდობის მიუხედავად, იგი არა მარტო იარაღის ხმარებაში იყო გაწვრთნილი, არამედ საუბრშიც, ცოდნაშიც, რომელიც სენიორთა ღირსებას წარმოადგენდა. ცოლის მოყვანის შემდეგ იგი მზად იყო სენიორია ემართა. ქორწილი კვირას გაიმართა, რაინდად კურთხევის შემდეგ. არა რუანში, არამედ მანსში ჩატარდა, ჟოფრუას სახლთან ახლოს, სადაც წყვილი საღამოს უნდა დაქორწინებულიყო. გოგონა მამამისმა მოიყვანა. ვაჟის მამა მათ ელოდებოდა. ჟან დე მარმუტიე დეტალებში აგვიწერს რაინდად კურთხევის ცერემონიალს და არაფერს ამბობს მის რელიგიურ მხარეზე. იგი მას მხოლოდ ქორწილზე საუბრობს ახსენებს. არავითარი მინიშნება არ არის საძინებელ ოთახსა და სარეცელზე. იგი ახსენებს წირვას, საქორწინო კურთხევას და მთავარ საკითხს, მამის მიერ ქალიშვილის გადაცემულ ქონებას. ეპისკოპოსის მიერ ჩატარებული გამოძიების შემდეგ - ეს უბრალო ფორმალობა იყო, რადგან მეუღლეთა სისხლითნათესაობა ყველასათვის ცხადი იყო -

თანხმობის სიტყვები ეკლესიის კარებთან წარმოითქვა. აქ ჟანს დოგმატური მტკიცებულება მოჰყავს - ასე დეტალურად იმ დროის არც ერთი წყარო არ ასახავს ამას: „ქორწინება თანხმობით შედგა." ეს ტექსტი მანსის ეპისკოპოსს გადაეცა, მაგრამ ჰენრი პლანტაგენეტს, უფლისნულს, ჟოფრუას ვაჟს ეძღვნებოდა. ამგვარი ქორწინების ჩვენებით, ნათელი ხდება, რომ საერო საზოგადოება ამიერიდან საეკლესიო წესებს ითვალისწინებდა. რიტუალურ დონეზე საერო და საეკლესიო მოდელები სრულიად შეთანხმებული იყო მაშინ, როდესაც 1180 წლისთვის ჟან დე მარმუტიე თავის „ისტორიას" საფრანგეთის ჩრდილო-დასავლეთში ქმნიდა.

თავი XIII

გინის გრაფები

დასასრულისათვის დაკვირვების არეალს ოდნავ ვცვლი. ორი ათეული წელი გადავლახე, სამეფოს ჩრდილოეთ ნანილში, ბუვინის რეგიონში ფილიპ ავგუსტუსის ცოლთან გაყრის ეპოქას მივადექი. განვიხილე ინფორმაციის მთელი დასტა, პარალელური ისტორიის ორი ხაზი, გინის გრაფებისა და არდრების სენიორების[1].

1201-1206 წლებში ლამბერტმა ამ ორი საგავრეულოს ისტორიის წერა დაასრულა. იგი არდრის ციხესიმაგრეში მომსახურე სასულიერო პირი გახლდათ, რომელიც ამავე დროს ამ სასახლის პატრონის შორეული ნათესავიც იყო. ლამბერტი მღვდელი ყოფილა, თუმცა დაქორწინებული (ამას არც მალავდა), ყოველ შემთხვევაში ორი ვაჟიშვილი ნამდვილად ჰყავდა. ერთი საუკუნის შემდგომ კი გრიგორიანული მოძრაობა სასულიერო პირთა ქორწინებას აშკარად დაუპირისპირდება. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია გარკვეული დისტანცია საეკლესიო მორალის თეორიასა და პრაქტიკას შორის - ლამბერტმა დიდი პატივით გაათხოვა ერთი-ერთი ქალიშვილთაგანი სენიორალური სახლის გვერდით შტოს წარმომადგენელზე. ლამბერტი ტრაბახობდა, რომ „ბატონი" გახდა, მიღებული განათლებითაც ამაყობდა, ამავე დროს მისი პატრონის, გინის გრაფის, მამის მეგობარი გახლდათ, მასთან ერთად სადილობდა, საუბრობდა, კითხულობდა და თარგმნიდა საეკლესიო წიგნებს, სახელდობრ, შემდეგ ტექსტებს: „ქებათა ქებას", ნეტარ ავგუსტინეს თხზულებებს, რაც ქორწინების თეოლოგებს რეკომენდაციებად გამოადგებოდათ. მართლაც, ლამბერტის ნაშრომს რიტორიკული ექსპერტიზის და ანტიკური პოეზიის შესანიშნავი ცოდნის კვალი ამჩნევია, თუმცა აშკარაა, რომ იგი ახლად აღმოცენებული კურტუაზული ლიტერატურითაც ყოფილა დაინტერესებული. ის ლათინურად (მეცნიერულად) წერს. თუმცა ავტორი საერო ხედვასაც ავლენს იმ ფაქტების მიმართ, რომელთაც იგი აგვიწერს „გინისა და არდრის სენიორთა სადიდებლად"[2]. ლამბერტი მოგვითხრობს ორი სახლის შესახებ, ფლანდრიასა და ბულონს შორის მოქცეულ პატარა საგრაფოსა და ასევე იმ სენიორიაზე, რომელიც მყარად იყო ნაგები ამავე საგრაფოში მძლავრი ციხესიმაგრის გარშემო. იმ პერიოდში, როდესაც ლამბერტი წერდა, ეს ორი გვარი ორ-

მოციოდე წლით გაერთიანდა. მათ შორის კავშირი ქორწინების წყალობით გახდა შესაძლებელი, კერძოდ, გრაფ ბოდოენ II-ის ქორწინებით. ორივე სამფლობელო ბოდოენის უფროსი ვაჟის, არნუს ხელში აღმოჩნდა. ამ უკანასკნელს უკვე ხელთ ეპყრა გარდაცვლილი დედის მემკვიდრეობა, რომელიც მამამის გამოსტაცა. იგი 1194 წელს არდრში დამკვიდრდა თავის მეუღლესთან ერთად, რომელიც მეზობლად მდებარე ბურბურგის ციხესიმაგრის მემკვიდრე გახლდათ.

ლამბერტი გარკვევით ამბობს, რომ ამ ქორწინებას გრაფი ბოდოენის საამებლად აღწერს. მან დაქორწინებული წყვილის წინაპართა სადიდებლად ლიტერატურული ძეგლის შექმნა გადაწყვიტა. სხვათაშორის, ეს შრომა მისთვისაც სასარგებლო იყო. იგი არნუს ოჯახის წევრი გახდა და შესაბამისად თხზულების გმირიც. ლამბერტი არნუს ბიძაშვილთან ერთად ცხოვრობდა, რომელსაც კარგად ახსოვდა წინაპართა საგმირო საქმეები. მაგრამ რამდენადაც მისი პატრონი გინის გრაფის ვაჟი იყო და მის პიროვნებაში ორივე საგვარეულოს სისხლი ჩქეფდა, ამიტომაც ლამბერტს ორივე გვარი უნდა განედიდებინა. პატივს მიაგებს რა იერარქიას, ამბუაზის სენიორთა ისტორიკოსის მსგავსად, იგი თხრობას გინების საგავრეულოდან იწყებს. ისინი გრაფები იყვნენ, მათ არდრის ციხესიმაგრე ომაჟის ნესით მიიღეს. აღსანიშნავია, რომ მამაკაცის ხაზი ქალისას თრგუნავდა, მამაკაცის ნათესაობა მეტად პრივილეგირებული გახლდათ. თხრობა გენეალოგიურ ქსოვილზე ირთვება. ქორწინებას ქორწინება მოჰყვება. ავტორი ამ თანმიმდევრულ ქორწინებებს ეყრდნობა და არა თარიღებს, რომლებსაც იგი იშვიათად და ძირითადად შეცდომებით უთითებს. ყოველ მომდევნო თაობას ლამბერტი მამაკაცის ოჯახის უფროსის ბიოგრაფიით იწყებს, რადგანაც იგი კანონიერი ქორწინების პირველი ნაყოფი იყო ან იმიტომ, რომ მან ცოლად უფროსი ქალიშვილთაგანი შეირთო.

ამ სამფლობელოთა გარშემო არსებული ყველა მოგონება და მოვლენათა განვითარება ქორწინების ინსტიტუტს ეფუძნება. ამ ორი სახლის სათავე ისევე, როგორც კაცობრიობის საწყისი, ბნელითაა მოცული, ის დროის მიღმა არსებულ მითიურ წარსულში იწყება. გრაფების ოჯახში მამაკაცის დომინანტური მდგომარეობა იკვეთება, ცოლის მოყვანას მამაკაცი წყვეტს, ბოდოენ გუენელი არდრის მემკვიდრეს ირთავს. ქალის წყალობით იღებს იგი დიდძალ მემკვიდრეობას, ქალი პასიურია, ხოლო მამაკაცი კი ბატონობს, სწორედ ეს უკანასკნელი ითვლება გვარის უფროსად. სქესებს შორის არსებული ეს სიმბოლური მდგომარეობა პატარა მბრძანებელის მოლოდინს უპასუხებდა, რომელიც უნიგნურობის მიუხედავად, მაღალი კულტურით ტრაბახობდა. ადამიანურ მენტალობასა და ღირებულებათა სისტემაში სქესთა ამგვარი განანილება იმ პირველად ფუნქციას ასახავდა, რომელიც ქორწინებას სოციალურ რეალობით ავსებდა.

ლამბერტი თავისი პატრონის საცხოვრებელს აღწერს, არდრის ციხესიმაგრეს. იგი აღფრთოვანებულია მისი ინტერიერით, მომხიბლავი თანამედროვეობით: XII საუკუნის პირველ მესამედში რეკონსტრუირებული ნაგებობა ხისგანაა აშენებული, მაგრამ შიდა სივრცე დანაწევრებულია და „ჩახლართულ ლაბირინთს“ ჰგავს. იმ დროის ყველა თხზულება შთაბეჭდილებას გვიტოვებს, რომ ეს კომპლექსური ნაგებობა ერთი წყვილისათვის იყო ჩაფიქრებული, ცოლ-ქმრის ერთი ოთახისთვის, რომელიც შემდგომ ამ საზოგადოების ძირეულ სტრუქტურას შექმნიდა. არ ჩანს, რომ ციხესიმაგრის ჭერქვეშ სხვა ადგილი მეორე წყვილისთვისაც ყოფილიყო გამოყოფილი. ძირითადი სივრცე მეპატრონის კანონიერი და მუდმივი ადგილი გახლდათ. შუა, საცხოვრებელ სართულზე ერთადერთი დარბაზი იყო, მაგალითად შომონის ციხესიმაგრეში იქ, სადაც დენიზი და მისი ქალიშვილები იყვნენ გამოკეტილნი და სადაც ამბუაზის კოშკში მშობიარე ქალი ისვენებდა. ამ ორ სივრცეს ტიხარი ჰყოფდა. შუა ნაწილში, რომელიც გულის ფორმის იყო და რომელიც იზოლირებული გახლდათ, სასახლის ცენტრი იყო, საშოს ჰგავდა, რომელიც ნებისმიერ ცოცხალ არსებას აძლევს დასაბამს. ეს იყო „დიდი ოთახი, რომელიც სენიორსა და მის მეუღლეს ეკუთვნოდა, სადაც ისინი ერთად იწვნენ.[3]“ ამ ოთახში მხოლოდ ერთი საწოლი იდგა, რომელიც გვარის მომავალს უდებდა დასაბამს. სახლის სხვა მრავალრიცხოვანი წევრები სხვაგან იძინებდნენ. სხვა დაქორწინებულნი, რომელნიც ამ სასახლეში ცხოვრობდნენ, მაგალითად, მღვდელი ლამბერტი - ცალკე საქათმის გალიაში წვებოდა ისევე, როგორც ამბუაზის ციხესიმაგრის მცველი. სასახლის შიგნით სხვა ოთახები სენიორალური წყვილის კანონიერი ბავშვებისთვის იყო განკუთვნილი. დერეფანში ეძინათ ბავშვების გადიებს. ზედა სართული მოხუცებისთვის და მოზარდებისთვის იყო განკუთვნილი, რომლებიც ჩვილობაში დაღუპვას გადაურჩნენ და ოჯახის მომავალს ქმნიდნენ. აქ ორი გამიჯნული ოთახი იყო, ერთი ბიჭებისთვის, მეორე კი - გოგონებისთვის. ახალგაზრდა მამარებს შეეძლოთ ამ უკანასკნელთა ოთახში მაშინ შეევლოთ, „როდესაც მათ მოესურვებოდათ.“ თუმცა მათი ადგილი აქ კი არა, გარეთ იყო. იქ, სადაც მათ თავგადასავლები და რაინდული გმირობები ელოდათ: ტყეში, სასახლეში, მაგრამ არა საკუთარი სახლის კარზე. ისინი კარგ ქცევებს დედის ძმის ან მამის სენიორის კარზე სწავლობდნენ. ქალიშვილები კი გათხოვებამდე სახლში, საკუთარ ოთახებში იყვნენ გამოკეტილნი ისე, „როგორც საჭირო იყო“, ზედამხედველობის ქვეშ. ყოველ შემთხვევაში სახლში სპეციალური ადგილი არ ყოფილა გამოყოფილი იმ შემთხვევისთვის, როდესაც უფროსი ვაჟი ცოლს შეირთავდა. სახლი ორი ოჯახისთვის არ იყო შექმნილი. მითუმეტეს თუ ოჯახის მამა ჯერ კიდევ ცოცხალი გახლდათ ან ბერად არ იყო შემდგარი, ან იერუსალიმში არ იყო წასული და შესაბამისად, მისი საწოლი თავისუფალი არ იყო და მემკვიდრესაც

ცოლის მოყვანა არ შეეძლო. ის, ვინც მისთვის ცოლს შოულობდა, მასვე უნდა მოეძებნა ახლადდაქორწინებულისთვის ახალი საცხოვრებელი. ასე ხშირად ხდებოდა, მანსში და ასევე არდრში ამ მიზნისთვის გარდაცვლილი დედის სახლს იყენებდნენ ხოლმე. საცხოვრებლის მოპოვების ამგვარი ორგანიზაცია მაშინაც ხშირი იყო საქორწილო პრაქტიკაში.

ეს მოვლენა ნიშნობასა და ქორწინებას შორის ინტერვალს ახანგრძლივებდა. ხშირად ნათესაობას შორის თანხმობა ძალიან სწრაფად მიიღწეოდა. ნამურის მოხუცი გრაფის ქალიშვილი ჯერ კიდევ ერთი წლისაც არ იყო, როდესაც იგი 1186 წელს შამპანის გრაფის ვაჟს გადასცეს, ქალიშვილი საქმროს მამის სახლში გადაიყვანეს. ამგავრად, პატარა გოგონები, რომლებიც საგავრეულოს წესით უკვე დანიშნულნი იყვნენ, გადიათა მკლავებში აღმოჩნდებოდნენ ხოლმე, შემდეგ კი გინეკეაში. ასე იზრდებოდნენ მომავალ მეუღლეებზე დანიშნული გოგონები და მამაკაცებში სურვილებს აღძრავდნენ, პირველ რიგში, მათ მომავალ მამამთილებში. ხშირი იყო ამ უკანასკნელთა მხრიდან გოგონებზე ძალადობა, ამის გამო კი გვარებს შორის დადებული საქორწინო ხელშეკრულებები ირღვეოდა ხოლმე. თავსაც კი არ ინუხებდნენ ასეთი გოგონების უკან ოჯახში დაბრუნებით. განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როგორიც მაგალითად, ნამურის გრაფის ქალიშვილი იყო, რომელსაც დიდი მემკვიდრეობა ჰქონდა. მას შურის თვალით უყურებდნენ მისი ბიძა თუ ბიძაშვილი. ეს „მეუღლე" ძალიან სწრაფად მიეცა დავიწყებას. როგორ უნდა გამოეხატა მცირეწლოვან გოგონას საკუთარი თანხმობა, რასაც მისგან საეკლესიო ხელისუფლება მოითხოვდა და რაზედაც საერონი გაცხარებით მსჯელობდნენ ამ კონკრეტულ სოციალურ გარემოში? შვილების დანიშვნით, ოჯახის უფროსებს ხანგრძლივი მემკვიდრეობის შექმნა სურდათ და შესაბამისად, ეუსტებითა და გამონათქვამებით დატვირთულ თამაშს თამაშობდნენ. გინების ოჯახში ბოდუენ II-ის ნიშნობა გაიმართა[4]. ეს უკანასკნელი ათი წლისაც კი არ იყო, ხოლო საცოლე - კიდევ უფრო მცირეწლოვანი გახლდათ. ამ უკანასკნელმა ჯერ ლაპარაკიც კი არ იცოდა. ლამბერტი მოგვითხრობს, რომ გოგონა შეკრებილი ნათესაობის წინაშე მოიყვანეს, რათა იგი ყველას დაენახა და ცერემონიალიც საზეიმოდ ჩაეტარებინათ. თანხმობა ბავშვმა სიხარულით გამოხატა. იგი იცინოდა, შესაბამისად, გოგონა თანახმა იყო და აქედან გამომდინარე, მეუღლეც გახდა. ბოდუენის მამა ამ ცერემონიალის შემდეგ კიდევ ოცი ოდე წელი იცოცხლებს. ახალგაზრდა ქმარი დიდ ხანს აღარ დაელოდა ცოლთან თანაცხოვრებას. როდესაც მან მემკვიდრეობით საგრაფო მიიღო, ცოლს უკვე ხუთი შვილი ჰყავდა გაჩენილი. ქალის მამამთილიც გარდაიცვლილი იყო, ხოლო დედამთილი ხელმეორედ გათხოვდა. არდრის „დიდი ოთახი" ვაკანტური აღმოჩნდა ამ ქორწინებისთვის.

ლამბერტი ბოდუენის უფროსი ვაჟის, არნუს ქორწილის ნადიმს

დანვრილებით აგვიწერს[5]. ეს უკანასკნელი საკმაოდ მოუთმენელი ყოფილა. 1181 წელს იგი უკვე რაინდად იყო ნაკურთხი, 13 წელიწადი ცოლს ეძებდა. გინის სამფლობელო უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდებოდა, შესაბამისად, ძნელი აღარ იყო მისი მემკვიდრის დაქორწინება. რეგიონში საკმაოდ გაცხარებული თამაში მიმდინარეობდა მამაცი საცოლეების მხრიდან. ხანგრძლივი უნაყოფო მცდელობების შემდგომ მახე ბოლოს და ბოლოს გაიბა. ერთი გოგონა გამოჩნდა, რომლის ძმაც, ბურბურგის ციხესიმაგრის მფლობელი, უეცრად დაიღუპა. არნუმ იერიში ამ გოგონაზე მიიტანა. თუმცა არნუ შეპირებული იყო სენ-პოლის გრაფის ერთ-ერთ ქალიშვილზე დასაქორწინებლად. ეს უკანასკნელი დიდებული იყო, მაგრამ მაინც უიმედო. არნუმ, ყოველგავრი მერყეობის გარეშე, ჩაშალა პირველი ნიშნობა. „ისტორია" არ მოგვითხრობს, თუ როგორ მოხდა ეს ამბავი. ნუთუ მარტივად ჩაიარა ყველაფერმა? საჭირო გახდა გამონაკლისის დაშვება, რადგანაც ბურბურგის სენიორის ქალიშვილი არნუს ბიძაშვილი იყო ნათესაობის მეოთხე მუხლით. თუმცა ამისათვის რომში არ წასულან. თუმცა „რიგითი", ტერუანის ეპისკოპოსის თანხმობაც არ იყო საკმარისი. საჭირო გახლდათ არქიეპისკოპოსის გადმობირება. ხელშეკრულება იმ შემთხვევაში დაიდებოდა, თუ ქორწინება გულის კარნახით ხდებოდა და საერონიც თანახმანი იყვნენ, ქორწილი დასაშვები იქნებოდა. არნუ „თავის კანონიერ მეუღლეს ქორწინებით დაუკავშირდა" ურთიერთთანხმობითა და ქმრის მხრიდან მამულის გადაცემით. არდრის ციხესიმაგრე არნუმ დედისგან მიიღო (მამის სიცოცხლეში თავისუფლად შეეძლო მისი მართვა) და ამიერიდან ეს მინა ცოლისათვის მისი საქორწილო საჩუქარი იყო. თხრობა განსაკუთრებით საინტერესო ხდება, როცა მეორე ეტაპს, საქორწილო ცერემონიალს აგვიწერს. იოანე მარმუტიესგან განსხვავებით, ლამბერტი თითქმის არაფერს ამბობს რელიგიურ ფორმალობებზე. თუმცა იგი გვიყვება, რომ ახალგაზრდა დაქორწინებულთა ოჯახში ლიტურგიკის ჩატრებისას, სწორედ მას სთხოვეს ზარების დარეკვა, ხოლო ლამბერტმა უარი განაცხადა. არნუ ეკლესიიდან განკვეთილი გახლდათ - მან ცხენით ჯირითის დროს ერთი წისქვილი დააზიანა, წისქვილი კი ერთ ქვრივ ქალს ეკუთვნოდა. არნუმ ცოდვა რეიმსში გამოსიყიდა. ლამბერტმა ეს ამბავი არ ცოდა და გინის გრაფის საშინელი რისხვა დაიმსახურა. სწორედ ამ ცოდვის გამოსასყიდად შეუქმნია ლამბერტს ეს „ისტორიაც". მას სურდა პატრონისთვის სიამოვნება მოეგვარა. ალბათ, სწორედ ამიტომ აღწერა საქორწინო ნადიმი ისე, როგორც ის საერო პირებმა დაინახეს.

საეროთათვის მნიშვნელოვანი ამბები ეკლესიაში კი არა, ღამე ახლადდაქორწინებულთა საცხოვრებელში, მათ საძინებელში ხდებოდა. ლამბერტი, მისი ვაჟები, სხვა ორი მღვდელი ბორეტს სულებს დევნიდნენ. მათ ნაკურთხი ნყალი მიაპკურეს დაქორწინებულებს, აკურთხეს მათი საწოლი, ცოლქმრული სარეცელისგან გარკვეულწილად საკურთხ-

ეველი შექმნეს და მასზე ღვთიური წყალობის გადმოვლენისათვის ილოცეს. მათი მისია ჟესტებითა და სიტყვებით ბოროტების განდევნაში მდგომარეობდა, რამდენადაც ამ ადგილას სექსულაური თამაშს უნდა დაედო ბინა. თუმცა, მღვდლების აქტივობას საქმროს მამასთან შედარებით ნაკლები ძალა ჰქონდა. სწორედ მან ითამაშა გადამწყვეტი როლი, როდესაც ყველას დასანახად ხელი გაუშვა ქალიშვილს და სხვა მამაკაცს გადააბარა. ღამე, დახურულ სივრცეში, სადაც ახლადდაქორწინებულები უნდა შესულიყვნენ, მათ ნათესავი ქალი ხვდებოდათ, რომელიც სიმბოლურად გამრავლებასა და მარადიულობაზე მიანიშნებდა. იქვე ბერიც უნდა ყოფილიყო, რომელიც ცად აპყრობილი თვალებით, მოციქულ თომას აპოკრიფული აქტებით, უფალს მისივე ვაჟსა და რძალს ავედრებდა, რომელნიც, ურთიერთთანხმობის შემდეგ, „წმინდა კანონის ძალითა და საქორწილო რიტუალით დაქორწინდნენ." ბერი ლოცულობდა, რომ წყვილს თანხმობითა და ურთიერთგაგებით ეცხოვრა (კეთილგონიერად, გონების ხორცზე ბატონობით), „რომ მათი მოდგმა მრავალი წლის მანძილზე გამრავლებულიყო." სწორედ ეს ამართლებდა მათ ერთად ყოფნას. იმას არავინ ელოდა, რომ სამი ღამის განმავლობაში წყვილი თავს შეიკავებდა. იმედოვნებდნენ, რომ ქალი სწორედ ამ ღამეს დაფეღმძიმდებოდა.

ღვთიური კურთხევის შემდეგ ბოდოენმა თავადაც დალოცა ახლადდაქორწინებულნი ისევე, როგორც აბრაამმა დალოცა ისააკი. იგი პატრიარქი გახლდათ, მან თავისი საგვარეულო ქარიზმა მათ გადასცა. მღვდელი ლამბერტი ამ ქმედებაში გულუხვობას, გაცემის უნარს ხედავს. ნაყოფიერების, გამრავლების ამ მონოდებაში, რომელიც ქორწინების აღწერას თან ახლავს, აშკარად იკვეთება ქორწინების მიმართ საეროთა დამოკიდებულება, რომელიც ზედაპირულად საკრალიზებულია, თუმცა სიღრმისეულად - ძალზედ მინიერი. სხეული, ხორცი რეაბილიტირებულია, შემორიგებულია სასულიეროთა კურთხეევითა და ყველანი, ნათესავები, მეგობრები, ორივე სქესის წარმომადგენლები დაქორწინებულთა სიამოვნებას უერთდებიან, „გართობითა და მხიარული თამაშებით."[6]

„გინების გრაფების ისტორია" არაფერს გვეუბნება ქალურ გადახრებზე. ლამბერტი ხოტბას ასხამს მეუღლე-ქალთა სისპეტაკეს. იგი გვარწმუნებს, რომ საქორწილო სარეცელამდე ისინი ქალწულები იყვნენ. მამები დიდი მზრუნველობით ეკიდებოდნენ თავიანთი ქალიშვილების აღზრდას, ქორწინებამდე გამოკეტილები ჰყავდათ, რათა მათ „ფასი" არ დაეკარგათ. დიდებულთა სახლები, სადაც მეტი საშუალება იყო, უფრო საიმედო ადგილს მიუჩენდნენ ხოლმე ქალიშვილებს. მონაზონთა პატარა მონასტრებში განანესებდნენ. ამგვარი მონასტერი ბურბურგში ციხესიმაგრის შიგნით მდებარეობდა. გინის მონასტერი კი, რომელიც 1117 წელს ერთმა გრაფინიამ დააფუძნა, სასახლის გვერდით

მდებარეობდა. ეს შიდა მონასტერი სასახლეში მცხოვრები ყველა ქალის, ქვრივების, ახალგაზრდა გოგონებისთვის იყო განკუთვნილი, რომელთა გათხოვებაც ჯერ ნაადრევი გახლდათ ან მათ ჯერ კიდევ არ ჰყავდათ მთხოვნელები. ეს ქალები ძირითადად ლოცვით იყვნენ დაკავებულნი. თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი ლოცვები მათ მიმართ მამაკაცთა მხრიდან გამოთქმული სურვილები იყო. მონასტრის მთავარი დანიშნულება გოგონებზე თვალყურის დევნება და აღზრდა გახლდათ: ქალიშვილები „აქ ეცნობოდნენ შვიდ თავისუფალ ხელოვნებას7." როდესაც ისინი გათხოვებისას მონასტერს ტოვებდნენ, ნაკლებად „უნიგნურნი" იყვნენ, ვიდრე მათი მეუღლეები - ეს კი ქალური ძალაუფლების ერთ-ერთ ფაქტორი იყო. ბურბურგის ციხესიმაგრის მონასტერში მიბარებულ ქალთა გუნდს, „უფრო მსახურთა, ვიდრე მონაზონთა", ქალი ისე მართავდა, რომ თავად მონაზვნად არც კი აღკვეცილა. ამგვარი ერთობები სოფისტური ფორმისა გახლდათ, რომელიც რელიგიური დისციპლინებით არ იყო დატვირთული. ასეთი კრებული ისევე, როგორც „ქალთა ოთახი", ერთი უფროსი ქალის მეთვალყურეობის ქვეშ იყო, რომელიც ხადახან საკმაოდ მკაცრი და სასტიკი გახლდათ. მაგალითად, გერტრუდა, მოხუცი არნუ არდრელის მეუღლე. იგი კეთილშობილი წარმოშობისა იყო, თუმცა საკმაოდ ფიცხიც. ლამბერტი ამ ქალს ხარბ პიროვნებად აგვიწერს, რომელიც გლეხთა ქოხებს ანიოკებდა. ერთმა ღატაკმა ქალმა ვერაფრით ვერ გამოზარდა ბატკანი სააღდგომოდ ბატონისთვის და სანაცვლოდ გერტრუდამ მას ქალიშვილი წაართვა. როგორც კი გოგონა წამოიზარდა, ქალბატონი მისი სხეულით ვაჭრობდა და ამგვარად ახალ მოსამსახურეებს ამრავლებდა. ერთი ქალი, ძალიან მსუბუქი ყოფაქცევისა, და ასეთები მრავალად იყვნენ არისტოკრატულ სასახლეებში, „პატარა ლამაზმანი", როგორც ლამბერტი მას უწოდებს, დაფეღმძიმდა, ციხესიმაგრის ქალბატონს გამოეცხადა და სასახლის ერთ-ერთ მამაკაცს ძალადობაში დასდო ბრალი. ამიერიდან ბავშვი, რომელსაც ეს ქალი ატარებდა, გერტრუდას საკუთრება გახდა, სანაცვლოდ კი, მან შემცდენელი აიძულა ქალზე დაქორწინებულიყო. ეს ქორწილი იყო პატარა გამონათება მორჩილი ხალხის ცხოვრებაში, რომელთაც თითქმის არაფერი იცოდნენ ქორწინების ინსტიტუტის შესახებ.

ის, რასაც ლამბერტი აგვიწერს, ანდრე კაპელანის აზრს ავითარებს. ქალი და მამაკაცი განსხვავებული მორალით იმართება. არისტოკრატთა ქალიშვილებს განსაკუთრებული თავშეკავება მართებდათ. თუმცა პანეგირიკი ხოტბას ვაუთა სექსუალურ სისხარტეს ასხამს. 88-ე თავი უფროს თაობას, გრაფ ბოდოენს შეეხება, „მის სიფრთხილესა და თავშეკავებას" აგვიწერს. ავტორი მიუკერძოებელია, იგი გრაფის როგორც დადებით მხარეებს, ასევე ნაკლოვანებებსაც წარმოაჩენს. რა თმა უნდა, სწორედ ნაკლოვანებები იყო ბატონის სიამაყე. „ყრმობიდან მოხუცებულობამდე მას თავშეუკავებელი ლიბიდო არ ასვენებდა," გან-

საკუთრებით ახალგაზრდა გოგონები, ქალიშვილები ხიბლავდა. ნუთუ ეს ცოდვა იყო? სულაც არა. ნაწარმოები მხოლოდ მოჩვენებითი საყვედურია. ბოდოენი „დავითზე, სამსონზე და თვით იუპიტერზეც უკეთესია[8]". მის „მოღვანეობას" უნაყოფოდ არ ჩაუვლია. თხრობისას ლამბერტი იხსენიებს ხუთი მამრობითი სქესის უკანონოდ შობილთა არსებობას, რომლეთაგან ორი რჯულის მეცნიერი გამოსულა. ავტორი მაინც თავშეკავებულია, 1206 წელს ერთი მეტად ენერგიული მოხუცებულის, ანდრის სააბატოს მემატიანის გინის გრაფთა საძვალეში დაკრძალვის აღწერისას, გვატყობინებს, რომ ამ მოვლენას გარდაცვლილის ოცდაცამეტი ვაჟი და ქალიშვილი დაესწრო, „რომელთა შორის ზოგიერთი კანონიერი მეუღლისგან, ზოგიც კი სხვებისგან შეეძინა." როცა ბოდოენი გარდაიცვალა, მას მეუღლისაგან ათი შვილი ჰყავდა. ასევე სხვა ქალებთან გაჩენილმა ოცდასამმა შვილმაც დაიტირა მამა.

ეს მასკულინური საზოგადოება არ ენინააღმდეგება მამაკაცების დაუოკებელ მოთხოვნილებას. ისინი ვერ თოკავენ თავიანთ სურვილებს მოსამსახურე თუ მსუბუქი ყოფაქცევის ქალებთან. როდესაც ლამბერტი მოგვითხრობს იმ საყვარლებზე, რომლებთანაც არისტოკრატი ბიჭები ერთობოდნენ, ავტორი ამ ქალებს, პირველ რიგში „ლამაზებად" მოიხსენიებს. ეს ერთგვარი მობოდიშება იყო, ალენ დე ლილი თავისი აღსარების სახელმძღვანელოში დაინტერესდა: ვის მიმართ იქნა ცოდვა ჩადენილი, ნუთუ ლამაზი ქალის მიმართ? სასჯელიც შემსუბუქდა[9]. ლამბერტისათვის, ეს ქალები, ყველანი „კეთილშობილნი" იყვნენ. ალბათ, მათი მამები მაღალი წარმოშობისანი, ან ვასალები, ან უბრალოდ სენიორების უკანონო შვილები გახლდნენ. ის მოწიფული, თუმცა ჯერ დაუქორწინებელი ქალები, რომლებიც სენიორის ქალიშვილებზე უარესად გამოიყურებოდნენ და ამავე დროს სასახლეში ცხოვრობდნენ, სათადარიგო გასათხოვარ ქალებად მოიაზრებოდნენ ან უბრალოდ კანონიერი ვაჟების გართობის ობიექტები იყვნენ. ქორწინების გარდა, აშკარაა, რომ სისხლისაღრევის ცოდვა სულაც არ ანუხებდათ სექსუალურ გართობას მიცემულ არისტოკრატიას. არდრების საგვარეულოს დამფუძნებელ - არნუზე საუბრისას, ლამბერტი მას ორ უკანონო ვაჟს მიანერს, რომელთაც სხვადასხვა დედა ჰყავდათ. არნუ II-ს ინგლისში ახალგაზრდობაში სამი ვაჟი გაუჩნდება, ხოლო მეოთხე - „კეთილშობილი" ქალისაგან. ოთხივენი კარგი რაინდები დადგნენ. არნუ II-ს კანონიერი მეუღლისაგან ორი ვაჟი ჰყავდა. უფროსს, უნდა დაეცადა ცოლის შერთვა, რადგან საქორწინო სარეცელი თავისუფალი არ გახლდათ, ამიტომაც მას ორი უკანონი შვილი გაუჩნდა - ერთ-ერთი მათგანი შემდგომში ლამბერტის სიძე გახდა. რაც შეეხება მის ძმას, მისგან რჯულის მეცნიერის - რაულის ქალიშვილი დაფეღმძიმდა. რაული თავად არნუ I-ის უკანონო ვაჟი გახლდათ და შესაბამისად, თავისი შვილიშვილის მამის ბიძა გამოდიოდა. იგი ღვთისმსახურებას არდრის ციხესიმაგრის ახლოს

მდებარე რჯულის მეცნიერთა საცხოვრებელში ატარებდა, რომელსაც ფაქტობრივად იგივე როლი ეკისრებოდა, როგორიც ქალთა მონასტერს. მასში ძირითადად უკანონოდშობილი მამაკაცები იყრიდნენ თავს. რეფორმატორი სასულიერო პირების ძალისხმევის მიუხედავად, ამგავრი რელიგიური დაწესებულება XII საუკუნეში ზნეობრიობის სავანედ ვერ იქცა. უმცროსი ვაჟი ყოველთვის აგვიანებდა ცოლის შერთვას. რაულს ორი ვაჟი ჰყავდა „კეთილშობილი" ქალისაგან. ეს უკანასკნელი სხვა რჯულის მეცნიერისა და „კეთილშობილი ქალის" ქალიშვილი გახლდათ. წყვილი ერთი და იმავე დედის შვილები იყვნენ. და ეს დროებითი გატაცება კი არა, თანაცხოვრება გახლდათ. ეს იყო სისხლისაღრევა, სრული უკანონობა, თუმცა მათი ვაჟი კანონიერი მემკვიდრე არ ყოფილა. მათი უკანონო შვილებიდან, ერთი გოგონა, ლამბერტის ცნობით, ძალიან პოპულარული გახდა. მას გრაფ ბოდოენ გინელის ძმისგან ვაჟი ეყოლა. ამავე გოგონამ მეორე შვილი ერთ რჯულის მეცნიერს (ტერუანის საეპისკოპოსოდან) გაუჩინა.

უკანონოდშობილნი იმ დროსა და სივრცეში, მაღალ საზოგადოებაში მიღებულნი იყვნენ. უკანონოთაგან განსაკუთრებით მამაკაცებს აფასებდნენ. ისინი ისეთივე კეთილშობილი არსებანი იყვნენ, როგორც სხვები, შეიძლება ითქვას, რომ გარკვეული უპირატესობაც კი ჰქონდათ. „სისხლითნათესაობის გამო" მიღებულნი, ისინი თავიანთი მამის სახლში იზრდებოდნენ[10]. მამის სახლი მათთვის ღია იყო. არნუ მოხუცებულის ერთ-ერთი უკანონო შვილი აღმოსავლეთში გაემგზავრა მოსალოცად. ის მაჰმადიანი გახდა და შინ დაბრუნდა. მიუხედავად ამისა, კარგად მიიღეს. მაგრამ რამდენადაც იგი პარასკევობით ხორცს არ მირთმევდა, სასახლიდან გააგდეს. უკანონო შვილები თავიანთი ნახევარძმების, კანონიერი მემკვიდრეების ბედს იზიარებდნენ. რამდენადაც მათ მემკვიდრეობის მიღების არანაირი იმედი არ ჰქონდათ, შესაძლოა, რომ ისინი ბევრად მორჩილნი ყოფილიყვნენ და კანონიერი უმცროსი ძმებისაგან განსხვავებით, სულაც არ შურდათ უფროსი ძმებისა. ისინი თავიანთი კანონიერი ძმების ნამდვილი მეგობრები იყვნენ. თუმცა ზოგჯერ ზოგიერთი საკამაოდ აგრესიულიც კი იყო. არნუ მოხუცებულის მეორე უკანონო შვილი, „კეთილშობილი და კარგი მეომარი" ერთ „ძლიერ" რაინდს შეეკრა, რომელიც მასავით უკანონოდ შობილი, რჯულის მეცნიერის - რაულის ვაჟი იყო, აქედან გამომდინარე არნუს ვაჟი თავისი პაპის ძმას დაუმეგობრდა. ორივენი საკმაოდ გათამამებულნი იყვნენ თავიანთი წინაპრების ტერიტორიებზე რაინდული თავდასხმების მოწყობით. ამას ერთი უსიამოვნო ინციდენტიც მოჰყვა. ჩვეულებრივ, კარგი სენიორი თვალყურს აღევნებდა თავის არაკანონიერ შთამომავლობას. მაგალითად, მათი განათლებით განსაკუთრებით იყო დაინტერესებული. იგი მონაწილეობდა ვაჟების რაინდად კურთხევაშიც. არნუ II-მ ყველა თავისი ვაჟი რაინდად აკურთხებინა „რამდენადაც

ისინი ვენერას წყალობით მისი მეუღლის მუცლიდან იშვნენ[11]". ბოდუენ II-ს ულოცავდნენ, რომ მან სანიმუშოდ აღზარდა თავისი უკანონო ვაჟები, ხოლო გოგონები კარგად გაათხოვა.

თუ ლამბერტს დავუჯერებთ, ორივე გვარის მამაკაცები „ახალგაზრდა" რაინდები ან რჯულის მეცნიერნი, ან უბრალოდ ქვრივები ვნებას, „ვენერას სიამოვნებას" მხოლოდ დაქორწინებამდე მიეცემოდნენ ხოლმე. მას მერე, რაც ცოლს შეირთავდნენ, არანაირი სხვა სექსუალური სიამოვნება მათ არ იზიდავდათ. „ისტორიის" მორალის მიხედვით, ოჯახის გარეთ არავითარი სექსუალური გართობა არ იყო მიზანშეწონილი. სწორედ თხზულების ამ ადგილის სისწორე ინვევს ეჭვს. ანდრე კაპელანი ქმრებს უფრო თავისუფალ არსებებად წარმოგვიჩენს. ასევეა ჟილბერტ დე მონი, ენოს გრაფების ისტორიკოსი. ეს უკანასკნელი გაკვირვებულია საგრაფოს იმდროინდელი სენიორის ქცევით, რაც მას საშინლად არ მოსწონს. საკმაოდ ღვთისმოშიში ქალის მეუღლე, პატივს სცემდა ცოლის ზნეობრივ ღირებულებებს და საყვარლებთან გასართობს არ ეძებდა. „უარყოფდა რა სხვა ქალებს, იგი მთლიანად საკუთარი ცოლის სიყვარულს ეძლეოდა (ამ შემთხვევაში იგულისხმება სიყვარული, რომელიც ცოლქმრულ ნიაღში წარმოიშვა, თუმცა უნაყოფო დარჩა) და რაც ძალიან იშვიათია მამაკაცებში, მან ერთ ქალს მიუძღვნა თავი და ეს მისთვის სრულიად საკმარისი იყო." აშკარაა, რომ ჟილბერტისთვის ამგავრი ერთგულება ღირსება არ გახლავთ, ეს უბრალოდ სისუსტის ნიშანია, დანაკარგი ამ დიდი სენიორისათვის. ქმრები ეგუებოდნენ ეკლესიის მიერ დანესებულ შეზღუდვებს. ისინი აღარ ეყრებოდნენ ცოლებს. ნუთუ მათ მეტი თავისუფლება უბრძოლველად მოიპოვეს? ყოველ შემთხვევაში, ლამბერტი ნაკლებად ცინიკოსი პიროვნებაა ჟილბერტთან შედარებით და უეჭველად ნაკლებად თავისუფალი, მხოლოდ სერიოზულ და მოსიყვარულე ქმრებს აგვინერს. მაგალითად, ბოდუენ II-ს. მაშინ, როდესაც ამ უკანასკნელმა მეუღლის ფეღმძიმობა შეიტყო, ინგლისში იბრძოდა. ეს მისი მეუღლის მეათე ფეღმძიმობა იყო და საკმაოდ საშიში გახლდათ, ამიტომაც მან ბრძოლა მიატოვა და კარგ ექიმებთან ერთად სახლში გამობრუნდა. ექიმები ვერაფერს გახდნენ და ბავშვი დაიღუპა. ბოდოენი დარდისგან დაავადდა, ჩაიკეტა და ოთახიდან აღარ გამოდიოდა[12]. ეს გლოვის რიტუალური გამოვლინება იყო, თუ ნამდვილი გულისტკივილი? ყოველ შემთხვევაში საქმე ერთგული მეუღლის ხოტბის შესხმასთან გვაქვს. ეს არის სამაგალითო მამის ქება. ქორწინების სიკეთე გამრავლებაშია. „გინის გრაფი ყველაფერზე მაღლა შვილებს აყენებდა და იგი ყოველ ღონეს ხმარობდა მათი წინსვლისათვის." ასევე აქტიურად ერეოდა მათი დაქორწინების საქმეშიც.

მამის მიზანი შვილების ჭკვიანურად დაქორწინება იყო, თუმცა ეს არ გახლდათ ადვილი საქმე. მაგალითად, გრაფი მანასე გინელის შემთხ-

ვევა ავიღოთ, რომელიც XII საუკუნის პირველ მესამედში ცხოვრობდა. იგი თავად წარმატებულად დაქორწინდა. ლა მანშის მიღმა გაწეული სამსახურის სანაცვლოდ, მას კარგად გამზითვებული მეუღლე ერგო. მაგრამ მანასეს მხოლოდ ქალიშვილები შეეძინა. მათ შორის მხოლოდ ერთი გათხოვდა და იმასაც ერთადერთი ქალიშვილი შეეძნა, ისიც „კუზიანი და ავადმყოფი." დარდმა გრაფი გააჭაღარავა. „მისი მოდგმა არ გამრავლდა, მან თავის დას სთხოვა სხვა გვარისაგან შობილი მემკვიდრე, რადგანაც მისი ძმებიც უმემკვიდრეოდ გარდაიცვალნენ[13]." ითვლებოდა, რომ ჯიში მამაკაცის ხაზით გადადიოდა. მანასეს მამა უმცროს ვაჟებს დაშორდა, რადგანაც მათთვის ქონების გაყოფა არ სურდა. ერთი მათგანი, ჯვაროსანი, ბეირუთის გრაფი გახდა, მაგრამ ბიჭები არ ეყოლა. მეორე, ტერუანის სამლოცველოში გამოიკეტა და შესაბამისად, კანონიერი შვილები ვეღარ ეყოლებოდა. შემდგომ შვილის ყოლის სურვილის გამო, მან მიატოვა სასულიერო წოდება, მაგრამ უკვე გვიანი იყო. რაინდად კი იქცა, მაგრამ ისე გარდაიცვალა, რომ ვაჟები ვერ შობა. მანასეს დები ნაყოფიერები ჩანდნენ, მაგრამ მათი შვილები „სხვა გვარისანი" იყვნენ. საკუთარი გვარის შენარჩუნება აკვიატებულ იდეად იქცა. აქ საგავრეულო იდეოლოგიის ორი მთავარი დედაბოძი იკვეთება - მასკულინური მემკვიდრეობის (რამდენადაც გვარის გაგრძელება მთავარი იყო, ამიტომ დის ვაჟი ისე არ ფასდებოდა, როგორც ძმის ვაჟი: შესაძლოა პირველი მეტადაც კი უყვარდათ, მაგრამ მემკვიდრედ მაინც მეორე ერჩივნათ) და პირდაპირი ხაზის აშკარა უპირატესობა. ნებისმიერი ოჯახის უფროსი უპირატესობას „საკუთარი სხეულიდან" გამოსულ მემკვიდრეს ანიჭებდა. ამიტომაც ექცეოდა გამრავლებას ასეთი დიდი ყურადღება.

მანასე გინელს არც იმის სჯეროდა, რომ მისი მეუღლის საგავრეულო ნაყოფიერებით გამოირჩეოდა. მასზე ასაკოვანი სხვა სენიორები არ ერიდებოდნენ სიცოცხლის ბოლოს მეუღლეების შეცვლას. მაგალითად, გრაფი ანრი ნამურელი. საკმაოდ მონიფულ ასაკში მყოფი გრაფი ცოლად ირთავს ლაურას, რაულ ვერმანდუას ქვრივს. ქალისათვის ანრი მეოთხე თუ მეხუთე ქმარი გახლდათ. ვერც ერთმა ქმარმა ვერ შეძლო ლაურას დაფეღმძიმება, მათ შორის, ვერც ანრიმ. ამ უკანასკნელმა ლაურა მონასტერში გამოკეტა, ხოლო თავად 1168 წელს აგნესა შეირთო, გელდრის გრაფის ქალიშვილი. ცოლის ძმა, ენოს გრაფი ამ ქორწინებას დათანხმდა, რადგანაც თავად მემკვიდრეობით ქონებას ელოდა, ხოლო სიძე საკმაოდ ასაკოვანი გახლდათ. თუმცა მას აგნესა ცოლად „ოთხი წელი ჰყავდა ისე, რომ მასთან სქესობრივი კავშირი არ ჰქონია და საბოლოოდ, ქალი მამის უკან დაუბრუნა." ენოს საგრაფოს კარზე შვებით ამოისუნთქეს. მაგრამ 1185 წლის შემოდგომაზე საოცრება მოხდა. „აგნესა, რომელიც 15 წელინადი მარტო იყო, კვლავ დაუბრუნდა ქმარს (ქალი მაინც ანრის ცოლად ითვლებოდა, მიუხედავად იმისა, რომ

ეს არ იყო ნამდვილი ქორწინება) და მისგან ივლისის თვეში გოგონა გააჩინა." ეს პატარა გოგონა მამამისმა აკვანშივე დააქორწინა შამპანის გრაფის მემკვიდრეზე.

მანასემ ვერ გადაწყვიტა სხვა ცოლის შერთვა. აქ აშკარად იკვეთება საკუთარი ჯიშის შენარჩუნების სურვილი. ნუთუ ეს საეკლესიო იდეოლოგიის გამარჯვების ნიშანია? თუ უბრალოდ ცოლქმრული სიყვარულისადმი ერთგულება? მანასემ ბოლოჯერ გაიბრძოლა, სანამ თავისი დების ოჯახებში მემკვიდრის „თხოვნამდე" მივიდოდა საქმე. მან შვილიშვილი გოგონა გაათხოვა, რომელსაც ამის არანაირი სურვილი არ ჰქონდა. შვილის გათხოვება არც გოგონას მამას, ბურბურგის დაქვრივებულ გრაფს არ უნდოდა, რომელმაც შემდეგ ხელახლა იქორწინა და ამით ყოველგავრი უფლება დაეკარგა იმ ქონებაზე, რომელიც ქალიშვილისთვის უნდა დაეტოვებინა. გოგონას მამას მხოლოდ თანხმობა სთხოვეს. საქმეში ბებიაც ჩაერია. სწორედ მას უნდა მოეძებნა სასიძოც, ვინმე ინგლისელი. ბებია გოგონას საკმაოდ დიდ ქონებას უტოვებდა, რაც ქალიშვილს მიმზიდველს ხდიდა მთხოვნელის თვალში. თხზულების მიხედვით, გოგონას ბებიამ „ურჩია." თუმცა მაჭანკალი მაინც მისი ქმარი - ოჯახის უფროსი იყო. მთელი სამფლობელო, დიდება, პატივი და ოჯახის სიმდიდრე მის ხელში იყო თავმოყრილი. ამგავრი გახლდათ წესი და კანონი. ეს წესი მოგვიანებით დაფასდა, როდესაც არნუმ, თხზულების გმირმა, ცოლი შეირთო.[14] იგი ახალგაზრდა აღარ იყო, თუმცა ის დამორჩილდა მამამისს, მისი „რჩევით" შეირთო ცოლი. რაც შეეხება მის მეუღლეს, მას არც მამა, არც ძმა, არც ბიძა არ ჰყავდა, იგი ნათესავმა მამაკაცებმა გაათხოვეს. მაგრამ ბურბურგის ციხესიმაგრის რაინდებს ამაში მონაწილეობა არ მიუღიათ. საქორწინო გარიგებაში მონაწილეობდნენ: ბეტუნის ოთხი ძმა, რომელთაგან ერთ-ერთი პოეტი იყო, სახელად კონონი, პატარძლის ბიძები დედის მხრიდან, ისინი თავიანთი დის სახელით საუბრობენ, რომელიც ქვრივი გახლდათ და შესაბამისად, ქმრის ქონების მეპატრონე. პატარძლის გუნდს ხელმძღვანელობდა მამის უფროსი დის ვაჟი. მას სიტყვა ჰქონდა სათქმელი, რადგანაც გოგონას მზითვი მისი წინაპრების ქონების ნაწილი იყო. ოჯახის წევრის დაქორწინების ან გათხოვების უფლება, რა თქმა უნდა, მამაკაცს ეკუთვნოდა, იმას, ვინც ოჯახის უფროსი იყო. თუ საქმე ქალიშვილს შეეხებოდა, ოჯახის უფროსის ცოლის აზრს ითვალისწინებდნენ, რადგანაც ახლადგათხოვილი ქალის მზითვი დედის ან დეიდის ქონების ნაწილი იყო.

ნებისმიერი ოჯახის უფროსი იგივე მიზანს ისახავდა. მისი ოცნება ყველა ქალიშვილის გათხოვება იყო. გოგონები სწორედ ამისთვის იყვნენ გაჩენილნი, რომ „გამრავლებულიყვნენ და ჯიშიანი მემკვიდრეები ეშვათ.[15]" ქალი თავისი წინაპრების სისხლს სხვა საგვარეულოში ავრცელებდა და ამგვარად მეუღლის ოჯახს უკავშირდებოდა. ქალიშვილები კავშირების განმტკიცებას ემსახურებოდნენ. მათ ათხოვებდნენ და

შემდეგ თუ მთხოვნელი გამოჩნდებოდა დაქვრივების შემთხვევაშიც ხელახლა ათხოვებდნენ. გინთან ახლოს მერკის ვიკომტმა ცხრავე ქალიშვილი გაათხოვა. ასევე გრაფმა ბოდუენ II-მ თავისი გოგონები ნელ-ნელა გაათხოვა თავის ვასალ რაინდებზე. ბურბურგის სენიორმა ხუთი ქალიდან მხოლოდ სამი გაათხოვა, პირველი კარგად, მეორე - ნაკლებად სარფიანად, ხოლო მესამე - ძალიან შორს, რენანიში. მისი ორი გაუთხოვარი ქალიშვილი კი მონასტერში დაბერდა და თავს მხოლოდ იმითღა იმშვიდებდა, რომ ქალწულობა უმაღლესი ღირსება გახლდათ[16].

მართლაც, საქორწილო ბაზარზე ქალების რაოდენობა მათზე არსებულ მოთხოვნას აღემატებოდა. მამები ამბუაზის სენიორის პოლიტიკას მისდევდნენ. ბიჭების უმრავლოსობას კანონიერი ცოლის მოყვანას უშლიდნენ. იგივე ანრი ბურბურგელს შვიდი ვაჟი ჰყავდა, აქედან ორი ეკლესიის სამსახურში ჩააყენა. შემდეგი სამი რაინდული ცხოვრების რეალური საფრთხის მსხვერპლი აღმოჩნდა, ერთი ვაჟი „ჯერ კიდევ ყმანვილი" მოკლეს, მეორე - „უკვე რაინდი", მესამე - „ტურნირზე დაბრმავდა" და შესაბამისად, სენიორიის მართვის უნარი დაკარგა. უფროსი ვაჟი ორჯერ ყოფილა დაქორწინებული, მაგრამ უშედეგოდ - იგი უშვილოდ გარდაიცვალა. რჩებოდა ნაბოლარა ბიჭი, რომელიც ჯერ კიდევ ძალიან პატარა იყო. მამის გარდაცვალების შემდეგ მას თავისი ძმის ქვრივი შერთეს ცოლად, რადგანაც ბეტუნის საგვარეულოსთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნება სურდათ. ამ წყვილს ვაჟი გაუჩნდა, რომელიც მალე გარდაიცვალა. დარჩა გოგონა. ანრი ბურბურგელს თორმეტი შვილი ჰყავდა და საგავრეულოს მომავლის უზრუნველყოფა შეეძლო. მან იმდენად შეზღუდა თავისი ვაჟების ქორწინება, რომ საბოლოოდ მისი მემკვიდრეობა ქალის ხელში გადავიდა. ობოლი გოგონა ცოლად შერთვით არნუ არდრელმა ქალის მამის სამფლობელო დაიპყრო. აქედან ჩანს, რომ საგვარეულო დისციპლინა საკმაოდ რისკიანი გახლდათ. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი საგვარეულო ხაზის დანანევრების თავიდან აცილება იყო. მოდგმა უნდა გაგარძელებულიყო, ოღონდ ერთი ოჯახის ფარგლებში. თუმცა მემკვიდრეთა რაოდენობა უსასრულოდ ბევრი არ უნდა ყოფილიყო. რა საშუალებით -კონტრაცეფციით? ჰერმან დე ტურნეს მიხედვით, მაშინ კონკრეტულ რეცეპტს არ იცნობდნენ[17]. ფლანდრიის გრაფინია კლემანსმა „სამი ვაჟი სამ წელინადში გააჩინა, რაზედაც ფლანდრიაში საუბრობდნენ, რომ ასე აღარ უნდა გაგრძელებულიყო, ქალებს თავიანთი საიდუმლოებანი უნდა გამოეყენებინათ სწრაფი გამრავლების თავიდან ასაცილებლად." ბურშარ ვორმსელი მოგვითხრობს რაღაც მიქსტურების შესახებ, რომელსაც ქალები იყენებდნენ და რომლის საშუალებითაც მოღალატე ცოლებს შეეძლოთ არასასურველი ფეღმძიმობისგან თავი დაეხსნათ. თუმცა ამისათვის ისინი ხშირად ისჯებოდნენ კიდეც. ჰერმანმა ამის შესახებ არაფერი იცოდა. გრაფინიას ყველა ვაჟი მამაკაცი მემკვიდრის გარეშე

გარდაიცვალა და მათი ოჯახის „პატივი" სიძეს გადაეცა. ძნელი წარმოსადგენია, რომ ამგავრი პროცედურები კანონიერ ცოლქმრულ ურთიერთობებშიც გამოიყენებოდა. გავიხსენოთ ბოდუენ გინელის ათი უკანონო, ხოლო ანრი ბურგბურგის - თორმეტი უკანონო შვილი. ამიტომაც შესაძლო მემკვიდეების რაოდენობის შესამცირებლად მამაკაცთა ქორწინება მკაცრი კონტროლის ქვეშ იყო.

ამავე დროს შემონმებას საჭიროებს ის ტექსტები, რომელსაც მე განვიხილავ. მაგალითად, ნამდვილად გამოიყენებოდა თუ არა ამგავრი შემზღუდველი პროცედურები, კერძოდ, ცოლის მხოლოდ უფროსი ვაჟისათვის შერთვა (ეს წესი ფართოდ იყო გავრცელებული XII ს-ის სამხრეთ საფრანგეთის არისტოკრატიულ წრეებში, თუმცა ამის დადგენა ძნელია, რამდენადაც ამის შესახებ წყაროები მწირია). უახლესი გამოკვლევა გვიჩვენებს საკამაოდ ნიშანდობლივ და ეფექტურ სტრატეგიას[18]. სენელეის სენიორს, ასვალოს, მანასე გინელის თანამედროვეს, ხუთი ვაჟი ჰყავდა. ერთი ახალგაზრდა გარდაიცვალა, მეორე კი სანსის არქიეპისკოპოსი გახდა. დანარჩენი სამი დაქორწინდა, რაც იმ აზრს ენინააღმდეგება, რაზეც ზემოთ ვსაუბრობდი. მაგრამ აქ გასათვალისწინებელია გარკვეული გარემოებანი. უფროსმა ვაჟმა ცოლი შეირთო და ეს ასეც უნდა მომხდარიყო. მეორე ძმაც დაქორწინდა, მაგრამ ძმის გარდაცვალების შემდეგ. იგი თავისი ძმისწულის მეურვე გახლდათ, საგავრეულოს პასუხისმგებელი, მას უნდა დაეცვა შთამომავლობა და ძმისშვილი, რამდენადაც ტურნირებსა და სამხედრო თამაშებში ყმანვილთა სიკვდილიანობა ხშირი იყო. მესამე ვაჟი არც მამას და არც ძმას არ დაუქორწინებიათ. იგი თავად ეძებდა ბედს და მოგვიანებით, ერთი შეძლებული მემკვიდრეობის მქონე ქალი აღმოაჩინა. თავისი ცოლის ქონება იკმარა და მამის დანატოვარიდან არაფერი მოუთხოვია. ორი ნაბოლარას ქორწინება კი საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა. ასვალოს ამ უკანასკნელთაგან ხუთი შვილიშვილი ვაჟი ჰყავდა. სამმა მათგანმა საკმაოდ წარმატებული საეკლესიო კარიერა გააკეთა. 1189 წელს დანარჩენმა ორმა რაინდმა მესამე ჯვაროსნულ ლაშქრობაში მიიღო მონაწილეობა და ომიდან აღარ დაბრუნებულან. მხოლოდ ერთი გვარის გამგრძელებელიღა დარჩა. ეს იყო უფროსი ვაჟის უფროსი ვაჟი. მას თავად ოთხი ვაჟი ჰყავდა. პირველმა კანონიერი შვილები გააჩინა, ხოლო დანარჩენი სამი მამის გერმანელ ბიძაშვილებს გაჰყვა და წმინდა მინის გათავისუფლებისთვის ბრძოლაში დაიღუპა. საგვარეულოს შტოს შესუსტებაში სნორედ შემთხვევა თამაშობდა დიდ როლს. ამ ოჯახსაც თავისუფლად შეეძლო თავისი ვაჟები კათედრალურ სამლოცველოებში მოეწყო. მე იმას არ ვგულისხმობ, რომ რელიგიურ ენთუზიაზმს შეეძლო ეს ვაჟები იერუსალიმის გზისკენ გაეყენებინა ეკლესიაში საქადაგებლად. სნორედ ოჯახის უფროსები ირჩევდნენ თავიანთი შვილებისთვის ცხოვრების გზებს.

გინისა და არდრების ოჯახებიდან გამოსული ახალგაზრდები ასევე სასულიერო კარიერას ირჩევდნენ, რჯულის მეცნიერნი ქორწინდებოდნენ კიდეც, თუმცა კანონიერ მემკვიდრეობით ქონებას არ მოითხოვდნენ, ან რაინდები ხდებოდნენ და პალესტინასა და ინგლისში იბრძოდნენ. ყოველ შემთხვევაში, ლამბერტის მიერ აღწერილი ორი გენეალოგიური ხე საკმაოდ შთამბეჭდავად გამოიყურება. მათი ისტორიები ძალიან ნააგავს ამბუაზის სენიორთა ცხოვრების სტილს. ჩემი აზრით, ჩრდილო საფრანგეთის რაინდობა მკაცრად აკონტროლებდა რა ვაჟების ქორწინებას, ამით მაკონის რეგიონში თავის სოციალურ უპირატესობას უზრუნველყოფდა. XII საუკუნის მანძილზე სწორედ ამგვარად მრავლებოდნენ კეთილშობილთა ოჯახები. ამის საპირისპიროდ კი ჩანს, რომ ფრთხილი შეზღუდვა საკმაოდ ამცირებდა ოჯახების გამრავლებას და შესაბამისად, ქონების კონცენტრაციას.

მიუხედავად ამისა, საქორწინო პოლიტიკაში ცვლილებები შეიმჩნევა, რამაც ასახვა პოვა საუკუნის მანძილზე მემკვიდრეობითობის ისტორიაში. 1000 წლიდან მოყოლებული - მე არ შევეხები ძალიან შორეულ წინაპრებს, ლამბერტი მათ ნარმოსახვით ცოლებს უნოდებს - ნესის მიხედვით, გინისა და არდრელების უფროსი შვილები მართავდნენ ოჯახებს. ისინი მაღალი წრის, შორეული ქვეყნებიდან მოყვანილ ქალებზე იყვნენ დაქორწინებულნი. გრაფმა ბოდოენ I-მა ჰოლანდიის გრაფის ქალიშვილი მიიღო, მისმა ვაჟმა - მანასემ - ინგლისი სამეფო ხაზინის უფროსის ქალიშვილი. არნუმ, არდრის სენიორიის დამფუძნებელმა, ბულონის გრაფის სენეშალმა, თავდაპირველად ბულონეს ციხესიმაგრის მემკვიდრეზე იქორწინა, შემდგომ სენ-პოლის გრაფის ქვრივზე - სწორედ ამის შემდეგ შეძლო საგვარეულოს ქონების მართვა, არდრის სამლოცველოსათვის წმ. ნაწილების შეძენა. ეს მამაკაცები ძლიერი უფლისწულების სამსახურში იდგნენ. ბოდუენი - ფლანდრიის გრაფის, მანასე - ნორმანდიის ჰერცოგის, არნუ - ბულონის გრაფის. ისევე, როგორც ამბუაზის სენიორთა წინაპრების ეპოქაში, ამ შემთხვევაშიც ეს დიდებულები ცდილობდნენ თავიანთი ბატონების გულის მოგებით მდიდარი და შორეულ ქვეყნებში მცხოვრები საცოლეები მოეპოვებინათ. 1110 წლის შემდეგ საქორწინო კავშირების ხარისხი და არეალი საგრძნობლად შემცირდა. მაგალითად, ბოდოენ II და არნუ ახალგაზრდა ნაკლებად შეძლებულ, მეზობლად მცხოვრებ ქალიშვილებზე დაქორწინდნენ. ამგავრი ცვლილებები საგვარეულო სახლების დამოუკიდებლობის გაძლიერებას უნდა გამოეწვია. ამიერიდან ოჯახის უფროსს მხოლოდ თავისი სენიორის გულუხვობის იმედი აღარ უნდა ჰქონოდა. მას თავად უნდა მოეპოვებინა სარძლო. თავისი დიდებული წინაპრების სადიდებლად მას თავად უნდა გაეძლიერებინა თავისი სენიორია, საკუთარი მიწები გაეფართოებინა. მას უნდა ებრძოლა თავის სამფლობელოსთან ახლოს მდებარე ტერიტორიების შემოერთებისთვისაც. კეთილშობილი გვარის, კარლოს დი-

დის შთამომავალ ქალებს, რომლებიც მრავლად იყვნენ რეგიონში, მაინც ოჯახის უფროს გოგონებს ამჯობინებდნენ. აქ უნდა აღინიშნოს, რომ მენტალობა აშკარად იცვლება, დიდების სურვილს მატერიალური კეთილ-დღეობის დაგროვების სურვილი ცვლის. უფროსი გოგონები, რომელთაც ძმები არ ჰყავდათ, კარგი ქონების მემკვიდრეები იყვნენ. წინა პლანზე შემდეგი პრიორიტეტი იკვეთება - სოციალურად მამაკაცზე დაბალ საფეხურზე მდგომი ქალის შერჩევა, რაც, უდავოდ, დაკნინების ნიშანია. ბოდოენ II-ის მამა ასე მოიქცა. მან უფროს ვაჟს თავისი ვასალის, არდრის სენიორის ჯერ კიდევ ძუძუთა ბავშვი შერთო. ოჯახში სხვადასხვა თაობა-ში მეუღლეები ერთნაირი წარმოშობისა არ ყოფილან. პირველ შემთხ-ვევაში უთანასწორობამ მიმართულება შეიცვალა, მეუღლემ ამ მხრივ დიდგვაროვანთა გავლენა განიცადა. ამგავრი არჩევანი მოულოდნელი იყო. ლამბერტი მაინც ამართლებს ამ ნაბიჯს[19]: გადაწყვეტილება ათიოდე წლის ბიჭისაგან კი არა, მამამისისგან მომდინარეობდა, ბოდუენი ერთგ-ვარ კომპრომისზე წავიდა, მაგრამ ეს ნაბიჯი გადაიდგა „მრავალი კეთილ-შობილი მამაკაცის, ჰერცოგის, მეფის, იმპერატორის მაგალითების მიბა-ძვით", მათ რძლად ერთ-ერთი ვასალის ქალიშვილი მოიყვანეს. უფრო ზუსტად, გინის გრაფი თავის დომენში პატარა იმპერატორად იქცა, თავი-სი სამფლობელოების კონსოლიდაციის მიზნით გარკვეულ დათმობებზე წავიდა. იგი თავის მემკვიდრეს საგრაფოს საუკეთესო მამაულს უმზადებდა ისევე, როგორც რამდენიმე წლით ადრე, ლუი VI-მ, საფრანგეთის მეფემ თავისი ვაჟისათვის საცოლედ ალიენორა აკვიტანელი შეარჩია.

იმ პერიოდში, რამდენადაც ახალგაზრდა მამაკაცთა სიკვდილიანო-ბა ძალიან მაღალი იყო, ბიოლოგიური გადაგვარებისა და სხვა წინააღმ-დეგობების გამო, რომლებიც ხელს უშლიდა მამრების გამრავლებას, ლამაზი გოგონები, რომელთაც კარგი ქონების მოტანა შეეძლოთ, ცოტ-ანი სულაც არ იყვნენ. ბურბურგის სენიორია ქალის ხელში აღმოჩნდა. არდრის სენიორია კი ჯერ არნუ III-ისა და ბოდუენის დის, ხოლო შემდეგ ბოდუენის ერთადერთი ქალიშვილის ხელში გადავიდა. გინების სენიორ-ია რიგრიგობით სამი ქალის ხელში გადადიოდა: გრაფი მანასეს ქალიშვი-ლის, ამ უკანასკნელის გოგონას და ბოლოს, გრაფის ერთ-ერთი დის გან-კარგულებაში. ხანდახან უმცროს შვილებსაც გაულიმებდათ ბედი, ცელ-იბატს გადაურჩებოდნენ, რისთვისაც ისინი დაბადებიდან იყვნენ გან-წირულნი. თუმცა მსგავსი რამ XII საუკუნეში ხშირი არ იყო, ამიტომაც ძირითადად დიდგვაროვანთა უმცროსი შვილები ხდებოდნენ რაინდები და რაინდული თავგადასავლებით ცდილობდნენ ქონების მოხვეჭას. მათ-თვის საკმარისი არ იყო ქალის შერთვა. ქმარი მეუღლის მშობლებს უნდა ჩასიძებოდა, რომელთაც დიდად არ სიამოვნებდათ თავიანთი წინაპრებ-ის მამულში უცხო გვარის წარმომადგენელის მიღება. ამიტომ წინააღმ-დეგობა (და ამას თხზულებაც ადასტურებს) დიდი იყო.

როდესაც მანასე გინის ციხესიმაგრეში მიიცვალა, მისი შვილიშვი-

ლის ქმარი, ალბერტი, ტახად წოდებული, ინგლისელი რაინდი, რომელსაც ეს ამბავი მისმა სიმამრმა ანრი ბურბურგელმა შეატყობინა, ფლანდრიის გრაფთან გაიქცა მისთვის ვასალობის დასადასტურებლად, რათა თავისი ავადმყოფი მეუღლის მამული მას გადაცემოდა. ერთი მამაკაცი, რომელიც გინის გრაფების სისხლისა იყო, ალბერტს დაუპირისპირდა. ეს იყო არნუ, მანასეს ერთ-ერთი დისწული - მისი ყველაზე უმცროსი დის ვაჟი, განდის ციხესიმაგრის მფლობელი. ეს ნაბოლარა შვილი საზოგადოებაში დაწინაურებისთვის იბრძოდა. „უმცროსთა" წესისამებრ იგი ბიძამისთან (დედის ძმასთან) ცხოვრობდა და ცდილობდა იქ დამკვიდრებას. ბიძამისს ვაჟები არ ჰყავდა, ეს ბიჭიც მოსწონდა და მართლაც, მას სენიორის ციხესიმაგრის მსგავსი, თავსი სამფლობელოს სასახლე გადასცა[20]. ამგვარად, არნუ დიდმა მოიპოვა საცხოვრებელი, საქორწილო სარეცელი და შესაბამისად, ცოლის მოყვანაც შეეძლო, დაქორწინდა კიდეც. მისი ცოლი კარლოს დიდის შთამომავალი, სენომერის ციხესიმაგრის მფლობელის ქალიშვილი გახლდათ. ლამბერტი ამ ფაქტს აღნიშნავს, ეს ქალი მისი თხზულების გმირის ბებიაა. მანასეს გარდაცვალების შემდეგ მისი ბიძა, მისი სენიორიის გამგებელი არნუ მემკვიდრეობის მიღებას დაჟინებით მოითხოვდა. მან იარაღი აისხა ბურბურგის სენიორის წინააღმდეგ. ეს უკანასკნელი კი თავის სიძის მოლოდინში საკუთარი ქალიშვილის უფლებებს იცავდა.

ლამბერტი ამ ომსს უსამართლოდ აცხადებს. ეს მართლაც ასე იყო. თუმცა, იმის მტკიცებულება, რომ მამაკაცთა უფლებები ქალებისაზე მაღლა იდგა, საომარ მოქმედებებს კიდევ უფრო ამძაფრებდა. ჰუგო ბურბურგელი ამ ომით ძალიან შეწუხდა. მან გადაწყვიტა ალოსტის სენიორის ქალიშვილის შერთვა ნაყოფიერი კავშირის შექმნის მიზნით, მაგრამ ახალგაზრდა ქალის ბიძამ „ძალადობით" მიითვისა საცოლის მზითვი და ძმისწულს მხოლოდ „მცირე ნაწილი" დაუტოვა. თუმცა უზურპატორს ამის არანაირი უფლება არ ჰქონდა. გოგონას ეს ქონება დედისგან ჰქონდა მიღებული[21]. არდრის მონასტრის ქრონიკა ერთ მაგალითს აღწერს, როდესაც ახალგაზრდა ობლების მამის ძმა, მათივე მეურვე, ასევე ითვისებს ძმისწულთა მემკვიდრეობას. აქ აშკარად იკვეთება ნათესაურ ურთიერთობაში არსებული თამაშის წესი. თუ დედის ძმა ბუნებრივად იცავს ნათესავს, მამის ძმა მოწინააღმდეგე ხდება და ძმისწულის გაქურდვას ცდილობს.

ომმა ქვეყნის ყველა თავგადასავლის მაძიებელი ჩაითრია. არნუ განდელს მრავალი შეუერთდა და მათ შორის იყო არდრის სენიორის, უმცროსი ძმა, „ყმანვილი" ბოდუენი, რომელიც დიდებისა და გამორჩენის ძიებაში იყო. ალყაში იგი დაიჭრა. ის რაინდები, რომლებსაც მაგარი ჯავშანი ეცვათ, ნაკლებად იჭრებოდნენ ხოლმე. ეს უბედური შემთხვევა კანონზომიერი იყო. ღმერთმა დაინახა ბოდუენის მიერ არჩეული გზის არაკეთილსინდისიერება. ყოველ შემთხვევაში, კაპელ-სენტ-მარის ბე-

რები მას სწორედ ამას უჩიჩინებდნენ. იგი თვალყურს ადევნებდა არდრის სამლოცველოს, სადაც ამ დანესებულების პროტექტორები ცხოვრობდნენ და მშვენივრად იცოდა მათ მიერ ჩადენილი ყველა ცოდვა. ბოდუენმა არნუ მოიშორა და თავის მონინააღმდეგეს შეუერთდა. მაგრამ გარკვეული შეთანხმების შემდეგ მან დახმარება ბურბურგის სენიორს იმ პირობით შესთავაზა, რომ ეს უკანასკენელი თავის ქალიშვილს მიათხოვებდა. ოღონდ ეს ქალი ქვრივი არ ყოფილა, მისი მეუღლე ალბერტი, „ტახად" წოდებული, მშვენივრად გრძნობდა თავს. ჯერ ქალი ამ უკანასკენელს უნდა გაშორებოდა. იმისათვის, რომ ბევრად ხელსაყრელი მოკავშირე გამოეძებნა, ვიდრე მისი შორეული სიძე იყო, ანრი გაყრის პროცედურას შეუდგა. ამისათვის მან ინგლისში სასულიერო პირებისა და რაინდებისგან შემდგარი შერეული შემადგენლობის ელჩობა გააგზავნა. მოლაპარაკების შედეგად ელჩობამ ყველაფერი მოაგვარა. „დანიშნულ დღეს, სამოქალაქო და საეკლესიო სამართლის შესაბამისად, ეს კავშირი დაშლილად გამოცხადდა."[22] ყოველივე კანონიერად და საზეიმოდ ჩატარდა, რადგან ქალი ავადმყოფი იყო და „კიდევ სხვა მიზეზების გამოც." რა მიზეზები იგულისხმება აქ? უკვე ამონურულ ქორწინებაზე ხომ არ არის საუბარი? არავითარი მინიშნება არ გვხვდება განხეთქილებაზე, თუმცა ლამბერტის გარშემო მყოფნი, რომელნიც საკუთარ „ისტორიას" წერდნენ, მხოლოდ და მხოლოდ ფილიპ ავგუსტუსის განქორწინებასა და მის მიზეზებზე საუბრობდნენ.

იცოდა რა ქალის ავადმყოფობის ამბავი, ბოდუენმა მაინც შეირთო (თავისუფალი, ქმართან გაყრილი) ქალი და მისი უფლებების დაცვა იკისრა. მაგრამ სნეულმა ცოლმა ვეღარ გაუძლო ახალ ქორწინებას. იგი კვდებოდა. სწორედ ამ დროს არნუ განდელი არდრის ციხესიმაგრეში იმყოფებოდა, რომელიც უკვე დაპყრობილი ჰქონდა[23]. არნუს ერთ-ერთმა ძმამ, რომელიც ახლო წარსულში ბერი, ხოლო იმ დროისათვის რაინდი გახლდათ, ითხოვა თავისთვის ერთი ფსალმუნის - „უფალს მიანდე შენი იმედი" - ახსნა (ეს იყო მშვენიერი მაგალითი საერო და „მნიგნობარ" კულტურებს შორის ურთიერთობისა). ძმამ უპასუხა: „სწორედ ესაა შენი სიმდიდრე". ამ დროს გარდაიცვალა მანასეს შვილიშვილი და ბოდოენ არდრელის ეს იმედიც თან წაიყოლა. მაგრამ ბიძაშვილი ახალი წინააღმდეგობა აღმოჩნდა მისთვის. ბიძაშვილი, რომელიც არნუს არასდროს ენახა. იგი ბურგუნდიიდან სასწრაფოდ ჩამოვიდა, ეს იყო ჟოფრუა, სემურ-ან-ბრიონეს სენიორი. თავისი ნარმოშობა მას მემკვიდრეობაზე პრეტენზიის გამოცხადების საფუძველს აძლევდა. მისი დედა მანასეს და იყო. ეს უკანასკნელი კარგად იყო გათხოვილი, თუმცა თავისი სახლიდან საკმაოდ შორს. რამდენადაც, ეს ქალი არნუს დედაზე უფროსი იყო, ჟოფრუას უპირატესობის პრეტენზია გაუჩნდა. ამ ამბავს ომი არ გამოუწვევია, უბრალოდ, ხანგრძლივი კამათი და საუბრები მოჰყვა. შეკრებილმა მსაჯულებმა უპირატესობა არნუს მიანიჭეს. „რამდენადაც

გინის მინაზე აღარ არსებობდა მანასეს სხეულიდან გამოსული სხვა თესლი", მემკვიდრეობა გვერდითი შტოს ნათესაობას უნდა დაბრუნებოდა. ბუნებრივია, პირმშოება ჟოფრუას დედის უპირატესობა იყო, მაგრამ იგი გარდაცვლილი გახლდათ და შესაბამისად, მისი მხრიდან წამოყენებული უფლებებიც ძალას კარგავდა, ყოველ შემთხვევაში ეს უფლება მის უმცროს დაზე (რომელიც ცოცხალი იყო) გადადიოდა. ამგავრად, ჩამოყალიბდა მემკვიდრეობის გადაცემის შენდეგი წესი: უარყოფდა რა მკვდრის ცოცხალზე უპირატესობის ფაქტს, შთამომავლობის პირველობა გვერდითი შტოს ნათესაობაზე გადადიოდა, თუნდაც ქალის ხაზით.

არდრის ციხესიმაგრე ანალოგიური პროცესის მოწმე შეიქნა. ბოდუენი ამ ციხის პატრონი შემთხვევით გახდა. მას უფროსი ძმა სამზარეულოში მომსახურე ბიჭებმა მოუკლეს. გარდაცვლილს ცოლი ჰყავდა, რომელიც მათ სასახლეში ცხოვრობდა, ოღონდ ჯერ კიდევ ბავშვი იყო. იგი სხვა ქალიშვილებთან ერთად თამაშობდა ხოლმე. მისი ცხოვრება თოჯინებს, რელიგიურ ღვთისმსახურებას და ბანაობას ეთმობოდა. ციხესიმაგრის რაინდები დიდ სიამოვნებას ღებულობდნენ თეთრ პერანგებში გამონყობილი ქალიშვილების ცურვის შემყურე. ამრიგად, სენიორია პეტრონილს, ჯერ კიდევ არასრულნლოვან ახლაგაზრდა ქვრივს დარჩა. ბოდუენი გოგონას ბიძას, ფლანდრიის გრაფს უნდა მოლაპარაკებოდა. ეს უკანასკნელი იმ შემთხვევაში დაიბრუნებდა ძმისშვილს, თუ „მზითვით აუნაზღაურებდნენ დანაკლისს." ეს საკმაოდ სერიოზული მოთხოვნა ოყო, ამისათვის ბოდუენმა კაპელის ბერების სამლოცველო გაყიდა. ეს უკანასკენლი კი სკივრებისგან გაათავისუფლეს. არდრის სენიორმა ოქროსა და ვერცხლის ნაწილები მიიღო. დიდი ნაწილი პეტრონილს ერგო, ხოლო დარჩენილი საგანძური ბოდუენმა ჯვაროსნული ლაშქრობისთვის გადაინახა. იგი წმინდა მინაზე დაიკარგა. მისი ქონება კი მისმა ორმა დისშვილმა ჩაიგდო ხელში. საარბიტრაჟო სასამართლომ მემკვიდრეობა იმას მიაკუთვნა, რომლის დედაც ცოცხალი იყო, თუმცა ეს ქალი უმცროსი იყო დებს შორის. ქონების მიმღებს მოდავე მხარისათვის გადასახადი უნდა გადაეხადა, კერძოდ, 100 მარკა ვერცხლით.

საქორნილო სტრატეგია კვლავ შეიცვალა მომდევნო, კერძოდ, ბოდუენ II-ის თაობაში, ამჯერად საკმაოდ მნიშვნელოვანნილადაც - ყმაწვილთა დაქორწინებაზე საგვარეულოს მეთაურთა მკაცრი კონტროლი შესუსტდა. ისინი ამიერიდან უმცროს ვაჟებს საკუთარი ოჯახის მონყობის უფლებას ანიჭებდნენ. საუკუნის ბოლო წლებში ამგავრი რამ გინის გრაფმა ჩაიდინა. მას ექვსი ვაჟი ჰყავდა. მათგან ერთ-ერთი სასულიერო პირი იყო. მეორე - „სრულიად ახალგაზრდა" მოკლეს - ახალგაზრდები სიკვდილს ხშირად ეთამაშებოდნენ ხოლმე. უფროსი კი დაქორწინდა. ასევე მოიქცა დანარჩენი სამი შვილიც. მათ მამისგან საცხოვრებელი მიიღეს ისევე, როგორც ოდესღაც მათმა პაპამ მიიღო თავისი ბიძისაგან (რის გარეშეც იგი ცოლს ვერ შეირთავდა). მათ მიიღეს საკმაოდ

ძლიერი სახლი, სატელიტურ სენიორიაში საუკეთესო, თუმცა პატარა და მაინც შედარებით დაბალი დონის, რომელიც ახლადდაპყრობილ, ჭაობიან მინაზე იყო აგებული[24]. მეზობელ საგვარეულოშიც მსგავსი მდგომარეობა იყო: იმავე პერიოდში ფისმის სენიორმა თავისი ოთხი ვაჟი დააქორწინა. აშკარაა, რომ რაინდული საცხოვრებლის ისტორია, არქეოლოგიური აღმოჩენების შესწავლის შედეგად გვაფიქრებინებს, რომ დიდგვაროვანთა სახლების უმეტესობა გამრავლებას იწყებს. ძველი ციხესიმაგრის გარშემო, რომელიც უფროს ძმას ეკავა, შენდებოდა შედარებით მოკრძალებული, მინაყრილით გარშემორტყმული და გამაგრებული ნაგებობა, რომელიც ძველი ციხესიმაგრის მცირე ვარიანტი იყო და რომელშიც დინასტია ცხოვრებას აგრძელებდა.

ძველი საფუძვლიდან ახლი განშტოებების გაჩენამ დემოგრაფიულ ექსპანსიას შეუწყო ხელი. XIII საუკუნის პირველ ათწლეულში იმატა კეთილშობილი ნარმოშობის ახალგაზრდა მამაკაცების, რაინდების რაოდენობამ. აქ საუბარია ძლიერ მუტაციაზე, რომელმაც შეძრა არისტოკრატიის სტრუქტურები, მათი ქცევა, ჩვეულებები, მათი პოზიცია სოციალურ სტრუქტურაში. საინტერესოა, თუ რატომ აღარ იყო საჭირო ის მკაცრი დისციპლინა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში (ყოველ შემთხვევაში მას შემდეგ, რაც რაინდული ოჯახების ისტორია არსებობს) ამდენ მამაკაცს დაქორწინების საშუალებას არ აძლევდა. ასეთი მამაკაცები მუდმივად „ყმანვილები" იყვნენ და დიდ როლს თამაშობდნენ ეკონომიკის, სახელმწიფო ხელისუფლებისა და კულტურის განვითარებაში[25].

სოციალური სტრუქტურის ამ ძლიერი ნნეხისგან გათავისუფლებას მამაკაცები კანონიერი ცოლების მოყვანით ახერხებდნენ და ბარიერიც გადალახული იყო. მაგრამ რატომ ხდებოდა ეს? რატომ ხდებოდა, რომ 1200 ნლისათვის ნაბოლარა ვაჟებმა მიაღწიეს იმას, რაც სურდათ? ამ უკანასკნელთ ისევე სურდათ თავიანთი მდგომარეობის შენარჩუნება, როგორც მათ მამებს. კერძოდ, მათ უნდოდათ კიდევ უფრო განევრცოთ თავიანთი მამული და მოდგმა. რაინდებმა და მათმა სენიორებმა ბევრად მეტი ქონება მოაგროვეს და ნაკლებად მომჭირნედ ცხოვრობდნენ, შესაძლოა ამიტომაც უფრო რბილად ეპყრობოდნენ თავიანთ ვაჟებს და ყველას ერთნაირად მცირე მემკვიდრეობას უტოვებდნენ. თავს ყველა დაცულად გრძნობდა. პირველ რიგში იმიტომ, რომ გარკვეულ ქონებას, წინაპართა ქონების ნაწილს ფლობდა. აშკარაა, რომ იმ რეგიონში, რომელსაც მე ვიკვლევ, ბულონესა და ფლანდრიის საზღვარზე ისევე, როგორც მთელს ჩრდილო საფრანგეთში, ფეოდალურ სტრუქტურათა ცვლილებებმა XII საუკუნის ბოლო მეათედში არისტოკრატთა გვარების სიმდიდრე გაზარდა და ისინი ბევრად გააქტიურა. ამიერიდან სენიორიები მეტ პროდუქციას აწარმოებდნენ, ისინი სარგებელს დაუმუშავებელი მინებიდანაც ნახულობდნენ. საგადასახადო სისტემა დაიხვეწა, რადგანაც გლეხთა მიერ წარმოებული

პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი საეკლესიო მეათედს, ასევე ნისქვილთა ექსპლუატაციას, სამჭედლოთა და პურის საცხობთა ფუნქციონირებას ხმარდებოდა. გაიზარდა ფულის ბრუნვა, დინარების, ვერცხლის მონეტების რაოდენობა. სენიორიებში იმატა მოსამსახურეთა რიცხვმა. ამ პერიოდში ასევე გაიზარდა სოფლის მოსახლეობა. ეს მატება, მოგების გაზრდით, ექსპუატატორთა ცხოვრების დონეზე აისახა. ამგვარად, მოეშვა ის მუხრუჭები, რომელიც ხუთი თუ ექვსი თაობის მანძილზე კეთილშობილთა ოჯახებს გადაგვარებისკენ უბიძგებდა.

ამგავრი მოქნილობა პოლიტიკური ფორმაციების გაძლიერებამაც მოიტანა. ამ მოვლენამ სიმდიდრის ზედა ფენებიდან ქვედა ფენებისკენ ბრუნვა დააჩქარა. დიდებული უფლისნულები არ კმაყოფილდებოდნენ მოპოვებული ქონებით. თავიანთ მამულებში ჯარიმების დაწესებით, სამსახურიდან დათხოვნით, ისინი სხვა ტიპის მომსახურებისთვის თავისუფლდებოდნენ. კერძოდ, ისინი ხელფასებს, ფულად ჯოლდოებს, პრებენდას (საეკლესიო შემოსავლის ნაწილს) - ფულს გასცემდნენ. სიტუაცია შეიცვალა. მინა გაიაფდა და მემკვიდრობამაც დაკარგა ძველი მნიშვნელობა. ჯერ კიდევ ახლო წარსულში არისტოკრატული დიდებულება ახლაგაზრდა მამრების მხოლოდ გარკვეულ ნაწილს აძლევდა მემკვიდრეობას, ხოლო დანარჩენები, სენიორალური მამულის გარეთ მყოფნი, დათრგუნულნი, თამაშებით, თავგადასავლებით ირჩენდნენ თავს და შესაბამისად, უმემკვიდრონი იყვნენ. ამიერიდან სახელმწიფო უზრუნველყოფდა გარკვეულ პრივილეგიებს სამი სოცილაური ფენის თეორიის მიხედვით. ფულის ბრუნვამ კი მოქნილობა შესძინა სოცილაურ ურთიერთობებს და მალე საქორწინო პრაქტიკაშიც შეაღწია.

ასევე გასათვალისწინებელია სამართლის თანმდევი ევოლუცია. ლენური დამოკიდებულების სამართალი XII საუკუნეში ჩამოყალიბდა. ნაკლებად საშიში გახდა წინაპრების ქონების დანაწევრება. ფეოდალური წესით, უმცროს ვაჟებს ოჯახების შესაქმნელად უფროსი ძმის მამულში პატარა მიწის ნაკვეთი ეძლეოდათ. ასეთი რამ XII საუკუნის ბოლოს ხდებოდა. ლამბერტ არდრელი შორეულ წარსულში ქცევის იდეალური მანერების შესახებ მოგვითხრობს. კერძოდ, ის გამოგონილ პონტიეს გრაფს გვიხატავს[26], რომელმაც თავისი მამული დაახლოებით 1000 წლისათვის თავის ოთხ შვილს გაუყო. საგრაფო, წინაპართა სასახლე უფროსს ერგო. მომდევნო ორი ვაჟიდან ერთმა - ბულონი, ხოლო მეორემ სენ-პოლი მიიღო. თუმცა სამაგიეროდ, ისინი თავიანთ უფროს ძმაზე ომაჟის წესით იყვნენ დამოკიდებულნი. მამამ ყველაზე უმცროს ვაჟს გინების საგრაფოზე გარკვეული უფლება უანდერძა. რამდენადაც ეს უფლება არანაირ სარგებელს არ იძლეოდა, მამამ სენ-ვალერის საგრაფოს მემკვირე გოგონა მოუყვანა. ამ წარმოსახვითი მამის მდგომარეობა ძალიან ნაგავდა ბოდუენ II-ის მდგომარეობას. მისი უმცროსი ძმა ამოქმედდა. მან ძმას სენ-პოლის გრაფის შვილიშვილი გოგონა მოუ-

ძებნა საცოლედ. სამაგიეროდ კი მიწის ნაწილი გადაიხადეს, რასაც ასევე მისი ვაჟის, არნუს თანხმობაც დაემატა. შემდეგ პონტიეს გრაფმა უმცროსი ვაჟები თავისი ვასალების ქალიშვილებზე დააქორწინა. ისინი მოგვიანებით მისი მეკმიდრეობაზე ომაჟის წესით იყვნენ დამოკიდებულნი და სნორედ მათ შეინარჩუნეს გრაფის სამფლობელო.

ამგავრი პრაქტიკა იმ ეპოქაში მთელს სამხრეთ საფრანგეთში იყო გავრცელებული და ისე სწრაფად, რომ მეფე ფილიპს ეშინოდა, ფეოდალურ სამსახურს ძირი არ გამოსცლოდა. რაც შეეხება საანდერძო განკარგულებას, რომელიც ზოგიერთმა დიდებულმა სენიორმა მიიღო, იგი გვიჩვენებს, თუ როგორ ამარტივებდა ვაჟების დაქორწინებას ფულის საყოველთაო მოთხოვნა. 1190 წელს რაულ I კუსიელი გადწყვეტს მეფეს ზღვის მიღმა გაჰყვეს. წასვლის წინ იგი თავის ქონებას ვაჟებსა და ქალიშვილებს შორის გაჰყოფს. პირმშოების უფლებას იგი მკაცრად გამოყოფს. ის მემკვიდრეობა, რომელიც მან თავად მამისგან მიიღო, სრულად გადაეცა უფროს ვაჟს. დანარჩენ რაინდ ვაჟებს იგი დარჩენილ ქონებას უტოვებს: მათ შორის უნდა გაყოფილიყო ახლადშეძენილი სიმდიდრე, „ახალი ქალაქები", ახლადდაპყრობილი, ყამირი მიწები. უმცროს ვაჟებს შეეძლოთ ცოლის შერთვა, მაგრამ უფროსი მემკვიდრის წინაშე მაინც ომაჟის წესით იყვნენ დამოკიდებულნი. უკვე გათხოვილ ქალიშვილებს რაულმა არაფერი აღარ დაუტოვა, მათ უკვე მამისგან მზოთვი მიღებული ჰქონდათ. იმ ქალიშვილს, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო გათხოვილი, მამამ სამონეტო რეზერვებიდან რენტის სახით წილი მისცა. ასევე, რენტა მიეცა ნაბოლარა ვაჟს, რომელიც საეკლესიო სამსახურისთვის იყო გამწესებული. ენოს გრაფი, ბოდოენ V ასევე განკარგავს თავის მემკვიდრეობას. მეორე დაქორწინებული ვაჟი დედის მემკვიდრეობას ფეოდალური მამულის ფორმით მიიღებს, რომელიც უფროს ძმას ჩამოართვეს. ნაბოლარას, რომელიც თავქარიანი და ტურნირების ხშირი მონანილე გახლდათ, ფულადი რენტა დაენიშნა. თუმცა იგი ომაჟის წესს ასრულებდა. ამგვარი მოქნილი ლენური დამოკიდებულება საშუალებას იძლეოდა ფეოდალური მამულის ადვილი კონფისკაციისა და უმცროს ვაჟს ცოლის შერთვის საშუალებას აძლევდა.

XIII საუკუნისათვის სიტუაცია განმუხტვას იწყებს. ძალაუფლების წარმომადგენლები ცუდად აღარ უყურებენ დიდებულთა სახლების გამრავლების პროცესს, რომელიც, თავის მხრივ, ცენტრალურ ძალაუფლებას საფრთხეს უქმნიდა. ძველი ციხესიმაგრეები ერთგვარ კვანძს ქმნიდნენ, რომელიც ამცირებდა დისტანციას მეპატრონეებსა და ძველ ვასალებს შორის, რაც უპირატესად, რაინდთა წოდების გამრავლებას ემსახურებოდა. ეს უკანასკნელი კი სახელმწიფო ხელისუფლების ყველაზე მყარ დასაყრდენი იყო. ახალი საქორწინო პოლიტიკა ამ წოდების დაღვინებას ემსახურებოდა. „ყმანვილობა" ნელ-ნელა იწყებდა საზოგადოებაში ინტეგრირებას. ეს მეომარი, მშფოთვარე მასა თავიანთი უფრო-

სი ძმების გვერდით უკანონოდშობილებზე, მათხოვრებზე უკეთეს მდგომარეობაში სულაც არ ყოფილან. ისინი მზად იყვნენ გაეტაცათ ის ქალები, რომლებსაც მათ არ აძლევდნენ და თავიანთი მოტყუებული მდგომარეობა მათთვის ხელსაყრელი მორალით აეხსნათ, გაემართლებინათ ქალის გატაცება და აგრესიული დამოუკიდებლობა. საბოლოოდ რაინდები ისეთივე ეითარებაში აღმოჩნდნენ, როგორშიც ეკლესიის მესვეურებმა თავის დროზე საეროები გაამწესეს, კერძოდ, ისინი საქორწინო პრაქტიკის მკაცრ დისციპლინას დაუქვემდებარეს. რაინდების უმრავლესობისთვის „სიყმანვილე" ბუნებრივი მდგომარეობა აღარ უნდა ყოფილიყო, ანუ ისეთი ცხოვრების წესი, რომელშიც ადამიანი სიკვდილამდე დარჩებოდა. ეს უნდა ყოფილიყო არსებობის ის გარკვეული პერიოდი, რომელიც მათი ქორწილის დღით დასრულდებოდა. ამ დღეს ისინი ბრძენ, საკუთარ ოჯახებზე პასუხისმგებელ ადამიანებად იქცეოდნენ.

თუმცა ყველა რაინდს ახალგაზრდობის პერიოდისადმი გარკვეული ნოსტალგია ჰქონდა. ლამბერტი თავის სამაგალითო თხზულებაში ამ მოვლენას ხოტბას ასხმას. გრაფი ბოდოენ II, ქვრივობის მიუხედავად, საკმაოდ ცოცხლად გრძნობდა თავს და ისევე იყო გატაცებული ქალიშვილებით, როგორც ახალგაზრდობაში. ავტორი ხოტბას ასხამს მამებს, რომელთაც თავიანთი სასახლეები მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ ჰქონდათ, ხოლო საკუთარ შვილებს წინასწარ უსაზღვრავდნენ საუკეთესო პარტიას დასაქორწინებლად. ავტორი ხოტბას ასხამს მორჩილ, ღვთისმოსავ ქალიშვილებს და მათ გვერდით - მეოცნებე ჭაბუკებს. ლამბერტი იმასაც აქებს, რასაც დიდებულები სამართალდარღვევად მიიჩნევდნენ, რასაც „ბაკალავრთა" მორალი ფასეული ქმედებების პირველ რანგში ათავსებდა, კერძოდ, მოტაცებას. ყოველ შემთხვევაში საზოგადოება, რომელიც აშკარად ბევრად მიმტევებელი ხდებოდა, ამ გმირობის სუბლიმირებას მოითხოვდა. ახალგაზრდა რაინდი აღარ ახორციელებდა ძალადობას კეთილშობილი ქალის მიმართ. მისი ღირსება მისი სიმამაცე იყო, ასპარეზობებსა თუ სხვა შეჯიბრში, თუ გინდ სიყვარულში გამოჩენილი სიქველე. თუმცა ტურნირი (მოდური გართობა იყო) მხოლოდ საომარი სავარჯიშო ან ახალგაზრდა მამაკაცების ენერგიის დახარჯვის საშუალება არ გახლდათ. ეს ერთგავრი მოძრავი ბაზრობა, პოტენციურ საქმროთა გამოფენა იყო, სადაც მამაკაცები ქალებისა და უფრო მეტად, მაჭანკლების წინაშე იწონებდნენ თავს. ქრონიკის ყველა გმირი თავის სიყმანვილეში შესანიშნავი რაინდი იყო, და თუ ერთ-ერთი მათგანი, არნუ II, არდრის სენიორი, იძულებით დაქორწინდა, რადგანაც მამა გარდაეცვალა, ხოლო ბიძა არ ჰყავდა, ცოლი ალოსტის სენიორთა დიდებული სახლიდან მოიყვანა, ეს, ლამბერტის სიტყვებით, იმ სიმამაცის გამოძახილი იყო, რომელმაც ამ გვარის მეთაურის ყურამდე მიაღწია და მანაც რაინდს თავისი და დაუთმო[27]. ახალგაზრდობის

იდეოლოგია ძირითადად კურტუაზული სიყვარულის დეტალების აღწერისას ვლინდება, რაც ორჯერაა აღწერილი, დისკურსის ორ მთავარ მომენტშია ახსნილი. გენიალოგიური ჯაჭვის ორივე მხარეს ლამბერტი ახალგაზრდა მამაკაცის ფიგურას წარმოგვიდგენს, მოხეტიალე, მაცდურ რაინდს აგვინერს.

უფლისწულთა გენეალოგიის ავტორები მოგონების ბოლოს დიდი სიამოვნებით ათავსებენ რაიმე თავგადასავალს, რომელიც არავინ იცის საიდან მოდის, მაგრამ სწორედ მან წარმოშვა ეს დინასტია იმ ქალთან ერთად, რომელიც მან შეირთო. მსგვასი რამ გვხვდება X საუკუნის დასაწყისში ზიქფრიდუსთან, რომელიც ვიკინგების, ინგებორგის და ავი ლეგენდის ქვეყნიდან გახლდათ[28]. მოხეტიალე ზიქფრიდუსი გინის ქვეყანაში მოხვდა, რომელიც ოდესღაც მის წინაპრებს ჰქონდათ გაძარცვული. მამაცი ახალგაზრდა ფლანდრიის გრაფის სასახლეში მიიღეს და მალე იგი მემკვიდრის კომპანიონი გახდა. ლამბერტი მას წარმოგვიდგენს (რაც სრული ანაქრონიზმია) უმამულო კურთხეულ რაინდად, როგორებიც ახალგაზრდა უფლისწულთა თანამეტრაპეზენი იყვნენ ხოლმე. ყოველ შემთხვევაში თავისი ქონება მან სიყვარულის წყალობით მოიპოვა. იგი ყველა სხვა რაინდზე მაღლა იდგა. გრაფის დას რაინდი შეუყვარდა. ალიენორის მსგავსად, ქალი მას „სასაუბროდ" იწვევდა. „თამაშში" მეგობარმა ვაჟმა იგი დააფეღმძიმა. XII საუკუნეში ახალგაზრდები ამგვარ თამაშებს მიეცემოდნენ ხოლმე, მაგრამ პარტნიორებად მამის ვასალების ქალიშვილები ჰყავდათ. შედეგიც ნაკლებად სერიოზული გახლდათ. ზიქფრიდუსმა თავისი სენიორის ქალიშვილი შეაცდინა და ამით საკუთარი ღირსება ეჭვის ქვეშ დააყენა. იგი მოღალატე იყო. მან თავს გაქცევით უშველა, და ანდრეს (კაპელანი) მსგავსად, „სიყვარულით" გარდაიცვალა. ბავშვი კი გაჩნდა. იგი ბიჭი იყო, უკანონოდშობილი. საბედნიეროდ მისმა ბიძაშვილმა, ფლანდრიის ახალმა გრაფმა იგი მონათლა, შემდეგ რაინდად აკურთხა და საბოლოოდ, გინის მამული გადასცა, მამის ალოდი. მეორე მხარეს არნუ იყო, ლამბერტის ბატონი, ახლადდაქორწინებული[29]. ისტორიკოსი აღარ ოცნებობს, იგი იმას მოგვითხრობს, რაც ნახა და რაზეც ტრაბახობდნენ იმ სახლში, რომელსაც ავტორი ემსახურებოდა. იმისათვის, რომ მისი უფროსი შვილის პირადი რეპუტაცია საგავრეულოს რეპუტაციას დამატებოდა იმ პირთა თვალში, რომლებიც ქალიშვილებისთვის საქმროებს ეძებდნენ, წესის მიხედვით, გრაფმა ბოდუენმა არნუს რაინდად კურთხევის მეორე დღეს ტურნირების მთელ ციკლს გაუკეთა ორგანიზება. ორ საჭურვლმტვირთვლთან, ორ მსახურთან და ერთ სასულიერო პირთან ერთად, რომელსაც სალარო ჰქონდა ჩაბარებული, გრაფმა არნუ საკმაოდ შორს გაგზავნა. ეს მოგზაურობა მომხიბლავი ჩანდა, მაგრამ ვაუს თავშეკავებაც უნდა გამოეჩინა. დრო სწრაფად გადიოდა. ერთ დღესაც მამამ შეწყვიტა შვილისათვის პენსიის გადახდა. არნუ იძულებული გახდა თვითონ მოე-

ძებნა გამოსავალი. ის განაგრძობდა ტურნირებში მონაწილეობას. საბოლოოდ, ხუთი წლის შემდეგ მან ერთი მდიდარი მემკვიდრე-ქალის ყურადღება მიიპყრო. ქალი ძალიან მდიდარი იყო და კეთილშობილი გვარისაც. წმინდა იდა, რომლის სახელსაც ქალი ატარებდა, მისი წინაპარი გახლდათ, ხოლო ჟოდეფრუა ბუიონელი, პაპის მამის ძმა. ისევე როგორც საფრანგეთის გარდაცვლილი დედოფალი, იდაც გრაფ ფილიპი ფლანდრიელის ძმისშვილი, ხოლო თავად, დედის მხრიდან, ბულონის გრაფინია გახლდათ. იგი ორჯერ უკვე იყო გათხოვილი. ორჯერ დაქვრივებული და აშკარად არნუზე ბევრად უფროსი, იდა მასთან ერთობოდა, ახალგაზრდა კაცს ბარათებს უგზავნიდა. რაღაც საბაბით არნუს სახლშიც კი ეწვია. მოლაპარაკება ქალის ბიძასთან წარმოებდა. უეცრად რენო დამარტენელი გამოჩნდა, რომელმაც არნუს ცხვირწინ ააცალა ქალი და ლორენის გზას გაუყენა. არნუ საცოლეს დაეწია, თუმცა გზაში დაიჭირეს. ვერდენის ეპისკოპოსმა იგი ციხეში ჩასვა. არნუს მოგზაურობების პერიოდში ის გადასახადები მიუთვისებია, რომელსაც მესამე ჯვაროსნული ლაშქრობისათვის აგროვებდნენ. გარკვეული დროით არნუ დაკავებული იყო. ფაქტიურად, იგი მოტყუებული დარჩა.

განვიხილოთ ის ვერსია, რაც არნუს საქმეს შეეხება. იდას იგი უყვარდა „სიმსუბუქითა და ქალური ეშმაკობით". ქალი შეყვარებულის როლს თამაშობდა. თავის მხრივ, არნუს იდა უყვარდა „მამაკაცური სიფრთხილითა და ეშმაკობით", ისიც შეყვარებულს თამაშობდა. მოკლედ, „გრაფინიას ქონების ხელში ჩაგდებით, ამ ჭეშმარიტი თუ ყალბი სიყვარულის წყალობით, ის ბულონის საგრაფოს მიწებს მიელტვოდა." ამაზე უფრო ნათლად საუბარი შეუძლებელია. ლამბერტს წაკითხული ჰქონდა კურტუაზული რომანები, მაგრამ ეს ისტორია კონკრეტულ ცხოვრებას ეხებოდა. ამ შემთხვევაში ლამბერტი „რაინდულ სიყვარულს" რეალურად გვიხატავს. ისეთივეს გვიჩვენებს, როგორიც ის არის, არნუს ქალთმოძულედ წარმოგვიდგენს. ქალი მისთვის საძულველი ობიექტია. ქალს შემდეგი სიტყვებით ახასიათებს - „მსუბუქი" და „მოღალატე". კურტუაზული სიყვარული, ერთის მხრივ, სიხარულს, სიამოვნებას, მოტაცებას კრძალვას, ცოლქმრულ ღალატსა და ავხორცობას გამორიცხავს, მეორეს მხრივ კი, მაჭანკალთა ძალაუფლებას, მღვდლების მოწოდებებსა და ცოლქმრულ მორალს ქადაგებს. ეს წინააღმდეგობა აშკარაა. მართლაც, სახლის მეთაურები, არნუმდე ბოდუენი, იდამდე ფლანდრიის გრაფი ამ თამაშის მონაწილენი იყვნენ. ეკლესიის მესვეურნი სულაც არ იყვნენ მომთხოვნი სექსუალურ ურთიერთობების საკითხში, როდესაც საუბარი ქორწინებას არ შეეხებოდა. საქორწილო ცერემონიალს ყოველთვის სასიყვარულო თამაშები უსწრებდა წინ. ამ თამაშების მიღმა კი საგაერეულო პოლიტიკა იმალებოდა.

XII საუკუნის ბოლოს, როდესაც ეკლესიამ თავისი დეკრეტების სიმკაცრე შეარბილა და მაშინ, როდესაც სოციალური ურთიერთობების

ᲛᲐᲥᲮᲘᲚᲝᲑᲘᲡ გაძო, ყმაწვილებს დაქორწინების იმედი გაუჩნდათ, ქცევის ორ მოდელს შორის გარკვეული თანხმობა გაჩნდა. კერძოდ, დაუქორწინებელი და დაქორწინებულ მამაკაცების ქცევას შორის. ისინი ერთმანეთს ავსებდნენ. ახალგაზრდა მამაკაცები თავიანთ „კეთლშობილებას“ ოჯახის გარეთაც ამტკიცებდნენ, ხოლო ქალის პატრონებს ისე ეჭირათ თავი, თითქოს ქალები თავად ირჩევდნენ თავიანთ მეუღლეებს. ქორწინების შემდგომ ქმრებს კიდევ შეეძლოთ ტურნირებში მონანილეობა. მაგრამ მას მერე, რაც მამისაგან მემკვიდრეობით სენიორიას მიიღებდნენ, „ახალ მამაკაცებად“ იქცეოდნენ (ეს მაშინ, როცა მემკვიდრეობით საგრაფო გერგება. მაგალითად, ბოდოენ გინელს, უკვე ხუთი ვაჟის მამას, თუმცა ჯერ კიდევ ჭარმაგს). ამიერიდან ოჯახის მამაკაცებს ბრძნულად უნდა ეცხოვრათ, სახლში უნდა ჩამჯდარიყვნენ, ცოლებთან ერთად, როგორც ეს ჰუგო დე სენ-ვიქტორს სურდა, „მათთან განსაკუთრებული ძაფებით დაკავშირებულთ ერთი სიყვარული უნდა გაენაწილებინათ.”[30]

ამ ორი საუკუნის განმავლობაში სურათი ნელ-ნელა გამოიკვეთა.ფილიპ ავგუსტუსის მეფობისას საკმაოდ კარგად გამოჩნდა, თუ როგორ ირთავდა რაინდი ცოლს და შემდეგ როგორ ეპყრობოდა მას. ნუთუ ამგვარი ქცევა დიდად განსხვავდებოდა ოთხი საუკუნე-ნახევრით გვიან, მოლიერის ეპოქასა და ექვსი საუკუნის შემდეგ, ლანგედოკელი აბატი ფაბრის დროის ჩვეულებებისგან? ზოგიერთი რიტუალი დღემდეა შემორჩენილი: ქორწინების მოთხოვნა, ნოტარიუსისთვის გადაცემული კონტრაქტი, ნიშნობა, საქორწილო წირვა და ბოლოს, მეჯვარე ვაჟები, რომელთაც პატარძლის შლეიფი მოაქვთ. სულ უფრო ნაკლებად ლაკონურ ტექსტებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ საკამაოდ მყარი სტრუქტურები გამოიკვეთა. თუმცა ეს სტრუქტურები ჩვენს თვალწინვე ინგრევა.

მე ვიტყოდი, რომ საკამაოდ ძნელია გარკვეული წესების დამკვიდრება. რაც უფრო ნათელი ხდება სურათი, მით უფრო მეტად იცვლება იგი. 1000 წლის შემდეგ, როდესაც ისტორიკოსი საზოგადოებრივი თეორიის პირველ ნიშნებს გამოარჩევს, რომელიც ადამიანთა სამ კატეგორიას სამ დამატებით ფუნქციას მიაწერს, იგი კარგი ქორწილის ორ ურთიერთსაპირისპირო კონცეფციას აღმოაჩენს. პირველი კონცეფციით მეომრები დიდი ხნის განმავლობაში ხელმძღვანელობდნენ, ხოლო მეორე კონცეფციის გავრცელებას სასულიერო პირები ასევე ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ცდილობდნენ. ორივე კონცეფცია საკაოდ მყარი იყო. 1110 ნლისათვის კონფლიქტი შედარებით დაცხრა, შემდგომ კი თითქმის სრულიად მიყუჩდა. XIII საუკუნის დასაწყისში, როდესაც სამი ნოდების იდეოლოგია მონარქიული ძალაუფლების საყრდენად იქცა, თანხმაობა ჩამოვარდა. ნუთუ ეკლესიის მიერ შემოთავაზებულმა მოდელმა სხვა თეორიებს აჯობა? ნუთუ ქრისტიანობამ მოახერხა საზოგადოების ტრანსფორმაცია?

თავდაპირველად იმ რეგიონში, იმ სოციალურ ჯგუფში, რომელიც მე ავირჩიე შესაწავლად, ქრისტიანობამ ცხოვრების ყველა კუთხეში შეაღწია. მაგრამ ეს სხვა ქრისტიანობა იყო. მეომრებს ღმერთის ეშინოდათ, უკლებლივ ყველას, მოძალადეებსაც კი, ყველაზე ხარბებს, მექალთანეებს, თავად გრაფ იოანე სუასონელსაც კი, მე ამაში სრულიად დარწმუნებული ვარ. ყველა იმ ადამიანმა, რომლებზეც მე ვისაუბრე, სრულიად უშურველად გასცა თანხა კათედრალების აღდგენისთვის. ეს სუ-

ლაც არ ყოფილა ზღაპრული ნადავლის მოპოვებისა თუ უფლის საფლავის ხილვის იმედით (ამ მიზნის მისაღწევად თვეების მანძილზე, საფრთხესა და გაჭირვებაში რომ იგდებდნენ თავს) გაპირობებული. ისევე, როგორც ერეტიკოსებს, ბევრს სჯეროდა იესოს სიტყვებისა: ცათა სასუფეველი ამ ქვეყნად არ არსებობს. იმისათვის, რომ მშვიდად ყოფილიყო და სამოთხე მოეპოვებინა, ხალხი მღვდლებს უჯერებდა. ერეტიკოსთაგან განსხვავებით, სწორედ სასულიერო პირთა გადამრჩენელი მოქმედებები ათავისუფლებდა მათ ცოდვებისგან. ხშირად მეომრებს უარს ეუბნებოდნენ წეს-ჩვეულებების შეცვლაზე, ისევე უნდა ეცხოვრათ, როგორც მათ წინაპრებს. გარდაუვალი პროგრესის პირობებში ბერები უფრო მეტად ულმავდებოდნენ საკუთარ თავს, ხოლო საეროებს ესმოდათ, რომ დანაშაულებრივ ქცევებსა და სურვილებს ტრადიციული წეს-ჩვეულებებით ვერ დაუპირისპირდებოდნენ. ეს საზოგადოება ნელ-ნელა უფრო ღია გახდა ევანგელისტური მოწოდებების მიმართ. იმავე ეპოქაში ეკლესიის მესვეურნიც მიყვნენ საზოგადოების ამ განწყობას. გარდასახვის მნიშვნელობაზე ფიქრისას, უფლის მსახურები ნელ-ნელა აცნობიერებდნენ, რომ ლიტურგიკულ საკითხებში ჩაღრმავება საჭირო აღარ იყო. ისინი უკეთ მიაღწევდნენ მიზანს, თუ უხეშად არ ჩაერეოდნენ ბუნებისა და სოციალური რეალობის კანონებში.

სულიერება იცვლებოდა და არც სხეული რჩებოდა უძრავი. ერთი საუკუნის მანძილზე, XI საუკუნეში, დაძაბულობის მიუხედავად, ფეოდალური წარმოება წამყვან ადგილს იკავებს ძალაუფლების მოპოვებისთვის წარმოებულ გააფთრებულ ბრძოლაში. ძალაუფლება კიდევ უფრო კონცენტრირებული ხდება. მეომართა ჯგუფები საგვარეულო კავშირებს აფუძნებდა, მიწას ებღაუჭებოდა, მბრძანებლობდა, სჯიდა, გლეხთა ექსპლუატაციის ეწეოდა. ამქვეყნიური აგრესიის დასაძლევად ეკლესია საკუთარ პრინციპებს ამყარებდა. ქორწინება მისთვის კონტროლის საშუალება გახდა. ეკლესიის მეთაურები ამ იარაღს საეროთა სამართთავად და მათ დასამორჩილებლად იყენებდნენ. არისტოკრატული საგვარეულოს მეთაურები კი თავისი ძალაუფლების შესანარჩუნებლად ქორწინებას სხვაგვარად უდგებოდნენ. საქორწინო პრაქტიკის გამოცოცხლება ქალაქური ცხოვრების ზრდას დაემთხვა. ქალაქები ღრმა ძილიდან გამოვიდნენ, გაშენდა გზები, განვითარდა ვაჭრობა, რაც სახელმწიფოს გამყარებას უნყობდა ხელს. ყველაფერი ცხოვრების გააქტიურებით დაინყო. XII საუკუნეში აშკარა აღმავლობა შეინიშნება. მბრძანებელი კლასი წესისამებრ ფენებად დაყოფილ საზოგადოებაზე მტკიცე ძალაუფლებას ინარჩუნებდა. ქრისტიანობის განვითარების პერიოდში, რომელსაც მე ვიკვლევ, ფრანცისკო ასიზელის, მღვდლებისა და მეომრებისთვის, რომლებიც ადგილობრივ უფლისწულებს ემორჩილებოდნენ, ქორწინების ინსტიტუტზე კამათი შეთანხმებით დასრულდა, რათა საზოგადოებრივი წესრიგი არ დარღვეულიყო. საზოგადოება

და ქრისტიანობა ერთდროულად იცვლებოდა. ერთი მეორეს არ დაუ-მარცხებია, ისინი ერთმანეთს უთანხმდებოდნენ.

რამე ხომ არ მეშლება ორ მოდელსა და ორ ბანაკზე რომ ვსაუბრობ? ამ შემთხვევაში ყმაწვილობა უფროს თაობას უპირისპირდებოდა, როგორც ერეტიკოსები - რიგორისტებს. ამ უკანასკნელთა შერიგების დროც დადგა. უფროსი თაობაც მათ მაგალითს მიჰყვა. ამ ურთიერთ-გაგებამ ორ ბანაკს შორის ქორწინების თაობაზე შეთანხმებას შეუწყო ხელი. საუკუნეთა მანძილზე ცოლქმრული ურთიერთობების ახალი სტრუქტურები იქმნებოდა. ეს სტრუქტურები ორგვარი დამატებითი კონტროლის ქვეშ იყო: პირველი ცელიბატი გახლდათ, რომელიც უფ-ლის მსახურებს ეკისრებოდათ, რაც კმაყოფილებას ანიჭებდა რიგორ-ისტებს და განაიარაღებდა ერეტიკოსებს. მეორე კი - კურტუაზული სიყვარული, რომელიც „ყმაწვილობის" აქტივობას აცხრობდა. ამგვარ-ად ძალიან მყარი სისტემა ჩამოყალიბდა. თუმცა იმ ადამინებს შორის, რომლებიც დაუსრულებლად ღაღადებდნენ იმაზე, თუ რა გააკეთეს ან რის გაკეთებაზე ოცნებობდნენ, არც ქალები არ უნდა დავივიწყოთ. ამაზე ბევრს საუბრობენ. განა რა ვიცით ამ ქალების შესახებ?

შენიშვნები

ამ ნაშრომის პირველი ვარიანტი შემდეგი სათაურით გამოვაქვეყნე: Medieval Mariage. Two Models from Twelfh Century France, Baltimore et Londres, 1978 (ქორწინება შუა საუკუნეებში. XIII საუკუნის საფრანგეთის ორი მოდელი).

შემოკლებანი

AASS - Acta sanctorum

Anjou - Chroniques des comptes d'Anjou et des seigneurs d'Amboise, Paris, 1913

BN - Bibliothèque Nationale.

C. - Recueil des chartes de l'abbaye de Cluny, éd. Berard et Bruel.

HF - Recueil des Historiens de la France

M. - Cartulaire de saint-Viencent de Macôn, éd. Ragut.

MGH SS - Monumenta Germaniae Historica. Scriptores.

MGH Cap. - Monumenta Germaniae Historica. Capitularia.

PL - Patrologie Latine.

თავი I

1. MGH SS, VI, 367; V, 461, 463; Recueil d'annales angevines et vendômoises, éd. Halphen, p. 42.
2. Lettre 212, PL 162.
3. Cartulaire de Marmoutier pour le Dunois, éd. Mabille, n 60.
4. Lettre 13, éd. Leclercq, p. 56.
5. Lettre 15, éd. Leclercq, p. 60.
6. Lettre 23, éd. Leclercq, p. 94.
7. HF, XIV, 791.
8. BN, ms. lat. 11792, fol. 143.
9. Anjou, 232.
10. Regesta pontificum romanorum, éd. Jaffé: n. 5636, 5637.
11. Vita Ludovici, éd. Molinier, XII.
12. De gestis regum anglorum, III, 235, 257.
13. Historia ecclesiastica, VIII, 387, 389, 390.
14. Anjou, 127.
15. Vita Ludovici, I.
16. HF, XIV, 745.

თავი II

1. Regula Pastoralis, III, 27, PL 77, 102.
2. P. Toubert, "La théorie du mariage chez les moralistes carolingiens", Il matrimonio nella societa alto medioevale, Spolete, 1977.
3. MGH Cap., II, 1, 45, 46.
4. PL 125, 658.
5. PL 125, 655.
6. PL 126, 137, 138.
7. PL 131, 87.
8. G. Dumézil, Mariages indo-européens, Paris, 1979.
9. PL 54, 1204.
10. MGH, Ep., V, 103, 115.
11. PL 122, 806.
12. PL 122, 893.

თავი III

1. AASS, mars I, 280.
2. P. Fournier, "Le Decretum de Bourchard de Worms", Revue d'Histoire ecclésiastique, 1911.

3. G. Fransen, Les collections canoniques, Turnehout, 1973.
4. F. Chiovaro, "Discretio pastoralis et scientia canonica au XI siècle", Studia moralia, 1977.
5. La Société féodale, Paris, 1968, 142.
6. PL 140, 573-579.
7. C. Vogel, Le péché et la pénitence au Moyen Age, Paris, 1969.
8. PL 140, 828.
9. PL 140, 967.
10. PL 140, 968.
11. PL 140, 955.
12. PL 140, 975.
13. PL 140, 957.
14. PL 140, 784.
15. PL 140, 966.
16. PL 140, 961.
17. PL 140, 975.
18. PL 140, 958.
19. PL 140, 953.

თავი IV

1. Epitome vitae Roberti regis, éd. Bautier et Labory.
2. Richer, Histoire, MGH SS, III, 651.
3. P. 100-102.
4. HF, X, 535.
5. F. Lot, Etude sur le règne de Hugues Capet et la fin du X siècle, Paris, 1903, p. 171, n.1.
6. MGH SS, III, 694.
7. HF, X, 493.
8. HF, X, 211.

თავი V

1. PL 141, 223.
2. Ed. Marchegay, p. 64.
3. E. Searle, "Seignorial Control on Womens' Marriage", Past and Present, 1979.
4. PL 143, 797.
5. H. Le Goherel, "Le parage en Touraine-Anjou au Moyen Age", Revue historique de Droit francais et etranger, 1965.

6. La Catalogne du milieu du Xe à la fin du XII siècle, Toulouse, 1976.
7. Infra, p. 250-255, 271, 287, 298.
8. C., n 1354 (974).
9. C., n 2528.
10. C., n 3032.
11. C., n 1415, 1425, 1426.
12. C., n 2875 (1031-1060).
13. C., n 2265.
14. C., n 2875 (1031-1060); M., n 463 (997-1031).
15. Cartulaire de l'église collégiale Notre-Dame de Beaujeu, éd. Guigue, n 12.
16. C., n 2659.
17. C., n 2628, 2618, 2633.
18. C., n 2605.
19. C., n 2618 (1005); C., n 2628, 2633, 2659.
20. M., n 463.
21. C., n 2022, 2867.
22. C., n 2919.
23. C., n 2412.
24. C., n 3574.
25. C., n 2493.
26. C., n 2616.
27. C., n 477.
28. C., n 2036.
29. C., n 3874, 3821, 3654.
30. C., n 3577.
31. C., n 3744.
32. B. Guenée, "Les généalogies entre l'histoire et la politique. La fierté d'être Capétien, en France, au Moyen Age", Annales, 1978.
33. J. Wollasch, "Parenté noble et monachisme réformateur: observations sur les "conversions" à la vie monastique aux XI et XII siècle", Revue Historique, 1980.
34. G. Duby, "Lignage, noblesse et chevalerie dans la région mâconnaise. Une révision", Annales, 1972 (et Hommes et structures du Moyen Age, Paris).

ΠΙΔΣΟΝΙ

1. H. Taviani, "Le mariage dans l'hérésie de l'an mil", Annales, 1977; G. Duby, Les trois ordres ou l' Imaginaire du féodalisme, Paris, 1978, pp. 163-168.
2. PL 142, 1299, 1301.
3. Ed. Carozzi, vers 231, 244, 252.
4. B. Schimmelpfennig, "Zolibat und der "Priestersohne" von 11. bis 14. Jahr-

hundert", Historische Zeitschrift, 1978.
5. P. Toubert, Les structures du Latium médiéval, Rome, 1973, p. 741.
6. P. Daudet, Etudes sur l'histoire de la juridiction matrimoniale. L'établissement de la compétence de l'Eglise en matière de divorce et de consanguinité, Paris, 1941.

თავი VII

1. AASS, Septembre VIII, 744-751.
2. MGH SS, XV, 877-881.
3. MGH SS, XV, 883-884.
4. PL 174, 1398-1399.
5. Annalecta Bollandiana, 1926.
6. AASS Juillet, II, 403.
7. AASS, Avril I, 141-144.

თავი VIII

1. De vita sua, éd. Bourgin.
2. J. Benton, Self and Society in Medieval France, New York, 1970; J. Kantor, "A Psychohistorical Source: the Memoires of Abbot Guibert of Nogent", Journal of Medieval History, 1976.
3. I, 12.
4. I, 18.
5. I, 3.
6. I, 13.
7. Purity and Danger, Londres, 1966.
8. I, 14.
9. I, 7.
10. I, 2.
11. III, 19
12. II, 5.
13. I, 12.
14. III, 14.
15. III, 17.
16. ინგლისსა და უეჭველია, რომ ნორმანდიაშიც საეკლესიო ცელიბატზე კამათი მთელი სისრულით 1125-1130 წლებში გაიმართა. I.J.Flint, "The Historia Regum Brittaniae of Geoffroy of Monmouth: Parody or its Purpose. A suggestion", Speculum, 1979.
17. III, 13.
18. III, 14.

19. Y. Labande-Mailfert, I laici nella società christiana dei secoli XI e XII, Milan, 1968, pl. 3.
20. J.-B. Molin et P. Mutembré, Le rituel du mariage en France du XII au XIV siècle, Paris, 1974.
21. გამოუცემელი დისერტაცია, Université de Paris IV, 1980.
22. III, 3.
23. III, 16.
24. Anjou, généalogies III et IV.
25. Anjou, généalogies V.
26. Supra, p.15.
27. G. Burton Hicks, "The Impact of William Clito upon the Continental Policies of Henry I of England", Viator, 1979.
28. III, 16.
29. III, 5.
30. III, 3.
31. III, 14.
32. Ed. Petigny, Bibliothèque de l'Ecole des Chartes, 1853-1854.

თავი IX

1. Y. Labonte, le mariage selon Yves de Chartres, Bruges, 1965.
2. Lettre 16, éd. Leclercq, p. 69.
3. PL 161, Panormia, VI, 2 et 5.
4. Ibid., 3 et 4.
5. Ibid., 4.
6. Ibid., 7 et 8.
7. PL 161, decretum, VIII, 42.
8. Ibid., 85 à 97.
9. PL 162, 608.
10. Decretum, VII, 59, 66
11. Decretum, VIII, 140, 221-227, 230, 236, 239, 241, 255, 257-260 და Panormia-ს VI წიგნის დიდი ნაწილი.
12. Decretum, VIII, 238.
13. Bourchard de Worms, Decretum, VII, 41; Yves, Decretum, X, 169.
14. Lettre 125, PL 162.
15. Lettre 239.
16. Lettres 16, 148, 155, 188.
17. Lettre 205.
18. Lettre 280.
19. Lettre 249.
20. Lettre 252.

21. Lettres 18, 222.
22. Lettres 99, 134, 243.
23. Lettre 99.
24. Lettre 166.
25. Lettre 167.
26. Lettre 183.
27. Lettre 230.
28. MGH SS, IX, 320
29. D. Poirion, "Edyppus et l'énigme du roman médiéval", Senefiance, 1980.
30. Lettre 158.
31. Lettre 45.
32. Lettres 129, 130, 261.
33. Corpus juris canonici, éd. Friedberg, I, 274.
34. Lettre 261.
35. Lettre de saint Anselme, PL 159, 245.
36. Lettre 209.
37. Lettre 225.
38. Lettre 229.
39. Lettre 232.
40. Lettre 218.
41. Lettre 221.
42. Lettre 242.
43. Lettre 221.
44. PL 171, 963-964.
45. PL 176, 488.
46. PL 176, 859, 964.
47. Livre des Sentences, IV, 26.

თავი X

1. Ed. Molinier.
2. MGH SS, XX.
3. HF, XV, 509-510.
4. მხოლოდ ორი მონმე არ ეთანხმება ამ მოსაზრებას, ერთი - რობერტ დიუ მონი, HF, XIII, 293, მეორე - რიშარ დეპუატიე, HF, XII, 120, კლუნიელი, ცისტერციენლთა, შესაბამისად, პაპ ევგენი III-ის მონინააღმდეგე.
5. HF, XIII, 507.
6. PL 201, 670.
7. HF, XIII, 101-102.
8. HF, XIII, 125..
9. HF, XVIIII, 155-156.

10. PL 212, 1057-1058.
11. MGH SS, XIV, 343.
12. Lettre 214, PL 182.
13. Lettres 182, 220, 224.
14. MGH SS, XX, 521.
15. K.F. Werner, "Die Legitimitat der Karolinger und die Entstehung der Reditus ad stirpem Karoli", Die Welt als Geshichte, 1951.
16. J. Baldwin, Masters, Princes and Merchants. The Social Views of Peter the Chanter and his Circle, Princeton, 1970.
17. Baldwin, II, 226, n.185.
18. Baldwin, II, 225, n.182.
19. Baldwin, II, 225, n.175.
20. Baldwin, II, 224, n.169.
21. Baldwin, II, 225, n.179.

ᲗᲐᲗᲘ XI

1. BN, ms. 17509, 3284; Cambrai, 534.
2. Jeu d'Adam, éd. Noomen, Paris, 1971.
3. Traité de l'amour courtois, trad. Buridant, Paris, 1974.
4. P. 109.
5. Livre des Sentences, IV, 31, 6.
6. PL 210, 193.
7. P. 160.
8. M.T. Lorcin, Facons de penser et de sentir: les fabliaux francais, Paris, 1979.
9. Ph. Menard, les lais de Maris de France, Paris, 1978.
10. H. Oschinsky, Der Ritter unterwegs und die Plage der Gastfreundschaft im alten Frankreich, Halle, 1900.
11. Perceval, vers 32191-94

ᲗᲐᲗᲘ XII

1. Anjou
2. P. 128.
3. P. 127.
4. P. 99.
5. P. 75.
6. Pp. 148-150
7. Pp. 135, 139.
8. P. Petot, "Le mariage des vassales", Revue historique de Droit francais et 'etranger, 1978.

9. Baldwin, II, 178, n. 134.
10. Anjou, p. 101.
11. P. 172.

ᲗᲐᲗᲘ XIII

1. MGH SS, XXIV.
2. P. 563.
3. Ch. 127.
4. Ch. 27.
5. Ch. 149.
6. Ch. 123.
7. Ch. 122.
8. Ch. 89.
9. Liber paenitentialis, 1, 27.
10. Ch. 113.
11. Ch. 126.
12. Ch. 84.
13. Ch. 43.
14. Ch. 149.
15. Ch. 66.
16. Ch. 127.
17. MGH SS, 282.
18. C. Bouchard, "The Structure of a XII century French Family: The Lords of Seignelay", Viator, 1979.
19. Ch. 67.
20. Ch. 144.
21. Ch. 122.
22. Ch. 60.
23. Ibid.
24. Ch. 72 და 79.
25. Ibid.
26. G. Duby, "Les "jeunes" dans la société aristocratique", Annales, 1964 (et Hommes et structures du Moyen Age, Paris, 1973).
27. Ch. 15.
28. Ch. 123. G. Duby, Le dimanche de Bouvines, Paris, 1973, pp. 110-128.
29. Ch. 11 et 12.
30. Ch. 93 et 94.
31. PL 176, 987.